ჯონი ხეცურიანი

დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ

პუბლიცისტური წერილები, ინტერვიუები

თბილისი
2006

ნიგნში თავმოყრილია გასული ნლების პერიოდულ გამოცემებში ავტორის მიერ გამოქვეყნებული სტატიები, პუბლიცისტური ნერილები, მოხსენებები, ინტერვიუები, რომლებშიც ასახულია XX საუკუნის მინურულსა და XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმნიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასა და სამართლებრივი სახელმნიფოს მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემები. ვრცელი შესავალი ერთგვარ გზამკვლევს წარმოადგენს ამ პრობლემების გააზრებისა და მათი გადაწყვეტის ავტორისეული პოზიციის უკეთ გაგებისათვის.

კრებული გათვალისწინებულია იურისტებისა და საქართველოს უახლესი ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

© ჯონი ხეცურიანი
ISBN 99940-0-933-8

ეძღვნება ჩემი შვილის
ვოვა ხიჟურიანის ნათელ ხსოვნას

ნიგნში თავმოყრილია გასული წლების პერიოდულ გამოცემებში ავტორის მიერ გამოქვეყნებული სტატიები, პუბლიცისტური ნერილები, მოხსენებები, ინტერვიუები, რომლებშიც ასახულია XX საუკუნის მინურულსა და XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემები. ვრცელი შესავალი ერთგვარ გზამკვლევს წარმოადგენს ამ პრობლემების გააზრებისა და მათი გადაწყვეტის ავტორისეული პოზიციის უკეთ გაგებისათვის.

კრებული გათვალისწინებულია იურისტებისა და საქართველოს უახლესი ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო ნრისათვის.

© ჯონი ხეცურიანი
ISBN 99940-0-933-8

ეძღვნება ჩემი შვილის

ეთა ფაფუჩიანის ნათელ ხსოვნას

შესავალი

XX საუკუნის მიწურულს და XXI საუკუნის დამდეგს, მესამე ათასწლეულის მიჯნაზე, საქართველოში მომხდარმა უმნიშვნელოვანესმა მოვლენებმა დიდი გავლენა იქონია ქართველი ერის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სულიერ ცხოვრებაზე. ქვეყანამ აღიდგინა დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და თავის ბუნებრივ მდგომარეობას დაუბრუნდა - გააგრძელა ქართული სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვანი ტრადიცია. ამასთანავე, შეუდგა დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობას.

ისტორიის ამ მონაკვეთში ქართველი ერის მეცადინეობა სნორედ ამ ორი ძირითადი ამოცანის, სახელდობრ, საბჭოური იმპერიისაგან თავის დაღწევისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობისაკენ იყო მიმართული. ორივე ამოცანის გადაჭრის პროცესი ურთულესი წინააღმდეგობებით წარიმართა და მსხვერპლის გარეშე არ ჩაუვლია. თუ პირველ შემთხვევაში ამუშავდა მრავალგზის ნაცადი საბჭოთა რეპრესიული მანქანა, რომელსაც შედეგად მოჰყვა 1989 ნლის 9 აპრილის სისხლიანი ტრაგედია, სამაგიეროდ, მეორე შემთხვევაში თავი იჩინა შიდაპოლიტიკურმა დაპირისპირებამ და აშლილობამ, რომელიც 1991-1992 ნლების სახელმწიფო გადატრიალებით და სამოქალაქო ომით დამთავრდა. თუმცა გარეშე ძალას აქაც არ დაუკლია თავისი ხელი. საბოლოოდ, სახელმწიფო ხელისუფლება მოიშალა, ქვეყნის აღმშენებლობის საქმე შეფერხდა, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა დაირღვა. მიუხედავად ამისა, ქართველმა ერმა მაინც შეძლო ძალების მოკრება და ქვეყანა ძნელად, მაგრამ კვლავ დაადგა მშვიდობიანი განვითარების გზას.

ჩემს თაობას წილად ხვდა პატივი, ამ ისტორიული პროცესების უშუალო მონაწილე ყოფილიყო. ამ დროს ყველა ცდილობდა, მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება წარემართა ეროვნული საქმისაკენ, თავისი წვლილი შეეტანა ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებასა და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში. საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობა მართლაც რომ შესაშური იყო. მართალია, იმ პერიოდის საზოგადოებრივი მოვლენები, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური ბრძოლისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების ფორმით მიმდინარეობდა, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა შეიძინა ამ მოვლენების სახელმწიფო-სამართლებრივმა მხარემ. სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ იურიდიულად დასაბუთებული წინადადებები და მათი განხორციელების მოთხოვნა, რომელიც ეფუძნებოდა

სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს იდეას და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს, პოლიტიკური ბრძოლის ყველაზე ეფექტიანი საშუალება იყო. ამან კი ფართო ასპარეზი გაუხსნა სამართლისმცოდნეებს, რომლებსაც კომუნისტური რეჟიმი არ სნყალობდათ. არ სნყალობდათ იმიტომ, რომ ტოტალიტარულ სახელმწიფოში არც სამართალი აინტერესებს ხელისუფლებას და, ბუნებრივია, არც მისი მცოდნე. ასეთ დროს საზოგადოება და სახელმწიფო არა კანონებით, არამედ პოლიტიკური მიზანშეწონილობის პრინციპებით იმართება.

ჩემი თაობის იურისტებმა ახალი ეპოქის ეს გამონვევა მივიღეთ და, ვფიქრობ, ღირსეულადაც გავართვით თავი. ეს, უწინარესად, ქართული იურიდიული სკოლის დამსახურებაა.

წინამდებარე კრებულში, შეძლებისდაგვარად, თემატურად თავმოყრილია ჩემი თითქმის ყველა ის სტატია, ინტერვიუ თუ სხვა პუბლიცისტური ნაშრომი, რომლებიც პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნდა სწორედ იმ ნლებში, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ურთულესი საკითხები წყდებოდა. აქ შეხვდებით ზოგიერთ ისეთ მასალასაც, რომელიც, მართალია, უფრო ბიოგრაფიული ხასიათისაა, მაგრამ, ამასთან, ნათლად ნარმოაჩენს იმ პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სამართლებრივ მდგომარეობას, მაშინდელი მოვლენებისადმი ჩემს დამოკიდებულებას და ამიტომაც მიზანშეწონილად ჩავთვალე მათი კრებულში შეტანა.

ამ კრებულში მოთავსებული ყველაზე ადრინდელი წერილი სიკვდილით დასჯის პრობლემას ეხება. იგი 1979 წელს ჟურნალ „საბჭოთა სამართლის" მე-3 ნომერში დაიბეჭდა. იმ პერიოდში, კომუნისტური რეჟიმის დროს, შეუძლებელი თუ არა, უაღრესად ძნელი იყო სიკვდილით დასჯის შესახებ წერილის გამოქვეყნება და, მეტადრე, მისი გაუქმების საკითხის საჯაროდ გამოტანა. თუ ამ წერილმა თავის დროზე მზის სინათლე იხილა, ამაში დიდი წვლილი მიუძღვით პროფესორ თინათინ წერეთელს და ჟურნალ „საბჭოთა სამართლის" იმჟამინდელ რედაქტორს, ბატონ ოთარ კაციტაძეს, რომელთა გაბედულებას, პრინციპულობასა და ახალგაზრდობისადმი მხარდაჭერას ყოველთვის სიამოვნებით და მადლიერებით ვიხსენებ.

1979 წლიდან მოყოლებული, სიკვდილით დასჯის პრობლემისადმი ინტერესი არ გამნელებია და მას მრავალი წერილი მივუძღვენი ქართულ თუ უცხოურ ენებზე. მათი ნაწილი ამ კრებულის მეორე თავშია წარმოდგენილი.

უმთავრესი მიზანი, რომელიც მამოძრავებდა, იყო საზოგადოების და ხელისუფლების დარწმუნება იმაში, რომ სიკვდილით დასჯა თავისი ბუნებით არ არის სასჯელი, ვერ ასრულებს სასჯელისათვის ჩვეულ ფუნ-

ქციებს და არავის, მათ შორის სახელმწიფოს, არა აქვს უფლება, სიცოცხლე მოუსპოს ადამიანს.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, იუსტიციის მინისტრად მუშაობის დროს, ჩემი ინიციატივით, საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 20 მარტს მიიღო კანონი, რომლითაც, საბჭოთა სივრცეში პირველად, სიკვდილით დასჯა გაუქმდა ქონებრივი ხასიათის დანაშაულებზე, კერძოდ, ყალბი ფულის დამზადებაზე ან გასაღებაზე, სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევაზე, სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებასა და ქრთამის აღებაზე.

ეს იყო პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი სიკვდილით დასჯის გაუქმების გზაზე.

შემდეგ კი მოხდა ისე, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ ჩემი პირველი წერილის გამოქვეყნებიდან 18 წლისთავზე, 1997 წლის 11 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის სხდომაზე, საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნად მუშაობის დროს, მე დამეკისრა მოძხსენებლად გამოსვლა სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების კანონის პროექტის თაობაზე. საქართველოს პარლამენტმა იმ დღეს ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო, იმიტომ რომ სიკვდილით დასჯის გაუქმება, ჩემი ღრმა რწმენით, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ჰუმანური ტრადიციებისადმი დაბრუნებას ნიშნავდა. XII საუკუნეში თამარ მეფის დროს და საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციით, სიკვდილით დასჯა ხომ გაუქმებული იყო.

გასული საუკუნის 80-იანი წლების შუახანებში, ე. ნ. „პერესტროიკის", ანუ გარდაქმნის პერიოდში, საბჭოთა ხელმძღვანელობამ ძოინდომა სსრ კავშირის მოდერნიზება განახლებული ფედერაციის სახით. ამასთანავე, თადარიგი დაიჭირა და მოკავშირე რესპუბლიკებს, მათ შორის საქართველოს, რომ არ ესარგებლათ სსრ კავშირის შემადგენლობიდან გასვლის კონსტიტუციით დეკლარირებული უფლებით, გადაწყვიტა ამ უთუო უფლების შეზღუდვა სსრ კავშირის კონსტიტუციაში სათანადო ცვლილების შეტანის გზით. კომუნისტური რეჟიმის დროს პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულ პირდაპირ პროტესტს, რა თქმა უნდა, არავინ დაბეჭდავდა. ამიტომ ხერხს მივმართეთ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა თამაზ შავგულიძემ, ამავე დაწესებულების გაბ-ყოფილების გამგემ იაკობ ფუტკარაძემ და მე შეეადგინეთ ერთობლივი წერილი, რომელშიც დავასაბუთეთ, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციაში ცვლილებების პროექტით გათვალისწინებული საკანონმდებლო სიახლე არა მარტო არსებითად ხელყოფდა მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტს, არამედ იგი გადახვევა იყო ლენინური ეროვნული პოლიტიკის

ფუძემდებლური პრინციპებიდან, რომელსაც ეფუძნებოდა „საბჭოთა ხალხის დიადი კავშირი". იქვე მოვიყვანეთ ლენინის სიტყვები საბჭოთა კავშირის შექმნასთან დაკავშირებით: „ჩვენ გვინდა თავისუფალი გაერთიანება და ამიტომ მოვალენი ვართ, ვცნოთ გამოყოფის თავისუფლება (თავისუფალი გამოყოფის გარეშე თავისუფალს ვერ ვუწოდებთ შეერთებას)". პარადოქსი აქ ის იყო, რომ საქართველოს, როგორც მოკავშირე რესპუბლიკის, სუვერენული უფლებების დასაცავად ლენინის ნააზრევს ვიშველიებდით და საბჭოთა ხელმძღვანელობას მოვუწოდებდით, არ დაეშვა ლენინური პრინციპებიდან გადახვევა. ამ წერილის დაბეჭდვა არ გაგვძნელებია, რადგან სათაურიც შესაფერისი მოვუძებნეთ: „შევინარჩუნოთ მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის უზრუნველყოფის ლენინური პრინციპები". ეს წერილი გაზეთმა „კომუნისტმა" დასტამბა.

სსრ კავშირიდან საქართველოს გასვლისა და საბჭოთა არმიის აგრესიის შედეგად დაკარგული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეა განსაკუთრებით აქტუალური გახდა გასული საუკუნის 80-იანი წლების მინურულს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის კვალობაზე. სსრ კავშირიდან საქართველოს გასვლასა და ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნას საბჭოთა ხელისუფლებამ, სამართლებრივი არგუმენტების უქონლობის გამო, შიშველი ძალა დაუპირისპირა და 1989 წლის 9 აპრილს, გამთენიისას, თბილისში, სამხედრო ძალის გამოყენებით, დაარბია მთავრობის სახლის წინ მიმდინარე მრავალათასიანი მშვიდობიანი მიტინგი, რასაც მრავალი ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა. ხელისუფლებამ, თავის გასამართლებლად, სახელდახელოდ სამთავრობო კომისია შექმნა და მოინდომა თავისივე ნამოქმედარის გამოძიება.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის 38-მა თანამშრომელმა სასწრაფოდ შევადგინეთ და პრესაში გამოვაქვეყნეთ წერილი, რომელშიც სამთავრობო კომისიის ნაცვლად მოვითხოვეთ საქართველოს სსრ კონსტიტუციით გათვალისწინებული სპეციალური საგამოძიებო კომისიის შექმნა. მასში უნდა შესულიყვნენ როგორც დეპუტატები, ისე საზოგადოების კომპეტენტური წარმომადგენლები. ეს მოთხოვნა დავასაბუთეთ იმით, რომ „არავინ შეიძლება იყოს საკუთარ ქმედებათა პირუთვნელი შემფასებელი და მსაჯული". ხელისუფლება იძულებული გახდა, შეექმნა 9 აპრილის ტრაგედიის სპეციალური საგამოძიებო კომისია, რომლის საქმიანობაშიც ჩვენი სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომლებმა აქტიური მონაწილეობა მივიღეთ.

პირადად მე, 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებული ორი საკითხი გამოვიკვლიე, სახელდობრ, 9 აპრილს თბილისში მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილების მიღების კანონიერება და 9 აპრილს თბილისში კომენდანტის საათის შემოღების კანონიერება. გამოძიების შედეგების მიხედვით შედგენილი ორივე დასკვნა შეტანილია წინამდებარე კრებულში.

თბილისში კომენდანტის საათის შემოღების კანონიერების შესასწავლად თითქმის ყველა მასალა და დოკუმენტი მოვიძიეთ. საგამოძიებო დასკვნის მიხედვით, ხელისუფლების გადამეტებისათვის, რასაც მძიმე შედეგები მოჰყვა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდათ საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს, აგრეთვე გენერალ როდიონოვს. მათ, იმჟამად მოქმედი კანონმდებლობით, კომენდანტის საათის შემოღების უფლებამოსილება არ ჰქონდათ.

რაც შეეხება მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილების მიღების კანონიერების საკითხს, აქ მდგომარეობა უფრო რთული შეიქმნა. რესპუბლიკურ დონეზე თითქმის ყველა მასალა მოვიპოვეთ დასკვნის შესადგენად, მაგრამ ღიად რჩებოდა საკითხი, თუ ვინ გასცა ბრძანება მიტინგის აღსაკვეთად სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ. ამ კითხვაზე პასუხს ელოდა ყველა, მთელი საზოგადოება. ეს რომ საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელისუფლებიდან მოდიოდა, ცხადი იყო, მაგრამ საამისოდ პირდაპირი მტკიცებულებები არ გაგვაჩნდა. საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს მაშინ ვინ დაგვაკითხვინებდა, არც საკავშირო ხელისუფლების მიერ მიღებულ დოკუმენტებს გაგვაცნობდა ვინმე. ამიტომ გადავწყვიტე, წინასწარი დასკვნა გამომექვეყნებინა იმ სახით, როგორც ეს ამ კრებულშია მოთავსებული. ამ დასკვნით, მიტინგის აღსაკვეთად სამხედრო ძალების გამოყენების გადაწყვეტილების მიღებაში მთელი პასუხისმგებლობა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, ამიერკავკასიის ჯარების სარდალ როდიონოვსა და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილე კოჩეტოვს ეკისრებოდათ. მათზე მტკიცებულებები საქმეში საკმაო იყო. დასკვნას კრიტიკულად შეხვდნენ და რესპუბლიკურ პრესაში მე კონფორმიზმში დამადანაშაულეს. საპასუხოდ გამოვაქვეყნე წერილი „არც შეცდომა და არც კონფორმიზმი“, რომელშიც აღვნიშნავდი, რომ ჩვენ კონფორმისტები კი არა, იურისტები ვართ და, როდესაც სათანადო მტკიცებულებებს მოვიპოვებთ, არავის მოვერიდებით, ყველას - თუნდაც უმაღლესი თანამდებობის პირების – ბრალი 9 აპრილის ტრაგედიაში სათანადოდ დადგენილი და შეფასებული იქნება. ეს პასუხი იმდენად პრეტენზიული იყო, რომ მან გარკვეული მოლოდინი გააჩინა. საბოლოო დასკვნისათვის რაღაც უნდა გველონა. შემთხვევამაც არ დააყოვნა.

1989 წლის ზაფხულში, მოსკოვში მივლინების დროს, როდესაც სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით შექმნილ საგამოძიებო კომისიაზე (საკავშირო კომისიაზე, ანუ ე.წ. სობჩაკის კომისიაზე) ისმენდნენ საქართველოს კომისიის ინფორმაციას ჩვენ მიერ ჩატარებული გამოძიების შესახებ, საკავშირო კომისიის წევრმა ვილენ მარტიროსიანმა კონფიდენციალურად გადმომცა საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრე-

ბის 9 აპრილთან დაკავშირებულ საკითხებზე საკავშირო კომისიის მიერ წარმოებული დაკითხვის სტენოგრაფიული ოქმი. ამ ოქმზე დაყრდნობით, ჩვენმა კომისიამ საბოლოო დასკვნა საკავშირო კომისიაზე გაცილებით ადრე გამოაქვეყნა და მასში უკვე ძირითად კითხვაზეც იყო გაცემული პასუხი. კერძოდ, დასკვნის თანახმად, გადაწყვეტილება საბჭოთა არმიის მონაწილეობით მიტინგის აღკვეთის შესახებ მიღებული იყო საქართველოს პარტიული და სახელმწიფო ორგანოების მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დასტურითა და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის დ. იაზოვის განკარგულებით.

ამით კონფორმისტობის ბრალდება კი მოვიცილე, მაგრამ, სამაგიეროდ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლიგაჩოვის რისხვა დავიმსახურეთ და ბატონი ელდარ შენგელაიაც მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენეთ. როგორც ჩანს, საკავშირო კომისიიდან სტენოგრაფიული ოქმის ჩვენთვის გადმოცემა ბატონ ე. შენგელაიას დაბრალდა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან საკავშირო კომისიის შემადგენლობაში საქართველოდან მხოლოდ ე. შენგელაია იყო შეყვანილი და მას, რა თქმა უნდა, ხელი მიუწვდებოდა ამ კონფიდენციალურ ინფორმაციაზე. მე მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ გავამჟღავნე ეს საიდუმლო ერთ-ერთ ინტერვიუში, რომელიც ამ კრებულის ბოლო თავშია მოთავსებული. მინდა აღვნიშნო, რომ ბატონმა ელდარ შენგელაიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა 9 აპრილის ტრაგედიის შესახებ სიმართლის დადგენასა და საკავშირო დონეზე მის დაცვაში. ასევე უაღრესად გაბედული და შთამბეჭდავი იყო აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის სიტყვა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე, რომელმაც ბევრი დააფიქრა მომხდარი ტრაგედიის ზნეობრივ და პოლიტიკურ ასპექტებზე.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე, რომელიც 1989 წლის მიწურულს გაიმართა, განიხილეს საკავშირო კომისიის დასკვნა. მე და ქალბატონი ლანა ღოღობერიძე ჩვენგან წარგზავნილ დეპუტატებს ვეხმარებოდით და მეორე ყრილობისადმი საქართველოდან არჩეული დეპუტატების მიმართვის ტექსტი შევადგინეთ, რომელიც დეპუტატ თემურ ჩხეიძეს უნდა წაეკითხა. ეს ტექსტი, ჟურნალისტ ლიუდმილა ესვანჯიას კომენტარებით, შეტანილია წინამდებარე კრებულში. ჩვენი განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია ყრილობაზე სსრ კავშირის მთავარი სამხედრო პროკურორის ა. კატუსევის მოხსენებამ, რომელიც ცინიზმით, სიცრუითა და სიყალბით იყო სავსე. პროკურორის მოხსენება ეყრდნობოდა სამხედრო პროკურატურის მიერ ჩატარებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების შედეგებს, რომელიც ოთხმოცდაათგვერდიანი მოხსენებითი ბარათის სახით იყო წარმოდგენილი. მასში აღნიშნული იყო, რომ „მართალია, მომწამლავი გაზი „სი-ესი" არ შედის შინაგანი ჯარების იმ სპეცსაშუალებების ნუსხაში, რომელიც დამტკიცებუ-

ლია ნორმატიული აქტით, მაგრამ 9 აპრილს მომიტინგეთა მიმართ მისი გამოყენების შედეგად, შესაძლებელი გახდა ხალხის აქტიური წინააღმდეგობის აღკვეთა და სამხედრო მოსამსახურეთა დამატებითი ტრავმების თავიდან აცილება. ამიტომ ეს ქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს და კანონის მოთხოვნათა მხოლოდ ფორმალური დარღვევაა". სამხედრო-სამართალდამცველი უწყების ეს ნააზრევი ზუსტად გამოხატავდა იმდროინდელი რეჟიმის იდეოლოგიურ სულისკვეთებას და ხელისუფლების წარმომადგენელთა მართლშეგნების დონეს. ამის უპასუხოდ დატოვება არ შეიძლებოდა. სამხედრო პროკურორის მოხსენებაზე, მართლაც სახელდახელოდ, იმავე საღამოს დავწერე საპასუხო წერილი, რომელიც სათაურით „სახელდახელო კომენტარი" მეორე დღესვე გამოქვეყნდა პრესაში. მასში ვწერდი: „მიტინგის აღკვეთის დროს თუ მთავარი ის იყო, რომ სამხედრო მოსამსახურეებს ტრავმები არ მიეღოთ და მიტინგიც წამიერად აღკვეთილიყო, მაშინ „სი-ესზე" გაცილებით უფრო ძლიერი ქიმიური საშუალებების გამოყენებაც მართლზომიერად უნდა ჩაითვალოს სამხედრო პროკურორის ლოგიკით".

საბოლოოდ, საღმა აზრმა გაიმარჯვა. მეორე ყრილობამ ძალადობა დაგმო. უპრეცედენტო რამ მოხდა, ძალადობას მიჩვეული ხელისუფლება ამჯერად იძულებული გახდა, საკუთარი ნამოქმედარი დაეგმო.

უმთავრესი დასკვნა კი, რომელიც, როგორც საქართველოს, ისე საკავშირო კომისიების მუშაობის შედეგად გაკეთდა, იმის გაცნობიერებაში მდგომარეობდა, რომ უკვე აღარ იყო ის დრო, როდესაც შეიძლებოდა საკუთარი ხალხის მიმართ ძალადობისა და რეპრესიების მიჩქმალვა (როგორც ეს ხდებოდა 1924, 1937 და 1956 წლებში) და ამავე მეთოდებით – დასჯითა და ეგზეკუციით იძულებელყოფა ხალხისა, ხელი აეღოთ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე. დადგა ის დრო, როდესაც აღარაფერი დარჩება დამალული, გამოუძიებელი, გამოუკვლეველი და ყოველი დანაშაული, რომელიც მიმართულია კაცობრიობის წინააღმდეგ, ხალხის, მსოფლიო საზოგადოებრიობის სამსჯავროზე იქნება გამოტანილი.

9 აპრილის ტრაგედიის პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასებით, ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ აშკარა უპირატესობა მოიპოვა საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაში. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ 9 აპრილის ტრაგედიამ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კი არ ჩაკლა და ჩააქრო, პირიქით, ახალი პოლიტიკური და ზნეობრივი მუხტი შესძინა მას. საჭირო იყო ამ უპირატესობის გამოყენება და, რაც მთავარია, სამართლებრივი გზებით.

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ნათელი გახდა, რომ მხოლოდ მიტინგებით, მანიფესტაციებითა და არსებულ ხელისუფლებაზე ზემოქმედების სხვა ფორმების გამოყენებით შეუძლებელი იქნებოდა ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვება. საჭირო იყო ხელისუფლებაში ეროვნული, პატრიო-

ტული ძალების მოსვლა და შემდეგ კი, სწორედ ხელისუფლების მეშვეობით, დამოუკიდებლობის საკითხის გადაწყვეტა. მშვიდობიანად ხელისუფლების შეცვლა შესაძლებელი იყო მხოლოდ მრავალპარტიული, თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების გზით.

ამ დროისათვის კი არც პოლიტიკური პარტიების სამართლებრივი მდგომარეობა იყო განსაზღვრული და, შესაბამისად, არც დემოკრატიული საარჩევნო კანონი არსებობდა. საბჭოური საარჩევნო კანონმდებლობა კომუნისტური პარტიის მონოპოლიურ მდგომარეობაზე, უფრო სწორად, ერთპარტიულ სისტემაზე იყო მორგებული. ამ უკეთური საკანონმდებლო პრაქტიკის დაძლევის გზების შესახებ რამდენიმე წერილი გამოვაქვეყნე 1990 წლის პირველ ნახევარში. ჩემი აზრით, უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო კონსტიტუციაში სათანადო ცვლილებების შეტანა, რათა საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში განსაზღვრულიყო პოლიტიკური პარტიების როლი და ადგილი. ამას შედეგად უნდა მოჰყოლოდა პოლიტიკური პლურალიზმის სამართლებრივ სინამდვილედ გადაქცევა და პოლიტიკური პარტიების ლეგალიზაცია. პოლიტიკური პარტიები (გარდა კომუნისტური პარტიისა) მაშინ არაფორმალურ ორგანიზაციებად იწოდებოდნენ საკანონმდებლო საფუძვლების არარსებობის გამო. საზღვარგარეთის დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, საზოგადოებას და ხელისუფლებას შევთავაზე პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონის ძირითადი დებულებები. უმთავრესი აქ ის იყო, რომ კანონმდებლობით, პოლიტიკური პარტიების როლი და ფუნქციები მჭიდროდ უნდა დაკავშირებოდა ხელისუფლების ორგანოთა არჩევნების პროცესს. სამაგიეროდ, ამ საქმეს უნდა ჩამოშორებოდნენ სხვა საზოგადოებრივი (არაპოლიტიკური) გაერთიანებები, რომლებითაც ხელისუფლება ოსტატურად მანიპულირებდა წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებისას. არჩევნები მკაცრად პარტიული ხასიათის უნდა ყოფილიყო. ასეთ პირობებში არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარება გამართლებული იქნებოდა, მაგრამ, რადგანაც იმ პერიოდში პოლიტიკური პარტიების უმეტესობა ორგანიზაციული ფორმირების საწყის სტადიაზე იმყოფებოდა, მიზანშეწონილად მიმაჩნდა, საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნების შერეული სისტემით (მაჟორიტარულით და პროპორციულით) ჩატარება. სხვათა შორის, შემდგომ საქართველოში უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს თითქმის ყველა არჩევნები ამ სისტემით ჩატარდა. ამასთანავე, დავასაბუთე ორი პრინციპული ხასიათის წინადადება, რომელთა გათვალისწინება მომავალ საკანონმდებლო აქტებში აუცილებლად მიმაჩნდა. პირველის თანახმად, რესპუბლიკის სუვერენიტეტის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, კანონით უნდა აკრძალულიყო საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი პარტიული ორგანიზაციების შექმნა და მოქმედება, რომლებიც რესპუბლიკის ფარგლებს

გარეთ არსებული პოლიტიკური პარტიების სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენდნენ. ცხადი იყო, ამის შემდეგ საქართველოს კომპარტია უნდა გამოსულიყო საბჭოთა კავშირის კომპარტიის შემადგენლობიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კანონგარეშედ გამოცხადდებოდა. მეორე წინადადება შეეხებოდა საყოველთაო საარჩევნო უფლების გარკვეულ შეზღუდვას. კერძოდ, კანონით, საქართველოს წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ უნდა ჰქონოდათ იმ პირებს, რომლებიც მსახურობდნენ საბჭოთა არმიაში, სსრ კავშირის შინაგან ჯარებში და სხვა სამხედრო ან გასამხედროებულ შენაერთებში. მათი პირადი შემადგენლობის რიცხოვნობა იმდენად დიდი იყო, რომ ცენტრს შეეძლო, მათი ხმების გამოყენებით, არსებითი გავლენა მოეხდინა არჩევნების შედეგებზე. ჩემი აზრით, ამ შეზღუდვის საფუძველი იყო ის გარემოება, რომ ეს ორგანიზაციები საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების იურისდიქციას არ ექვემდებარებოდნენ და, ამდენად, იქ მომუშავე პირებს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ფორმირებაში არ უნდა მიეღოთ მონაწილეობა.

ეს წინადადებები გათვალისწინებულ იქნა 1990 წლის 18 აგვისტოს მიღებულ საარჩევნო კანონში, რომლის შემუშავებაში მეც ვმონაწილეობდი. იმავე წლის აგვისტოში გაზეთ „ცხოვრება და კანონში" გამოქვეყნებულ წერილში „რას გვაძლევს ახალი კანონი" ვწერდი: „სწორედ ამ კანონის საფუძველზე არჩეულმა ხელისუფლების უზენაესმა ორგანომ უნდა გადაჭრას რესპუბლიკისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ის საკითხები, რომლებიც კარგა ხანია აღელვებს ქართველ ერს, რესპუბლიკის მთელ მოსახლეობას".

მართლაც, ამ კანონის საფუძველზე, 1990 წლის 28 ოქტომბერს, საბჭოთა სივრცეში პირველად, საქართველოში გაიმართა ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები. ქართველმა ხალხმა ამ არჩევნებში მხარი დაუჭირა იმ პოლიტიკურ ძალებს, რომელთა საპროგრამო ამოცანა იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. პოლიტიკურმა გაერთიანება „მრგვალმა მაგიდამ - თავისუფალმა საქართველომ" ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, არჩევნებში აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა.

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ჩამოყალიბებულ მთავრობაში საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის პოსტი დავიკავე. იუსტიციის სფეროში ორი პრიორიტეტული მიმართულება განვსაზღვრეთ: პირველი, სოციალისტური სამართლებრივი სისტემის ძირფესვიანი შეცვლა დემოკრატიული სამართლით, რაც გულისხმობდა მთელი საკანონმდებლო მასივის არსებით განახლებას და მეორე, სასამართლო რეფორმას, რომელიც მიზნად ისახავდა დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების ჩამოყალიბებას. უწინარეს ყოვლისა, აუცილებელი იყო

კონსტიტუციური რეფორმის ჩატარება. გარდამავალ პერიოდში ხელისუფლება შეუდგა, ერთი მხრივ, 1978 წლის საბჭოური კონსტიტუციის მოდერნიზებას, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს პირველი რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველზე ახალი ძირითადი კანონის მომზადებას. თუ პირველი, საბოლოო ანგარიშით, მაინც უიმედო საქმე იყო, მეორის გაკეთება ამ ხელისუფლებას აღარ დასცალდა. უფრო ნაყოფიერი გამოდგა მიმდინარე სამართალშემოქმედებითი საქმიანობა. ამ პერიოდში, მაგალითად, იუსტიციის სამინისტროში მომზადდა 161 ნორმატიული აქტი, მათ შორის 50 კანონპროექტი. მათმა დიდმა ნაწილმა დროის მოთხოვნებს გაუძლო და სიცოცხლისუნარიანი გამოდგა. საკმარისია გავიხსენოთ 1991 წელს მიღებული კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ," რომელიც 13 წელიწადი მოქმედებდა და სწორედ მის საფუძველზე ჩამოყალიბდა საქართველოში დამოუკიდებელი და თავისუფალი მასმედია. მე დარწმუნებული არა ვარ, რომ იგი 2004 წელს უფრო უკეთესი კანონით შეცვალეს.

1990 წლის მინურულსა და 1991 წლის დასაწყისში, იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით, მიღებულ იქნა საკანონმდებლო აქტების მთელი პაკეტი, რომელიც სრულიად ახლებურად განსაზღვრავდა საქართველოში სასამართლო წყობილების, მოსამართლეთა სტატუსისა და სასამართლო ხელისუფლების სხვა საკითხებს. ახალი კანონმდებლობით, საბჭოთა სივრცეში პირველად, მოსამართლეები თანამდებობაზე უნდა განწესებულიყვნენ 10 წლის ვადით, რაც იმას ნიშნავდა, რომ მოსამართლეები არ იქნებოდნენ დამოკიდებული ხელისუფლების მონაცვლეობაზე და, ამდენად, მათ დამოუკიდებლობას მყარი გარანტია ექნებოდა. ასევე, მოსამართლის გადაყვანა სხვა სამუშაოზე არ შეიძლებოდა მისი თანხმობის გარეშე. კანონი ზუსტად და ამომწურავად ჩამოთვლიდა მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებს. სასამართლო ხელისუფლების საკითხებს განიხილავდა მოსამართლეთა კონფერენცია, რომელიც მოსამართლეებისაგან ირჩევდა საკვალიფიკაციო კოლეგიას. სწორედ ამ კოლეგიას აბარებდა გამოცდას მოსამართლეობის კანდიდატი. მოსამართლის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების საკითხსაც ეს კოლეგია წყვეტდა. მოსამართლე თანამდებობაზე განწესებისას დებდა ფიცს. მისი შრომის ანაზღაურება გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მინისტრისა და დეპუტატისა.

უმთავრესი კი მაინც ის იყო, რომ ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტები ადგენდნენ საქართველოს სრულ სუვერენიტეტს მართლმსაჯულების განხორციელებაში. ახალი კანონმდებლობით, მართლმსაჯულება კონკრეტულ სისხლის სამართლის თუ სამოქალაქო საქმეებზე საქართველოში მთავრდებოდა და არ შეიძლებოდა საქართველოს სასამართლოების გადაწყვეტილებათა გადასინჯვა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს

მიერ. ამრიგად, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე საქართველომ სუვერენიტეტი მოიპოვა მართლმსაჯულების სფეროში. ამას, რასაკვირველია, მძაფრი კრიტიკა მოჰყვა მოსკოვიდან. გაზეთ „იზვესტიაში" გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც გამოთქმული იყო მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოში მიღებული საკანონმდებლო აქტებით, მოქალაქეს წაართვეს შესაძლებლობა, თავისი უფლებები დაიცვას რესპუბლიკის გარეთ კიდევ ერთ ინსტანციაში - სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში. მიუხედავად წინააღმდეგობებისა, სასამართლო რეფორმა მაინც შედგა და მან გაუძლო სახელისუფლებო კრიზისებს. 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალებამ, სამოქალაქო ომმა, ქვეყანაში შექმნილმა ქაოსმა და ანარქიამ მოსამართლეთა შეუცვლელობისა და მართლმსაჯულების განხორციელების კანონით განმტკიცებულ ძირითად პრინციპებს, საბოლოო ანგარიშში, ვერაფერი დააკლო. ქვეყნისათვის ამ მძიმე პერიოდებში მართლმსაჯულება ძირითადად შეუფერხებლად ხორციელდებოდა.

საქართველოში გამართულმა არჩევნების შედეგებმა სსრ კავშირის ხელმძღვანელობა სერიოზულად დააფიქრა, მან რეალური საფრთხე იგრძნო და სასწრაფოდ აამოქმედა საქართველოზე ზემოქმედების ბერკეტები. აქცენტი ავტონომიებზე გაკეთდა. საქართველოს მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მცდელობის შემთხვევაში, ცენტრის მხარდაჭერით წაქეზებული ავტონომიებიც იგივე გზას დაადგებოდნენ - გამოაცხადებდნენ დამოუკიდებლობას და საქართველოს შემადგენლობიდან გასვლას, რითაც დაირღვეოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. არჩევნების შემდეგ, ამ მხრივ, განსაკუთრებული აქტიურობა გამოიჩინეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სეპარატისტულმა ძალებმა. მათ მოახდინეს ადგილობრივი ხელისუფლების უზურპაცია, გამოაცხადეს ე.წ. სამხრეთ ოსეთის „საბჭოთა რესპუბლიკა", ჩაატარეს ე.წ. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს უკანონო არჩევნები. ავტონომიური ოლქი ფაქტობრივად გავიდა საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქციიდან.

საქართველოს საზოგადოებრიობა ეროვნული ხელისუფლებისაგან მოითხოვდა ადეკვატური ზომების გატარებას. ასეთ პირობებში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 11 დეკემბერს მიიღო კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ. ბოლშევიკების მიერ 1922 წელს ხელოვნურად შექმნილი ამ ავტონომიური წარმონაქმნის გაუქმება ისტორიული სამართლიანობის აღდგენად იქნა შეფასებული. ასეთი პასუხი გავეცი მეც ხელისუფლების ამ გადაწყვეტილების ოპონენტებს წერილში „ობიექტურად შევაფასოთ მოვლენები", რომელიც 1990 წლის 20 დეკემბერს გამოქვეყნდა პრესაში. ჩემი შეხედულება ამ საკითხზე ემყარებოდა იმ პრინციპს, რომ ეროვნულ უმცირესო-

ბებს, რომლებიც ამა თუ იმ სახელმწიფოში კომპაქტურად ცხოვრობენ, მხოლოდ მაშინ შეიძლება მიეცეთ პოლიტიკური ავტონომიის შექმნის შესაძლებლობა, თუ მათ სხვაგან არანაირი ფორმით არ გააჩნიათ ისტორიული სახელმწიფოებრიობა. ამ პრინციპის ვერც ერთ მოთხოვნას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის არსებობა ვერ აკმაყოფილებდა. ოს ერს თავის ისტორიულ მიწა-წყალზე, რომელიც იმჟამად (და ამჟამადაც) რუსეთის ფედერაციაში შედიოდა, გააჩნდა პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი ავტონომია ავტონომიური რესპუბლიკის სახით, ამასთანავე, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უფრო მეტი ოსი ეროვნების მოქალაქე ცხოვრობდა, ვიდრე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფარგლებში და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მათ შეიარაღებული გზით ხელყვეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური ავტონომიის გაუქმებასთან ერთად ხელისუფლებას უნდა ეზრუნა საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისათვის (მათ შორის, რასაკვირველია, ოსებისათვისაც) კულტურული ავტონომიის უფლების საკანონმდებლო აქტით მინიჭებისათვის, რაც გულისხმობს ეთნიკურ ჯგუფთა საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნის შესაძლებლობას, მათი თვითმყოფადობის შენარჩუნების, ენის, განათლების, ეროვნული კულტურის განვითარების საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტის მიზნით. სამწუხაროდ, იმჟამინდელმა ხელისუფლებამ ამის გაკეთება ვერ შეძლო. თუმცა ეროვნულ უმცირესობათა შესახებ კანონის მიღების, უფრო მეტიც, ამ სფეროში მოქმედ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან საქართველოს შეერთების ნება შემდეგ მოსულმა ხელისუფლებებმაც ვერ გამოავლინეს.

ასეთი შეცდომების და, განსაკუთრებით, გარე ძალების მტრული მოქმედების შედეგად, ცხინვალის რეგიონში გაჩნდა ეთნიკური კონფლიქტის კერა, რომელმაც მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა ახალ ხელისუფლებას.

1989-1990 წლებში განსაკუთრებული ყურადღება დავუთმე უშუალო დემოკრატიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის - რეფერენდუმის საკითხს. მე ამ ინსტიტუტზე მაშინ სრულიად შეგნებულად გავამახვილე ყურადღება, რადგანაც მიმაჩნდა, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობის საკითხი არა მხოლოდ დეკლარაციით (როგორც ეს ჩვენმა წინაპრებმა გააკეთეს 1918 წელს), არამედ უშუალოდ ხალხის მიერ საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით - რეფერენდუმით უნდა გადაწყვეტილიყო. რეფერენდუმით მიღებულ გადაწყვეტილებას განსაკუთრებული იურიდიული ძალა ექნებოდა და მისი გაუთვალისწინებლობა, ვისგანაც უნდა ყოფილიყო იგი, ხალხის ნების იგნორირებად აღიქმებოდა.

1990 წელსვე გამოვაქვეყნე წერილი „რეფერენდუმი", რომელშიც დავასაბუთე რეფერენდუმის შესახებ სპეციალური კანონის მიღების

აუცილებლობა საქართველოს სსრ კონსტიტუციით გათვალისწინებული უშუალო დემოკრატიის ამ ინსტიტუტის ასამოქმედებლად. ჩემი აზრით, რეფერენდუმი უნდა ჩატარებულიყო როგორც ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს, ასევე ამომრჩეველთა გარკვეული ჯგუფის ინიციატივით, ქვეყნის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასაწყვეტად. ამასთანავე, რეფერენდუმის შედეგებს იურიდიული ძალა უნდა ჰქონოდა და საკითხი საბოლოოდ გადაეწყვიტა. რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა შესაძლებელი უნდა ყოფილიყო მხოლოდ რეფერენდუმით. აქვე მივუთითე, რომ რეფერენდუმის გამოყენებით, ხალხს არაერთხელ მიუღწევია წარმატებისათვის. მაგალითად, 1905 წელს ნორვეგიამ სწორედ რეფერენდუმის გზით მოახერხა შვეციისაგან გამოყოფა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება.

მართლაც, ამ წერილის გამოქვეყნებიდან ერთი წელიც არ იყო გასული, როდესაც რეფერენდუმის საკითხი უაღრესად აქტუალური გახდა როგორც მთელ საბჭოეთში, ისე ეროვნული ხელისუფლებისათვის საქართველოში. საბჭოთა კავშირის იმჟამინდელმა ხელმძღვანელობამ სსრ კავშირის ისტორიაში პირველად (და ეს უკანასკნელიც გამოდგა), გადაწყვიტა რეფერენდუმის ჩატარება 1991 წლის 17 მარტს „საბჭოთა კავშირის როგორც განახლებული ფედერაციის" შენარჩუნების საკითხზე. ხალხის ნების აპელირებით ხელისუფლება ცდილობდა, შეეჩერებინა საბჭოთა იმპერიის რღვევის პროცესი.

საქართველოს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ, ზვიად გამსახურდიას მეთაურობით, მიიღო, ჩემი აზრით, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, სახელდობრ, საქართველოს არ უნდა მიეღო მონაწილეობა საკავშირო რეფერენდუმში და, ამასთანავე, 1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარებულიყო რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე. ერთი სიტყვით, რეფერენდუმს რეფერენდუმითვე უნდა დავპირისპირებოდით. ეს სამართლებრივი ბრძოლის იშვიათი მაგალითი იყო. თუმცა ამისათვის, სულ ცოტა, საჭირო იყო რეფერენდუმის შესახებ კანონის მიღება. ამ კანონის შესამუშავებლად კი, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, თეორიული საფუძვლები უკვე გარკვეული გვქონდა. ამიტომ მისი მიღება, რომელიც 1991 წლის 20 იანვარს მოხდა, არ გაგვძნელებია და 1991 წლის 31 მარტს დანიშნული რეფერენდუმისათვის სამართლებრივი საფუძვლები უკვე გაგვაჩნდა.

საქართველომ საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიიღო, სამაგიეროდ, 1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარებული რეფერენდუმით, საარჩევნო უფლების მქონე მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ, 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძ-

ველზე, ხმა მისცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

ახლა უკვე საჭირო იყო რეფერენდუმის შედეგებში გამოვლენილი ხალხის ნება სათანადო სამართლებრივ ფორმაში გამოგვეხატა. ზვიად გამსახურდიას დავალებით შევუდექით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის პროექტის შედგენას. რა თქმა უნდა, როგორც პოლიტიკურად, ისე სამართლებრივად, ამ პროექტის შედგენისას ჩვენი მზერა საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტისაკენ იყო მიპყრობილი, თუმცა მისი მიღებიდან უკვე საკმაო დრო იყო გასული, რეალობებიც შეცვლილი იყო მსოფლიოში და ამასთან, ზვიად გამსახურდიასაც ჰქონდა გარკვეული შენიშვნები მის მიმართ. კერძოდ, იგი, ჩემი აზრით, სრულიად სამართლიანად, გამოთქვამდა გულისწყრომას დამოუკიდებლობის აქტის იმ ნაწილის მიმართ, რომელშიც პირდაპირ ნათქვამია, რომ „მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროვებული საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს...“ ასევე არ მოსწონდა ისიც, რომ დამოუკიდებლობის აქტის გაცნობისას იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს საქართველო იმ დროს არსებული საერთაშორისო მდგომარეობის გამო, იძულებული იყო, გამოეცხადებინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. რასაკვირველია, ეს გარემოებები სრულებითაც არ აკნინებდა ამ აქტის უდიდეს პოლიტიკურ და სამართლებრივ მნიშვნელობას და მისი გათვალისწინება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის შემუშავებისას აუცილებელი იყო. როდესაც დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის პროექტი წარვუდგინე ზვიად გამსახურდიას, მან თავისი ხელით რამდენიმე არსებითი ცვლილება და დამატება შეიტანა მასში.

მაგალითად, პროექტში ეწერა, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოებრიობა დაკარგულ იქნა გარეშე ძალის ჩარევით. ზვიად გამსახურდიამ ამის ნაცვლად ჩაწერა: საქართველოს სახელმწიფოებრიობა ქართველმა ერმა მე-19 საუკუნის დასაწყისში დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად.

პროექტში მითითებული იყო, რომ „საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით...“ ზვიად გამსახურდიამ ამ აბზაცს ასეთი დამატება წაუმძღვარა: „საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიობა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიულ მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია“.

ზვიად გამსახურდიამ კიდევ ორი მნიშვნელოვანი დამატება შეიტანა პროექტში. ერთი ეხებოდა ავტონომიებს, ხოლო მეორე საქართველოს საგარეო პოლიტიკას. პირველი დამატება ასეთი შინაარსის გახლდათ: „საქართველოს რესპუბლიკა ავტონომიის მტკიცე კონსტიტუციურ გარანტიას აძლევს აფხაზ ხალხს, ხოლო აჭარის ავტონომიის საკითხი გადაწყდება რეფერენდუმით". მეორე დამატების თანახმად, სახელმწიფოთა შორის ყოველგვარ სამხედრო კონფლიქტებში საქართველო ნეიტრალურ სახელმწიფოდ უნდა დარჩენილიყო. მე ჩემი მოსაზრებები მოვახსენე ზვიად გამსახურდიას ამ ორი დამატების თაობაზე. ჩემი აზრით, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში ავტონომიის შესაძლო გაუქმების შესახებ თუნდაც მინიშნება, არ იქნებოდა მიზანშეწონილი, მეტადრე იმ პირობებში, როდესაც ერთი ავტონომია, სახელდობრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი უკვე გაუქმებული იყო ამ ხელისუფლების მიერ და იქ წარმოშობილი კონფლიქტი კვლავაც გრძელდებოდა. რაც შეეხება ნეიტრალიტეტს, მართალია, ეს იდეა მომხიბვლელად გამოიყურებოდა, თანაც 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის დებულებას იმეორებდა, მაგრამ მიმაჩნდა, რომ იმ დროს, როდესაც ქვეყანას ჯერ კიდევ არ გააჩნდა საკუთარი ეროვნული შეიარაღებული ძალები, თავდაცვის ეფექტური საშუალებები, ნეიტრალურად ყოფნა, რბილად რომ ვთქვათ, სახიფათო იყო. საბჭოთა იმპერიისაგან თავის დახსნა და შესაძლო აგრესიის არდაშვება, მით უმეტეს, მოგერიება, ძლიერი მოკავშირეების გარეშე უიმედო საქმედ მეჩვენებოდა.

საბოლოოდ, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის პროექტი ამ ორი დამატების გარეშე შევიმუშავეთ, ხოლო მისი მიღების დღედ 1991 წლის 9 აპრილი განისაზღვრა. 1991 წლის 9 აპრილს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეულმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, რომელიც ეყრდნობოდა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის - ზვიად გამსახურდიას წინადადებით, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი მიიღო. ჩემთვის განსაკუთრებული პატივია, რომ ამ აქტზე ჩემი ხელმოწერაცაა.

ამრიგად, ყოფილ საბჭოეთში საქართველო აღმოჩნდა ის ქვეყანა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა მიიღო დარტყმა საბჭოთა იმპერიული მანქანისაგან, მსხვერპლი გაიღო ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნისათვის და ერთ-ერთმა პირველმა მოიპოვა დამოუკიდებლობა, რითაც დაჩქარდა საბჭოთა კავშირის, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტისა და გეოპოლიტიკური რეალობის რღვევის პროცესი.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ აუცილებელი გახდა სახელმწიფო ხელისუფლების რეფორმირება.

1978 წლის საქართველოს კონსტიტუციის მოდერნიზებით ქვეყნის მმართველობა საპარლამენტო რესპუბლიკის ფორმით ჩამოყალიბდა, ოღონდ პრეზიდენტის ინსტიტუტის გარეშე, ანუ, დაახლოებით ისეთი სახით, როგორც ეს საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით იყო განსაზღვრული. ამ მოდელის უდავოდ ნაკლოვანი მხარე მდგომარეობდა იმაში, რომ სახელმწიფოს არ ჰყავდა მეთაური. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია ამ ხარვეზს მთავრობის თავმჯდომარის, ხოლო 1978 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქცია უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის გაზრდილი უფლებამოსილებებით ავსებდა. მაგრამ საბოლოო ანგარიშში, ეს ინსტიტუტები სახელმწიფოს მეთაურის მხოლოდ სუროგატს წარმოადგენდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ ასეთ შემთხვევებში ხელისუფლების დანაწილების, ხელისუფლების შტოთა ურთიერთკონტროლისა და გაწონასწორების ეფექტიანი სისტემის არარსებობაზე.

საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების შესახებ კანონპროექტის მომზადება და უზენაესი საბჭოს სხდომაზე გატანა დამევალა მე, როგორც იუსტიციის მინისტრს. ჩვენი ყურადღება მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელზე შეჩერდა. ამ თვალსაზრისით, საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა საფრანგეთში ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკის არსებობის პრაქტიკა. ამ არჩევანის სასარგებლოდ საფუძვლიანი არგუმენტები გაგვაჩნდა. მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო მოდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო რესპუბლიკებისათვის დამახასიათებელი მექანიზმების ერთგვარ სიმბიოზს წარმოადგენს, ამიტომ წმინდა საპარლამენტო რესპუბლიკიდან არ მოგვიხდებოდა გადასვლა წმინდა საპრეზიდენტო რესპუბლიკაზე. ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკის დროს, მართალია, პრეზიდენტის ინსტიტუტი საკმაოდ ძლიერია, მაგრამ, ამასთანავე არსებობს ძლიერი მთავრობის მეთაურიც. მთლიანად მთავრობა უნდა სარგებლობდეს პარლამენტის ნდობით. პრეზიდენტის მიერ პარლამენტისა და მთავრობის დათხოვნის შესაძლებლობა უაღრესად მოქნილს ხდის ამ მოდელს, რაც პოლიტიკური კრიზისების დაძლევის ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს.

საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუციური გამოცდილების გათვალისწინებით, მოვამზადე კანონპროექტი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის დაწესების შესახებ და წარვუდგინე უზენაეს საბჭოს. ქვეყნის საკანონმდებლო ორგანომ 1991 წლის 14 აპრილს მიიღო ეს კანონი, რომლის საფუძველზე, იმავე წლის 26 მაისს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ზვიად გამსახურდიამ და გახდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ მოვლენიდან 13 წლის შემდეგ, კერძოდ, 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად, საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან კვლავ დაუბრუნდა მმართვე-

ლობის ნახევრად საპრეზიდენტო მოდელს, რაც, ჩემი აზრით, იმის მიმანიშნებელია, რომ საქართველოს პოლიტიკური წყობილებისათვის უფრო მორგებულია მმართველობის ეს ფორმა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საქვეყნოდ გამოცხადების შემდეგ ვფიქრობდით, რომ მას დაუყოვნებლივ მოჰყვებოდა დასავლეთის სახელმწიფოებისაგან საქართველოს საერთაშორისო-სამართლებრივი ცნობა. ამას ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც იგი მსოფლიოს ქვეყნებისაგან პირდაპირი მხარდაჭერის გამოხატულება იქნებოდა საქართველოსადმი, რომელმაც თავი დააღწია საბჭოთა იმპერიის მარწუხებს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ისტორია განმეორდა. საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის საერთაშორისო-სამართლებრივი ცნობის პროცესი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921წ. წ.) ცნობის მსგავსად წარიმართა. მაშინ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოფიციალური ცნობა უცხო ქვეყნებისაგან მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც დაიდო რუსეთ-საქართველოს 1920 წლის მაისის ხელშეკრულება, რომლითაც საბჭოთა რუსეთი ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას. ახლაც დასავლეთის სახელმწიფოები ყურადღებით აკვირდებოდნენ საბჭოთა კავშირში მიმდინარე რღვევის პროცესებს და სანამ იგი რეალური ფაქტის სახეს არ მიიღებდა, თავს იკავებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის ოფიციალური ცნობისაგან. თუმცა გამონაკლისი შემთხვევაც იყო.

1991 წლის აგვისტოში საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი და მე მოსკოვში მრავალ უცხო ქვეყნის ელჩს შევხვდით და ვცდილობდით მათ დარწმუნებას საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა-აღიარების დაჩქარების აუცილებლობაში. ზოგმა ცივად გამოგვისტუმრა, ზოგმაც დაპირებით. საერთო მდგომარეობა უიმედო ჩანდა. დაგვრჩა მხოლოდ რუმინეთის ელჩთან შეხვედრა. მან შემოგვთავაზა მოსკოვში საქართველოს წარმომადგენლობაში შეხვედრა. ჩვენ მას წარმომადგენლობის შენობის წინ დავხვდით. მანქანიდან გადმოსვლისთანავე ელჩმა გადმოგვცა დოკუმენტი და გვაცნობა, რომ რუმინეთის მთავრობამ საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად ცნო. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ასე გავხდით საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი ცნობის ფაქტის მოწმენი და მონაწილენი. საქართველო შეუდგა მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მოპოვებას.

1991 წლის მეორე ნახევარში ქვეყანაში სერიოზულად დაიძაბა პოლიტიკური მდგომარეობა. პოლიტიკურ ძალთა შორის დაპირისპირების მარცვალი ჯერ კიდევ 1990 წლის 28 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე იყო ჩადებული, როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძ-

რაობაში გამოვლინდა უთანხმოება ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების გზებსა და პირობებზე. ამ ნიადაგზე პოლიტიკური ორგანიზაციების ნაწილმა, რომელიც ეროვნულ კონგრესში გაერთიანდა, მონაწილეობა არ მიიღო 1990 წლის არჩევნებში და არასაპარლამენტო ოპოზიციის ადგილი დაიკავა. განხეთქილება მოხდა თვით საპარლამენტო უმრავლესობაშიც. ამას დაემთხვა სამთავრობო კრიზისი და სამხედრო ძალებში დაუმორჩილებლობის ფაქტები. პოლიტიკური ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა 1991 წლის 19 აგვისტოს მოსკოვში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისა და 2 სექტემბერს თბილისში რუსთაველის მოედანზე ოპოზიციის მიტინგის აღკვეთის შემდეგ. ოპოზიციური პოლიტიკური ძალები უკვე მოითხოვდნენ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას, პრეზიდენტის უფლებამოსილებების შეზღუდვას, ადამიანის უფლებათა დაცვისა და დემოკრატიული ინსტიტუტების კონსტიტუციური გარანტიების გაძლიერებას. საქართველოში შექმნილი პოლიტიკური კრიზისი თანდათან უახლოვდებოდა იმ საშიშ ნიშნულს, როდესაც მწვავე პოლიტიკური დაპირისპირება შეიძლება შეიარაღებულ კონფლიქტში გადაზრდილიყო. სამოქალაქო ომის საფრთხე რეალური გახდა.

ადამიანის უფლებათა იმჟამად მოქმედი კონსტიტუციური ნორმები, რა თქმა უნდა, არსებით სრულყოფას საჭიროებდა. მართალია, ამ პრობლემის სრულად გადაჭრა ახალი კონსტიტუციის შემუშავებისას იყო ნაგულისხმევი, მაგრამ ამ სფეროში საკანონმდებლო ხარვეზები სულ უფრო მოუთმენელი ხდებოდა. ადამიანის უფლებათა შესახებ საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი თავის გადამუშავება მოკლე ვადაში ვერ მოხერხდებოდა. ამიტომ ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზის შესავსებად, საქართველოს უზენაეს საბჭოს შევთავაზე საქართველოს კონსტიტუციაში ერთი ზოგადი ნორმის დამატება, რომელიც, ჩემი აზრით, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მნიშვნელოვანი კოსტიტუციური გარანტი უნდა გამხდარიყო. უზენაესმა საბჭომ გაიზიარა ეს წინადადება და საქართველოს კონსტიტუციას დაემატა 37[1] მუხლი, რომლის თანახმადაც, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ საერთაშორისო სამართლის ნორმები საქართველოს ნაციონალური სამართლის შემადგენელ ნაწილად ცხადდებოდა. მათ ენიჭებოდათ უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ აქტებთან მიმართებით და უშუალოდ მოქმედებდნენ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ამასთანავე, ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები უზრუნველყოფილი ხდებოდა სასამართლო დაცვით.

ეს საკანონმდებლო ნოვაცია, თავისთავად, ადამიანის უფლებათა დაცვის მნიშვნელოვან სამართლებრივ გარანტიას წარმოადგენდა, მაგრამ, ამასთანავე, იგი იმითაც იყო ყურადსაღები, რომ იმ გართულებულ პოლიტიკურ სიტუაციაში ეს კანონპროექტი გახდა ის იშვიათი გამონაკ-

ლისი, როდესაც მისი მიღებისას უმრავლესობაც და ოპოზიციაც ერთსულოვანი იყვნენ. თუმცა პოლიტიკური დაპირისპირება უკვე ისეთ ფაზაში იყო შესული, რომ ასეთი მცდელობები ოდნავადაც ვეღარ ახდენდნენ გავლენას დაძაბული სიტუაციის განსამუხტავად.

ჩემი აზრით, ხელისუფლების მხრიდან საჭირო იყო მკვეთრი და თამამი ნაბიჯების გადადგმა ოპოზიციის იმ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, რომლებიც გარდატეხას შეიტანდნენ პოლიტიკურ დაპირისპირებაში. ამ მიზნით, შევიმუშავე საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის ნორმალიზაციის ღონისძიებათა გეგმა და უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს აკაკი ასათიანს წარვუდგინე უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმზე განსახილველად. ამ დოკუმენტში (რომელიც წინამდებარე კრებულშია შეტანილი) აღვნიშნავდი, რომ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის ნორმალიზაციის ყველა საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო მხოლოდ სამართლებრივი გზით ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში. კატეგორიულად დაუშვებლად ვთვლიდი ძალის გამოყენებას პოლიტიკური საკითხების გადასაწყვეტად. ამასთანავე, განვსაზღვრე ის საკითხები, რომლებიც უნდა განხილულიყო უზენაესი საბჭოს სესიაზე, მათ შორის გათვალისწინებული იყო საარჩევნო კანონში ცვლილებების შეტანა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების თარიღის დანიშვნაც. მანამდე კი საჭიროდ მიმაჩნდა დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებს შორის მორატორიუმის, დროებითი დაზავების გამოცხადება, რათა დაძაბულობის შემდგომ ესკალაციას არ გამოეწვია შეიარაღებული კონფლიქტი და სამოქალაქო ომი.

ჩემი ღრმა რწმენით, ვადამდელი არჩევნები საშუალებას მისცემდა არასაპარლამენტო ოპოზიციას, წარმოდგენილი ყოფილიყო საკანონმდებლო ორგანოში და მონაწილეობა მიეღო სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტაში, რითაც ქუჩის დაპირისპირება საპარლამენტო დებატებით შეიცვლებოდა. ამასთანავე, თავად საპარლამენტო არჩევნების პროცესი სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქცევდა პოლიტიკური ბრძოლის ფორმებსა და საშუალებებს. უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1991 წლის 16 სექტემბერს განიხილა ჩემი წინადადებები და მოიწონა ისინი. განსაკუთრებული მხარდაჭერა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის აკაკი ასათიანისაგან მივიღე. როგორც შემდეგ შევიტყვე, იგი თავად ცდილობდა დაერწმუნებინა პრეზიდენტი და ქვეყნის სხვა პოლიტიკური ხელმძღვანელი ამ წინადადების სისწორესა და მიზანშეწონილობაში.

იმავე წლის 19 სექტემბერს, ჩემ მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა შესახებ, სიტყვით გამოვედი უზენაესი საბჭოს სხდომაზე, მაგრამ დეპუტატთა მხარდაჭერა ვერ მოვიპოვე. საქართველოს პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში პირდაპირ განაცხადა, რომ ძალზე მნიშვნელოვანია პარლამენტის შენარჩუნება, გაერთიანება და ერთობლივი ძალისხმევით საქარ-

თველოს ხსნა, მისი სრული დამოუკიდებლობის მიღწევა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება თავიდან ავიცილოთ სამოქალაქო ომი, დავამკვიდროთ სამოქალაქო მშვიდობა და თანხმობა რესპუბლიკაში.

დაპირისპირება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კიდევ უფრო გაძლიერდა. მე, აკაკი ასათიანმა, რესან კონცელიძემ და კახი ასათიანმა საქართველოს პრეზიდენტს შევთავაზეთ, გამოეცა ბრძანებულება, რომელიც უკან დახევის საშუალებას მისცემდა ოპოზიციურ ძალებს, კერძოდ, იარაღის ჩაბარების სანაცვლოდ, პრეზიდენტს უნდა მიეცა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული აქციების ორგანიზატორებისა და მონაწილეებისათვის მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების გარანტია. საქართველოს პრეზიდენტს წარვუდგინე ამ ბრძანებულების ტექსტი. 30 სექტემბერს მან მართლაც გამოსცა ბრძანებულება „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული აქციების მონაწილეთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ". ეს ბრძანებულება მე, რესან კონცელიძემ და კახი ასათიანმა პირადად გადავეცით თენგიზ კიტოვანს, რომელიც მაშინ გვარდიელებთან ერთად საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის შენობაში იყო გამაგრებული. თენგიზ კიტოვანზე ამ დოკუმენტს რაიმე შთაბეჭდილება არ მოუხდენია, თუმცა მან 3 ოქტომბერს დატოვა ტელევიზიის შენობა და თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაინაცვლა.

ამავე დროს, იუსტიციის სამინისტროში მოვიწვიე ხელისუფლებისა და ოპოზიციის ნდობით აღჭურვილი წარმომადგენლები და ორი დღის განმავლობაში ვცდილობდი მთავარ პოლიტიკურ საკითხებზე მათ შორის კომპრომისის მიღწევას. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, დაპირისპირებული მხარეების მორიგება და სამოქალაქო თანხმობის მიღწევა უკვე შეუძლებელი იყო. ამის შემდეგ ტელევიზიით გამოვედი და გავაკეთე განცხადება, რომელშიც აღვნიშნავდი, რომ ქვეყანაში არსებული მწვავე პოლიტიკური დაპირისპირება შესაძლებელია შეიარაღებულ შეტაკებაში და სამოქალაქო ომში გადაზრდილიყო. ჩვენ ყველაფერი უნდა გვეღონა, რათა არ დაგვეშვა კანონიერად არჩეული ხელისუფლების ძალის გამოყენებით შეცვლის პრეცედენტი, იგი დამღუპველ გავლენას მოახდენდა ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაზე.

სამწუხაროდ, 1991 წლის მიწურულს ქვეყანაში შექმნილი მწვავე პოლიტიკური კრიზისი შეიარაღებულ შეტაკებაში გადაიზარდა, რასაც მოჰყვა კანონიერად არჩეული ხელისუფლების ძალით დამხობა და სახელმწიფო გადატრიალება.

თავიდანვე იყო მცდელობა, რომ 1991-1992 წლების მიჯნაზე მომხდარი მოვლენები შეფასებულიყო როგორც „სახალხო-დემოკრატიული რევოლუცია". მე მაშინაც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ ეს იყო შეიარა-

ღებული აჯანყების გზით სახელმწიფო გადატრიალება. ხელისუფლებას არალეგიტიმური სამხედრო საბჭო დაეუფლა, რომელმაც შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება, დაითხოვა უზენაესი საბჭო და სახელმწიფო მართვის სტრუქტურები დაიქვემდებარა.

საზოგადოება მოიცვა ქაოსმა, ანარქიამ, განუკითხაობამ. სახელმწიფო გადატრიალებამ ბიძგი მისცა სამოქალაქო ომს. საქართველოში დაიწყო ქვეყნის ეკონომიკის გაჩანაგების, მოსახლეობის ცხოვრების დონის კატასტროფული დაცემის, კრიმინალური დაჯგუფებების თარეშის, ძმათამკვლელობის პერიოდი. სახელმწიფოებრივად არაორგანიზებული საზოგადოება სრულიად დეზინტეგრირებული აღმოჩნდა. ბევრისათვის მხოლოდ მაშინ გახდა საცნაური, თუ რას მოასნავებდა სახელმწიფო ხელისუფლების მოშლა, კანონის უზენაესობის არარსებობა და ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევები.

ასეთი მოვლენების შემდეგ ძალზე ადვილია თანამდებობიდან გადადგე, მაგრამ ძალზე ძნელია, დარჩე პოსტზე და ის საქმე აკეთო, რაც შენს ქვეყანასა და ხალხს სჭირდება, მით უმეტეს, იმ უმძიმეს პირობებში, რომელშიც ჩვენი ქვეყანა მაშინ აღმოჩნდა. მე მეორე გზა ავირჩიე და დღესაც მიმაჩნია, რომ არ შევმცდარვარ. მართალია, იმ ერთ წელინადში (1992 წლის იანვრიდან 1992 წლის დეკემბრამდე) ხელისუფლების მიერ დაშვებული მრავალი, მათ შორის, საბედისწერო შეცდომის თავიდან აცილება ვერ შევძელი, მაგრამ რამდენიმე სასარგებლო საქმის გაკეთება მაინც მოვახერხე. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება ეროვნული კანონმდებლობის შექმნისათვის ორგანიზაციულ საქმიანობას.

ჩემი ინიციატივით, მთავრობამ მიიღო დადგენილება კანონმდებლობის კოდიფიცირებულ დარგებში ახალი კოდექსების მომზადების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ. ამ კომისიას მე ჩავუდექი სათავეში და იუსტიციის სამინისტროსათვის ეს მიმართულება პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული. კომისიის შემადგენლობაში მოვიწვიე ქართული იურიდიული სამეცნიერო სკოლის წამყვანი სპეციალისტები როგორც მეცნიერებათა აკადემიიდან, ისე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ასევე გამოცდილი პრაქტიკოსი იურისტები. კომისიაში, კანონმდებლობის დარგების მიხედვით, შეიქმნა სისხლის სამართლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული, საპროცესო და სხვა კოდექსების პროექტების მოსამზადებელი ჯგუფები. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის შემმუშავებელ ჯგუფს ხელმძღვანელობდა პროფესორი სერგო ჯორბენაძე, თანამედროვე საქართველოს თვალსაჩინო ცივილისტი, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის ახალი სამოქალაქო კოდექსის შემუშავებაში. მე, როგორც ამ დარგის სპეციალისტი, აქტიურად ვმონაწილეობდი ამ ჯგუფის საქმიანობაში იუსტიციის მინისტრად მუშაობის დროსაც და შემდეგაც, როდესაც ეს პოსტი დავტოვე. 1992 წლის აპრილში საქართველოს გერმანიის ვიცე-კანცლერი,

საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს დიტრიხ გენშერი ეწვია. გერმანიის დელეგაციას, იუსტიციის სამინისტროში შეხვედრის დროს, ვთხოვე, დახმარება აღმოეჩინათ საქართველოს ახალი კოდექსების მომზადებაში. გერმანიის მთავრობა ამ თხოვნას გაგებით შეხვდა. ასე ჩაეყარა საფუძველი სამართალშემოქმედებით სფეროში გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების ფართომასშტაბიან მოღვაწეობას საქართველოში. განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა ეს თანამშრომლობა კერძო სამართლის დარგში. ამ მხრივ ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორ როლფ კნიპერს, რომლის მრავალწლიანი საქმიანობა საქართველოში აღინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორისა და საქართველოს საპატიო მოქალაქის წოდებების მინიჭებით. ეს წოდებები გერმანელმა პროფესორმა მართლაც რომ დამსახურებულად მიიღო. პირადად მე, მახსენდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის, აგრეთვე პრორექტორების გაყინული კაბინეტები, სადაც 1992 წლიდან მოყოლებული, თითქმის ოთხი წელი, ქართველი და გერმანელი მეცნიერები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პროექტზე ერთობლივად ვმუშაობდით.

ეს ის წლებია, როდესაც საქართველოში მძვინვარებდა სამოქალაქო ომი, იყო განუკითხაობა, სიცივე და სიბნელე, ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.სწორედ მაშინ დაწყებული ფართო საკოდიფიკაციო მუშაობის შედეგად გახდა შესაძლებელი, 90-იანი წლების მეორე ნახევარში, თანამედროვე, დემოკრატიული სახელმწიფოსათვის შესაფერისი საქართველოს ახალი კოდექსების მიღება.

ეს ერთ-ერთი ის სასიკეთო საქმეა, რომლის გაკეთებაც შევძელი, მაგრამ ვერ შევძელი ზოგიერთი უკეთურობისა თუ ქვეყნისათვის საზიანო გადაწყვეტილების თავიდან აცილება.

ხელისუფლების დაუფლებისთანავე, სამხედრო საბჭოს მესვეურებმა გადაწყვიტეს ფართომასშტაბიანი ამნისტიის გამოცხადება. ამნისტიის აქტის მიღებას განსაკუთრებული თავგამოდებით ჯაბა იოსელიანი მოითხოვდა. თავისთავად, ამნისტიის აქტის გამოცემა, როდესაც გააზრებულია ყველა მისი შესაძლო შედეგი და სათანადოდ დაცულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები, სახელმწიფოს მხრიდან ჰუმანიზმის გამოვლენაა. მაგრამ ამ შემთხვევაში ჰუმანიზმთან ნამდვილად არ გვქონდა საქმე. ამნისტიის ინიციატორების მოსაზრებით, სასჯელის მოხდისაგან უნდა გათავისუფლებულიყო მსჯავრდებულთა უპრეცედენტოდ ფართო კონტინგენტი, მათ შორის, განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის (ბანდიტიზმის, ყაჩაღობის და ა.შ.) ჩამდენი პირები. ჩემი გაანგარიშებით, ასეთი აქტით, სასჯელის მოხდის ადგილებიდან, დაახლოებით, ოთხი ათასამდე კაცი გათავისუფლდებოდა. აშკარა იყო, რომ ამნისტიის ინიციატორებს პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდათ, კერძოდ, ძალაუფლების

შენარჩუნებისა და გაძლიერებისათვის მათი წყალობით გათავისუფლებული კონტინგენტის გამოყენება ჰქონდათ განზრახული.

ამნისტიის ასეთი სახით მიღებას მე მხარი არ დავუჭირე. ჩემი მთავარი არგუმენტი მდგომარეობდა იმაში, რომ ამნისტიის შემდეგ ქვეყანაში არსებითად გაუარესდებოდა კრიმინოგენური მდგომარეობა, რაც კიდევ უფრო დაძაბავდა ისედაც არეულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციას. ამ პოზიციის გასამყარებლად მომხრეების მოძებნა იყო საჭირო. ჩემი მოკავშირე, ბუნებრივია, შინაგან საქმეთა სამინისტრო უნდა ყოფილიყო, რადგანაც ამდენი დამნაშავისათვის თავისუფლების მიცემა, უწინარეს ყოვლისა, სწორედ პოლიციას შეუქმნიდა პრობლემებს. ამასთანავე, მათი პროფესიული თავმოყვარეობისა და პირადი უსაფრთხოების ფაქტორსაც უნდა ეთამაშა მნიშვნელოვანი როლი. ამიტომ მოვითხოვე, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმოედგინა დასკვნა ამნისტიის მოსალოდნელი შედეგების შესახებ. მართლაც, შინაგან საქმეთა სამინისტრომ უარყოფითი მოსაზრება გამოთქვა. მდგომარეობა სამართალდამცველ ორგანოებს, განსაკუთრებით, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სამხედრო საბჭოს შორის უკიდურესად გამწვავდა. მთავრობის შენობაში ამ საკითხზე კამათისას საქმე იარაღის გამოყენების მცდელობამდეც კი მივიდა. აღნიშნული ფაქტის შესახებ პოლიციის პოლკოვნიკმა თამაზ სულავამ შემატყობინა, რომელიც თავად მონაწილეობდა ამ თათბირის მუშაობაში და შეშფოთებას გამოთქვამდა ხელისუფლების მოსალოდნელი გადაწყვეტილების გამო. ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ჯაბა იოსელიანი ტელეფონით დამიკავშირდა და მკითხა, თუ რატომ ვაჭიანურებდი ამნისტიის აქტის გამოცემას. მე გაოცებულმა ვუპასუხე, რომ ამნისტიის აქტის მიღება იუსტიციის მინისტრის კი არა, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს კომპეტენციაა-მეთქი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო კი იმ დროს სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით დათხოვნილი იყო.

მე ჩავთვალე, რომ ასეთ პირობებში ამნისტიას ვერ მიიღებდნენ, მაგრამ შევცდი. 1992 წლის 27 თებერვალს სამხედრო საბჭომ გამოსცა დადგენილება ამნისტიის შესახებ. დადგენილებას, სამხედრო საბჭოს სახელით, ხელს აწერდნენ ჯაბა იოსელიანი და თენგიზ კიტოვანი. ალბათ ამნისტიის ისტორიაში პირველად, გამოყენებულ იქნა ე.წ. გამორიცხვის პრინციპი. კერძოდ, ამნისტიის აქტში ჩამოთვლილი 11 სახეობის დანაშულის ჩამდენთა გარდა, სასჯელისაგან თავისუფლდებოდა საქართველოს სასამართლოების მიერ მსჯავრდებული ყველა პირი. იმ 11 სახეობის დანაშაულისათვის მსჯავრდებულებს კი, რომლებსაც გათავისუფლება არ ეხებოდათ, გაუნახევრდათ სასჯელის მოუხდელი ნაწილი.

რამდენიმე წლის შემდეგ ჯაბა იოსელიანი თავის წიგნში „სამი განზომილება", ამნისტიის თაობაზე ჩემს პოზიციას კომუნისტურ „წმინდა-

ნობად" შეაფასებს, რადგანაც მე მოვითხოვდი, ამნისტია შეხებოდა მხოლოდ პირველი ნასამართლობის მქონე პატიმრებსა და ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენთ. ამასთან, წიგნის ავტორი იქვე გვმოძღვრავს: „ამნისტიის პრინციპი სწორედ ის არის, რომ ყველას უნდა შეეხოს". შემდეგ კი კმაყოფილებით აღნიშნავს: „ამნისტია მზად არის – ეხება ყველას. ვათავისუფლებთ პატიმრების თითქმის 95%-ს".

ასეთმა ამნისტიამ, როგორც ვვარაუდობდი, მართლაც კატასტროფული შედეგები გამოიღო. სახელმწიფო ხელისუფლების მოშლის ფონზე განსაკუთრებით იმძლავრა კრიმინალურმა სამყარომ. მან თავი დაუსჯელად იგრძნო და ხელისუფლებაში შეღწევა დაიწყო. მკვლელობის, ყაჩაღობის, ძარცვის, ადამიანისა და ტრანსპორტის გატაცების ფაქტებმა არნახული მასშტაბები მიიღო. იქმნებოდა შეიარაღებული კრიმინალურ-ტერიტორიული გაერთიანებები, ე.წ. საძმოები, რომლებიც ორგანიზებულად სჩადიოდნენ დანაშაულებს. საზოგადოებაში გაჩნდა ტრადიციული მორალური ღირებულებების გადაფასების ტენდენციები. სახელისუფლო სტრუქტურებში კრიმინალური წარსულის მქონე პირების დანიშვნებმა და მათი გავლენის გაძლიერებამ ახალგაზრდა თაობაში დანაშაულებრივი საქმიანობა მიმზიდველი გახადა. ნასამართლობა პიროვნების ღირსებად გადაიქცა. იმ პერიოდშიც და შემდეგაც, ამან მრავალი ახალგაზრდის სიცოცხლე შეინირა. საზოგადოებრივ ცნობიერებაში მაშინ მომხდარი ამ ცვლილებების უარყოფით შედეგებს, სამწუხაროდ, დღემდე ვიმკით, როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ სფეროში.

1992 წლის 21 თებერვალს სამხედრო საბჭომ კონსტიტუციური ვაკუუმის შესავსებად სრულიად გაუაზრებელი ნაბიჯი გადადგა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის ამოქმედება გამოაცხადა. 71 წლის წინათ მიღებული კონსტიტუციის (თუნდაც მისი პრინციპების) მყისიერი აღდგენა სრულიად განსხვავებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, პრობლემების მოგვარების ნაცვლად, თავად რომ წარმოშობდა ახალ პრობლემებს, ამას დიდი მიხვედრა და გამჭრიახობა არ სჭირდებოდა. მე პრინციპულად არ დავუჭირე მხარი ამ გადაწყვეტილებას. სხვათა შორის, ობიექტურობისათვის უნდა აღვნიშნო, რომ პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი თენგიზ სიგუა წინააღმდეგი იყო საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ასეთი სახით აღდგენისა. როგორც ჩანს, ამ კონსტიტუციას ბედი არ სწყალობდა არც მაშინ, როცა იგი მიიღეს და არც 1992 წელს, როდესაც იგი აღადგინეს, მას ერთი დღეც არ უმოქმედია. პრობლემები კი ნამდვილად წარმოშვა. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია სიკვდილით დასჯის საკითხი. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მე-19 მუხლით, სიკვდილით დასჯა გაუქმებელი იყო. კონსტიტუციის აღდგენის დროს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი კი სასჯელის ამ

სახეობას ითვალისწინებდა. რადგანაც კონსტიტუციას, სხვა კანონებთან შედარებით, მეტი იურიდიული ძალა გააჩნია, სასამართლოებს აღარ გამოჰქონდათ სიკვდილით დასჯის განაჩენები. თხუთმეტწლიანი თავისუფლების აღკვეთამ, ცხადია, ვერ შეასრულა სიკვდილით დასჯის სანაცვლო სასჯელის ფუნქცია, რამაც უარყოფითი შედეგები გამოიღო, კერძოდ, გახშირდა ე.ნ. ლინჩის წესით, ანუ თვითგასამართლების შემთხვევები. ამასთან დაკავშირებით დავაყენე საკითხი, შექმნილიყო საკონსტიტუციო კომისია, რომელიც მოამზადებდა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ახალ რედაქციას, თუმცა იმ დროს ამისათვის არავის ეცალა და ჩემი წინადადებაც უყურადღებოდ დარჩა. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, 1993 წლის დასაწყისში გახდა შესაძლებელი. სამაგიეროდ, ხელისუფლებამ სწრაფი მეტამორფოზები განიცადა.

1992 წლის 10 მარტს სამხედრო საბჭო გაუქმდა და ფაქტობრივი ძალაუფლება სახელმწიფო საბჭოს გადაეცა, რომლის თავმჯდომარეც საქართველოში დაბრუნებული ედუარდ შევარდნაძე გახდა. სახელმწიფო საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევამდე, უნდა შეესრულებინა სამართალშემოქმედებითი, განმკარგულებელი და მაკონტროლებელი ცენტრალური ორგანოს ფუნქციები. ამით ხელისუფლების ლეგიტიმურობას არაფერი შემატებია. ამის შემდეგ გადაწყდა, შემუშავებულიყო „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ" სპეციალური კანონი, რომელსაც საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღებამდე უნდა განესაზღვრა საქართველოს სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილება, მათი მოწყობისა და საქმიანობის წესი. მაგრამ, როდესაც გავიგე, თუ რა პრინციპები უნდა დასდებოდა საფუძვლად ამ კანონს, უარი ვთქვი მისი პროექტის შექმნაში მონაწილეობაზე. ჩემთვის დღემდე გამოცანად რჩება, სახელმწიფო მმართველობის რომელ სისტემას ამკვიდრებდა იგი. ამ კანონის მიხედვით, საქართველოს პარლამენტი შედგებოდა მაჟორიტარული და პროპორციული წესით არჩეული დეპუტატებისა და პარლამენტის თავმჯდომარისაგან, რომელსაც უშუალოდ ირჩევდა ხალხი. შემდეგ პარლამენტი, ორი მესამედის უმრავლესობით, ირჩევდა პარლამენტის თავმჯდომარეს სახელმწიფოს მეთაურად, თუმცა იგი პარლამენტის თავმჯდომარის პოსტს ინარჩუნებდა. პარლამენტის თავმჯდომარე - სახელმწიფოს მეთაური - ამასთანავე იყო აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურიც. ერთი სიტყვით, ეს იმდენად უპრეცედენტო რამ იყო, რომ ამის გადმოცემა ძალზე რთულია. მიუხედავად ამისა, ახლად არჩეულმა პარლამენტმა ეს კანონი 1992 წლის 6 ნოემბერს მიიღო.

მანამდე კი, 1992 წლის 11 აგვისტოს, სახელმწიფო საბჭომ საგანგებო წესები შემოიღო რკინიგზის ტრანსპორტზე და აფხაზეთში, სადაც განსა-

კუთრებით გახშირდა რკინიგზაზე დივერსიები და ტვირთის დატაცების ფაქტები, საქართველოს შეიარაღებული ძალები შეიყვანა ვითარების უსწრაფესი ნორმალიზაციის მიზნით. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ საქართველოს საჯარისო ფორმირებების აფხაზეთში შეყვანა შეაფასა როგორც აგრესია აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის მიმართ. ამას მოჰყვა ქართულ და აფხაზურ შეიარაღებულ ძალებს შორის შეტაკებები, რომლებიც საომარ მოქმედებებში გადაიზარდა.

მართალია, სახელმწიფოს აქვს უფლება, წესრიგის დასამყარებლად გამოიყენოს ძალა, მაგრამ ამასთანავე, დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ სად, როდის და როგორ იყენებს მას. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს შეიარაღებული ძალების შეყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ჩემი აზრით, არ იქნა გათვალისწინებული, როგორც აფხაზეთში, ისე მთლიანად საქართველოში, იმჟამად არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, აგრეთვე ქვეყნის სამხედრო და საგარეო ფაქტორები.

1991 წლის მინურულისათვის, აფხაზეთში შედარებითი სტაბილურობა ეფუძნებოდა უაღრესად მყიფე პოლიტიკურ კომპრომისს, რომელიც ცენტრსა და ავტონომიას შორის შედგა იმავე წლის ზაფხულში და გაფორმდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში იმდაგვარი ცვლილებებითა და დამატებებით, რომლებიც, სამართლებრივი თვალსაზრისით, რბილად რომ ვთქვათ, მთლად გამართული არ იყო, თუმცა გაღვივებული სეპარატისტული განწყობილებების, გარკვეულწილად, დაცხრომისა და სამოქალაქო მშვიდობის შენარჩუნების საშუალებას იძლეოდა.

ზემოაღნიშნული კომპრომისების შედეგად, აფხაზეთის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები გულისხმობდა ფორმულას 28-26-11, რომელიც გამოხატავდა აფხაზთა, ქართველთა და აფხაზეთში მცხოვრები სხვა ერების კუთვნილი მანდატების რაოდენობას აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში, აგრეთვე მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე (კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, აფხაზეთის ავტონომიის სტატუსის შეცვლა, მთავრობის წევრთა დანიშვნა) კვალიფიციური უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღებას, რაც შესაძლებელი იყო მხოლოდ აფხაზი და ქართველი დეპუტატების ურთიერთთანხმობის შემთხვევაში.

ამ საკანონმდებლო ცვლილებების მიღებამდე ზვიად გამსახურდიამ 1991 წლის ზაფხულში სოხუმში გამგზავნა, სადაც თბილისიდან ჩასულ ექსპერტთა ჯგუფს ამ საკანონმდებლო აქტების პროექტებზე კარგა ხნის დაწყებული ჰქონდა მუშაობა. ზვიად გამსახურდიამ მომცა დავალება, ადგილზე გავცნობოდი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ კანონ-პროექტებს და ჩემი მოსაზრება წარმომედგინა მათ შესახებ. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ საქართველოს პრეზიდენტი კმაყოფილი არ უნდა ყოფილიყო ამ ჯგუფის მიერ შემოთავაზებული იდეით.

სოხუმიდან დაბრუნების შემდეგ ეს საკითხი განიხილა საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა. პრეზიდიუმის სხდომაზე გამოსვლისას მე აღვნიშნე, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ეთნიკური ნიშნის მიხედვით წინასწარ განსაზღვრული კვოტებით დაკომპლექტების წესის შემოღება, სამართლებრივი თვალსაზრისით, ნიშნავდა საკანონმდებლო საშუალებებით ეროვნული დისკრიმინაციის პრაქტიკის დანერგვას, მით უმეტეს, როდესაც ამ წესის მიხედვით, აფხაზეთის მკვიდრი ეთნიკური უმრავლესობა – ქართველები (მოსახლეობის 43 პროცენტი) ავტონომიის უმაღლეს საბჭოში წარმოადგენდნენ უმცირესობას, ხოლო ავტონომიის მკვიდრი ეთნიკური უმცირესობა - აფხაზები (მოსახლეობის 18 პროცენტი) უზენაეს საბჭოში ქმნიდნენ უმრავლესობას. ამის გამო, მე ამ წინადადებას მხარი არ დავუჭირე.

ზვიად გამსახურდიამ, პრეზიდიუმის სხდომაზე გამოსვლისას, დაიწუნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოთავაზებული კანონპროექტები, ყურადღება გაამახვილა საკითხის სამართლებრივ მხარეზე და ჩემი პოზიცია გაიზიარა, თუმცა მოგვიანებით, აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებების, აგრეთვე საქართველოს პოლიტიკურ ძალებთან კონსულტაციების შემდეგ, იგი დასთანხმდა ამ წინადადებას და, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ეს კომპრომისიც შედგა. ამაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა, რომელმაც უშუალო მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მუშაობაში 1991 წლის 9 ივლისს.

ჩემი აზრით, მთლიანად ამ კომპრომისის სიმყარე, მიუხედავად იმისა, რომ იგი ავტონომიის ძირითადი კანონით იყო განმტკიცებული, საბოლოო ანგარიშით, მაინც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების სიმტკიცისა და სეპარატიზმის მხარდამჭერი გარეშე მტრული ძალების ზეგავლენისაგან ქვეყნის დაცვის ხარისხზე იყო დამოკიდებული. თუ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება დასუსტდებოდა, აფხაზეთის სეპარატისტული ძალები, რა თქმა უნდა, ისარგებლებდნენ ამით და არც ამ პოლიტიკური კომპრომისის ერთგული დარჩებოდნენ, არც საკუთარი კონსტიტუციის ახლად მიღებულ დებულებებს დაიცავდნენ.

ამიტომ აფხაზეთში 1992 წელს განვითარებული მოვლენების მიზეზი ზემოაღნიშნული პოლიტიკური კომპრომისი და მის საფუძველზე მიღებული კანონები კი არ იყო, როგორც ეს ზოგიერთს მიაჩნია, არამედ 1991-1992 წლების მიჯნაზე საქართველოში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალება, კანონიერად არჩეული ხელისუფლების ძალით დამხობა, ცენტრალური ხელისუფლების მოშლა, არალეგიტიმური ხელისუფლების მიერ სა-

ქართველოს კონსტიტუციის ყოვლად გაუაზრებელი გაუქმება-აღდგენა და ქვეყანაში შეიარაღებული სამოქალაქო დაპირისპირების გაჩაღება.

სნორედ ზემოაღნიშნული მოვლენების შემდეგ, აფხაზეთის სეპარატისტული ძალები 1992 წლის დამდეგიდან აქტიურად შეუდგნენ საქართველოსაგან აფხაზეთის ჩამოცილების პოლიტიკის განხორციელებას.

1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ რეგლამენტში შეიტანა ცვლილება, რომლის თანახმად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა შეიძლებოდა უზენაესი საბჭოს დეპუტატთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით (ნაცვლად ორი მესამედისა). იმავე სხდომაზე მიიღეს აგრეთვე დადგენილება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რომლითაც დაადასტურეს საქართველოსთან აფხაზეთის სამართლებრივი კავშირის გაწყვეტა და აამოქმედეს აფხაზეთის სსრ-ის 1925 წლის კონსტიტუცია. ამ კონსტიტუციით (რომელიც თავის დროზე არც არავის მიუღია და, შესაბამისად, მას არც უმოქმედია), აფხაზეთის სსრ აღიარებული იყო სუვერენულ სახელმწიფოდ, რომელიც თავის ტერიტორიაზე ახორციელებდა სახელმნიფო ხელისუფლებას სხვა რომელიმე ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად. საქართველოს სსრ-თან მას აერთიანებდა მხოლოდ „განსაკუთრებული საკავშირო ხელშეკრულება", რომლითაც აფხაზეთის სსრ შედიოდა ამიერკავკასიის სფსრ-ში, ხოლო მისი მეშვეობით – სსრ კავშირის შემადგენლობაში. ამასთანავე, აფხაზეთის სსრ ინარჩუნებდა როგორც ამიერკავკასიის ფედერაციიდან, ისე სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებას.

აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ დაავალა პრეზიდიუმს აფხაზეთსა და საქართველოს შორის ხელშეკრულების მოსამზადებლად სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის თაობაზე წინადადებების წარმოდგენა, ხოლო აფხაზეთის ახალი კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის დასრულების ვადად 1992 წლის სექტემბერი განსაზღვრა.

ამავე პერიოდში აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელმძღვანელობამ შეძლო მონოეთნიკური (აფხაზების) შეიარაღებული ფორმირებების შექმნა, აგრეთვე სსრ კავშირის დაშლასა და საკავშირო სტრუქტურების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული სამხედრო და მილიციის ნაწილების დაქვემდებარებისა და მათი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით ზომების მიღება (რა თქმა უნდა, რუსეთის მხარდაჭერითა და ხელშეწყობით).

მართალია, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ქართველ დეპუტატთა ფრაქცია „დემოკრატიულმა აფხაზეთმა" (რომელიც ცალკე სხდომების გამართვას შეუდგა) იურიდიული ძალის არმქონედ გამოაცხადეს სეპარატისტთა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები, მაგრამ შეცვლილ

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში, როგორც საქართველოს არალეგიტიმური ცენტრალური ხელისუფლების, ისე ავტონომიის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მითითებული ფრაქციის დადგენილებებს უკვე აღარ ჰქონდა მორალურ-პოლიტიკური ზემოქმედების რეალური ძალა და სამართლებრივი იძულების ბერკეტები.

ასეთ პირობებში მოხდა ქართული სამხედრო ძალების შეყვანა აფხაზეთში. სეპარატისტებმა, რასაკვირველია, ხელიდან არ გაუშვეს ეს საბაბი, ომი გააჩაღეს და თავი ისე წარმოადგინეს, თითქოს ისინი მუდმივად განიცდიდნენ ეროვნულ ჩაგვრას და ამჟამადაც თავს იცავდნენ ქართული აგრესიისაგან.

აუცილებელი იყო შექმნილი მდგომარეობისა და მისი გამომწვევი მიზეზების ობიექტური შეფასება, რათა საზოგადოებას (როგორც ქვეყანაში, ისე ქვეყნის გარეთ) სწორი წარმოდგენა ჰქონოდა აფხაზეთში განვითარებული მოვლენების შესახებ. ამ საკითხს, თავის მხრივ, მრავალი ასპექტი გააჩნდა – ისტორიული, ეკონომიკური, ეთნოლოგიური, დემოგრაფიული, გეოპოლიტიკური და, რა თქმა უნდა, სამართლებრივი. მე გადავწყვიტე, სამართლებრივი რაკურსით შემეფასებინა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ მიღებული აქტები, რადგანაც, ყველაზე ნათლად, სწორედ სამართლებრივ აქტებში პოვებს ასახვას პოლიტიკა და ის მიზნები, რომლის მიღწევასაც ცდილობს სამართალშემოქმედი ამ პოლიტიკის გატარებით.

საბრძოლო მოქმედებების დაწყებიდან ორ კვირაში შევადგინე წერილი „აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მიერ მიღებული აქტების პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასებისათვის", რომელიც 1992 წლის აგვისტოს ბოლოს ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნდა რესპუბლიკურ პრესაში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ მიღებული საარჩევნო კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე მონოეთნიკური სახელისუფლებო თუ სამხედრო სტრუქტურების შექმნის პრაქტიკის ანლიზის საფუძველზე და საერთაშორისო-სამართლებრივი აქტების დებულებათა გათვალისწინებით, წერილში ხაზგასმულად გავაკეთე შემდეგი დასკვნა: „აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების უხეში დარღვევით, რასობრივი დისკრიმინაციისა და აპარტეიდის პოლიტიკის გატარებით, მოახდინა ხელისუფლების უზურპაცია და დაამყარა მონოეთნიკური დიქტატურა, რომელიც აფხაზეთში მცხოვრები ყველა ერის ნების გაუთვალისწინებლად, საქართველოსადმი მტრულად განწყობილი გარეშე ძალის დახმარებით, ახორციელებს საკანონმდებლო და ორგანიზაციულ საქმიანობას

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისა და საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფის მიზნით". ამ დასკვნიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკას, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოს, საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა შესასრულებლად ეკისრებოდა ვალდებულება, მიეღო საკანონმდებლო, სასამართლო და ადმინისტრაციული ზომები თავის იურისდიქციაში არსებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა დარღვევის, რასობრივი დისკრიმინაციისა და აპარტეიდის გამოვლინების ყველა ფორმის აღსაკვეთად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დასაცავად. წერილში ჩამოთვლილი იყო კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც, ჩემი აზრით, უნდა განეხორციელებინა საქართველოს ხელისუფლებას ამ საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების შესასრულებლად. კერძოდ:

- იურიდიული ძალის არმქონედ გამოცხადებულიყო აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების დისკრიმინაციული კანონი;
- დათხოვნილიყო დისკრიმინაციული საარჩევნო კანონის საფუძველზე ჩამოყალიბებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;
- შემუშავებულიყო არჩევნების ახალი კანონი საყოველთაო თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე და ჩატარებულიყო არჩევნები ამ კანონის შესაბამისად;
- კანონგარეშე და დაშლილად გამოცხადებულიყო აფხაზეთის მონოეთნიკური შინაგანი ჯარები და სხვა უკანონო შეიარაღებული ჯგუფები. სამხედრო ძალების ფორმირება განხორციელებულიყო მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე;
- საქართველოს შეიარაღებულ ძალებს უზრუნველეყო რკინიგზაზე საგანგებო წესებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულება, საქართველოს სახელმწიფო საზღვრებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა;
- დაუყოვნებლივ შეწყვეტილიყო ცეცხლი და საბრძოლო მოქმედებები. ორივე მხარის წარმომადგენლებისაგან შექმნილიყო კომისია ცენტრსა და ავტონომიას შორის კომპეტენციების გამიჯვნის საკითხების შესამუშავებლად, რომლის შედეგებიც შემდგომ გათვალისწინებული იქნებოდა საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მომავალ კონსტიტუციებში.

წერილში გაკეთებულმა შეფასებებმა, განსაკუთრებით რასობრივი დისკრიმინაციისა და აპარტეიდის შესახებ, შემდგომში ფართო გამოყენება პოვა აფხაზეთის საკითხებზე გამართულ პოლიტიკურ დისკუსიებსა თუ პუბლიკაციებში. საერთოდ კი, შეიძლება ითქვას, ამ წერილს დღემდე არ დაუკარგავს თავისი აქტუალურობა. ამის მაჩვენებელია თუნდაც ის,

რომ იგი ახლაც შეაქვთ აფხაზეთის საკითხებისადმი მიძღვნილ სხვადასხვა გამოცემებში. მას რუსმა ავტორებმაც მიაქციეს ყურადღება.

ამ წერილის გამოქვეყნებიდან სულ რამდენიმე დღეში, 1992 წლის 3 სექტემბერს, მოსკოვში გაიმართა რუსეთის პრეზიდენტისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის შეხვედრა რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ხელმძღვანელთა მონაწილეობით, რომლებმაც განიხილეს აფხაზეთში შექმნილი ვითარება და მიიღეს „მოსკოვის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტი". ამ დოკუმენტის შემუშავებაში, ქართველ კოლეგებთან ერთად, მეც ვიღებდი მონაწილეობას. მოსკოვში, დოკუმენტზე მუშაობისას, მეორე მხარეს წარმოადგენდა არა აფხაზეთის დელეგაცია, არამედ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მინისტრის მოადგილის ს. ლავროვის ხელმძღვანელობით. რაც შეეხება აფხაზებს, ს. ლავროვი მათთან ცალკე აწარმოებდა მოლაპარაკებას. რამდენიმედღიანი დაძაბული მუშაობის შემდეგ შემაჯამებელი დოკუმენტის პროექტი შედგა, რომელსაც ხელი მოაწერეს ბ. ელცინმა, ე. შევარდნაძემ, ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელებმა, ვ. არძინბამ, კ. ოზგანმა, თ. ნადარეიშვილმა, თ. სიგუამ, თ. კიტოვანმა და ა. ჩიკვაიძემ. ამ დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებები მართლაც ქმნიდა პირობებს კონფლიქტის ზონაში კრიტიკული სიტუაციის დაძლევისა და აფხაზეთში სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგებისათვის, ოღონდ ერთი პირობით - თუ მათ შეასრულებდნენ. თავად შემაჯამებელი დოკუმენტი ჩემთვის მისაღები იყო, მით უმეტეს, რომ მასში ასახული იყო თითქმის ჩემი ყველა ის წინადადება, რომელიც ზემოაღნიშნულ წერილში მქონდა ჩამოყალიბებული, კერძოდ, ამ დოკუმენტით აღიარებული იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და მისი დაცვის აუცილებლობა, კონფლიქტში მონაწილეების მიერ 5 სექტემბრის 12 საათიდან ცეცხლის შეწყვეტა, მხარეების წარმომადგენლებისაგან ერთობლივი კომისიის შექმნა, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღება, დაშლა და აფხაზეთიდან გაყვანა, აგრეთვე აფხაზეთში მათი არდაშვება, საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ აფხაზეთში რკინიგზისა და სხვა ობიექტების დაცვის აუცილებლობა, ეროვნული ნიშნით მოქალაქეთა დისკრიმინაციის აღკვეთა, თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების ჩატარება და სხვა.

სამწუხაროდ, არც აფხაზმა სეპარატისტებმა და არც რუსეთის ხელისუფლებამ არათუ არ შეასრულეს ამ დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებები, არამედ პირიქით, საბრძოლო მოქმედებები განაახლეს, რომელშიც უკვე რუსეთის შეიარაღებული ძალებიც იღებდნენ მონაწილეობას. მათ არ შეასრულეს არც შემდგომ მიღწეული არც ერთი შეთანხმება. საბოლოოდ, რუსეთის სამხედრო ძალებისა და ჩრდილოკავკა-

სიელი ბოევიკების დახმარებით, აფხაზმა სეპარატისტებმა 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი აიღეს. ამას მოჰყვა აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა, რის შედეგადაც დაიღუპა ათასობით მშვიდობიანი ადამიანი, ხოლო ორას ორმოცდაათი ათასზე მეტი ქართველი საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილი გახდა.

სოხუმის დაცემის შემდეგ საქართველოში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური კრიზისისაგან თავის დაღწევის მიზნით, სახელმწიფოს მეთაურმა და მინისტრთა კაბინეტმა მიიღეს გადაწყვეტილება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში – დსთ-ში – საქართველოს შესვლის თაობაზე. აღმასრულებელი ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტის დადასტურებას საჭიროებდა, სხვაგვარად იგი იურიდიულ ძალას ვერ შეიძენდა.

რადგანაც პარლამენტში ამ საკითხის განხილვამდე კიდევ იყო დარჩენილი დრო, გადავწყვიტე, საზოგადოების და პარლამენტართა ყურადღება მიმეპყრო საქართველოს დსთ-ში შესვლის შესახებ მოსალოდნელი გადაწყვეტილების სამართლებრივ ასპექტებზე. ჩემი წერილი „დავიცვათ კანონი" რამდენიმე გაზეთმა თითქმის ერთდროულად (1993 წლის ოქტომბრის ბოლოს და ნოემბრის დასაწყისში) დაბეჭდა. მასში ვწერდი, რომ საქართველოს დსთ-ში შესვლის საკითხი ფაქტობრივად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხია, რადგანაც ამ კავშირში შესვლის შემთხვევაში, იზღუდება რესპუბლიკის სუვერენული უფლებები და იცვლება მისი სამართლებრივი მდგომარეობა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხზე საქართველოს მოსახლეობამ 1991 წლის 31 მარტს, რეფერენდუმის გზით, უკვე გააკეთა თავისი არჩევანი და ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას. „რეფერენდუმის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის თანახმად კი, რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ან გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმით და არა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს თუ თანამდებობის პირის სამართლებრივი აქტით. აქედან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურისა და მინისტრთა კაბინეტის, აგრეთვე პარლამენტის შესაძლო დადებითი გადაწყვეტილება საქართველოს დსთ-ში შესვლის თაობაზე უკანონოა, იურიდიული ძალის არმქონეა და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს.

მიუხედავად ამისა, საქართველოს პარლამენტმა 1994 წლის პირველ მარტს მიიღო დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წესდებასთან შეერთების შესახებ". ჩვენივე დაუდევრობითა და უგუნური მოქმედებით, საქართველო კვლავ აღმოჩნდა რუსეთის გავლენის სფეროში.

ამასთან დაკავშირებით, გერმანელი პოლიტოლოგი იურგენ ბერგერი რამდენიმე წლის შემდეგ დაწერს: რადგან საკუთარი ძალებით საქართველოში ვერ მოხერხდა პოლიტიკური მშვიდობის დამყარება, პოლიტიკური პასუხისმგებლობა საქართველოს ბედ-იღბალზე რუსეთის ხელში აღმოჩნდა. საქართველოს მოსახლეობისათვის ეს იქცა ცინიკურ სინამდვილედ, „ჩიხიდან" გამომყვანი გზა კვლავ რუსეთთან პოლიტიკური ალიანსისაკენ მიდიოდა[1].

ამის ნათელი დადასტურება იყო ის ფაქტი, რომ საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, 1993 წლის შემოდგომაზე, წესრიგის დასამყარებლად, დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში შემოიყვანეს და გამოიყენეს რუსეთის შეიარაღებული ძალების ნაწილები. ამასთანავე, ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან გაისმა მოწოდება ქვეყანაში შექმნილი მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის დასაძლევად და წესრიგის დასამყარებლად უცხო ქვეყნის, სახელდობრ, რუსეთის შეიარაღებული ძალების მოწვევისა და, ამჯერად, მათი ფართო მასშტაბით გამოყენების აუცილებლობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით პრესაში გამოვაქვეყნე წერილი „დავიცვათ საქართველოს სუვერენიტეტი", რომელშიც აღვნიშნავდი, რომ რესპუბლიკის საშინაო პრობლემების გადასაწყვეტად უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების გამოყენებას არც საქართველოს კანონმდებლობა და არც საქართველოს რომელიმე საერთაშორისო ხელშეკრულება მიიჩნევდა შესაძლებლად. ამის გამო, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილება, საქართველოში წესრიგის უზრუნველსაყოფად რუსეთის შეიარაღებული ძალების მოწვევისა და გამოყენების შესახებ, ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, უკანონოა და ხელყოფს საქართველოს სუვერენიტეტს.

1992 წლის ოქტომბერში საქართველოს ახლად არჩეულ პარლამენტში ძირითადად თავი მოიყარეს იმ პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებიც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციას წარმოადგენდნენ. ამ პარლამენტმა იუსტიციის მინისტრად აღარ დამამტკიცა, თუმცა პარლამენტის თავმჯდომარე - სახელმწიფოს მეთაური მონდომებით მიჭერდა მხარს. როგორც ჩანს, მათი ლოგიკა ასეთი იყო: თუ წინა ხელისუფლება ავტორიტარული და დიქტატორული იყო, მაშინ როგორ შეიძლებოდა, მაშინდელი იუსტიციის მინისტრი „სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის" შემდეგ (როგორც ისინი კანონიერი ხელისუფლების ძალით დამხობას უწოდებდნენ) კვლავ იუსტიციის მინისტრად დაემტკიცებინა „ჭეშმარიტი დემოკრატიის" დასამკვიდ-

[1] იხ. წიგნი „ძნელი გზა დამოუკიდებლობისაკენ. უცხოელი მეცნიერები 90-იანი ნლების საქართველოს შესახებ". თბილისი,1998, გვ.75.

რებლად მოსულ ახალ ხელისუფლებას. თანაც, ჩემი არდამტკიცება პოლიტიკური დანაკარგების გარეშე მოხდებოდა, რადგანაც მე არც ერთი პარტიის წევრი არ ვიყავი და ჩემთვის თავს არავინ გამოიდებდა. ეს ყველაფერი გასაგებია, პოლიტიკას თავისი კანონები აქვს, მაგრამ ჩემთვის სრულიად გაუგებარი და გულდასაწყვეტი იყო ის ბრალდებები, რომლებიც ჩემი ძისამართით გაისმა. პარლამენტის სხდომაზე იუსტიციის სამინისტროს მუშაობის შედეგებით არავინ დაინტერესებულა, სამაგიეროდ, აფხაზეთის ე.ნ. აპარტეიდული საარჩევნო კანონის მიღება მე დამაბრალეს, მაშინ, როცა იქვე, დარბაზში, მშვიდად ისხდნენ ის პირები, რომლებმაც შეიმუშავეს ეს კანონპროექტი და პრეზიდენტიც დაარწმუნეს მისი მიღების აუცილებლობაში. აჭარის თემაც გაიხსენეს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ასლან აბაშიძის არჩევაში ხელშეწყობის ბრალდებაც წამომიყენეს. რადგანაც შემდგომ პერიოდშიც, აჭარის საკითხთან დაკავშირებით, ჩემი სახელი არაერთხელ მოიხსენიეს ამ ბრალდების კონტექსტში, ამიტომ თავს უფლებას მივცემ, მოკლედ შევჩერდე მასზე.

1991 წლის 19 ივლისს გაიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახლად არჩეული უზენაესი საბჭოს პირველი სესია. მის მუშაობაში საქართველოს პრეზიდენტთან ერთად მეც მივიღე მონაწილეობა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ასლან აბაშიძის არჩევას მხარს უჭერდა ზვიად გამსახურდია. ეს კანდიდატურა უალტერნატივო არ იყო. სხდომა დაძაბულად წარიმართა. ზოგიერთი დეპუტატი ცდილობდა თავი აერიდებინა კენჭისყრაში მონაწილეობისათვის, ამიტომ პირველმა კენჭისყრამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. მაშინ დეპუტატებმა დააყენეს საკითხი, ღია კენჭისყრით ჩაეტარებინათ არჩევნები და განმარტებისათვის მე მომმართეს. მე მათ ავუხსენი, რომ ამისათვის ჯერ საჭირო იქნებოდა აჭარის კონსტიტუციის 103-ე მუხლში სათანადო ცვლილებების შეტანა, რადგანაც კონსტიტუციის ეს ნორმა ადგენდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ფარული კენჭისყრით არჩევის წესს. ამასთანავე დავძინე, რომ კენჭისყრის წინ აუცილებელი იყო რეგლამენტით გათვალისწინებული რეგისტრაციის ჩატარების მოთხოვნის დაცვა. მართლაც, უზენაესი საბჭოს სესიამ შესაბამისი ცვლილება შეიტანა აჭარის ძირითად კანონში და ამის შემდეგ ასლან აბაშიძე ღია კენჭისყრით აირჩიეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ. ჩემი როლი ამ საკითხთან დაკავშირებით ამით ამოიწურა. მე იუსტიციის მინისტრის პოსტი დავტოვე. ვფიქრობ, ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ საკვირველი ნამდვილად ის იყო, რომ ცოტა მოგვიანებით, ლამის მთელი ახლად არჩეული საქართველოს პარლამენტი ბათუმისაკენ დაიძრა ასლან აბაშიძისადმი ხოტბის აღსავლენად. უფრო მეტიც, მას შემდეგ საქართველოს პარლამენტში არაერთხელ

დაისვა საკითხი, საკანონმდებლო ინიციატივით კანონპროექტიც კი შეიტანეს ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირის პარლამენტში ფარული კენჭისყრით არჩევის ნაცვლად ღია კენჭისყრის შემოღების მიზანშეწონილობის შესახებ.

იუსტიციის მინისტრის პოსტიდან წამოსვლის შემდეგ, სულ რამდენიმე თვეში, 1993 წლის ივნისში ჩემს მშობლიურ ქალაქში, ქუთაისში, გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად, დაინიშნა მაჟორიტარული არჩევნები. გადავწყვიტე მასში მონაწილეობის მიღება. მამოძრავებდა სრულიად გარკვეული მიზანი - მსურდა, საკანონმდებლო ორგანოში მოღვაწეობით, ხელი შემეწყო ეროვნული კანონმდებლობის შექმნის მეტად საშური საქმისათვის, კერძოდ, მისაღები იყო განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საკანონმდებლო აქტები, რომელთა პროექტების მომზადება ჯერ კიდევ ჩემი იუსტიციის სამინისტროში მუშაობის დროს იყო დაწყებული. წინასაარჩევნო კამპანია კარგად ჩავატარე. შევხვდი უამრავ თანამოქალაქეს. ერთი რამ ყველას შევნიშნე – იგრძნობოდა დიდი გულისტკივილი და იმედგაცრუება ეროვნული ხელისუფლების ძალით დამხობის გამო. ეს გასაგებიც იყო, რადგანაც ხალხი თვლიდა, რომ სამოცდაათწლიანი კომუნისტური დიქტატურის შემდეგ მათ პირველად მიეცათ შესაძლებლობა, კანონიერად და სამართლიანად აერჩიათ ხელისუფლება, რომელიც ქართველი ხალხის ჭეშმარიტ მისწრაფებებს გამოხატავდა. ხალხი ამ ხელისუფლებას თავის ხელისუფლებად მიიჩნევდა და ამის გამო, ხალხსა და ხელისუფლებას შორის უდიდესი ნდობა არსებობდა.

ამიტომაც იყო, რომ ქუთაისში გამართულ არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო ამომრჩეველთა დიდმა ნაწილმა. ამასთან, ხელისუფლებამ თავიდანვე გამოხატა მხარდაჭერა ერთ-ერთი დეპუტატობის კანდიდატის მიმართ, რამაც არჩევნების მასობრივი გაყალბება გამოიწვია. საქმე იქამდე მივიდა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიამ ვერ დაადგინა არჩევნების შედეგები. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კი რამდენიმე უბანში ბათილად ცნო იგი და დაინიშნა ხელახალი ხმის მიცემა. ჩემთვის სრულიად მიუღებელი იყო ამ ფარსში მონაწილეობის მიღება, ამიტომ პრესით გავაკეთე განცხადება, რომელშიც აღვნიშნავდი: „მიმაჩნია, რომ ხელისუფლება, რომელიც დაინტერესებული არ არის მის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში აირჩიონ ჭეშმარიტად ხალხის ნდობით აღჭურვილი დეპუტატი, თავად ხდება ხალხის ნდობას მოკლებული და ხალხისაგან მოწყვეტილი. იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს არჩევნების ობიექტურად ჩატარებას, ხალხი კი უნდობლობას უცხადებს პარლამენტს არჩევნების ფაქტობრივი ბოიკოტით, ზნეობრივად გაუმართლებლად მიმაჩნია არჩევნებში შემდგომი ჩემი მონაწილეობა, რის გამოც, ვხსნი ჩემს კანდიდატურას“.

ქუთაისში გამართულმა არჩევნებმა ცხადად დამანახვა, რომ დემოკრატიის დამკვიდრების ლოზუნგით მოსული ხელისუფლება სრულიად სანინააღმდეგო გზას დაადგა და დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის - ხელისუფლების ორგანოთა არჩევნების – გაყალბების პრაქტიკის დანერგვას შეუდგა. არც ერთ არჩევნებს, რომელიც ქვეყანაში შემდეგ ჩატარდა, მნიშვნელოვანი გაყალბებისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა სხვა უხეში დარღვევების გარეშე არ ჩაუვლია.

ხალხის ჭეშმარიტი ნება-სურვილის გაუთვალისწინებლად ჩამოყალიბებული ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ვერ გამოხატავდა ამომრჩეველთა განწყობილებას. მართალია, მას ითმენდნენ, მაგრამ არ ენდობოდნენ. თუმცა საბოლოოდ, მოთმინების ფიალაც აივსო და 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, მორიგი გაყალბების მცდელობამ არსებული ხელისუფლება იმსხვერპლა.

ამიტომ ნებისმიერი ხელისუფლება არჩევნების გაყალბების ახალი ტექნოლოგიების ძიებითა და დანერგვით კი არ უნდა იყოს დაკავებული, არამედ არჩევნების რაც შეიძლება ობიექტურად ჩატარების პროცესის სრულყოფაზე უნდა ზრუნავდეს, რადგანაც მხოლოდ ობიექტური, სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების გზით მოსული ხელისუფლება შეიძლება იყოს მდგრადი, ხალხის ნდობითა და, ამასთანავე, პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილი.

1993 წლის 19 თებერვალს შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით. კომისიის შემადგენლობაში, რომელიც 118 კაცით განისაზღვრა, პარლამენტმა მეც დამამტკიცა. ამასთანავე, ამირჩიეს კომისიის ერთ-ერთი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელად, რომელსაც საკონსტიტუციო ზედამხედველობის საკითხები უნდა დაემუშავებინა.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის დებულების მიხედვით, რომელიც 1993 წლის 25 მარტს დაამტკიცეს, კომისიას უნდა შეემუშავებინა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქცია, გადაეცა იგი საქართველოს პარლამენტისათვის განსახილველად და საყოველთაო სახალხო კენჭისყრაზე (რეფერენდუმზე) გასატანად.

ამ მომენტიდან საქართველოში დაიწყო კონსტიტუციური პროცესი, რომელიც ორ-ნახევარი წლის მანძილზე მიმდინარეობდა უკიდურესად დაძაბული შიდაპოლიტიკური ვითარების პირობებში. აფხაზეთში დამარცხება, ლტოლვილთა უზარმაზარი მასა, დსთ-ში საქართველოს შესვლა, სამოქალაქო ომი, ზვიად გამსახურდიას ბურუსით მოცული სიკვდილი, ტერორისტული აქტები, ენერგეტიკული კრიზისი, ეკონომიკის გაჩანაგება, უმუშევრობა, სოციალური სიდუხჭირე – 1993-1995 წლების ძირითადი მახასიათებლებია. ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძვლები იმდენად იყო მორყეული, რომ ქვეყნის ბედი მართლაც ბეწვზე ეკიდა. ამ

პირობებში, პირადად ჩემთვის და „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირისათვის", რომლის პოლიტიკური მდივანი ვიყავი იმ პერიოდში, კონსტიტუციის შემუშავება და მიღება, უწინარეს ყოვლისა, ნიშნავდა, სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის შესაბამისად, თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობის კონსტიტუციურ ორგანიზაციას, რომელსაც პოლიტიკური არენიდან უნდა გაეძევებინა ფაქტობრივი ძალაუფლების მქონე სხვადასხვა ჯგუფის დაჯგუფებები და „ლიდერები". ხელისუფლების განხორციელება კონსტიტუციის ფარგლებში უნდა მოქცეულიყო. ქვეყანაში უნდა დამყარებულიყო კონსტიტუციური კანონიერება, სამართლის უზენაესობა და ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების რეალური გარანტიები.

კონსტიტუციის მიღების განსაკუთრებული მნიშვნელობისა და აუცილებლობიდან გამომდინარე, მე აქტიურად ჩავები კონსტიტუციურ პროცესში და კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ ათი წლის წინათ საქართველოს ძირითადი კანონის შემუშავებასა და მიღებაში გარკვეული წვლილი მეც შევიტანე[1]. ცხადია, ყველა ჩემი იდეის თუ წინადადების განხორციელება ვერ შევძელი, მაგრამ კონსტიტუციის მიღების საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ საჭიროდ მიმაჩნდა საკუთარი შეხედულებების დათმობა პოლიტიკური კომპრომისების სასარგებლოდ.

პოლიტიკური კომპრომისები რომ საჭირო იყო, ამაზე მიუთითებდა თუნდაც ის ფაქტი, რომ საკონსტიტუციო კომისიაში წარმოდგენილი იყო საქართველოს კონსტიტუციის 12 პროექტი, რომელთა ავტორებსაც, რა თქმა უნდა, თავიანთი სამართალშემოქმედება საუკეთესო მიგნებად მიაჩნდათ და მის დასაცავადაც თავს გამოიდებდნენ, მეტადრე მაშინ, როცა ამ პროექტებს ზურგს უმაგრებდნენ პოლიტიკური ძალები, რომელთა მხარდაჭერა, როგორც კომისიაში, ისე პარლამენტში, აუცილებელი იყო კონსტიტუციის მისაღებად.

უმთავრესი საკითხი, რომელიც კონსტიტუციური პროცესის ყველა ეტაპზე ცხარე დისკუსიების საგანს წარმოადგენდა და მრავალჯერ განიცადა ცვლილება, სახელმწიფო მმართველობის საკითხი იყო.

თავიდანვე მე საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელს ვუჭერდი მხარს. ჩემი მოსაზრება, უწინარეს ყოვლისა, ეფუძნებოდა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პრინციპებისადმი პატივისცემას. საკონსტიტუციო კომისიის ამოცანად ხომ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუ-

---

[1] საქართველოში კონსტიტუციური პროცესი საფუძვლიანად აქვს შესნავლილი გერმანელ იურისტ ვოლფგანგ გაულს, თუმცა მის ზოგიერთ შეფასებას მე არ ვიზიარებ. იხ. ვოლფგანგ გაული, კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში. „ომეგა თეგი", თბილისი, 2002 წ.

ციის ახალი რედაქციის მომზადება განისაზღვრა. ეს კონსტიტუცია კი საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელს ადგენდა. ვითვალისწინებდი ასევე საპარლამენტო რესპუბლიკისათვის დამახასიათებელ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის წინააღმდეგობების მშვიდობიანი დაძლევის ფართო შესაძლებლობებს. ამასთანავე, ამ მოდელის შემოღებას საქართველოში, იმჟამად არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გამო, გააჩნდა მნიშვნელოვანი ნაკლი. სახელდობრ, ქართული პოლიტიკური ცნობიერება მაინც ორიენტირებული იყო უფრო პიროვნულ, პერსონალურ, ვიდრე კოლექტიურ მმართველობაზე. ამასთან, საქართველოში პოლიტიკური პარტიების სპექტრი, რბილად რომ ვთქვათ, არ იყო დახვეწილი (პოლიტიკურ არენაზე იმ დროისათვის ასზე მეტი პოლიტიკური პარტია იყო გამოსული, რომელთაც პარტიული საქმიანობის ტრადიციები არ გააჩნდათ), რაც აუცილებელი პირობაა საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

დისკუსიების შედეგად, არჩევანი მმართველობის შერეულ, ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის მოდელზე შეჩერდა პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნებითა და აღმასრულებელი ხელისუფლების ბიცეფალური სტრუქტურით პრემიერ-მინისტრთან ერთად.

ამ მოდელის დამუშავებაში საერთაშორისო ორგანიზაციები და ექსპერტები ჩაერთვნენ. განსაკუთრებით სასარგებლო და ნაყოფიერი გამოდგა 1994 წლის ბოლოს ვენეციის კომისიის სხდომაზე და ჩიკაგოს უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციაზე საქართველოს კონსტიტუციის პროექტების განხილვა. ჩემთვის უაღრესად საინტერესო იყო ჩიკაგოს კონფერენციაში მონაწილეობა, რომელიც ორგანიზებული იყო „კონსტიტუციური საკანონმდებლო პოლიტიკის ინსტიტუტის" (ბუდაპეშტი) და ჩიკაგოს უნივერსიტეტის „აღმოსავლეთ ევროპის კონსტიტუციონალიზმის შემსწავლელი ცენტრის" მიერ. ჩიკაგოს კონფერენციაზე საქართველოს კონსტიტუციის პროექტზე მუშაობისას დახმარებას გვიწევდნენ საკონსტიტუციო სამართლის საყოველთაოდ ცნობილი პროფესორები: ალექსანდრე ბლანკენაგელი, ლოურენს ლესიგი, სტივენ ჰოლმსი, ანდრაშ შაიო და ჰერმან შვარცი.

ჩიკაგოს კონფერენციაზე დამუშავებული საქართველოს კონსტიტუციის პროექტის მთელი რიგი დებულებები, განსაკუთრებით კი მინისტრთა კაბინეტის ფორმირების წესის, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა შორის კონტროლისა და განონასწორების მექანიზმების, სასამართლო ხელისუფლების მოწყობის შესახებ, შემდგომში ე.წ. ჩიკაგოს პროექტის სახელწოდებით გახდა ცნობილი.

1994 წლის მიწურულიდან საკონსტიტუციო კომისიაში სახელისუფლებო წრეების მხრიდან გამოიკვეთა ტენდენცია, რომელიც მიზნად ისახავდა კონსტიტუციის პროექტში საპრეზიდენტო ხელისუფლების

მაქსიმალურ გაძლიერებას. მათი არგუმენტაცია იყო: „ჩვენ დღეს ავტორიტარიზმის გარკვეული ელემენტები გვჭირდება", „ჩვენს ხალხს სჭირდება პირდაპირი არჩევნებით არჩეული პრეზიდენტი ძლიერი ავტორიტარული უფლებებით" და სხვა. ამ მოთხოვნებს, რა თქმა უნდა, ე.წ. ჩიკაგოს პროექტი ვერ აკმაყოფილებდა. ამიტომ მოხდა მისი გადასინჯვა პრეზიდენტის უფლებამოსილებების გაძლიერების სასარგებლოდ და ამგვარად სახეცვლილი პროექტი სახელმწიფოს მეთაურმა წარმოადგინა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროექტი არ იყო კლასიკური საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელი, მან მაინც იმ ძალების მწვავე რეაქცია გამოიწვია, რომლებიც ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლების წინააღმდეგი იყვნენ. ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ, როგორც საკონსტიტუციო კომისიაში, ისე პარლამენტშიც, საკმაოდ იყვნენ ძალები, რომლებსაც იმ პერიოდში საერთოდ არ სურდათ კონსტიტუციის მიღება და ყველა საშუალებით ცდილობდნენ, უშედეგოდ დამთავრებულიყო კონსტიტუციური პროცესი. მათ კარგად ესმოდათ, რომ კონსტიტუციის მიღება მათი პოლიტიკური გავლენის დასასრულის დასაწყისი იქნებოდა.

ამ გარემოებათა გამო, თუ კომისიაში ვერ მოხერხდებოდა კონსენსუსის მიღწევა კონსტიტუციის პროექტზე ან პარლამენტი ვერ მიიღებდა კონსტიტუციას, სახელისუფლებო ძალებს სამარქაფოდ ჰქონდათ შემონახული კონსტიტუციის რეფერენდუმის გზით მიღების შესაძლებლობა. ჩემი აზრით, ეს სასურველი არ იყო, რადგანაც იგი კიდევ უფრო გაზრდიდა პოლიტიკურ ძალთა შორის დაპირისპირებას, რომ აღარაფერი ვთქვათ, ასეთ შემთხვევაში ხელისუფლების ფაქტობრივად უსამანო შესაძლებლობაზე, თავისი სურვილების თარგზე გამოეჭრა ქვეყნის ძირითადი კანონი.

ამიტომ გადავწყვიტეთ, კონსტრუქციულად გვეთანამშრომლა წარმოდგენილი პროექტის დახვეწაზე. 1995 წლის 27 ივნისს კომისიამ მოიწონა კონსტიტუციის პროექტი და იგი სახელმწიფოს მეთაურმა პარლამენტს წარუდგინა. პარლამენტშიც არანაკლებ დაძაბულად წარიმართა პროექტის განხილვის პროცესი. განსაკუთრებული დავა გამოიწვია მთავრობის ფორმირების წესის საკითხმა. წარმოდგენილი იქნა მთავრობის ფორმირების წესის სამი (მათ შორის „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის") ვარიანტი. მათზე ჩატარდა სარეიტინგო გამოკითხვაც, მაგრამ სრულიად მოულოდნელად, დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა შემოიტანა წინადადება შერეული მმართველობის მოდელიდან კლასიკური საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელზე გადასვლის შესახებ. ამ მოდელის თანახმად, რომელსაც ზოგჯერ ამერიკულსაც უწოდებენ, პრეზიდენტი არა მარტო სახელმწიფოს, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურიცაა. მთავრობა, როგორც დამოუკიდებელი და გადაწყვეტილებების მიღების უნარიანი ორგანო, არ არსებობს. მთავრობა მხოლოდ პრე-

ზიდენტის სათათბირო ორგანოა. ასეთ რადიკალურ ცვლილებას არავინ ელოდა. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ დეპუტატთა ეს ჯგუფი პარლამენტში ხმების მნიშვნელოვან რაოდენობას აკონტროლებდა და, ამდენად, შეეძლო კონსტიტუციის მიღების საკითხის გადაწყვეტაზე რეალური გავლენა მოეხდინა.

ედუარდ შევარდნაძემ თავისთან მიმიწვია. საუბარს ესწრებოდა ბაკურ გულუა, რომელიც საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელის შემოღების ინიციატორი იყო. სახელმწიფოს მეთაურმა მკითხა, თუ რას ვფიქრობდი საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელის შესაძლო შემოღების შესახებ. მე მას მოვახსენე, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის წარმატებით განხორციელება შესაძლებელია როგორც საპარლამენტო და ნახევრად საპრეზიდენტო, ისე საპრეზიდენტო რესპუბლიკის პირობებში. ამის მაგალითები მრავლადაა მსოფლიოში, მაგრამ გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნისათვის, სადაც, გარდა პოლიტიკურისა, უამრავი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა გადასაწყვეტი, მინისტრთა კაბინეტის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი, კოლეგიური და პასუხისმგებელი რგოლის არსებობა, აუცილებლად მიმაჩნდა. სხვაგვარად, პრეზიდენტს, მისი განსაკუთრებული შრომისუნარიანობისა და მონდომების მიუხედავად, გაუჭირდებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე მდგარი ურთულესი ამოცანების გადაწყვეტა.

ედუარდ შევარდნაძემ იუმორით მიპასუხა, რომ ოპოზიციას გულთან არ მიეტანა მოვალეობებით ზედმეტად დატვირთული პრეზიდენტის მდგომარეობა, მას უფრო ის აინტერესებდა, ოპოზიციურად განწყობილი ძალები დაუჭერდნენ თუ არა მხარს ახალ წინადადებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, პარლამენტის გზით კონსტიტუციის მიღების შანსი უკიდურესად მცირე იქნებოდა.

სახელმწიფოს მეთაურს მოვახსენე ის მოტივები, თუ რატომ მიგვაჩნდა ჩვენ აუცილებლად ამ ეტაპზე კონსტიტუციის მიღება. ამასთანავე აღვნიშნე, რომ საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელის შემოღების შემთხვევაში, რომელიც არ ითვალისწინებდა მინისტრთა კაბინეტის დამოუკიდებელ სტრუქტურას, საჭირო იქნებოდა პრეზიდენტსა და მინისტრებს შორის მკაფიოდ გადანაწილებულიყო ის უფლებამოსილებები, რომლებიც მინისტრთა კაბინეტის პრეროგატივად ითვლებოდა.

ამის შემდეგ კონსტიტუციის პროექტზე მუშაობა სწრაფად წარიმართა და 1995 წლის 24 აგვისტოს პარლამენტმა 150 ხმით რვის წინააღმდეგ მიიღო საქართველოს კონსტიტუცია.

მართალია, ეს არ იყო დასრულებული კონსტიტუცია, მასში რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი ღიად იყო დატოვებული იმ იმედით, რომ ისინი მოგვიანებით გადაწყდებოდა (მაგალითად, ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა), მაგრამ იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუა-

ციაში პოლიტიკური კომპრომისების შედეგად ქვეყნის ძირითადი კანონის მიღება ნიშნავდა იმ ძალების მორალურ-პოლიტიკურ მარცხს, რომლებსაც არ სურდათ სახელმწიფოში კანონიერებისა და მართლწესრიგის დამყარება და ხელს აძლევდათ არსებული მდგომარეობის გახანგრძლივება.

ეს რომ ასე იყო, სულ მალე დადასტურდა. 1995 წლის 29 აგვისტოს, როდესაც უნდა გამართულიყო საქართველოს კონსტიტუციის ტექსტზე ხელმოწერის ცერემონია, სახელმწიფოს მეთაურზე განხორციელდა წარუმატებელი ტერორისტული აქტი, რომლის ერთ-ერთი მიზანი, უეჭველია, საქართველოში კონსტიტუციური პროცესის შედეგების ლიკვიდაცია იყო. საქართველოს კონსტიტუციის საზეიმო ხელმოწერის ცერემონია იმავე წლის 17 სექტემბერს გაიმართა. მეამაყება, რომ დამოუკიდებელი საქართველოს რიგით მეორე კონსტიტუციაზე ჩემი ხელმოწერაცაა. კონსტიტუციის მიღებამ და ამოქმედებამ, უდავოდ, დიდი როლი შეასრულა ქვეყნის სტაბილურობის განმტკიცებაში.

საქართველოს ახლად მიღებული კონსტიტუციის საფუძველზე, 1995 წლის 5 ნოემბერს ჩატარდა საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს პარლამენტის არჩევნები. „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი", რომლის წარმატებაშიც (ხუთპროცენტიანი საარჩევნო ბარიერის გადალახვაში) ეჭვი არავის ეპარებოდა (მე ამ პარტიის სიით ვიყრიდი კენჭს), პარლამენტის გარეთ დატოვეს. ამაში მთავარი როლი „მოქალაქეთა კავშირმა" შეასრულა, რომელიც საარჩევნო პროცესს ტოტალურად აკონტროლებდა და საარჩევნო ბიულეტენებითა და ოქმებით მანიპულირების ყოვლად აღმაშფოთებელ მეთოდებს იყენებდა. პროტესტის ნიშნად ჩვენ ხელი არ მოვაწერეთ არჩევნების შედეგების ოქმს.

1995 წლის მიწურულს ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ შემომთავაზა წინადადება, დამეკავებინა საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის თანამდებობა. მე დავთანხმდი ამ წინადადებას. ეს პოსტი და შესაბამისი სამსახური სახელისუფლებო სტრუქტურაში სიახლეს წარმოადგენდა. საპარლამენტო მდივანს პარლამენტთან ურთიერთობისას უნდა უზრუნველეყო საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის წევრების კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელება.

ახლად ამოქმედებული კონსტიტუცია საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს ავალდებულებდა, კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში, უზრუნველეყო კონსტიტუციით გათვალისწინებული კანონების მიღება, აგრეთვე მოქმედი ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან და კანონებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ახალ თანამდებობაზე ძირითადი სამუშაო, როგორც ჩანდა, კანონშემოქმედებითი საქმიანობის კოორდინირება იქნებოდა. მართლაც, ოთხი წლის მანძილზე ჩვენი მეცადინეობა, ძირითადად, მიმართული იყო სა-

ხელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში საკანონმდებლო საფუძვლების შექმნისა და კანონმდებლობის მთელი მასივის მოწესრიგებისაკენ. ამ საქმეში შესაშური მონდომება გამოიჩინა იუსტიციის სამინისტრომ (მინისტრი თ. ნინიძე). კონსტიტუციის ამოქმედებიდან ორი წლის განმავლობაში მოესწრო კონსტიტუციით გათვალისწინებული გადაუდებელი კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება. აღმასრულებელ ხელისუფლებაში მომზადებული ყველა კანონპროექტის შემდგომი პროცედურები, აგრეთვე პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებზე პრეზიდენტის ხელმოწერა საპარლამენტო მდივნის სამსახურის დასკვნის გათვალისწინებით ხდებოდა. საპარლამენტო მდივნის სამსახურის როლი და მნიშვნელობა ახლად არჩეული პარლამენტის მიერ მიღებულ პირველივე კანონთან მიმართებაში გამოჩნდა. კერძოდ, საპარლამენტო მდივნის სამსახურის წინადადებით, საქართველოს პრეზიდენტმა, ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში პირველად, გამოიყენა ვეტოს უფლება და საქართველოს პარლამენტს შენიშვნებით დაუბრუნა 1995 წლის 6 დეკემბერს მიღებული კანონი „საქართველოს საპარლამენტო ფრაქციის შესახებ". ვეტოს საფუძველი გახდა კანონის ის დებულება, რომელიც საპარლამენტო ფრაქციას გარკვეული დროის განმავლობაში აძლევდა შესაძლებლობას, შეენარჩუნებინა ფრაქციის სტატუსი და უფლებამოსილებები მაშინაც, როცა მისი წევრების რაოდენობა კონსტიტუციით განსაზღვრულ ნორმაზე (ათ კაცზე) ნაკლები აღმოჩნდებოდა. პარლამენტმა პრეზიდენტის შენიშვნა გაიზიარა და მის მიერ დაშვებული საკანონმდებლო ხარვეზი გამოასწორა. ეს ფაქტი საინტერესოა არა მხოლოდ იმდენად, რომ საქართველოში ვეტოს უფლების გამოყენების პირველ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, არამედ იმითაც, რომ იგი ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთკონტროლისა და განონასწორების კონსტიტუციით გათვალისწინებული მექანიზმების რეალურ ამოქმედებაზე მიანიშნებდა. ეს კი, თავის მხრივ, ჩვენს ქვეყანაში სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების, პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის დამკვიდრების პირველი სიმპტომი იყო.

იმ მრავალრიცხოვანი საკანონმდებლო აქტებიდან, რომლებიც მაშინ იქნა მიღებული და მე პირადად მომიწია მათზე მუშაობა, განსაკუთრებით აღვნიშნავ „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ" კანონს. ამას ხაზს ვუსვამ იმიტომაც, რომ თავად მე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში თორმეტი წელი ვიმუშავე ქართული იურიდიული სამეცნიერო სკოლის ისეთ თვალსაჩინო წარმომადგენლებთან, როგორებიც იყვნენ: პროფესორები – თინათინ წერეთელი, ისიდორე დოლიძე, თენგიზ ლილუაშვილი, ვივი ეფანია, თამაზ შავგულიძე, გიორგი ტყეშელიაძე და სხვები. ამასთან, სახელმწიფოსა და სამართლის დამოუკიდებელი სამეც-

ნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩამოყალიბებაშიც მიმიძღვის გარკვეული წვლილი.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, რომელიც უძველესი ქართული აკადემიების სახელოვანი ტრადიციების გამგრძელებელია და თავის წიაღში მსოფლიოში ცნობილ არაერთ სამეცნიერო სკოლას დაუდო სათავე, საკანონმდებლო საფუძვლები არ გააჩნდა. მეცნიერებათა აკადემია მხოლოდ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე მოქმედებდა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ კანონპროექტის შემუშავებისას, უწინარეს ყოვლისა, გადასაწყვეტი იყო მეცნიერებათა აკადემიის სამართლებრივი სტატუსის საკითხი. იგი ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ მისი მეოხებით, ერთი მხრივ, შენარჩუნებულიყო აკადემიის ორგანიზაციული მთლიანობა, როგორც ფუნდამენტურ მეცნიერებათა კვლევის ეროვნული ცენტრისა, ხოლო მეორე მხრივ, სათანადო დამოუკიდებლობა მინიჭებოდა აკადემიურ დაწესებულებებს სამეცნიერო მიმართულებების განსაზღვრასა და მეცნიერული გამოკვლევების განხორციელებაში. ამასთანავე, მეცნიერებათა აკადემია სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტაზე უნდა ყოფილიყო ორიენტირებული.

1999 წლის 22 ივნისს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ", რომლის თანახმად, აკადემია არის საქართველოს უმაღლესი თვითმართვადი სახელმწიფო დაწესებულება, ქვეყანაში ფუნდამენტურ მეცნიერებათა პრიორიტეტული მიმართულებების განმსაზღვრელი და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინატორი, საქართველოს ხელისუფლების მეცნიერული მრჩეველი. კანონით, აკადემია საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით აღიჭურვა, რაც ყველაზე უფრო მიესადაგებოდა მის ფუნქციურ დანიშნულებას.

ამ კანონიდან გამომდინარე, ინტენსიური მუშაობა წარვმართეთ მეორე კანონის მისაღებად, რომლის მიზანი იყო სამეცნიერო გამოკვლევათა მთავარი სუბიექტის – მეცნიერისათვის ცხოვრებისა და საქმიანობის ღირსეული პირობებისა და გარანტიების შექმნა. ამ კანონის მიღებისა და ამოქმედების გარეშე აზრს კარგავდა მეცნიერებათა აკადემიის შესახებ კანონი, რადგანაც შეცვლილ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში სამეცნიერო-პედაგოგიური პერსონალი სოციალურად ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი ფენა გახდა. ამის გამო, მასობრივი ხასიათი მიიღო სამეცნიერო კადრების გადინებამ საზღვარგარეთ და ქვეყნის შიგნით ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში. სამეცნიერო საქმიანობა თანდათანობით პრესტიჟს კარგავდა.

„მეცნიერთა სოციალური უზრუნველყოფის გარანტიების შესახებ" კანონის მიღება მხოლოდ 2003 წელს გახდა შესაძლებელი. კანონმა მოაწესრიგა მეცნიერთა შრომის ანაზღაურებისა და სტიმულირების, მათი

საპენსიო უზრუნველყოფისა და დამატებითი სოციალური გარანტიების მანამდე გადაუწყვეტელი საკითხები.

ზემოაღნიშნული კანონების მიღებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას მყარი საკანონმდებლო საფუძვლები შეექმნა.

სამწუხაროდ, შემდეგ წლებში სახელისუფლებო წრეებში გაჩნდა მოსაზრება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ძირფესვიანი რეფორმირების აუცილებლობის შესახებ. რეფორმები, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ, თუ მას შედეგად მოჰყვება აკადემიის სისტემის ნგრევა და არა მისი გაუმჯობესება, თანამედროვე პირობებთან ადაპტირება, რასაკვირველია, მიუღებელია. საქმე ისაა, რომ პროექტი, რომლის განხორციელებასაც თავგამოდებით ცდილობს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა ერთი ჯგუფი და რომელიც გულისხმობს აკადემიის სისტემაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში მოქცევას, ხოლო აკადემიის, როგორც აკადემიკოსთა ერთგვარ საკრებულოდ გადაქცევას, ძირშივე მცდარია და არ შეესაბამება ჩვენი ქვეყნის განვითარების ინტერესებს. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ამ პროექტის ამოქმედებას შედეგად მოჰყვება აკადემიის, როგორც თვითმართვადი ერთიანი სამეცნიერო ორგანიზაციის დამოუკიდებლობის დაკარგვა და დაშლა, ფუნდამენტურ გამოკვლევათა ლიკვიდაცია და მომზადებული სამეცნიერო კადრების უმუშევრად დატოვება. ჩვენი ქვეყნის განვითარების კვალობაზე, მეცნიერებაზე მოთხოვნა სულ უფრო გაიზრდება. სამეცნიერო პოტენციალის აღდგენა კი იოლი საქმე როდია. მას მრავალი წელი დასჭირდება. ამიტომ უნდა შევინარჩუნოთ ის, რაც უკვე გაგვაჩნია და ვიზრუნოთ მის გაუმჯობესებაზე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან დაკავშირებით შექმნილი საგანგაშო მდგომარეობის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ და მე 2005 წლის 26 ივლისს ერთობლივი წერილით მივმართეთ საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც მოიცავდა მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში გასატარებელი რეფორმის ძირითად ასპექტებს და მიმართვას პრეზიდენტისადმი, რათა მხარი დაეჭირა მეცნიერებათა აკადემიაში დაგეგმილი და საერთო კრების მიერ მოწონებული რეფორმების განხორციელებისათვის (ეს წერილი 2005 წლის 2 აგვისტოს გამოქვეყნდა პრესაში და შეტანილია წინამდებარე კრებულში).

კონსტიტუციის მიღების შემდეგ განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა საქართველოს სახელმწიფო ენის შესახებ კანონის მიღების საკითხმა. ძირითადმა კანონმა, როგორც ამ რანგის საკანონმდებლო აქტებისთვისაა დამახასიათებელი, საქართველოს სახელმწიფო ენის სტატუ-

სის შესახებ მხოლოდ ზოგადი, ფუძემდებლური დებულებები დაადგინა, რომელთა თანახმად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად აღიარებულია ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - აგრეთვე აფხაზური.

სახელმწიფო ენის შესახებ კანონს, კონსტიტუციის საფუძველზე, კონკრეტულად უნდა მოეწესრიგებინა სახელმწიფო ენის გამოყენებასა და დაცვასთან დაკავშირებული ურთიერთობები სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

ქართული სახელმწიფოსათვის ამ კანონის მიღებას მართლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საქმე ისაა, რომ ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ყოველდღიურ ყოფაში, სახელმწიფოებრივ თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში დომინირებდა რუსული ენა როგორც საბჭოური იმპერიის ოფიციალური ენა. ამიტომ ქართული ენის გამოყენების არეალი საქართველოს ტერიტორიაზე შეზღუდული იყო, უფრო მეტიც, საქართელოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა დიდმა ნაწილმა (განსაკუთრებით მათი კომპაქტურად დასახლების ადგილებში) საერთოდ არ იცოდა ქართული ენა, თუმცა ამის გამო მათ არანაირი პრობლემები არ ექმნებოდათ. მათთვის საკმარისი იყო მშობლიური და რუსული ენის ცოდნა.

ასეთი იყო რეალური მდგომარეობა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დროს. ამ რეალობების გათვალისწინებით, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" 1993 წლის 25 მარტს მიღებულმა კანონმა საქართველოს მოქალაქეებად ჩათვალა საქართველოში მცხოვრები პირები მხოლოდ მათი ბინადრობის ცენზის მიხედვით (რასაკვირველია, თუ ისინი უარს არ განაცხადებდნენ საქართველოს მოქალაქეობაზე). რაც შეეხება ქართული ენის ცოდნას, ამ კანონით იგი ერთ-ერთ პირობად იქნა გათვალისწინებული ნატურალიზაციით საქართველოს მოქალაქეობის მიღებისას. ამრიგად, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" კანონის ამოქმედების შემდეგ, საქართველოში მცხოვრები ქართული ენის არმცოდნე ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები საქართველოს მოქალაქეები გახდნენ, მათი შთამომავლები კი ქართული ენის დაუფლების გარეშეც ხდებიან დაბადებით საქართველოს მოქალაქეები.

ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია, ერთი მხრივ, ქართულ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ქვეყნის შიდაეკონომიკურ ურთიერთობებში ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრირების დაბალი დონით, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკისა და შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლების არარსებობით.

ეჭვგარეშეა, ამ არასახარბიელო მდგომარეობის გამოსწორება, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო ენის შესახებ კანონის მიღებით უნდა დაწყებულიყო, ხოლო შემდეგ, როგორც ამას უცხოელი ექსპერტებიც გვირჩევდნენ, აუცილებელი იყო ამ კანონის აღსრულებისათვის ისეთი პროგრამის შემუშავება, რომელიც ფაქტობრივად შექმნიდა პირობებს სახელმწიფოებრივ და მოსახლეობის ყოველდღიურ საქმიანობაში სახელმწიფო ენის გამოყენებისათვის.

სახელმწიფო ენის შესახებ კანონპროექტზე მუშაობა 1997 წელს დაიწყო და რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა. ამ საქმეს მონდომებით უძღვებოდა ენის სახელმწიფო პალატა და მისი თავმჯდომარე ლევან ღვინჯილია. კანონპროექტის შემუშავების პროცესში ჩაერთვნენ სამთავრობო უწყებები, არასამთავრობო, სამეცნიერო და შემოქმედებითი საზოგადოებრივი ორგანიზაციები. კანონპროექტის თაობაზე წინადადებები გამოვთქვით ჩვენც, ჯერ საპარლამენტო მდივნის სამსახურში, ხოლო შემდეგ იუსტიციის სამინისტროში მომზადებული დასკვნების სახით. მთავრობის სხდომაზე კანოპროექტის განხილვის შემდეგ, 2001 წლის 19 ივნისს, საქართველოს პრეზიდენტმა საკანონმდებლო ინიციატივით წარუდგინა იგი პარლამენტს.

ამავე პერიოდში, ენის სახელმწიფო პალატის ინიციატივით, კანონპროექტის განხილვაში აქტიურად ჩაება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო). ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარი როლფ ეკეუსი „სახელმწიფო ენის შესახებ" კანონპროექტის პარლამენტში პირველი მოსმენით განხილვამდე ერთი თვით ადრე პარლამენტის ხელმძღვანელობისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „სახელმწიფო ენის შესახებ კანონის მიღება საქართველოს არა მხოლოდ სუვერენული უფლებაა, არამედ ეს არის აუცილებელი ნაბიჯი, რათა შეიქმნას ძლიერი და ერთიანი ქართული სახელმწიფო. ...სწორედ ამიტომ სახელმწიფო ენის კანონის მიღება პრიორიტეტული საკითხია. მიმაჩნია, რომ საჭიროა საქართველოში სახელმწიფო ენის სტატუსი განმტკიცდეს, გაძლიერდეს და შეიქმნას პირობები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მის გამოსაყენებლად. ...ამასთანავე, აუცილებელია საქართველოს პარლამენტმა და მთავრობამ დაუყოვნებლივ დაიწყონ შემუშავება ფართო პროგრამისა, რომელიც უზრუნველყოფს ენის შესწავლას და მთელ ქვეყანაში მის გამოყენებას, გააჩაღებს სახელმწიფო ენის შესწავლის მასშტაბურ პროცესს სახალხო განათლებისა და საჯარო სამსახურის სფეროში (ეს განსაკუთრებით ეხება ქვეყნის ზოგ რეგიონს). ...მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, ამ მნიშვნელოვან პროცესში საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას დახმარება გავუწიოთ თვით ფინანსური მხარდაჭერის ჩათვლით".

2002 წლისათვის თითქოს ყველა წინა პირობა იყო შექმნილი „სახელმწიფო ენის შესახებ" კანონის მისაღებად, მაგრამ, სამწუხაროდ, პარლამენტის წევრებს საამისოდ არ აღმოაჩნდათ პოლიტიკური ნება. საქართველოს პარლამენტში „სახელმწიფო ენის შესახებ" კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისას, როლფ ეკეუსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ისეთი მასშტაბური უკომპრომისო პოლემიკა გაჩაღდა, რომ კანონპროექტის განხილვა გაურკვეველი ვადით გადაიდო. 2004 წლის 23 აგვისტოს კი საქართველოს პრეზიდენტმა ეს კანონპროექტი საერთოდ უკან გამოითხოვა. ამგვარად, ქვეყანა დარჩა სახელმწიფო ენის შესახებ კანონის, ხოლო სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკა (თუკი ასეთი საერთოდ არსებობს) - საკანონმდებლო უზრუნველყოფის გარეშე. არადა, უკვე კარს მოგვადგა „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ" ევროპული ჩარჩო კონვენციის რატიფიცირების ვალდებულების შესრულების ვადა. ეს კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა სხვა უფლებებთან ერთად ითვალისწინებს აგრეთვე ეროვნულ უმცირესობათა ენების საჯარო ურთიერთობებში გამოყენების ფართო გარანტიებს და მათი უზრუნველყოფისათვის სახელმწიფოს კონკრეტულ ვალდებულებებს. დარწმუნებული ვარ, პარლამენტი ამ კონვენციის რატიფიცირებაზე დიდ დროსა და ენერგიას არ დახარჯავს. საბოლოოდ, ჩვენი ბედოვლათობის გამო, აღმოვჩნდებით ისეთ მდგომარეობაში, როდესაც ქვეყანაში სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსი არც ერთი სამართლებრივი აქტით არ იქნება დაცული, ხოლო ეროვნულ უმცირესობათა ენები კი, იურიდიული ძალის მიხედვით, კანონზე მაღლა მდგომი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით იქნება განმტკიცებული.

1999 წლის ივნისის ბოლოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს იუსტიციის მინისტრის თანამდებობა შემომთავაზა. მე დიდი სურვილი არ მქონდა მეორედ დამეკავებინა ეს პოსტი, ამიტომ პრეზიდენტს ვურჩიე, სხვაზე გაეკეთებინა არჩევანი. ედუარდ შევარდნაძემ დაბეჯითებით მითხრა, რომ ქვეყანაში ჩასატარებელი იქნება პენიტენციარული სისტემის რეფორმა, რომელიც ევროსაბჭოში საქართველოს გაწევრიანებისას აღებული ვალდებულებების მიხედვით, 2000 წლის დასაწყისისათვის იყო გათვალისწინებული და გულისხმობდა პენიტენციარული დაწესებულებების შინაგან საქმეთა სამინისტროდან იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაცემას. ეს კი მოითხოვდა იუსტიციის სამინისტროს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ურთიერთობების გარკვევას, სპეციალური კანონმდებლობის შექმნას, სასჯელაღსრულების სფეროში ევროპის ქვეყნების გამოცდილების შესწავლას და გათვალისწინებას, საფინანსო და სხვა მრავალი ორგანიზაციული საკითხის მოგვარებას. ამიტომ, მისი აზრით, საჭირო იყო ამ საქმეს გამოცდილი პიროვნება ჩასდგომოდა სათავეში. ეს იდეა, ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში,

იუსტიციის მინისტრად პირველად მუშაობის დროს ჩემ მიერ იყო ინიციირებული. ცნობილი მოვლენების გამო, მაშინ არ დაგვცალდა მისი განხორციელება. რადგანაც ახლა მეძლეოდა შესაძლებლობა, პენიტენციარული რეფორმის ჩატარება უშუალოდ მე მეთავა, ამიტომ პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას დავთანხმდი.

მაინც რაში მდგომარეობდა ამ რეფორმის დედააზრი? რეფორმის ინსტიტუციონალური მხარე სასჯელაღსრულების დაწესებულებების შინაგან საქმეთა სამინისტროდან იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაცემას გულისხმობდა, მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ ამ ინსტიტუციის მექანიკური გადატანა ერთი უწყებიდან მეორეში. ამ სტრუქტურულ ცვლილებას ის აზრი ჰქონდა, რომ სასჯელის აღსრულება ზოგადად და პატიმრობა კერძოდ, მმართველობის იმ ორგანოს პრეროგატივა ხდებოდა, რომელიც სისხლის სამართლის დევნის ფუნქციას არ ასრულებდა და ამდენად, კანონის მოთხოვნათა დაცვით, სასჯელის ან წინასწარი პატიმრობის აღსრულების გარდა, მას სხვა უწყებრივი ინტერესი არ გააჩნდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეფორმის შედეგად ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლების – თავისუფლების შეზღუდვა (აღკვეთა) სამი სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს უფლებამოსილებებში გადანაწილდებოდა, კერძოდ, ადამიანის დაკავება პოლიციის საქმედ რჩებოდა, თავისუფლების აღკვეთის ვერდიქტის გამოტანა – სასამართლოსი, ხოლო მისი აღსრულება – იუსტიციას უნდა განეხორციელებინა. ამით, ადამიანის უფლებების დაცვისათვის ამ მეტად სახიფათო სფეროში, თავისთავად იქმნებოდა ხელშემწყობი პირობები.

იუსტიციის მინისტრად გამწესებაზე პარლამენტის თანხმობის მიღების შემდეგ ერთ-ერთ გაზეთს ინტერვიუ მივეცი. ჟურნალისტმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მე ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ყოფილი იუსტიციის მინისტრი ვიყავი და ამჟამად კვლავ მაბრუნებდნენ იმავე თანამდებობაზე. მე ხუმრობით ვუპასუხე, რომ ჩემი დანიშვნით იწყება კანონიერი ხელისუფლების აღდგენა. ჟურნალისტმა, რასაკვირველია, ხელიდან არ გაუშვა ეს გამონათქვამი და მეორე დღესვე გაზეთ „ახალ თაობაში" გამოქვეყნდა ჩემი ინტერვიუ დიდი სათაურით: „ჩემი დანიშვნით იწყება კანონიერი ხელისუფლების აღდგენა..." იმ პერიოდში ეროვნული შერიგების საკითხები აქტუალური გახდა, ამიტომ გასაკვირი არ იყო, რომ ჟურნალისტმა ისარგებლა ამ შემთხვევით. პრესა აქტიურად აშუქებდა ამ თემას, თუმცა ხელისუფლებამ ქმედითი ნაბიჯები ვერ გადადგა. მართალია, საქართველოს პარლამენტმა 2000 წლის 20 აპრილს მიიღო დადგენილება, რომელშიც ზოგადად დაგმო სახელმწიფოში პოლიტიკური პრობლემების ძალადობის გზით გადაჭრა და ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობის ყოველგვარი მცდელობა, მაგრამ პარლამენტის ეს დადგენილება მიზნად ისახავდა 1991-1992 წლებში დაწყებული სამოქა-

ლაქო დაპირისპირების მხოლოდ შედეგების აღმოფხვრას და არა მისი გამომწვევი მიზეზების გამოკვლევასა და სათანადო შეფასებას. საჭიროდ მიმაჩნია, 1991-1992 წლების მიჯნაზე საქართველოში განვითარებულ მოვლენებს ოფიციალურ დონეზე მიეცეს პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება, საფუძვლიანად იქნეს გამოკვლეული ქვეყნის როგორც შიდა, ისე გარეშე ფაქტორები, რომელთა მოქმედების შედეგად, ძალის გამოყენებით, დამხობილ იქნა კანონიერად არჩეული ხელისუფლება. ამის გაკეთება აუცილებელია არა მხოლოდ სამართლიანობის აღდგენის მიზნით, არამედ იმისათვისაც, რომ მომავალში არავის გაუჩნდეს სურვილი, უკანონოდ მიითვისოს და დაეუფლოს ხელისუფლებას. ამას, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს ქართული სახელმწიფოებრიობის დემოკრატიული განვითარების ინტერესები.

ახლა, რაც შეეხება პენიტენციარული სისტემის რეფორმას, იუსტიციის სამინისტროში მისვლისთანავე ნათელი გახდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ურთიერთობა მეტად დაძაბული იყო. როგორც ჩანდა, პატიმრებზე ძალადობას მიჩვეული უწყება ვერ ეგუებოდა იმ აზრს, რომ რეფორმის შედეგად პატიმარი პოლიციის კუთვნილება აღარ იქნებოდა. არადა, დანაშაულის „გახსნის" ერთ-ერთ ძირითად წყაროს, მათთვის, ტრადიციულად საპატიმროები წარმოადგენდა. ამიტომაც იყო რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, „პატიმრობის შესახებ" კანონის მიღებისას, თავგამოდებით მოითხოვდნენ, „პოლიციის შესახებ" კანონში იმავდროულად შეტანილიყო დამატება, რომლის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლება ეძლეოდა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დაენიშნა პოლიციის ოფიცერი. ამის გაკეთება საკანონმდებლო დონეზე მათ მაშინ შეძლეს, თუმცა შემდგომ ამ უფლებამოსილებით არ უსარგებლიათ, ჩემი აზრით, სრულიად შეგნებულად. მათ იუსტიციასთან ურთიერთობაში სხვა გზა აირჩიეს. ამაზე ცოტა ქვემოთ შევჩერდებით.

პენიტენციარული სისტემის რეფორმას რამდენიმე უწყების კომპეტენციაში შეჰქონდა ცვლილებები. ამიტომ მოვამზადეთ პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელშიც დეტალურად იყო გაწერილი სასჯელაღსრულების ორგანოთა შინაგან საქმეთა სამინისტროდან იუსტიციის სამინისტროს სისტემაში გადაცემის სამართლებრივი, ორგანიზაციული, მატერიალურ-ტექნიკური და სხვა ღონისძიებები, წინადადებები – სასჯელაღსრულების ორგანოების იარაღით, საბრძოლო მასალებით, კავშირგაბმულობის საშუალებებით და სხვა სპეციალური დანიშნულების ქონებით უზრუნველყოფის შესახებ. პრეზიდენტის ბრძანებულება „სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის შესახებ" 1999 წლის 12 ოქტომბერს გამოიცა. ეს თარიღი ერთგვარი ათვლის წერტილი გახდა პენიტენციარული რეფორმის ფართომასშტაბიანი ღონისძიებების განხორციელების დასაწყებად,

რომლის დამთავრება გათვალისწინებული იყო 2000 წლის პირველი იანვრისათვის. ამით პენიტენციარული სისტემის რეფორმის პირველი ეტაპი დასრულდებოდა, რომლის შედეგადაც სასჯელაღსრულების ორგანოები იუსტიციის სამინისტროს სისტემაში სრულიად ახალი სამართლებრივი წესრიგის პირობებში გააგრძელებდნენ ფუნქციონირებას.

2000 წლის პირველ იანვრამდე დარჩენილ სამ თვეში იუსტიციის სამინისტროს აპარატის ძალებით (რ. გილიგაშვილი, ბ. ლოლაძე, ლ. ხვედელიანი, გ. ყვარელაშვილი, ზ. ეზუგბაია, ი. ნაცვლიშვილი, ე. გოგიაშვილი, გ. ლაცაბიძე, გ. თავაძე) მოვამზადეთ თითქმის ყველა ნორმატიული აქტი, რომელიც სასჯელაღსრულებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს აწესრიგებდა. პირველად ჩვენს ქვეყანაში, შეიქმნა სასჯელაღსრულების ნაციონალური კანონმდებლობა. გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით გამოვეცით ამ კანონმდებლობის 480 გვერდიანი კრებული, რომელშიც შევიდა 32 საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. კრებული, ნორმატიული მასალის ასათვისებლად, დავურიგეთ სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და დაწესებულებების პერსონალს. ამ პერიოდში განსაკუთრებით მჭიდროდ ვთანამშრომლობდით ევროსაბჭოს ექსპერტებთან. მათი რეკომენდაციით გავეცანი საფრანგეთისა და დანიის სასჯელაღსრულების დაწესებულებების ორგანიზაციასა და მუშაობის პრაქტიკას. დანიაში, რომელიც ჩვენი ქვეყნის პარტნიორი ქვეყანა იყო პენიტენციარული რეფორმის განხორციელებაში, შევხვდი ჩემს კოლეგას – იუსტიციის მინისტრს და შევთანხმდით მომავალი თანამშრომლობის საკითხებზე. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად ჩავატარეთ სასჯელაღსრულების ორგანოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ობიექტებისა და მთელი ქონების ინვენტარიზაცია მათი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისათვის. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მატერიალური ბაზა თითქმის მთლიანად ამორტიზებული იყო. გამონაკლისს წარმოადგენდა რუსთავის გზაზე მშენებარე საპყრობილე, რომლის დამთავრებისათვის ორი მილიონი ლარი იყო საჭირო. შვიდი მილიონი ლარის სამუშაო უკვე შეესრულებინათ. ეს ობიექტი შემდეგ პოპულარული გახდა. მისი მშენებლობის დასრულება რამდენჯერმე ამცნეს საზოგადოებას, სინამდვილეში კი იგი დღესაც დაუმთავრებელია და ექსპლუატაციაში არ შესულა.

განსაკუთრებით შრომატევადი აღმოჩნდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეციალური დაცვის სამსახურის ჩამოყალიბება. მათ უნდა შეეცვალათ შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ქვედანაყოფები, რომლებიც ახორციელებდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებებისა და მსჯავრდებულების დაცვას, მსჯავრდებულთა და პატიმართა ბადრაგირებას. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოითხოვდა მათ შენარჩუნებას. ევროსაბჭოს ექსპერტები და ჩვენ ამის წინააღმდეგი ვიყავით,

რადგანაც ასეთ შემთხვევაში გარდაუვალი იქნებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციასა და დაცვის სამსახურს შორის კონფლიქტები.

სასჯელაღსრულების დაწესებულებების დისლოკაციის მიხედვით შეიქმნა სპეციალური დაცვის სამსახურის ქვედანაყოფები, რომლებსაც, უშუალოდ პოსტებზე, სინქრონულად უნდა შეეცვალათ შინაგანი ჯარების მოსამსახურეები. მთლიანად დეპარტამენტისათვის დავადგინეთ და საქართველოში დავამზადებინეთ ახალი ნიმუშის სპეცტანსაცმელი, დაცვისათვის საჭირო იარაღი თავდაცვის სამინისტროდან დროებითი სარგებლობის უფლებით ვითხოვეთ. 1999 წლის ბოლოსათვის, ჩვენი წინადადებით, 2000 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისას, სასჯელაღსრულების ორგანოთა დაფინანსება იუსტიციის სამინისტროს საბიუჯეტო ხარჯებში იქნა გათვალისწინებული. კონტაქტები დავამყარეთ სასჯელაღსრულების დაწესებულებებისათვის საკვები პროდუქტების მომწოდებლებთან, რათა 2000 წლის პირველი იანვრიდან მათ გაეგრძელებინათ ამ დაწესებულებათა პროდუქტებით მომარაგება იუსტიციის სამინისტროსთან ახალი კონტრაქტების გაფორმებამდე. შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებს მოვთხოვეთ მათ შენობებში განთავსებული საგამოძიებო იზოლატორების გაუქმება და პატიმრების საპყრობილეში გადაყვანა. მათ ეს მოთხოვნა დეკემბრის მიწურულს უხალისოდ შეასრულეს.

ასე რომ, 1999 წლის ბოლოსათვის თითქმის ყველაფერი მზად იყო პენიტენციარული რეფორმის ამოქმედებისათვის. 2000 წლის დამდეგიდან თვენახევარში სასჯელაღსრულების დაწესებულებები, ყოველგვარი შეფერხების გარეშე, უკვე იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ფუნქციონირებდნენ. რეფორმის პირველი ეტაპის შედეგები მართლაც რომ შთამბეჭდავი იყო.

უფრო მძიმე გამოდგა რეფორმის შემდგომი ეტაპი. ევროპული სტანდარტების შესაბამისად, პენიტენციარული სისტემის რეფორმის სრულფასოვანი განხორციელება სახელმწიფოსაგან დიდი სახსრების მობილიზებას მოითხოვდა, რაც მაშინ ჩვენს ქვეყანას არ გააჩნდა. დახმარება არ ჩანდა საზღვარგარეთიდანაც. ჩვენი მეგობარი ქვეყნები თავს არიდებდნენ სხვა ქვეყნისათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენას მსჯავრდებულთა პირობების გასაუმჯობესებლად. ისინი უპირატესობას ანიჭებდნენ სოციალურად დაუცველი, კანონმორჩილი მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევას. მახსოვს, დახმარების გასანევად ჩვენს თხოვნაზე ერთ-ერთმა დანიელმა მაღალჩინოსანმა ფიგურალურად მიპასუხა: თქვენ გვთხოვთ მოგცეთ თევზი. ჩვენ თევზს კი არ მოგცემთ, არამედ თევზის დაჭერას გასნავლითო. სანამ თევზაობას ვისნავლით, მანამდე თევზი ხომ გვჭირდება-მეთქი – მივუგე მე. ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც შვეიცარიის მთავრობამ არმიაში განხორციელებული

შემცირების შედეგად გამოთავისუფლებული 50 სამხედრო დანიშნულების ავტომობილისა და სხვა საყოფაცხოვრებო საქონლის უსასყიდლოდ გადმოცემაზე რომ მოგვცა თანხმობა.

განსაკუთრებული გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, მასმედიის მხრიდან რეფორმის მხარდაჭერას ვერ მივაღწიეთ. სახელმწიფო ტელევიზიაც კი (თავმჯდომარე ზაზა შენგელია), ჩემდა გასაოცრად, „დუმილის უფლებას" ინარჩუნებდა. სამაგიეროდ, დიდი მონდომებით აშუქებდნენ უარყოფით ფაქტებს. ერთ-ერთ გაზეთში ასეთი ფანტასმაგორიული წერილიც კი გამოაქვეყნეს: პატიმრებმა სასჯელაღსრულების ერთ-ერთი დაწესებულების ტერიტორიაზე მოშინაურებული ძაღლი ცოცხლად გაატყავეს და შეჭამესო. არადა, იმ დაწესებულებაში კვება სხვებთან შედარებით უკეთ იყო ორგანიზებული.

პენიტენციარული რეფორმის შესახებ პრეზიდენტის ზემოაღნიშნულ ბრძანებულებაში სრულიად გამიზნულად შევიტანეთ ნორმა, რომლის თანახმად, სასჯელაღსრულების დაწესებულებების იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაცემის შემდეგ, ამ ორგანოთა მოსამსახურეებს ახალი დანიშვნების გარეშე უნდა გაეგრძელებინათ თავიანთი მოვალეობების შესრულება. ჩვენი მიზანი იყო, არ შეგვეტანა დისონანსი ამ დაწესებულებათა საკადრო კორპუსში, რადგანაც ამას შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგები გამოეწვია უსაფრთხოების თვალსაზრისით. პერსონალის გადახალისებას ატესტაციისა და კონკურსის საფუძველზე 2000 წლის ბოლოსათვის ვვარაუდობდით. თუმცა ცალკეული გამონაკლისებიც იყო. მაგალითად, ჩვენი ქვეყნის პენიტენციარული დაწესებულებების ისტორიაში პირველად, კონკურსის წესით დავნიშნეთ ზუგდიდში არსებული საპყრობილის უფროსი. გარკვეული დროით ძველი კადრების შენარჩუნების პოლიტიკას თავისი უარყოფითი მხარეც ჰქონდა. მართალია, სასჯელაღსრულების დაწესებულებები შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩამოშორდა, მაგრამ იქ დარჩენილი ძველი კადრების (ყოფილი პოლიციელების) მეშვეობით, ეს უწყება პენიტენციარულ ორგანოებში მაინც ინარჩუნებდა გავლენას.

უცნაური ხასიათი მიიღო სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან პატიმართა გაქცევის ფაქტებმა, რომელიც 2000 წლის პირველ ოქტომბერს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამკურნალო დაწესებულებიდან 12 პატიმრის გაქცევით დაგვირგვინდა. გაქცეულთა შორის იყვნენ საზოგადოებისათვის ცნობილი პიროვნებები – გურამ აბსანძე და ლოთი ქობალია. გურამ აბსანძესა და კიდევ სამ პიროვნებას (გაქცეულთაგან) პრეზიდენტის წინააღმდეგ მოწყობილ ტერორისტულ აქტში მონაწილეობა ედებოდათ ბრალად. გაქცევა იმდენად თავხედური ფორმით, ცინიკურად იყო შესრულებული, რომ მისი ორგანიზება სასჯელაღსრულების ორგანოთა მოსამსახურეების ხელშეწყობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

მომხდარის გამო, მე ჩემს თავზე ავიღე პოლიტიკური პასუხისმგებლობა და საქართველოს პრეზიდენტს იუსტიციის მინისტრის თანამდებობიდან ჩემი გადადგომის განცხადება ნარვუდგინე. პრეზიდენტმა ჩემი თხოვნა დააკმაყოფილა.

პენიტენციარული რეფორმის გარდა, ჩვენი მეცადინეობით, იუსტიციის მმართველობის სფეროში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა, რომლის შედეგადაც, იუსტიცია ფუნქციონალურად მრავალმხრივ საინტერესო და ძლიერ სახელმწიფო სტრუქტურად ჩამოყალიბდა. ამ მხრივ აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სახელმწიფოს წარმომადგენლის, მოქალაქეობისა და იმიგრაციის საკითხთა განხილვა-გადაწყვეტის, სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების, მსჯავრდებულთა ექსტრადიციის, სახელმწიფო სანებართვო და სხვა ფუნქციებით იუსტიციის ორგანოების აღჭურვა.

ერთი სიტყვით, იუსტიციის სამინისტრო რეფორმირებული დავტოვე იმ იმედით, რომ ახალი ხელმძღვანელი ახალ იმპულსს შესძენდა დაწყებულ საქმეს.

გადადგომიდან ერთ თვეში, საქართველოს პრეზიდენტის წინადადებით, მე კვლავ საპარლამენტო მდივნის თანამდებობაზე გავაგრძელე მუშაობა. ამ დროისათვის განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ კანონის მიღების საკითხმა. თავიდანვე ცხადი იყო, რომ ერთი კანონის ფარგლებში ყველა რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი მდგომარეობისა და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგება არ იქნებოდა მიზანშეწონილი. საქმე ისაა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი, რომელიც ძირითადი კანონის ზოგადი დებულებების თავშია მოთავსებული, გარდა იმისა, რომ აცხადებდა რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ეკლესიის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან, ამასთანავე აღიარებდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში.

მართლაც, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უდიდეს როლს ასრულებდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების, ქართველი ერის ფიზიკური და სულიერი გადარჩენისათვის ბრძოლის ისტორიულ პროცესში. ქართული ცივილიზაციის მთავარი საფუძველი სწორედ რომ მართლმადიდებლობა იყო. დღესაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს მართლმადიდებელ ეკლესიას ერის გამთლიანებისა და საზოგადოების ზნეობრივი საფუძვლების განმტკიცებაში.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეს განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა მოითხოვდა მისი სამართლებრივი რეგლამენტაციის არაორდინარულ გადაწყვეტას. ამასთანავე, უნდა გამორიცხულიყო სახელმწიფო ოფიციალურ რელიგიად მისი გადაქცევა და რწმენისა და

აღმსარებლობის თავისუფლების საკანონმდებლო წესით ნებისმიერი შეზღუდვა მართლმადიდებლობის სასარგებლოდ.

ამოცანა მეტად რთული იყო, მაგრამ ჩვენ მოვძებნეთ ისტორიული და იურიდიული თვალსაზრისით მისი გადაწყვეტის მართებული ფორმა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსის და მისი სამართლებრივი მდგომარეობის საკითხების განსაზღვრისათვის სახელმწიფოსა და ეკლესიას, როგორც ორ დამოუკიდებელ სუბიექტს შორის კონსტიტუციური შეთანხმება უნდა დადებულიყო, რომელიც მყარ სამართლებრივ გარანტიებს შეუქმნიდა ეკლესიის სტატუსს და სახელმწიფო ხელისუფლებას არ მისცემდა შესაძლებლობას, საკანონმდებლო ნოვაციებით ცალმხრივად შეეცვალა ეკლესიის სამართლებრივი მდგომარეობა. ამავე მიზნით, კონსტიტუციურ შეთანხმებას კონსტიტუციის შემდეგ უპირატესი იურიდიული ძალა უნდა მინიჭებოდა სხვა ნორმატიული აქტების მიმართ.

ამ იდეის განხორციელებისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო საქართველოს კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა და შემდეგ მის საფუძველზე კონსტიტუციური შეთანხმების დადება. ხანგრძლივი კონსულტაციებისა და დებატების შედეგად, რომელიც თავდაპირველად ძირითადად სახელისუფლებო და სასულიერო წრეებში მიმდინარეობდა, პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ 2001 წლის მინურულს საკანონმდებლო ინიციატივით პარლამენტს წარუდგინა ჩვენ მიერ შემუშავებული კონსტიტუციური კანონის პროექტი, რომლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრებოდა კონსტიტუციური შეთანხმებით.

საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნებული ეს კანონპროექტი მაშინვე გახდა მწვავე პოლემიკის საგანი. დისკუსიებში ჩაერთვნენ როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციები, სასულიერო თუ საერო პირები, მეცნიერები, სპეციალისტები, პოლიტიკური პარტიები, უმაღლესი სკოლების წარმომადგენლები და სხვა. გამოითქვა მოსაზრებები როგორც კანონპროექტის მხარდასაჭერად, ისე მის საწინააღმდეგოდ.

კანონპროექტისადმი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა. მათ შენიშვნას ძირითადად ინვევდა ის გარემოება, რომ კანონპროექტის თანახმად, კონსტიტუციური შეთანხმების დადების უფლება გააჩნდა არა ყველა რელიგიურ გაერთიანებას, არამედ მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. ამის გამო, მათი აზრით, ირღვეოდა რელიგიური გაერთიანებების თანასწორობის პრინციპი და მართლმადიდებელ ეკლესიას პრივილეგირებული მდგომარეობა ეძლეოდა საქართველოში მოქმედ სხვა კონფესიებთან შედარებით.

კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვისას წამოჭრილი საკითხების ირგვლივ მოვამზადე წერილი „სახელმწიფო და ეკლესია“, რომელიც 2002 წლის თებერვალში ერთდროულად დასტამბა რამდენიმე გაზეთმა და ჟურნალმა. ამ წერილში, რომელიც წინამდებარე კრებულშია შეტანილი, პასუხი გავეცი თითქმის ყველა სადავო საკითხს და დავასაბუთე კონსტიტუციაში მოსალოდნელი ცვლილებების მიზანშეწონილობა და მართებულობა. კანონპროექტის თაობაზე გამოთქმულ მთავარ შენიშვნას კი ასეთი პასუხი გავეცი:

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ავტოკეფალურია. იგი საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული სხვა ეკლესიების ნაწილი კი არ არის, არამედ ორგანიზაციულად დასრულებული სახით სწორედ საქართველოშია წარმოდგენილი. სხვა კონფესიები კი საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული რელიგიური ორგანიზაციების მხოლოდ სტრუქტურული ერთეულებია და, შესაბამისად, ექვემდებარებიან თავიანთ ცენტრებს. მათ არა აქვთ დამოუკიდებელი მოქმედების უფლებამოსილება. ამასთანავე, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან შედარებით, სრულიად განსხვავებულია მათი როლი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ამდენად, არ არსებობს მათთან კონსტიტუციური შეთანხმების დადების არც იურიდიული და არც ისტორიული საფუძველი. მათი სამართლებრივი მდგომარეობა უნდა განისაზღვროს ჩვეულებრივი, მიმდინარე საკანონმდებლო აქტებით ისე, რომ არ შეიზღუდოს დემოკრატიულ საზოგადოებაში საყოველთაოდ აღიარებული ნორმები და პრინციპები.

2001 წლის 30 მარტს საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუციაში ცვლილებები შეიტანა, რომელმაც საკანონმდებლო საფუძველი შექმნა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების დადებისათვის. ხანგრძლივი დებატების შემდეგ კონსტიტუციური შეთანხმების ტექსტიც მოვამზადეთ. 2002 წლის 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობის დღეს, მცხეთაში სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში კონსტიტუციურ შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოს სახელმწიფოს სახელით საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.

კონსტიტუციურ შეთანხმებაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აღიარებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, განსაზღვრულია ეკლესიის უფლებები კულტურულ-საგანმანათლებლო, თავდაცვის, იუსტიციის, სოციალური დაცვის სფეროებში, ეკლესიის საკუთრებად გამოცხადებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებლური ტაძრები, მონასტრები, მინის ნაკვეთები, სახელმწიფო დაცვაში (მუზეუმებში, საცავებში) არსებული საეკლესიო საგანძური. სახელმწიფო ასევე ადასტურებს XIX-XX საუკუნეებში, სახელმწი-

ფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს და იღებს ვალდებულებას მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე.

კონსტიტუციური შეთანხმების დადებას უნდა მოჰყოლოდა მთელი წყება ნორმატიული აქტებისა, რომლებიც მოაწესრიგებდნენ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობებს ცალკეულ სფეროებში, რაც ჯერჯერობით არ შესრულებულა. აგრეთვე, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან სამართლებრივი ურთიერთობების გარკვევის შემდეგ ხელისუფლებას უნდა ეზრუნა, საკანონმდებლო აქტით, სხვა რელიგიური ორგანიზაციების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრისათვის, რაც ასევე არ გაკეთებულა. ნაცვლად ამისა, პარლამენტმა 2005 წლის 4 ივნისს ცვლილება შეიტანა სამოქალაქო კოდექსში, რომელმაც ყველა რელიგიურ ორგანიზაციას, მათ შორის სექტებსაც, კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით რეგისტრაციის საშუალება მისცა. ჩემი აზრით, საკითხის ასეთი გადაწყვეტა ხელს არ შეუწყობს რელიგიური გაერთიანებების საქმიანობის სფეროში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას, რადგანაც საკანონმდებლო დონეზე კვლავ გაურკვეველი რჩება რელიგიური გაერთიანებების შექმნის, სახელმწიფო რეგისტრაციის, რეგისტრაციაზე უარის თქმის, მათი საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლები და პირობები.

2001 წლის ივნისში საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს კონსტიტუციით დადგენილი უფლებამოსილების ხუთწლიანი ვადა ამოეწურა. კონსტიტუცია თავმჯდომარის მეორე ვადით არჩევის შესაძლებლობას გამორიცხავდა. საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თავის კვოტით საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად დამნიშნა, რა თქმა უნდა, ჩემი თანხმობით. მიმაჩნია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობა განსაკუთრებული პატივია ყველა იურისტისათვის. პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ერთობლივი წარდგინებით, 2001 წლის 10 ივლისს, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა, ფარული კენჭისყრით, ერთხმად ამირჩია თავმჯდომარედ. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც კონსტიტუციით გათვალისწინებული ვადის გასვლის გამო მოხდა ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობის პირის შეცვლა. ამ პრეცედენტის მნიშვნელობას კიდევ უფრო აძლიერებდა ის გარემოება, რომ იგი სასამართლო ხელისუფლების ერთ-ერთ ინსტიტუციაში მოხდა, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით საერთო სასამართლოებზე, სადაც მოსამართლეთა კონსტიტუციით დადგენილი უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე განთავისუფლება ლამის წესად იქცა. ასეთი პრაქტიკა კი ნამდვილად ხელს არ უწყობს მოსამართლეთა დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 1996 წელს შეიქმნა საქართველოს ახალი კონსტიტუციის შესაბამისად, რითაც, საქართველოს ისტორიაში პირველად, სრულფასოვან სასამართლო ხელისუფლებას ჩაეყარა საფუძველი. მას უნდა გაეწონასწორებინა სახელმწიფო ხელისუფლების ორი დანარჩენი განშტოება – საკანონმდებლო და აღმასრულებელი, უზრუნველეყო ძირითადი კანონის უზენაესობა და კონსტიტუციური წესრიგის განმტკიცება.

საკონსტიტუციო სასამართლოს არსებობის განვლილი ხუთი წელი პრაქტიკულად წარმოადგენდა ამ სასამართლო ორგანოს დაფუძნებისა და ჩამოყალიბების ეტაპს. მან ბევრი პრობლემა დაგვანახვა, რომლებიც საკანონმდებლო გადაწყვეტას მოითხოვდნენ. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობის სრულყოფას გვირჩევდნენ უცხოელი ექსპერტებიც.

მთავარი ნაკლი, რომელიც ამ სფეროში მოქმედ კანონმდებლობას აღმოაჩნდა, საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ისეთი პრინციპების დადგენა იყო, რომლებიც კონსტიტუციური სარჩელების გონივრულ ვადებში განხილვის საშუალებას არ იძლეოდნენ. ამის გამო კონსტიტუციური კონტროლი ეფექტიანობას კარგავდა, საკონსტიტუციო სასამართლო კი – მოქალაქეთა ნდობას.

შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად შევიმუშავეთ კანონპროექტები, რომლებიც პარლამენტმა 2002 წლის 12 თებერვალს მიიღო. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. უწინარეს ყოვლისა, გაუქმდა საკონსტიტუციო სამართალწარმოების ის პრინციპები, რომლებიც საქმის დროულად განხილვას აბრკოლებდნენ. შემოღებულ იქნა საქმის განხილვის ახალი, შემჭიდროებული ვადები. საკონსტიტუციო სამართალწარმოება მოქნილი და ეფექტური გახდა. გაფართოვდა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია. მის უფლებამოსილებებს დაემატა ფორმალური კონტროლის განხორციელება. გაფართოვდა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლების მქონე სუბიექტთა წრე, კერძოდ, იურიდიულ პირებს მიეცათ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობა კონსტიტუციით გათვალისწინებული მათი უფლებების დასაცავად და სხვა.

საკანონმდებლო ცვლილებები ფართოდ გავაშუქეთ ტელევიზიით, პრესით. საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის თანამშრომლებმა (ბ. ლოლაძე, ე. გოგიაშვილი, ქ. ერემაძე, ლ. ბოძაშვილი) მოამზადეს და გამოსცეს პოპულარული ბროშურა „როგორ მივმართოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს". ჩემს ერთ-ერთ სტატიაში „ნოვაციები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში", რომელიც წინამდებარე კრებულშია შეტანილი, ამასთან დაკავ-

შირებით ვწერდი: „საკანონმდებლო ნოვაციების განხორციელებისა და ამოქმედების შემდეგ, ჩვენი აზრით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში დადგა ახალი და, ამასთანავე, მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი. საკონსტიტუციო სასამართლომ განახლებულ საკანონმდებლო ბაზაზე დაყრდნობით, კონსტიტუციური კონტროლის უფრო ქმედითად განხორციელებით, უნდა უზრუნველყოს ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის კონსტიტუციურ ფარგლებში მოქცევა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და საბოლოოდ კონსტიტუციის უზენაესობის დამკვიდრება, რაც ჩვენს ქვეყანაში სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების აუცილებელ წინა პირობას წარმოადგენს".

მართლაც, განახლებული კანონმდებლობის ამოქმედების შემდეგ, შემჭიდროებულ ვადებში, მოხდა წინა წლებში დაგროვილი სარჩელების განხილვა. საკონსტიტუციო სასამართლომ პრინციპული და ობიექტური გადაწყვეტილებები მიიღო მრავალ საქმეზე, რამაც საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. მოქალაქეებში თანდათან გაჩნდა რწმენა, რომ მათი უფლებების ეფექტიანი დაცვა შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მეოხებით. მოკლე ხანში საკონსტიტუციო სასამართლო ადამიანის უფლებათა დაცვის მძლავრ ინსტიტუტად გადაიქცა. ნიშანდობლივია, რომ ამ პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლოში შემოსული სარჩელების რაოდენობა ერთიორად გაიზარდა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგანაც ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნებში ყველაზე მწვავედ სწორედ ადამიანის უფლებების დაცვის საკითხი დგას და შესაბამისად, ეფექტიან უფლებადამცველ ინსტიტუციებზე დიდი მოთხოვნილებაა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მთავარი ფუნქცია – არაკონსტიტუციურად ცნოს და ძალადაკარგულად გამოაცხადოს ხელისუფლების ორგანოთა მიერ მიღებული ნორმატიული აქტები, მას იმთავითვე ხელისუფლების მიმართ ოპოზიციის მდგომარეობაში აყენებდა. ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლოს გააქტიურებას სახელისუფლებო წრეები სიხარულით. არ შეხვედრიან. მაგალითად, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთი ავიაკომპანიის სარჩელი დააკმაყოფილა და არაკონსტიტუციურად ცნო „ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ" კანონის ზოგიერთი ნორმა, აგრეთვე ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის კანონქვემდებარე აქტები რეგულირების საფასურის შესახებ, რომელსაც აწესებდა მინისტრი და მიემართებოდა პირდაპირ სამინისტროს გამგებლობაში, მინისტრმა საჯაროდ განაცხადა, რომ ის არ შეეგუებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას.

საყვედური დავიმსახურეთ ქვეყნის პირველი პირისგანაც ელექტროენერგიის მოხმარების ტარიფთან დაკავშირებით საკონსტიტუციო

სასამართლოს მიერ 2002 წლის დეკემბერში მიღებული გადაწყვეტილების გამო.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაკმაყოფილა მოქალაქეთა სარჩელი და არაკონსტიტუციურად, მოქალაქეთა სოციალური უფლებების დარღვევად ცნო სემეკის დადგენილება ელექტროენერგიის მოხმარების ტარიფის გაზრდის შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილების საფუძველი გახდა ის, რომ სემეკმა ბოლო წლების განმავლობაში მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუთვალისწინებლად, რამდენჯერმე გაზარდა ელექტროენერგიის მოხმარების ტარიფი. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, იმ პირობებში, როდესაც მოქალაქეთა შემოსავლების (ხელფასი, პენსია და ა.შ.) მატებაში რაიმე პროგრესი არ შეინიშნებოდა, უფრო მეტიც, სახელფასო და საპენსიო დავალიანებები სულ უფრო იზრდებოდა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფართო მოხმარების საქონელზე – ელექტროენერგიაზე ტარიფების სისტემატური (მეხუთეჯერ) მომატება გაუსაძლის მდგომარეობაში აყენებდა ისედაც სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფართო ფენებს.

სახელმწიფო სოციალური ფუნქციის განხორციელებაზე უარს ვერ იტყვის. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ჩვენ ვაშენებთ სამართლებრივ, დემოკრატიულ და ამასთანავე სოციალურ სახელმწიფოს, რომელიც გულისხმობს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული სოციალური უფლებების დაცვას სახელმწიფოსაგან.

საკონსტიტუციო სასამართლოში ამ საქმის განხილვამ საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. სასამართლოს სხდომებს ხშირად ხუთასზე მეტი ადამიანი ესწრებოდა. მონმის სახით ჩვენების მისაცემად სასამართლოში გამოცხადდნენ საქართველოს მთავრობის ყოფილი და იმჟამინდელი წევრები, მათ შორის სახელმწიფო მინისტრი, დედაქალაქის მერი, კონტროლის პალატის თავმჯდომარე და სხვა თანამდებობის პირები. ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო იმ დროისათვის და სასამართლო ხელისუფლების რეალურ ავტორიტეტზე მიანიშნებდა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადებას სასამართლოს დარბაზში თავმოყრილი უამრავი ადამიანი სიხარულითა და ოვაციებით შეხვდა. ეს მართლმსაჯულების ნამდვილი ზეიმი იყო. სამაგიეროდ, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ 2003 წლის 13 აგვისტოს მთავრობის სხდომაზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ გააკეთა განცხადება: „ჩვენ სხვადასხვა ქვეყანაში ხომ არ ვცხოვრობთ. რატომ არ უნდა მოეთათბირონ მთავრობას ან საქართველოს პრეზიდენტს რომ იღებენ გადაწყვეტილებას ტარიფების შემცირების შესახებ“ (ციტირებულია საოქმო ჩანაწერის მიხედვით). პრეზიდენტის ამ გამოსვლას მინისტრებმაც აუბეს მხარი. ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა, რომ ჩვენგან ხელფასს ითხოვენ, გადაწყვეტილებებს კი არ გვითანხმებენო. სხვათა

შორის, ამ გადაწყვეტილების მიღებამდე რამდენიმე ხნით ადრე, სახელმწიფო მინისტრს მივმართეთ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა გასული წლის სახელფასო დავალიანების გასტუმრებისათვის ზომების მისაღებად.

რა თქმა უნდა, მასმედიამ ეს თემა აიტაცა. მე ამ დროს შვებულებაში ვიმყოფებოდი, მაგრამ ტელეჟურნალისტებმა იქაც მომძებნეს. ინტერვიუში აღვნიშნე: საქართველოს პრეზიდენტმა თავისი გამოსვლით დაადასტურა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მართლაც მიუკერძოებლად, დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს და მომავალშიც არ ვაპირებთ წინასწარ ვინმეს შევუთანხმოთ ჩვენი გადაწყვეტილებები. ერთ თვეში ევროსაბჭოს მონიტორინგის ჯგუფი ეწვია საქართველოს. მათ ჩვენთანაც გამართეს შეხვედრა. ჯგუფის ხელმძღვანელმა მათეას იორშმა მისალმებისთანავე მრავალმნიშვნელოვნად მკითხა, ხელფასს თუ გაძლევენო. მან კმაყოფილება გამოთქვა საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობით და ევროსაბჭოს სახელით მხარდაჭერა აღგვითქვა.

მინდა აღვნიშნო, რომ სემეკმა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება აღასრულა და ელექტროენერგიის ტარიფი შეამცირა. ეს ტარიფი მოქმედებს დღესაც, რითაც საქართველოს მოსახლეობას მნიშვნელოვანი შეღავათი მიეცა.

2003 წლის შემოდგომაზე საპარლამენტო არჩევნების მორიგი გაყალბების მცდელობამ სახელისუფლებო კრიზისი გამოიწვია. როგორც ოპოზიციური პარტიები, ისე ამომრჩევლებიც სიმართლის დასადგენად კვლავ ქუჩაში აღმოჩნდნენ (უკვე მერამდენედ). საპროტესტო მიტინგებმა და მანიფესტაციებმა ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ ქვეყანა მორიგი სამოქალაქო დაპირისპირების რეალური საფრთხის წინაშე დადგა. საინტერესო ის იყო, რომ პროტესტის ძირითადი ტალღა უკვე არჩევნების შედეგების გამოცხადებამდე აგორდა. აუცილებელი იყო პოლიტიკური პროცესები სამართლებრივ ფორმაში მოქცეულიყო. ამ პერიოდში მე ერთ-ერთ გაზეთს მივეცი ინტერვიუ, რომელშიც აღვნიშნავდი, რომ შეუძლებელია არჩევნების შედეგები ქუჩაში გადაწყდეს. ეს ხომ ყოველგვარ წარმოდგენას არღვევს არა მხოლოდ არჩევნებზე, არამედ ნორმალური სახელმწიფოს არსებობაზე. ამიტომ ჯერ ცესკომ უნდა გამოაქვეყნოს არჩევნების შედეგები და ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი მისი გასაჩივრება საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელიც უფლებამოსილია, არჩევნების შედეგები ბათილად ცნოს. რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა, მით უმეტეს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ წინა საპარლამენტო არჩევნების შედეგები ოთხ ოლქში, რომლებშიც მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს, ბათილად ცნო. თუ საკონსტიტუციო სასამართლო ახლაც არჩევნების შედეგებს ბათილად ცნობდა, მაშინ დაი-

ნიშნებოდა ხელახალი არჩევნები და პოლიტიკური კრიზისიც სამართლებრივი საშუალებებით მოგვარდებოდა.

მართალია, სახელისუფლებო კრიზისი ამჯერად პოლიტიკური, მშვიდობიანი საშუალებებით განიმუხტა, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე გადადგა პოსტიდან, მაგრამ მაშინვე გაჩნდა სამართლებრივი ფორმების გამოყენების საჭიროება, კერძოდ, ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების კანონიერების თუ კონსტიტუციურობის შემოწმების აუცილებლობა, რაც მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციაში შედიოდა. სამწუხაროდ, სასამართლო ხელისუფლების შესაძლებლობები მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემდეგ იქნა გამოყენებული და ისიც არასწორად. პრეზიდენტის გადადგომის შემდეგ უზენაესმა სასამართლომ ბათილად ცნო პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგები, რისი კომპეტენციაც მას არ გააჩნდა. ეს მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივაა. ამის შემდეგ იყო მცდელობა, რომ 2003 წელს ჩატარებული არჩევნების შედეგები მთლიანად (პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით) საკონსტიტუციო სასამართლოს განეხილა დეპუტატთა ჯგუფის სარჩელის საფუძველზე, მაგრამ ეს სარჩელი მისმა ავტორებმა მალე უკანვე გაიტანეს.

ამ ფაქტმა დამანახვა, რომ საჭირო იყო სასამართლო ხელისუფლების როლის ახლებურად გააზრება არჩევნების გზით ხელისუფლების ორგანოთა ფორმირების პროცესში, განსაკუთრებით კი, არჩევნების ადმინისტრირებაში.

სწორედ არჩევნების ადმინისტრირების საკითხი იწვევდა ყველაზე მეტ დავას 2003 წელს საქართველოში სახელისუფლებო კრიზისის დროს.

დავის საგანი ძირითადად იყო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი. ხელისუფლების მხრიდან არჩევნების გაყალბების მრავალწლიანმა პრაქტიკამ, რომელზედაც ჩვენ უკვე ზემოთ გვქონდა საუბარი, პოლიტიკურ წრეებში დაამკვიდრა საბჭოური სინამდვილისათვის ცნობილი შეხედულების უტყუარობა, რომ არჩევნებს იგებს ის, ვინც ხმებს ითვლის. ამიტომ საარჩევნო კომისიებში გავლენის მოპოვებისათვის ბრძოლამ გადამწყვეტი ხასიათი მიიღო. გაჩნდა მრავალი მოსაზრება საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესის შესახებ. ზოგიერთი ხელისუფლებას სთავაზობდა პარიტეტულ საწყისებზე (არჩევნებში მონაწილე პარტიების წარმომადგენლებით) კომისიების დაკომპლექტებას. სხვები მოითხოვდნენ საარჩევნო კომისიების შექმნას არაპარტიული, პროფესიული ნიშნის მიხედვით, აგრეთვე კომისიებში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების შეყვანას და სხვა. დებატებმა ისეთი სახე მიიღო, რომ ამ საქმეში ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის ჩარევაც კი გახდა საჭირო, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა სწორედ ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირე-

ბით და საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესის თავისი ვარიანტიც კი ჩამოიტანა.

კამათი საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესის თაობაზე, რომელიც 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე დაიწყო, არჩევნების შემდეგაც გაგრძელდა.

ამ საკითხზე 2003 წლის მიწურულს ევროსაბჭოში გაიმართა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ხელისუფლების, ავტონომიების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები. მე სიტყვით გამოვედი კონფერენციაზე და ჩემი შეხედულებები გავაცანი კონფერენციის მონაწილეებს საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესის და, საერთოდ, არჩევნებში სასამართლოების როლის შესახებ. ამავე საკითხზე მოხსენება გავაკეთე 2004 წლის 27-28 თებერვალს მოსკოვში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომლის ინიციატორი იყო ევროსაბჭოს ვენეციის კომისია. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ 21 სახელმწიფოს კონსტიტუციონალისტები, კონსტიტუციური მართლმსაჯულების წარმომადგენლები. ჩემი მოხსენება „საკონსტიტუციო სასამართლოს როლი ხელისუფლების ორგანოთა ფორმირების კონსტიტუციური პრინციპების უზრუნველყოფაში" გამოქვეყნდა კონფერენციისადმი მიძღვნილ სპეციალურ გამოცემაში და წინამდებარე კრებულშია შეტანილი.

ჩემი შეხედულება ამ საკითხზე გულისხმობდა ხელისუფლების ორგანოთა არჩევნებში სასამართლოების როლის კიდევ უფრო გაძლიერებას. საქმე ისაა, რომ პარტიული ან თუნდაც არაპარტიული პრინციპით შექმნილ საარჩევნო კომისიას მნიშვნელოვანი ნაკლი გააჩნდა, რაც თავიდანვე იწვევდა მის მიმართ უნდობლობას არჩევნებში მონაწილე სუბიექტების მხრიდან.

პარტიული პრინციპით საარჩევნო კომისიის დაკომპლექტებისას კომისიის წევრები, როგორც წესი, ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ მათი პარტიული ინტერესებით და ამიტომ ხშირად არაობიექტურ, არაკანონიერ გადაწყვეტილებებს უჭერდნენ მხარს. არაპარტიული, პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებული საარჩევნო კომისია კი, მართალია, იდეაში ობიექტური, მიუკერძოებელი გადაწყვეტილებების მიღების მეტ გარანტიებს ქმნის, მაგრამ პარტიული პრეზიდენტისა და ამავე პარტიის საპარლამენტო უმრავლესობით შექმნილი საარჩევნო კომისია არჩევნებში მონაწილე „საპრეზიდენტო პარტიის" მიმართ ლოიალურად რომ იქნება განწყობილი, ესეც ცხადია.

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით საარჩევნო კომისიის დაკომპლექტებას, ესეც არ იქნებოდა მართებული, რადგანაც, ჯერ ერთი, მათი დიდი ნაწილი ქვეყნის გარედან არის დაფინანსებული, მეორე, ისინი ხშირად ამა თუ იმ პარტიის გავლენას განიცდიან

და მესამე, სახელმწიფოს ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელებაში მონაწილეობის მიღება მათი საქმე არ უნდა იყოს.

ჩემი აზრით, მთელი საარჩევნო პროცესი საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების მიერ უნდა წარიმართოს. უწინარეს ყოვლისა, მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს სასამართლო ხელისუფლების ამ ორ ინსტიტუციას შორის საარჩევნო კომპეტენციები. საერთო სასამართლოების ამოცანა უნდა იყოს არჩევნების მიმდინარეობისას წამოჭრილი სადავო საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტა (მაგალითად, ამომრჩეველთა სიაში უზუსტობის ფაქტების განხილვა-გადაწყვეტა და სხვა). საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებში კი უნდა მოექცეს, არჩევნების დანიშვნიდან დაწყებული, მთელ საარჩევნო პროცესზე ზედამხედველობა, არჩევნების შედეგების დადგენა და გამოცხადება. საარჩევნო ადმინისტრაცია უნდა შედგებოდეს საჯარო მოსამსახურეებისაგან და საკონსტიტუციო სასამართლოს კონტროლით მოქმედებდეს.

დაახლოებით მსგავსი სისტემაა საფრანგეთში, სადაც კვაზისასამართლო ორგანო – საკონსტიტუციო საბჭო ახორციელებს ამ ფუნქციას. რა უპირატესობები გააჩნია ამ მოდელს?

ჯერ ერთი, საკონსტიტუციო სასამართლო ყველაზე მეტად არის დაცული სახელისუფლებო და პარტიული გავლენისაგან, მას აქვს დამოუკიდებლობის დიდი ხარისხი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილებების მიღების მომეტებული შესაძლებლობები;

მეორე, არჩევნების სფეროში საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების განხორციელება მოხდება არჩევნების შედეგების გამოცხადებამდე და არა მის შემდეგ, როგორც ეს მოქმედი კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. ამის შედეგად, თანამდებობის პირის არჩევნების ლეგიტიმურობის საკითხი აღარ ხდება სადავო და იგი, საკონსტიტუციო სასამართლოს დასტურით, შეუდგება თავისი მოვალეობების შესრულებას.

სამწუხაროდ, ეს წინადადება არ გაიზიარეს არც 2003 წლის არჩევნებამდე და არც არჩევნების შემდეგ. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ფორმირების ლეგიტიმურობის საკითხი კი ჩვენს ქვეყანაში კვლავაც აქტუალური რჩება.

მაშინ როცა ჩვენ საკონსტიტუციო სასამართლოს და საერთოდ სასამართლო ხელისუფლების როლისა და უფლებამოსილებების გაფართოების წინადადებებზე ვფიქრობდით, ხელისუფლებამ სრულიად საწინააღმდეგო ნაბიჯები გადადგა.

იუსტიციის სამინისტრომ 2004 წლის ოქტომბერში ევროსაბჭოს ვენეციის კომისიას დასკვნისათვის გაუგზავნა ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის „თავისუფლების ინსტიტუტის" მიერ შემუშავებული კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა დამოუკიდებლად არსებული საკონსტიტუციო სასამართლოს გაუქმებას უზენაეს სასამართლოსთან მისი

შეერთების გზით. ამ პროექტის განხორციელება მოასწავებდა ქვეყანაში საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციის დაკნინებას და ამ ფუნქციის განმახორციელებელი მოსამართლეების დამოუკიდებლობის დაკარგვას. არც ერთ ქვეყანაში, სადაც ეს ინსტიტუციები ცალ-ცალკე არსებობენ (ევროპული მოდელი), არავის გადაუდგამს ნაბიჯი მათ გასაერთიანებლად. იმ ქვეყნებში კი, სადაც საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციას მართლმსაჯულების განმახორციელებელი საერთო სასამართლოები ასრულებენ (ამერიკული მოდელი), ეს მათი ისტორიული განვითარების თავისებურებებითაა გამოწვეული, ვიდრე კონცეპტუალური მიდგომით. ხელისუფლების ეს მცდელობა უარყოფითად შეაფასა ვენეციის კომისიამ. ამ პროექტისადმი ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება გამოვთქვი ვენეციის კომისიაზე (როგორც ამ კომისიის წევრმა) და პრესის მეშვეობით. მაგალითად, გაზეთმა „ახალმა თაობამ" ჩემთან ინტერვიუს ასეთი სათაური წაუმძღვარა: „საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების გაერთიანება დაუშვებელია".

ასეთი წინააღმდეგობების გამო, ამ კანონპროექტს შემდგომი მსვლელობა არ მიეცა, მაგრამ 2004 წლის მიწურულს კვლავ განმეორდა ასეთივე მცდელობა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ, ოღონდ ახლა უფრო მაღალ დონეზე და ფართო მასშტაბით. 2004 წლის 17 დეკემბერს პარლამენტმა საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოაქვეყნა საქართველოს პრეზიდენტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი კონსტიტუციური კანონის პროექტი, რომელიც მნიშვნელოვან ცვლილებებს ითვალისწინებდა სასამართლო ხელისუფლებაში. კანონპროექტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო აღარ განიხილებოდა როგორც სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება, საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების ყველა მოსამართლეს კონსტიტუციით დადგენილი ვადის გასვლამდე უნყდებოდა უფლებამოსილება (ამ წესიდან „ბედნიერი" გამონაკლისი დაშვებული იყო მხოლოდ უზენაესი სასამართლოს ახლად არჩეული თავმჯდომარის მიმართ), საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თანამდებობიდან გადაყენება შესაძლებელი ხდებოდა იმპიჩმენტით, მცირდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თანამდებობის დაკავების ასაკობრივი ცენზი, იცვლებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების წესი – ყველა მოსამართლეს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევდა პარლამენტი, საკონსტიტუციო სასამართლოს აღარ ექნებოდა არჩევნების კონსტიტუციურობის დადგენის კომპეტენცია, იზღუდებოდა იმ ნორმატიული აქტების წრე, რომლის გასაჩივრების უფლებაც ჰქონდათ მოქალაქეებს და სხვა.

რადგანაც კანონპროექტი საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდა, ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლომ თავს უფლება მისცა, გამოეთქვა მასზე თავისი მოსაზრებები. საკონსტიტუციო სასამარ-

თლოს ორგანიზაციულ პლენუმზე განვიხილეთ და მივიღეთ შენიშვნები ამ კანონპროექტის თაობაზე. ჩვენ მიერ შემუშავებულ დოკუმენტში (რომელიც წინამდებარე კრებულშია შეტანილი) დასკვნის სახით ნათქვამია: „საკონსტიტუციო სასამართლო თვლის, რომ აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინების გარეშე ამ კანონპროექტის მიღება გამოიწვევს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ხელყოფას, მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებათა გარანტიებისა და მართლმსაჯულების განხორციელების მნიშვნელოვნად შესუსტებას, რაც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის კონსტიტუციური კანონიერების მდგომარეობას საქართველოში, რომელსაც ჯერ კიდევ არ გააჩნია სამართლებრივი სახელმწიფოს, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის მყარი ტრადიციები".

ჩვენი შენიშვნები გავუგზავნეთ საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, პარლამენტის კომიტეტებს, მთავრობის წევრებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, მასმედიას. ამასთანავე, დასკვნისათვის მივმართეთ ევროსაბჭოს ვენეციის კომისიას.

მასმედიაში, ძირითადად, კრიტიკულად გაშუქდა კანონპროექტის დებულებები. ჩვენ შევეცადეთ, შევხვედროდით კანონპროექტის ავტორებს და მათთან გაგვემართა მსჯელობა, მაგრამ უშედეგოდ. კანონპროექტის ავტორები ვერ დავადგინეთ.

ამ დროს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კონსტანტინე კემულარიამ ტელევიზიით განაცხადა, რომ „ამ კანონპროექტს არც დედა ჰყავს და არც მამაო". ვენეციის კომისიამ უარყოფითად შეაფასა კანონპროექტი. ვენეციის კომისიაში მკითხეს, თუ ვინ იყო ამ კანონპროექტის ავტორი. მე ასეთი პასუხი გავეცი: როდესაც ამა თუ იმ ქვეყანაში ტერორისტული აქტი მოხდება, მაშინვე რომელიმე ორგანიზაცია თუ პირი იღებს მასზე პასუხისმგებლობას, ნარმოდგენილ კანონპროექტზე კი საქართველოში არავინ იღებს პასუხისმგებლობას-მეთქი.

ვენეციის კომისიის უარყოფით დასკვნას ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია მოჰყვა, რომელშიც ევროსაბჭო გამოთქვამდა შეშფოთებას საქართველოს კონსტიტუციაში მოსალოდნელი ცვლილებების გამო. ნათელი გახდა, რომ კანონპროექტის ამ სახით მიღებას პერსპექტივა არ ჰქონდა. პარლამენტის კომიტეტებში მის კორექტირებას შეუდგნენ. ბევრი საეჭვო ნორმა ამოიღეს, თუმცა ჯერჯერობით კანონპროექტს საბოლოო სახე ვერ მისცეს. რადგანაც კანონპროექტი მის ინიციატორს უკან არ გამოუწვევია, ეს საკითხი, სამწუხაროდ, მაინც ღიად უნდა ჩავთვალოთ.

რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით?

ხელისუფლებისაგან ასეთი მცდელობა პირველი შემთხვევა რომ იყოს, მაშინ ჩვენ თავს შევიკავებდით მისი შეფასებისაგან, მაგრამ მსგავსი

მცდელობები უკვე ტენდენციად იქცა, რაც, ჩემი აზრით, საგანგაშოა. ამიტომ სათქმელი უნდა ითქვას.

ჩვენ დემოკრატიული ინსტიტუტები კი არ უნდა დავასუსტოთ, არამედ, პირიქით, მათ გაძლიერებაზე უნდა ვზრუნავდეთ. სამართლიანი სასამართლო აუცილებელია როგორც ხელისუფლებათა გასაწონასწორებლად, მათი თვითნებობისა და ავტორიტარიზმის გამოვლინებათა აღსაკვეთად, ისე ადამიანის უფლებათა დასაცავად. თუ ადამიანს არა აქვს იმედი, რომ მიუკერძოებელ სასამართლოში პოვებს სამართალს, მაშინ იგი არასამართლებრივი გზებით შეეცდება თავისი უფლებების დაცვას. ამას კი საზოგადოებაში უსათუოდ ქაოსი და ანარქია მოჰყვება. თუ ჩვენ გვსურს დემოკრატიულ სახელმწიფოში ვიცხოვროთ, მაშინ ყველა, მათ შორის უმაღლესი ხელისუფალიც, უნდა შეეგუოს იმას, რომ იარსებებენ თავისთავადი ინსტიტუციები, რომლებიც კონსტიტუციით და კანონით მათთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებლად მიიღებენ გადაწყვეტილებებს და არ იქნებიან ვინმეს ნება-სურვილის აღმსრულებელნი. ამ წესს ალტერნატივა არ გააჩნია. ქვეყნის სხვაგვარად განვითარება სრულიად უპერსპექტივო საქმეა.

საკუთარ შეცდომებზე სწავლების რესურსი ჩვენს ქვეყანას აღარ გააჩნია. სხვა ქვეყნების მაგალითები, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, უხვადაა თანამედროვე მსოფლიოში. საჭიროა მხოლოდ კარგისა და ცუდის გარჩევის უნარი აღმოაჩნდეს ხელისუფლებასა და საზოგადოებას.

საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში ღიად იქნა დატოვებული და მისი გადაწყვეტა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდგომი პერიოდისათვის გადაიდო.

კონსტიტუციის პროექტზე მუშაობისას მე მომხრე ვიყავი, ეს საკითხი სრულფასოვნად მოეწესრიგებინა ძირითად კანონს და შემდეგ გვეზრუნა მისი დებულებების ხორცშესხმისათვის. ჩემი აზრით, საქართველო ასიმეტრიული რეგიონალიზმის პრინციპით უნდა მოწყობილიყო. ამის წინა პირობას ქმნიდა ის გარემოება, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე ქვეყანაში არსებობდა რამდენიმე ავტონომიური რეგიონი, რომელთა შენარჩუნება გარდაუვალი იქნებოდა. ამასთანავე, ავტონომიების მიღმა დარჩენილი ტერიტორია რაიონებად იყო დაყოფილი, ე.ი. ასიმეტრია უკვე სახეზე იყო, მაგრამ ეს ასიმეტრია იმდენად დიდი იყო, რომ ამ სახით მისი შენარჩუნება მომავალში შეუძლებელი იქნებოდა, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ქვეყნის პარლამენტის ზედა პალატაში – სენატში – ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენელთა რაოდენობის დაბალანსება პრობლემა გახდებოდა. ჩემი აზრით, საჭირო იყო ამ ასიმეტრიის შემცირება ავტონომიების მიღმა დარჩენილი ტერიტორიის მსხვილ ოლქებად ან მხარეებად დაყოფის გზით. თითოეულ ოლქში რამდე-

ნიმე რაიონი იქნებოდა მოქცეული. გარკვეულ ეტაპზე, განსაკუთრებით კი სრულფასოვანი ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბების შემდეგ, რაიონის როგორც ადმინისტრაციული ერთეულის საჭიროებაც აღარ იქნებოდა. ამასთანავე, არ იყო აუცილებელი ოლქების საქართველოს ისტორიულ კუთხეებთან იდენტიფიცირება. მაშასადამე, ქვეყანა დაყოფილი იქნებოდა რამდენიმე ტერიტორიულ ერთეულად, რომელთა ნაწილს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი ექნებოდა, ხოლო ნაწილს – ოლქისა. ავტონომიურ რესპუბლიკას, როგორც სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს, ექნებოდა თავისი კონსტიტუცია, ხელისუფლების ორგანოები და ა.შ., ოლქს კი – ავტონომიასთან შედარებით ნაკლები სამართლებრივი სტატუსი. ასიმეტრიის აზრიც სწორედ ამაში მდგომარეობს. რა თქმა უნდა, იმავდროულად, უნდა მომხდარიყო ცენტრსა და რეგიონებს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნა, საკუთრების, საფინანსო, ეკონომიკური და სხვა საკითხების გადაწყვეტა.

ეს წინადადება საქართველოს კონსტიტუციის მიღებისას არ იქნა გათვალისწინებული. კონსტიტუციაში, მართალია, დარჩა დებულებები ორპალატიან პარლამენტზე, მისი დაკომპლექტების წესზე, ტერიტორიულ ერთეულებზე, ცენტრსა და რეგიონებს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის პრინციპზე, რაც რეგიონალიზმის თუ ფედერალიზმის ნიშნებზე მიუთითებს, მაგრამ ეს ყოველივე მხოლოდ სამომავლო ამოცანად არის დასახული. რაც შეეხება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებს, კონსტიტუციამ მათი სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრასაც აარიდა თავი და ისინი ძირითად კანონში მოხსენიებული იყო როგორც აფხაზეთი და აჭარა. არადა, ეს რეგიონები, მათი კონსტიტუციების შესაბამისად, ავტონომიურ რესპუბლიკებად რჩებოდნენ. ამასთანავე, საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავდა მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების განსაკუთრებულ კომპეტენციას. რაც შეეხება ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებსა და ავტონომიების განსაკუთრებულ კომპეტენციას, ისინი ცენტრალური ხელისუფლების მიერ გადაუწყვეტელი რჩებოდა. ეს გარემოებები ცენტრსა და, განსაკუთრებით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის მრავალ გაუგებრობასა და კონფლიქტებს წარმოშობდა.

ამასთანავე, ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხის საკანონმდებლო მოუწესრიგებლობის პირობებში, ძალაში რჩებოდა საქართველოს ისტორიულ კუთხეებში შემავალ რაიონებში პრეზიდენტის რწმუნებულების დანიშვნის ინსტიტუტი, რომელიც 1993 წლიდან მომდინარეობდა. ამის შესაბამისად, ქვეყნის ტერიტორია, ავტონომიების გარდა, ფაქტობრივად დაყოფილი იყო 9 მხარედ: კახეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, იმერეთი, სამეგრელო და ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, გურია, სამცხე-ჯავახეთი. თბი-

ლისი, როგორც საქართველოს დედაქალაქი, სპეციალური სტატუსით სარგებლობდა. ეს ქვეყნის რეგიონული მოწყობის მხოლოდ იმიტაციას ქმნიდა. სინამდვილეში არავითარ ლეგალურ სამხარეო დაყოფასთან საქმე არ გვქონდა. ერთი კი იყო, რომ იგი ქვეყნის პრეზიდენტს ხელს უწყობდა ადგილებზე უშუალო მმართველობის განხორციელებასა და პოლიტიკის გატარებაში. ამას ემატებოდა ისიც, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა საერთოდ განუვითარებელი რჩებოდა, ხოლო სხვა ადმინისტრაციული ერთეულებისაგან განსხვავებით, თბილისისა და ფოთის მერებს პრეზიდენტი ნიშნავდა.

1999-2000 წლების საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ქვეყნის ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი კვლავ აქტუალური გახდა. განსაკუთრებული ყურადღების საგნად აჭარის სტატუსი იქცა, რომელიც ერთადერთი ავტონომია იყო, სადაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია ვრცელდებოდა, თუმცა წინააღმდეგობები ცენტრსა და ამ რეგიონს შორის სულ უფრო თავს იჩენდა. ჩემი აზრით, ამას ძირითადად განაპირობებდა ის ფაქტი, რომ ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილებები არ იყო გამიჯნული. აჭარის თაობაზე წამოჭრილ საკითხს მე უფრო ზოგადად შევხედე და საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს შევთავაზე, შექმნილიყო სამთავრობო კომისია, რომელიც მოამზადებდა წინადადებებს საქართველოს ცენტრალურ და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის თაობაზე. აჭარის ავტონომიასთან უფლებამოსილებების გამიჯვნა არა მხოლოდ ამ რეგიონის სტატუსის დადგენისათვის იყო საჭირო, არამედ იგი გარკვეულ პრეცედენტს, წინა პირობას შექმნიდა მთლიანად ქვეყნის ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობისათვის. ამასთანავე, რადგანაც აფხაზეთს და აჭარას ადრე თანაბარი სახელმწიფო-სამართლებრივი სტატუსი გააჩნდათ ავტონომიური რესპუბლიკების ფორმით, ამიტომ აჭარის სტატუსი ისე უნდა განსაზღვრულიყო, რომ ავტონომიის პირობაზე, ამ სტატუსის მიმართ შენიშვნები არ გასჩენოდათ აფხაზ სეპარატისტებს. აჭარის სტატუსის დადგენის შემდეგ, საქართველოს კონსტიტუციით, ანალოგიურად უნდა განსაზღვრულიყო აფხაზეთის სტატუსიც. აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება ამას ალბათ არ დასთანხმდებოდა, მაგრამ ამით, ჯერ ერთი, ყველასათვის გახდებოდა ცნობილი ჩვენი შეთავაზება და ხედვა აფხაზეთის სტატუსის შესახებ, რომელიც ფართო ავტონომიას გულისხმობდა, მეორე, საქართველოს ხელისუფლებას მიეცემოდა კანონიერი საფუძველი, ყველასათვის მოეთხოვა ქვეყნის ძირითადი კანონის შესრულება და მესამე, სეპარატისტებს მოუხდებოდათ აფხაზეთისათვის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული ფართო ავტონომიის სტატუსის უარყოფა და აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ წარმოდგენა, რაც სრულიად მიუღებელია თანამედროვე

მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობისათვის. ამის შედეგად, აფხაზეთთან მიმართებაში მორალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი უპირატესობა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხარეზე დარჩებოდა.

ედუარდ შევარდნაძემ მოიწონა ეს წინადადება და დამავალა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელთან ასლან აბაშიძესთან კონსულტაციების გამართვა სამთავრობო კომისიის შემადგენლობის თაობაზე. ასლან აბაშიძე მაშინვე გამოეხმაურა ამ წინადადებას და 2000 წლის 4 მარტს ოფიციალურად გამოგზავნა წერილი სამთავრობო კომისიაში აჭარიდან წარმოდგენილ პირთა შეყვანის შესახებ. ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ ასლან აბაშიძესთან შეხვედრისას, მან დაბეჯითებით მოითხოვა აჭარისა და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან კომისიის პარიტეტულ საწყისზე დაკომპლექტება. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ იგი ბოლომდე არ ენდობოდა ცენტრალურ ხელისუფლებას აჭარის სტატუსის განსაზღვრაში და ამიტომ ცდილობდა სამთავრობო კომისიაში რეგიონის პოზიციების გამაგრებას. საქართველოს პარლამენტი კი, მიუხედავად ჩემი არაერთგზის შეხსენებისა, არ ჩქარობდა კომისიაში პარლამენტის შემადგენლობიდან წევრების წარმოდგენას.

სამთავრობო კომისიის საკითხებზე მუშაობასთან ერთად იუსტიციის სამინისტროში მოვამზადეთ საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების კანონპროექტი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივით გადაეცა პარლამენტს. 2000 წლის 20 აპრილს მიღებული ამ კანონის შედეგად, საქართველოს კონსტიტუციაში აჭარა მოხსენიებულია როგორც ავტონომიური რესპუბლიკა, რომლის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ". კონსტიტუციაში ამ ჩანაწერს პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა იმ თვალსაზრისით, რომ იგი პირდაპირ მიუთითებდა ავტონომიის მიმცემ და ავტონომიის მიმღებ სუბიექტებზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველოს კონსტიტუციაში უკვე მკაფიოდ იყო აღნიშნული, რომ რეგიონისათვის ავტონომიის სტატუსის მინიჭება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივა იყო.

ამ დროს, 2000 წლის 21 ივნისს, სრულიად შემთხვევით, ტელემაუწყებლობის ერთ-ერთი არხის საინფორმაციო გადაცემიდან შევიტყვე, რომ მომდევნო დღეს გაიმართებოდა აჭარის უმაღლესი საბჭოს სხდომა, რომელიც განიხილავდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში მეტად მნიშვნელოვან ცვლილებებს. აჭარის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, რასაკვირველია, ამ რეგიონის ხელისუფლების კომპეტენციაა, მაგრამ იმ პერიოდში, როდესაც მუშაობას უნდა შესდგომოდა სამთავრობო კომისია ცენტრსა და აჭარის ავტონომიას შორის უფლება-

მოსილებების გამიჯვნის თაობაზე, მათი მხრიდან ასეთი ნაბიჯი, რბილად რომ ვთქვათ, უადგილო იყო. მე სასწრაფოდ დავუკავშირდი პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს. მან ამის თაობაზე არაფერი იცოდა, ამიტომ დამავალა, სასწრაფოდ ნავსულიყავი აჭარაში, მომეპოვებინა იქ უფრო სრული ინფორმაცია და მემოქმედა ჩემი შეხედულებისამებრ. აჭარის ხელმძღვანელობას შევატყობინე, რომ პრეზიდენტის დავალებით ჩავდიოდი კონსტიტუციურ ცვლილებებთან დაკავშირებით. მათ ერთი დღით გადადეს უმაღლესი საბჭოს სხდომა.

აჭარის ხელმძღვანელთან და დეპუტატებთან შეხვედრების შედეგად გავარკვიე, რომ მათ ფაქტობრივად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქციის პროექტი მოემზადებინათ, რომელსაც არსებითი ცვლილებები შეჰქონდა ავტონომიის ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში, ავტონომიის უფლებამოსილებებში და სხვა.

კონსტიტუციური ცვლილებების პროექტი დღის ბოლოსათვის გადმომცეს. მაშინვე უკან გამოვბრუნდი და ბათუმიდან თბილისამდე მგზავრობისას გულდასმით გავეცანი კანონპროექტს. კონსტიტუციური ცვლილებების პროექტის მთელი რიგი დებულებები ეჭვს იწვევდა საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით კი, ცენტრისა და ავტონომიის კომპეტენციათა ურთიერთმიმართებისას. მეორე დღესვე, 23 ივნისს, იუსტიციის სამინისტროში შევადგინეთ შენიშვნები კანონპროექტზე, საქმის კურსში ჩავაყენე პრეზიდენტი და აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ელექტრონული ფოსტით გავუგზავნე ასეთი შინაარსის წერილი: „გაახლებთ ჩვენს შენიშვნებსა და წინადადებებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქციის პროექტზე. სამწუხაროდ, შენიშვნებისა და წინადადებების მოსამზადებლად მხოლოდ ერთი დღე გვქონდა. კარგი იქნებოდა, ეს საკითხები განხილულიყო სამთავრობო კომისიაში, სადაც მოგვეცემოდა საშუალება, უფრო საფუძვლიანად გვემსჯელა ამ უაღრესად აქტუალურ პრობლემებზე".

24 ივნისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ კონსტიტუციური ცვლილებები მიიღო. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოთქმული 22 შენიშვნიდან კონსტიტუციის ახალ რედაქციაში გაითვალისწინეს მხოლოდ ერთი შენიშვნა, რომლის თანახმად, ავტონომიის განსაკუთრებული გამგებლობის სფეროდან უნდა ამოღებულიყო მიგრაციის საკითხები. დანარჩენი 21 შენიშვნა კონსტიტუციის მიღების პროცესში გაზიარებული არ იქნა.

მიუხედავად იმისა, რომ ავტონომიის ხელისუფლებამ უფლებამოსილებათა „ბაგირი" თავის მხარეს გადაქაჩა და ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაში შეიჭრა, მე მაინც ვიმედოვნებდი, რომ ამ საკითხებს საბოლოოდ სამთავრობო კომისიის სხდომებზე გადავწყვეტდით.

12 ივნისს პარლამენტმა, როგორც იქნა, წარმოადგინა სამთავრობო კომისიაში შესაყვან პირთა სია. საქართველოს პრეზიდენტმა 2000 წლის 3 აგვისტოს გამოსცა ბრძანებულება „საქართველოს ცენტრალური და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებათა შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის თაობაზე სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ". კომისიის შემადგენლობა 18 კაცით განისაზღვრა. კომისიის თავმჯდომარეობა მე დამეკისრა. სამთავრობო კომისიის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა წინადადებების შემუშავება საქართველოს ცენტრალურ და აჭარის ავტონომიის ხელისუფლებათა განსაკუთრებულ გამგებლობას, აგრეთვე მათ ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე. ამის შედეგად კომისიას უნდა მოემზადებინა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი.

კომისიის მუშაობა რომ შედეგიანი ყოფილიყო, იუსტიციის სამინისტროში შევუდექით შესაბამისი ნორმატიული აქტების, ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებზე საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებათა შესახებ მასალების მოპოვებას კომისიის წევრების საინფორმაციო უზრუნველყოფის მიზნით. კომისიის პირველი სხდომა ოქტომბრის დასაწყისში დავგეგმეთ, მაგრამ იგი არ შედგა, რადგანაც სწორედ ამ დროს გადავდექი იუსტიციის მინისტრის თანამდებობიდან და კომისიაც ხელმძღვანელის გარეშე დარჩა.

შემდეგ ეს კომისია არც არავის გახსენებია და აჭარის, ისევე როგორც ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხიც დროებით დავიწყებას მიეცა. ერთადერთი გამონაკლისი იყო 2002 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილება, რომელმაც აჭარის მსგავსად, აფხაზეთიც მოიხსენია ავტონომიურ რესპუბლიკად და მიუთითა ამ ავტონომიის სტატუსის განმსაზღვრელ საკანონმდებლო აქტზე – საქართველოს კონსტიტუციურ კანონზე „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ".

2003 წლის ბოლოსა და 2004 წლის დასაწყისში, საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ცენტრსა და აჭარის ავტონომიას შორის ურთიერთობა ისევ დაიძაბა. ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების უკმაყოფილებას იწვევდა, სწორედ ავტონომიის მიერ ცალმხრივად გაზრდილი უფლებამოსილებები იყო. 2003 წლის 19 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელიც კი შემოვიდა აჭარის ხელისუფლების მიერ ავტონომიის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების კონსტიტუციურობის თაობაზე. საკონსტიტუციო სასამართლომ ეს სარჩელი არსებითად განსახილველად მიიღო.

მე კვლავ წამოვწიე საკითხი ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის აუცილებლობის შესახებ. 2004 წლის 22 მარტს

ამის თაობაზე საფუძვლიანი საუბარი მქონდა საქართველოს ახლად არჩეულ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან. ჩემი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ სამთავრობო კომისია, რომელიც 2000 წელს შეიქმნა და მთელი ამ წლების მანძილზე უმოქმედოდ იყო, გადახალისდებოდა და განაახლებდა მუშაობას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის განსაზღვრისათვის სასარგებლო იქნებოდა ასევე ევროსაბჭოს, განსაკუთრებით კი, ვენეციის კომისიის ექსპერტების მოწვევა. ამის შედეგად, ცენტრსა და აჭარას შორის დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობები სამართლებრივი მოწესრიგების ფორმაში გადავიდოდა, რაც შესაძლო გაუგებრობებს თავიდან აგვაცილებდა. პრეზიდენტის წინადადებით რამდენიმე დღეში გავემგზავრე აჭარაში ავტონომიის ხელმძღვანელობასთან ამ და სხვა მიმდინარე საკითხების განსახილველად.

ასლან აბაშიძესთან მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. იგი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო, რომ ცენტრსა და ავტონომიას შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის საკითხის განხილვა ახლა დაწყებულიყო. მისი აზრით, ამაზე საუბარი შეიძლებოდა მხოლოდ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. საქართველოს პარლამენტის არჩევნების შემდეგ კი ცენტრსა და ავტონომიას შორის პოლიტიკური ურთიერთობა იმდენად დაიძაბა, რომ ავტონომიის ხელმძღვანელობამ არათუ პოსტები, არამედ ქვეყანაც კი დატოვა.

ახლად არჩეულმა საქართველოს პარლამენტმა ამჯერად ცენტრალური ხელისუფლების მხარეს გადაქაჩა უფლებამოსილებათა „ბაგირი" და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" 2004 წლის პირველ ივლისს მიღებული საქართველოს კონსტიტუციური კანონით ამ ავტონომიის სამართლებრივი მდგომარეობა მეტად მოკრძალებულად განსაზღვრა.

მანამდე, 2004 წლის 25 მაისს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა დაკმაყოფილა დეპუტატთა ჯგუფის სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანული კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ", აგრეთვე ავტონომიის მეთაურის 2004 წლის 7 იანვრის განკარგულება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ". ეს გადაწყვეტილება ავტონომიური რეგიონის უფლებამოსილებების თვითნებურად, ცალმხრივად გაზრდის შედეგი იყო, ხოლო ცენტრის მიერ ავტონომიის სტატუსის მოკრძალებულად განსაზღვრა – რეგიონული სეპარატიზმის საშიშროებით იყო განპირობებული.

ამის გამო, საბოლოოდ, მივიღეთ ამ ავტონომიური ერთეულის დეფორმირებული სტატუსი, რომლის მეოხებით, ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოები საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მუდმივი კონტროლის ქვეშ მოექცნენ. ამიტომ გასაკვირი არ იყო, რომ ევროსაბ-

ჭოს ვენეციის კომისიამ, ჯერ კიდევ 2004 წლის ივნისში, კრიტიკულად შეაფასა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ კანონ-პროექტი. სამწუხაროდ, ვენეციის კომისიის შენიშვნები ამ კანონის მიღებისას არ იქნა გათვალისწინებული, რასაც იმავე წლის ოქტომბერში ვენეციის კომისიის პლენარულ სხდომაზე მწვავე შეფასებები მოჰყვა.

სხდომაზე კომისიის წევრებმა საყვედურის ტონით დამისვეს კითხვა, რომ აჭარის ავტონომიის სტატუსის ამგვარად განსაზღვრის შემდეგ, როგორ ვაპირებთ აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან ურთიერთობების გაუმჯობესებას, რა მაგალითს ვაძლევთ მათ და, საერთოდ, ასეთი მიდგომით, როგორ ვფიქრობთ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. მე შევეცადე ჩემი ქვეყნის ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაცვას. ოპონენტებს მივმართე, რომ აჭარის ავტონომიის სტატუსთან დაკავშირებით, ევროსაბჭო ნუ მოგვთხოვს ბოლშევიკური რუსეთის დანატოვარი მემკვიდრეობის ხელუხლებლად შენარჩუნებას. ამჟამად აჭარაში ავტონომიური მმართველობის აუცილებლობას არც ეთნიკური, არც ენობრივი და აღარც კულტურულ-რელიგიური საფუძველი აღარ გააჩნია. ქართულ საზოგადოებაში და სახელისუფლებო წრეებში ამ რეგიონის სტატუსის მიმართ არსებობს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მიდგომა: ზოგი თვლის, რომ აჭარაში ავტონომია სრულიად ზედმეტია და უნდა გაუქმდეს, სხვები მიიჩნევენ, რომ მისი შენარჩუნება საჭიროა ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად. ამიტომ საქართველოს პარლამენტმა არც გააუქმა ეს ავტონომია და არც ფართო უფლებამოსილებები მისცა მას. ვიმედოვნებ, რომ ამ რეგიონის სტატუსს საქართველოს ხელისუფლება კვლავ დაუბრუნდება მთლიანად ქვეყნის ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხის გადაწყვეტისას.

ამ პასუხისა თუ განმარტების შემდეგ, ვენეციის კომისიაზე აჭარის თაობაზე დისპუტები კი შეწყდა, მაგრამ ერთ თვეში საქართველოს შესახებ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში ასეთი ახალი ვალდებულება გაჩნდა: „შესწორდეს ბოლო დროს მიღებული აჭარის ავტონომიის სტატუსი საქართველოს ტერიტორიული და ადმინისტრაციული რეფორმის კონტექსტში ვენეციის კომისიის დასკვნის გათვალისწინებით“. ამ დასკვნის გათვალისწინება, რასაკვირველია, მოგვიწევს, მაგრამ მანამდე, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩვენ თვითონაც უნდა გავაკეთოთ დასკვნა, სახელდობრ, როდესაც რეგიონს ავტონომიის სტატუსს ვანიჭებთ, ეს, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს იმას, რომ კანონით მკაფიოდ დადგენილია საკითხთა წრე, რომელსაც რეგიონი გადაწყვეტს მხოლოდ მის მიერ შექმნილი სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით, ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად. ეს რეგიონის განსაკუთრებული კომპეტენციაა, რომელშიც ცენტრალური ხელისუფლება ვერ

ჩაერევა. ევროსაბჭოს ექსპერტების შენიშვნების არსიც სწორედ ამაში მდგომარეობს. ეს გასათვალისწინებელი იქნება მომავალში არა მხოლოდ ავტონომიების მიმართ, არამედ, საერთოდ, საქართველოში სრულფასოვანი ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბებისათვის. არ შეიძლება, მაგალითად, ადგილობრივ თვითმმართველობას ახორციელებდეს ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნული მერი. ეს შეუთავსებელი ინსტიტუტების შეთავსების ფუჭი მცდელობაა. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2005 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილა მოქალაქეთა სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ", აგრეთვე „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" კანონების ის ნორმები, რომელთა თანახმად, თბილისის და ფოთის მერებს თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

ამრიგად, საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხის გადაწყვეტისას, უნდა მოხდეს როგორც ხელისუფლების დანაწილება ცენტრალურ და რეგიონულ დონეებს შორის, ისე დამოუკიდებელი ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის ჩამოყალიბება.

ჩემი ერთ-ერთი ბოლო წერილი, რომელიც ამ კრებულშია შეტანილი, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების საკითხს და მასთან დაკავშირებით რუსეთის პოლიტიკას ეხება. წერილი სათაურით „თანამეგობრობა რუსულად" ქართულ და რუსულ ენებზე 2005 წლის დასაწყისში გამოვაქვეყნე პრესაში.

წერილში სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დე-ფაქტო ხელმძღვანელთა და რუსეთის სახელისუფლო წრეების წარმომადგენელთა მცდელობებს, რომელთა მიზანია რუსეთის შემადგენლობაში ფედერაციის ახალ სუბიექტებად აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიების მიღებისათვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნა.

2004 წლის 9 დეკემბერს რუსეთის სახელმწიფო დუმაში წარადგინეს კანონპროექტი, რომლის ავტორები (ფრაქცია „როდინას" დეპუტატთა ჯგუფი) ხელისუფლებას სთავაზობენ რუსეთის ფედერაციაში ახალი სუბიექტების მიღების გამარტივებულ პროცედურას სსრ კავშირის ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების იმ ავტონომიებისათვის, რომელთა საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსი ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის. კანონპროექტის მიხედვით, გამარტივებული პროცედურის არსი მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთის ფედერაციაში ახალ სუბიექტებად ამ ავტონომიების მიღება შესაძლებელია, თუ ავტონომიის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი, რეფერენდუმის გზით, გამოავლენს რუსეთის ფედერაციაში შესვლის ნება-სურვილს. რა თქმა უნდა, იმ სახელმწიფოს, რომლის შემადგენლობაშიც ეს ავტონომია შედის, არაფერს ეკითხებიან.

წერილში აღვნიშნავ, რომ სხვა ქვეყნების ტერიტორიების შემოერთება საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობების საგანია და არა მხოლოდ რუსეთის საშინაო საქმე. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო დუმაში წარდგენილი კანონპროექტი პირდაპირ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ათივე პრინციპს. უფრო მეტიც, იგი შეუთავსებელია თვით რუსეთის ნაციონალურ სამართალთან და რუსეთის მონაწილეობით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებთან.

ეს წერილი ინგლისურ ენაზეც ითარგმნა და, ჩვენი მეცადინეობით, ხელმისაწვდომი გახდა უცხოელი ექსპერტებისათვის, აგრეთვე საქართველოში აკრედიტებული საზღვარგარეთის ქვეყნების დიპლომატიური კორპუსისათვის. წერილი გავუგზავნე ჩემს კოლეგებსაც რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოში. მათ გამოთქვეს თავიანთი მოსაზრება ამ საკითხზე და სწორი პოზიციაც დაიკავეს.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში 2005 წლის დასაწყისში შედგა ამ კანონპროექტის განხილვა და კენჭისყრა. იგი არ იქნა მიღებული სწორედ იმ მოტივით, რომ კანონპროექტით გათვალისწინებული წესი ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს.

ვერ ვიტყვი, რომ ჩემმა წერილმა იმოქმედა რუსეთის კანონმდებლებზე და ხელი ააღებინა ამ სამარცხვინო საქმეზე, მაგრამ საზოგადოების ინფორმირება რუსეთის პოლიტიკური წრეების ნამდვილ ზრახვებზე რომ საჭიროა, ვფიქრობ, დავას არ უნდა იწვევდეს.

ამ წერილში გამოაშკარავებულია რუსეთის პოლიტიკის ორმაგი ბუნება საქართველოსთან მიმართებით. ერთი მხრივ, იგი საქვეყნოდ აცხადებს, რომ პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ხოლო, მეორე მხრივ, ყველაფერს აკეთებს, ჩამოაცილოს საქართველოს სეპარატისტული რეგიონები. სეპარატიზმის მხარდაჭერით რუსეთი გვაიძულებს „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში" და, ბუნებრივია, თავისი გავლენის სფეროში ყოფნას. ამასთან დაკავშირებით ჩემს წერილში ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ „ძალადობაზე დამყარებული „მეგობრობა" ვერასოდეს ვერ იქნება თანამეგობრობა. სწორედ ამის გამო დაიშალა და დაინგრა ყველა – მათ შორის რუსეთისა და საბჭოთა იმპერიებიც. იგივე ბედი ელის ამ „თანამეგობრობასაც".

განვლილი წლებისათვის თვალის გადავლება იმისთვისაცაა საჭირო, რომ სწორად განვსაზღვროთ, სამომავლოდ რა ვაკეთოთ. ჩვენს ქვეყანას ამჟამად განვითარების ახალი და, ამასთანავე, უაღრესად საპასუხისმგებლო ეტაპი დაუდგა. მიუხედავად ამისა, ქართველი კაცის საკეთებელი მაინც იგივეა, რასაც დიდი ილია თითქმის საუკუნე-ნახევრის წინათ შთაგვაგონებდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პა-

პათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ მათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“ ამ სიტყვებს დღესაც, მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზეც არ დაუკარგავს თავისი ცხოველმყოფელი ძალა და მნიშვნელობა ქართველი ერისათვის. მართალია, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღვადგინეთ, მაგრამ მამული ჯერ კიდევ ვერ გავამთლიანეთ. ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოვაცხადეთ, მაგრამ ყველგან ვერ განვავრცეთ ენა ქართული და ვერ მივაღწიეთ იმას, რაც ფარნავაზმა შეძლო, როცა „არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“. ქართველობა უძველესი ქრისტიანი მართლმადიდებელი ერია, მაგრამ სარწმუნოების დაცვა კვლავაც საშურ საქმედ რჩება.

ილია ჭავჭავაძის ნაანდერძევი „მამული, ენა, სარწმუნოება“ ჩვენი ეროვნული მრწამსის ყველაზე სრულყოფილი გამოხატულებაა. ის არა მხოლოდ ქართველთა მსოფლგაგების არსს გადმოსცემს, არამედ, იმავდროულად, მონოდებაცაა, რომელსაც უნდა მისდევდეს ქართველი ერის უკლებლივ ყველა თაობა. „მამული, ენა, სარწმუნოება“ ის მარადიული ფასეულობებია, რომელთაც თვალისჩინივით უნდა ვუფრთხილდებოდეთ და ვპატრონობდეთ, თუ გვსურს გადარჩენა და ათასწლეულებს გამოვლილი ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება.

ჯონი ხეცურიანი

თბილისი, 2005 წელი, 1 სექტემბერი.

9 აპრილიდან 9 აპრილამდე

9 აპრილის ტრაგედიის გამოძახილი

9 აპრილის ტრაგედიამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია საზოგადოებრიობაში. ჩვენი მშრომელებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები ითხოვენ, სინათლე მოეფინოს სინამდვილეს, შევისწავლოთ და გამოვამზეუროთ ის მიზეზები, რომლებმაც ამ უბედურებამდე მიგვიყვანა.

მიმდინარე წლის 9 აპრილს დედაქალაქში დატრიალებული ტრაგედია, ჩვენი აზრით, სცილდება ცივილიზებულ სახელმწიფოში უნებართვო მიტინგების, დემონსტრაციებისა და მანიფესტაციების აღსაკვეთად გამიზნულ სამართლის ნორმებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა ფარგლებს და შეიცავს უდანაშაულო ადამიანების ორგანიზებული, განსაკუთრებული სისასტიკით მასობრივი ხოცვა-ჟლეტის ნიშნებს. ამ წარმოუდგენელმა აქციამ გამოიწვია საყოველთაო გლოვა და აღშფოთება.

როგორც საკდესის საინფორმაციო ცნობაშია აღნიშნული, თავყრილობის აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილება მიუღია რესპუბლიკის ხელმძღვანელობას. ამიტომ, საზოგადოებრივი აზრით, სერიოზულ ეჭვს იწვევს რესპუბლიკის სამთავრობო კომისიის ობიექტურობა, რამეთუ არავინ შეიძლება იყოს საკუთარ მოქმედებათა პირუთვნელი შემფასებელი და მსაჯული.

მიგვაჩნია, რომ მომხდარი ტრაგედიის გამოსაძიებლად, სპეციალური კომისია უნდა შექმნას სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ – საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ, რომელშიც გაერთიანდებიან როგორც დეპუტატები, ისე საზოგადოების კომპეტენტური წარმომადგენლები. ასეთი კომისიის შექმნის აუცილებლობა პირდაპირაა გათვალისწინებული რესპუბლიკის ძირითადი კანონით – კონსტიტუციით (119–ე მუხლი).

სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის თანამშრომლები გამოთქვამენ მზადყოფნასა და სურვილს, მონაწილეობა მიიღონ კომისიის მუშაობაში ზნეობრივი და იურიდიული პასუხისმგებლობის სრული შეგნებით.

თ. შავგულიძე – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
გ. ნადარეიშვილი – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
თ. ლილუაშვილი – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი;
დ. ფურცელაძე – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი;
ჰ. ფარვიზფური – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი;
ჯ. ხეცურიანი – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი და სხვები[1].

გაზეთი „კომუნისტი“, №85, 1989 წელი, 12 აპრილი.

[1] ნერილს ხელს აწერს 38 კაცი.

დასკვნა

1989 წლის 9 აპრილს თბილისში კომენდანტის საათის შემოღების კანონიერების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევი კომისიის ქვეკომისიებმა დაამთავრეს ზოგიერთი საკითხის გამოკვლევა. ვიწყებთ მათი დასკვნების გამოქვეყნებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში არსებული დოკუმენტების შესწავლის, პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მუშაკებისაგან მიღებული ახსნა-განმარტებების, აგრეთვე 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით გავრცელებული ცნობების ანალიზის საფუძველზე, თბილისში კომენდანტის საათის შემოღების საკითხთან დაკავშირებით, გამოირკვა შემდეგი გარემოებანი:

1989 წლის 9 აპრილს, გამთენიისას, თბილისში, მთავრობის სახლის წინ მოედანზე მრავალათასიანი უსანქციო მიტინგის დარბევის შემდეგ დედაქალაქში შექმნილი რთული, დაძაბული ვითარების ნორმალიზაციის მოტივით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 9 აპრილს საჭიროდ მიიჩნია ქალაქში კომენდანტის საათის შემოღება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოამზადა კომენდანტის საათის შემოღების შესახებ ბრძანებულების პროექტი, რომელიც მოიწონა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და თავისი 1989 წლის 9 აპრილის დადგენილებით, ბრძანებულების პროექტი განსახილველად გადასცა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

იმავე დღეს, 19 საათზე, მოიწვიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ე. ჩერქეზია, თავმჯდომარის მოადგილე თ. შ. კაბულოვა, პრეზიდიუმის მდივანი ვ. ა. კვარაცხელია და პრეზიდიუმის წევრები: ი. ო. ანდრიაძე, ვ. ბ. ბლაჟიევსკი, ზ. ა. კვაჭაძე, ვ. ა. კოჩოიანი, ჯ. ვ. მარგველიძე, კ. ს. მამედოვი, მ. ა. მეზვრიშვილი, რ. ნ. ჩიხლაძე. პრეზიდიუმის საერთო შემადგენლობაში მყოფი 19 პირიდან სხდომას დაესწრო 11 (ოქმი №37).

პრეზიდიუმის მდივან, ამხ. ვ. ა. კვარაცხელიას ჩანაწერიდან ირკვევა, რომ სხდომაზე ინფორმაციით არსებული ვითარების შესახებ გამოვიდა ო. ე. ჩერქეზია. მან აღნიშნა, რომ „ამჟამად ქალაქში რთული, დაძაბული ვითარებაა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს საჭიროდ მიაჩნია,

შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ქალაქში კომენდანტის საათის შემოღება. ამიტომ საკითხი შემოგვაქვს თქვენს განსახილველად". აზრი გამოთქვეს: ზ. კვაჭაძემ, ჯ. მარგველიძემ, მ. მეზვრიშვილმა, ვ. კვარაცხელიამ, რ. ჩიხლაძემ, ი. ანდრიაძემ, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ქალაქში კომენდანტის საათის შემოღებას. ამ წინადადების ნინააღმდეგ არავის გამოუთქვამს მოსაზრება.

ამრიგად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1989 წლის 9 აპრილს, 19 საათზე ერთხმად მიიღო ბრძანებულება ქ. თბილისში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ. ბრძანებულებაში ვკითხულობთ: „შექმნილი ვითარების გათვალისწინებით შემოღებულ იქნეს ქალაქ თბილისში საკომენდანტო საათი 1989 წლის 9 აპრილიდან".

იმავე დღეს საინფორმაციო პროგრამა „ვრემიამ" ცენტრალური ტელევიზიით გადმოსცა ცნობა 9 აპრილს, დილით, თბილისში მომხდარი ამბების შესახებ, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ რესპუბლიკის დედაქალაქში შემოღებულია კომენდანტის საათი. საინფორმაციო პროგრამა „ვრემიას" დამთავრების შემდეგ, 22 საათსა და 52 წუთზე, საქართველოს ტელევიზიით გამოვიდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ი. ნ. როდიონოვი. მან განაცხადა, რომ იგი დანიშნულია ქალაქ თბილისის სამხედრო კომენდანტად და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილების შესაბამისად, ქალაქ თბილისში 9 აპრილის 23 საათიდან წესდება კომენდანტის საათი (23 საათიდან დილის 6 საათამდე). ი. ნ. როდიონოვმა თავისი გამოსვლა დაამთავრა 22 საათსა და 56 წუთზე, ე. ი. 4 წუთით ადრე, ვიდრე კომენდანტის საათი ძალაში შევიდოდა.

1989 წლის 10 აპრილს საკდესმა, საკავშირო პრესის საშუალებით, გაავრცელა ინფორმაცია თბილისში მდგომარეობის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ რესპუბლიკური ორგანოების გადაწყვეტილებით, ქალაქში შემოღებულია კომენდანტის საათი (იხ. გაზ. „იზვესტია", 1989 წ., 10 აპრილი).

1989 წლის 11 აპრილს რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნდა ი. ნ. როდიონოვის მიმართვა ქალაქ თბილისის მოსახლეობისა და მშრომელებისადმი, რომელიც 9 აპრილს მის სატელევიზიო გამოსვლას იმეორებდა.

1989 წლის 16 აპრილს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით (ტელევიზიით, რადიოთი) გადაიცა სამხედრო კომენდანტის ცნობა, სადაც აღნიშნულია: „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს რეკომენდაციით მიღებულია გადაწყვეტილება შემცირდეს კომენდანტის საათის ხანგრძლივობა. 16 აპრილიდან კომენდანტის საათი იმოქმედებს 24 საათიდან დილის 5 საათამდე". რესპუბლიკურმა პრესამ ეს ცნობა გამოაქვეყნა 17 აპრილს (იხ. გაზ. „კომუნისტი", 1989 წლის 17 აპრილი).

1989 წლის 17 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გამოიტანა დასკვა, რომ 1989 წლის 18 აპრილიდან ქალაქში შეიქმნა კომენდანტის საათის სრული გაუქმების პირობები და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს რეკომენდაცია მისცა, მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

იმავე დღეს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. რომელსაც ესწრებოდნენ პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია, თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა, მდივანი ვ. კვარაცხელია და პრეზიდიუმის წევრები: ი. ანდრიაძე, ბ. ვაშაკიძე, ვ. ბლაუიევსკი, ზ. კვაჭაძე, ვ.კოჩოიანი, კ. მამედოვი, მ. მეზვრიშვილი, ო. პატიაშვილი, რ. ჩიხლაძე (ოქმი №38). რაიმე ჩანაწერი პრეზიდიუმის სხდომის მიმდინარეობის შესახებ არ არსებობს. პრეზიდიუმმა მიიღო შემდეგი შინაარსის ბრძანებულება: „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 9 აპრილის ბრძანებულებით ქალაქ თბილისში შემოღებული საკომენდანტო საათი გაუქმდეს 1989 წლის 18 აპრილის 5 საათიდან“.

აღნიშნული ბრძანებულების ტექსტი იმავე დღეს გადაეცა ტელევიზიითა და რადიოთი. პრესაში გამოქვეყნდა 18 აპრილს (იხ. გაზ. „თბილისი“, 1989 წ., 18 აპრილი).

ასეთია მიმდინარე წლის აპრილში თბილისში კომენდანტის საათის შემოღებისა და გაუქმების ფაქტობრივი გარემოებანი.

მათი იურიდიული შეფასებისათვის და იმის დასადგენად, თუ რამდენად კანონიერი იყო თბილისში კომენდანტის საათის შემოღება, საჭიროა, გავითვალისწინოთ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მოქმედი კანონმდებლობების ის დებულებები, რომლებიც განკუთვნილია ასეთი შემთხვევებისათვის.

კომენდანტის საათი განსაკუთრებული ღონისძიებაა, რომელიც ითვალისწინებს მოქალაქეთა და ორგანიზაციათა ცხოვრებისა და საქმიანობის სპეციალურ წესებს მთელ ქვეყანაში ან მის ცალკეულ ადგილებში სამხედრო წესების გამოცხადების დროს.

„სამხედრო წესების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 22 ივნისის ბრძანებულების თანახმად, სამხედრო წესების გამოცხადება ხდება სსრ კავშირის თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისა და სახელმწიფო უშიშროების ინტერესებისათვის. სამხედრო წესების გამოცხადების შემთხვევაში, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ყველა ფუნქცია, თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უშიშროების სფეროში, გადადის შესაბამისი ტერიტორიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს ხელში.

ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტის მე-3 პუნქტში დეტალურად არის მოცემული ის წესები, რომლებსაც კომენდანტის საათის ცნების შინაარსი მოიცავს. სახელდობრ, დაწესებულებების, საწარმოებისა და

ორგანიზაციების მუშაობის დროის განსაზღვრა, ქუჩაში მოძრაობის, მოქალაქეთა მიმოსვლის აკრძალვა განსაზღვრული დროის შემდეგ, აუცილებლობის შემთხვევაში ჩხრეკა და მოქალაქეთა დაკავება, სამხედრო წესების ტერიტორიაზე შესვლისა და გასვლის შეზღუდვა და ა. შ.

მაშასადამე, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, კომენდანტის საათის შემოღება უნდა მოხდეს მას შემდეგ, როცა გამოცხადებული იქნება სამხედრო წესები.

ვინაიდან სამხედრო წესები გულისხმობს განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს მთელი რიგი კონსტიტუციური ნორმების მოქმედებას, მისი გამოცხადების უფლებამოსილება, 1977 წლის სსრ კავშირის კონსტიტუციით (მასში შარშანდელ პირველ დეკემბერს შეტანილ ცვლილებამდე), ეკუთვნოდა მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს (121-ე მუხლის მე-15 პუნქტი). მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობის მოთხოვნით, სსრ კავშირის კონსტიტუციაში 1988 წლის პირველი დეკემბრის კანონით შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების შემდეგ სამხედრო ან საგანგებო წესების გამოცხადების უფლება, მართალია, კვლავ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უფლებამოსილებაში დარჩა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ამ საკითხს აუცილებლად განიხილავს შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან ერთად (119-ე მუხლის მე-14 პუნქტი). მაშასადამე, მოკავშირე რესპუბლიკას სამხედრო ან საგანგებო წესების დამოუკიდებლად გამოცხადების და, შესაბამისად, კომენდანტის საათის შემოღების უფლება არა აქვს. მას შეუძლია, მხოლოდ გამოთქვას თავისი წინადადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ამ საკითხის გადაწყვეტისას.

1989 წლის აპრილში ქ. თბილისში კომენდანტის საათის შემოღებასთან დაკავშირებით არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და ამ საკითხის შესახებ არსებული კანონმდებლობის ანალიზი საფუძველს გვაძლევს, გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 9 აპრილის ბრძანებულება ქ. თბილისში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ ანტიკონსტიტუციური აქტია, რადგან რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს არც სსრ კავშირის და არც საქართველოს სსრ კონსტიტუციებით ასეთი უფლებამოსილება არ გააჩნია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანამდებობის პირებმა გადაამეტეს ხელისუფლებას, მიიღეს ისეთი სამართლებრივი აქტი, რომელიც აშკარად სცილდება მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებათა ფარგლებს.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელმა მუშაკებმა არაფერი იღონეს კომენდანტის საათის შემოღების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დაუყოვნებლივ გამოქვეყნებისათვის, რითაც უხეშად დაარღვიეს „საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა აქტების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 4 მარტის ბრძანებულების მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აქტები, რომლებიც ფართო და დაუყოვნებლივ გამოყენებას მოითხოვს, იბეჭდება რესპუბლიკურ გაზეთებში: „კომუნისტში", „ზარია ვოსტოკაში", აგრეთვე შეიძლება გამოქვეყნდეს ტელევიზიითა და რადიოთი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანამდებობის პირთა დაუდევრობის გამო, თბილისის მოსახლეობა კომენდანტის საათის ძალაში შესვლამდე არ იყო ინფორმირებული ქალაქში ასეთი ღონისძიების შემოღების შესახებ. უფრო მეტიც, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზემოაღნიშნული ბრძანებულების ტექსტი პრეზიდიუმის სახელით რესპუბლიკურ გაზეთებში არ გამოქვეყნებულა და ტელევიზიითა და რადიოთი არ გადაუციათ.

ამ გარემოებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 9 აპრილის ბრძანებულებაში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ არ იყო განსაზღვრული ბრძანებულებით გათვალისწინებული ღონისძიების ძალაში შესვლის საათი.

3. იმის გამო, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 9 აპრილის ბრძანებულება თბილისში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ სცილდება მისი კომპეტენციის ფარგლებს და, ამდენად, ანტიკონსტიტუციური აქტია, ხოლო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს არ გამოუცხადებია ქ. თბილისში სამხედრო ან საგანგებო წესები (ან თუნდაც კომენდანტის საათი), სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სათანადო სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა და, შესაბამისად, არც უფლება ჰქონდა, ქ. თბილისის კომენდანტად დაენიშნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ი. ნ. როდიონოვი, ხოლო ამ უკანასკნელს განეხორციელებინა კომენდანტის საათით გათვალისწინებული საგანგებო ღონისძიებანი.

4. გენერალ-პოლკოვნიკმა ი. ნ. როდიონოვმა ჯეროვნად არ შეასრულა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა და კომენდანტის საათის შემოღება თბილისის მოსახლეობას აუწყა ამ ღონისძიების ძალაში შესვლამდე 4 წუთით ადრე, რის გამოც, მრავალი თბილისელი, აგრეთვე სხვა ადგილებიდან თბილისში ჩამოსული მოქალაქეები, რომლებმაც

ვერ შეიტყვეს კომენდანტის საათის შემოღება, უნებლიედ გადაიქცნენ სამართალდამრღვევებად.

5. რამდენადაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირების, აგრეთვე პირადად გენერალ-პოლკოვნიკ ი. ნ. როდიონოვის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებს მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგები (კომენდანტის საათის ძალაში შესვლისთანავე სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შედეგად რამდენიმე მოქალაქის დაჭრისა და გარდაცვალების შემთხვევები და სხვა), საქართველოს სსრ პროკურატურამ და სსრ კავშირის სამხედრო პროკურატურამ, კანონის შესაბამისად, უნდა განიხილონ და გადაწყვიტონ ზემოაღნიშნულ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი.

6. რესპუბლიკის პარტიულმა ხელმძღვანელობამ უხეშად დაარღვია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების მე-6 მუხლის, სკკპ წესდების მე-60 მუხლის, სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებისა და სკკპ XIX კონფერენციის რეზოლუციის მოთხოვნები პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციათა გამიჯვნის შესახებ.

ის გარემოება, რომ კომენდანტის საათის შემოღების, შემცირებისა და გაუქმების შესახებ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს გადაწყვეტილებებს, ყველა შემთხვევაში, წინ უსწრებდა ამავე საკითხებზე პარტიული ორგანოს გადაწყვეტილებანი და რეკომენდაციები, ადასტურებს, რომ ჩვენს ქვეყანაში სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირება ჯერ კიდევ ჩანასახის მდგომარეობაშია.

პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციების ზუსტი გამიჯვნისათვის საჭიროდ მიგვაჩნია, მიღებულ იქნეს ნორმატიული აქტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება სსრ კავშირში პოლიტიკური პარტიის (თუ პარტიების) სამართლებრივი სტატუსი, მისი კომპეტენციის ფარგლები და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთმოქმედების ფორმები.

7. მიუტევებელი ხარვეზებია სსრ კავშირის კანონმდებლობაში, რომლებიც საგანგებო წესებს ეხება. სამხედრო წესების შესახებ მოქმედი ნორმატიული აქტი თითქმის ნახევარი საუკუნის წინათაა მიღებული და, ცხადია, შესაბამისი ეპოქის სულისკვეთებას გამოხატავს. სსრ კავშირის კონსტიტუციის 119-ე მუხლით სულ ახლახანს შემოღებული ინსტიტუტების „საგანგებო წესებისა" და „მართვის განსაკუთრებული ფორმების" შინაარსი ჯერჯერობით არც ერთი ნორმატიული აქტით არ არის განსაზღვრული. ასევე ბურუსითაა მოცული ბოლო დროს პრაქტიკაში დანერგილი საგანგებო ღონისძიების – კომენდანტის საათის გამოცხადების პროცედურა. პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ სსრ კავშირის 20-იანი წლების კანონმდებლობა, ამ მხრივ, უფრო სრულყოფილად გამოიყურება.

ცივილიზებულ სამართლებრივ სახელმწიფოში კანონიერების რეჟიმი უნდა მოქმედებდეს როგორც ნორმალურ, ისე განსაკუთრებულ პირობებში. ამისათვის აუცილებელია, რაც შეიძლება მალე, შეიქმნას საგანგებო კანონმდებლობა.

ჯონი ხეცურიანი

საგამოძიებო ქვეკომისიის თავმჯდომარის მოადგილე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

დასკვნა განიხილა და დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევმა კომისიამ (1989 წლის 17 მაისი, ოქმი №6).

გაზეთი „კომუნისტი", №117, 1989 წელი, 21 მაისი.
გაზეთი „თბილისი", №116, 1989 წელი, 22 მაისი.
Газета «Заря Востока», № 119, 23 мая 1989 года.

„საჭირო დაზუსტებანის“ გამო

მიმდინარე წლის 21 მაისს გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევი კომისიის საგამოძიებო ქვეკომისიის დასკვნა „1989 წლის 9 აპრილს ქ. თბილისში კომენდანტის საათის შემოღების კანონიერების შესახებ“.

ამავე გაზეთის 24 მაისის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივან ვ. კვარაცხელიას და პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგე ი. ჩიქოვანის წერილი სათაურით „საჭირო დაზუსტებანი“, რომელშიც ავტორები განმარტავენ 9 აპრილს ქ. თბილისში კომენდანტის საათის შემოღებასთან დაკავშირებულ გარემოებებს და საჭიროდ მიიჩნევენ ზოგიერთი კორექტივის შეტანას საგამოძიებო ქვეკომისიების დასკვნაში. რადგან მათ მიაჩნიათ, რომ დასკვნაში დაშვებულია უზუსტობანი, ამიტომ აუცილებლად ჩავთვალეთ პასუხის გაცემა.

მაინც რომელ უზუსტობებთან გვაქვს საქმე? რამდენად საჭიროა მათი გათვალისწინება?

ისინი დაბეჯითებით გვარწმუნებენ, რომ „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რომელიმე სახეობის ჯარის შემოყვანის შესახებ არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია არც 9 აპრილამდე და არც შემდეგ“. სავსებით სწორია, მაგრამ ჩვენს დასკვნაში ხომ ამ საკითხს საერთოდ არ ვეხებით. საგამოძიებო ქვეკომისია ამჟამად სწავლობს მიტინგის აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილების მიღების კანონიერებას და მისი დასრულების შემდეგ ვიმედოვნებთ, ცნობილი გახდება, თუ ვისი გადაწყვეტილებით იქნა მოწვეული ჯარები საქართველოში. ასე რომ, ეს საკითხი დამოუკიდებელი მსჯელობის საგანია და ცალკე დასკვნაში პოვებს ასახვას.

წერილის ავტორები იზიარებენ ჩვენს დებულებას საგანგებო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების შესახებ და გვამცნობენ, რომ საქართველოს ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ, ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე დააყენა სამხედრო და საგანგებო მდგომარეობის შესახებ კანონების მიღების აუცილებლობის საკითხი. სამწუხაროდ, ასეთი აქტები, როგორც ისინი აღნიშნავენ, დღემდე არ მიუღიათ.

აქ უზუსტობაა დაშვებული. დასკვნაში გასაგებად წერია, რომ სპეციალური კანონები ჯერჯერობით მიღებული არ არის მხოლოდ ახლახან შემოღებული კონსტიტუციური ინსტიტუტების „საგანგებო წესებისა“ და „მართვის განსაკუთრებული ფორმების“ თაობაზე. რაც შეეხება „სამ-

ხედრო წესებს", მის შესახებ არსებობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 22 ივნისის ბრძანებულება, რომელიც, მართალია, თითქმის 50 წლის წინათ, დიდი სამამულო ომის დაწყების დღეს არის მიღებული და, ჩვენი აზრით, სრულყოფას საჭიროებს, მაგრამ ეს გარემოება სრულებითაც არ აკნინებს მის იურიდიულ ძალასა და ზოგადნორმატიულ მნიშვნელობას. ბრძანებულების პირველი პუნქტიდან ირკვევა, რომ ეს ნორმატიული აქტი მიღებულია სამხედრო წესების შესახებ კონსტიტუციური ნორმის კონკრეტიზაციის, მისი შემდგომი განვითარებისა და პრაქტიკული გამოყენების მიზნით. აღნიშნული ბრძანებულება რომ არ არის დროებითი მნიშვნელობის, ანდა ერთჯერადი მოქმედების სამართლებრივი აქტი, ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ იგი შეტანილია „სსრ კავშირის მოქმედი კანონმდებლობის კრებულში" (იხ. კარი XXVI, კანონმდებლობა თავდაცვის შესახებ, ტ. 47, მოსკოვი, 1976 წ., გვ. 110–113) და „სსრ კავშირის კანონებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებულში" (იხ. ოთხტომეული, ტ. მე-2, 1938-1975 წ.წ., მოსკოვი, 1975 წ., გვ. 408-410).

ამ კრებულის გამოცემის შემდეგაც არაფერი შეცვლილა სამხედრო წესების საკანონმდებლო რეგულირებაში. ჩვენ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში შევამოწმეთ ზემოაღნიშნული ბრძანებულების იურიდიული ძალის მდგომარეობა. იგი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს ჯერჯერობით არ გაუუქმებია და დღესაც ძალაშია.

მაშასადამე, მოქმედი საკანონმდებლო აქტი, რომელიც სპეციალურად არეგულირებს სამხედრო წესების შემოღებასთან დაკავშირებულ საკითხებს „სამხედრო წესების შესახებ", სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის ბრძანებულებაა. ამას ხაზგასმით იმიტომ აღვნიშნავთ, რომ კომენდანტის საათი, როგორც განსაკუთრებული ღონისძიება, სამხედრო წესებისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს, უფრო სწორად, მისი შემადგენელი ნაწილია. სპეციალურ და უნივერსალურ საცნობარო ლიტერატურაში კომენდანტის საათი სწორედ ასეა განმარტებული. მაგალითად, იურიდიული ენციკლოპედია სამხედრო წესების ერთ-ერთ ყველაზე უფრო დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევს მოსახლეობისათვის ზოგიერთი შეზღუდვის, მათ შორის კომენდანტის საათის შემოღებას (იხ. იურიდიული ენციკლოპედიური ლექსიკონი, მოსკოვი, 1984 წ., გვ. 44); სამხედრო ენციკლოპედიის თანახმად, „სსრ კავშირში კომენდანტის საათი დაშვებულია მხოლოდ სამხედრო წესების პირობებში" (იხ. სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი, მოსკოვი, 1983 წ., გვ. 345). კომენდანტის საათს ანალოგიურად განმარტავს დიდი საბჭოთა ენციკლოპედიაც (ტ. მე-12, მოსკოვი, 1973 წ., გვ. 498) და სხვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ კომენდანტის საათის პირობები მოცემული უნდა იყოს „სამხედრო წესების შესახებ" ბრძანებუ-

ლებაში, რადგანაც სხვა ნორმატიული აქტი მის შესახებ უცნობია. ბრძანებულების დებულებათა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ მასში დეტალურად არის მოცემული ის წესები, რომლებსაც კომენდანტის საათის ცნების შინაარსი მოიცავს. წერილის ავტორები შენიშნავენ, რომ აქ ჩვენ დავუშვით არსებითი ხასიათის უზუსტობა, რადგანაც ზემოხსენებულ ბრძანებულებაში ნახსენებიც კი არ არის „კომენდანტის საათი". ეს ტერმინი ბრძანებულებაში მართლაც არ გვხვდება, მაგრამ მასში რომ „კომენდანტის საათის" წესებია გადმოცემული, ამაში, ვფიქრობთ, ადვილად დავრწმუნდებით, თუ ერთმანეთს შევადარებთ ბრძანებულების დებულებებსა და იმ წესებს, რომლებიც ი.როდიონოვმა კომენდანტის საათის სახით გამოგვიცხადა მიმდინარე წლის 9 აპრილს. აი ისინიც:

1. ბრძანებულებიდან: სამხედრო ხელისუფალთ უფლება ენიჭებათ აკრძალონ სამხედრო წესების ტერიტორიაზე შესვლა და ტერიტორიიდან გამოსვლა.

კომენდანტის საათის წესებიდან: შეზღუდულია ქალაქში იმ პირთა შემოსვლა, ვინც არ არის ჩაწერილი ქალაქში, იმათ გარდა, ვინც აქ სპეციალურად არ არის მოვლინებული... შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები შექმნიან ქალაქში შემოსვლის საკონტროლო გამშვებ პუნქტებს;

2. ბრძანებულებიდან: სამხედრო ხელისუფალთ უფლება ენიჭებათ აკრძალონ მოქალაქეთა ქუჩაში მიმოსვლა გარკვეული დროის შემდეგ.

კომენდანტის საათის წესებიდან: 23 საათიდან დილის 6 საათამდე მთელ ქალაქში წყდება თავისუფალი ქვეითად სიარული, იმ პირთა გარდა, ვისაც სპეციალური საშვი აქვს;

3. ბრძანებულებიდან: სამხედრო ხელისუფალთ უფლება ენიჭებათ მოანესრიგონ ვაჭრობა და სხვა ორგანიზაციების (ბაზრები, მაღაზიები, სანყობები, საზოგადოებრივი კვების საწარმოები), კომუნალური საწარმოების მუშაობა...

კომენდანტის საათის წესებიდან: 10 აპრილიდან საბჭოთა, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საზოგადოებრივი კვების დაწესებულებათა მუშაობა იწყება დილის 7 საათიდან და მთავრდება არაუგვიანეს 22 საათისა. ყველა მოქალაქე, ვინც ქალაქის ბაზრებში სავაჭროდ ჩამოდის, ვალდებულია თან იქონიოს პასპორტი ან პირადობის მოწმობა და დატოვოს ქალაქი 23 საათამდე;

4. ბრძანებულებიდან: სამხედრო ხელისუფალთ უფლება ენიჭებათ შეზღუდონ ქუჩაში მოძრაობა.

კომენდანტის საათის წესებიდან: საქალაქო ტრანსპორტის მუშაობის წესები შემდეგია:

– მეტროპოლიტენის და ტრამვაი-ტროლეიბუსების პარკისა – დილის 6 საათიდან 22 საათამდე.

– ავტოტრანსპორტის – დილის 6 საათიდან 23 საათამდე;

5. ბრძანებულებიდან: სამხედრო ხელისუფალთ უფლება ენიჭებათ ყოველგვარი კრებების, მსვლელობების და მისთ. ორგანიზაციის რეგულირება.

კომენდანტის საათის წესებიდან: აკრძალულია უსანქციო კრებები მსვლელობა, დემონსტრაციები და მიტინგები;

6. ბრძანებულებიდან: სამხედრო ხელისუფალთ უფლება ენიჭებათ აუცილებლობის შემთხვევაში დააკავონ და გაჩხრიკონ საეჭვო პირები.

კომენდანტის საათის წესებიდან: ქალაქ თბილისის რაიონული საბჭოების აღმასკომებმა შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებთან ერთად... საჭიროების შემთხვევაში დააკავონ და გაჩხრიკონ საეჭვო პირები;

7. ბრძანებულებიდან: სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ადგილობრივი ორგანო, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი, ორგანიზაციები და საწარმოები ვალდებული არიან ყოველნაირად შეუწყონ ხელი სამხედრო სარდლობას საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების უზრუნველყოფაში.

კომენდანტის საათის წესებიდან: ბრძანებულების ზემოაღნიშნული დებულება ტექსტუალურად ემთხვევა კომენდანტის საათის წესების მე-10 პუნქტს, ამიტომ ზედმეტად ვთვლით მის გამეორებას (ჯ. ხ.).

როგორც ვხედავთ, ზოგადნორმატიული აქტის კონკრეტულ გამოყენებასთან გვაქვს საქმე.

ამის შემდეგ იმის მტკიცება, თითქოს „სამხედრო წესების შესახებ" ბრძანებულებაში კომენდანტის საათის პირობები არ არის გადმოცემული, ჩვენი აზრით, უსაფუძვლოა. და თუ ეს ასე არ არის და კომენდანტის საათის შესახებ არც სხვა სამართლებრივი აქტი მოეპოვებათ წერილის ავტორებს, მაშინ გამოდის, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კომენდანტის საათის გამოცხადებისას არ იცოდა რას აცხადებდა, ხოლო ი. როდიონოვმა, ვითომდა კომენდანტის საათის გამოცხადებით, ფაქტობრივად სამხედრო წესები შემოიღო თბილისში.

ჩვენს დასკვნაში ნათქვამია, რომ კომენდანტის საათის შემოღების შესახებ საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება დაუყოვნებლივ არ გამოქვეყნებულა. ამ გარემოებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ბრძანებულების ტექსტში არ იყო განსაზღვრული საგანგებო ღონისძიების ძალაში შესვლის საათი. წერილის ავტორებს მიაჩნიათ, რომ კომენდანტის საათის ძალაში შესვლის დრო უნდა გამოეცხადებინა არა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, არამედ იმ თანამდებობის პირს, რომელიც დაინიშნებოდა ქალაქის კომენდანტად. ეს თუ ასეა, მაშინ რატომ მოხდა, რომ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კომენდანტის საათის გაუქმების ბრძანებულებაში თავად განსაზღვრა საგანგებო ღო-

ნისძიების გაუქმების როგორც დღე, ისე საათი. არადა, ამის გაკეთება უფრო მეტად აუცილებელი იყო სწორედ კომენდანტის საათის შემოღებისას. ამ აუცილებლობას სხვა მიზეზებთან ერთად წმინდა იურიდიული საფუძველიც გააჩნია, რომლის გაუთვალისწინებლობამ შეიძლება გაუგებრობამდე მიგვიყვანოს.

დასასრულ, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ სრულებითაც არ ვაპირებთ დასკვნაში ჩამოყალიბებული დებულებების ჯიუტად დაცვას. თუკი მასში მართლაც აღმოჩნდება ხარვეზები, მას დაუყოვნებლივ გავასწორებთ, რამეთუ „უზუსტობამ ასეთ დიდმნიშვნელოვან საქმეში შეიძლება არასწორი წარმოდგენა შექმნას, ცუდი სამსახური გაუნიოს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს ინტერესები, მომავალი“.

ჯონი ხეცურიანი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა
და სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

გაზეთი „კომუნისტი“, №136, 1989 წელი, 13 ივნისი.
Газета «Заря Востока», № 142, 20 июня 1989 года.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისის 1989 წლის 9 აპრილის ამბების გარემოებათა გამომკვლევი კომისიის საგამოძიებო ქვეკომისიის

დასკვნა

1989 წლის 9 აპრილს ქ. თბილისში მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილების მიღების კანონიერების შესახებ

1989 წლის 4 აპრილიდან 9 აპრილამდე ქ. თბილისში, მთავრობის სახლის წინ ხუთი დღე და ღამის განმავლობაში განუწყვეტლად მიმდინარეობდა არაფორმალურ გაერთიანებათა მიერ ორგანიზებული მრავალათასიანი მიტინგი, რომელზეც წამოყენებული იყო მოთხოვნა სსრ კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გასვლის შესახებ.

მიტინგის ხასიათის, დედაქალაქში იმ დროს შექმნილი მდგომარეობის შესახებ ფაქტობრივი გარემოებანი და მათი შეფასება მოცემულია საგამოძიებო ქვეკომისიის წინასწარ დასკვნაში, რომელიც დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიამ მიმდინარე წლის 2 ივნისს (იხ. გაზეთი „კომუნისტი", 1989 წლის 7 ივნისი). აღვნიშნავთ მხოლოდ ორ გარემოებას:

1. მიტინგი იყო უსანქციო, რასაც მოჰყვა ტრანსპორტის, ზოგიერთი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუშაობის შეფერხება, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა;

2. მიტინგს ჰქონდა მშვიდობიანი ხასიათი, დაკავშირებული არ იყო მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობასთან ან მისი გამოყენების მუქარასთან საბჭოთა წესწყობილების დამხობის მიზნით.

მიტინგის აღკვეთის თაობაზე რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და სამართალდამცველ ორგანოებში არსებული დოკუმენტების, მთელი რიგი თანამდებობის პირების მიერ კომისიისათვის მიცემული ახსნა-განმარტებების, პრესასა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებული მასალების ანალიზის საფუძველზე გამოირკვა შემდეგი გარემოებანი:

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შ. გორგოძე), თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველომ (რ. გვენცაძე), რომლებსაც, კანონის თანახმად, უშუალოდ აკისრიათ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის წინაშე დააყენეს

საკითხი თავის განკარგულებაში არსებული ძალების მეოხებით მთავრობის სახლის წინ მიმდინარე მიტინგის აღკვეთისა და დედაქალაქში ნორმალური მდგომარეობის აღდგენის შესახებ, მათი წინადადებით, მიტინგი უნდა აღეკვეთათ გამთენიისას, როდესაც მომიტინგეთა მინიმალური რაოდენობა რჩებოდა ხოლმე (100-200 კაცი), ხოლო შემდეგ, დაეცვათ მოედანი და არ დაეშვათ ახალი მიტინგის გამართვა. საამისო ძალები, მათი განმარტებით, შინაგან საქმეთა ორგანოებს ჰყავდათ. ეს წინადადება რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ არ გაიზიარა იმ მოსაზრებით, რომ მიტინგის აღკვეთა გააძლიერებდა მოსახლეობის უკმაყოფილებას, რასაც შედეგად მოჰყვებოდა მასობრივი გამოსვლები. ასეთ პირობებში კი დედაქალაქსა და მთლიანად რესპუბლიკაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა შეუძლებელი გახდებოდა, რადგანაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ძირითადი ძალები აფხაზეთში იყო გაგზავნილი, ხოლო საქართველოში დისლოცირებული შინაგანი ჯარების ნაწილები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ იყო.

ამიტომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შ. გორგოძე) სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსთხოვა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, შინაგანი ჯარების ნაწილების საქართველოში დაბრუნება, ხოლო რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ (ჯ. პატიაშვილი) საკავშირო ორგანოების წინაშე აღძრა საკითხი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დამატებითი ძალების გამოყოფის შესახებ. 7-8 აპრილს თბილისში გამოგზავნეს მილიციისა და შინაგანი ჯარების ქვეგანაყოფები, მათ შორის ძერჟინსკის სახელობის დივიზიის პოლკი – სულ 2089 კაცი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიტინგის აღკვეთაში შინაგანი ჯარების მონაწილეობის შესახებ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანება არ გამოუცია და მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილება მასთან არ შეთანხმებულა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივნის ჯ. პატიაშვილის, აგრეთვე ყოფილი მეორე მდივნის ბ. ნიკოლსკის ინიციატივით, რომელიც დაბეჯითებით მოითხოვდა საბჭოთა არმიის გამოყენებას მიტინგის აღსაკვეთად, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს განკარგულების საფუძველზე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში დისლოცირებული ავიასადესანტო პოლკი 7 აპრილს ღამის მარშით შემოვიდა ქ. თბილისში. სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის დ. იაზოვის დავალებით, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი ი. როდიონოვი 7 აპრილს ქ. ლენინაკანიდან თბილისში დაბრუნდა. მასთან ერთად დახმარების აღმოსაჩენად რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოვიდა თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე კ. კოჩეტოვი. ი.როდიონოვის განმარტებით, მას თავდაცვის მინისტრისაგან მიუღია დავალება, გარკვეულიყო რესპუბლიკის დედაქალაქში შექმნილ მდგომა-

რეობაში და ემოქმედა სიტუაციის მიხედვით. ამასთან, საბჭოთა არმიის ნაწილები გამოეყენებინა მხოლოდ უმნიშვნელოვანესი ობიექტების დასაცავად. ოფიციალური დოკუმენტებით დასტურდება, რომ 8 აპრილამდე ი. როდიონოვი წინააღმდეგი იყო მიტინგის აღკვეთაში საბჭოთა არმიის მონაწილეობისა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში 7 და 8 აპრილს მიმდინარეობდა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრთა და წევრობის კანდიდატთა შეკრებები, რომლებზედაც მსჯელობდნენ შექმნილი მდგომარეობისა და მისი ნორმალიზაციის ღონისძიებათა თაობაზე. შეკრებათა საოქმო ჩანაწერები არ გაკეთებულა, ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების ყოფილი გამგე (კ. აბულაძე), რომელსაც ევალებოდა საქმის წარმოების უზრუნველყოფა, ამ შეკრებებზე არ მიუწვევიათ. იქ გამოთქმული მოსაზრებების ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილების სახით გაფორმებას ჯ. პატიაშვილისა და ბ. ნიკოლსკის დავალებით საერთო განყოფილება შეუდგა 9 აპრილის შემდეგ, თუმცა დასრულებული სახე მათ ვერ მისცა. ბიუროს დადგენილებები მოკლებულია ოფიციალური დოკუმენტისათვის აუცილებელ ნიშნებს (გადასწორებულია თარიღი, დაუზუსტებელია ოქმის ნომერი და პარაგრაფი), რაც მთავარია, არ ახლავს ოქმები, რის გამოც, დოკუმენტურად შეუძლებელია იმის დადგენა, თუ ვინ მონაწილეობდა საკითხის განხილვაში და რა პოზიცია ეკავა. ბიუროს წევრთა და წევრობის კანდიდატთა გამოკითხვით დადგინდა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობამ 7 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება აუცილებლობის შემთხვევაში დედაქალაქში „საგანგებო წესების" შემოღების შესახებ. ამასთანავე, არ განუსაზღვრავთ ამ ღონისძიებების განხორციელების კონკრეტული დრო და ფორმები. ეს განპირობებული იყო იმით, რომ საგანგებო ზომების (კომენდანტის საათის) შემოღება შეიძლება აუცილებელი გამხდარიყო იმ შემთხვევაში, თუ მიტინგის აღკვეთის შემდეგ დაძაბული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნებოდა.

იმავე დღეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა პირველმა მდივანმა ჯ. პატიაშვილმა შექმნილი მდგომარეობა შეაფასა როგორც კატასტროფული. თათბირის მონაწილეებმა (ა. ჯავახიშვილი, რ. ჩხეიძე, ე. გუგუშვილი, ნ. კიკვაძე) აღნიშნეს, რომ საჭიროა არაფორმალურ ორგანიზაციათა ლიდერებთან რესპუბლიკის ხელმძღვანელობის შეხვედრა და დიალოგი. მიუხედავად რესპუბლიკის ხელმძღვანელთა მზადყოფნისა, ეს შეხვედრა არ გამართულა, რადგან არაფორმალური ორგანიზაციების ლიდერებმა უნდობლობა გამოუცხადეს მათ.

7 აპრილს 20 საათსა და 35 წუთზე, ჯ. პატიაშვილის ხელმოწერით, მოსკოვში, სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიგზავნა დეპეშა, რომლის ტექ-

სტი მოამზადა ბ. ნიკოლსკიმ. დეპეშაში ნათქვამია: „უკანასკნელ დროს რესპუბლიკაში მდგომარეობა მკვეთრად გამწვავდა, პრაქტიკულად უკონტროლო ხდება. ექსტრემისტული ელემენტები აღვივებენ ეროვნულ გრძნობებს, მოუწოდებენ გაფიცვებისაკენ, ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობისაკენ, ქმნიან არეულობას, სახელს უტეხენ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს. შექმნილ სიტუაციაში საჭიროა საგანგებო ზომების მიღება. აუცილებლად ვთვლით:

1. დაუყოვნებლივ მიეცნენ სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში ექსტრემისტები, რომლებიც გამოდიან ანტისაბჭოური, ანტისოციალისტური, ანტიპარტიული ლოზუნგებითა და მოწოდებებით (საამისო სამართლებრივი საფუძველი არსებობს);

2. შინაგან საქმეთა სამინისტროს, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის დამატებითი ძალების გამოყენებით, შემოღებულ იქნეს საგანგებო წესები (კომენდანტის საათი);

3. მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივის ძალებით განხორციელდეს პოლიტიკურ, ორგანიზაციულ და ადმინისტრაციულ ღონისძიებათა კომპლექსი;

4. საკავშირო და რესპუბლიკურ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში არ იქნეს დაშვებული პუბლიკაციები, რომლებიც ართულებენ სიტუაციას".

დეპეშა მთავრდება შემდეგი წინადადებით: „პირველ, მეორე, მეოთხე პუნქტებზე გთხოვთ თანხმობას". ამ მომენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე დეპეშის ტექსტის მითითებული ნაწილი არ გამოქვეყნებულა, რამაც შექმნა შთაბეჭდილება, თითქოს საქართველოს დედაქალაქში მდგომარეობის ნორმალიზაციის ყველა ღონისძიება ცენტრის დაუკითხავად, მასთან შეუთანხმებლად განხორციელებულიყოს.

7 აპრილს, საღამოს, ბ. ნიკოლსკიმ დააყენა სამხედრო ძალის დემონსტრირების მიზანშეწონილობის საკითხი, რასაც, მისი აზრით, უნდა მოჰყოლოდა მიტინგის მონაწილეთა დაშინება და მთავრობის სახლის წინ მათი რაოდენობის შემცირება. ი. როდიონოვის განკარგულებით, ეს აქცია მართლაც განხორციელდა 8 აპრილს, დაახლოებით დღის 1-ელ საათზე. რუსთაველის გამზირზე, მომიტინგეთა შორის გაატარეს სამხედრო ტექნიკა, ხოლო თბილისის თავზე გამოჩნდნენ სამხედრო ვერტმფრენები. ამ აქციამ უკუშედეგი გამოიღო. მიტინგის მონაწილეთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა.

8 აპრილს გაიმართა საქართველოს პარტიული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების ნორმალიზაციისათვის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების საკითხი. კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის

სექტორის გამგე ვ. ლობკო და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი კ. კოჩეტოვი. საჭიროა აღინიშნოს, რომ კ. კოჩეტოვი თბილისში ჩამოსვლის შემდეგ მიტინგის აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ყველა სტადიაში მონაწილეობდა.

აქტივის კრებაზე მოხსენება გააკეთა ჯ. პატიაშვილმა. მან აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში შექმნილია უკიდურესად დაძაბული და ფეთქებადსაშიში პოლიტიკური ატმოსფერო. ექსტრემისტულად განწყობილი ლიდერები მოუწოდებენ მომიტინგეებს, დაამხონ საბჭოთა ხელისუფლება, სოციალისტური წყობილება. ვითარების განმუხტვისათვის საჭიროა, გამოვიყენოთ ყველა პოლიტიკური მეთოდი, მაგრამ არ დავუშვათ პოლიტიკური სისუსტე, გაუმართლებელი დათმობები და კომპრომისები.

საკითხის განხილვის მონაწილეებმა (შ. შიოშვილი, ს. გოგიბერიძე და სხვანი) საჭიროდ მიიჩნიეს ღია დიალოგი, მიტინგის მონაწილეთათვის გაზეთში, ტელევიზიით გამოსვლის შესაძლებლობის მიცემა და სხვა.

კრებამ მოიწონა რესპუბლიკაში ვითარების ნორმალიზაციის გადაუდებელ პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა გეგმა, რომელიც აქტივს გააცნო ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ფოფხაძემ. ღონისძიებათა გეგმა ასეთ პუნქტებსაც ითვალისწინებდა:

– სასწავლო დაწესებულებების ყოველ კურსზე, სკოლების უფროს კლასებში შეიქმნას ექსტრემისტულად განწყობილი მოსწავლეებისა და სტუდენტების წინააღმდეგ მოქმედი ჯგუფები (პ. 17);

– სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მისცენ არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერები და აქტივისტები, რომლებიც გამოდიან კანონსაწინააღმდეგო ლოზუნგებით და აწყობენ მართლსაწინააღმდეგო აქციებს (პ. 20);

– ნეგატიურ გამოვლინებათა აღკვეთის მიზნით, შემუშავდეს სამართალდაცვითი ორგანოებისა და სამხედრო ქვეგანაყოფების საქმიანობის კონკრეტული, სპეციალური გეგმა (პ. 21);

– საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისათვის აუცილებლობის მიხედვით განხორციელდეს ღონისძიებანი საგანგებო წესების შემოსაღებად ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მონაწილეობით (პ. 23).

ღონისძიებათა გეგმის შინაარსი ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის ცნობილი არ იყო. აქტივის კრებას კი ეს დოკუმენტი ისე წარუდგინეს, თითქოს იგი ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წინასწარ განეხილოს და დაემტკიცებინოს. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ღონისძიებათა გეგმის მე-17 და 21-ე პუნქტები აქტივის კრებაზე არ წაუკითხავთ, ხოლო მე-20 და 23-ე პუნქტებმა აქტივის კრების მონაწილეთა განსაკუთრებული მხარდა-

ჭერა პოვა. საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქვა მხოლოდ პოეტმა ჯ. ჩარკვიანმა.

აქტივის კრებამ მოიწონა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მიმართვა საქართველოს კომუნისტებისადმი, მშრომელებისადმი, ახალგაზრდობისადმი, რომლის ტექსტი კრებას გააცნო ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ჭითანავამ. მასში ნათქვამია: „ჯერ კიდევ არის დრო, თავიდან ავიცილოთ მოვლენების დრამატული განვითარება... ჩვენს ხალხს უამისოდაც იმდენი უბედურება გამოუვლია, რომ არ გვეპატიება კიდევ ერთი ახალი ტრაგედია დავატეხოთ თავს".

ეს მიმართვა რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნდა 9 აპრილს, როდესაც ტრაგედია უკვე მომხდარი იყო.

საბოლოო სიტყვაში ჯ. პატიაშვილმა აქტივის მონაწილეებს სთხოვა კრების დამთავრების შემდეგ მიტინგზე მისვლა და თავისი შეხედულებისამებრ სიტყვით გამოსვლა. „და თუ შეუძლებელი გახდება ხალხის დამშვიდება, – თქვა მან – მაშინ ამოქმედებული იქნება აუცილებელი იურიდიულად გამართლებული „სახელმწიფოებრივი მანქანა", რომელიც არსებობს ყოველ ნორმალურ სამართლებრივ სახელმწიფოში".

მიტინგზე პარტიული აქტივის კრების მონაწილენი სიტყვით არ გამოსულან.

აქტივის კრების მსვლელობისას ჯ. პატიაშვილი ელაპარაკა მოსკოვს. ჯ. პატიაშვილს გააცნეს პოლიტბიუროს წინადადება ე.შევარდნაძისა და გ.რაზუმოვსკის თბილისში დასახმარებლად გამოგზავნის თაობაზე. ჯ.პატიაშვილმა არ ჩათვალა ეს საჭიროდ, რის გამოც, რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის პოლიტიკური მეთოდებით მოწესრიგების დამატებითი შესაძლებლობა არ იქნა გამოყენებული.

პარტიული აქტივის კრების შემდეგ გაიმართა რესპუბლიკის ხელმძღვანელთა სხდომები სამხედრო პირების მონაწილეობით. ზოგიერთის აზრით, ეს იყო თავდაცვის საბჭოს სხდომა, მაგრამ მისი დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი არ არსებობს. ამასთანავე, გაურკვეველია რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს სამართლებრივი სტატუსი, მისი კომპეტენციის ფარგლები და მუშაობის რეგლამენტი.

თანამდებობის პირთა გამოკითხვით და მათ მიერ კომისიისათვის მიცემული ახსნა-განმარტების შეჯერებით, შესაძლებელი გახდა მხოლოდ ზოგიერთი ფაქტის დადგენა. კერძოდ, 8 აპრილს, პარტიული აქტივის კრების დამთავრების შემდეგ, გაიმართა სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ ჯ. პატიაშვილი, ბ. ნიკოლსკი, ზ. ჩხეიძე, ო. ჩერქეზია, კ. კოჩეტოვი, ი. როდიონოვი. სხდომაზე მოიწვიეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი შ. გორგოძე, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. კარანაძე, რესპუბლიკის პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი ნ. შოშიაშვილი

და იუსტიციის მინისტრი ვ. შარაშენიძე, რადგან განიხილავდნენ საკითხს, თუ რამდენად საკმარისი სამართლებრივი საფუძველი არსებობდა არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერების პასუხისგებაში მისაცემად და მათი საზოგადოებისაგან იზოლირებისათვის. სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელების ინფორმაციის მოსმენის შემდეგ ისინი ისე დაითხოვეს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

იმავე სხდომაზე შემდეგ გადაწყდა მთავრობის სახლის წინ არსებული მოედნის მომიტინგეებისაგან განთავისუფლება რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის ძალებით. ი. როდიონოვმა თავად იკისრა მიტინგის აღკვეთის ოპერაციის ხელმძღვანელობა. სარდალმა ეს გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ თითქოს უხერხული იყო შინაგან საქმეთა მინისტრს ეხელმძღვანელა საბჭოთა არმიის ნაწილებისათვის, ამასთან, მას უფრო მეტი გამოცდილება ჰქონდა ასეთ საქმეში და სამხედრო ნოდებით ყველაზე უფროსი იყო იქ მყოფთა შორის.

ი. როდიონოვმა თავის თანაშემწეებად განსაზღვრა: საბჭოთა არმიის ხაზით – ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე ი. კუზნეცოვი, შინაგანი ჯარების ხაზით – შინაგანი ჯარების შტაბის ოპერატიული სამმართველოს უფროსი ი. ეფიმოვი, მილიციის ხაზით – საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი შ. გორგოძე.

ოპერაციის გეგმის შედგენა დაევალა ი. როდიონოვს. ამასთან ითქვა, რომ ოპერაცია განხორციელდებოდა მაშინ, როცა მთავრობის სახლის წინ მომიტინგეთა მინიმალური რაოდენობა დარჩებოდა.

შ. გორგოძემ ოპერაციისათვის რესპუბლიკის მთავრობას მოსთხოვა სათანადო სამართლებრივი აქტი. 8 აპრილს, საღამოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო განკარგულება, რომელსაც ხელს აწერს მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე ზ.ჩხეიძე. განკარგულებაში ნათქვამია, რომ „ქალაქში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა მონაწილეობით მიიღოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დამატებითი ზომები:

– საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შენობის მიმდებარე ტერიტორიიდან გააძევონ ყველა მოქალაქე, რომლებიც მონაწილეობენ არასანქციონირებულ მასობრივ ღონისძიებებში;

– გადაიკეტოს საქართველოს სსრ მთავრობის სახლთან მოქალაქეთა თავისუფლად მისვლა;

– არასანქციონირებული მასობრივი ღონისძიებების ორგანიზატორებისა და აქტიური მონაწილეების მიმართ მიღებულ იქნეს კანონით დადგენილი ზომები.

ანალოგიური მოქმედებანი განხორციელდეს რესპუბლიკური ტელერადიოცენტრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე და აუცილებლობის შემთხვევაში ქალაქის სხვა ადგილებში".

მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნული განკარგულების შესასრულებლად და ოპერაციის ჩატარების დროს მართლწესრიგის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა შ. გორგოძემ იმავე საღამოს გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ქვედანაყოფებსა და თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს დაევალათ რესპუბლიკის მილიციის ძალებით მთავრობის სახლის დაცვა, მთავრობის სახლისა და ტელევიზიის კომიტეტის ტერიტორიიდან მოშიმშილეთა გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებებში, აგრეთვე უსანქციო მიტინგის ორგანიზატორებისა და აქტიურ მონაწილეთა დაკავება.

მიტინგის აღკვეთის ოპერაციის გეგმა არანაირ სხდომაზე არ განხილულა. ი. როდიონოვმა კომისიაზე განაცხადა, რომ ოპერაციის კონკრეტული გეგმა უნდა შეემუშავებინა ი. ეფიმოვს. თავად კი ჰქონდა ოპერაციის მხოლოდ ზოგადი სქემა. ოპერაციის დაწყების დრო – 9 აპრილის დილის 4 საათი, როგორც ი. როდიონოვი და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები განმარტავენ, გადაწყდა თანამდებობის პირთა ვიწრო წრეში (ჯ. პატიაშვილი, ბ. ნიკოლსკი, ი. როდიონოვი, კ. კოჩეტოვი).

საყურადღებოა ერთი გარემოებაც, კერძოდ, 8 აპრილს 20 საათსა და 50 წუთზე, ე. ი., როდესაც მიტინგის აღკვეთა უკვე გადაწყვეტილი იყო, ჯ. პატიაშვილის ხელმოწერით მოსკოვში, სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიგზავნა დეპეშა, რომლის ტექსტი მოამზადა ბ. ნიკოლსკიმ. დეპეშაში აღნიშნულია, რომ მდგომარეობა თბილისში კვლავ დაძაბული რჩება, მთავრობის სახლთან მიმდინარეობს მრავალათასიანი მიტინგი, რომლის ძირითადი ლოზუნგი უცვლელი რჩება: სსრ კავშირიდან გასვლა, დამოუკიდებელი საქართველოს შექმნა, ავტონომიათა გაუქმება და სხვა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, მთავრობა, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები მთლიანად ფლობენ სიტუაციას, ღებულობენ ზომებს მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქთან ერთად შემუშავებულია და ხორციელდება მართლწესრიგის განმტკიცების, აუცილებლობის შემთხვევაში, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებათა აღკვეთის კონკრეტული გეგმა. ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს, თბილისის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთელი აპარატი ზუსტად ასრულებს თავის ფუნქციებს, აქტიურად მუშაობენ მოსახლეობაში და მომიტინგეთა შორის, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მთავრობის მიერ

ადრე მიღებული ზომების გარდა კიდევ დამატებითი ზომების მიღება მოცემულ მომენტში საჭირო არ არის.

ამ დეპეშის გაგზავნის შემდეგ მიტინგზე და საერთოდ დედაქალაქში რაიმე არსებითი ხასიათის ცვლილება მდგომარეობის კიდევ უფრო გამწვავების თვალსაზრისით არ მომხდარა. არც მთავრობის დაწესებულებებზე თავდასხმების ან მათი ხელში ჩაგდების ცდები ყოფილა. ერთადერთი, რაც მოხდა, ის იყო, რომ მიტინგის მონაწილეთა რაოდენობა გაიზარდა. სწორედ ამ გარემოებათა გამო, მიტინგის აღკვეთის დაწყების წინ შინაგან საქმეთა მინისტრი შ. გორგოძე ოპერაციის წინააღმდეგ გამოვიდა და რესპუბლიკის ხელმძღვანელობისაგან (ჯ. პატიაშვილი) მოითხოვა მისი გადადება. ამასთან დაკავშირებით ჯ. პატიაშვილსა და ი. როდიონოვს შორის მოლაპარაკების შედეგად, რომელიც ოპერაციის დაწყებამდე დაახლოებით ნახევარი საათით ადრე გაიმართა, ეს წინადადება არ გაიზიარეს.

9 აპრილს, დილის 4 საათზე მიტინგის აღკვეთის ოპერაცია დაიწყო და ტრაგიკულად დამთავრდა.

იმავე დღეს, დილის 10 საათსა და 25 წუთზე ჯ. პატიაშვილის მიერ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილ დეპეშაში კი ნათქვამია: 8 აპრილს, 21 საათის შემდეგ, მიუხედავად პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცველი ორგანოების მიერ გატარებული ყველა ზომისა, მთავრობის სახლთან, დაახლოებით 15 ათას კაციან მიტინგზე, აგრეთვე ქალაქის სხვა ადგილებში მდგომარეობა ექსტრემისტების მიერ უკიდურესად გამწვავდა და უკონტროლო გახდა. ე. წ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები შეუდგნენ რესპუბლიკაში ძალაუფლების ხელში ჩაგდების გეგმების გამოცხადებას. ამ სიტუაციაში საზოგადოებრივი უშიშროების უზრუნველყოფისა და გაუთვალისწინებელი შედეგების თავიდან აცილების მიზნით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დილის 4 საათზე ძალის გამოყენებით მთავრობის სახლის წინ არსებული მოედნის მომიტინგეებისაგან გასანთავისუფლებლად... კომპეტენტური ორგანოების მიერ წინასწარ შედგენილი გეგმის შესაბამისად, გამოყენებული იყო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების ქვეგანაყოფები... წარმოქმნილი ჭყლეტის შედეგად დაიღუპა 16 ადამიანი: 13 ახალგაზრდა ქალი და 3 მამაკაცი. ასზე მეტმა მიიღო სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება... ამჟამად მთავრობის სახლის წინ მოედანი განთავისუფლებულია მომიტინგეებისაგან და დაცულია ჯარების მიერ“ (დეპეშის ტექსტი მოამზადა ბ. ნიკოლსკიმ).

ასეთია მიმდინარე წლის 9 აპრილს თბილისში მიტინგის აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი გარემოებანი. მათი სამართლებრივი შეფასება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონ-

სტიტუციების, საკავშირო და რესპუბლიკური კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით საფუძველს გვაძლევს, მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილების მიღების კანონიერების მხრივ, გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1. 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მთავრობის სახლის წინ მიტინგის ძალის გამოყენებით აღკვეთის გადაწყვეტილების მიღება განაპირობა საქართველოში ბოლო ხანს მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ მცდარმა შეფასებამ და მათ მიმართ პოლიტიკურად მცდარი დამოკიდებულების ჩამოყალიბებამ.

რესპუბლიკის სუვერენიტეტის განმტკიცების, უძრაობის ეპოქაში დაგროვილი მწვავე სოციალურ-ეკონომიკური, ეროვნულ-კულტურული პრობლემების გადაჭრისათვის ხალხის ფართო მასების, უმეტესწილად ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის მოძრაობის გააქტიურება, რომელიც უპირატესად მიმდინარეობდა უშუალო დემოკრატიის ინსტიტუტების (მანიფესტაციების, დემონსტრაციების, მიტინგების და ა. შ.) გამოყენებით, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ (ჯ. პატიაშვილი) მიიჩნია არაფორმალური გაერთიანებების, ექსტრემისტულად განწყობილი ჯგუფების მიერ საერთო მდგომარეობის დესტაბილიზაციისა და პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდების ცდად, ანტისაბჭოურ, ანტისოციალისტურ აქციებად.

შექმნილი მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის იდეოლოგიური მუშაობის უსუსურობისა და უნაყოფობის გამო (ნ. ფოფხაძე), რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ, ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებმა ვერ შეძლეს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების პოლიტიკური მეთოდებით მოწესრიგება და ამიტომ დაადგნენ ძალის გამოყენების პოლიტიკას.

2. რამდენადაც თბილისში 4-9 აპრილს მთავრობის სახლთან გამართულ მიტინგს მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა და დაკავშირებული არ იყო ძალადობის გამოყენებით საბჭოთა წესწყობილების დამხობასთან ან მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ მოქმედებებთან, ამდენად, არ არსებობდა სათანადო სამართლებრივი საფუძველი და აუცილებლობა საბჭოთა არმიის ნაწილებით მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილების მისაღებად.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების თანამდებობის პირების მიერ (ჯ. პატიაშვილი, ბ. ნიკოლსკი, ო. ჩერქეზია, ზ. ჩხეიძე, კ. კოჩეტოვი, ი. როდიონოვი) მიღებული გადაწყვეტილება მიტინგის აღკვეთის შესახებ უკანონო აქტია, რისთვისაც მათ უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა.

3. მიტინგის აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 119-ე მუხლის მე-14 პუნქტის უხეში დარღვევით,

რადგან მიტინგის აღსაკვეთად საბჭოთა არმიის ნაწილების გამოყენება ისე დაადგინეს, რომ საქართველოს დედაქალაქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გამოცხადებული არ ყოფილა სამხედრო ან საგანგებო წესები.

4. რადგანაც მიტინგის აღკვეთამდე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს არ გამოუცია ბრძანებულება თბილისში სამხედრო ან საგანგებო წესების შემოღების შესახებ, ხოლო სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს არ მიუღია შესაბამისი ბრძანება, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალ ი. როდიონოვს არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა მიტინგის აღკვეთის ოპერაციის ხელმძღვანელად განესაზღვრა საკუთარი თავი.

ი. როდიონოვმა, დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ, თვითნებურად მიითვისა ხელისუფლება, რის გამოც, აშკარად გასცდა კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებათა ფარგლებს.

5. იმის გამო, რომ მიტინგის აღკვეთაში შინაგანი ჯარების მონაწილეობა რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების თანამდებობის პირებმა გადაწყვიტეს, უხეშად დაირღვა შინაგანი ჯარების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 28 ივლისის ბრძანებულების მე-3 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა აღსაკვეთად შინაგანი ჯარების გამოყენების დროს „აკრძალულია შინაგანი ჯარების ნაწილებისა და ქვეგანაყოფების ხელისუფლებისა და მართვის ადგილობრივი ორგანოებისათვის დაქვემდებარება".

ზემოაღნიშნულმა თანამდებობის პირებმა გადაამეტეს თავიანთ უფლებებს, ხოლო ი. ეფიმოვმა, რომელიც მეთაურობდა თბილისში მყოფი შინაგანი ჯარების ნაწილებს, სამსახურისადმი დაუდევარი დამოკიდებულება გამოიჩინა.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 8 აპრილის განკარგულება (ზ. ჩხეიძე), რომლითაც მთავრობის სახლის წინ მოედნის მომიტინგეებისაგან განთავისუფლება და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სხვა ზომების განხორციელება დაევალა შინაგან ჯარებსა და საბჭოთა არმიის ნაწილებს, უკანონო აქტია, რადგან მოქმედი კონსტიტუციური კანონმდებლობა და სხვა ნორმატიული აქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ასეთ უფლებამოსილებას არ ანიჭებს.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა საკავშირო სახელმწიფოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება, ხოლო შინაგანი ჯარების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 28 ივლისის ბრძანებულების მიხედვით, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღკვეთის მოვალეობების შესრულებისას შინაგანი

ჯარები ექვემდებარება მათ უშუალო ხელმძღვანელობას და არა რესპუბ-ლიკის მთავრობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ გა-დაამეტა ხელისუფლებას, აშკარად გასცდა მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებათა ფარგლებს.

7. კანონიერების უხეში დარღვევაა არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის საკითხის გადაწყვეტა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ შედგენილ ღონისძიებათა გეგმით და მისი განხილვა პარტიული აქტივის კრებაზე.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, პიროვნების სისხლის სა-მართლის პასუხისმგებლობაში მიცემის საკითხს წყვეტს სათანადო უფ-ლებამოსილებით აღჭურვილი კომპეტენტური ორგანო და არა პარტიული აქტივის კრება.

ის ფაქტი, რომ პარტიული აქტივის კრებამ მოიწონა ღონისძიებათა გეგმის ეს პუნქტი, მიუთითებს პარტიული აქტივის წარმომადგენელთა მართლშეგნების არასათანადო დონეს, აგრეთვე ადასტურებს ავტორიტა-რული რეჟიმისათვის დამახასიათებელი მეთოდების დაუფარავად გამო-ყენებას თანამედროვე პერიოდშიც.

8. რამდენადაც მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილება რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა და შეიარაღებული ძალების თანამდებობის პირებმა მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევებით მიიღეს და ამდენად, იგი უკანონო აქტია, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ ამ გადაწყვეტილე-ბის აღსრულებას მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგები, საქართველოს სსრ პროკურატურამ და სსრ კავშირის სამხედრო პროკურატურამ კანო-ნით დადგენილი წესით განიხილონ და გადაწყვიტონ ზემოაღნიშნული თა-ნამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხი.

9. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამხედრო პირთა თვითნე-ბობის, ხელისუფლების გადამეტებისა და ქვეყნის შინაგან საქმეებში საბ-ჭოთა არმიისათვის უჩვეულო ფუნქციების დაკისრების ფაქტების აღკვე-თის მიზნით საჭიროა, გადაისინჯოს სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-5 თავში მოყვანილი დეკლარაციული ხასიათის დებულებები, რათა ზუსტად განისაზღვროს შეიარაღებული ძალების მოვალეობანი და კომპეტენციის ფარგლები.

საჭიროა, ასევე გადაისინჯოს საკანონმდებლო აქტები მიტინგებისა და დემონსტრაციების გამართვის წესის, შინაგანი ჯარების უფლებამო-სილებების შესახებ, რადგანაც მათი გამოყენების პრაქტიკამ არ დაადას-ტურა ამ აქტების ეფექტიანობა. ამასთან, ისინი შეიცავენ მოქმედ კონ-სტიტუციასთან შეუსაბამო ნორმებს.

დასკვნა განიხილა და დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევმა კომისიამ 1989 წლის 12 ივნისს (ოქმი №14).

მკითხველებს ვთხოვთ, მოგვაწოდონ მოსაზრებანი და შენიშვნები, რომლებსაც გავითვალისწინებთ საგამოძიებო კომისიის საბოლოო და სრული დასკვნისათვის.

ჯონი ხეცურიანი

საგამოძიებო ქვეკომისიის თავმჯდომარის მოადგილე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

გაზეთი „კომუნისტი", №163, 1989 წელი, 16 ივლისი.
Газета "Заря Востока", 22 июля 1989 года.

არც შეცდომა და არც კონფორმიზმი

მიმდინარე წლის 16 ივლისს გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილის გარემოებათა გამომკვლევი კომისიის საგამოძიებო ქვეკომისიის დასკვნა „1989 წლის 9 აპრილს ქ. თბილისში მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილების მიღების კანონიერების შესახებ".

იმავე გაზეთმა 21 ივლისს დასტამბა ჟურნალისტ ირაკლი გოცირიძის წერილი „შეცდომა თუ კონფორმიზმი?" ავტორი აუცილებლად თვლის, გაგვაცნოს თავისი პოზიცია დასკვნის მე-4 პუნქტის თაობაზე, რადგან მისი აზრით, „თუ მასობრივი მკითხველი ამ პარაგრაფს ჯეროვანი ყურადღებით არ ჩაუკვირდა – დასკვნა ვრცელია და ბევრის მომცველი – იგი სერიოზულ საშიშროებას გვიქადის".

მაინც რა დასკვნა დავწერეთ ისეთი, რომელიც სერიოზულ საშიშროებას გვიქადის?

როგორც მკითხველმა იცის, საგამოძიებო ქვეკომისიის დასკვნის მე-4 პუნქტში სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის ი. როდიონოვის მოქმედებას, რომელმაც მიტინგის აღკვეთის ოპერაციის ხელმძღვანელად საკუთარი თავი განსაზღვრა. ჩვენი აზრით, ი. როდიონოვის მოქმედება სწორად არის შეფასებული, რაშიც, ვფიქრობთ, სპეციალისტები დაგვეთანხმებიან.

ბატონი ი. გოცირიძე შენიშნავს, რომ „მარტო როდიონოვზე ჯოხის გადატეხა კვლავ ძველ ჩიხში შეგვამწყვდევს. აქედან გამომდინარე – წერს იგი – საჭიროა არა „ნაცადი" ფორმალისტური კურსით ვიაროთ, აქაოდა, რადგან თავდაცვის სამინისტროში დოკუმენტი არ შეუქმნიათ, ამიტომ ყველაფერში როდიონოვია დამნაშავე და სხვა აღარავინო, არამედ საქვეყნოდ ვთქვათ ის, რაც სინამდვილეში მოხდა, რეალურად მოხდა".

როგორც ჩანს, ბატონ ი. გოცირიძეს ეპატარავება სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობა და მას სათვალავში არ გვითვლის. დასკვნის მე-2 და მე-8 პუნქტებში კ. კოჩეტოვის პასუხისმგებლობის საკითხიც არის დასმული სსრ კავშირის სამხედრო პროკურატურის წინაშე. წერილის ავტორი დასკვნის ამ პუნქტებს ყურადღებით რომ ჩაკვირვებოდა, ალბათ აღარ გვისაყვედურებდა, მარტო როდიონოვზე ტეხთ ჯოხსო.

გამოცდილ ჟურნალისტს, ვფიქრობ, ავიწყდება, რომ, თუნდაც საჯაროობის პირობებში, საქვეყნოდ რომ ვთქვათ ის, რაც სინამდვილეში მოხდა, სულ ცოტა, დოკუმენტურად ან სხვა მტკიცებულებებით მაინც უნდა გვქონდეს დადასტურებული, თორემ არც გამოძიებაა საჭირო და არც გამომკვლევი კომისია. პირდაპირ, დაუსაბუთებლად ვთქვათ რასაც

ვფიქრობთ, რასაც ვვარაუდობთ, რასაც ინტუიცია გვიკარნახებს და ა. შ. მერე რა გამოვა აქედან? სწორედ ასეთი უსაბუთო განცხადებების გამოა, რომ ზოგჯერ სიმართლესაც აღარ გვიჯერებენ. საამისო მაგალითები, თუნდაც აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით, ბატონ ი. გოცირიძეს კარგად მოეხსენება. ჩემი შინაგანი რწმენით, მხოლოდ ი. როდიონოვი რომ არ არის ყველაფერში დამნაშავე, ეს შემიძლია ახლაც განვაცხადო. თუმცა ამის შესახებ დასკვნაშიც არის გასაგებად ნათქვამი. მაგრამ მარტო ეს როდია საკმარისი საფუძველი სხვა პირთა ბრალის დასადგენად. შინაგანი რწმენა საჭიროა მაშინ, როცა მტკიცებულებებს აფასებ. მტკიცებულებანი კი იმ მაღალი რანგის თანამდებობის პირთა მოქმედებების შესახებ, რომლებმაც „ამ აქციის გატარების ნებართვა დაუშვეს", არ მოგვეპოვება. ამას აპრილის უბედურების მექანიზმში ასე თუ ისე ჩახედული თვით ბატონი ი. გოცირიძეც აღიარებს, როცა აღნიშნავს, რომ „დიახ, ასეთი ბრძანება დოკუმენტად შექმნილი ანუ ქაღალდზე დაწერილი და ბეჭედ-დასმული ვერსად ვიპოვეთო". ამიტომ მხოლოდ სუბიექტური მოსაზრებებითა და ვარაუდით კონკრეტული პიროვნებების დადანაშაულება უფრო მეტ „სერიოზულ საშიშროებას გვიქადის", ვიდრე წერილის ავტორს ჰგონია.

მაშ, რაში დავუშვით შეცდომა? რომელი მტკიცებულება არ გამოვიყენეთ ან ვის მოვერიდეთ?

წერილის ავტორი მიგვანიშნებს, რომ, მართალია, მიტინგის აღკვეთის შესახებ თავდაცვის სამინისტროს ბრძანების ქაღალდზე დაწერილი და ბეჭედდასმული დოკუმენტი ვერსად ვიპოვეთ, მაგრამ „ჩვენს არასამართლებრივ სახელმწიფოში არაოფიციალურად, ტელეფონით გაცემული ბრძანება უფრო სავალდებულო ბრძანებაა ხოლმე, ვიდრე ქაღალდზე ხელმოწერილი". ამ მოსაზრების გაცნობისას ალბათ ისეთი შთაბეჭდილება შეექმნება მკითხველს, ყოველ შემთხვევაში პირადად მე ასე ვარ, რომ ბატონ ი. გოცირიძეს უთუოდ ხელთა ჰქონია თავდაცვის მინისტრ დ. იაზოვისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალ ი. როდიონოვის სატელეფონო საუბრის ჩანაწერი თბილისში მიტინგის აღკვეთის სიტყვიერი ბრძანების გაცემის შესახებ, ანდა სატელეფონო საუბრის ჩანაწერი თუ არა აქვს, მისი შინაარსი მაინც იცის პირველი წყაროდან, ესე იგი დ. იაზოვისა და ი. როდიონოვისაგან. ამ შთაბეჭდილებას ისიც აძლიერებს, რომ, როგორც ირკვევა, ი. როდიონოვი თითქმის სამი თვეა მოსვენებას არ აძლევს ბატონ ი. გოცირიძეს, რათა მან მხოლოდ ის აღიაროს ყველაფრის სათავედ და არ გაჰყვეს იმ ძაფს, რომელიც „ზემოთ" მიდის. თუ მართლაც ასეა, მაშინ ვთხოვთ ნერილის ავტორს, გაგვაცნოს მის მიერ მოპოვებული მტკიცებულებანი, რის საფუძველზეც, ჩვენ უთუოდ შევიტანთ სათანადო კორექტივს დასკვნაში. აი, სწორედ მაშინ გამოჩნდება, ჩვენ კონფორმისტები ვართ თუ არა. მანამდე კი ბატონ ი. გოცირიძეს

მინდა შევახსენო, რომ ჩვენ კონფორმისტები კი არა, იურისტები ვართ. იურისტისათვის კი მთავარია საბუთი, სანამ იგი რაიმეს იტყოდეს ან, მით უმეტეს, დასკვნას გამოიტანდეს. ეს არ არის ფორმალისტური, „ნაცადი" გზით სიარული, ეს ერთადერთი სწორი გზაა, რომელიც ჭეშმარიტებამდე მიგვიყვანს. სხვაგვარად მოქმედება კი, რომელსაც წერილის ავტორი გვთავაზობს, აუცილებლად „ძველ ჩიხში შეგვამწყვდევს" და ჩვენს ერსაც ზიანის მეტს ვერაფერს მოვუტანთ'.

ჯონი ხეცურიანი

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

გაზეთი „კომუნისტი", №173, 1989 წელი, 28 ივლისი.

---

[1] 1989 წლის ზაფხულში, მოსკოვში ჩემი მივლინების დროს, როდესაც სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით შექმნილ საგამოძიებო კომისიაზე (საკავშირო კომისია, ანუ ე.წ. სობჩაკის კომისია) ისმენდნენ საქართველოს შესაბამისი კომისიის ინფორმაციას ჩვენ მიერ ჩატარებული გამოძიების შესახებ, საკავშირო კომისიის წევრმა ვილენ არუთინის ძე მარტიროსიანმა კონფიდენციალურად გადმომცა საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრების 9 აპრილთან დაკავშირებულ საკითხებზე საკავშირო კომისიის მიერ წარმოებული დაკითხვის სტენოგრაფიული ოქმი. ამ ოქმზე დაყრდნობით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევი კომისიის საბოლოო დასკვნაში, რომელიც გამოქვეყნდა 1989 წლის 28 სექტემბერს გაზეთ „კომუნისტში", აღვნიშნეთ, რომ გადაწყვეტილება საბჭოთა არმიის მონაწილეობით მიტინგის აღკვეთის შესახებ მიღებულია საქართველოს პარტიული და სახელმწიფო ორგანოების მიერ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დასტურითა და სსრკ თავდაცვის მინისტრის დ. იაზოვის განკარგულებით.

რატომ არ გავიზიარეთ

გაზეთმა „კომუნისტმა" მიმდინარე წლის 6 ოქტომბერს დაბეჭდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის ზ. ჩხეიძის წერილი „ჩემი გულის წუხილი". წერილის ავტორს მიაჩნია, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევი კომისიის დასკვნაში, რომელიც გაზეთმა „კომუნისტმა" გამოაქვეყნა ა. წ. 28 სექტემბრის ნომერში, დაშვებულია სერიოზული უზუსტობანი. ავტორის „გულის წუხილი", როგორც ამას თვითონ აღნიშნავს, ის ყოფილა, რომ მიუხედავად მისი მოხსენებითი ბარათისა და ახსნა-განმარტებისა ამ სერიოზული უზუსტობების თაობაზე, ისინი მაინც დარჩენილან საბოლოო დასკვნაში, რაც უფლებას აძლევს, იფიქროს, რომ ეს ყველაფერი ტენდენციურია მის მიმართ.

ბატონი ზურაბ ჩხეიძე, როგორც ვხედავთ, სერიოზულ ბრალდებას უყენებს კომისიას, ამიტომ ვალდებულები ვართ, მის შენიშვნებს ვუპასუხოთ.

წერილის ავტორი სადავოდ ხდის კომისიის საბოლოო დასკვნის პირველი ნაწილის მე-5 პუნქტში ჩამოყალიბებულ დებულებას, რომლის თანახმად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 8 აპრილის განკარგულება უკანონოდ არის მიჩნეული იმის გამო, რომ ამ აქტით, მთავრობის სახლის წინ მოედნის მომიტინგეებისაგან განთავისუფლება და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სხვა ზომების გატარება დაევალათ სსრ კავშირის შინაგან ჯარებსა და საბჭოთა არმიის ნაწილებს.

ავტორი თვლის, რომ „მინისტრთა საბჭოს აღნიშნული განკარგულებით დავალება მიეცა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს და არა სსრ კავშირის შინაგან ჯარებს და, მით უმეტეს, არა საბჭოთა არმიის ნაწილებს". ეს მოსაზრება ვერ იქნება გაზიარებული, რადგანაც არ გამომდინარეობს განკარგულების ტექსტის შინაარსიდან. მასში გასაგებადაა ნათქვამი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ზომები მიიღოს **შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის** სამხედრო მოსამსახურეთა მონაწილეობით (с привлечением). საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში სწორედ ჯარის ამ ორი სახეობის ნაწილების (თუ გნებავთ, მათი სამხედრო მოსამსახურეების) ჩაბმა მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნულ განკარგულებას უკანონო აქტად აქცევს, რადგანაც შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის ნაწილები (მათი სამხედრო მოსამსახურეები) მოქმედი კონსტიტუციისა და სხვა სამართლებრივი აქტების ძალით, არ ექვემდებარებიან არც მოკავშირე რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს და არც რესპუბლიკის მთავრობას. სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა საკავშირო სახელმწიფოს განსაკუთ-

რებულ კომპეტენციას განეკუთვნება, ხოლო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 28 ივლისის ბრძანებულების მიხედვით, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის „მოვალეობათა შესრულებისათვის შინაგანი ჯარების გამოყენება ხორციელდება სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით". ამიტომ არაკომპეტენტური ორგანოს მიერ (მოცემულ შემთხვევაში – საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო) განკარგულების გამოცემა ჯარების ამ სახეობათა გამოყენების თაობაზე კანონიერების დარღვევაა.

წერილში აღნიშნულია, რომ მინისტრთა საბჭოს განკარგულებით, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენა შინაგანი ჯარების, თავისი შინაგანი ჯარების გამოყენებით, რომლებიც დაბრუნდნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებიდან. ავტორს შევახსენებთ, რომ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ანალოგიურ სამინისტროებს, „თავისი" შინაგანი ჯარები არა ჰყავთ. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ სად არიან ისინი დისლოცირებული. ყველა შემთხვევაში ისინი სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვემდებარებიან.

წერილის ავტორი მიუთითებს, რომ ჩვენ მინისტრთა საბჭოს განკარგულებიდან მცდარად ვთარგმნეთ ქართულად სიტყვა "привлечение", რის გამოც, გამოტანილია ასევე მცდარი დასკვნა, თითქოს მოედნის განთავისუფლება დაევალათ სსრ კავშირის შინაგან ჯარებსა და საბჭოთა არმიის ნაწილებს. სიტყვა "привлечение", რომლის გადმოქართულება, როგორც ჩანს, თვით განკარგულების ავტორსაც უჭირს, ლექსიკონებში ნათარგმნია როგორც „მიზიდვა", „ჩაბმა". სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 28 ივლისის ბრძანებულების ოფიციალურ ქართულ ტექსტში "привлечение внутренних войск" ნათარგმნია როგორც „შინაგანი ჯარების გამოყენება". ჩვენ ვიხმარეთ სიტყვა „მონაწილეობა", რომლის გამოც, ვფიქრობთ, განკარგულების ტექსტის აზრი არ შეცვლილა. ისე, წერილის ავტორს თუ მოეპოვებოდა "привлечение"-ს უკეთესი ქართული შესატყვისი, რომელიც სწორად გადმოსცემდა განკარგულების შინაარსს და მკითხველსაც მისახვედრად აღაქმევინებდა მას, ახლა მაინც ეთქვა საპასუხო წერილში. იგივე ეხება მეორე რუსული სიტყვის ("удалить") თარგმნასაც. ამჯერად ავტორი პირდაპირ გვთავაზობს ამ სიტყვის იმ ქართულ ვარიანტს, რომელიც, თურმე, სინამდვილეში ჰქონია მხედველობაში. კერძოდ, იგი გვსაყვედურობს, რომ „მთავრობის სახლის წინ მოედნიდან არასანქციონირებული მიტინგის მონაწილეების გაყვანის თაობაზე სიტყვა "удалить" ნათარგმნია არა გაყვანად, არამედ გაძევებად, რასაც მე – წერს ავტორი – არავითარ შემთხვევაში არ ვაკადრებ ჩვენს ხალხს და მისი წარმომადგენლების მცირე ჯგუფსაც კი, რაც

უნდა ცუდი აზრი ჰქონდეთ ჩემზე". ამ საკითხზე, ჩვენი აზრით, დაწვრილებით ღირს შეჩერება. ზემოაღნიშნული რუსული სიტყვის ქართული ეკვივალენტია როგორც „გაყვანა", ისე „გაძევება". თითქმის ყველა ქართულ-რუსულ ლექსიკონში ეს სიტყვა ასეა გადმოქართულებული. ამიტომ მისი თარგმნის დროს ის ვარიანტი ავირჩიეთ, რომელიც განკარგულების შინაარსსა და სულისკვეთებას უკეთესად გამოხატავდა. განკარგულების სამოტივაციო ნაწილში კი ჩაწერილია: „უკანასკნელი ხუთი დღის განმავლობაში ქ. თბილისში აღინიშნება არასანქციონირებული მასობრივი ღონისძიებების ჩატარება. ასე, რუსთაველის პროსპექტზე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შენობასთან ტარდება **უპასუხისმგებლო, ნაციონალისტური ელემენტების მიერ** (ხაზგასმა ჩემია – ჯ.ხ.) ორგანიზებული მიტინგები. ამ ღონისძიებებში ებმებიან ახალგაზრდობის, საშუალო სკოლების მოსწავლეთა, გამვლელ მოქალაქეთა დიდი ჯგუფები. ანალოგიური ღონისძიებები ტარდება რესპუბლიკური ტელერადიოცენტრის შენობასთან. ყოველივე ეს უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, ხელს უშლის ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა მიმოსვლას, ქმნის წინაპირობებს შესაძლო სერიოზული შედეგებისათვის".

იმ შემთხვევაში, როდესაც ლაპარაკია **უპასუხისმგებლო, ნაციონალისტური ელემენტების მიერ** მოწყობილ მიტინგებზე, რომლებიც უხეშად არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს და სერიოზული შედეგების დადგომის საფრთხეს ქმნიან, ამ „ელემენტების" მოედნიდან ძალის გამოყენებით "удаление", ვფიქრობთ, სწორად ვთარგმნეთ როგორც „გაძევება". ისე, კაცმა რომ თქვას, ასეთი ტერმინოლოგიური დავა ხომ არ ატყდებოდა, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ეს განკარგულება რომ ქართულ, მშობლიურ და ამავე დროს რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე დაეწერა. მით უმეტეს, თუ განკარგულების ადრესატად მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ეგულებოდა და არა საბჭოთა არმიის თუ სსრ კავშირის შინაგანი ჯარების ნაწილები.

ახლა, რაც შეეხება წერილის ავტორის კატეგორიულ განცხადებას, სიტყვა „გაძევებას" არავითარ შემთხვევაში არ ვაკადრებ ჩვენს ხალხს და მისი წარმომადგენლების მცირე ჯგუფსაც კიო. ჩვენ უკვე ზემოთ ნათლად დავინახეთ, თუ რა ეპითეტებით არიან მოხსენიებული განკარგულებაში მიტინგის ორგანიზატორები. ამიტომ სხვაზე ჯერჯერობით არაფერს ვიტყვით.

დასკვნაში მოყვანილ სიტყვებს, რომ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება „...ოპერაციის ჩატარების დროს მართლწესრიგის უზრუნველყოფის მიზნით..." გამოიცა, წერილის ავტორი ჩვენს კომენტარად თვლის, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. ეს სიტყვები უცვლელად არის ბრძანების ტექსტიდან გადმოღებული, ასახავს ფაქტობრივ გარემოებას და არა ჩვენს შეფასებით დამოკიდებულებას ბრძანების მიმართ.

წერილის ავტორი ამასთანავე შეგვახსენებს: საგამოძიებო ქვეკომისიისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ მინისტრთა საბჭოში განკარგულების პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტრომ წარმოადგინაო. ამასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ განკარგულების კანონიერებისთვის პასუხს აგებს ის, ვინც მას გამოსცემს და ოფიციალურ სახეს აძლევს პროექტს, ე. ი. მინისტრთა საბჭო. რაც შეეხება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ შ.გორგოძის ბრძანებას, რომელიც მინისტრთა საბჭოს აღნიშნული განკარგულების საფუძველზე გამოიცა, მასში საერთოდ ნახსენებიც არ არიან შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურენი. წერილის ავტორის ეჭვი, თითქოს აქ მინიშნება იყოს იმაზე, რომ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეცდომაში შეიყვანა მინისტრთა საბჭო, ჩვენი აზრით, უსაფუძვლოა. ასეთი განზრახვა ჩვენ ნამდვილად არ გვქონია, რადგანაც კარგად ვიცით, როცა თანამდებობით უმცროსს შეცდომაში შეჰყავს უფროსი, ეს არც პატივს მატებს უფროსს და არც ბრალს უმსუბუქებს მას.

წერილის ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მიტინგის აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილება თავდაცვის საბჭოს არ მიუღია, მხოლოდ დაევალათ გენერალ ი. როდიონოვს და მინისტრ შ.გორგოძეს გეგმის შედგენა. „ამის შემდეგ – წერს იგი – მე დავტოვე საბჭოს სხდომა, ვინაიდან არ ვიყავი მისი წევრი. ალბათ ამის გამო, შემდგომშიც არ ვიყავი ინფორმირებული გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა და ოპერაციის დაწყების დროის შესახებ".

დასკვნაში არ არის ნათქვამი, რომ მიტინგის აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო თავდაცვის საბჭომ. მასში აღნიშნულია, რომ „პარტიული აქტივის კრების შემდეგ გაიმართა რესპუბლიკის ხელმძღვანელთა თათბირი სამხედრო პირების მონაწილეობით, ე. წ. თავდაცვის საბჭოს სხდომა". ჩვენ აქ შემთხვევით როდი ვიხმარეთ სიტყვა „ეგრეთ წოდებული". ეს გამოწვეულია იმით, რომ „თავდაცვის საბჭოს" ლეგალური არსებობის, მისი შემადგენლობის, კომპეტენციისა და ფუნქციონირების საკითხები საერთოდ გაურკვეველია. ჩვენ ამ შეკრებას თუ თათბირს პირობით ვუწოდეთ თავდაცვის საბჭოს სხდომა, რადგან თანამდებობის პირთა მიერ კომისიისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებებში ეს თათბირი მოიხსენიება როგორც თავდაცვის საბჭოს სხდომა.

ჩვენი აზრით, აქ მთავარი ის არის, რომ პარტიული აქტივის კრების შემდეგ გამართულმა თათბირმა, რომელშიც მონაწილეობდა წერილის ავტორიც, მიიღო გადაწყვეტილება მიტინგის აღკვეთის შესახებ, თორემ, გაუგებარია როგორ დაავალეს ი. როდიონოვსა და შ. გორგოძეს მიტინგის აღკვეთის ოპერაციის გეგმის შედგენა, თუ ჯერ მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული. ასევე გაუგებარი ხდება, როგორ გამოსცა მინისტრთა საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ განკარგულება,

რომელიც მიტინგის აღკვეთის დავალებას შეიცავს. თვითნებურად? სხვის დაუკითხავად? თუ ჯერ მიიღეს პოლიტიკური გადაწყვეტილება და შემდეგ გამოიცა იურიდიული აქტი – განკარგულება? რაც, ჩვენი აზრით, სინამდვილეში მოხდა კიდეც. ამასვე ადასტურებს წერილის ავტორის მიერ საგამოძიებო კომისიისათვის მიცემული ახსნა-განმარტება. სხვათა შორის, მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნული განკარგულება იურიდიული ძალის მქონე ერთადერთი დოკუმენტია, რომელიც რესპუბლიკის უმაღლესი ხელმძღვანელობის დონეზე გამოიცა მიტინგის აღკვეთის შესახებ.

ახლა, რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ თითქოს ბატონმა ზურაბ ჩხეიძემ ადრე დატოვა ე.წ. თავდაცვის საბჭოს სხდომა. საგამოძიებო კომისიისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში მან აღნიშნა, რომ ეს სხდომა ადრე დატოვა სულ სხვა მონაწილემ, ხოლო საკუთარ თავზე ამდაგვარი არაფერი უთქვამს. ამიტომ დასკვნის შედგენისას საგამოძიებო კომისია დაეყრდნო მის და აგრეთვე თათბირის სხვა მონაწილეთა განმარტებებს.

სწორედ ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო, კომისიამ არ გაიზიარა მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის შენიშვნები და, შესაბამისად, საბოლოო დასკვნაშიც არ შეიტანა ცვლილებები. თუ წერილის ავტორი ფიქრობს, რომ ეს ყველაფერი ტენდენციურია მის მიმართ, მაშინ დაველოდოთ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის კომისიის დასკვნას. ვნახოთ, როგორ შეაფასებს იგი საქართველოს მინისტრთა საბჭოს განკარგულებას. ვფიქრობთ, ამ კომისიას არ გაუჭირდება სწორი შეფასების მიცემა, რადგანაც მის წევრებს, დარწმუნებული ვარ, სათანადო კვალიფიკაცია აქვთ. ბატონი ზურაბ ჩხეიძის მიმართ ტენდენციურობისათვის ალბათ საბაბიც არ ექნებათ და, რაც მთავარია, არც ტერმინოლოგიური კვლევა-ძიება მოუწევთ რუსულად შედგენილი განკარგულების ტექსტზე.

დაბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგამოძიებო კომისიამ გადაწყვიტა, რამდენიმე წიგნად გამოაქვეყნოს 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებული ყველა მასალა, რაც, ჩვენი აზრით, დაინტერესებულ მკითხველს სრულ წარმოდგენას შეუქმნის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებებზე და ამასთანავე, საშუალებას მისცემს, განსაზღვროს, თუ რამდენად სწორი დასკვნები გამოიტანა კომისიამ ამ მასალებზე დაყრდნობით.

ჯონი ხეცურიანი

საგამოძიებო ქვეკომისიის თავმჯდომარის მოადგილე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

გაზეთი „კომუნისტი“, №241, 1989 წელი, 20 ოქტომბერი.

ЧТО ОСТАЛОСЬ ЗА КАДРОМ

Сегодня уже известно, что в двух вариантах действий из трех, заранее обговоренных нашей депутацией, должно было прозвучать это обращение:

Обращение

КО II СЪЕЗДУ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ СССР

Мы, народные депутаты от Грузии, обращаемся к Вам, уважаемый председатель, ко всем вам, уважаемые депутаты. Обращаемся к вашему нравственному чувству и гражданской совести.

Вместе со всеми народами Советского Союза Грузия не раз испытала на себе кровавое воздействие тоталитарного режима. В памяти народа и 1924 год, и 1937, и 1951, и уже после сталинской эпохи год 1956, когда на улицах Тбилиси были расстреляны сотни безоружных юношей и девушек. И вот вновь - убийство демонстрантов - теперь уже в апреле 1989. Народ пережил это событие как национальную катастрофу. Правда, по сравнению с 56-м, ситуация изменилась. Тогда правительство замолчало гибель людей, сейчас мы всенародно обсуждаем трагедию, пытаясь заклеймить механизмы, которые могли ее допустить. Тем большая ответственность ложится на нас, уважаемые депутаты. Ответственность перед согражданами, ответственность перед будущим.

На наших глазах вновь проявляется стремление исказить истину всеми печально известными методами, выработанными тоталитарным режимом. Но это бесполезно, так как истина проста: поощряемые перестройкой и гласностью, в Тбилиси, как и во всей стране, на улицы вышли тысячи людей, стремящихся к демократии, независимости, свободе. Были и крайние лозунги, но это - издержки процесса демократизации и не меняет сути явления.

Суть в том, что манифестация была мирной, а пресекали ее военной силой, применяя отравляющие вещества и саперные лопаты. Убиты люди. Опровергнуть эту истину невозможно. Ибо народ знает правду. Мать знает, что была убита ее дочь, она видела, как и кем ее дочь была убита. Ей не нужда никакая политическая оценка случившегося. Политическая оценка необходима нам, уважаемые депутаты, необходима всей стране, чтобы, нигде, никогда не повторился тбилисский апрель, как ныне повторились события 56-го в г. Тбилиси, 62-го в г. Новочеркасске. Повторились из-за искажения и сокрытия истины.

Мы обращаемся к вам с призывом: осудить применение насилия против мирной демонстрации 9 апреля 1989 года в Тбилиси.

Мы верим, что с нами будут все, кто стремится к торжеству правды и справедливости. Мы верим, что истина победит, ибо, как сказано в священной книге: Нет ничего сокровенного, что не открылось бы, и тайного, что не было бы узнано!

Народные депутаты СССР от Грузии.

Это обращение было подготовлено избранной нашими депутатами редакционной группой, в которую вошли Т. Буачидзе, Э. Шенгелая и Т. Чхеидзе, а также Л. Гогоберидзе, Дж. Хецуриани, Т. Шарикадзе.

Почему же это обращение не услышали, почему о нем не узнали участники Съезда? Потому, что сработал четвертый вариант развития событий, депутатами не предусмотренный.

Выступил А. Собчак. Потом - Главный военный прокурор А. Катусев. И тут Темур Чхеидзе должен был зачитать текст обращения депутатов от Грузии. Но с того момента, как после заключительных слов военного прокурора зазвучали аплодисменты, это выражала свое отношение к сказанному определенная часть зала, - наши депутаты уже по-иному заявили о своем мнении. Они, как известно, встали и ушли. Потому что, как уже говорил в интервью нашей газете один из депутатов, содоклад превзошел все ожидания - по цинизму, предвзятости, тенденциозности оценок и выводов. Встать на ту же трибуну - даже со словом правды - оказалось почти невозможно.

Это был момент выбора. Критический момент. Тогда во многом решалась судьба будущего постановления по событиям 9 апреля в Тбилиси. Да, наши депутаты знали: многие в курсе случившегося, поддерживают выводы комиссии А. Собчака. Это поддержка проявлялась не только на дружеском уровне, в кулуарах Съезда, но и во время его заседаний.

Бесплодны оказались уловки тех, кто делал ставку на то, что сработают старые рефлексы и от одного лишь призрака так называемой угрозы - чему? - депутаты в едином порыве сомкнут свои ряды и во имя высших целей - каких? - пройдут, чеканя шаг, по съездовскому полю, на котором лишь только всходят ростки демократии, свободы, гласности.

За кадром телекамеры, вне опубликованного центральной прессой осталось многое. Предложенное сегодня вниманию читателей - лишь малая его часть.

Людмила Эсванджия

Газета "Заря Востока", №298, 29 декабря 1989 года.

სახელდახელო კომენტარი

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობამ მუშაობა დაასრულა. იმ საკითხთა შორის, რომლებიც ყრილობის დღის წესრიგში იყო შეტანილი, ჩვენი რესპუბლიკისათვის და არამარტო ჩვენთვის, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა 9 აპრილს თბილისში მომხდარი ტრაგედიის გამომძიებელი კომისიის დასკვნის განხილვა და ამის თაობაზე სამართლიანი დადგენილების მიღება. საღი აზრი, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისადმი პატივისცემა მოითხოვდა ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული ამ ბარბაროსული აქციის დაგმობას. საქართველოდან წარგზავნილ დეპუტატთა გაბედული და პრინციპული მოქმედების მეოხებით, აგრეთვე სხვა რესპუბლიკების პროგრესულად მოაზროვნე დეპუტატთა მხარდაჭერით საღმა აზრმა გაიმარჯვა. ძალადობა დაგმობილია.

საპარლამენტო ბრძოლაში ამ გამარჯვების მოპოვება იოლად არ მომხდარა. მოძალადეებს დამცველები გამოუჩნდნენ. ადვოკატის როლი სამხედრო პროკურატურამ იკისრა, მათ სასარგებლოდ ამოქმედდნენ საკავშირო მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ყრილობაზე, აგრეთვე მოსკოვის ქუჩებში გაავრცელეს მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ცილისმწამებლური პროკლამაციები.

სიმართლეს აპრილის ტრაგედიის შესახებ სიცრუე დაუპირისპირეს, რადგან ყველას ერთნაირად როდი აძლევდა ხელს ეს სიმართლე. მე ხელთა მაქვს როგორც ყრილობაზე ა. კატუსევის ოცნუთიანი გამოსვლის ტექსტი, ისე ვ. ვასილევის ოთხმოცდაათგვერდიანი მოხსენებითი ბარათი სისხლის სამართლის საქმის გამოძიების შედეგების შესახებ.

განსხვავება ამ ორ ტექსტს შორის მხოლოდ ისაა, რომ პირველში სიცრუე და სიყალბე უფრო კონცენტრირებულადაა (ტექსტის მოცულობის გამო) წარმოდგენილი, ვიდრე მეორეში.

მთავარი სამხედრო პროკურორის მთავარი სიცრუე მდგომარეობს თბილისში ტრაგედიის წინა პერიოდში გამართული მიტინგის აშკარად დამახინჯებულ შეფასებაში. იგი ცდილობს, მიტინგზე წარმოთქმული ცალკეული ლოზუნგებით, აგრეთვე სხვა გამონაგონი ფაქტებით დაამტკიცოს მიტინგის მონაწილეთა აგრესიული განწყობილება, მათი მზადყოფნა, გააფთრებული წინააღმდეგობა გაეწიათ წესრიგის დამცველთათვის, დაემხოთ არსებული ხელისუფლება. პროკურორის მიზანი გასაგებია. თუ დამტკიცდება, რომ მიტინგი სწორედ ასეთი ხასიათისა იყო, მაშინ ადვილი იქნება სამხედრო მოსამსახურეთა ყველა მოქმედების ასე თუ ისე მართლზომიერად მიჩნევა, მათი გამართლება. საამისოდ ა. კატუსევს მოჰყავს მიტინგის ერთ-ერთი ორგანიზატორის გამონათქვამები: „საქართველო უნდა შევიდეს ნატოში, როგორც სამხედრო მოკავშირე“, „ჩვენ უნდა ავჯანყდეთ და

ვიბრძოლოთ. მესამე მსოფლიო ომის შემდეგ იმპერია დაემხობა" და სხვა. მე აქამდე არ მეგონა, რომ საქართველოში ვინმეს მესამე მსოფლიო ომის გაჩაღების რეალური შესაძლებლობა გააჩნდა. ერთი რამ კი მიკვირს, ომის გაჩაღების მოსურნეებმა, ცივი თუ ცხელი ომის დამქაშებმა, რომლებიც ასე მრავლად არიან იარაღის მოჟღარუნე იმპერიალისტურ ქვეყნებში, როგორ გაუშვეს ხელიდან მსოფლიო ომის წამოწყების ასეთი შანსი. რაც შეეხება საქართველოს, როგორც სამხედრო მოკავშირის შესვლას ნატოს ბლოკში, ნუთუ მთავარ სამხედრო პროკურორს არ ესმის, რომ სამხედრო მოკავშირე შეიძლება იყოს ის, ვისაც სამხედრო ძალა, არმია ჰყავს. უარმიო და უიარაღო სამხედრო მოკავშირე ვის გაუგია? რომელ სამხედრო მოკავშირედ შეიძლება გამოდგეს საქართველო, რომელსაც არა თუ საკუთარი საჯარისო ფორმირებები არა ჰყავს, არამედ იმისთვისაც ვერ მიუღწევია, წვევამდელებმა რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში მოიხადონ სავალდებულო სამხედრო სამსახური.

სხვათა შორის, მიტინგის დახასიათებისას იგივე ლოზუნგები და მოწოდებები მოიშველია ი. როდიონოვმა სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე. თუმცა შემდგომ, ყრილობის მიერ შექმნილი კომისიის სხდომაზე განაცხადა, რომ ნატოს ბლოკში საქართველოს შესვლისა და უცხო ქვეყნის ჯარების მოწვევის შესახებ მოწოდებები არასერიოზულ განცხადებებად უნდა იქნეს მიჩნეულიო. როგორც ვხედავთ, ყრილობაზე ერთს ამბობენ, კომისიის წინაშე – მეორეს, რადგან ყრილობის „აგრესიულად მორჩილ უმრავლესობაზე" ამგვარი ხერხით ადვილია ზემოქმედების მოხდენა და, შესაბამისად, სასურველი გადაწყვეტილების მიღებაც.

ა. კატუსევი კი მაინც თავისას არ იშლის. მისი აზრით, სწორედ ამგვარი მოწოდებების გავლენით, მიტინგები და დემონსტრაციები გადაიზარდნენ საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევაში, შეკრებილთა აგრესიულად განწყობილმა ნაწილმა მოიმარაგა დანები, ლითონის ღეროები, მილების გადანაჭერები, ჯოხები, ბოთლები საწვავი ნივთიერებით. თურმე ყალიბდებოდა სპორტსმენებისა და ფიზიკურად ძლიერი მამაკაცების ჯგუფები, რათა მოეგერიებინათ მოედნის განთავისუფლების ყოველგვარი მცდელობა.

პროკურორის ეს განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს. მიტინგის დარბევის შემდეგ, როგორც ცნობილია, შემთხვევის ადგილის დათვალიერება მთავრობის სახლის წინ ჩაატარა საქართველოს პროკურატურამ. მოედნიდან, რომელსაც იცავდნენ არმიის ნაწილები, პროკურატურის თანამშრომელთა მიერ ამოღებულ ნივთებში არ არის ა. კატუსევის მიერ ზემოთ დასახელებული წინააღმდეგობის გასაწევად სპეციალურად მომარჯვებული საგნები. სამაგიეროდ, აღწერილობის სიაში შეტანილია ფეხსაცმელები, ჩანთები, სკოლის სახელმძღვანელოები, მინერალური წყლის ცარიელი ბოთლები და სხვა. ეს ნივთმტკიცებები საქართველოს

პროკურატურამ გადასცა სამხედრო პროკურატურას. არსებობს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ვიდეოფირიც.

ასევე არასწორია მოსაზრება მომიტინგეთა შორის სპეციალური ჯგუფების არსებობის შესახებ. ვერც საქართველოს უზენაესი საბჭოს კომისიამ და ვერც სახალხო დეპუტატთა ყრილობის კომისიამ ვერ იპოვა იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ მოედანზე იყვნენ და მოქმედებდნენ მოიერიშეთა სპეციალურად ჩამოყალიბებული ჯგუფები სპორტსმენებისა და ფიზიკურად ძლიერი მამაკაცების შემადგენლობით. იგივე დაადასტურა ი. როდიონოვმა კომისიისათვის მიცემული ახსნა-განმარტებით.

მთავარი სამხედრო პროკურორი მომიტინგეებს ხულიგნებად მიიჩნევს, მაშინ როცა მთავრობის სახლის წინ მიტინგზე, მისი აღკვეთის მომენტში, შეკრებილი იყვნენ: სტუდენტი ახალგაზრდობა, შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები, მუშები, პარტიულები თუ უპარტიონი. ერთი სიტყვით, მთელი საზოგადოება. ა. კატუსევი შეგნებულად გვერდს უვლის და არაფერს ამბობს იმაზე, თუ რამ შეკრიბა ეს ხალხი, რა იყო მათი ძირითადი მოთხოვნა. არაფერს ამბობს იმიტომ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის, მისი კავშირიდან გასვლის მოთხოვნა, რომელიც მიტინგის მთავარი თემა იყო, ანტიკონსტიტუციურს არაფერს შეიცავდა. პირიქით, მომიტინგეები მოითხოვდნენ სსრ კავშირისა და საქართველოს კონსტიტუციებით გათვალისწინებული უფლების განხორციელებას. როგორც ჩანს, ა. კატუსევმა იცის სსრ კავშირის კონსტიტუციის 72-ე მუხლის შინაარსი და ამიტომაც მოერიდა მიტინგის ძირითადი საკითხის მართლზომიერების გარჩევას, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩიხში აღმოჩნდებოდა.

სამაგიეროდ, მან აშკარად არასწორი ინტერპრეტაცია მისცა საქართველოს კონსტიტუციის 125-ე მუხლის მე-3 პუნქტში გათვალისწინებულ დებულებას და შეეცადა მიტინგის აღსაკვეთად არმიის ნანილების გამოყენებისათვის სამართლებრივი საფუძველი მოეძებნა. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ საქართველოს მინისტრთა საბჭოს 8 აპრილის გადაწყვეტილება (უნდა იყოს განკარგულება – ჯ. ხ.) არასანქციონირებული მიტინგის აღკვეთის შესახებ სამართლებრივი საფუძველი გახდა შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა მოქმედებისათვის. საქართველოს კონსტიტუციის ზემოაღნიშნული ნორმის კატუსევისეული გაგება სამართალში გაუთვითცნობიერებელ პირებზეა გაანგარიშებული. საქმე ისაა, რომ რესპუბლიკის მთავრობის კომპეტენციაში მართლაც შედის საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად ღონისძიებების განხორციელება. რესპუბლიკის ძირითადი კანონის 125-ე მუხლის მე-3 პუნქტში პირდაპირ არის ნათქვამი ამის შესახებ. მაგრამ ა. კატუსევი არაფერს ამბობს იმაზე, რომ კონსტიტუციის იმავე ნორმის ძალით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებებს ახორციელებს „თავისი უფლებამოსი-

ლების ფარგლებში". რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილება კი მხოლოდ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების გამოყენებით ამოიწურება. რაც შეეხება საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად შინაგანი ჯარების გამოყენების საკითხს, მას წყვეტს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი, ხოლო ამავე მიზნებისათვის არმიის ნაწილების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ამა თუ იმ ტერიტორიაზე სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში. თბილისში სამხედრო მდგომარეობა არავის გამოუცხადებია. ამდენად, არმიის მონაწილეობა მიტინგის აღკვეთაში აშკარად უკანონო აქციაა. ამ უკანონობას შედეგად მოჰყვა სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ჩადენილ უკანონობათა მთელი ჯაჭვი: მესანგრის ხელბარების გამოყენება ხალხის დასაზიანებლად, კომენდანტის საათის უკანონო გამოცხადება (რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოჰყვა), სამხედრო მდგომარეობის გამოუცხადებლად საქართველოს დედაქალაქის ფაქტობრივი ოკუპაცია, სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ცეცხლმსროლელი იარაღით არასრულწლოვანთა დაჭრის, მოქალაქეთა ქონების დაზიანების ფაქტები და სხვა.

სამხედრო პროკურატურის მოვალეობა სწორედ ამ ფაქტების გამოძიება და დამნაშავე პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა იყო. ა. კატუსევი კი ამ ფაქტებს შეგნებულად უვლის გვერდს, თითქოს ამგვარი არაფერი მომხდარა. ხოლო, თუკი მოჰყავს რომელიმე მათგანი, მათ გასამართლებლად აშკარა სიცრუესაც არ თაკილობს. მესანგრეთა ხელბარების გამოყენების ფაქტთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ, რადგანაც ჯარისკაცებს წინასწარ ჩამოართვეს ცეცხლმსროლელი იარაღი, ამიტომ მათ თავდაცვის ერთადერთ საშუალებად მესანგრის ხელბარები აღმოაჩნდათო. საინტერესო ლოგიკაა. სამხედრო პროკურორი იმას კი არ აძლევს შეფასებას, რომ სამხედრო პირთა იქ ყოფნა გინდ იარაღით, გინდაც უიარაღოდ, თავისთავად, უკანონობაა, არამედ ცდილობს, მესანგრის ხელბარებით დაშავებულ მოქალაქეთა რაოდენობა როგორმე მინიმუმამდე დაიყვანოს და ამით შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს ამ ბარბაროსულ აქციას მძიმე შედეგები არ მოჰყოლია. ამასთან დაკავშირებით სავსებით სწორად აღნიშნა დეპუტატმა ა. სობჩაკმა ყრილობაზე: საჭიროა დავადგინოთ ხელბარების გამოყენების ფაქტი და დავგმოთ იგი, როგორც ადამიანობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული.

ასეთი შეფასების გამო, მნიშვნელობა აღარა აქვს იმას, თუ კონკრეტულად რამდენი კაცი დაშავდა მათი გამოყენების შედეგად. ხელბარების ხმარება მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ დაუშვებელია.

იგივე უნდა ითქვას მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებების გამოყენების ფაქტზეც. ა. კატუსევი არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ „სიესის" მომწამვლელი გაზის შემცველი ნაწარმის „კ-52"-ის გამოყენება ნე-

ბადაურთველია შინაგან ჯარებში, რადგანაც არ შედის შინაგანი ჯარების იმ სპეცსაშუალებების ნუსხაში, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 28 ივლისის ბრძანებულებით. თუ ა. კატუსევმა ამ ფაქტს დუმილით აუარა გვერდი და სათანადო სამართლებრივი შეფასება არ მისცა ნებადაურთველი ქიმიური მომწამვლელი ნივთიერების გამოყენებას, სამაგიეროდ, ვ. ვასილიევი თავის მოხსენებით ბარათში ამ ფაქტის ორიგინალურ განმარტებას გვთავაზობს. მისი აზრით, მართალია, „სი-ესი" არც ერთი ნორმატიული აქტით არაა დაშვებული, მაგრამ მისი გამოყენების შედეგად შესაძლებელი გახდა ხალხის აქტიური წინააღმდეგობის აღკვეთა და სამხედრო მოსამსახურეთა დამატებითი ტრავმების თავიდან აცილება. ამდენად, დაასკვნის იგი, პოდპოლკოვნიკმა ა. ბაკლანოვმა, რომელმაც მიტინგის აღკვეთის დამამთავრებელ სტადიაზე ბრძანება გასცა „სი-ესის" გამოყენების შესახებ, მხოლოდ ფორმალურად დაარღვია კანონის მოთხოვნები და მისი ქმედობა დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს. სიყალბე თქმულა, მაგრამ ასეთი?

ვ. ვასილიევის ლოგიკით მიზანი ამართლებს საშუალებებს. მიტინგის აღკვეთის დროს თუ მთავარი ის იყო, რომ სამხედრო მოსამსახურეებს ტრავმები არ მიეღოთ და მიტინგიც წამიერად აღკვეთილიყო, მაშინ „სი-ესზე" გაცილებით უფრო ძლიერი ქიმიური საშუალებების გამოყენებაც მართლზომიერად უნდა ჩაითვალოს სამხედრო პროკურორის ლოგიკით.

დავუბრუნდეთ ა. კატუსევის ნააზრევს. მიტინგის მონაწილეთა აგრესიულობის დასამტკიცებლად მას მოჰყავს ჩვენთვის აქამდე უცნობი ფაქტები მომიტინგეთა მიერ საქართველოს მილიციის მუშაკების მიმართ გამოჩენილი ძალადობისა და უხამსი საქციელის შესახებ. პირდაპირ უნდა აღვნიშნოთ, რომ არც ერთი ეს ფაქტი არ დასტურდება ოფიციალური მონაცემებით. რადგან არ არსებობს ამ ფაქტებზე აღძრული არც ერთი სისხლის სამართლის საქმე.

ა. კატუსევი ბრალს სდებს საქართველოს მილიციას, რომ მან არ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა მიტინგის აღკვეთის დროს. ეს ბრალდება უფრო ვრცლად აქვს განხილული ვ. ვასილიევს. როგორც ცნობილია, საქართველოს მილიციის ამოცანები მიტინგის აღკვეთის დროს განისაზღვრა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით. ამ ბრძანების თანახმად, შინაგან საქმეთა ორგანოებს დაევალათ რესპუბლიკის მილიციის ძალებით მთავრობის სახლის დაცვა, მოშიმშილეთა გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებებში და უსანქციო მიტინგის ორგანიზატორების დაკავება. ყველა ეს დავალება შესრულდა. უფრო მეტიც, საქართველოს მილიციის წინდახედული მოქმედების შედეგად, დაღუპვას გადარჩა მრავალი ადამიანი. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ამ კეთილშობილური მოქმედების გამო, საქართველოს მილიციის მრავალი თანამშრომელი დაზიანდა ჯარისკაცების ხელკეტებისაგან. ამას ვ. ვასი-

ლიევი, რა თქმა უნდა, არ უარყოფს, მაგრამ შემდეგნაირად განმარტავს: „მილიციის თანამშრომლები ამ სიტუაციაში თავისი უმოქმედობით არათუ წინ აღუდგნენ ექსტრემისტულად განწყობილ მომიტინგეებს, არამედ ცალკეულ შემთხვევებში ხელს უწყობდნენ ზოგიერთ მათგანს მიმალვაში. სამხედრო მოსამსახურეთა ნაწილი, რომელმაც შენიშნა რესპუბლიკის სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენელთა ქცევის მსგავსი ფაქტები, აღშფოთდა და რეზინის ხელკეტები დაუშინა მათ". მე ვთვლი, რომ ამ სიტყვების კომენტარი ზედმეტია.

მთავარი სამხედრო პროკურორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ 9 აპრილის ტრაგედიის თაობაზე საქართველოს უზენაესი საბჭოს კომისიის, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის კომისიისა და მთავარი სამხედრო პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფის დასკვნები ბევრ რამეში არ ემთხვევა ერთმანეთს. ამის მიზეზად მას მიაჩნია ფაქტობრივი გარემოებების დადგენის სხვადასხვა მეთოდები. მე ვერ გეტყვით, რა მეთოდებით სარგებლობდნენ სამხედრო პროკურატურის გამომძიებლები, მაგრამ ერთი რამ ცხადია, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს კომისიისა და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ შექმნილი კომისიის დასკვნები სწორედ რომ ბევრ რამეში ემთხვევა ერთმანეთს, რაც ამ კომისიათა მიერ ტრაგედიის ფაქტობრივ გარემოებათა დასადგენად არჩეული მეთოდის სისწორეზე მეტყველებს. სამხედრო პროკურატურის მიერ გამოყენებული მეთოდით კი, აი რა დასკვნამდე მივედით: სამხედრო მოსამსახურეთა არც ერთ მოქმედებაში არ არის დანაშაულის შემადგენლობა, მათი მოქმედება ტრაგედიის განვითარების ყველა სტადიაზე მართლზომიერია. სამაგიეროდ, დანაშაულის ნიშნებს შეიცავს მიტინგის ორგანიზატორთა და ქალბატონ თამარ დეკანოსიძის მოქმედებები. ასეთია მათი სიმართლე და სამართალი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის VI ტომში „სიცრუის" საილუსტრაციოდ მოყვანილია დიდი ილიას სიტყვები: „ყური არავინ უგდო ამ ხმას, სიცრუედ და ჭორად მიიღო ყველამ". ჭეშმარიტად, ყური არავინ უგდო ა. კატუსევის ხმას, სიცრუედ და ჭორად მიიღო ყველამ. სახალხო დეპუტატთა მესამედმა ყრილობის დარბაზი დატოვა. მოგვიანებით კი კენჭისყრამ გვიჩვენა, რომ 1928 დეპუტატიდან 1843-მა არ ირწმუნა სამხედრო პროკურატურის გამოძიების შედეგები.

ჯონი ხეცურიანი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა
და სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

გაზეთი „კომუნისტი", №299, 1989 წელი, 30 დეკემბერი.

9 აპრილიდან 9 აპრილამდე

9 აპრილი გამორჩეული თარიღია საქართველოს უახლეს ისტორიაში. ამ თარიღით აღინიშნება, ერთი მხრივ, 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მომხდარი ტრაგედია, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ სისხლში ჩაახშო მთავრობის სახლის წინ მრავალათასიანი მშვიდობიანი მიტინგი, რომელზეც ქართველი ხალხი მოითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობას და, მეორე მხრივ, 1991 წლის 9 აპრილი, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ იმავე წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

ეს ორმაგი ბუნება 9 აპრილისა, კერძოდ, ეროვნული გლოვის დღე და ეროვნული დღესასწაულის დღე მის ოფიციალურ სახელწოდებაშიც აისახა. საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 64-ე მუხლით 9 აპრილი გამოცხადებულია უქმე დღედ, როგორც „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე – საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე“.

ამ ორ ცხრა აპრილს შორის 2 წელი ძევს – 2 წელი, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენებით იყო დატვირთული და რომელმაც მოამზადა, წინა პირობა შეუქმნა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებას. ამიტომ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით: რომ არა 1989 წლის 9 აპრილი, არ იქნებოდა 1991 წლის 9 აპრილი. შეიძლება ასეთი შეფასება ვინმეს მართლაც გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მით უმეტეს, რომ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებმა სხვა გზით მიაღწიეს ასეთ შედეგს, მაგრამ 1989 წლის 9 აპრილამდე და მის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში განვითარებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების ანალიზი, რომლზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, ვფიქრობ, ასეთი დასკვნისათვის საფუძველს იძლევა.

ერთი რამ კი შეიძლება ახლავე აღვნიშნოთ: ყოფილ საბჭოეთში საქართველო აღმოჩნდა ის ქვეყანა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა მიიღო დარტყმა საბჭოთა იმპერიული მანქანისაგან, მსხვერპლი გაიღო ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნისათვის და ერთ-ერთმა პირველმა მოიპოვა დამოუკიდებლობა, რითაც საბჭოთა კავშირის, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტისა და გეოპოლიტიკური რეალობის რღვევის პროცესი დაჩქარდა.

1985 წლიდან საბჭოთა კავშირში ახალი სტრატეგიული კურსის (ე. წ. პერესტროიკის) განხორციელებას შეუდგნენ, რომელიც მათი ავტორების აზრით, გულისხმობდა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრე-

ბის ყველა სფეროს საფუძვლიან რეფორმირებას. ამასთან, აქტუალური გახდა სამართლებრივი სახელმწიფოს, ადამიანის უფლებათა დაცვის, საჯაროობისა და საერთოდ საზოგადოების დემოკრატიზაციის იდეები.

ამ პოლიტიკურ ფონზე საქართველოში მკვეთრად გააქტიურდა საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც მიმართული იყო ძირითადად ეროვნული ინტერესების დასაცავად (მხედველობაში მაქვს დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის დაცვისათვის მოძრაობა, ტრანსკავკასიური სარკინიგზო მაგისტრალის ეკოლოგიური უზრუნველყოფის პრობლემები, მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის შემზღუდავი ნორმების საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში დადგენისადმი საპროტესტო აქცია, საბჭოთა არმიაში ქართველ ჯარისკაცთა დისკრიმინაციის საკითხი და სხვ.). წარმოიშვნენ ე. ნ. არაფორმალური გაერთიანებები, რომლებიც დღევანდელი პოლიტიკური პარტიების ჩანასახს წარმოადგენდნენ. ისინი ხელს უწყობდნენ საზოგადოებაში პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებას და უშუალო დემოკრატიის ისეთი ინსტიტუტების მეოხებით, როგორებიცაა მიტინგები და მანიფესტაციები, ცდილობდნენ ზემოქმედების მოხდენას პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებზე. თანდათანობით წინა პლანზე წამოიწია ეროვნული დამოუკიდებლობის, 1921 წელს გარეშე ძალის, საბჭოთა არმიის აგრესიის შედეგად დაკარგული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეამ. აშკარა იყო, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში იწყებოდა ახალი და მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი.

საქართველოს იმჟამინდელმა ხელისუფლებამ, რომელიც ვერ გაერკვა საზოგადოებაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში და ძველი იდეოლოგიური სტერეოტიპებით აზროვნებდა, თავიდანვე მკვეთრად უარყოფითი, მტრული დამოკიდებულება გამოავლინა ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის მიმართ, რომელიც არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერების აქტიურობის წყალობით სულ უფრო პოპულარული ხდებოდა. სულ მალე ხელისუფლებისა და ხალხის პოზიციების სრული პოლარიზაცია მოხდა. ასეთ პირობებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის განმუხტვისა და ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, ხელისუფლებამ საბჭოთა წყობილებისათვის ნაცად, ტრადიციულ მეთოდს – შიშველ ძალას მიმართა. ეს, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატა მიტინგებისა და მანიფესტაციების აკრძალვასა და დარბევაში. უფრო მეტიც, 1988 წლის ნოემბერში საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს თბილისში კომენდანტის საათის შემოღების აუცილებლობის შესახებ. ესეც საბჭოური ტრადიციის მიხედვით მოხდა, თუმცა მაშინ გარეშე ძალის გამოყენება აღარ გახდა საჭირო. სამაგიეროდ, 1989 წლის გაზაფხულზე მოვლენები უსწრაფესად განვითარდა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის და ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნის საპირისპიროდ ცენტრი შეეცადა, საქართველოზე ზემოქმედება მოეხდინა ავტონომიების საკითხის წინ წამოწევით.

18 მარტს გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში აფხაზეთის სახალხო ფრონტის ინიციატივით გაიმართა აფხაზი მოსახლეობის მიტინგი. მათი მოთხოვნა იყო ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შეცვლა, საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გასვლა.

25 მარტს ქართველი მოსახლეობის საპასუხო მიტინგი გაიმართა სოხუმში, რომელშიც მონაწილეობდნენ არაფორმალური გაერთიანებების ლიდერები. იმავე დღესვე ნებადართული მიტინგი მოეწყო თბილისში, გამარჯვების პარკში. მას მოჰყვა რუსთაველის პროსპექტზე მსვლელობა და მთავრობის სახლთან მანიფესტაცია.

4 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები ატარებენ მიტინგს ე. წ. „აფხაზეთის საკითხზე". საღამოს მომიტინგეებმა მთავრობის სახლთან გადაინაცვლეს.

მიტინგის მონაწილეებმა დღის წესრიგიდან მოხსნეს ე. წ. „აფხაზეთის საკითხი", რადგანაც დარწმუნდნენ, რომ იგი ინსპირირებული იყო და წამოაყენეს მოთხოვნა საქართველოს 1921 წელს დაკარგული (უფრო სწორად წართმეული) დამოუკიდებლობის აღდგენის და კონსტიტუციის 69-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ. ამ კონსტიტუციური მოთხოვნის გამოსახატავად მათ მიმართეს მშვიდობიან ფორმას – შიმშილობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიტინგს არ ჰქონდა ულტიმატუმის ხასიათი, არ იყო მოწოდება ხელისუფლების ძალად დამხობის ან შეიარაღებული ამბოხისაკენ და მიზნად არ ისახავდა კონკრეტული პოლიტიკური შედეგის დაუყოვნებლივ მიღწევას. უფრო მეტიც, საჯაროდ გამოცხადდა, რომ მიტინგი ყველა შემთხვევაში 14 აპრილს დაიშლებოდა. მიტინგმა ფართო ხასიათი მიიღო და პერმანენტულად დღედაღამ მიმდინარეობდა. მასში მონაწილეობდნენ სტუდენტები, სკოლის მოსწავლეები, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის, საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები. მომიტინგეებს სოლიდარობას უცხადებდნენ საქართველოს რაიონები და ქალაქები, საწარმო-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები.

მიუხედავად იმისა, რომ მომიტინგეები აყენებდნენ კონსტიტუციით გათვალისწინებულ მოთხოვნას, საბჭოთა იდეოლოგიისა და სინამდვილისათვის იგი არათუ მიუღებელი, არამედ დანაშაულებრივი იყო. მართალია, იმდროინდელი კონსტიტუციური წყობილებით საბჭოთა კავშირი მოკავშირე რესპუბლიკების ნებაყოფლობით კავშირად იყო აღიარებული, საიდანაც რესპუბლიკას ჰქონდა თავისუფალი (უპირობო) გასვლის უფლება, მაგრამ საბჭოთა იდეოლოგია უმძიმეს სახელმწიფო დანაშაულად მიიჩნევდა თვით აზრის გამოთქმასაც კი საბჭოთა კავშირიდან მოკავ-

შირე რესპუბლიკის გასვლის კონსტიტუციური უფლების განხორციელების შესახებ. სწორედ ამიტომ და იმ მიზნითაც, რომ სამაგალითოდ დაესაჯათ ერი, რომელიც გაუქმებული სახელმწიფოებრიობის აღდგენას მოითხოვდა, 1989 წლის 9 აპრილს, ღამის 4 საათზე სამხედრო ძალის გამოყენებით დაარბიეს მთავრობის სახლის წინ მიმდინარე მრავალათასიანი მშვიდობიანი მიტინგი. მიტინგის დარბევის შედეგად დაიღუპა 19 ადამიანი, რომელთაგან 16 ქალი იყო (მათ შორის 2 არასრულწლოვანი და ერთი ფეხმძიმე). 200-ზე მეტმა მიიღო სხვადასხვა ხარისხის დაზიანება. მომწამვლელი გაზების გამოყენების შედეგად სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს მიმართა 4 ათასზე მეტმა პიროვნებამ, მათგან 500 სტაციონარულ, ხოლო 3828 ამბულატორიულ მკურნალობაზე აიყვანეს.

მეორე დღესვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც იუწყებოდნენ, რომ 9 აპრილს, გამთენიისას, მთავრობის სახლის წინ მოხდა ტრაგედია. ანტისახელმწიფოებრივი მიტინგის აღკვეთას შედეგად მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი. არიან დაზარალებულებიც. ამ უბედურებისათვის პასუხისმგებლობა, ნათქვამია განცხადებაში, პირველ რიგში, ეკისრებათ რადიკალურად განწყობილ არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერებს, რომლებმაც დაუშვებელი, თავაშვებული, ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებით დაძაბეს საზოგადოებრივი ატმოსფერო, შექმნეს აშკარა პოლიტიკური ისტერიის ვითარება და მიიყვანეს ჩვენი საზოგადოება, ხალხი, რესპუბლიკა კატასტროფამდე. ამასთანავე აღნიშნული იყო, რომ ამ ტრაგედიის ყველა გარემოების გამოსარკვევად შეიქმნა სამთავრობო კომისია მთავრობის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 9 აპრილის ბრძანებულებით, თბილისში შემოიღეს კომენდანტის საათი, რომლის ამოქმედება 10 აპრილის 23 საათიდან საქართველოს მოსახლეობას ამცნო თბილისის კომენდანტად დანიშნულმა გენერალმა როდიონოვმა 4 წუთით ადრე სატელევიზიო გამოსვლისას.

აშკარა იყო, რომ საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა მომხდარზე პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დისკრედიტაციას და საბჭოთა არმიაზე დაყრდნობით, არსებული სახელმწიფოებრივი წესწყობილებისა და რეჟიმის შენარჩუნებას. ეს კი, უწინარეს ყოვლისა, საკავშირო სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარეობდა და მას აძლევდა ხელს.

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ შეცვლილი პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, საჭირო იყო, ერთი მხრივ, 9 აპრილის ტრაგედიის ყველა გარემოების დეტალური გამოძიება, რომლის შედეგები თვალსაჩინოს გახდიდა, რომ საბჭოთა კავშირში გამოცხადებული გარდაქმნის, რე-

ფორმების, საჯაროობის, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის, დემოკრატიზაციის, ხალხთა სუვერენული უფლებების დაცვის ყბადაღებული პოლიტიკა ფიქციაა, რომ ძველი საბჭოური რეჟიმი არსებითად არ შეცვლილა, მისთვის დამახასიათებელი ძალმომრეობის სახელმწიფო მექანიზმი სრულ მწყობრშია და ნებისმიერ კრიტიკულ სიტუაციაში მზადაა, ძალის გამოყენებით ჩაახშოს ცალკეული ერების სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ. ამას კი ხელისუფლების მიერ შექმნილი სამთავრობო კომისია ვერ ან, უფრო სწორად, არ გააკეთებდა. მეორე მხრივ, საჭირო იყო მორალურ-პოლიტიკური უპირატესობის ფონზე მშვიდობიანი, სამართლებრივი გზით ეროვნული ძალების ხელისუფლების ორგანოებში არჩევა, მარიონეტული ხელისუფლების შეცვლა. მანამდე კი – საზოგადოებრივი აზრის გამოყენებით, ხელისუფლებაზე ზემოქმედება ეროვნული ინტერესების დასაცავად.

ტრაგედიიდან მეორე დღესვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის 38 თანამშრომელი (მათ შორის გახლდით მეც) პრესაში გამოვიდა განცხადებით, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 9 აპრილს მომხდარი ტრაგედია შეიცავს უდანაშაულო ადამიანების ორგანიზებული, მასობრივი განადგურების ნიშნებს, რომელიც ჩადენილია განსაკუთრებული სისასტიკით და ხელისუფლების განკარგულებით. ამდენად, სამთავრობო კომისია ობიექტური ვერ იქნებოდა ტრაგედიის გარემოებათა გამოძიებასა და ჭეშმარიტების დადგენაში, რადგანაც არავინ არ შეიძლება იყოს საკუთარი მოქმედებების პირუთვნელი მსაჯული. საქართველოს კონსტიტუციის 119-ე მუხლზე დაყრდნობით, სწავლულ იურისტთა ეს ჯგუფი მოითხოვდა საქართველოს უზენაესი საბჭოს საგამოძიებო კომისიის შექმნას და გამოთქვამდა მზადყოფნას, მონაწილეობა მიეღო მის საქმიანობაში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გაფართოებულ სხდომაზე მიიღეს მიმართვა 9 აპრილის ტრაგედიის გარემოებათა დასადგენად საქართველოს კონსტიტუციის 119-ე მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო კომისიის შექმნის აუცილებლობის შესახებ. 1989 წლის 17 აპრილს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ასეთი კომისია მართლაც შეიქმნა დეპუტატებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისაგან. კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორი პროფესორი თამაზ შავგულიძე. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ სამეცნიერო ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ აკადემიკოს ალბერტ თავხელიძის ხელმძღვანელობით, ყველა პირობა შეუქმნა კომისიას ნაყოფიერი მუშაობისათვის.

რა დაადგინა და რა შეფასებები გააკეთა კომისიამ? როგორი იყო მისი საქმიანობის მთავარი შედეგი?

– კომისიამ მოკვლეული მასალების საფუძველზე დაადგინა, რომ, რადგანაც მთავრობის სახლის წინ მიმდინარე მიტინგი ატარებდა მშვიდობიან ხასიათს და მიზნად არ ისახავდა ხელისუფლების ძალად დამხობას, არ იყო დაკავშირებული ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ ქმედებებთან, ამდენად, არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი საბჭოთა არმიის მონაწილეობით მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილების მისაღებად;

– გადაწყვეტილება საბჭოთა არმიის მონაწილეობით მიტინგის აღკვეთის შესახებ მიღებულია საქართველოს პარტიული და სახელმწიფო ორგანოების მიერ, აგრეთვე საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროსა და პოლიტბიუროს დასტურით;

– გადაწყვეტილება მიღებულია კონსტიტუციის ნორმების მოთხოვნათა უხეში დარღვევით, რადგანაც საბჭოთა არმიის ნაწილები ისე გამოიყენეს მიტინგის აღსაკვეთად, რომ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს არ გამოუცხადებია ქ. თბილისში საომარი ან საგანგებო მდგომარეობა. უკანონო გადაწყვეტილების მიღების გამო, რომელმაც გამოიწვია ადამიანთა მსხვერპლი, უნდა დადგეს გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობის პირთა პოლიტიკური და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა;

– უკანონოა საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 8 აპრილის განკარგულება საბჭოთა არმიის მონაწილეობით მიტინგის აღკვეთის შესახებ, რადგანაც საქართველოს მთავრობას საბჭოთა არმიის მიმართ ასეთი დავალების დაკისრების უფლებამოსილება არ ჰქონდა;

– უკანონოა არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც მიიღეს პარტიული აქტივის კრებაზე, რადგანაც პარტიული ორგანოები ასეთი უფლებამოსილებებით აღჭურვილი არ არიან;

– მიტინგის აღკვეთა განხოციელდა დანაშაულებრივი მეთოდებით. უიარაღო მშვიდობიანი მომიტინგეების მიმართ გამოიყენეს მესანგრის ორლესული ნიჩბები, ცეცხლსასროლი იარაღი, ქალებისა და არასრულწლოვანთა მიმართ გამოიყენეს რეზინის ხელკეტები, რაც მოქმედი კანონმდებლობით აკრძალული იყო. მომიტინგეების მიმართ გამოყენებული იყო მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებები (სი-ესი), რომლებიც შინაგანი ჯარების შეიარაღებაში არ უნდა ჰქონოდათ, რადგანაც არ წარმოადგენდნენ მათ სატაბელო საშუალებებს;

– მიტინგის აღკვეთის შესახებ უკანონო გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს ისეთი საშუალებებითა და ისეთი ფორმით, რომ იგი იყო არა მიტინგის დასაშლელად გამიზნული, არამედ წარმოადგენდა სამხედრო

სადამსჯელო ოპერაციას. ამდენად, სახეზეა კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ნიშნები, რისთვისაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მიტინგის აღკვეთის ოპერაციის ხელმძღვანელებსა და შემსრულებლებს;

– მიტინგის აღკვეთის შემდეგ საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული ბრძანებულება თბილისში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ, ანტიკონსტიტუციური აქტია, რადგანაც ამ ორგანოს არც საქართველოს და არც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციებით ასეთი უფლება არ ჰქონდა. ამდენად, მან გადააჭარბა უფლებამოსილებას, რისთვისაც უნდა დაეკისროს იურიდიული პასუხისმგებლობა;

– საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრს არ ჰქონდა თბილისის კომენდანტის დანიშვნის უფლება, ხოლო ამ უკანასკნელს – განეხორციელებინა საგანგებო ზომები, რადგანაც თბილისში არ იყო საომარი ან საგანგებო მდგომარეობა გამოცხადებული;

– თბილისის სამხედრო კომენდანტმა არ მიიღო ზომები მოსახლეობის დროული ინფორმირებისათვის დედაქალაქში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ, რასაც კომენდანტის საათის შემოღებისთანავე მოჰყვა მძიმე შედეგები (სამხედრო პირთა მიერ არაინფორმირებული მოქალაქეების მკვლელობისა და დაჭრის ფაქტები), რისთვისაც უნდა დადგეს ამ თანამდებობის პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

6 თვის ინტენსიური მუშაობის შემდეგ კომისიამ მის წინაშე დასახული ამოცანა შეასრულა და თავისი დასკვნა (ქართულ და რუსულ ენებზე) გამოაქვეყნა პრესაში. საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1989 წლის 18 ნოემბერს მოიწონა კომისიის დასკვნა და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური კომისია შეიქმნა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატების პირველი ყრილობის გადაწყვეტილებით, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი იურისტი, დეპუტატი ანატოლი სობჩაკი. კომისიის შემადგენლობაში შეიყვანეს ბატონი ელდარ შენგელაია, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რესპუბლიკური და საკავშირო კომისიების შეთანხმებული მოქმედების უზრუნველყოფაში. ჩვენი და საკავშირო კომისიების ძირითადი დასკვნები 9 აპრილის ტრაგედიის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და შეფასებების თვალსაზრისით თითქმის იდენტური აღმოჩნდა. კომისიისა და ჩვენი დეპუტაციის ძალისხმევით საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატების მეორე ყრილობამ 1989 წლის 24 დეკემბერს მოიწონა ამ კომისიის დასკვნა და, რაც მთავარია, დაგმო ძალის გამოყენება მიტინგის მონაწილეთა მიმართ.

უმთავრესი დასკვნა კი, რომელიც ზემოთ აღნიშნული კომისიების მუშაობის შედეგად შეიძლება გამოვიტანოთ და რომელსაც, ჩვენი აზრით,

განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, იმის გაცნობიერებაში მდგომარეობდა, რომ უკვე აღარ არის ის დრო, როდესაც შეიძლებოდა საკუთარი ხალხის მიმართ შიშველი ძალისა და რეპრესიების გამოყენების მიჩქმალვა (როგორც ეს ხდებოდა 1924, 1937 და 1956 წლებში) და ამავე მეთოდებით – დასჯით, ეგზეკუციით ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე ხელის აღება. დადგა ის დრო, როდესაც არაფერი არ დარჩება დამალული, გამოუძიებელი, გამოუკვლეველი და ყოველი დანაშაული, რომელიც მიმართულია კაცობრიობის წინააღმდეგ, ხალხის, მსოფლიო საზოგადოებრიობის სამსჯავროზე იქნება გამოტანილი.

სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ 9 აპრილის ტრაგედიამ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კი არ ჩაკლა და ჩააქრო, პირიქით, ახალი პოლიტიკური და ზნეობრივი მუხტი შესძინა მას. ამის დასტურია, თუნდაც მოვლენების შემდგომი განვითარება.

პოლიტიკურ ძალთა მოთხოვნით, საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1989 წლის 20 ივნისს შექმნა კომისია, რომელსაც პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცა საქართველოსა და რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევისათვის. ამით ხელისუფლების იმჟამინდელი ორგანო იძულებული იქნებოდა, დაედასტურებინა ფაქტი, რომ საქართველოს 1918-1921 წლების დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გარეშე ძალის ჩარევით შეწყვიტა არსებობა და საქართველო იძულებით იქნა ინკორპორირებული საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ვფიქრობ, დამატებით განმარტებას არ საჭიროებს, თუ რა პოლიტიკურ, სამართლებრივ და საერთაშორისო სამართლებრივ შედეგებს ისახავდა მიზნად ამგვარი აღიარება არსებული ხელისუფლების მხრიდან, რომელიც 1921 წელს რუსეთის არმიის აგრესიის წყალობით მოსული ხელისუფლების უშუალო სამართალმემკვიდრე იყო.

კომისიის დასკვნით, „1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობის დამხობის მიზნით, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით – ფაქტობრივ ანექსიას". საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიამ 1989 წლის 18 ნოემბერს მოიწონა კომისიის დასკვნა და გადაწყვიტა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების მე-2 ყრილობის წინაშე დაესვა ეს საკითხი.

იმავე სესიაზე ცვლილებები განიცადა საქართველოს კონსტიტუციამ. ახალი კონსტიტუციური ნორმებით განისაზღვრა, რომ საბჭოთა კავშირიდან საქართველოს თავისუფალი გასვლის უფლება წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელია. ამ უფლების გაუქმების მომენტიდან საქართველო გასულად ითვლება საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან. ახლებურად განისაზღვრა საკავშირო კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების

მოქმედების წესი საქართველოს ტერიტორიაზე. დადგინდა, რომ ეს საკანონმდებლო აქტები საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუ ისინი შეესაბამება რესპუბლიკის ინტერესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი საბჭო აჩერებს მათ მოქმედებას რესპუბლიკაში.

ამავე პერიოდში შეინიშნება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში კონსოლიდაციისა და ერთიანობის ტენდენციები: 1990 წლის 13-15 მარტს თბილისში გაიმართა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოში არსებულმა ყველა ეროვნულ-პოლიტიკურმა პარტიამ თუ ორგანიზაციამ, საზოგადოებრივმა გაერთიანებებმა და რეგიონების წარმომადგენლებმა. კონფერენციამ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად: 1. საქართველოს უნდა განესაზღვროს ოკუპირებული და ანექსირებული ქვეყნის სტატუსი. 2. საქართველოს ამჟამინდელი სტატუსი მიჩნეულ იქნეს ფიქციად და აგრესიის შედეგების დაფარვისათვის გამიზნულად. 3. საქართველოში „დე ფაქტოდ" არსებული საბჭოთა ხელისუფლება და სახელმწიფო წყობილება მიჩნეულ იქნეს დანაშაულებრივად. 4. 1990 წლის 25 მარტის საქართველოს უზენაესი საბჭოს მომავალ არჩევნებს გამოეცხადოს ბოიკოტი. 5. დემოკრატიულ საფუძვლებზე აირჩეს გარდამავალი ხელისუფლება, რომელიც რეალურად დასვამს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხს. 6. პარიტეტულ საწყისებზე შეიქმნას ეროვნული ფორუმი, რომელიც იქნება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი და უზრუნველყოფს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას.

ამ პერიოდისათვის ხელისუფლებაზე ეროვნული ძალების გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ უზენაესმა საბჭომ ზემოთ აღნიშნული კონფერენციის ჩატარებიდან 5 დღეში მიიღო გადაწყვეტილება 1990 წლის 25 მარტს დანიშნული უზენაესი საბჭოს არჩევნების იმავე წლის შემოდგომაზე გადატანის შესახებ, თანაც იმ მოტივით, რომ არჩევნები უნდა გამართულიყო მრავალპარტიულობის საფუძველზე. ამავე დროს კომუნისტებით თითქმის სრულად დაკომპლექტებულმა უზენაესი საბჭოს სესიამ მიიღო „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ" უპრეცედენტო დადგენილება, რომელშიც აღიარა 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ გამოცხადებული აგრესია, ოკუპაცია და ანექსია. დაგმო ეს ფაქტი, როგორც საერთაშორისო დანაშაული და დაადასტურა, რომ საქართველო ესწრაფვის საქართველოსთვის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის შედეგების გაუქმებას და საბჭოთა რუსეთის მიერ ამ ხელშეკრულებით აღიარებული საქართველოს უფლებების აღდგენას. ამავე დოკუმენტით უკანონოდ და ბათილად იქნა ცნო-

ბილი სსრ კავშირის შექმნის შესახებ სამოკავშირეო ხელშეკრულება და მოთხოვნილ იქნა მოლაპარაკების დაწყება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის თაობაზე.

იმავე სესიაზე ცვლილებები შეიტანეს საქართველოს კონსტიტუციაში. ლეგალურად იქნა შემოღებული მრავალპარტიულობა.

1990 წლის ზაფხულში საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ", რომლითაც საკანონმდებლო ორგანო უნდა არჩეულიყო შერეული წესით, მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ 1990 წლის მიწურულს ქართველი ხალხი, საზოგადოებრივი ცნობიერება მზად იყო ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის განხორციელებისათვის. ეს გამოიხატა კიდევაც საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შედეგებში. საქართველოს მოსახლეობამ მხარი დაუჭირა იმ პოლიტიკურ ძალებს, რომელთა საპროგრამო ამოცანა იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. „მრგვალმა მაგიდამ – თავისუფალმა საქართველომ" ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით არჩევნებში აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო ეროვნული ფორუმის პოლიტიკურ პარტიათა გარკვეულმა ჯგუფმა, რითაც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მნიშვნელოვანი ბზარი გაჩნდა და მომავალი პოლიტიკური დაპირისპირებისა და კონფრონტაციის წინა პირობა გახდა.

ახლად არჩეულმა უზენაესმა საბჭომ განახორციელა აუცილებელი ცვლილებები საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციაში, რომელსაც უნდა ემოქმედა ახალი კონსტიტუციის მიღებამდე. არსებული კონსტიტუცია მიიჩნიეს დროებით ძირითად კანონად. გამოცხადდა გარდამავალი პერიოდი. გატარდა სასამართლო რეფორმის პირველი ეტაპი. საქართველოს სასამართლოები გამოყვანილ იქნენ საბჭოთა კავშირის მართლმსაჯულების სისტემიდან. ჩატარდა ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნები, მიღებულ იქნა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის, რეფერენდუმის, ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ კანონები, საფუძველი ჩაეყარა ეროვნული საჯარისო ფორმირებების შექმნას და სხვ.

ისმის კითხვა: უზენაესმა საბჭომ, რომელშიც აბსოლუტურ უმრავლესობას ეროვნული მოძრაობიდან მოსული დეპუტატები შეადგენდნენ, რატომ დაუყოვნებლივ არ გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა? საქმე ისაა, რომ ამ პერიოდში საბჭოთა კავშირში უკვე კარგა ხნის დაწყებული იყო საკავშირო მასშტაბით რეფერენდუმისათვის მზადება საბჭოთა კავშირის როგორც განახლებული

ფედერაციის შენარჩუნების საკითხზე. ამასთანავე, მთლიანად საბჭოთა კავშირში რეფერენდუმის შედეგები უნდა განსაზღვრულიყო თითოეულ რესპუბლიკაში კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით. როგორც ცნობილია, რეფერენდუმის გზით მიღებულ სახალხო გადაწყვეტილებას უფრო მეტი იურიდიული ძალა აქვს, ვიდრე საკანონმდებლო ორგანოს აქტს (დეკლარაციას, რეზოლუციას). საყურადღებოა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში რეფერენდუმი პირველად ტარდებოდა. რეფერენდუმის გამართვის თარიღად 1991 წლის 17 მარტი განისაზღვრა. ნიშანდობლივია, რომ საბჭოთა სახელმწიფომ მაშინ გადაწყვიტა უშუალო დემოკრატიის ამ ინსტიტუტის გამოყენება, როდესაც საბჭოთა იმპერიის რღვევა უკვე დაწყებული იყო და ხალხის ნების აპელირებით ცდილობდა ამ პროცესის შეჩერებას.

ასეთ პირობებში პოლიტიკურად და სამართლებრივად გამართლებული იყო, რეფერენდუმს რეფერენდუმითვე დავპირისპირებოდით. კერძოდ, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი თვით საქართველოს მოსახლეობას გადაეწყვიტა და არა მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს, რომელიც ლეგიტიმურობის მაღალი ხარისხის მიუხედავად, მაინც მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ნდობით იყო აღჭურვილი.

საქართველომ საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიიღო და იმავე წლის 31 მარტს დანიშნა რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე.

1991 წლის 31 მარტს გამართული რეფერენდუმით საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა მისცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. რეფერენდუმის შედეგი გახდა დამატებითი სამართლებრივი და პოლიტიკური საფუძველი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებისა, რითაც მთელ მსოფლიოს ეცნობა ქართველი ერისა და მთლიანად საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვანი ნება. ამრიგად, რეფერენდუმით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს მყარი სამართლებრივი გარანტია შეექმნა.

ასეთია საქართველოს უახლეს ისტორიაში ამ ორ თარიღთან დაკავშირებული მოვლენები. რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ აქედან?

პირველი. ქართველმა ერმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა არა საბჭოთა იმპერიის დაშლის, არამედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად. იმპერიის დაშლის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი სწორედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იყო. იმპერია აგებული იყო ეროვნული სახელმწიფოებრიობის გაუქმებაზე, ძალადობასა და უსამართლობაზე. ამიტომ საქართველოს სახელმწიფოებრივი

დამოუკიდებლობის აღდგენა ისტორიული სამართლიანობის აღდგენას ნიშნავს, გასაკუთრებით იმ ერისათვის, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციები აქვს.

მეორე. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ეფუძნება ქართველი ერის ნებას, რომელიც იურიდიულად 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებითა და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით დადასტურდა.

ამიტომ, ხელისუფლებაში სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის ძალების მონაცვლეობისას, იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობას ეხება, სახელმწიფო ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოს კომპეტენციას სცილდება და მხოლოდ ქართველი ერის ნებაზეა დამოკიდებული. რეფერენდუმით მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმით.

მესამე და უმთავრესი. ერი მხოლოდ მაშინ აღწევს გამარჯვებას, როდესაც გაცნობიერებული აქვს თავისი ინტერესები, ერთსულოვანია და დაუცხრომლად იბრძვის მათ დასაცავად.

ჯონი ხეცურიანი

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", №83-84,
2001 წელი, 8 აპრილი.

1991 წლის 9 აპრილს მიღებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი და ამ აქტის პროექტის ხელნაწერები

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის

აღდგენის აქტი

საქართველოს სახელმწიფოებრივობა, რომელიც საუკუნეთა მიღმა [illegible] ადგება სათავეს, XIX-XX საუკუნის დასაწყისში [illegible] [illegible] [illegible]

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანია და განუყოფელი
და მის დარღვევაში მიქმედება შეიცავს საქართველოს რესპუბლიკის ხელ-
[illegible]
სუფლების უზენაესობას. ერთი მიქმედება მიმართული საქართველოს
რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული
მთლიანობის დარღვევისაკენ ჩაითვლება სუფერენულ სახელმწიფოს საშინ-
ნათ საქმეებში ჩარევად და აკრძალულად, საერთაშორისო საზარალის წარ-
მოების უხეშ დარღვევად.

საქართველოს რესპუბლიკა ისწრაფვის დამოუკიდებელ ადგილი დაიკავოს
მსოფლიოს თანასწორუფლებიან სახელმწიფოთა თანაზეგანმბობობაში, ადიარებს სა-
ერთაშორისო საზარალის პრინციპებსა და წესებს, უზრუნველყოფს ადა-
მიანის, ერთნენ უფლებათა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ
მტკიცედ დაიჭერს ხაზი სახელმწიფოებთან მეგობრული, ეკონომიკური და
ეკლესიური თანამშრომლობის საფუძველზე ადიარებულ პრინციპებს.

[illegible]

[illegible]

[illegible]

პროექტში შესწორებები და დამატებები შეტანილია საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას მიერ.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ინდიკატორ აქტი

საქართველოს სახელმწიფოებრივობა, რომელიც საუკუნეთა მიდინარეობაში სათაცეს, XIX-19 საუკუნის დასაწყისში დაკარგულ იქნა გარეშე ძალის ჩარევით. ქართველი ხალხი ისევდაც შეუნარჩუნა სახელმწიფოებრივობის დაკარგვას. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით ისევდაც რუსეთის იმპერიაზელობის მიერ საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოებრივობა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებით და კონსტიტუციით.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და შეიჭრა ეგრეთწოდებულ ავრცელების გზით მოახდინა საქართველოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოყვა მისი დაქვემდებარება ანექსია.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს ძალადობითი ყოფნის მიერ ეროვნული ადამიანური ხასიათისა ტერორისტული, რეპრესიებით, რასაც უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. დარღვა ამი საქართველოს წინააღმდეგ ფიზიკურ კრძალვებია, მისი მიზანია დაამარცხოს საქართველოს ხალხი თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ.

1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ეცნობა რა 1921 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოცხადებულ საქართველოს მოსახლეობის ნებასა

ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს: საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. ეს მის ფარგლებში მოიცავს მთლიან საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობა, ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ ჩათვლება სუფერენულ სახელმწიფოს საპირწონა საქმეებში ჩარევად და აკრძალულად, საერთაშორისო სასამართლოს წინაშეების უფლებ დარღვევად.

~~საქართველოს რესპუბლიკა აცხადებს დამოუკიდებელ ადგილი ფიზიკურად მსოფლიოს ოლიმპიურ სახელმწიფოთა ოჯახისგანმარტოობაში, ადასტურებს საერთაშორისო საქმიანობის ძალისებრივი და წესებს, ეროვნულად ადამიანის, ეროვნულ უმრავლესობათა ძალთან ერთიანობასა და თანასწორობას.~~

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ შექმნილი დიალოგი ხალხ სახელმწიფოებთან ბალანსირებული, ეფექტიანი და ეფექტური თანამშრომლობის საფუძველია ადეკვატური პრინციპებს.

[illegible]

პროექტში ცვლილებები და დამატებები შესრულებულია ჩემ მიერ (ჯ. ხეცურიანი).

~~პროექტი~~

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, ქართველმა ერმა მე-19 საუკუნეში დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს აიეტსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად. ქართველი ხალხი არასოდეს შეეგუებია სახელმწიფოებრიობის დაკარგვას. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღდგა საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებითა და კონსტიტუციით.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველოს-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის საერთაშორისო ხელშეკრულება და (შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა) საქართველოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიობა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიულ მმართველობას ოკუპაციაზე ხელი არ მოუწერია.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით, რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ფარული ომი საქართველოს წინააღმდეგ დღესაც გრძელდება. მისი მიზანია დაამტვრიოს საქართველოს სწრაფვა თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ.

1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმზე გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ნებას, აღგენს და საქმიანად აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი

დამოუკიდებლობის აღიგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე.

საქართველოს სუფერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანია და განუყოფელია. მის [illegible] მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაა და ხელისუფლების უზენაესობა. ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად.

საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად.

საქართველოს რესპუბლიკა, იაზრებს რა დაიკავოს დირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო საერთოდ: გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას, მიუხედავად რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, აღმსარებლობის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული მეკუთვნილობისა და სხვა, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტები და კონვენციები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სრულად შეესაბამება ყარიბიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, ჰელსინკიისა და ვენის აქტებს, რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ყველა ხალხის უფლებას დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეყნის პოლიტიკური ბედი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ საახელმწიფოო საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნებისადმი და აღიარებს საქართველოს აღორძინებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს რესპუბლიკის უ'იშროების ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე გარანტია იქნება.

რბ.

პროექტის საბოლოო ვარიანტი, რომელიც ხელმოსაწერად გადაეცა უზენაესი საბჭოს დეპუტატებსა და მთავრობის წევრებს. რედაქციული შენიშვნები ეკუთვნის ზვიად გამსახურდიას, ფანქრით აღნიშნული შესწორებები კი შესრულებულია ჩემ მიერ (ჯ. ხეცურიანი).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი

სიკვდილით დასჯა:
ჰო თუ არა

სიკვდილით დასჯის გამოყენების ისტორიიდან

იურისპრუდენციის არც ერთ პრობლემას არ გამოუწვევია ისეთი ცხოველი ინტერესი და აზრთა სხვადასხვაობა, როგორც სიკვდილით დასჯას. კაცობრიობას დღემდე ვერ გადაუწყვეტია ან, უკეთეს შემთხვევაში, ვერ დაურწმუნებია საკუთარი თავი, არის თუ არა აუცილებელი და საჭირო სასჯელის ეს სახე. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ იგი მრავალჯერ შემოუღიათ და ასევე მრავალჯერ გაუუქმებიათ მთელ რიგ ქვეყნებში. სოციოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, საზოგადოებრივი აზრი ხან იწონებს სიკვდილით დასჯას და ხან უარყოფითად ეკიდება მას. ერთსა და იმავე ქვეყანაში ამ საკითხზე განსხვავებული აზრი აქვს მოსახლეობის სხვადასხვა ფენას, სხვადასხვა ასაკის, განათლების თუ სქესის პირებს[1].

სიკვდილით დასჯის პრობლემა დიდი ხანია გასცდა წმინდა იურისპრუდენციის ფარგლებს. მასზე სამართლისმცოდნეებთან ერთად მსჯელობენ ფილოსოფოსები, ეთიკოსები, სოციოლოგები, ლიტერატორები. არ დარჩენილა ალბათ არც ერთი ცნობილი პიროვნება, რომელიც არ შეხებოდეს ამ პრობლემას და არ გამოეთქვას მასზე საკუთარი აზრი. პოლემიკა ამ საკითხის ირგვლივ დღესაც გრძელდება.

მოსაზრებები, რომლებიც სიკვდილით დასჯის თაობაზეა გამოთქმული, ბუნებრივად, სამ ძირითად მიმდინარეობად ჩამოყალიბდა[2].

პირველი მიმდინარეობა საერთოდ უარყოფს სიკვდილით დასჯას როგორც სასჯელის ზომას და მოითხოვს მის სრულ გაუქმებას[3].

მეორე მიმდინარეობა თეორიულად ამართლებს სიკვდილით დასჯის გამოყენებას და მოითხოვს მის შენარჩუნებას ან შემოღებას.

მესამე პრინციპულად ურიგდება სასჯელის ამ სახეს, ოღონდ მოითხოვს მისი გამოყენების სფეროს შეზღუდვას. ყველაზე უფრო მეტი მომხრეები მესამე მიმდინარეობას ჰყავს.

---

[1] Capital Punishment, United Nations, Department of Economic and Social Affairs, New York, 1962, & 162-163.

[2] Г. З. Анашкин, Смертная казнь в капиталистических государствах. "Юридическая литература", М., 1971, с. 68.

[3] ამ მიმდინარეობის მომხრეებს სხვაგვარად აბოლიციონისტებსაც უწოდებენ. აბოლიციონისტი ინგლისური სიტყვაა და, თავის მხრივ, მომდინარეობს ლათინური abolitio-დან, რაც გაუქმებას, მოსპობას ნიშნავს. სიტყვა "აბოლიციონიზმით" აღნიშნავენ საზოგადოებრივ მოძრაობას, რომლის მიზანია ამა თუ იმ კანონის გაუქმება. ამ სიტყვით XVIII საუკუნის დამლევს და XIX საუკუნის დამდეგს აღნიშნავდნენ მოძრაობას მონობის, კერძოდ კი, ამერიკის შეერთებულ შტატებში ზანგთა მონობის გასაუქმებლად.

წინამდებარე სტატიაში შეეცდებით შეძლებისდაგვარად გავაანალიზოთ ის ძირითადი, არსებითი ხასიათის არგუმენტები, რომლებითაც სიკვდილით დასჯის მომხრენი და მოწინააღმდეგენი ასაბუთებენ თავიანთ პოზიციებს. უწინარეს ყოვლისა, განვიხილოთ პირველი მიმდინარეობის წარმომადგენლების არგუმენტები.

1. ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად სიკვდილით დასჯის მომხრეებს ის მიაჩნიათ, რომ ამ სასჯელს აქვს დიდი გამაფრთხილებელი, პრევენციული მნიშვნელობა, რომ მისი გაუქმება გამოიწვევს საერთოდ დამნაშავეობის, განსაკუთრებით კი, მძიმე დანაშაულობის ზრდას. მათი შეხედულებით, რადგანაც სიცოცხლე ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სიკეთეა, რაც ადამიანს გააჩნია, ამდენად, დანაშაულის ჩადენისათვის მისი წართმევის მუქარა არის დანაშაულის თავიდან აცილების ყველაზე უფრო ეფექტიანი საშუალება.

ცნობილი იურისტის, პროფესორ პ. ლოდის აზრით, სიკვდილით დასჯა მოქალაქეთა უფლებების უზრუნველყოფის აუცილებელი საშუალებაა. სიკვდილით დასჯის, ისე როგორც სხვა სასჯელების მთავარი მიზანია, ფსიქოლოგიური ზემოქმედებით აიძულოს პიროვნება, თავი შეიკავოს დანაშაულის ჩადენისაგან[1].

ეს არგუმენტი, ერთი შეხედვით, იმდენად დამაჯერებელია, რომ მრავალი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში იგი სიკვდილით დასჯის ფართო გამოყენების საფუძველი და, შეიძლება ითქვას, მთავარი მიზეზიც კი გახდა. ალბათ ამიტომ იყო, რომ ძველი ქვეყნების კანონების მიხედვით, სიკვდილით დასჯა უმნიშვნელო სამართალდარღვევებისთვისაც კი იყო გათვალისწინებული. მაგალითად, ძველ რომში XII ტაბულის კანონებით, სიკვდილით ისჯებოდა მოვალე, რომელსაც არ გამოისყიდდნენ ან არ ყიდულობდნენ. სიკვდილით ისჯებოდა აგრეთვე ისიც, ვინც თხზავდა ან მღეროდა სხვის შესახებ ცილისმწამებლურ სიმღერას. ძველ საბერძნეთში დრაკონის კანონების მიხედვით, მკვლელობის თანაბრად სიკვდილით ისჯებოდა ბოსტნეულისა და ხილის ქურდობა[2]. ამ მხრივ არც ფეოდალური სისხლის სამართლის კანონმდებლობა ჩამორჩებოდა მონათმფლობელურს. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი „კაროლინა", რომელიც 1532 წელს შემოიღო სამოქმედოდ იმპერატორმა კარლოს V-მ, სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა 44 სახის დანაშაულისათვის. ხოლო ე. ვ. ტარლეს მტკიცებით, XVI საუკუნის ინგლისში სიკვდილით ისჯებოდა ისეთი უმნიშვნელო დანაშაულებრივი ქმედობები, როგო-

---

[1] П. Лодий, Теория общих прав, СПБ, 1828, с. 124, 166, 169.

[2] В. С. Сергеев, История Древней Греции, М., 1963, с. 171.

რებიც იყო ერთ შილინგზე მეტი ღირებულების ნივთების ქურდობა, სხვის ტყეში ხის მოჭრა და სხვა[1].

სიკვდილით დასჯის პრევენციულ-გამაფრთხილებელ მნიშვნელობაზე გაზვიადებულმა წარმოდგენამ განაპირობა ისიც, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოებიც არ დარჩენილან გულგრილი ამ სასჯელის გამოყენებისადმი და მათ კანონმდებლობაში სიკვდილით დასჯას უფრო ფართო ასპარეზი მიეცა. თანამედროვე კაპიტალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, სიკვდილით დასჯა, საერთო ანგარიშით, გათვალისწინებულია 30 სახის დანაშაულისათვის. სხვა დანაშაულთა გვერდით სიკვდილით დასჯა დაწესებულია ისეთი ქმედობებისთვისაც, როგორებიცაა: მღვდლის (რელიგიის მსახურის) ცემა; ძალადობა ისეთი იარაღით, რომლითაც შეიძლებოდა პიროვნების მოკვლა (აშშ - ტენესის შტატი); აბორტი, რომელმაც გამოიწვია ქალის სიკვდილი (აშშ - ჯორჯიის შტატი); ავღანეთის კანონმდებლობით სიკვდილით ისჯება ცოლქმრული ერთგულების დარღვევა ქალის მიერ და სხვა[2].

სიკვდილით დასჯის გამაფრთხილებელი და დამაშინებელი მნიშვნელობის ზედმეტად შეფასების შედეგია ისიც, რომ საუკუნეების განმავლობაში, თითქმის ყველა ქვეყანაში, ამ სასჯელს საჯაროდ აღასრულებდნენ. ამ მიზნისათვის დიდი ქალაქების მოედნებზე აღმართული იყო ქვის სპეციალური მყარი ნაგებობები, სადაც განაჩენი სისრულეში მოჰყავდათ ქალაქის მოსახლეობის თანდასწრებით[3].

სიკვდილით დასჯის საჯაროდ აღსრულების წესს დღესაც ითვალისწინებს ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა. მაგალითად, სალვადორში სიკვდილით დასჯის სისრულეში მოყვანა, თუკი ეს შესაძლებელია, უნდა მოხდეს იმ დასახლებულ პუნქტში, სადაც დანაშაული იქნა ჩადენილი, ხოლო ფილიპინებში სიკვდილით დასჯა საჯაროდ შეიძლება მოეწყოს გუბერნატორის განკარგულებით. თვით ისეთ ცივილიზებულ ქვეყანაშიც კი, როგორიც საფრანგეთია, 1939 წლის 27 ივლისის კანონის მიღებამდე, სიკვდილით დასჯა გილიოტინით საჯაროდ სრულდებოდა განაჩენში მითითებულ მოედანზე.

2. შემდეგი არგუმენტი, რომელიც სიკვდილით დასჯის მომხრეებს მოჰყავთ, ის არის, რომ ამ სასჯელის გამოყენებით დამნაშავეს ესპობა საშუალება, ჩაიდინოს სხვა დანაშაული. ერთი სიტყვით, დამნაშავის ფიზიკური მოსპობით, თავიდან ვიცილებთ მისგან მოსალოდნელ და შესაძლებელ სხვა მძიმე დანაშაულს. მათი აზრით, არიან ადამიანები, რომელთა

---

[1] Е. В. Тарле. Общественные воззрения Томаса Мора. СПБ, 1901, с. 117

[2] Г. З. Анашкин. Смертная казнь в капиталистических государствах, с. 87 - 98.

[3] ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი სახრჩობელა აღმართული იყო პარიზში, რომელიც ცნობილი იყო "მონტფოკონის" სახელნოდებით.

გამოსწორება და ხელახლა აღზრდა შეუძლებელია. ამიტომ საზოგადოებას უფლება აქვს, თავი დაიცვას მათგან. სოციალური დაცვის ყველაზე ეფექტიან საშუალებად კი მათ მიაჩნიათ დამნაშავის სიკვდილით დასჯა. ამგვარად, სიკვდილით დასჯა მიჩნეულია სოციალური დაცვის იძულებით ღონისძიებად. ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია ერთ-ერთი ინგლისელი მოსამართლის სიტყვები: თუ თქვენ დამნაშავეს ინგლისის საპატიმროში მოათავსებთ, მალე მისგან მიიღებთ უფრო უარეს პიროვნებას დამნაშავის მთელი კომპლექსებით. ხოლო, თუკი მათ გადაასახლებთ ოკეანის გაღმა ტერიტორიებში, ამით კიდევ უფრო გაამრავლებთ დამნაშავეობის თესლს და გარყვნით ხალხებს, რომლებიც პატიოსნად ცხოვრობენ. დღევანდელ საზოგადოებაში არ არის საშიში დამნაშავის გამოსწორების საშუალება, ამიტომ საზოგადოებისთვისაც და თვით დამნაშავისთვისაც უკეთესი იქნება, თუკი მას ჩამოახრჩობენ[1]. რევოლუციამდელი რუსი იურისტის, პროფესორ ს. ბ. ბარშევის აზრით, მხოლოდ სიკვდილით დასჯა, რომელიც ფიზიკურ საშუალებას უსპობს დამნაშავეს, შემდგომში ჩაიდინოს დანაშაული, შეიძლება განხილულ იქნეს სასჯელის ყველაზე უფრო მიზანშეწონილ სახედ[2]. ეს მოსაზრება უშუალოდ აისახა ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაშიც. მაგალითად, ეკატერინეს განაწესის 205-ე მუხლში ჩაწერილი იყო: *"Намерение установленных наказаний не то, чтоб мучити тварь, чувствами одаренную, они на тот конец предписаны, чтобы воспрепятствовать виноватому, дабы он впредь не мог вредить обществу и чтобы отвратить граждан от соделания подобных преступлений"*[3].

საზოგადოების დაცვის, მის წევრთა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების ინტერესები იმდენად დიდი სოციალური მნიშვნელობისაა, რომ ზოგიერთ ავტორს, რომელიც არსებითად სიკვდილით დასჯის წინააღმდეგია, შესაძლებლად მიაჩნია მისი გამოყენება ზემოაღნიშნული მოტივებით. მაგალითად, ვოლტერი, რომელიც სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ილაშქრებდა და ცდილობდა დაესაბუთებინა მისი მიზანშეუწონლობა, ამავე დროს თვლიდა, რომ, როცა არ არსებობს მრავალი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის სხვა საშუალება, მაშინ დამნაშავე უნდა განადგურდეს როგორც „ცოფიანი ძაღლი"[4]. ჟან-ჟაკ რუსოს აზრით, თითოეული დამნაშავე, რომელიც თავს ესხმის საზოგადოებრივ სამართალს, თავისი დანაშაულის წყალობით იქცევა მეამბოხედ და

[1] G. Godwin. Crime and Social Action. London, 1956, p. 115.

[2] С. Б. Баршев. О мере наказаний, М., 1840, с. 15.

[3] Наказ ее императорского величества Екатерины Второй. С.-Петербург, 1796, с. 77.

[4] Ф. М. Вольтер. Избранные произведения по уголовному праву и процессу, М., 1956, с. 225.

სამშობლოს გამცემად. არღვევს რა ამ უკანასკნელის კანონებს, იგი უკვე აღარ არის მისი წევრი. იგი ებმება მის წინააღმდეგ ომში. ასეთ პირობებში სახელმწიფოს არსებობა შეუთავსებელი ხდება დამნაშავის არსებობასთან. აუცილებელია ერთ-ერთი მათგანი დაიღუპოს. და როცა დამნაშავეს სჯიან, მას სიცოცხლეს ართმევენ როგორც მტერს და არა როგორც მოქალაქეს[1]. რუსოს ეს აზრი შემდეგში გაიზიარა ცნობილმა დეკაბრისტმა ა. პ. კუნიცინმა. მისი აზრით, დამნაშავე დანაშაულის ჩადენის შემდეგ სახელმწიფოს მტერი ხდება. თუ გარეშე მტრების მოკვლა ნებადართულია, რატომ არ შეიძლება შინაური მტრების განადგურება?[2] - წერს იგი. ამავე მოსაზრებით, სიკვდილით დასჯის გამოყენებას მხარს უჭერდა ჩეზარე ბეკარია[3] და სხვები.

3. სიკვდილით დასჯის მომხრენი აღნიშნავენ, რომ პიროვნების დასჯა ყოველთვის გულისხმობს სამაგიეროს გადახდას, სამაგიეროს მიზღვას, შურისძიებას[4]. ამიტომ, მათი აზრით, რადგანაც დამნაშავე უნდა დაისაჯოს მის მიერ ჩადენილი ბოროტების შესაბამისად, ამდენად, მკვლელობისათვის და სხვა მძიმე დანაშაულისათვის სამაგიეროს გადახდის ერთადერთი საშუალება სიკვდილით დასჯაა. პლატონის აზრით, სიკვდილით უნდა დაისაჯონ მკვლელები, „ *чтобы человек неизбежно подвергся сам тому, что он совершил*"[5].

სასჯელის ასეთი გაგება განსაკუთრებით მკაფიოდ მოჩანს გერმანული იდეალისტური ფილოსოფიის წარმომადგენლების კანტისა და ჰეგელის შრომებში. კანტი სასჯელის საფუძვლად მიიჩნევდა ჩადენილი დანაშაულის შესაბამის შურისძიებას, სამაგიეროს მიზღვას. თუ დამნაშავე ვინმეს კლავს - აღნიშნავდა კანტი - იგი, უპირველეს ყოვლისა, კლავს საკუთარ თავს. მხოლოდ სრულ შურისძიებას შეუძლია ზუსტად დაადგინოს სასჯელის რაოდენობა და ხარისხი. შურისძიება ბოროტებით ბოროტების წინააღმდეგ არის სასჯელის საფუძველი. რამდენიც მკვლელია, ასკვნის კანტი, იმდენი უნდა დავსაჯოთ სიკვდილით, ასე სურს სამართლიანობას[6].

ჰეგელის მიხედვით, დამნაშავე სამართლის დარღვევას აცხადებს *თავის უფლებად. მისი დანაშაული სამართლის უარყოფაა*, ხოლო სასჯელი

---

[1] Ж.-Ж. Руссо. Об общественном договоре, М., 1938, с.29.

[2] Избранные социально-политические и философские произведения декабристов, т. I, М., 1951, с. 618.

[3] Чезаре Беккария. О преступлениях и наказаниях, М., 1939, с. 316-317.

[4] სწორედ ამ მოსაზრებაზეა აგებული ყველასათვის ცნობილი ტალიონის პრინციპი – „jus talionis" – "თვალი თვალისა ნილ, კბილი კბილისა ნილ, სისხლი სისხლისა ნილ".

[5] Платон. Законы и последования к законам, т. XIV, Петроград, 1923, с. 107.

[6] Кант. Метафизика нравов. Метафизические начала учения о праве, СПБ, 1903, с. 58-59.

ამ „უარყოფის უარყოფა“, „მოხსნილი დანაშაული“, დარღვეული სამართლის აღდგენა. ამის საფუძველზე ჰეგელი სასჯელს მიიჩნევდა შურისძიებად, სამაგიეროს მიზღვად ჩადენილი ქმედობისათვის. ამიტომ მკვლელობა, ჰეგელის აზრით, აუცილებლად სიკვდილით უნდა ისჯებოდეს[1].

ამავე თვალსაზრისზეა რევოლუციამდელი რუსი პროფესორი ს. დესნიცკი. იგი მიიჩნევდა, რომ სიკვდილით დასჯას საფუძვლად უდევს შურისძიების გრძნობა *("мездовоздаяния злом на зло")*[2].

სიკვდილით დასჯის, როგორც სამაგიეროს მიზღვის, შურისძიების საშუალებად გაგება აისახა კანონმდებლობაშიც. ძველი ქვეყნების სამართლის ძეგლები პირდაპირ მიუთითებდნენ, რომ სიკვდილით დასჯა დაწესებულია სამაგიეროს მიზღვის, შურისძიების, სამაგიეროს გადახდის მიზნით. მაგალითად, მოკლე *"Русская Правда" - ში (XIს) მითითებული იყო: "Если убьет человек человека, то пусть мстит брат за брата, сын за отца, отец за сына, племянник за дядю и тетку"*[3].

გერმანიაში ძველად გაუპატიურებისათვის, ბავშვთა მკვლელობისა და სხვა დანაშაულისათვის გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯის ისეთი სახეობა, როგორიც არის პალოს გაყრა მკერდში. წვერწამახვილებულ მუხის პალოს ჰორიზონტალურ მდგომარეობაში დამაგრებულ დამნაშავეს მკერდზე დაადებდნენ და შემდეგ ჩაასობდნენ მას. აღსანიშნავია ამ სახის სასჯელის აღსრულების ერთი საყურადღებო დეტალიც, რომელშიც ნათლად მოჩანს შურისძიების, სამაგიეროს მიზღვის მომენტი, კერძოდ, პირველ სამ დარტყმას პალოზე, როგორც წესი, აკეთებდა დანაშაულისაგან დაზარალებული მხარე, დანარჩენს კი ჯალათი[4].

სამაგიეროს მიზღვით იყო ნაკარნახევი ისიც, რომ დამნაშავეს სჯიდნენ ისეთი საშუალებებით, რომლებიც მას მაქსიმალურ ტანჯვასა და წამებას მიაყენებდა. ისტორიამ შემოგვინახა სიკვდილით დასჯის მრავალი სახე, რომლებსაც სხვანაირ ახსნას ვერ მოვუძებნით. ასეთი იყო, მაგალითად, სარზე ჩამოცმა, ნაწლავების გამოღება, დაბორბვლა, ოთხად გაპობა, შიმშილით სულის ამოხდა, დამნაშავის მიგდება მხეცების დასაგლეჯად ან გასათელად მიცემა, ადუღებულ წყალში ჩაგდება, ცოცხლად დამარხვა და სხვა. არცთუ ისე შორეულ წარსულში, მათ იშვიათად როდი იყენებდნენ.

4. სიკვდილით დასჯის მომხრეები აღნიშნავენ, რომ ეს სასჯელი ერთადერთია, რომლის გამოყენებაც შეიძლება განსაკუთრებით საშიში და-

---

[1] Гегель. Философия права, Соч. т. VII, стр. 115 - 117; В. С. Нерсесянц. Гегелевская философия права. "Наука", М., 1974, с. 81 - 82.

[2] С. Десницкий. Слово о причинах смертных казней по делам криминальным, М., 1770, с. 11 - 19.

[3] Памятники русского права, выпуск первый, Госюриздат, 1952, с. 77.

[4] А. Ф. Кистяковский. Исследование о смертной казни. С. - Петербург, 1896, с. 254.

ნაშაულის ჩამდენი პირების მიმართ. შეუძლებელია სიკვდილით დასჯის შეცვლა სასჯელის ისეთი სახით, რომელიც მისი ეკვივალენტური იქნება. რაც შეეხება სამუდამო პატიმრობას, რომელსაც ზოგიერთი ავტორი სიკვდილით დასჯის მომხრეებს სიკვდილით დასჯის სანაცვლოდ სთავაზობს, მას მიუღებლად თვლიან შემდეგი გარემოებების გამო:

ჯერ ერთი, განსაკუთრებით საშიში დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ სიკვდილით დასჯის გამოყენება, ე. ი. მათი მოსპობა საზოგადოების გარკვეულ მორალურ კმაყოფილებას იწვევს. ამ აქტით ადამიანებს ექმნებათ შთაბეჭდილება, თითქოს ისინი მორალურად უფრო მაღლა დგანან დამნაშავეზე. ამიტომ საზოგადოებრივი აზრი ვერასოდეს ვერ შეეგუება იმ ფაქტს, რომ უმძიმესი, ხშირად კი უსასტიკესი დანაშაულის ჩამდენს რჩება სიცოცხლის უფლება.

მეორე, სიკვდილით დასჯა უფრო საიმედოა, ვიდრე სამუდამო პატიმრობა, რადგანაც ამ უკანასკნელის დროს მსჯავრდებულს შესაძლებელია შეეხოს ამნისტია.

მესამე, სიკვდილით დასჯა უფრო ეკონომიურია, ვიდრე სამუდამო პატიმრობა. სიკვდილით დასჯის შეცვლა სამუდამო პატიმრობით იწვევს იმას, რომ განსაკუთრებით საშიში დამნაშავეების შენახვა მძიმე ტვირთად აწვება საზოგადოებას, რომელსაც მან ზიანი მიაყენა.

მეოთხე, გარკვეული თვალსაზრისით, სამუდამო პატიმრობა უფრო მძიმე სასჯელია, ვიდრე სიკვდილით დასჯა. სიკვდილით დასჯა ზნეობრივად და ფსიქოლოგიურად უფრო ჰუმანური საშუალებაა, ვიდრე სამუდამო პატიმრობა[1].

5. დაბოლოს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი, რომელიც სიკვდილით დასჯის მომხრეებს მოჰყავთ, ის გარემოებაა, რომ საზოგადოებრივი აზრი ფაქტობრივად იწონებს სიკვდილით დასჯას. ამის დასასაბუთებლად მოჰყავთ სხვადასხვა ფაქტი. მაგალითად, ხალხს ზოგჯერ თვით შეუსრულებია ჯალათის მოვალეობა უმძიმესი დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ, ზოგიერთ ქვეყანაში თვით ხალხს მოუთხოვია სიკვდილით დასჯის შემოღება და სხვ[2]. თანამედროვე ავტორები იშველიებენ სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგებს, რომლებიც შესრულდა საფრან-

---

[1] Г. З. Анашкин. Смертная казнь в капиталистических государствах, М., 1971, с. 78-86. ლიტერატურაში ხშირად მოჰყავთ მაგალითი, როცა დამნაშავემ, რომელიც შეიწყალეს და სიკვდილით დასჯა შეუცვალეს სამუდამო პატიმრობით, თვითმკვლელობა ამჯობინა ციხეში სამუდამოდ ყოფნას. 1759 წელს კი, როცა ინგლისის მეფემ 23 დამნაშავეს სიკვდილით დასჯა შეუცვალა სამუდამო კატორღით, ექვსმა მსჯავრდებულმა უარი თქვა შენყალებაზე;

И. С. Джабадари. Смертная казнь в связи с правом наказания. С. - Петербург, 1895, с. 160-161.

[2] М. Н. Гернет. Смертная казнь, М., 1913, с. 1-34.

გეთში, საბერძნეთში, თურქეთში, ესპანეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და ევროპისა და ამერიკის სხვა ქვეყნებში. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შერჩევითი ანკეტური გამოკვლევების მიხედვით, 1952 წელს სიკვდილით დასჯის შემოღების მომხრე იყო გამოკითხულთა 55 პროცენტი, 1957 წელს - 72 პროცენტი, ხოლო 1958 წელს - 75 პროცენტი[1].

ასეთია ძირითადად ის არგუმენტები, რომლებითაც სიკვდილით დასჯის მომხრენი ასაბუთებენ სასჯელის ამ უმაღლესი და უკიდურესი ზომის გამოყენების აუცილებლობას.

ახლა განვიხილოთ ის მოსაზრებები, რომლებითაც სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეები ცდილობენ სიკვდილით დასჯის მომხრეთა არგუმენტების გაბათილებას და ამ სასჯელის მიზანშეუწონლობისა და არასამართლიანობის დასაბუთებას.

1. პირველი, რაზეც სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეები, ე. ი. აბოლიციონისტები მიუთითებენ, არის ის, რომ სიკვდილით დასჯა თავისი ბუნებით სასჯელის პრინციპის უარყოფაა. ცნობილია, რომ სასჯელის მიზნებია, ერთი მხრივ, დამნაშავის გამოსწორება, მისი გაფრთხილება, რომ მომავალში არ ჩაიდინოს აკრძალული ქმედობა (კერძო პრევენცია) და მეორე მხრივ, საზოგადოების სხვა წევრების გაფრთხილებაც, რომ მათაც თავი შეიკავონ ასეთი მოქმედებისაგან (ზოგადი პრევენცია). სიკვდილით დასჯის გამოყენების დროს კი სასჯელი ვერ ასრულებს თავის უპირველეს მიზანს, რაც დამნაშავის გამოსწორებას გულისხმობს. დამნაშავე ფიზიკურად ნადგურდება, ხდება მისი მთლიანი უარყოფა, ამით მას არ რჩება გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის შესაძლებლობა. დამნაშავის დასჯა ასეთ შემთხვევაში ემსახურება მხოლოდ სხვების გაფრთხილებისა და დაშინების მიზანს. ამასთან დაკავშირებით, მეტად ნიშანდობლივია კ. მარქსის სიტყვები: *"Наказание, как правило, оправдывалось как средство либо исправления, либо устрашения. Но какое право вы имеете наказывать меня для того, чтобы исправлять или устрашить других"*[2].

სიკვდილით დასჯის გამოყენებისას ჩვენ ხშირად სიცოცხლეს ვუსპობთ ისეთ ადამიანებს, რომლებიც უკვე ნანობენ მათ მიერ ჩადენილ უმძიმეს დანაშაულს და მზად არიან, გამოისყიდონ თავიანთი ბრალი. ამიტომ დამნაშავის სიკვდილით დასჯის გამართლება ასეთ შემთხვევაში -

---

[1] "Capital Punishment", 1967, S. 162.

[2] К. Маркс. Смертная казнь. - Памфлет г-на Кобдена. - Мероприятия Английского банка. Соч., т. 8, с. 530.

დაასკვნის ა. ფ. კისტიაკოვსკი – სხვა არა არის რა, თუ არა ცხოველური შურისძიება[1].

სიკვდილით დასჯის მომხრეთა აზრით, სასჯელის ეს ზომა აუცილებელია გამოუსწორებელი დამნაშავეების მიმართ. მაგრამ ხშირად, აღნიშნავს ი. ი. ფოინციკი, გამოუსწორებელი დამნაშავეა არა მძიმე დანაშაულის ჩამდენი, არამედ წვრილმანი ხულიგანი, ქურდი და ა. შ., რომელიც მზად არის ყოველგვარ ხელსაყრელ მომენტში ჩაიდინოს დანაშაული. ამიტომ, თუ დავუშვებთ, რომ სიკვდილით დასჯა საჭიროა გამოუსწორებელი დამნაშავის მიმართ, მაშინ იგი უპირველესად უნდა გამოვიყენოთ არა მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირებისადმი, არამედ შედარებით ნაკლები საზოგადოებრივი საშიშროების დანაშაულის ჩამდენებისადმიც. ამ მოსაზრების გამო, ი. ი. ფოინციკი სიკვდილით დასჯას არ მიიჩნევს აუცილებელ და მიზანშეწონილ სასჯელის ზომად[2].

2. აბოლიციონისტები იმითაც ასაბუთებენ თავიანთ პოზიციას, რომ სიკვდილით დასჯის სისრულეში მოყვანის შემდეგ, ფაქტობრივად შეუძლებელია სასამართლო შეცდომების გამოსწორება. პრაქტიკა კი გვიჩვენებს, რომ ასეთი შეცდომები არცთუ ისე იშვიათია. ამერიკელი კრიმინოლოგის დ. მაკნამარას გამოანგარიშებით, 406 მსჯავრდებულიდან, რომლებიც 1886-1927 წლებში სიკვდილით იყვნენ დასჯილი „სინგ-სინგის" საპატიმროში, 50 შეცდომით იყო გასამართლებული[3].

მართლმსაჯულებას, აღნიშნავს მ. ნ. გერნეტი, ჯერ არ მიუღწევია ისეთი ორგანიზებულობისათვის, რომლის დროსაც გამოირიცხება სასამართლოს შეცდომები. რუსულმა სინამდვილემ იცის სიკვდილით დასჯის განაჩენის შეცდომით გამოტანის რამდენიმე შემთხვევა. ზოგი მათგანი თავიდან იქნა აცილებული, ზოგი კი – სისრულეშია მოყვანილი[4].

ამ აზრის საბუთად მ. ნ. გერნეტს იქვე მოჰყავს მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან.

ეჭვი არ არის, წერდა ა. ფ. კისტიაკოვსკი, რომ ძველ დროში უდანაშაულოთა დასჯა ხშირად ხდებოდა. ეს ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ ჭეშმარიტების დადგენის საშუალებები მაშინ უკიდურესად არასრულყოფილი იყო. წამება, სასამართლო წარმოების გასაიდუმლოება, დამცველის არარსებობა, მოსამართლეთა მიდრეკილება, ბოროტი განზრახვა დაენახათ იქ, სადაც ის არ არის და სხვა, ხელს უწყობდა უდანაშაულოთა მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას. სასამართლო წარმოების ფორმების გარდაქმნამ და ჭეშმარიტების დადგენის საუკეთესო საშუალე-

---

[1] А. Ф. Кистяковский, მითითებული შრომა, გვ. 62.

[2] И. Я. Фойницкий.Учение о наказании.СПБ, 1889, с. 151

[3] Г. З. Анашкин. Смертная казнь в капиталистических государствах, с. 71.

[4] М. Н. Гернет. Смертная казнь, М., 1913, с. 148.

ბების გამონახვამ თითქმის მთლიანად მოსპო ის მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობდნენ უდანაშაულოთა დასჯას. შესაბამისად, მათი რიცხვიც ძალზე შემცირდა. ამასთან ერთად, თანამედროვე პერიოდშიც ისე არ გაივლის წელი, რომ საზოგადოებამ არ შეიტყოს უდანაშაულოთა დასჯის ფაქტი ამა თუ იმ ქვეყანაში. ამის მიზეზია, აღნიშნავს ა. ფ. კისტიაკოვსკი, არა რაიმე დროებითი გარემოებები, არამედ ადამიანის ბუნების არასრულყოფილება[1].

3. სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეები ილაშქრებენ სასჯელის როგორც სამაგიეროს მიზღვის, შურისძიებად გაგების წინააღმდეგ. ტალიონის პრინციპის მომხრეებს ვოლტერი ეკითხება: გექნებათ თქვენ ერთი თვალით მეტი, თუ იმას, ვინც დაგაბრმავათ, ერთი თვალით ნაკლები გაუხდება? გაცოცხლდება თქვენი ძმა, თუ მე წამებით მოვკლავ მის მკვლელს?[2]

სასჯელის მიზანია - წერდა ბეკარია - არა ადამიანის წამება და გვემა, არამედ ის, რომ ხელი შეუშალოს დამნაშავეს, კვლავ ჩაიდინოს დანაშაული და თავი შეაკავებინოს სხვებსაც ანალოგიური ქმედობის ჩადენისაგან[3].

აბოლიციონისტებს ეჭვი შეაქვთ სიკვდილით დასჯის ზოგადპრევენციულ მნიშვნელობაშიც. ისინი სვამენ კითხვას: არის თუ არა სიკვდილით დასჯა ეფექტიანი საშუალება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა თავიდან ასაცილებლად და გამოიწვევს თუ არა მისი გაუქმება განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა ზრდას?

ამერიკელი სენატორი ჰარტი, რომელიც მოითხოვდა საერთოდ სიკვდილით დასჯის გაუქმებას, აღნიშნავდა, რომ ერთი და იგივე დანაშაულობანი თანაბარი რაოდენობით აღინიშნება იმ ქვეყნებში, სადაც დაშვებულია სიკვდილით დასჯა, და იმ ქვეყნებშიც, სადაც იგი გაუქმებულია. ეს იმაზე მეტყველებს, რომ დამნაშავეობის წინაალმდეგ ბრძოლაში

---

[1] А. Ф. Кистяковский. Исследование о смертной казни, с. 60. სიკვდილით დასჯის მომხრეები ამ არგუმენტის საპასუხოდ აღნიშნავენ, რომ, ჯერ ერთი, ასეთი შეცდომები იშვიათია და მეორეც, თუ დავდებთ სასწორზე ადამიანთა სიცოცხლეს, რომელიც დაცულია სიკვდილით დასჯის არსებობით და იმ უდანაშაულოთა სიცოცხლეს, რომლებიც შეცდომით არიან სიკვდილით დასჯილი – პირველი ყოველთვის გადასწონის მეორეს. აქედან გამომდინარე, სიკვდილით დასჯის გამოყენება, მათი აზრით, უფრო შეესაბამება კაცთმოყვარეობას, ვიდრე მისი გაუქმება.

K. Mittermeier. Die Todesstrafe, nach den Ergebnissen der Wissenschaftlichen Vorschungen, der Forschritte Gesetzgebung und der Erfarungen, Heidelberg, 1862, S. 145-148.

[2] Ф. М. Вольтер. Избранные произведения по уголовному праву и процессу, М., 1956, с. 223.

[3] Чезаре Беккария. О преступлениях и наказаниях, М., 1939, с. 243.

სიკვდილით დასჯის გამოყენება კი არ არის გადამწყვეტი, არამედ სხვა ფაქტორები[1].

სიკვდილით დასჯის გამართლება, წერს პ. დ. კალმიკოვი, შეუძლებელია რაიმე თეორიული თუ ფილოსოფიური მოსაზრებებით. მისი ერთადერთი საფუძველი ის არის, რომ იგი თითქოს საჭირო იყოს საზოგადოების უშიშროებისათვის, მაშინ როცა გამოცდილება მოწმობს, რომ მართლმსაჯულებას ჩვენს ქვეყანაში ოდნავაც არ დაუკარგავს თავისი სადამსჯელო ძალა სიკვდილით დასჯის არარსებობით და რომ საზოგადოების უშიშროებას ამის გამო ჩრდილიც არ მისდგომია. ყოველივე ეს გვარწმუნებს, რომ დადგება დრო, როცა სიკვდილით დასჯა საერთოდ ამოიშლება ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსიდან და ეს ზოგადი წესი არ დაუშვებს არავითარ გამონაკლისს ცალკეულ დანაშაულთათვის[2].

დამნაშავის დასჯისას, აღნიშნავდა ჟან-პოლ მარატი, მართლმსაჯულება უნდა ისწრაფოდეს, რომ კანონის დამრღვევზე შური კი არ იძიოს, არამედ იზრუნოს იმაზე, რომ მან თავი შეიკავოს სამართალდარღვევისაგან. ნუთუ ის დანაშაულობანი, რომელთა ჩადენაც უსასტიკესი ფორმებით ისჯება, ამის გამო ნაკლებ გავრცელებული გახდა? თვით საჯაროდ დასჯასაც, წერს იგი, არა აქვს ყოველთვის გამაფრთხილებელი ძალა. რამდენჯერ ჩაუდენია ეშაფოტთან შეკრებილ ხალხს ისეთი დანაშაული, რისთვისაც მსჯავრდებულს იქვე სიკვდილით სჯიდნენ?[3]

ცნობილი რუსი კრიმინალისტი, პროფესორი ვ. სპასოვიჩი პოლიტიკური დანაშაულის მაგალითზე საინტერესო არგუმენტებით ასაბუთებს იმ ფაქტს, რომ სიკვდილით დასჯას არ შეიძლება ჰქონდეს დიდი გამაფრთხილებელი მნიშვნელობა. პოლიტიკური დანაშაულობანი, წერდა იგი, ხშირად ჩნდება მხოლოდ პოლიტიკურად ავადმყოფ ორგანიზმზე. იგი უტყუარი პათოლოგიური ნიშანია არადამაკმაყოფილებელი სახელმწიფოებრივი წყობილებისა... საზოგადოებრივი ხელისუფლება, რომელსაც ისინი საშიშ მტრებად მიაჩნია, სიკვდილით სჯის ამ უკანასკნელთ სხვების დაშინების მიზნით, მაგრამ ცდება, რამდენადაც იგი ფიქრობს, დასჯილ პიროვ-

---

[1] Hart. Abolishment of Death Penalty under all Laws of the United States. "Congressional Record", 1966. Vol.112, № 119. ჰარტს თავისი პოზიციის განსამტკიცებლად მოჰყავს ასეთი მაგალითი: პატიმარმა, რომლის მოვალეობასაც შეადგენდა, დახმარება გაეწია ელექტროსკამზე დასჯის აღსრულებაში, რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადება შეიტანა ამ უკანასკნელის გასაუმჯობესებლად. როცა იგი შემდეგში გაათავისუფლეს (პატიოსანი სიტყვით), ჩაიდინა ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც სიკვდილით დასჯა იყო გათვალისწინებული. იგი დაბრუნეს ციხეში და დასაჯეს მის მიერ გაუმჯობესებულ სკამზე.

[2] П. Д. Калмыков. Учебник уголовного права, СПБ, 1866, с. 212.

[3] Ж.-П. Марат. План уголовного законодательства, с. 47, 48. მარატს იქვე მოჰყავს ერთი საინტერესო ფაქტი, კერძოდ, ტულუზში სახრჩობელის პლატფორმის ქვეშ ნლების განმავლობაში იმალებოდა მკვლელების მთელი ბანდა.

ნებასთან ერთად მოსპოს ის იდეა, რომლისთვისაც დამნაშავე იბრძოდა. იდეა კი ხელშეუხებადია. მომავალ დანაშაულობათა ფესვები ყოველთვის რჩება ამა თუ იმ მოკვეთილი მეამბოხე თავის ადგილზე, ეს ფესვები შემდგომში ყოველთვის ამოიყრის ახალ ყლორტებს[1].

პროფესორ ს. პ. მოკრინსკის არ სწამს სიკვდილით დასჯის გამაფრთხილებელი მნიშვნელობა იმ მოსაზრებით, რომ ადამიანებს ძლიერი მიდრეკილება აქვთ, გასწიონ სიცოცხლის რისკი. ვის არ გაუგონია, აღნიშნავს იგი, ეშაფოტთან ჩადენილი ქურდობების შესახებ, როცა იქვე სიკვდილით სჯიდნენ ქურდებს. ამაში საკვირველი არაფერია. ჩვეულება გამორიცხავს შიშს. ადამიანს რისკისადმი ყველაზე უფრო მყარი მიდრეკილება სწორედ საკუთარი სიცოცხლის მიმართ აქვს. მატროსი ან მეთევზე მშვიდად შედის იმ ზღვაში, რომელშიც მისი მამა და პაპა დაიხრჩვნენ. მეშახტე თავისი ამხანაგის დაღუპვიდან ორი-სამი საათის შემდეგ ისევ განაგრძობს მუშაობას... არავის არ სურს სიკვდილი, მაგრამ ყველა შეეგუა აზრს, რომ ადრე თუ გვიან იგი მაინც მოკვდება, რომ სიცოცხლე და სიცოცხლის რისკი თითქმის სინონიმებია. თვით გართობებიც კი, მაგალითად, სპორტის ბევრი სახეობა, არცთუ იშვიათად, დაკავშირებულია სიცოცხლის დიდ რისკთან. ამის გამო ს. პ. მოკრინსკის მიაჩნია, რომ სიკვდილით დასჯის მუქარას ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენისათვის არ შეიძლება ჰქონდეს დიდი გამაფრთხილებელი მნიშვნელობა[2].

სიკვდილით დასჯა მძიმე დანაშაულობათა აღკვეთის მთავარი ფაქტორი რომ არ არის და მას დიდი გამაფრთხილებელი ძალა არა აქვს, ამას სტატისტიკური გამოკვლევებიც ადასტურებენ.

ტოსკანაში სიკვდილით დასჯა რამდენჯერმე შემოიღეს და გააუქმეს. მიტერმაიერის დაკვირვებით, რომელიც ოფიციალურ მონაცემებს ეყრდნობა, სიკვდილით დასჯის გაუქმების პერიოდში არ გაზრდილა იმ დანაშაულობათა რიცხვი, რომლებზეც დაწესებული იყო ეს სასჯელი[3]. ანალოგიური მდგომარეობა აღინიშნა შვეციასა და ჰოლანდიაში[4]. 1887 წელს იტალიაში საკანონმდებლო წესით სიკვდილით დასჯის გაუქმებას არ მოჰყოლია მძიმე დანაშაულობათა რიცხვის ზრდა. მაგალითად, სიკვდილით დასჯის გაუქმებამდე, 1880-1886 წლებში, იტალიაში ყოველწლიურად ჩადენილი მკვლელობის საშუალო რიცხვი იყო 4692, 1887-1880 წლებში - 4089, 1890 წელს, ე. ი. სიკვდილით დასჯის საბოლოო გაუქმების შემდეგ იგი არათუ არ გაზრდილა, არამედ საგრძნობლად შემცირდა კიდეც და

---

[1] В. Спасович. Учебник уголовного права. СПБ, 1863, с. 186-187.

[2] С. П. Мокринский. Смертная казнь и борьба с политическими преступлениями. "Право", 1906, № 22.

[3] К. Ю. Миттермайер. Смертная казнь. СПБ, 1864, с. 87.

[4] D'Olivecrona. Dela peine de mort, 1984, c. 209, 263.

1890 - 1892 წლებში შეადგინა მხოლოდ 3993, 1893 - 1895 წლებში - 4043, ხოლო 1896 წლისათვის - 3866[1].

ბელგიაში სიკვდილით დასჯის გამოყენება ფაქტობრივად შენყდა 1863 წლიდან. მაგრამ ამას არავითარი ზიანი არ მოუტანია საზოგადოებრივი უშიშროებისათვის, სამხედრო დისციპლინისათვის და არ გამოუწვევია მძიმე დანაშაულობათა ზრდა. 1841-1855 წლებში ბელგიის სასამართლოებმა 191 სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოიტანეს (მათგან სისრულეში მოიყვანეს 48), ხოლო 1876-1890 წლებში სიკვდილი მიუსაჯეს მხოლოდ 124 დამნაშავეს (აქედან არც ერთი არ ყოფილა სისრულეში მოყვანილი), თუმცა ამ დროისათვის ბელგიის მოსახლეობა თითქმის 50 პროცენტით გაიზარდა[2].

ყველაზე უფრო ძლიერი არგუმენტი, რომელიც სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეებს მოჰყავთ, არის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში შესრულებული სოციოლოგიური და სტატისტიკური გამოკვლევების შედეგები.

1959 წლის ნოემბერში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს ევალებოდა სიკვდილით დასჯის პრობლემის შესწავლა, კერძოდ, უნდა გამოეკვლიათ კანონმდებლობა სიკვდილით დასჯის შესახებ, მისი გამოყენების პრაქტიკა და ის, თუ რა გავლენას ახდენდა სიკვდილით დასჯის გაუქმება თუ შემოღება დამნაშავეობის დინამიკაზე. გამოიკვლიეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 66 წევრი და 5 არაწევრი ქვეყნის მონაცემები, რომლებიც გვიჩვენებს, რომ სიკვდილით დასჯის სრულ გაუქმებას ან მისი გამოყენების საგრძნობ შემცირებას იმ ქვეყნებში, სადაც იგი მოქმედებდა, არ გამოუწვევია იმ დანაშაულობათა რიცხვის შესამჩნევი ზრდა, რომლებისთვისაც წინათ გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯა. პირიქით, ზოგიერთ ქვეყანაში აღინიშნა საწინააღმდეგო შედეგები. მაგალითად, ავსტრიაში 1934 წელს სიკვდილით დასჯის აღდგენის შემდეგ დამნაშავეობა საგრძნობლად გაიზარდა, ხოლო 1945 წელს მისი გაუქმების შემდეგ მკვლელობათა რიცხვი ისეთ დონემდე შემცირდა, რომლის მსგავსიც საერთოდ არ ყოფილა ამ ქვეყანაში. ასეთივე მდგომარეობა აღინიშნა ავსტრალიაში, არგენტინასა და სხვა ქვეყნებში. კანადაში 1954 წელს გაუქმდა სიკვდილით დასჯა გაუპატიურებისათვის. ამ დანაშაულის რიცხვი იმ წელს შეადგენდა 27-ს, მაშინ როცა 1950 წელს 37 იყო.

---

[1] А. А. Пионтковский. Смертная казнь в Европе. Казань, 1908, с. 106 - 109.

[2] Francart. La peine de mort. Bulletin de L'Union Internationale de Droit Penal. VIII, 1893, S. 45.

ინგლისში 1965 წელს ხუთი წლით შეაჩერეს სიკვდილით დასჯის გამოყენება. ამ ხნის განმავლობაში მძიმე დანაშაულობათა რიცხვი ხან მცირდებოდა, ხან იზრდებოდა. მიუხედავად ამისა, ინგლისის პარლამენტის ორივე პალატამ მოიწონა პროექტი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1952 წლის დემოგრაფიული წელინდეულის მონაცემების მიხედვით, 1948 წლისათვის მკვლელობათა რიცხვი იმ ქვეყნებში, სადაც სიკვდილით დასჯა გამოიყენება, იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც იგი გაუქმებულია, 100 ათას მცხოვრებზე შემდეგი იყო:

ა) ქვეყნები, სადაც სიკვდილით დასჯა გამოიყენება: ამერიკის შეერთებული შტატები – 5,8%, ესპანეთი – 1,4%, კანადა – 1,2%, საფრანგეთი – 0,8%, სალვადორი – 4,48%.

ბ) ქვეყნები, სადაც სიკვდილით დასჯა არ გამოიყენება: ფინეთი – 4,6%, იტალია – 2,4%, შვეიცია – 0,8%, ნიდერლანდები – 0,4%[1].

ეს მონაცემები არ იძლევა რაიმე საფუძველს იმის მტკიცებისათვის, ახდენს თუ არა გავლენას საერთოდ სიკვდილით დასჯა დამნაშავეობის დინამიკაზე.

4. სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეები აღნიშნავენ, რომ შესაძლებელია ამ სასჯელს გამოეძებნოს ეკვივალენტი, ე. ი. ისეთი სასჯელით შეიცვალოს, რომელიც მიზანშეწონილიც იქნება და, ამავე დროს, საზოგადოების მორალურ კმაყოფილებასაც გამოიწვევს.

ვოლტერის აზრით, საზოგადოების ინტერესებისათვის უფრო მიზანშეწონილია, სიკვდილით კი არ დავსაჯოთ დამნაშავე მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, არამედ დავაკისროთ მას სხვადასხვა მძიმე საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულება. ადამიანი, რომელიც არხებს გათხრის, კაშხალებს ააგებს, ჭაობებს დააშრობს, სახელმწიფოს უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს, ვიდრე რკინის ჯაჭვზე ჩამოკიდებული თავის ქალა ან ურმის თვლით დაგლეჯილი სხეული[2].

დენი დიდრო წერდა: იმ ფაქტებიდან, რომ ერთი ადამიანი მოკლულია, სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ საჭიროა მეორის მოკვლაც. მკვლელი, როცა იგი სიკვდილით დასჯილია, უკვე არაფერში გამოსადეგი აღარ არის, მაშინ როცა არსებობს მრავალი საზოგადოებრივი სამუშაო, რომელთა შესრულებაც შეიძლებოდა მათთვის დაგვეკისრებინა[3].

---

[1] Г. З. Анашкин.Смертная казнь в капиталистических государствах, с. 77.

[2] Вольтер. Избранные произведения по уголовному праву и процессу, с. 225.

[3] Дени Дидро. Замечания на наказ ее императорского величества депутатам комиссии по составлению законов, Соч., М. - Л., 1947, с. 443.

ჟან-პოლ მარატი გამოუსწორებელი დამნაშავეების შესახებ ამბობდა: თუკი ისინი გამოუსწორებელი არიან, მაშინ მათი დასჯა უნდა გამოვიყენოთ საზოგადოების ინტერესებისათვის, კერძოდ, მივუსაჯოთ სხვადასხვა მძიმე და საშიში სამუშაოს შესრულება[1].

რუსი ფილოსოფოსი მატერიალისტის თ. ვ. უშაკოვის აზრით, იმისათვის, რომ ამა თუ იმ დამნაშავისაგან თავიდან ავიცილოთ სხვა დანაშაული, საკმარისია საპყრობილე, დილეგი. ხოლო რაც შეეხება სხვების გაფრთხილებას, ამისათვის საჭიროა გამოიძებნოს ისეთი სასჯელი, რომელიც უფრო ძლიერად და ხანგრძლივად იმოქმედებს ადამიანის სულზე, ვიდრე სიკვდილით დასჯა. სასჯელის ასეთ სახედ თ. ვ. უშაკოვს მიაჩნია მუდმივი პატიმრობა. იგი საკმარისია, რათა დამნაშავემ კვლავ აღარ ჩაიდინოს დანაშაული და ამავე დროს, უფრო ძლიერად და ხანგრძლივად მოქმედებს ადამიანის ცნობიერებაზე, ვიდრე სიკვდილით დასჯა[2]. პროფესორი ს. პ. მოკრინსკიც უერთდება ამავე აზრს და მიაჩნია, რომ სამუდამო პატიმრობას უფრო მეტი დამაშინებელი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სიკვდილით დასჯას[3]. საინტერესო არგუმენტებით ამაგრებს ამ მოსაზრებას აგრეთვე ი. ს. ჯაბადარი[4].

ჩეზარე ბეკარია თვლიდა, რომ სამუდამო პატიმრობა უფრო ეფექტიანია და უფრო დიდი გამაფრთხილებელი მნიშვნელობისაა, ვიდრე სიკვდილით დასჯა. არა სასჯელის სიმკაცრე, წერდა იგი, არამედ მისი გარდუვალობა და ხანგრძლივობა ახდენს ყველაზე უფრო დიდ ზემოქმედებას ადამიანზე. მის გრძნობაზე უფრო ეფექტიანად მოქმედებს სუსტი, მაგრამ განმეორებითი შთაბეჭდილებები, ვიდრე ძლიერი, მაგრამ სწრაფად წარმავალი ფაქტები. სიკვდილით დასჯის აღსრულება ბევრს მალე ავიწყდება, ხოლო სამუდამო პატიმრობა, რომლითაც შეიძლებოდა მისი შეცვლა, საკმარისი სიმკაცრის სასჯელი იქნებოდა, რომელიც ყველაზე გაბედულებსაც კი ხელს ააღებინებდა დანაშაულის ჩადენაზე[5].

მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი გ. ე. კოლოკოლოვი წერს: პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გამოუსწორებელი დამნაშავეები არ არიან. თუ ეს ასეა, მაშინ რეციდივის აღკვეთა ყოველთვის შეიძლება გამასწორებელი სასჯელით. მაგრამ, თუ დავუშვებთ კიდეც, რომ ზოგჯერ ნამდვილად გამოუსწორებელ დამნაშავესთან გვაქვს საქმე, მაშინ რეციდივის

---

[1] Ж.-П. Марат. План уголовного законодательства, с. 49.

[2] Ф. В. Ушаков. Размышления о праве наказания и о смертной казни, в кн.: А. Н. Радишев, Полн. собр. соч., т. I, М. - Л., 1938, с. 186-199.

[3] С. П. Мокринский. Смертная казнь и борьба с политическими преступлениями, "Право", 1906, № 22.

[4] И. С. Джабадари. Смертная казнь в связи с правом наказания. 1895, с. 157-179.

[5] Чезаре Беккария. О преступлениях и наказаниях, с. 318-3211.

აღკვეთისათვის სავსებით საკმარისი იქნება ისეთი ზომა, როგორიც არის სამუდამო პატიმრობა[1].

ასეთია მოკლედ სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეთა მოსაზრებები. სიკვდილით დასჯის მომხრეთა და მის მოწინააღმდეგეთა მოსაზრებების გაცნობისას ბუნებრივად იბადება კითხვები: რომელია მათ შორის უფრო დასაბუთებული, უფრო დამაჯერებელი? რა დასკვნები უნდა გამოვიტანოთ მათი შედარებისას? ჩვენ შეეცდებით პასუხი გავცეთ მათ.

ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ შეამჩნიეს, რომ სიკვდილით დასჯის უმკაცრესი სახეების დაწესებას არასოდეს არ გამოუწვევია მძიმე დანაშაულობათა რიცხვის შემცირება. მაგრამ იდგა საკითხი: ვინ იქნება იმის თავდები, რომ მისი გაუქმების შემდეგ მათი რიცხვი არ გაიზრდება? შემდგომში, როგორც დავინახეთ, ბევრ ქვეყანაში გააუქმეს სიკვდილით დასჯა. ზოგში ექსპერიმენტიც ჩაატარეს, კერძოდ, დროებით შეაჩერეს მისი გამოყენება. აღმოჩნდა, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმება არ იწვევს იმ დანაშაულობათა ზრდას, რისთვისაც წინათ დაწესებული იყო ეს სასჯელი. მაშასადამე, სიკვდილით დასჯის დაწესება ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენისათვის არ არის ის ფაქტორი, რომლის გამოც დამნაშავე თავს შეიკავებს მძიმე დანაშაულის ჩადენისაგან. აქ, უდავოდ, სხვა ფაქტორებიც მოქმედებს. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ დამნაშავეობის დინამიკის უშუალო დაკავშირება სიკვდილით დასჯის შემოღების თუ გაუქმების ფაქტთან, სწორი არ არის. მხოლოდ სიკვდილით დასჯის შემოღება თუ გაუქმება არ არის მთავარი, გადამწყვეტი ფაქტორი, რომელიც მძიმე დანაშაულობათა რიცხვზე ახდენს ზემოქმედებას. შესაბამისად, დამნაშავეობის ზრდის საბაბით სიკვდილით დასჯის შემოღება (როგორც ეს ზოგიერთ ქვეყანაში მოხდა) არ არის გამართლებული. „История - წერდა კ. მარქსი - и такая наука, как статистика, с очевидностью доказывают, что со времени Каина мир никогда не удавалось ни исправить, ни устрашить наказанием"[2].

ზემოთქმულის მიუხედავად, თუ ჩვენ დავუშვებთ კიდეც, რომ სიკვდილით დასჯას დიდი გამაფრთხილებელი მნიშვნელობა აქვს, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მისი მთავარი ძალა მისი საჯაროობაა, კერძოდ ის, რომ მისი აღსრულება წარუხოცელ შთაბეჭდილებას ახდენს უშუალოდ მნახველზე. ალბათ არავის არ შეუძლია ეჭვი შეიტანოს იმ უბრალო ჭეშმარიტებაში, რომ ადამიანზე უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ის, რაც მის თვალწინ ხდება, ვიდრე ის, რასაც იგი სხვებისგან გაიგებს. ყოველივე ამის მიუხედავად, დღესდღეობით, თითქმის ყველა ქვეყანაში, სიკვდილით დასჯის აღსრულება საზოგადოებისაგან ფარულად ხდება. თავის-

[1] Г. Е. Колоколов. Уголовное право, 1899, с. 568.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 8, с. 530.

თავად ისმის კითხვა: თუკი სიკვდილით დასჯის საჯაროდ აღსრულებას, რაც მთელი საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა, არასდროს არ მოუტანია ის შედეგები, რომლებსაც მისგან მოელოდნენ, მაშინ რასღა უნდა მოელოდეთ მისი ფარული, გასაიდუმლოებული აღსრულებისაგან?

სიკვდილით დასჯის შიში დამნაშავეს იპყრობს მხოლოდ მაშინ, როცა დგება მისი აღსრულების დრო. მაგრამ ეს შიში სისხლის სამართლის პოლიტიკის პოზიციებიდან დაგვიანებულია, ადამიანზე უშედეგო ზემოქმედებაა. მთავარია არა ის, რომ დამნაშავე იტანჯებოდეს როცა მას სჯიან, არამედ ეშინოდეს ადრევე, სანამ დასჯად ქმედობას ჩაიდენდეს. როცა ვასაბუთებთ იმას, რომ სიკვდილით დასჯას არა აქვს დიდი გამაფრთხილებელი და დამაშინებელი მნიშვნელობა, ამასთან ერთად, სწორი არ იქნება ვამტკიცოთ, რომ სხვა სახეობის სასჯელს, ვთქვათ, სამუდამო პატიმრობას უფრო დიდი გამაფრთხილებელი მნიშვნელობა აქვს, როგორც ეს ზოგიერთ ავტორს მიაჩნია. საკითხი შემდეგნაირად დგას: სიკვდილით დასჯის გამოყენებას არ მოაქვს ის ეფექტი, რომელსაც მისგან უნდა მოველოდეთ, ამიტომ საჭიროა მისი გაუქმება, რათა უსარგებლოდ არ შევინიროთ ადამიანთა სიცოცხლე. ადამიანთა სიცოცხლესთან არის დაკავშირებული აგრეთვე სასამართლო შეცდომების საკითხიც. კერძოდ, უტყუარი მონაცემებით რომ იყოს დამტკიცებული, რომ სიკვდილით დასჯის გამოუყენებლად შეუძლებელი იქნებოდა მართლმსაჯულების განხორციელება და, საერთოდ, საზოგადოების ნორმალური არსებობა და განვითარება, მაშინ სასამართლო შეცდომები სიკვდილით დასჯისას, უფრო სწორად, უდანაშაულოთა შეცდომით დასჯა ის მცირე ბოროტება იქნებოდა, რომელსაც, როგორც სხვა ბოროტებას, ითმენს დღევანდელი საზოგადოება უფრო დიდი ბოროტების თავიდან ასაცილებლად. მაგრამ მაშინ, როცა დამტკიცებულია, რომ მართლმსაჯულების განხორციელება და საზოგადოების ნორმალური არსებობაც სავსებით შესაძლებელია ამ სასჯელის გამოუყენებლად, სასამართლო შეცდომის, უდანაშაულო პიროვნების სიკვდილით დასჯის თვით ერთი ფაქტიც კი ყოვლად შეუწყნარებელი და აუტანელია დღევანდელი ცივილიზებული საზოგადოებისათვის. ეს ისეთი შეცდომაა, რომლის გამოსწორებაც, შემდეგში როგორც უნდა ვეცადოთ, შეუძლებელი ხდება. ჩვენი აზრით, მარტო ეს არგუმენტიც კი საკმარისი იქნებოდა, რომ უარი გვეთქვა სიკვდილით დასჯაზე. სასამართლო შეცდომებისაგან არავინ არ არის დაზღვეული, შესაბამისად, უდანაშაულოთა სიკვდილით დასჯა ყოველთვის მოსალოდნელია. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ სანამ მედიცინა მკვდრის გაცოცხლებას ვერ შეძლებს და ალბათ ამას იგი ვერასდროს ვერ შეძლებს, ეს არგუმენტი ყოველთვის ძალაში დარჩება.

ახლა, რაც შეეხება საზოგადოებრივ აზრს, უფრო სწორად, იმ ადამიანებს, რომლებიც იწონებენ სიკვდილით დასჯას. ჯერ ერთი, მათ ალაპარა-

კებთ შურისძიების გრძნობა და, თუ კერძო შურისძიებას ვერსად წავუვალთ, უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში იგი შეიძლება საღიც იყოს, მაშინ მისი დაკმაყოფილება საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე სავსებით შესაძლებელია სხვა საშუალებებით, გარდა სიკვდილით დასჯისა. მეორეც, ვფიქრობთ, ყველა დაგვეთანხმება, თუ ამ ადამიანებს შევთავაზებთ, რომ სიკვდილით დასჯა თვითონ მოიყვანონ სისრულეში, ალბათ ყველა ზიზღით უარს იტყვის და ყველაზე უფრო თავგამოდებული მომხრეც კი უკან დაიხევს. რატომ? პასუხი იმდენად ნათელია, რომ ახსნას არ საჭიროებს.

მას შემდეგ, რაც გავარკვიეთ, რომ სიკვდილით დასჯა არ არის სასჯელის მიზანშეწონილი და სამართლიანი სახე, ბუნებრივად იბადება კითხვა: რით შეიძლება შევცვალოთ სიკვდილით დასჯა? სასჯელის რომელი სახე იქნებოდა ასეთ შემთხვევაში ყველაზე უფრო მიზანშეწონილი და სამართლიანი? საერთოდ ცნობილია, რომ შეუძლებელია აბსოლუტური სამართლიანობის მიღწევა სასჯელთა სისტემაში. შეუძლებელია, როგორც ამას კანტი და ჰეგელი მოითხოვდნენ, ყოველი სასჯელი ზუსტად უდრიდეს ჩადენილი დანაშაულის ხარისხს, ამაზე მეტყველებს თუნდაც სხვადასხვა სასჯელის არსებობა ერთი და იმავე დანაშაულისათვის სხვადასხვა ქვეყანაში.

ჩვენი აზრით, სიკვდილით დასჯის სხვა სასჯელით შეცვლისას მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი გარემოებები:

ა) საზოგადოება ყოველთვის პასუხისმგებელია თავისი წევრებისათვის. პიროვნება ყალიბდება იმ სოციალური გარემოს ზემოქმედებით, რომელშიც მას მოღვაწეობა უხდება. ცუდი და ბოროტი ადამიანი არ იბადება, იგი ცუდი ხდება იმიტომ, რომ მას ცუდად ექცევიან. შესაბამისად, დანაშაულის ჩადენაში ბრალი მიუძღვის არა მარტო დამნაშავეს, არამედ საზოგადოებასაც. ამიტომ საზოგადოებამ მძიმე დანაშაულის ჩამდენს სიკვდილით დასჯის განაჩენი კი არ უნდა გამოუტანოს, არამედ საჭიროა იზრუნოს მისი გამოსწორებისათვის;

ბ) გამოუსწორებელი დამნაშავენი არ არსებობენ. ჩვენ თუ ვერ შევძელით ამა თუ იმ დამნაშავის გამოსწორება, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ეს საერთოდ შეუძლებელია;

გ) დამნაშავის დასჯით გარკვეულწილად უნდა ისარგებლოს იმ საზოგადოებამ, რომელსაც მან ზიანი მიაყენა;

დ) სასჯელის ზომა უნდა იწვევდეს საზოგადოების კმაყოფილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სიკვდილით დასჯის სანაცვლოდ სასჯელის შედარებით უფრო გამართლებულ ზომად გვესახება „სამუდამო პატიმრობა", მაგრამ გარკვეული პირობებით, კერძოდ, მსჯავრდებული გამოყენებული უნდა იქნეს სხვადასხვა სამუშაოს შესასრულებლად და სასამართლოს უნდა ჰქონდეს უფლება, განაჩენის

გამოტანისას განსაზღვროს ვადა, რომლის გასვლის შემდეგ შეიძლება დაისვას მისი განთავისუფლების საკითხი. ამავე დროს, ეს ვადა 15 წელზე ნაკლები არ უნდა იყოს. თუმცა ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე, უნდა შესრულდეს სათანადო სოციოლოგიური გამოკვლევა.

დასასრულ, თვალი გადავავლოთ სისხლის სამართლის და, საერთოდ, ადამიანის კულტურისა და ზნეობის განვითარებას. აქ აშკარად შეიმჩნევა პროგრესი. რამდენიმე საუკუნის წინათ წამება გამართლებული იყო ჭეშმარიტების დასადგენად. შემდგომში იგი ყველგან აკრძალეს. ასევე აიკრძალა სიკვდილით დასჯის კვალიფიციური სახეობებიც. არა იმიტომ, რომ მათ გამაფრთხილებელი მნიშვნელობა არ ჰქონდათ, არამედ, უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ იგი ეთიკურად დაუშვებელი გახდა. წარმოიდგინეთ დღეს ადამიანი, რომელიც სარზე ჩამოცმის, ოთხად გაპობის, ნაწლავების გამოღების და სიკვდილით დასჯის სხვა კვალიფიციური სახეების აღდგენას მოითხოვს. მას, უდავოდ, ყველა ზნეობრივად დეგრადირებულ პიროვნებად მიიჩნევს. ამიტომ, საბოლოოდ, სიკვდილით დასჯის საკითხი, ჩვენი აზრით, შემდეგნაირად უნდა დაისვას: აზრი არა აქვს, გამაფრთხილებელი მნიშვნელობა აქვს თუ არა სიკვდილით დასჯას, მთავარია ის, რომ მის გამოყენებას ეთიკური საფუძველი არა აქვს. სწორედ ამის გამო, იგი უნდა გაუქმდეს.

საჭირო არ არის წინასწარმეტყველი იყო, წერდა პროფ. ნ. ს. ტაგანცევი, რომ თქვა: შორს არ არის ის დრო, როცა სიკვდილით დასჯა გაქრება სისხლის სამართლის კოდექსებიდან და თვით კამათიც კი მისი მიზანშეწონილობის შესახებ ჩვენს მომავალ თაობას ისევე უცხოდ მოეჩვენება, როგორადაც გვეჩვენება ჩვენ დღეს დავა დამნაშავის ცეცხლზე დაწვის თუ სარზე ჩამოცმის აუცილებლობისა და სამართლიანობის შესახებ[1]. აქვე არ შეიძლება არ მოვიგონოთ კ. მარქსის სიტყვები: *"Весьма трудно, а может быть вообще невозможно, найти принцип, посредством которого можно было бы обосновать справедливость и целесообразность смертной казни в обществе, кичащемся своей цивилизацией"*[2].

ჯონი ხეცურიანი

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

ჟურნალი „საბჭოთა სამართალი", №3, 1979 წელი.

---

[1] Смертная казнь, сборник статей под ред. Н. С. Таганцева. С.-Петербург, 1913 г., с. 139.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., с. 530.

სიკვდილით დასჯა და თანამედროვეობა

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმა თანდათან ძალას იკრებს. უაღრესად მოკლე პერიოდში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები იქნა მიღებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების სხვადასხვა საკითხებზე. შეიძლება ითქვას, რომ სამართალშემოქმედებითი მექანიზმი სრული დატვირთვით მუშაობს.

ამჟამად დღის წესრიგში დგას მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის განახლების ამოცანა. საყოველთაო სახალხო განხილვისათვის პრესაში უკვე გამოქვეყნდა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები, რომელთაც წინ უძღოდა სწავლულ და პრაქტიკოს იურისტთა დისკუსია სისხლის სამართლის აქტუალურ პრობლემებზე. მათ შორის განსაკუთრებული ინტერესი და აზრთა სხვადასხვაობა სასჯელის უმაღლესმა ზომამ – სიკვდილით დასჯამ გამოიწვია. ამ პრობლემას დიდი ადგილი ეთმობა სპეციალურ ლიტერატურასა და პერიოდულ პრესაში. უნდა აღინიშნოს, რომ სიკვდილით დასჯის პრობლემაზე მსჯელობა ბოლო დრომდე, კერძოდ, საჯაროობის პრინციპის დამკვიდრებამდე, არათუ ასე სახალხოდ, არამედ იურიდიულ ლიტერატურაშიც კი იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდა. ეს ფაქტი ნიშანდობლივია იმდენად, რამდენადაც ისტორიულად სიკვდილით დასჯის პრობლემის მეცნიერული კვლევისა და მასზე საზოგადოებრივი აზრის გამჟღავნების ყველაზე ნათელი პერიოდები რევოლუციური და მნიშვნელოვანი სოციალური ძვრების ეპოქებზე მოდის. დღეს ხომ ჩვენშიც რევოლუციური გარდაქმნისა და განახლების პროცესები მიმდინარეობს.

სიკვდილით დასჯის პრობლემა შემთხვევით როდი იპყრობს საზოგადოებრიობის ყურადღებას. მას ძნელად თუ მივაკუთვნებთ მხოლოდ სამართლის პრობლემათა რიცხვს. იგი დიდი ხანია გასცდა წმინდა იურისპრუდენციის ფარგლებს და ზოგადჰუმანურ პრობლემად იქცა. სიკვდილით დასჯისადმი დამოკიდებულება ერთ-ერთი მაჩვენებელია პიროვნების არა მარტო მართლშეგნების დონისა, არამედ საერთოდ მისი მსოფლმხედველობისა.

სიკვდილით დასჯისადმი კანონმდებლის პოზიცია დიდ გავლენას ახდენს როგორც სასჯელთა სისტემაზე, ისე მთლიანად სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითად პრინციპებზე. კანონმდებლობაში სიკვდილით დასჯის ფართოდ გათვალისწინება იმაზე მიუთითებს, რომ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში სასჯელის სიმკაცრეა მიჩნეული მთავარ საშუალებად.

როგორია საბჭოთა კანონმდებლის დამოკიდებულება სიკვდილით დასჯისადმი?

ჩვენს კანონმდებლობაში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია შეინიშნება: ერთი მხრივ, კანონმდებლობა თავისი განვითარების ყველა ეტაპზე სიკვდილით დასჯას განსაკუთრებულ ღონისძიებად მიიჩნევდა, რომლის გამოყენება ხდება დროებით, მის სრულ გაუქმებამდე; მეორე მხრივ, კანონმდებლობის განვითარების კვალობაზე, სულ უფრო იზრდებოდა იმ დანაშაულთა რაოდენობა, რომლისთვისაც შეიძლებოდა სიკვდილით დასჯის გამოყენება. გადავხედოთ ისტორიას.

საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის მანძილზე სიკვდილით დასჯა სამჯერ გაუქმდა (1917, 1920 და 1947 წლებში). აქედან ყველაზე ხანგრძლივი ბოლო გაუქმება გამოდგა – თითქმის 3 წელი. 1950 წლიდან სიკვდილით დასჯა კვლავ შემოიღეს. 1950-1962 წლებში იგი გათვალისწინებულ იქნა დანაშაულის 16 სახეობისათვის. საკმაო პაუზის შემდეგ, 1973 წელს, სიკვდილით დასჯად დანაშაულთა რაოდენობა კიდევ ერთი ერთეულით გაიზარდა.

ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, სიკვდილით დასჯა გათვალისწინებულია 17 სახის დანაშაულისათვის. სიკვდილით დასჯა დაწესებულია აგრეთვე 16 სამხედრო სახეობის დანაშაულისათვის. ე. ი. საბოლოო ჯამში, მოქმედი კანონმდებლობა სიკვდილით დასჯას ადგენს 33 სახის დანაშაულისათვის (აქედან 16 შემთხვევაში სიკვდილით შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ მაშინ, როცა ის ჩადენილია ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში).

ამავე პერიოდში საზღვარგარეთის მთელი რიგი ქვეყნების კანონმდებლობებში რადიკალურად საწინააღმდეგო ტენდენცია გამოიკვეთა. კერძოდ, სიკვდილით დასჯის გამოყენების სფერო მნიშვნელოვნად შეიზღუდა, ბევრმა ქვეყანამ კი საერთოდ უარი თქვა მასზე. მაგალითად, ევროპის ქვეყნებიდან სიკვდილით დასჯა გაუქმებულია ნორვეგიაში (1905 წლიდან), შვეიცარიაში (1921), დანიაში (1930), შვეიცარიაში (1937), ისლანდიაში (1940), იტალიაში (1944), ფინეთში (1949), გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში (1949), მონაკოში (1962), დიდ ბრიტანეთში (1965), ავსტრიაში (1968), საფრანგეთში (1981). რაც შეეხება ბელგიას, ლიხტენშტაინს, პორტუგალიას, ლუქსემბურგს, ნიდერლანდებს, სან-მარინოს, მათ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში გადადგეს ეს ნაბიჯი.

ევროპის ქვეყნების გარდა, სიკვდილით დასჯა გაუქმებულია არგენტინაში (1922), ბრაზილიაში (1946), ამერიკის შეერთებული შტატებისა და მექსიკის ზოგიერთ შტატში, ავსტრალიაში (1945) და სხვა.

ამ მხრივ უაღრესად საყურადღებოა ძველი ქართული სამართალი. ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ თამარ მეფეს საქართველოში არა მარტო სიკვდილით დასჯა, არამედ სხეულებრივი სასჯელების გამოყენებაც აუკრძალავს. მსგავსი სასჯელები ლაშა-გიორგის დროსაც არ გამოუ-

ყენებიათ. რუსთაველის ეპოქის საქართველოს მართლშეგნების ჰუმანურობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ იმდროინდელ ისტორიკოსებს მეფისათვის სასახელოდ მიაჩნდათ სიკვდილით დასჯის აკრძალვა.

როგორც ლიტერატურაში აღნიშნავენ, ყოველწლიურად, მსოფლიოში, სულ ცოტა, ერთი ქვეყანა მაინც აუქმებს სიკვდილით დასჯას. მაგალითად, გასულ წელს გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, სოციალისტური ქვეყნებიდან პირველმა, უარი თქვა ამ სასჯელის გამოყენებაზე.

ამრიგად, სიკვდილით დასჯა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე დანაშაულობასთან ბრძოლის ყველაზე საიმედო საშუალებად თვლიდნენ, თანდათანობით ქრება სისხლის სამართლის კოდექსებიდან. ჩვენს კანონმდებლობაში კი ეს პრობლემა ჯერ კიდევ გადასაჭრელია.

ამასთან დაკავშირებით მ. ს. გორბაჩოვმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა: „სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებათა პროექტი მზად არის და თავის რიგს ელის. კერძოდ, გადაისინჯება მუხლები, რომლებიც სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენებას უკავშირდება".

სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტში სიკვდილით დასჯის გამოყენება მართლაც რამდენადმე შეზღუდულია. სასჯელის უმაღლესი ზომა გათვალისწინებულია მხოლოდ 6 სახის დანაშაულისათვის (სამშობლოს ღალატი, ჯაშუშობა, ტერორისტული აქტი, დივერსია, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობა, მცირენლოვანის გაუპატიურება). ამასთანავე, სიკვდილით დასჯა შეიძლება დანესდეს ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში ჩადენილი სხვა დანაშაულისათვის (პროექტის 41-ე მუხლი). შემოთავაზებული ცვლილებანი უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია სისხლის სამართლის სასჯელის ჰუმანიზაციის თვალსაზრისით. მაგრამ ის საბოლოოდ მაინც არ წყვეტს სასჯელის უმაღლესი ზომის პრობლემას.

წინამდებარე წერილში შევეცდებით, შეძლებისდაგვარად გავაანალიზოთ ის ძირითადი არგუმენტები, რომლებითაც სიკვდილით დასჯის მომხრენი და მოწინააღმდეგენი ასაბუთებენ თავიანთ პოზიციებს. ვფიქრობთ, მათი შედარება დაგვეხმარება, სისხლის სამართლის კანონმდებლობის განახლების წინ კანონმდებელს შევთავაზოთ ჩვენი წინადადება სასჯელის უმაღლესი ზომის საკითხში.

ცნობილია, რომ სასჯელის მიზანია, ერთი მხრივ, დამნაშავის გამოსწორება, მისი გაფრთხილება, რომ მომავალში არ ჩაიდინოს აკრძალული ქმედობა (კერძო პრევენცია) და მეორე მხრივ, საზოგადოების სხვა წევრების გაფრთხილება, მათაც თავი შეიკავონ ასეთი მოქმედებისაგან (ზოგადი პრევენცია). სიკვდილით დასჯის გამოყენების დროს სასჯელი ვერ აღწევს თავის უპირველეს მიზანს, რაც დამნაშავის გამოსწორებას

გულისხმობს. დამნაშავეს ფიზიკურად სპობენ, მას არ რჩება გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში დამნაშავის დასჯა ემსახურება მხოლოდ სხვების გაფრთხილებისა და დაშინების მიზანს.

მაშასადამე, სიკვდილით დასჯას, როგორც სასჯელის ერთ-ერთ სახეობას, რჩება მხოლოდ ზოგადპრევენციული როლის შესრულება. მაგრამ როგორ ასრულებს იგი ამ როლს? როგორია მისი შესაძლებლობანი?

სიკვდილით დასჯის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ ამ სასჯელს აქვს დიდი გამაფრთხილებელი მნიშვნელობა. მისი გაუქმება გამოიწვევს საერთოდ დამნაშავეობის, განსაკუთრებით კი, მძიმე დანაშაულობათა რაოდენობის ზრდას. მათი შეხედულებით, რადგან სიცოცხლე ყველაზე ძვირფასი სიკეთეა, რაც კი ადამიანს გააჩნია, ამიტომ დანაშაულის ჩადენისათვის მისი წართმევის მუქარა დანაშაულის თავიდან აცილების ყველაზე უფრო ეფექტიანი საშუალებაა. ეს არგუმენტი ერთი შეხედვით იმდენად დამაჯერებელია, რომ მრავალი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში იგი სიკვდილით დასჯის ფართოდ გამოყენების საფუძველი და, შეიძლება ითქვას, მთავარი მიზეზი გახდა. სიკვდილით დასჯის გამაფრთხილებელი მნიშვნელობის გადამეტფასების შედეგია ისიც, რომ საუკუნეების განმავლობაში, თითქმის ყველა ქვეყანაში, ამ სასჯელს საჯაროდ აღასრულებდნენ – განაჩენი სისრულეში მოჰყავდათ მოსახლეობის თანდასწრებით. ამასთანავე, დამნაშავეს სჯიდნენ ისეთი საშუალებებით, რომლებიც მას მაქსიმალურ ფიზიკურ ტანჯვას მიაყენებდა. შედეგი: დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში უმნიშვნელო გამარჯვებაც ვერ იქნა მოპოვებული. დღეს რომელიმე მკვლევარი ძნელად თუ შეძლებს ისეთი სტატისტიკური მონაცემების მოტანას, რომლებიც დაადასტურებენ დამნაშავეობის რიცხვის შემცირებას სიკვდილით დასჯის შემოღების შედეგად. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის დამნაშავეობის სტატისტიკაში კი საწინააღმდეგო ფაქტები საკმაოდაა. ამას მოწმობს, თუნდაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ჩატარებული სპეციალური გამოკვლევები. კვლევის შედეგები ცხადად გვიჩვენებენ, რომ სიკვდილით დასჯის სრულ გაუქმებას ან მისი გამოყენების საგრძნობ შემცირებას არ გამოუწვევია დანაშაულობათა რიცხვის ზრდა.

მაშასადამე, სიკვდილით დასჯის დაწესება არ არის ის ფაქტორი, რომლის გამოც დამნაშავე თავს შეიკავებს მძიმე დანაშაულის ჩადენისაგან. ამიტომ დამნაშავეობის დინამიკის უშუალო დაკავშირება სიკვდილით დასჯის შემოღებასა თუ გაუქმებასთან, სწორი არ არის. მხოლოდ სიკვდილით დასჯის შემოღება თუ გაუქმება არ არის მთავარი, გადამწყვეტი ფაქტორი, რომელიც მძიმე დანაშაულობათა რიცხვზე ახდენდეს ზემოქმედებას. შესაბამისად, დამნაშავეობის ზრდის საბაბით სიკვდილით დასჯის შემოღება არ არის გამართლებული.

ზემოთქმულის მიუხედავად, თუ ჩვენ დავუშვებთ კიდეც, რომ სიკვდილით დასჯას დიდი გამაფრთხილებელი მნიშვნელობა აქვს, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მისი მთავარი ძალა ამ სასჯელის საჯაროდ აღსრულებაშია. მაგრამ დღესდღეობით, თითქმის ყველა ქვეყანაში, სიკვდილით დასჯის აღსრულება საზოგადოებისაგან ფარულად ხდება. უფრო მეტიც, ხშირად ცნობაც კი არ ქვეყნდება მისი სისრულეში მოყვანის შესახებ. თავისთავად ისმის კითხვა: თუკი სიკვდილით დასჯის საჯაროდ აღსრულებას არასოდეს მოუტანია სასურველი შედეგი, მაშინ რასღა უნდა მოველოდეთ მისი ფარული, გასაიდუმლოებული აღსრულებისაგან? სიკვდილით დასჯის შიში დამნაშავეს იპყრობს მაშინ, როცა დგება მისი აღსრულების მომენტი, მაგრამ ეს შიში სისხლის სამართლის პოლიტიკის პოზიციებიდან დაგვიანებულია, ადამიანზე უშედეგო ზემოქმედებაა.

როგორც ვხედავთ, სიკვდილით დასჯა ვერ აღწევს სასჯელის მეორე მიზანსაც, რომელიც ზოგად პრევენციაში საზოგადოების წევრთა გაფრთხილებაში მდგომარეობს. ამდენად, იგი თავისი ბუნებით სასჯელის პრინციპის უარყოფაა. შეიძლება ითქვას, რომ სიკვდილით დასჯა სასჯელის იმდენად უკიდურესი ზომაა, რომ იგი თავისი თავის საწინააღმდეგო მოვლენაში გადადის.

მაშ, რა გამართლება შეიძლება მოეძებნოს სიკვდილით დასჯას? რა მიზნებს ემსახურება იგი?

სიკვდილით დასჯის მომხრენი აღნიშნავენ, რომ სასჯელის ეს ზომა საჭიროა საზოგადოების უშიშროებისათვის. კერძოდ, მისი გამოყენებით დამნაშავეს ესპობა საშუალება, ჩაიდინოს ახალი დანაშაული. მათი აზრით, არიან ადამიანები, რომელთა გამოსწორება და ხელახლა აღზრდა შეუძლებელია. ამიტომ საზოგადოებას უფლება აქვს, თავი დაიცვას მათგან. ასეთ შემთხვევებში სოციალური დაცვის ყველაზე ეფექტიან საშუალებად დამნაშავის სიკვდილით დასჯა მიაჩნიათ.

საზოგადოების დაცვისა და მის წევრთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესები იმდენად დიდი სოციალური მნიშვნელობისაა, რომ ზოგიერთ ავტორს, რომელიც არსებითად სიკვდილით დასჯის წინააღმდეგია, შესაძლებლად მიაჩნია მისი გამოყენება ამ მიზნით. მაგალითად, ვოლტერი, რომელიც სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ილაშქრებდა და ცდილობდა დაესაბუთებინა მისი მიზანშეუწონლობა, ამავე დროს თვლიდა, რომ, როცა არ არსებობს მრავალი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის სხვა საშუალება, მაშინ დამნაშავე უნდა განადგურდეს როგორც „ცოფიანი ძაღლი“. ამ არგუმენტზე დღესაც დაბეჯითებით მიუთითებენ სიკვდილით დასჯის მომხრენი. ვინც თვალს ადევნებს საკავშირო პრესას, ალბათ შეამჩნევდა, რომ საამისო მაგალითად ხშირად მოჰყავთ ვინმე მიხასევიჩის საქმე. ამ დამნაშავემ სხვადასხვა დროს 33 ქალი მოკლა. იგი სიკვდილით დასაჯეს.

სიკვდილით დასჯის მომხრენი სხვა არგუმენტებსაც იშველიებენ. კერძოდ, აღნიშნავენ, რომ პიროვნების დასჯა ყოველთვის გულისხმობს სამაგიეროს გადახდას. ამიტომ, მათი აზრით, რადგანაც დამნაშავეს უნდა მიეზღოს მის მიერ ჩადენილი ბოროტების შესაბამისად, ამდენად, მკვლელობისათვის და სხვა მძიმე დანაშაულისათვის სამაგიეროს გადახდის ერთადერთი საშუალება სიკვდილით დასჯაა. საზოგადოებრივი აზრი, მიუთითებენ ისინი, ვერასდროს შეეგუება იმ ფაქტს, რომ უმძიმესი, ზოგჯერ კი უსასტიკესი დანაშაულის ჩამდენს სიცოცხლის უფლება ჰქონდეს. იმის დასასაბუთებლად, რომ საზოგადოებრივი აზრი ფაქტობრივად იწონებს სიკვდილით დასჯას, მოჰყავთ როგორც სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგები, ისე სხვადასხვა ფაქტები. მაგალითად, როცა თავად ხალხს შეუსრულებია ჯალათის მოვალეობა ბოროტი დამნაშავის მიმართ, ზოგიერთ ქვეყანაში თვით ხალხს მოუთხოვია სიკვდილით დასჯის შემოღება და სხვა.

რამდენად ყურადსაღებია ზემოაღნიშნული არგუმენტები? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას, ჩვენი აზრით, საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოებანი:

პირველი, საზოგადოება ყოველთვის პასუხისმგებელია თავისი წევრების საქციელისათვის. პიროვნება ყალიბდება იმ სოციალურ გარემოში, რომელშიც მას უხდება მოღვაწეობა. ცუდი და ბოროტი ადამიანი არ იბადება, იგი ცუდი ხდება სხვადასხვა ნეგატიური ფაქტორების ზემოქმედებით, რომლებსაც ჯერ კიდევ საკმაოდ ვხვდებით ცხოვრებაში. შესაბამისად, დანაშაულის ჩადენაში ბრალი მიუძღვის არა მარტო დამნაშავეს, არამედ საზოგადოებასაც. ამიტომ საზოგადოებამ მძიმე დანაშაულის ჩამდენს სიკვდილით დასჯის განაჩენი კი არ უნდა გამოუტანოს, არამედ საჭიროა, იზრუნოს მისი გამოსწორებისა და დამნაშავეობის მიზეზების აღმოფხვრისათვის. გამოუსწორებელი დამნაშავენი არ არსებობენ. ჩვენ თუ ვერ შევძელით მათი გამოსწორება, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ეს საერთოდ შეუძლებელია.

მეორე, მართალია, საშიში დამნაშავისაგან საზოგადოების დასაცავად საჭიროა აუცილებელი და საიმედო ღონისძიებების გატარება, მათ შორის სისხლის სამართლის მკაცრი ზომებისა, მაგრამ ცივილიზაციის დღევანდელ ეტაპზე ამის უზრუნველყოფა სავსებით შესაძლებელია სიკვდილით დასჯის გარეშეც – სხვა საშუალებებით, მაგალითად, საზოგადოებისაგან დამნაშავის ხანგრძლივი იზოლირებით. ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას ის ფაქტი, რომ მისი სახელით გამოტანილი განაჩენის საფუძველზე, სიცოცხლე მოუსპონ ადამიანს, თუნდაც საშიშ დამნაშავეს. სახელმწიფომ, პირიქით, მაგალითი უნდა უჩვენოს საზოგადოებას, რომ არავის (მათ შორის სახელმწიფოსაც) არა აქვს უფლება ადამიანის სიცოცხლის ხელყოფისა.

მესამე, ის გარემოება, რომ საზოგადოებრივი აზრი ზოგჯერ იწონებს სიკვდილით დასჯას, საკმაო არგუმენტად არ გამოდგება ამ სასჯელის გამოყენების აუცილებლობის დასასაბუთებლად. საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის როდია სანდო. მას ხშირად სათანადო ფორმირება სჭირდება. საზოგადოებრივი აზრი, რომელიც იწონებს სიკვდილით დასჯას, იმაზე მიუთითებს, რომ მოსახლეობის მართლშეგნება არცთუ ისე სასურველ დონეზეა. ამიტომ სიკვდილით დასჯის საკითხის გადაწყვეტისას საზოგადოებრივ აზრზე ხელაღებით დაყრდნობა არ შეიძლება. მით უმეტეს, რომ მასში ხშირად სჭარბობს ემოციური მომენტები, ვიდრე საკითხის გადაჭრის რაციონალური მოსაზრებები. აქ სწორედ კანონმდებელმა უნდა თქვას თავისი სიტყვა და სათანადო გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე.

მეოთხე, სასჯელთა სისტემის განსაზღვრა სამაგიეროს გადახდისა და შურისძიების პრინციპების საფუძველზე ყოვლად დაუშვებელია, რადგან ვერავინ განსაზღვრავს, თუ რომელი (ან როგორი) სასჯელი უდრის ზუსტად ამა თუ იმ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს. ამაზე მეტყველებს, თუნდაც სხვადასხვა სასჯელის არსებობა ერთი და იგივე დანაშაულისათვის სხვადასხვა ქვეყანაში, ან ერთ ქვეყანაში სხვადასხვა დროს. სასჯელის, როგორც დანაშაულისათვის სამაგიეროს გახადის საშუალებად გაგებას, უცილობლად მივყავართ ტალიონის პრინციპის გამართლებამდე. ეს განსაკუთრებით იგრძნობა, როცა დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობისათვის ერთადერთ სასჯელის ზომად სიკვდილით დასჯას მიიჩნევენ. ტალიონის პრინციპი გვაროვნულ საზოგადოებაში წარმოიშვა და შემდგომში გავრცელდა მონათმფლობელურ და ფეოდალურ სამართალში. იგი გამოიხატებოდა ფორმულით: „სისხლი სისხლისა წილ, თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ", ე. ი. გულისხმობდა დანაშაულისათვის თანაბარზომიერ მისაგებელს, უფრო სწორად, დამნაშავისათვის ზუსტად იმის მიზღვას, რა ვნებასაც მიაყენებდა იგი დაზარალებულს. როგორც ვხედავთ, ეს პრინციპი მართლშეგნების განვითარებაში კარგა ხნის წინათ განვლილი ეტაპია. ამიტომ მისი აღორძინება და დღევანდელ საზოგადოებაში მისი მოთხოვნების საფუძველზე სასჯელის საკითხების გადაწყვეტა, უდავოდ, უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება.

მეხუთე და რაც მთავარია, სიკვდილით დასჯა სასჯელის ისეთი სახეობაა, რომლის სისრულეში მოყვანის შემდეგ შეუძლებელია სასამართლო შეცდომების გამოსწორება. პრაქტიკა კი გვიჩვენებს, რომ ასეთი შეცდომები არცთუ ისე იშვიათია. შორს რომ არ წავიდეთ, მაგალითისათვის გავიხსენოთ თუნდაც იგივე მიხასევიჩის საქმე. სანამ სამძებრო და საგამოძიებო ორგანოები ნამდვილი დამნაშავის, მიხასევიჩის პიროვნებას დაადგენდნენ, მის მიერ ჩადენილი მკვლელობისათვის რამდენიმე უდანაშაულო პიროვნება გაასამართლეს. ერთმა 10 წელი გაატარა თავისუფლე-

ბის აღკვეთის ადგილებში, მეორემ თითქმის 6 წელი და ამასთანავე სამუდამოდ დაბრმავდა, მესამე სიკვდილით დასაჯეს...

ასეთი შეცდომებისაგან არც მომავალში ვართ დაზღვეული. შესაბამისად, სანამ ეს სასჯელი იარსებებს, უდანაშაულოთა სიკვდილით დასჯა ყოველთვის მოსალოდნელია. ვფიქრობთ, მარტო ეს არგუმენტიც კი საკმარისი იქნებოდა, რომ უარი გვეთქვა სიკვდილით დასჯაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სანამ მედიცინა სიკვდილით დასჯილის გაცოცხლებას ვერ შეძლებს და ალბათ ამას იგი ვერასდროს ვერ შეძლებს, ეს არგუმენტი ყოველთვის ძალაში დარჩება.

ახლა, რაც შეეხება საკითხს, თუ რით შეიძლება შევცვალოთ სიკვდილით დასჯა, კერძოდ, რომელი სასჯელი იქნებოდა ასეთ შემთხვევაში ყველაზე უფრო მიზანშეწონილი და სამართლიანი. სიკვდილით დასჯის სანაცვლოდ სასჯელის შედარებით უფრო გამართლებულ ზომად გვესახება სამუდამო პატიმრობა. იგი არანაკლებ მძიმე სასჯელია, ვიდრე სიკვდილით დასჯა, უზრუნველყოფს საზოგადოების წევრთა უშიშროებას და დამნაშავის გამოსწორების საშუალებასაც იძლევა. იმისთვის, რომ სამუდამოდ თავისუფლებააღკვეთილს ჰქონდეს საზოგადოებაში დაბრუნების იმედი და პენიტენციარულ დაწესებულებებში კეთილსინდისიერი შრომის სტიმული, სასამართლოს უნდა ჰქონდეს უფლება, სამუდამო პატიმრობის შეფარდებისას, დამნაშავის პიროვნების, მის მიერ ჩადენილი დანაშაულისა და სხვა პროგნოზირებადი მონაცემების საფუძველზე, განსაზღვროს ვადა, რომლის გასვლის შემდეგ შესაძლებელი იქნება, დაისვას საკითხი მსჯავრდებულის განთავისუფლების შესახებ. ამასთან, ეს ვადა 20 წელზე ნაკლები არ უნდა იყოს.

დასასრულ, თვალი გადავავლოთ სისხლის სამართლის და, საერთოდ, ადამიანის კულტურისა და ზნეობის განვითარებას, აქ აშკარად შეიმჩნევა პროგრესი. არცთუ ისე შორეულ წარსულში, ჭეშმარიტების დასადგენად წამება გამართლებული იყო. შემდგომში იგი ყველგან აკრძალეს. ასევე აიკრძალა სიკვდილით დასჯის კვალიფიციური სახეობებიც. არა იმიტომ, რომ მათ გამაფრთხილებელ მნიშვნელობაში ეჭვი შეეპარათ, არამედ უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ისინი ზნეობრივად დაუშვებელი გახდა. წარმოიდგინეთ დღეს ადამიანი, რომელიც სარზე ჩამოცმის, ცეცხლზე დაწვისა და სიკვდილით დასჯის სხვა სახეობების აღდგენას მოითხოვს. უდავოდ, ზნეობრივ ანაქრონიზმთან გვექნება საქმე, რომ აღარაფერი ვთქვათ მართლშეგნების პირველყოფილ მდგომარეობაზე. ამიტომ სიკვდილით დასჯის საკითხი საბოლოოდ შემდეგნაირად უნდა დაისვას: აზრი არა აქვს სიკვდილით დასჯის გამაფრთხილებელ თუ სხვაგვარ მნიშვნელობაზე კამათს. მთავარია, რომ მის არსებობას ზნეობრივი საფუძველი არა

აქვს. სწორედ ამის გამო, იგი მთლიანად და სამუდამოდ უნდა გაუქმდეს. ის ჰუმანური საწყისი, რომლის სახელითაც კაცობრიობამ მოითხოვა სასჯელთა რიცხვიდან სიკვდილით დასჯის გამორიცხვა – წერდა ილია ჭავჭავაძე –აღიარებულ უნდა იქნეს ადამიანთა ზნეობრივი სრულყოფის სფეროში კაცობრიობის პროგრესის საუკეთესო მონაპოვრად.

სიკვდილით დასჯის გაუქმება მიზანშეწონილია, ძირითად კანონში – კონსტიტუციაში აისახოს, რათა მის შეუქცევადობას მეტი იურიდიული გარანტია ჰქონდეს. ამ მოვლენის მიმართ ყველაზე დიდ გარანტიად კი მაინც საზოგადოებრივი აზრის მყარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება მიგვაჩნია. საზოგადოების თვალში, მის ზნეობრივ შეგნებაში სიკვდილით დასჯას ისეთივე ტაბუ უნდა დაედოს, როგორც კანიბალიზმს, მონობას და სხვა. ეს აუცილებელია თუნდაც იმისათვის, რომ ვერავინ შეძლოს სიკვდილით დასჯის აღდგენა და მისი გამოყენება მასობრივი რეპრესიების ჩასატარებლად. სიკვდილით დასჯა რომ არა, რამდენი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე გადაურჩებოდა განადგურებას.

ჯონი ხეცურიანი

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

გაზეთი „კომუნისტი", №19, 1989 წელი, 22 იანვარი.

КАЗНИТЬ НЕЛЬЗЯ ПОМИЛОВАТЬ!

Важными шагами на пути построения правового государства, обретения независимости нашей республикой стали этапные законодательные акты, принятые Верховным Советом Грузии. Один из них - Закон об отмене исключительной меры наказания - смертной казни за некоторые виды преступлений.

Надо особо отметить, что обсуждение этой проблемы на протяжении долгих лет составляло редкое исключение не только на государственном уровне, но и в юридической литературе. Однако древнее грузинское право - явление особое в этом плане. Исторические источники свидетельствуют, что царица Тамар запретила не только смертную казнь, но и телесные наказания. Не применялась эта мера и во времена Лаши-Георгия. О гуманности правосознания Грузии той эпохи говорит и следующий факт: историки славили главу государства за гуманный указ об отмене смертной казни.

Сегодня, когда в Грузии активно идет процесс возрождения национальных ценностей, восстановления истинных прав и свобод, Верховный Совет республики, руководствуясь принципами человеколюбия, а также по многочисленным просьбам общественности принял закон, значение которого трудно переоценить. Мы предлагаем читателям беседу на эту тему с министром юстиции Республики Грузия, кандидатом юридических наук **Джони Хецуриани.**

- Батоно Джони, насколько мне известно, вы ставили вопрос об отмене смертной казни еще в семидесятых годах, одним из первых среди грузинских юристов...

- Вы правы, еще в семидесятых годах я опубликовал несколько статей в журнале «Советское право», где поднимал вопрос об отмене смертной казни. С тех пор и по сей день интенсивно занимаюсь изучением проблем в этой области юриспруденции, обобщением данных мировой законодательной и судебной практики, публикую материалы на эту тему. Настойчивость, с которой я вот уже около двадцати лет ставлю эти вопросы, объясняется тем, что я глубоко убежден в необходимости отмены смертной казни. В настоящее время готовлю к изданию книгу «Смертная казнь: историко-правовой очерк», где исследую все исторические и правовые аспекты этого вопроса.

Дело в том, что проблема смертной казни перманентно возникала в обществе на разных уровнях его развития в различных странах и государствах. Ее едва ли можно отнести к числу чисто правовых. Она давно перешагнула за пределы юриспруденции и стала общегуманитарной проблемой. То, что сегодня наш парламент принял соответствующий закон, - факт примечательный. Исторически самые светлые периоды научного исследования проблемы смертной казни и выявления общественного мнения приходятся на революционные эпохи, эпохи позитивных социальных взрывов.

История вопроса такова: на протяжении существования советского государства смертная казнь как мера наказания отменялась трижды - в 1917,

1920, 1947 годах. Из них самым продолжительным был последний период - три года. В 1950 году вновь ввели смертную казнь. В 1950-1960 годах она была предусмотрена за 16 видов преступлений. После довольно продолжительной паузы, в 1973 году, количество преступлений, подлежащих наказанию смертной казнью, увеличилось на одну единицу. Эта мера наказания учреждена была также за 16 видов военных преступлений, таким образом, применялась в 33 случаях.

В тот же период в целом ряде зарубежных стран этот приговор стали выносить значительно реже. Во многих государствах вообще отменили такую меру наказания: Норвегия (1905 г.), Швеция (1921 г.), Дания (1930 г.), Швейцария (1937 г.), Исландия (1940 г.), Италия (1944 г.), Финляндия (1949 г.), ФРГ (1949 г.), Монако (1962 г.), Великобритания (1965 г.), Австрия (1968 г.), Франция (1981 г.). Что же касается Бельгии, Лихтенштейна, Португалии, Люксембурга, Нидерландов, Сан-Марино - они сделали этот шаг еще в прошлом веке. Помимо стран Европы, смертная казнь отменена в Аргентине (1922 г.), Бразилии (1946 г.), в некоторых штатах США и Мексики, в Австралии (1945 г.) и др. Как отмечается в юридической литературе, ежегодно хотя бы одна страна в мире отменяет наказание смертной казнью.

Отношение к смертной казни - один из показателей не только уровня демократизации общества в целом, но и каждого ее индивида, правового сознания личности, ее мировоззрения. Позиция законодателей в этом вопросе оказывает большое влияние как на систему наказаний, так и на основные принципы уголовного законодательства. Если в нем широко предусмотрена смертная казнь, это указывает на то, что в борьбе против преступности превалирует суровость наказания.

На нынешнем этапе развития правовых основ в Республике Грузия мы сочли необходимым отменить исключительную меру наказания - смертную казнь - за такие виды преступлений, как изготовление или сбыт поддельных денег или ценных бумаг, нарушение правил о валютных операциях, хищение государственного или общественного имущества в особо крупных размерах, получение взятки. Безусловно, это - первые шаги на пути к разрешению проблемы в целом - отмены смертной казни как меры наказания в законодательстве Республики Грузия.

- По вашему мнению, смертная казнь в качестве меры наказания достигает цели?

- Известно, что цель наказания, - с одной стороны, исправление преступника, предупреждение, дабы в будущем он не совершал подобных действий (частная превенция). При применении смертной казни наказание не достигает цели перевоспитания преступника: виновного уничтожают физически. Наказание в таком случае является предупреждением и устрашением для других. Следовательно, смертная казнь как один из видов наказания выполняет лишь общепревентивную роль.

- Сторонники смертной казни считают, что эта мера наказания все же эффективна и ее упразднение может вызвать рост общей преступности, увеличение количества тяжких преступлений.

- Мне известна такая точка зрения. Авторы подобных высказываний убеждены, что поскольку жизнь - самый ценный дар, угроза казни - самое эффективное средство предотвращения преступления. Этот аргумент, на первый взгляд, выглядит настолько убедительным, что в уголовном законодательстве многих стран служит основой для широкого применения исключительной меры наказания. Я считаю, что смертная казнь как мера, предупреждающая преступление, не является панацеей. Кстати, во многих странах в течение веков это наказание приводили в исполнение публично, в присутствии народа. Нередко виновного наказывали самыми жестокими способами, причиняя ему максимальные физические страдания. В результате в борьбе против преступности - самые минимальные сдвиги. Вряд ли какой-нибудь исследователь сможет, а если сможет, то с большим трудом, привести статистические данные, подтверждающие сокращение преступности в результате введения смертной казни. Противоположных же фактов в статистике преступности многих стран мира достаточно. Об этом свидетельствуют хотя бы специальные исследования, проведенные Организацией Объединенных Наций. Иследование выявило, что полное упразднение смертной казни или значительное ее сокращение не вызвали роста числа преступлений.

Следовательно, учреждение смертной казни - не тот фактор, из-за которого преступник воздержится от совершения тяжкого преступления. И, думаю, неправильно связывать динамику преступности непосредственно с введением или упразднением смертной казни. Но если допустить, что смертная казнь имеет большое превентивное значение, следует заострить внимание на основном аргументе - публичном исполнении наказания. Сегодня же почти во всех странах оно производится втайне от общества, более того, часто даже не публикуются сведения о приведении смертной казни в исполнение. Возникает вопрос: если публичное исполнение никогда не приносило желаемого результата, тогда чего же ждать от тайного?!

Как видите, смертная казнь не достигает и второй цели наказания, состоящей в общей превенции, предупреждении членов общества. Таким образом, по своей природе она отвергает принцип наказания. Можно сказать, смертная казнь - настолько крайняя мера, что переходит в явление, само себе противоречащее. Хотя ее сторонники уверены в обратном - эта мера, по их мнению, необходима для безопасности общества, в частности, при этом исключается возможность совершения преступником нового преступления. Сторонники смертной казни признают тот факт, что есть люди, исправление и перевоспитание которых невозможно, и поэтому общество имеет право на защиту от них.

Интересы защиты общества и обеспечения безопасности его членов имеют действительно большое социальное значение. Думается, поэтому некоторые противники смертной казни считают возможным ее применение в подобных целях. Например, Вольтер, выступавший против такой

меры, в то же время считал, что когда не существует других средств для наказания, преступника нужно убить, как «бешеную собаку».

Сторонники смертной казни в качестве аргумента проводят мысль о том, что поскольку преступнику должно воздасться по заслугам в соответствии с совершенным им преступлением, единственное средство расплаты за убийство или другое тяжкое преступление - смертная казнь. Общественное мнение, указывают они, никогда не смирится с тем фактом, что совершивший жесточайшее преступление имеет право на жизнь. Для обоснования предположения о том, что общественное мнение фактически одобряет смертную казнь, они приводят как результаты социологических исследований, так и различные факты. Например, когда народ сам исполняет обязанности палача по отношению к преступнику или требует введения этой меры наказания.

- Какие же контраргументы выдвигают законодатели Грузии для решения этой проблемы у нас?

- Во-первых, общество всегда ответственно за поступки своих членов. Личность формируется в той социальной среде, где ей доводится вести свою деятельность. Человек не рождается плохим либо злым. Он становится таковым под воздействием различных негативных факторов. Соответственно, в совершении преступления виновен не только преступник, но и общество. Поэтому общество должно не приговаривать к смертной казни, а заботиться об исправлении преступника, искоренении причин, побудивших его к подобному преступлению. Неисправимых преступников не существует.

Во-вторых, признавая необходимость проведения эффективных мероприятий по защите общества от злостных преступников, в том числе применения строгих мер уголовного права, считаю, что на современном уровне развития цивилизации для осуществления этого возможны различные пути. Помимо смертной казни существует такая мера наказания, как продолжительная изоляция преступника от общества. Во всяком случае государство не должно допускать, чтобы на основании вынесенного его именем приговора лишали жизни человека, даже если он злостный преступник. Напротив, оно должно показывать обществу пример того, что никто (в том числе и государство) не имеет право на это.

В-третьих, то обстоятельство, что общественное мнение иногда одобряет смертную казнь, не может служить достаточным аргументом для обоснования необходимости применения такого наказания. Общественное мнение, как известно, не всегда абсолютно объективно. В нем часто преобладают эмоциональные моменты, а не рациональные соображения. Здесь должны сказать свое слово именно законодатели и оказать соответствующее воздействие на общественное мнение при решении вопроса о смертной казни.

В-четвертых, совершенно недопустимо определение системы наказаний на основе принципов расплаты и мести, поскольку никто не может определить, какое наказание точно соответсвует степени общественной опасности того или иного преступления. Об этом свидетельствует хотя бы наличие различных наказаний за одно и то же преступление в разных странах или в

одной стране в разное время. Понимание наказания как средства расплаты за совершение преступления обязательно приводит к оправданию принципа талиона. Он возник в родовом обществе, в дальнейшем распространился в рабовладельческом, феодальном праве и выражался формулой: «Кровь за кровь, око за око, зуб за зуб». Как видите, это давно пройденный провосознанием этап. Поэтому его возрождение и решение вопросов наказания на основе таких требований в нашем обществе являются, безусловно, шагом назад.

В-пятых, надо учитывать, что смертная казнь - такой вид наказания, после приведения в исполнение которого невозможно исправление судебных ошибок. Как показывает практика, подобные ошибки - не такая уж редкость. Не нужно далеко ходить за примером. Вспомним хотя бы нашумевшее дело Михасевича. До того, как розыскные и следственные органы установили личность настоящего преступника-маньяка, убивавшего женщин, за совершенные им преступления судили нескольких невиновных. Один из них провел в местах лишения свободы 10 лет, другой - почти шесть, ослеп, третьему присудили смертную казнь...

От подобных ошибок не застрахованы и мы. Соответственно, пока будет существовать такое наказание, всегда следует ожидать смертной казни невиновных. Полагаю, что и этого аргумента достаточно для того, чтобы отказаться от смертной казни. В противном случае, если медицина не сумеет оживлять принявшего казнь, а она этого, очевидно, никогда не сумеет, упомянутый аргумент всегда останется в силе.

Теперь, что касается вопроса, чем можно заменить смертную казнь, какое наказание в таком случае было бы наиболее целесообразным и справедливым. Вместо смертной казни сравнительно более оправданной мерой наказания мне видится пожизненное заключение. Это не менее суровое наказание обеспечивает безопасность членов общества и дает возможность исправления преступника. Для того, чтоб у пожизненно лишенного свободы была надежда на возвращение в общество и стимул добросовестного труда в пенитенциарных учреждениях, суд должен иметь право при определении пожизненного заключения, при изучении личности преступника, характера совершенного им преступника и других прогностических данных определить срок, по прошествии которого можно ставить вопрос об освобождении осужденного. Вместе с тем этот срок должен быть не менее 20 лет.

В заключение несколько слов о некоторых аспектах уголовного права и истории развития культуры и нравственности человеческого общества вообще. Здесь явно отмечается прогресс. Отменены квалифицированные виды смертной казни. Не потому, что под сомнение было поставлено их предупреждающее значение, а в первую очередь, они стали нравственно недопустимы. Представьте себе сегодня людей, которые требуют восстановления таких видов смертной казни, как насаживание на кол, сожжение на костре и др. Мы, безусловно, будем иметь дело с нравственным анахронизмом, не говоря о первобытной низменности правосознания. Поэтому вопрос о смертной казни, в конечном счете, нужно ставить следующим образом: не имеет смысла спо-

рить о предупреждающем или другом ее значении. Главное, что нет нравственной основы для ее существования. То гуманное начало, от имени которого человечество потребовало исключения смертной казни из числа наказаний, - писал Илья Чавчавадзе, - должно быть признано наилучшим достижением прогресса человечества в сфере нравственного совершенствования людей.

Беседу вела **Инна Бусурашвили**

Газета «Свободная Грузия», N 100, 5 июня 1991 года.

სიკვდილით დასჯა: ჰო თუ არა

სიკვდილით დასჯის პრობლემა

2500 წლის წინათ საბერძნეთში, პელოპონესის ომის დროს კუნძულ ლესბოსის ქალაქი მიტილენი აუჯანყდა ათენს და მოწინააღმდეგის მხარეზე გადავიდა. ათენელებმა დაიპყრეს მიტილენი და განიზრახეს, ღალატისათვის ქალაქის ყველა მამაკაცი სიკვდილით დაესაჯათ, ხოლო ქალები და ბავშვები მონებად ექციათ.

სახალხო კრებაზე ცხარე კამათი გაიმართა. კლეონმა მხარი დაუჭირა აჯანყებულთა სიკვდილით დასჯას, დიოდოტე კი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გამოვიდა. ამ დისპუტში დიოდოტემ გაიმარჯვა. ათენის სახალხო კრებამ სიკვდილით დასჯის ვერდიქტი არ გამოიტანა.

ეს ფაქტი, რომელიც, სამწუხაროდ, ისტორიის ანალებში სადღაც დაიკარგა და დავიწყებას მიეცა, ჩვენამდე მოღწეული წყაროების მიხედვით, ერთ-ერთი პირველი საჯარო პოლემიკაა სიკვდილით დასჯის თაობაზე. კაცობრიობამ დღემდე ეს პრობლემა ბოლომდე ვერ გადაჭრა და მე-20 საუკუნის მიწურულს იგი კვლავ რჩება მისი მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების დისკუსიის საგნად. ნიშანდობლივია, რომ 2500 წლის შემდეგ, იმავე საბერძნეთში, სიკვდილით დასჯა კანონმდებლობით დაშვებულია (მათ შორის მტერთან შეთანხმებისათვის ომის დროს), თუმცა პრაქტიკაში სასჯელის ეს სახეობა 1972 წლის შემდეგ აღარ გამოიყენება.

სიკვდილით დასჯის როგორც სასჯელის სახეობის წარმოშობა

სიკვდილით დასჯის პირველსახედ, წინამორბედად, როგორც ფორმით, ასევე შინაარსით, სისხლის აღებას მიიჩნევენ. არსებობს გამოთქმა, რომ სიკვდილით დასჯა სისხლის აღების ცივილიზებულ ფორმას წარმოადგენს, რომელსაც აქვს ცივილიზაციის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

სისხლის აღება გვარის თუ ტომის თავდაცვის ერთ-ერთ საშუალებად მოიაზრებოდა. მან გარკვეულ პერიოდში ზნეობრივი და რელიგიური მოვალეობის სახე შეიძინა. თავდაპირველად მთელი გვარი იყო ვალდებული, შური ეძია და მოეკლა მოსისხლე გვარის ნებისმიერი წევრი.

გვაროვნული წყობილების რღვევის, საკუთრებისა და მონოგამიური ოჯახების გაჩენის შემდეგ სისხლის აღების მოვალეობა ოჯახის წევრებით შემოიფარგლა. დაწესდა სხვა შეზღუდვებიც, კერძოდ, სისხლის აღება უნდა დამთავრებულიყო ერთჯერადი აქტით. აგრეთვე სისხლის აღება მი-

მართული უნდა ყოფილიყო მხოლოდ მკვლელისადმი. განისაზღვრა სისხლის აღების ვადები. მისი შესრულება იკრძალებოდა გარკვეულ დროსა და ადგილებში და ა.შ. შემოვიდა კომპოზიციის ინსტიტუტი – სისხლის გამოსყიდვა.

საჯარო ხელისუფლების ელემენტების გაჩენის შემდეგ დამნაშავის სიცოცხლის მოსპობა სახელმწიფო ორგანოებისა და დაზარალებულის უახლოესი ნათესავების მიერ ერთობლივად ხდებოდა. ზოგიერთ ქვეყანაში ჯალათი და დაზარალებული მხარე ერთობლივად ასრულებდნენ სიკვდილით დასჯას. საჯარო ხელისუფლების გაძლიერების კვალობაზე დამნაშავის შეპყრობა, გასამართლება და დასჯა მთლიანად სახელმწიფო ორგანოების ხელში გადავიდა.

სიკვდილით დასჯის სახეობები

სიკვდილით დასჯის ყველა სახეობის ამომწურავი ჩამოთვლა შეუძლებელია. ადამიანის ფანტაზია ისე შორს წავიდა ამ სფეროში, რომ სიკვდილით დასჯის ახალ-ახალი სახეობების გამოგონებას საზღვარი არ უჩანს. სიკვდილით დასჯის ცალკეულმა სახეობამ იმდენად გაუძლო დროის გამოცდას, რომ უძველესი დროიდან მოყოლებული, დღესაც ფართოდ იყენებენ თანამედროვე ქვეყნები (ჩამოხრჩობა, თავის მოკვეთა, ჩაქოლვა). ზოგიერთი კი საერთოდ დავიწყებას მიეცა. თუმცა ისინი უკვალოდ არ წაშლილან კაცობრიობის მეხსიერებიდან და „საჭირო" შემთხვევაში მათი რეანიმაცია ხდებოდა.

სიკვდილით დასჯის პრობლემაზე მსჯელობისას მისი ძირითადი სახეობების განხილვა მეორეხარისხოვან ამოცანად მიგვაჩნია. აქ უფრო სხვა პრინციპული საკითხებია გადასაწყვეტი. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია ადამიანმა სწორად შეაფასოს და მართებული დასკვნები გააკეთოს სიკვდილით დასჯის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, თუ ზოგადად მაინც არ იცის, როგორია კაცობრიობის განვლილი გზა სასჯელის უმაღლესი ზომის კონკრეტული სახეობების ძიებაში.

სიკვდილით დასჯის ცალკეული სახეობების წარმოშობა დაკავშირებულია სასჯელის მიზნებისა და დამნაშავეობის თავიდან აცილების საშუალებების შესახებ ამა თუ იმ ისტორიულ პერიოდში ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ შეხედულებებთან. მაგალითად, სასჯელის სამაგიეროს მიზღვის საშუალებად აღქმამ, აგრეთვე მის გამაფრთხილებელ მნიშვნელობაზე გაზვიადებულმა წარმოდგენებმა, გამოიწვიეს სიკვდილით დასჯის კვალიფიციური სახეობების გაჩენა (ოთხად გაპობა, სარზე ჩამოცმა, დაბორბვლა, ჯვარზე გაკვრა, მხეცების დასაგლეჯად ან გასათელად მიცემა, ცოცხლად დამარხვა და სხვ.). ამავე მიზეზებით უნდა აიხსნას სიკ-

ვდილით დასჯის საჯაროდ აღსრულება და სხვა რიტუალები, რომლებიც მას თან ახლდა.

სიკვდილით დასჯის სახეობების ჩამოყალიბებაში გარკვეულ როლს ასრულებდა აგრეთვე ამა თუ იმ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატური პირობები, ეთნიკურ ჯგუფთა ჩვეულებები, რელიგიური დოგმები და სხვა ფაქტორები.

დროთა განმავლობაში, როდესაც ნათელი გახდა, რომ სიკვდილით დასჯის თვით უსასტიკესი სახეობებიც კი ვერ აღწევდა დასახულ მიზანს, კერძოდ, ხალხის დაშინებასა და დამნაშავეობის აღმოფხვრას, გარკვეულად შეიცვალა დამოკიდებულება მათ მიმართ. კაცობრიობის აზრის შემობრუნება ამ საკითხში დაახლოებით XVIII საუკუნის დასასრულს ხდება. ბევრმა ქვეყანამ ზემოაღნიშნული პერიოდისათვის საკანონმდებლო წესით გააუქმა სიკვდილით დასჯის კვალიფიციური სახეობების გამოყენება. ნაწილობრივ შეიზღუდა სასჯელის უმაღლესი ზომის საჯარო აღსრულებაც. საზოგადოებრიობის სიმპათიები ჯალათიდან სიკვდილმისჯილის მხარეზე გადავიდა.

ამ მომენტებმა გარკვეული ბიძგი მისცა სიკვდილით დასჯის პრობლემებიდან ყველაზე „მტკივნეული" საკითხის წინ წამოწევას. განსხვავებით გასული საუკუნეებისა, როდესაც ხელისუფალნი და სადამსჯელო ორგანოები მოითხოვდნენ სიკვდილით დასჯის ყველაზე სასტიკი სახეობების გამოგონებას. ახლა დღის წესრიგში დაისვა რადიკალურად განსხვავებული საკითხი: რომელია სიკვდილით დასჯის ყველაზე უმტკივნეულო სახეობა? ამ საკითხის გადაჭრის გზების ძიების შედეგია გილიოტინა, ელექტროსკამი, გაზით მოწამვლა და სხვა.

თანამედროვე მსოფლიოში სიკვდილით დასჯის ძირითად სახეობებად გამოიყენება ჩამოხრჩობა და დახვრეტა. დახვრეტა უპირატესად გამოიყენება სამხედრო და ომის დროს ჩადენილი დანაშაულისათვის (ზოგიერთ ქვეყანაში). გარდა ამისა, საუდის არაბეთში, იემენში, კონგოში, კატარზე, მავრიტანიაში, გაერთიანებულ არაბთა ემირატებში გამოიყენება თავის მოკვეთა. ირანში, იემენში, მავრიტანიაში, პაკისტანში, სუდანში – ჩაქოლვა, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში: ელექტროსკამი, გაზით მოწამვლა, მომწამვლელი ინექცია. ამრიგად, საბოლოო ანგარიშში, ამჟამად მსოფლიოში გამოიყენება სიკვდილით დასჯის შვიდი სახეობა: ჩამოხრჩობა, დახვრეტა, თავის მოკვეთა, ჩაქოლვა, გაზით მოწამვლა, ელექტროსკამი, მომწამვლელი ინექცია.

ძველი ქართული სამართალი სიკვდილით დასჯის ორ სახეობას იცნობდა – ჩამოხრჩობას და თავის მოკვეთას. ცნობილია აგრეთვე ჩაქოლვისა და კლდიდან გადმოგდების როგორც სიკვდილით დასჯის სახეობების გამოყენების ფაქტები. საქართველოს ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, სიკვდილით დასჯის სახეობად დადგენილია დახვრეტა.

დანაშაულობანი, რომელთა ჩადენა ისჯება სიკვდილით

სიკვდილით დასჯის გამაფრთხილებელ მნიშვნელობაზე გაზვიადებული შეხედულებები ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი გახდა სასჯელის ამ სახეობის ფართოდ გამოყენებისა მრავალი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ამიტომ იყო, რომ ძველი ქვეყნების კანონების მიხედვით, სიკვდილით დასჯა უმნიშვნელო სამართალდარღვევებისთვისაც კი იყო დაწესებული. მაგალითად, ძველ რომში სიკვდილით ისჯებოდა მოვალე, რომელსაც არ გამოისყიდდნენ ან არ ყიდულობდნენ. სიკვდილით ისჯებოდა აგრეთვე ის, ვინც შეთხზავდა ან შეასრულებდა სხვის შესახებ ცილისმწამებლურ სიმღერებს. ძველ საბერძნეთში მკვლელობის თანაბრად სიკვდილით ისჯებოდა ბოსტნეულისა და ხილის ქურდობა. ინგლისში XVI საუკუნეში სიკვდილით ისჯებოდა ერთ შილინგზე მეტი ღირებულების ნივთის ქურდობა, სხვის ტყეში ხის მოჭრა და სხვა. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. ამიტომ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ალბათ არ არსებობს დანაშაული, რომლისთვისაც ამა თუ იმ პერიოდში გათვალისწინებული არ ყოფილიყო სიკვდილით დასჯა.

რა მდგომარეობაა ამჟამად? დღეისათვის მსოფლიოში (სხვადასხვა) ქვეყნების კანონმდებლობებით, საბოლოო ანგარიშში, სიკვდილით დასჯა გათვალისწინებულია 30 სახეობის დანაშაულისათვის. სიკვდილით ისჯება ძირითადად პიროვნების სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული – განზრახ მკვლელობა, სახელმწიფო და სხვა პოლიტიკური დანაშაული – სამშობლოს ღალატი, ტერორისტული აქტი, დივერსია. სასჯელის უმაღლესი ზომა დაწესებულია აგრეთვე საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის – ყაჩაღობა, სახელმწიფო ქონების მითვისება (ერაყი, ჩინეთი, ირანი, კენია, სირია, უგანდა), ქალის მიერ ცოლქმრული ერთგულების ღალატისათვის (ირანი, საუდის არაბეთი), პროსტიტუციისათვის (ირანი), საროსკიპოების შენახვისა და პორნოგრაფიული ფილმების დემონსტრირებისათვის (ჩინეთი), ადამიანის გატაცებისათვის (ჩინეთი, მალაიზია), გაუპატიურებისათვის (ჩინეთი, ეგვიპტე, სირია, ტაილანდი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, გაერთიანებულ არაბთა ემირატები), ნარკოტიკული ნივთიერებებით ვაჭრობისათვის (ჩინეთი, ირანი, საუდის არაბეთი, სინგაპური, სირია, ტაილანდი) და სხვა.

ძველ ქართულ სამართალში, როგორც ფეოდალურ სამართალში, სიკვდილით დასჯა გათვალისწინებული იყო და გამოიყენებოდა კიდევაც მთელი რიგი დანაშაულობებისათვის. მაგრამ, თუ მას იმავე ეპოქის სხვა ქვეყნების კანონმდებლობას და პრაქტიკას შევადარებთ, უდავოა, რომ ამ თვალსაზრისით, ქართული სამართალი უფრო ჰუმანურია და მოკრძალებული სასჯელის ამ სახეობის გამოყენებაში. ქართული სამართლის მიხედვით, სიკვდილით დასჯა გათვალისწინებული იყო მეფისა და

სახელმწიფოს ღალატისათვის, მეფის საჯარო სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის, მკვლელობისათვის, ყაჩაღობა-მეკობრეობისა და განმეორებითი ქურდობისათვის.

საქართველოს ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით, სიკვდილით დასჯა გათვალისწინებულია 13 დანაშაულისათვის, სახელდობრ, სიკვდილით ისჯება: სამშობლოს ღალატი (65-ე მუხლი), გენოციდი (65-1 მუხლი), ჯაშუშობა (66-ე მუხლი), დაქირავებული პირის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ან საბრძოლო მოქმედებაში (66-1 მუხლი), ტერორისტული აქტი (67-ე მუხლი), ტერორისტული აქტი უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ (68-ე მუხლი), დივერსია (69-ე მუხლი), ბანდიტიზმი (78-ე მუხლი), მოქმედება, რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა მუშაობაში (78-1 მუხლი), განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში (104-ე მუხლი), გაუპატიურება (117-ე მუხლი), საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი პოლიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა (209-1 მუხლი), წინააღმდეგობის გაწევა უფროსისათვის ან მისი იძულება, დაარღვიოს სამსახურებრივი მოვალეობა (258-ე მუხლი). ეს უკანასკნელი დანაშაული განეკუთვნება სამხედრო დანაშაულის კატეგორიას და სიკვდილით დასჯა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, თუ იგი დაკავშირებულია უფროსის განზრახ მკვლელობასთან, ჩადენილია ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში.

სიკვდილით დასჯის გამოყენების სტატისტიკა

ისტორიულად, სიკვდილით დასჯა ყველაზე მეტად პოლიტიკური და რელიგიური დანაშაულობებისთვის იქნა გამოყენებული. მაგალითად, ესპანეთში ინკვიზიციის პერიოდში სიკვდილით დასაჯეს დაახლოებით 50 ათასი ადამიანი. ვოლტერის გამოანგარიშებით, დასავლეთ ევროპაში დაწვეს 100 ათასამდე ჯადოქარი, საბჭოთა კავშირში პოლიტიკური რეპრესიების შედეგად სიკვდილით დასაჯეს მილიონობით ადამიანი.

თანამედროვე მსოფლიოს იმ ქვეყნებში, სადაც 1985-1988 წლებში სიკვდილით დაისაჯა 50-ზე მეტი ადამიანი, სასჯელის ამ სახეობის გამოყენების რაოდენობრივი მაჩვენებელი შემდეგ სურათს იძლევა: მალაიზია – 52, საბჭოთა კავშირი – 63, აშშ – 66, პაკისტანი – 115, საუდის არაბეთი – 140, სომალი – 150, ნიგერია – 439, ჩინეთი – 500, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა – 537, ირანი – 743. ამ ათი ქვეყნის სტატისტიკური მონაცემები შეადგენს, ზემოაღნიშნულ წლებში, მსოფლიოში მთლიანად სიკვდილით დასჯის გამოყენების საერთო რაოდენობის 83 პროცენტს.

საერთოდ დამნაშავეობის და, რაღა თქმა უნდა, სიკვდილით დასჯის გამოყენების სტატისტიკა საბჭოთა საქართველოში, ისე როგორც მთელ საბჭოეთში, 1934 წლიდან მოყოლებული არ ქვეყნდებოდა. საბჭოთა კავშირში პირველად სიკვდილით დასჯის გამოყენების სტატისტიკა ჩვენ გამოვაქვეყნეთ 1991 წელს. ეს ფაქტი სათანადოდ აღნიშნა ისეთმა ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ, როგორიცაა „საერთაშორისო ამნისტია". მან 1994 წელს სპეციალური გამოკვლევაც გამოაქვეყნა საქართველოში სიკვდილით დასჯის მდგომარეობის შესახებ. ჩვენი მონაცემებით, 1980-1991 წლებში საქართველოში სიკვდილით დასჯა შეეფარდა 124 ადამიანს. აქედან სასჯელი აღსრულდა 65 პირის მიმართ. განაჩენთა უმეტესობა გამოტანილი იყო დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობებისათვის. თუმცა 6 განაჩენი დადგენილი იყო ეკონომიკური ხასიათის დანაშაულობებისათვის, რომლებიც არ იყო დაკავშირებული ძალადობასთან. 1994-1995 წლებში საქართველოში სიკვდილით დაისაჯა 14 ადამიანი. საქართველოში ამჟამად 35 სიკვდილმისჯილია.

საზოგადოებრივი აზრი სიკვდილით დასჯის შესახებ

საზოგადოება, როგორც წესი, მომხრეა სიკვდილით დასჯის გამოყენებისა. ამას მოწმობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევები. ძირითადი არგუმენტი, რომლის გამოც საზოგადოება მხარს უჭერს სიკვდილით დასჯის შენარჩუნებას, არის ის, რომ, თითქოს სასჯელის ამ სახეობას აქვს დიდი გამაფრთხილებელი მნიშვნელობა. მაგალითად, იაპონიის პრემიერ-მინისტრის კანცელარიის მიერ ბოლო წლებში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვით, რესპოდენტთა 71 პროცენტი მომხრეა სიკვდილით დასჯის შენარჩუნებისა. ამასთან, გამოკითხულთა 61 პროცენტი მხარს უჭერს სიკვდილით დასჯას მისი გამაფრთხილებელი მნიშვნელობის გამო.

საზოგადოებრივი აზრის ზოგიერთი გამოკითხვა, რომელიც მრავალი წლის მანძილზე სისტემატურად ტარდებოდა, მოწმობს, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმებას, თუ თავდაპირველად არ ეთანხმებოდა გამოკითხულთა უმრავლესობა, დროთა განმავლობაში იგი მათთვის მისაღები ხდება. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სიკვდილით დასჯის გაუქმების შემდეგ სტაბილურად მცირდება სასჯელის ამ სახეობის მომხრეთა რიცხვი. 1950 წელს, ე. ი. სიკვდილით დასჯის გაუქმებიდან ერთი წლის შემდეგ, გამოკითხულთა 55 პროცენტი იწონებდა სიკვდილით დასჯას, ხოლო 30 პროცენტი მისი წინააღმდეგი იყო. 1973 წელს კი სიკვდილით დასჯის მომხრეთა რაოდენობა 30 პროცენტამდე შემცირდა, 1980 წელს – 26 პროცენტამდე, 1983 წელს – 24 პროცენტამდე, ხოლო 1986 წელს – 22 პროცენტი შეადგინა, მაშინ როცა გამოკითხულთა 55

პროცენტი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გამოვიდა. ამრიგად, სიკვდილით დასჯის თაობაზე საზოგადოებრივი აზრის თანაფარდობა 1950 წლის შედეგებთან შედარებით სრულიად საწინააღმდეგო გახდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოკითხულთა 70 პროცენტი სტაბილურად მომხრეა სიკვდილით დასჯისა. ამის გამო, უკანასკნელ წლებში ზოგიერთ შტატში სიკვდილით დასჯა აღადგინეს კიდეც. ინგლისში, 1969 წლის შემდეგ, როდესაც სიკვდილით დასჯა გააუქმეს, საზოგადოებრივი აზრის გავლენით პარლამენტში 18-ჯერ წამოჭრეს საკითხი სიკვდილით დასჯის აღდგენის შესახებ. უკანასკნელი დისკუსია 1987 წელს გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ პრემიერ-მინისტრმა მ. ტეტჩერმა მხარი დაუჭირა სიკვდილით დასჯის აღდგენას, დიდი ბრიტანეთი მაინც დარჩა იმ ქვეყნების რიცხვში, რომლებშიც სიკვდილით დასჯა გაუქმებულია.

საქართველოში სიკვდილით დასჯის შესახებ საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევა იშვიათად ხდებოდა. მიმდინარე წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, სიკვდილით დასჯის გაუქმების მომხრეა გამოკითხულთა 38 პროცენტი, ხოლო წინააღმდეგია 47 პროცენტი. საყურადღებოა, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმებას მხარს უჭერს შემოქმედებითი ინტელიგენციის 70 პროცენტი, სამეცნიერო ინტელიგენციის 35 პროცენტი, სტუდენტობის 23 პროცენტი, ხოლო მეცნიერ-იურისტთა 4 პროცენტი.

სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეები ძირითადად რელიგიური მოტივებით ხელმძღვანელობენ. მოწინააღმდეგეთა 71 პროცენტს მიაჩნია, რომ სიკვდილით დასჯა უნდა გაუქმდეს, რადგანაც არსებობს ქრისტიანული მცნება „არა კაც ჰკლა". სიკვდილით დასჯის ქართველ მომხრეებს მიაჩნიათ, რომ ამ სასჯელის გაუქმების შემთხვევაში გაიზრდება დამნაშავეობა (80 პროცენტი). სიკვდილით დასჯის გაუქმების შემთხვევაში გამოკითხულთა 49 პროცენტი მხარს დაუჭერს მძიმე დანაშაულისათვის სამუდამო პატიმრობის შემოღებას[1].

სიკვდილით დასჯა: ტენდენციები კანონმდებლობაში

მსოფლიოს ქვეყნების კანონმდებლობათა განვითარებაში სიკვდილით დასჯისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, ორი ტენდენცია შეინიშნება: 1) მთელმა რიგმა ქვეყნებმა საკანონმდებლო წესით გააუქმეს სიკვდილით დასჯა. 2) იმ ქვეყნებში, სადაც ის ჯერ კიდევ არსებობს, საკმაოდ იზღუდება როგორც დანაშაულთა წრე, რომელთათვისაც გათ-

[1] საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ჩაატარა სახელმწიფო კანცელარიის საზოგადოებრივი აზრის კვლევის განყოფილებამ. გამოკითხვის შედეგების თაობაზე მასალების მონოდებისათვის მადლობას ვუხდით ამ განყოფილების უფროსს, მთავარ სახელმწიფო მრჩეველს, ქალბატონ დოდო ყარაულაშვილს.

ვალისწინებულია სასჯელის ეს სახეობა, ისე სიკვდილით დასჯის გამოყენება, პირთა წრის მიხედვით.

მოკლედ შევჩერდეთ ამ ტენდენციებზე:

პირველი. მსოფლიოს 180 სახელმწიფოდან ამჟამად სიკვდილით დასჯა სრულად (ყველა დანაშაულისათვის) საკანონმდებლო წესით გაუქმებულია 35 ქვეყანაში. 18 ქვეყანაში სიკვდილით დასჯა გაუქმებულია მშვიდობიანობის დროს. მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ საომარი მდგომარეობისას (არგენტინა, ბრაზილია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, ისრაელი, მექსიკა, იტალია და სხვ.). კიდევ 27 ქვეყანაში სიკვდილით დასჯა გაუქმებულია დე-ფაქტოდ – სიკვდილით დასჯის განაჩენის აღსრულება არ ხდება (ბელგია, ბოლივია, ირლანდია, საბერძნეთი, პარაგვაი და სხვ.). მაშასადამე, 80 ქვეყანაში, რაც შეადგენს მსოფლიოს ქვეყნების 40 პროცენტზე მეტს, სიკვდილით დასჯა კანონით ან დე-ფაქტოდ არ გამოიყენება.

მეორე. როგორც უკვე ზემოთ ითქვა, დღეისათვის მსოფლიოს ქვეყნების კანონმდებლობებით, საბოლოო ანგარიშში, სიკვდილით დასჯა გათვალისწინებულია 30 სახეობის დანაშაულისათვის. საყურადღებოა, რომ მარტო საბჭოთა საქართველოში, დამოუკიდებლობის აღდგენამდე, სიკვდილით დასჯა დაწესებული იყო დანაშაულის 33 სახეობაზე. ამჟამად ეს მაჩვენებელი ცამეტამდე შემცირდა. ანალოგიური ტენდენცია აღინიშნება თითქმის ყველა ქვეყანაში, ამიტომ მასზე დაწვრილებით არ შევჩერდებით.

სიკვდილით დასჯის გამოყენება შეზღუდულია აგრეთვე დამნაშავის ასაკის გათვალისწინებით. მსოფლიოს 90-მდე ქვეყნის კანონმდებლობით, სიკვდილით დასჯა არ შეიძლება მიესაჯოს იმ პირს, რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია 18 წელი. ცალკეულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი უფრო მეტია. მაგალითად, საბერძნეთში – 21 წელი, კუბაში – 20 წელი, უნგრეთში – 20 წელი, პარაგვაიში – 22 წელი.

ზოგიერთ ქვეყანაში დადგენილია არა მარტო მინიმალური, არამედ მაქსიმალური ასაკიც, რომლის მიღწევისას არ შეიძლება დანაშაულის ჩამდენს შეეფარდოს სიკვდილით დასჯა. როგორც წესი, ეს ასაკი 70 წლით განისაზღვრება.

მსოფლიოს 84 ქვეყანაში სიკვდილით დასჯა არ გამოიყენება ქალების მიმართ, რომლებიც დანაშაულის ჩადენის დროს ან განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ორსულად არიან. სიკვდილით დასჯა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე ქალის მიმართ, რომელიც განაჩენის აღსრულების მომენტისათვის ორსულად არის. მონღოლეთისა და გვატემალის კანონმდებლობით, სიკვდილით დასჯა საერთოდ არ შეიძლება შეეფარდოს ქალს.

მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთებულ შტატებში, პაკისტანში, ირანში და ერაყში სიკვდილით დასჯის გამოყენება დაშვებულია იმ პირთა მიმართ, რომლებსაც 18 წელი არ შესრულებიათ.

როგორია ქართული კანონმდებლობის განვლილი გზა სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით?

ამ მხრივ უაღრესად საყურადღებოა ძველი ქართული სამართალი. ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ თამარ მეფეს საქართველოში არა მარტო სიკვდილით დასჯა მოუსპია, არამედ სხეულებრივი სასჯელების გამოყენებაც აუკრძალავს. მსგავსი სასჯელები ლაშა-გიორგის დროსაც არ გამოუყენებიათ. რუსთაველის ეპოქის საქართველოს მართლშეგნების ჰუმანურობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ იმდროინდელ ისტორიკოსებს მეფისათვის სასახელოდ მიაჩნდათ სიკვდილით დასჯის აკრძალვა.

1918-1921 წლებში, დემოკრატიული საქართველოს არსებობის პერიოდში, სიკვდილით დასჯისადმი კანონმდებლობის დამოკიდებულებაში ორი მომენტია საყურადღებო.

პირველი. კონსტიტუციის მიღებამდე სიკვდილით დასჯა დემოკრატიული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 5 ივლისის კანონი „სიკვდილით დასჯისა ზოგიერთ უმძიმეს ბოროტმოქმედებისათვის". ამ კანონის მიხედვით, სიკვდილით დასჯა, რომელიც დროებითი სასჯელის ზომად განიხილებოდა, გათვალისწინებული იყო 8 სახეობის დანაშაულისათვის: სამშობლოს ღალატისათვის, დემოკრატიული წესწყობილების ძალადობით შეცვლის მცდელობისათვის, მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობისათვის, განზრახ მკვლელობისათვის, სახელმწიფო ქონების განზრახ განადგურებისათვის (რკინიგზა, ტელეგრაფი, ნავსადგურის შენობები და ა. შ.), ყაჩაღობისა და ძარცვისათვის და ომიანობის დროს ჩადენილი ზოგიერთი დანაშაულისათვის.

მეორე. საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით, სიკვდილით დასჯა სრულიად გაუქმდა.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიისა და ოკუპაციის შემდეგ ქვეყანამ დამოუკიდებლობა დაკარგა და ამასთან ერთად, განსახილველი საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტის უფლებაც. სიკვდილით დასჯის გამოყენება კანონმდებლობასა და პრაქტიკაში საბჭოთა საქართველოში ისეთივე იყო, როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში. ამ საკითხის საკანონმდებლო რეგულირების პრეროგატივა საკავშირო სახელმწიფოს განსაკუთრებულ კომპეტენციას შეადგენდა.

როგორი იყო საბჭოთა კანონმდებლობის დამოკიდებულება სიკვდილით დასჯისადმი?

აქ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია შეინიშნებოდა: ერთი მხრივ, კანონმდებლობა თავისი განვითარების ყველა ეტაპზე სიკვდილით დასჯას განსაკუთრებულ ღონისძიებად მიიჩნევდა, რომლის გამოყენება თითქოს დროებით ხდებოდა, მის სრულ გაუქმებამდე, მეორე მხრივ, კანონმდებლობის განვითარების კვალობაზე სულ უფრო იზრდებოდა იმ დანაშაულთა სახეობების რაოდენობა, რომელთათვისაც შეიძლებოდა სიკვდილით დასჯის გამოყენება. გადავხედოთ ისტორიას. საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის მანძილზე სიკვდილით დასჯა სამჯერ გაუქმდა (1917, 1920 და 1947 წლებში). აქედან ყველაზე ხანგრძლივი ბოლო გაუქმება გამოდგა – თითქმის 3 წელი. 1950 წლიდან სიკვდილით დასჯა კვლავ შემოიღეს. 1950-1962 წლებში იგი გათვალისწინებული იქნა დანაშაულის 16 სახეობისათვის. საკმაო პაუზის შემდეგ, 1973 წელს, სიკვდილით დასჯად დანაშაულთა რაოდენობა კიდევ ერთი ერთეულით გაიზარდა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე, ე. ი. 1991 წლამდე, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით, სიკვდილით დასჯა, როგორც ეს ზემოთ უკვე ითქვა, გათვალისწინებული იყო 33 სახეობის დანაშაულისათვის. აქედან 17 შემთხვევაში სიკვდილით ისჯებოდნენ სამხედრო დანაშაულისათვის.

პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობით დანაშაულებთან ერთად სიკვდილით დასჯა გათვალისწინებული იყო აგრეთვე ე. წ. ქონებრივი დანაშაულებისთვისაც. მაგალითად, სოციალისტური ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცებისათვის (96-1 მუხლი), ქრთამის აღებისათვის (189-ე მუხლი) და სხვა.

90-იანი წლების დამდეგს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქვეყანას მიეცა საშუალება, თავად გადაეწყვიტა სიკვდილით დასჯის გამოყენების საკითხი. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში პირველად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 20 მარტის კანონით სიკვდილის დასჯა გააუქმა 4 სახეობის დანაშაულისათვის: ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადება ან გასაღება (88-ე მუხლი), სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა (89-ე მუხლი), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცება (96-1 მუხლი), ქრთამის აღება (189-ე მუხლი).

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტით ცვლილებები განიცადა სისხლის სამართლის კოდექსის სამხედრო დანაშაულის თავმა. სიკვდილით დასჯა გათვალისწინებული იქნა მხოლოდ ერთი სამხედრო დანაშაულისათვის, კერძოდ, უფროსის წინააღმდეგობის განევისათვის (258-ე მუხლი).

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 21 თებერვლის დეკლარაციით, გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული

რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის უზენაესობა და მისი ამოქმედება არსებული რეალობების გათვალისწინებით. სამხედრო საბჭოს იმავე წლის 24 თებერვლის დადგენილებით, „მოქმედი კანონმდებლობის საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანამდე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს დღემდე არსებული კანონმდებლობა გარდა მისი იმ ნაწილებისა, რომლებიც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებს". ამ კონსტიტუციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს კი, როგორც ცნობილია, წარმოადგენს სიკვდილით დასჯისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ იმ მომენტისათვის სიკვდილით დასჯა ძირითადი კანონის უზენაესობის გათვალისწინებით გაუქმებული იყო. თუმცა სულ რამდენიმე თვეში, კერძოდ, 1992 წლის 17 ივნისს სახელმწიფო საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლითაც განიმარტა, რომ „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს არსებული კანონმდებლობა, მათ შორის საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელთა სისტემა და სახეები კანონით დადგენილი წესით მათ გაუქმებამდე ან შეცვლამდე". როგორც ვხედავთ, ამ აქტით სიკვდილით დასჯა კვლავ იქნა შენარჩუნებული. უფრო მეტიც, საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 17 მარტისა და იმავე წლის 8 ივლისის კანონებით, მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ორი მუხლი, სახელდობრ, დაქირავებული პირის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ან საბრძოლო მოქმედებაში (66-1 მუხლი) და გენოციდი (65-1 მუხლი), რომლებიც სასჯელის ზომად სიკვდილით დასჯას ითვალისწინებენ.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი ფაქტის შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენის შემდეგ. კერძოდ, ამ კონსტიტუციის აღდგენა მოასწავებდა სიკვდილით დასჯის უპირობო გაუქმებას.

სასჯელის უმაღლეს ზომად ასეთ შემთხვევაში რჩებოდა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. ეს იმდენად არატოლფასი მონაცვლეობა იყო სასჯელთა სისტემაში, რომ მან საზოგადოების მძაფრი რეაქცია გამოიწვია, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოვლინდა ე. წ. ლინჩის წესით ადამიანების გასამართლების შემთხვევებში. ამ მოვლენამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ არ შეიძლება სიკვდილით დასჯის სრული გაუქმება სანაცვლო სასჯელის შემოღების გარეშე. თუ როგორი უნდა იყოს ეს სასჯელი, ამის თაობაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის პერიოდში (1995 წ.) სიკვდილით დასჯის პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიება კვლავ უაღრესად აქტუალური გახდა. პრობლემის აქტუალურობას ძირითადად ორი მიზეზი განაპირობებდა. ჯერ ერთი, საქართველოს

ახალი კონსტიტუცია უნდა შემუშავებულიყო საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით, რომლებიც, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, გულისხმობდა სიკვდილით დასჯისადმი უარყოფით დამოკიდებულებას და მეორე, საქართველოს ახალ კონსტიტუციაში, ადამიანის უფლებათა თავში, სიცოცხლის უფლების დაფიქსირება ლოგიკურად ითხოვდა სიკვდილით დასჯის პრობლემაზე პასუხის გაცემას.

ამასთან დაკავშირებით, როგორც საკონსტიტუციო კომისიაში, ისე პარლამენტში სამი ძირითადი მოსაზრება ჩამოყალიბდა:

1. რადგანაც საქართველოს ახალი კონსტიტუციის შემუშავება უნდა განხორციელებულიყო საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების მემკვიდრეობითობის გათვალისწინებით, ბუნებრივია, ერთ-ერთი პირველი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით იყო სიკვდილით დასჯის გაუქმება ქვეყნის ძირითადი კანონის დონეზე.

2. მეორე მოსაზრების თანახმად, კონსტიტუციაში ადამიანის სიცოცხლის უფლების საკითხის გადმოცემისას უნდა დაფიქსირებულიყო სიკვდილით დასჯის გამოყენების ფარგლებიც. ამ შეხედულების ავტორები პრინციპულად მხარს უჭერდნენ სიკვდილით დასჯის როგორც სასჯელის ერთ-ერთი სახეობის არსებობას. მაგრამ, ამასთანავე მოითხოვდნენ კონსტიტუციის დონეზე მისი გამოყენების ფარგლების დადგენას, რათა შემდგომ კანონმდებელი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მკაცრად შეეზღუდათ სასჯელის ამ სახეობის გამოყენების შემთხვევების განსაზღვრისას.

3. მესამე მოსაზრების თანახმად, კონსტიტუციაში არ უნდა დაფიქსირებულიყო სიკვდილით დასჯა რაიმე პოზიტიური სახით. ამ წინადადების ავტორები მოითხოვდნენ, რომ სიკვდილით დასჯის საკითხი არ გამხდარიყო კონსტიტუციური რეგულირების საგანი და ამ პრობლემის გადაწყვეტა მთლიანად მიენდოთ სისხლის სამართლის კოდექსისათვის, რომლის პროექტი ამჟამად მზადდება. ამ ავტორთა აზრით, კონსტიტუციაში გადმოცემული უნდა ყოფილიყო ადამიანის სიცოცხლის უფლება და ამასთანავე დებულება იმის თაობაზე, რომ არავის არ შეიძლება თვითნებურად ნაერთვას სიცოცხლე, როგორც ამას ითვალისწინებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი. ამ მოსაზრებას ვიზიარებდი მეც.

სიკვდილით დასჯის პრობლემისადმი საკონსტიტუციო კომისიის, აგრეთვე პარლამენტის შემადგენლობის დამოკიდებულების ანალიზმა ცხადყო, რომ ამ საკითხზე დისკუსიაში ვერ გაიმარჯვებდნენ ვერც სიკვდილით დასჯის მომხრეები და ვერც მისი მოწინააღმდეგეები. შემთანხმებელი კომისიის მუშაობის შედეგად მიღებული იქნა ის ფორმულირება, რომელიც ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მე-15 მუხლშია დაფიქსირე-

ბული. სიკვდილით დასჯის გამოყენების შესახებ კონსტიტუციის დებულება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი;

ბ) სიკვდილით დასჯა სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიებაა;

გ) სიკვდილით დასჯის გამოყენება ხდება დროებით, მის სრულ გაუქმებამდე;

დ) სიკვდილით დასჯა შეიძლება გათვალისწინებული იქნეს მხოლოდ ორგანული კანონით;

ე) სიკვდილით დასჯა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის;

ვ) სიკვდილით დასჯის შეფარდების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

როგორც ვხედავთ, სიკვდილით დასჯის გამოყენება ძირითად კანონში მოცემულია მხოლოდ შესაძლებლობის სახით. გამოიყენებს თუ არა კანონმდებელი ამ შესაძლებლობას, ეს გამოჩნდება პარლამენტის მიერ ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიღებისას.

სიკვდილით დასჯის მომხრეები და მოწინააღმდეგენი

წინამდებარე წერილში შევეცდებით, შეძლებისდაგვარად გავაანალიზოთ ის ძირითადი არგუმენტები, რომლებითაც სიკვდილით დასჯის მომხრენი და მოწინააღმდეგენი ასაბუთებენ თავიანთ პოზიციებს. ვფიქრობ, მათი შედარება დაგვეხმარება, სისხლის სამართლის კანონმდებლობის განახლების წინ ჩვენი წინადადება შევთავაზოთ კანონმდებელს სასჯელის უმაღლესი ზომის საკითხის თაობაზე.

ცნობილია, რომ სასჯელის მიზნებია, ერთი მხრივ, დამნაშავის გამოსწორება, მისი გაფრთხილება, რომ მომავალში არ ჩაიდინოს აკრძალული ქმედობა (კერძო პრევენცია) და მეორე მხრივ, საზოგადოების სხვა წევრების გაფრთხილება, რომ მათაც თავი შეიკავონ ასეთი მოქმედებისაგან (ზოგადი პრევენცია). სიკვდილით დასჯის გამოყენების დროს სასჯელი ვერ აღწევს თავის უპირველეს მიზანს, რაც დამნაშავის გამოსწორებას გულისხმობს. დამნაშავეს ფიზიკურად სპობენ, მას არ რჩება გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის შესაძლებლობა. დამნაშავის დასჯა ასეთ შემთხვევაში ემსახურება მხოლოდ სხვების გაფრთხილებისა და დაშინების მიზანს.

მაშასადამე, სიკვდილით დასჯას, როგორც სასჯელის ერთ-ერთ სახეობას, რჩება მხოლოდ ზოგადპრევენციული როლის შესრულება. მაგრამ, როგორ ასრულებს იგი ამ როლს? როგორია მისი შესაძლებლობანი?

სიკვდილით დასჯის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ ამ სასჯელს აქვს დიდი გამაფრთხილებელი მნიშვნელობა. მისი გაუქმება გამოიწვევს საერთოდ დამნაშავეობის, განსაკუთრებით კი, მძიმე დანაშაულობის რაოდენობის ზრდას. მათი შეხედულებით, რადგან სიცოცხლე ყველაზე ძვირფასი სიკეთეა, რაც კი ადამიანს გააჩნია, ამიტომ დანაშაულის ჩადენისათვის მისი წართმევის მუქარა დანაშაულის თავიდან აცილების ყველაზე უფრო ეფექტიანი საშუალებაა. ეს არგუმენტი ერთი შეხედვით იმდენად დამაჯერებელია, რომ მრავალი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში იგი სიკვდილით დასჯის ფართოდ გამოყენების საფუძველი და, შეიძლება ითქვას, მთავარი მიზეზი გახდა. სიკვდილით დასჯის გამაფრთხილებელი მნიშვნელობის გადამეტფასების შედეგია ისიც, რომ საუკუნეების განმავლობაში, თითქმის ყველა ქვეყანაში, ამ სასჯელს საჯაროდ აღასრულებდნენ – განაჩენი სისრულეში მოჰყავდათ მოსახლეობის თანდასწრებით. ამასთანავე, დამნაშავეს სჯიდნენ ისეთი საშუალებებით, რომლებიც მას მაქსიმალურ ფიზიკურ ტანჯვას მიაყენებდა. შედეგი: დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში უმნიშვნელო გამარჯვებაც ვერ იქნა მოპოვებული. ძნელად თუ შეძლებს დღეს რომელიმე მკვლევარი ისეთი სტატისტიკური მონაცემების მოტანას, რომლებიც დაადასტურებენ დამნაშავეობის რიცხვის შემცირებას სიკვდილით დასჯის შემოღების შედეგად. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის დამნაშავეობის სტატისტიკაში კი სანინააღმდეგო ფაქტები საკმაოდაა. ამას მოწმობს, თუნდაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ჩატარებული სპეციალური გამოკვლევები. კვლევის შედეგები ცხადად გვიჩვენებს, რომ სიკვდილით დასჯის სრულ გაუქმებას ან მისი გამოყენების საგრძნობ შემცირებას არ გამოუწვევია დანაშაულობათა რიცხვის ზრდა.

მაშასადამე, სიკვდილით დასჯის დაწესება არ არის ის ფაქტორი, რომლის გამოც დამნაშავე თავს შეიკავებს მძიმე დანაშაულის ჩადენისაგან. ამიტომ დამნაშავეობის დინამიკის უშუალო დაკავშირება სიკვდილით დასჯის შემოღებასა თუ გაუქმებასთან, სწორი არ არის. მხოლოდ სიკვდილით დასჯის შემოღება თუ გაუქმება არ არის მთავარი, გადამწყვეტი ფაქტორი, რომელიც მძიმე დანაშაულობათა რიცხვზე ახდენს ზემოქმედებას. შესაბამისად, დამნაშავეობის ზრდის საბაბით სიკვდილით დასჯის შემოღება არ არის გამართლებული.

ზემოთქმულის მიუხედავად, თუ ჩვენ დავუშვებთ კიდეც, რომ სიკვდილით დასჯას დიდი გამაფრთხილებელი მნიშვნელობა აქვს, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მისი მთავარი ძალა ამ სასჯელის საჯაროდ აღსრულებაშია. მაგრამ დღესდღეობით, თითქმის ყველა ქვეყანაში, სიკვდილით დასჯის აღსრულება საზოგადოებისაგან ფარულად ხდება. უფრო მეტიც, ხშირად ცნობაც კი არ ქვეყნდება მისი სისრულეში მოყვანის შესახებ. თავისთავად ისმის კითხვა: თუკი სიკვდილით დასჯის საჯაროდ აღსრულე-

ბას არასოდეს მოუტანია სასურველი შედეგი, მაშინ რასღა უნდა მოველოდეთ მისი ფარული, გასაიდუმლოებული აღსრულებისაგან? სიკვდილით დასჯის შიში დამნაშავეს იპყრობს მაშინ, როცა დგება მისი აღსრულების მომენტი, მაგრამ ეს შიში სისხლის სამართლის პოლიტიკის პოზიციიდან დაგვიანებულია, ადამიანზე უშედეგო ზემოქმედებაა.

როგორც ვხედავთ, სიკვდილით დასჯა ვერ აღწევს სასჯელის მეორე მიზანსაც, რომელიც ზოგად პრევენციაში, საზოგადოების წევრთა გაფრთხილებაში მდგომარეობს. ამდენად, იგი თავისი ბუნებით სასჯელის პრინციპის უარყოფაა. შეიძლება ითქვას, რომ სიკვდილით დასჯა სასჯელის იმდენად უკიდურესი ზომაა, რომ იგი თავისი თავის საწინააღმდეგო მოვლენაში გადადის.

მაშ რა გამართლება შეიძლება მოეძებნოს სიკვდილით დასჯას? რა მიზნებს ემსახურება იგი?

სიკვდილით დასჯის მომხრენი აღნიშნავენ, რომ სასჯელის ეს ზომა საჭიროა საზოგადოების უშიშროებისათვის. კერძოდ, მისი გამოყენებით დამნაშავეს ესპობა საშუალება, ჩაიდინოს ახალი დანაშაული. მათი აზრით, არიან ადამიანები, რომელთა გამოსწორება და ხელახლა აღზრდა შეუძლებელია, ამიტომ საზოგადოებას უფლება აქვს, თავი დაიცვას მათგან. ასეთ შემთხვევებში სოციალური დაცვის ყველაზე ეფექტიან საშუალებად დამნაშავის სიკვდილით დასჯა მიაჩნიათ.

საზოგადოების დაცვისა და მის წევრთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესები იმდენად დიდი სოციალური მნიშვნელობისაა, რომ ზოგიერთ ავტორს, რომელიც არსებითად სიკვდილით დასჯის წინააღმდეგია, შესაძლებლად მიაჩნია მისი ამ მიზნით გამოყენება. მაგალითად, ვოლტერი, რომელიც სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ილაშქრებდა და ცდილობდა, დაესაბუთებინა მისი მიზანშეუწონლობა, ამავე დროს თვლიდა, რომ, როცა არ არსებობს მრავალი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის სხვა საშუალება, მაშინ დამნაშავე უნდა განადგურდეს როგორც „ცოფიანი ძაღლი". ამ არგუმენტზე დღესაც დაბეჯითებით მიუთითებენ სიკვდილით დასჯის მომხრენი. ბოლო წლებში საამისო მაგალითად ხშირად მოჰყავთ ვინმე მიხასევიჩის საქმე (ბელორუსია). ამ დამნაშავემ სხვადასხვა დროს 33 ქალი მოკლა. იგი სიკვდილით დასაჯეს.

სიკვდილით დასჯის მომხრენი სხვა არგუმენტებსაც იშველიებენ. კერძოდ, აღნიშნავენ, რომ პიროვნების დასჯა ყოველთვის გულისხმობს სამაგიეროს გადახდას. ამიტომ, მათი აზრით, რადგანაც დამნაშავეს უნდა მიეზღოს მის მიერ ჩადენილი ბოროტების შესაბამისად, მკვლელობისათვის და სხვა მძიმე დანაშაულისათვის სამაგიეროს გადახდის ერთადერთი საშუალება სიკვდილით დასჯაა. საზოგადოებრივი აზრი, მიუთითებენ ისინი, ვერასოდეს შეეგუება იმ ფაქტს, რომ უმძიმესი, ზოგჯერ კი უსასტიკესი დანაშაულის ჩამდენს სიცოცხლის უფლება ჰქონდეს. იმის დასასა-

ბუთებლად, რომ საზოგადოებრივი აზრი ფაქტობრივად იწონებს სიკვდილით დასჯას, მოჰყავთ როგორც სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგები, ისე სხვადასხვა ფაქტები. მაგალითად, როცა თავად ხალხს შეუსრულებია ჯალათის მოვალეობა საშიში დამნაშავის მიმართ, ზოგიერთ ქვეყანაში თვით ხალხს მოუთხოვია სიკვდილით დასჯის შემოღება და სხვა.

რამდენად ყურადსაღებია ზემოაღნიშნული არგუმენტები? ამ კითხვებზე პასუხის გაცემისას, ჩვენი აზრით, საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოებანი:

პირველი. საზოგადოება ყოველთვის პასუხისმგებელია თავისი წევრების საქციელისათვის. პიროვნება ყალიბდება იმ სოციალურ გარემოში, სადაც მას მოღვაწეობა უხდება. ცუდი და ბოროტი ადამიანი არ იბადება, იგი ცუდი ხდება სხვადასხვა ნეგატიური ფაქტორების ზემოქმედებით, რომლებსაც ჯერ კიდევ საკმაოდ ვხვდებით ცხოვრებაში. შესაბამისად, დანაშაულის ჩადენაში ბრალი მიუძღვის არა მარტო დამნაშავეს, არამედ საზოგადოებასაც. ამიტომ საზოგადოებამ მძიმე დანაშაულის ჩამდენს სიკვდილით დასჯის განაჩენი კი არ უნდა გამოუტანოს, არამედ საჭიროა, იზრუნოს მისი გამოსწორებისა და დამნაშავეობის მიზეზების აღმოფხვრისათვის. გამოუსწორებელი დამნაშავენი არ არსებობენ. ჩვენ თუ ვერ შევძელით მათი გამოსწორება, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ეს საერთოდ შეუძლებელია.

მეორე. საშიში დამნაშავისაგან საზოგადოების დასაცავად, მართალია, საჭიროა აუცილებელი და საიმედო ღონისძიებების გატარება, მათ შორის სისხლის სამართლის მკაცრი ზომებისა, მაგრამ ცივილიზაციის დღევანდელ ეტაპზე ამის უზრუნველყოფა სავსებით შესაძლებელია სიკვდილით დასჯის მაგიერი სხვა საშუალებებით, მაგალითად, საზოგადოებისაგან დამნაშავის ხანგრძლივი იზოლირებით. ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას ის ფაქტი, რომ მისი სახელით გამოტანილი განაჩენის საფუძველზე, სიცოცხლე მოუსპონ ადამიანს, თუნდაც საშიშ დამნაშავეს. სახელმწიფომ, პირიქით, მაგალითი უნდა უჩვენოს საზოგადოებას, რომ არავის (მათ შორის სახელმწიფოსაც) არა აქვს უფლება ადამიანის სიცოცხლის ხელყოფისა.

ამ არგუმენტზე მიუთითებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სიკვდილით დასჯის გაუქმების აუცილებლობის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის და პარლამენტისადმი ამა წლის აპრილში გაგზავნილ წერილში:

„ღვთის ერთ-ერთი მცნებაა: „არა კაც ჰკლა". ეს სიტყვები მიმართულია როგორც ცალკეული ადამიანებისადმი, ისე ერებისა და სახელმწიფოებისადმი. შეუძლებელია ბოროტების აღმოფხვრა ბოროტებით. სიკვდილით დასჯა ნებისმიერ შემთხვევაში არის ბოროტება, რადგანაც

სიცოცხლის წართმევის უფლება აქვს მხოლოდ მას, ვინც იგი მიანიჭა ადამიანს ანუ ღმერთს".

მესამე. ის გარემოება, რომ საზოგადოებრივი აზრი ზოგჯერ იწონებს სიკვდილით დასჯას, საკმაო არგუმენტად არ გამოდგება ამ სასჯელის გამოყენების აუცილებლობის დასასაბუთებლად. საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის როდია სანდო. მას ხშირად სათანადო ფორმირება სჭირდება. საზოგადოებრივი აზრი, რომელიც იწონებს სიკვდილით დასჯას, იმაზე მიუთითებს, რომ მოსახლეობის მართლშეგნება არცთუ ისე სასურველ დონეზეა. ამიტომ სიკვდილით დასჯის საკითხის გადაწყვეტისას საზოგადოებრივ აზრზე ხელაღებით დაყრდნობა არ შეიძლება. მით უმეტეს, რომ მასში ხშირად ჭარბობს ემოციური მომენტები, ვიდრე საკითხის გადაჭრის რაციონალური მოსაზრებები. აქ სწორედ კანონმდებელმა უნდა თქვას თავისი სიტყვა და სათანადო გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე.

მეოთხე. სასჯელთა სისტემის განსაზღვრა სამაგიეროს გადახდისა და შურისძიების პრინციპების საფუძველზე ყოვლად დაუშვებელია, რადგანაც ვერავინ განსაზღვრავს, თუ რომელი (ან როგორი) სასჯელი უდრის ზუსტად ამა თუ იმ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს. ამაზე მეტყველებს თუნდაც სხვადასხვა სასჯელის არსებობა ერთი და იმავე დანაშაულისათვის სხვადასხვა ქვეყანაში ან ერთ ქვეყანაში სხვადასხვა დროს. სასჯელის გაგებას როგორც დანაშაულისათვის სამაგიეროს გადახდის საშუალებას, უცილობლად მივყავართ ტალიონის პრინციპის გამართლებამდე. ეს განსაკუთრებით იგრძნობა, როცა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისათვის ერთადერთ სასჯელის ზომად სიკვდილით დასჯას მიიჩნევენ. ტალიონის პრინციპი გვაროვნულ საზოგადოებაში წარმოიშვა და შემდგომში გავრცელდა მონათმფლობელურ და ფეოდალურ სამართალში. იგი გამოიხატებოდა ფორმულით: „სისხლი სისხლისა წილ, თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ", ე. ი. გულისხმობდა დანაშაულისათვის თანაბარზომიერ მისაგებელს, უფრო სწორად, დამნაშავისათვის ზუსტად იმის მიზღვას, რა ვნებასაც მიაყენებდა იგი დაზარალებულს. როგორც ვხედავთ, ეს პრინციპები მართლშეგნების განვითარებაში კარგა ხნის წინათ განვლილი ეტაპია. ამიტომ მისი აღორძინება და დღევანდელ საზოგადოებაში მისი მოთხოვნების საფუძველზე სასჯელის საკითხების გადაწყვეტა, უდავოდ, უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება.

მეხუთე, და რაც მთავარია, სიკვდილით დასჯა სასჯელის ისეთი სახეობაა, რომლის სისრულეში მოყვანის შემდეგ შეუძლებელია სასამართლო შეცდომების გამოსწორება. პრაქტიკა კი გვიჩვენებს, რომ ასეთი შეცდომები არცთუ ისე იშვიათია. მაგალითისათვის შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ, თუნდაც იგივე მიხასევიჩის საქმე. სანამ სამძებრო და საგამოძიებო ორგანოები ნამდვილი დამნაშავის, მიხასევიჩის პიროვნებას

დაადგენდნენ, მის მიერ ჩადენილი მკვლელობებისათვის რამდენიმე უდანაშაულო პიროვნება გაასამართლეს. ერთმა 10 წელი გაატარა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, მეორემ – თითქმის 6 წელი და, ამასთანავე, სამუდამოდ დაბრმავდა, მესამე სიკვდილით დასაჯეს...

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1987 წელს ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ 1900-1985 წლებში იმ დანაშაულებისათვის მსჯავრდებული პირებიდან, რომელთათვისაც კანონით გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯა, 350 უდანაშაულო აღმოჩნდა. აქედან ზოგიერთ შემთხვევაში სიკვდილით დასჯის აღსრულება თითქმის ბოლო წუთებში იქნა შეჩერებული, ხოლო 23 პირის მიმართ სიკვდილით დასჯის განაჩენი სისრულეში მოიყვანეს.

ასეთი შეცდომებისაგან არც მომავალში ვართ დაზღვეული. შესაბამისად, სანამ ეს სასჯელი იარსებებს, უდანაშაულოთა სიკვდილით დასჯა ყოველთვის მოსალოდნელია. ეფიქრობთ, მარტო ეს არგუმენტიც კი საკმარისი იქნებოდა, რომ უარი გვეთქვა სიკვდილით დასჯაზე.

ახლა, რაც შეეხება საკითხს, თუ რით შეიძლება შევცვალოთ სიკვდილით დასჯა. სახელდობრ, რომელი სასჯელი იქნებოდა ასეთ შემთხვევაში ყველაზე უფრო მიზანშეწონილი და სამართლიანი. სიკვდილით დასჯის სანაცვლოდ სასჯელის შედარებით უფრო გამართლებულ ზომად გვესახება სამუდამო პატიმრობა. იგი არანაკლებ მძიმე სასჯელია, ვიდრე სიკვდილით დასჯა და ამასთან, უზრუნველყოფს საზოგადოების წევრთა უშიშროებას.

ცნობილია შემთხვევა, როდესაც სიკვდილმისჯილებმა თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე სიკვდილით დასჯის განაჩენის სამუდამო პატიმრობით შეცვლისას. ზოგიერთს მიაჩნია, რომ სამუდამო პატიმრობა სასჯელის არაეკონომიური სახეობაა და, შესაბამისად, უფრო იაფია მსჯავრდებულის მოკვლა, ვიდრე მისი სამუდამოდ შენახვა საპყრობილეში. ჯერ ერთი, ეს ისეთი საკითხია, როცა ფინანსური მოსაზრებები არგუმენტად არ გამოდგება. მეორეც, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს ასე არ არის. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით, სიკვდილით დასჯის გამოყენება უფრო ძვირი უჯდება სახელმწიფოს, ვიდრე სამუდამო პატიმრობა. კერძოდ, 1982 წელს ნიუ-იორკის შტატში ამ საკითხის შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანა და მისი გასაჩივრების პირველი სტადია გადასახადის გადამხდელებს საშუალოდ უჯდებათ 1,8 მილიონი დოლარი, რაც ორჯერ აღემატება ერთი პატიმრის სამუდამოდ შენახვას.

დასასრულ, თვალი გადავავლოთ სისხლის სამართლის და, საერთოდ, ადამიანის კულტურისა და ზნეობის განვითარებას, აქ აშკარად შეიმჩნევა პროგრესი. არცთუ ისე შორეულ წარსულში, წამება გამართლებული იყო ჭეშმარიტების დასადგენად. შემდგომში იგი ყველგან აკრძალეს. ასევე

აიკრძალა სიკვდილით დასჯის კვალიფიციური სახეობებიც. არა იმიტომ, რომ მათ გამაფრთხილებელ მნიშვნელობაში ეჭვი შეეპარათ, არამედ უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ისინი ზნეობრივად დაუშვებელი გახდა. წარმოიდგინეთ დღეს ადამიანი, რომელიც სარზე ჩამოცმას, ცეცხლზე დაწვასა და სიკვდილით დასჯის სხვა სახეობების აღდგენას მოითხოვს. უდავოდ, ზნეობრივ ანაქრონიზმთან გვექნება საქმე, რომ აღარაფერი ვთქვათ მართლშეგნების პირველყოფილ მდგომარეობაზე. ამიტომ სიკვდილით დასჯის საკითხი, საბოლოო ანგარიშით, შემდეგნაირად უნდა დაისვას: აზრი არა აქვს სიკვდილით დასჯის გამაფრთხილებელ თუ სხვაგვარ მნიშვნელობაზე კამათს. მთავარია, რომ მის არსებობას ზნეობრივი საფუძველი არ გააჩნია. სწორედ ამის გამო, იგი მთლიანად და სამუდამოდ უნდა გაუქმდეს. ის ჰუმანური საწყისი, რომლის სახელითაც კაცობრიობამ მოითხოვა სასჯელთა რიცხვიდან სიკვდილის დასჯის გამორიცხვა – წერდა ილია ჭავჭავაძე – აღიარებულ უნდა იქნეს ადამიანთა ზნეობრივი სრულყოფის სფეროში კაცობრიობის პროგრესის საუკეთესო მონაპოვრად.

ჯონი ხეცურიანი

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

„პარლამენტის უწყებანი“, №18, 1996 წელი, 10 ივლისი.

დეგატები სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების – სიკვდილით დასჯის – სრული გაუქმების შესახებ*

პატივცემულო თავმჯდომარე! პატივცემულო დეპუტატებო! გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველოს პარლამენტი ისტორიული მოვლენის წინაშე დგას. მან პასუხი უნდა გასცეს კაცობრიობის ერთ-ერთ უმწვავეს კითხვას: საჭიროა თუ არა სიკვდილით დასჯა. თანაც, ამ კითხვაზე პასუხი მიმდინარე წლის 25 ნოემბრამდე უნდა მივიღოთ. ასეთია კონსტიტუციური რეალობა, ქვეყნის ძირითადი კანონის მოთხოვნა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის თანახმად, „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა, მის სრულ გაუქმებამდე, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ორგანული კანონით „სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის". საქართველოს ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით, რომელიც ორგანული კანონის რანგის საკანონმდებლო აქტს არ წარმოადგენს, სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება, გათვალისწინებულია ზოგიერთი სახეობის დანაშაულისათვის.

ამასთანავე, საქართველოს კონსტიტუციის 106-ე მუხლი გვავალებს, რომ „კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ორგანული კანონები ან დაადასტუროს ამ სფეროში არსებული ნორმატიული აქტების მართლზომიერება".

მაშასადამე, 25 ნოემბრამდე საქართველოს პარლამენტმა ან უნდა გააუქმოს სიკვდილით დასჯა ან დასტური უნდა მისცეს მის გამოყენებას სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამ საკითხის გადადება შეუძლებელია.

საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ჩვენი აზრით, სასარგებლო იქნება, თვალი გადავავლოთ საქართველოს კანონმდებლობის განვლილ გზას, ტენდენციებს მსოფლიო ქვეყნების კანონმდებლობების განვითარებაში, სიკვდილით დასჯის თაობაზე ბოლო დროს მიღებულ საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მოთხოვნებს.

საქართველოს ისტორიაში (იგულისხმება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობის პერიოდები) სიკვდილით დასჯა ორჯერ იყო გაუქმებული: მე-12 საუკუნეში თამარ მეფის მიერ და საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს. აღსანიშნავია, რომ ბოლო გაუქმება საქართველოს

---

* იბეჭდება 1997 წლის 11 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გაკეთებული მოხსენების სტენოგრამის მიხედვით.

1921 წლის კონსტიტუციით იყო განმტკიცებული. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე, ე. ი. 1991 წლამდე, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით სიკვდილით დასჯა გათვალისწინებული იყო 33 სახეობის დანაშაულისათვის. 1991 წლიდან მოყოლებული, საქართველოს კანონმდებელი მტკიცედ დაადგა სიკვდილით დასჯის პრობლემის გადაწყვეტის გზას. განვლილია ამ გზის მეტად რთული, წინააღმდეგობრივი და ამასთან ძირითადი მონაკვეთი, სიკვდილით დასჯადი დანაშაულის სახეობები თანდათან მცირდებოდა და 1996 წლის ბოლოსათვის 33-დან 13-მდე დავიდა. ამ პერიოდისათვის საქართველოს პრეზიდენტმა ფაქტობრივი მორატორიუმი გამოაცხადა სიკვდილით დასჯის აღსრულებაზე, ხოლო საქართველოს პარლამენტმა 1996 წლის 11 დეკემბრის კანონით, სიკვდილით დასჯადი დანაშაულების სახეობები შვიდამდე შეამცირა. ამასთან, შემოიღო სისხლის სამართლის სასჯელის ახალი სახეობა – უვადო თავისუფლების აღკვეთა. კანონმა შეზღუდა სიკვდილით დასჯის გამოყენების ფარგლები პირთა წრის მიხედვითაც. ამავე წელსვე სიკვდილით დასჯის გაუქმების ინიციატივით გამოვიდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე. საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისადმი გაგზავნილ მის წერილში ნათქვამია: „ღვთის ერთ-ერთი მცნებაა: „არა კაც ჰკლა". ეს სიტყვები მიმართულია როგორც ცალკეული ადამიანებისადმი, ისე ერებისა და სახელმწიფოებისადმი. შეუძლებელია ბოროტების აღმოფხვრა ბოროტებით, სიკვდილით დასჯა ნებისმიერ შემთხვევაში არის ბოროტება, რადგანაც სიცოცხლის წართმევის უფლება აქვს მხოლოდ მას, ვინც იგი მიანიჭა ადამიანს ანუ ღმერთს".

მეტად მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა მიმდინარე წელსაც. ამ დროისათვის საქართველოში 54 სიკვდილმისჯილი იყო. 1997 წლის 25 ივლისს საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა ორმოცდათოთხმეტივე სიკვდილმისჯილი და მათ სიკვდილით დასჯა შეუცვალა 20 წლით თავისუფლების აღკვეთით. უაღრესად მნიშვნელოვანია ისიც, რომ მიმდინარე წელს საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც სიკვდილით დასჯას აღარ ითვალისწინებს. ამით საქართველოს პარლამენტმა ამ საკითხისადმი თავისი დამოკიდებულება უკვე გამოხატა.

ჩვენი კანონმდებლობის განვითარების ამგვარი ტენდენცია სავსებით შეესაბამება მსოფლიო ქვეყნების პრაქტიკას, საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მოთხოვნებს.

მსოფლიოს 180 სახელმწიფოდან ამჟამად სიკვდილით დასჯა სრულად (ყველა დანაშაულისათვის), საკანონმდებლო წესით, გაუქმებულია 35 ქვეყანაში. 18 ქვეყანაში სიკვდილით დასჯა გაუქმებულია მშვიდობიანობის დროს (მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ საომარი მდგო-

მარეობისას), კიდევ 27 ქვეყანაში სიკვდილით დასჯა გაუქმებულია ფაქტობრივად (სიკვდილით დასჯის განაჩენის აღსრულება არ ხდება). მაშასადამე, 80 ქვეყანაში, რაც შეადგენს მსოფლიო ქვეყნების 40 პროცენტზე მეტს, სიკვდილით დასჯა აკრძალულია კანონმდებლობით ან ფაქტობრივად არ გამოიყენება.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ და 70-იანი წლების ბოლომდე მიღებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტები ორ ძირითად მიზანს ისახავდა: პირველი, ადამიანის სიცოცხლის უფლების აღიარებას და მეორე, სიკვდილით დასჯის გამოყენების ფარგლების შეზღუდვას. 80-იანი წლების დასაწყისიდან სიკვდილით დასჯის პრობლემის საერთაშორისო სამართლებრივ რეგულირებაში დადგა მეორე და ამასთან გადამწყვეტი ეტაპი, რომლის ძირითადი ამოცანაა სიკვდილით დასჯის სრულად და საბოლოოდ გაუქმება. ამ მხრივ საყურადღებოა ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპის კონვენციის მე-6 ოქმი (1983 წ.) და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-2 ფაკულტატური ოქმი (1989 წ.), რომლებიც ადგენენ მონაწილე სახელმწიფოების მიმართ მშვიდობიანობის დროს სიკვდილით დასჯის გაუქმების საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებას.

ორივე ზემოაღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი აქტი მნიშვნელოვანი ნაბიჯია მსოფლიოში სიკვდილით დასჯის გაუქმების გზაზე. ამჟამად მიმდინარეობს ამ აქტებთან სახელმწიფოების შეერთების პროცესი. აღსანიშნავია ისიც, რომ ევროსაბჭოში გაწევრიანების ერთ-ერთი აუცილებელი წინა პირობაა ამ ქვეყანაში სიკვდილით დასჯის გაუქმება, რაც უაღრესად აქტუალურია საქართველოსთვის, რომელსაც მიღებული აქვს ევროსაბჭოს სტუმრის სტატუსი და უახლოეს მომავალში გათვალისწინებულია მისი ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება.

სიკვდილით დასჯის უარსაყოფად მეტად მნიშვნელოვანი საფუძვლები არსებობს:

1. სიკვდილით დასჯის გამოყენების დროს სასჯელი ვერ აღწევს თავის უპირველეს მიზანს, რაც დამნაშავის გამოსწორებას გულისხმობს. სიკვდილით დასჯას არა აქვს ის გამაფრთხილებელი ძალა, რომლის გამოც დამნაშავე თავს შეიკავებს მძიმე დანაშაულის ჩადენისაგან. ამდენად, სიკვდილით დასჯა თავისი ბუნებით სასჯელის პრინციპის უარყოფაა.

2. არავის და მათ შორის სახელმწიფოს არა აქვს უფლება, სიცოცხლე მოუსპოს ადამიანს, თუნდაც მძიმე დანაშაულის ჩამდენს. სიცოცხლის უფლება ხელშეუვალია.

3. დამნაშავისაგან საზოგადოების დაცვის უზრუნველყოფა სავსებით შესაძლებელია სხვა არანაკლებ მძიმე სასჯელით, ვიდრე სიკვდილით დასჯაა. მაგალითად, საზოგადოებისაგან დამნაშავის ხანგრძლივი იზოლირებით, უვადო თავისუფლების აღკვეთით.

4. საზოგადოებრივი აზრი, რომელიც სიკვდილით დასჯას იწონებს, იმაზე მიუთითებს, რომ მოსახლეობის მართლშეგნება არცთუ სასურველ დონეზეა. აქ სწორედ კანონმდებელმა უნდა თქვას თავისი სიტყვა და სათანადო გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე.

5. დაუშვებელია სასჯელთა სისტემის განსაზღვრა მხოლოდ სამაგიეროს მიზღვისა და შურისძიების პრინციპების საფუძველზე, რადგანაც იგი უცილობლად მიგვიყვანს ტალიონის პრინციპის აღიარებამდე.

6. სიკვდილით დასჯა ისეთი სასჯელია, რომლის სისრულეში მოყვანის შემდეგ, შეუძლებელია სასამართლო შეცდომის გამოსწორება.

ზემოაღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, საქართველოს პრეზიდენტი, საკანონმდებლო ინიციატივის წესით, წინადადებით შემოდის ჩვენს ქვეყანაში სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების შესახებ.

თითქმის ერთი საუკუნის წინათ, 1898 წლის ნოემბერში, ილია ჭავჭავაძე წერდა: „ის ჰუმანური საწყისი, რომლის სახელითაც კაცობრიობამ მოითხოვა სასჯელთა რიცხვიდან სიკვდილით დასჯის გამორიცხვა, აღიარებულ უნდა იქნეს ადამიანთა ზნეობრივი სრულყოფის სფეროში კაცობრიობის პროგრესის საუკეთესო მონაპოვრად". ამ სიტყვებიდან ერთი საუკუნის შემდეგ, ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 160-ე წლისთავზე, იმედია, საქართველოს პარლამენტი გააუქმებს სიკვდილით დასჯას და ამით, კიდევ ერთხელ, დაადასტურებს ქართული სახელმწიფოს ერთგულებას მისი ჰუმანური ტრადიციებისადმი.

ჯონი ხეცურიანი

„პარლამენტის უწყებანი", №46, 1997 წელი, 3 დეკემბერი.

სიცოცხლის უფლება

ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ იმ ძირითად უფლებათა შორის, რომლებსაც საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო ცნობს და იცავს როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სიცოცხლის უფლება.

მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის უფლებას ხანგრძლივი ისტორია აქვს, მხოლოდ გასული საუკუნის შუა ხანებში მიღებულ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში მოხდა მისი აღიარება ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებად.

სიცოცხლის უფლება პირველად ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ (1948 წ.) განამტკიცა, რომლის მე-3 მუხლის თანახმად, „ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება". უფრო სრულყოფილად იგი დააფიქსირეს: ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციამ (1950 წ., მე-2 მუხლი), სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტმა (1966 წ., მე-6 მუხლი) და სხვა საერთაშორისო სამართლებრივმა აქტებმა. სიცოცხლის უფლებას აღიარებენ მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების კონსტიტუციები, რომლებიც მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში არიან მიღებული.

ადამიანის სიცოცხლე უმაღლეს ფასეულობას წარმოადგენს. ამიტომ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები და ეროვნული კანონმდებლობაც სიცოცხლის უფლებას მიიჩნევენ ადამიანის ბუნებით, თანდაყოლილ და განუყოფელ უფლებად. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი".

აქედან გამომდინარე, ყველას – სახელმწიფოსაც და მოქალაქესაც ვალდებულება ეკისრებათ, დაიცვან ადამიანის სიცოცხლის უფლება. აქ, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება ყველა ის საკანონმდებლო თუ სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც ადგენს ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ზომებს, სამედიცინო დახმარების გაწევის, ადამიანის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის, იარაღის, რადიოაქტიური ნივთიერებების, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების ბრუნვის წესებს, შრომის უსაფრთხო პირობებს და სხვა სოციალურ-სამართლებრივ გარანტიებს ადამიანის სიცოცხლის უფლების დაცვის მიზნით. ადამიანის სიცოცხლის უფლების დაცვა სისხლის სამართლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. კანონით დაცულ სხვა ობიექტებთან შედარებით, პიროვნების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ

მიმართული დანაშაულისათვის, როგორც წესი, გათვალისწინებულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მკაცრი ზომები.

სიცოცხლის უფლების ქონა სრულიადაც არ გულისხმობს, რომ ადამიანს ამასთანავე აქვს თვითმკვლელობის იურიდიული უფლება. ისტორია მოწმობს, რომ თვითმკვლელობას გმობენ როგორც ტრადიციული რელიგიები, ისე საზოგადოებრივი აზრი და თვით სახელმწიფოც კი.

რა თქმა უნდა, ადამიანს შეუძლია თავად მოისწრაფოს სიცოცხლე, მაგრამ ამასთან არავის არა აქვს კანონიერი უფლება, დაეხმაროს მას თვითმკვლელობაში, რა მოტივითაც უნდა ხელმძღვანელობდეს იგი. ამის თაობაზე პირდაპირი აკრძალვაა დაწესებული „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით. კერძოდ, ამ კანონის 151-ე მუხლში ჩაწერილია: „სამედიცინო პერსონალს, აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირს, ეკრძალებათ ევთანაზიის განხორციელება ან ამ უკანასკნელში მონაწილეობის მიღება"[1]. უფრო მეტიც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, ევთანაზია, ე.ი. მკვლელობა მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით და მისი ნამდვილი ნების შესაბამისად, ჩადენილი მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან განთავისუფლების მიზნით, დანაშაულადაა აღიარებული (110-ე მუხლი)[2].

სიცოცხლის უფლების მოქმედების ფარგლები უშუალოდ უკავშირდება საკითხს, თუ საიდან იწყება სიცოცხლე და სად მთავრდება იგი.

რა თქმა უნდა, სამართალი ამ შემთხვევაში სამედიცინო-ბიოლოგიურ კრიტერიუმებს უნდა ეყრდნობოდეს. ამ საკითხზე პასუხს იძლევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლი, თუმცა არასრულყოფილად. კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა დაბადების მომენტიდან. მაგრამ რომელი მომენტიდან ითვლება ადამიანი დაბადებულად, ამაზე არც სამოქალაქო კოდექსი და არც სხვა სამართლებრივი აქტი არ მიუთითებს. ეს საკითხი ჯერჯერობით ღიად არის დატოვებული. რაც შეეხება ადამიანის გარდაცვალების მომენტს, ამის შესახებ იმავე მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნულია, რომ „გარდაცვალების მომენტად ითვლება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა". თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღების შემდეგ გამოცემულმა ნორმატიულმა აქტებმა ეს კრიტერიუმი კიდევ დააზუსტეს. „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, „ადამიანი გარდაცვლილად ჩაითვლება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დადგინდება თავის ტვინის

---

[1] საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., №47-48.

[2] საყურადღებოა, რომ ჰოლანდია გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც მოახდინა ევთანაზიის ლეგალიზაცია 2001 წლის 10 აპრილს მიღებული კანონით. 2002 წელს იგივე გზას დაადგა ბელგიაც.

სიკვდილი ან გულის შეუქცევადი გაჩერება და სისხლის მიმოქცევის შეწყვეტა"[1].

რადგან იურიდიულად არ არის დადგენილი სიცოცხლის წარმოშობის მომენტი, ამიტომ ისმის კითხვა: არის თუ არა ჩანასახი - ჯერარდაბადებული ბავშვი – ძირითად უფლებათა, მათ შორის სიცოცხლის უფლების მატარებელი?

ჩანასახი ზოგიერთი ძირითადი უფლების მატარებელია, თუმცა იგი განპირობებულია დაბადებით. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე; ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე". რაც შეეხება ჩანასახის სიცოცხლის უფლებას, ამაზე შედარებით უფრო გარკვეულ პასუხს იძლევა ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია (1969 წ.). ამ კონვენციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს: „ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის სიცოცხლეს. ეს უფლება დაცულია კანონით და როგორც წესი, ჩასახვის მომენტიდან..."

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით, აკრძალულია ორსულობის შეწყვეტა და დადგენილია ნაყოფის შენარჩუნების პრინციპული მოვალეობა (მაგალითად, გერმანია). ამასთანავე, ჯერარდაბადებული ბავშვის სიცოცხლის უფლება არ შეიძლება გახდეს მესამე პირის თავისუფალი გადაწყვეტის საგანი. თუმცა კანონმდებლობით განსაზღვრულ იმ შემთხვევაში, როდესაც ქალის მიერ ნაყოფის შენარჩუნება შეუძლებელია ქალის სასიცოცხლო ფასეულობების მსხვერპლის გაღების გარეშე, ქალს არ ეკისრება სამართლებრივი მოვალეობა და ორსულობის შეწყვეტა დაშვებულია. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ შემთხვევაში ორსულობის შეწყვეტა ჩანასახის სიცოცხლის უფლების ხელყოფას არ ნიშნავს.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 139-ე მუხლით, ორსულობის ნებაყოფლობით შეწყვეტა, სხვა პირობებთან ერთად, ნებადართულია, თუ ორსულობის ხანგრძლივობა არ აღემატება თორმეტ კვირას. თორმეტი კვირის ფარგლებში ორსულობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ქალის პრეროგატივაა, თუმცა ექიმს ეკისრება მოვალეობა, გაესაუბროს პაციენტს და გასაუბრების დროს უპირატესობა მიანიჭოს „ნაყოფის სიცოცხლის დაცვას"[2]. მოქმედი კანონმდებ-

---

[1] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2000 წლის №8; იხ. აგრეთვე „ადამიანის თავის ტვინის სიკვდილის კრიტერიუმების და თავის ტვინის სიკვდილის კლინიკური დიაგნოზისა და პარაკლინიკური გამოკვლევის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 15 მარტის №100 ბრძანებულება.

[2] საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., №47-48.

ლობის მოთხოვნათა დარღვევით ჩატარებული ორსულობის შეწყვეტა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლის მიხედვით, მიჩნეულია დანაშაულად და გათვალისწინებულია სასჯელის შესაბამისი ზომები უკანონო აბორტის ჩამდენი პირის მიმართ. როგორც ვხედავთ, საქართველოს კანონმდებლობით, სიცოცხლის უფლება ჩანასახზე მხოლოდ ნაწილობრივ ვრცელდება, კერძოდ, ჩანასახის არსებობის პირველი თორმეტი კვირის შემდეგ, თუმცა გამონაკლისები აქაც არის.

ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ყოველთვის როდი ჩაითვლება სიცოცხლის უფლების ხელყოფად. თვით საერთაშორისო სამართლის ნორმები სიცოცხლის უფლებას აბსოლუტურ უფლებად არ მიიჩნევენ. მაგალითად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (1950 წ.) ჩამოთვლის კონკრეტულ საფუძვლებს, რომელთა არსებობისას სიცოცხლის მოსპობა არ ჩაითვლება სიცოცხლის უფლების დარღვევად. სახელდობრ, კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სიცოცხლის მოსპობა არ ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებად, როდესაც იგი შედეგია უკიდურესად აუცილებელი ძალის გამოყენებისა:

ა) ნებისმიერი პირის არამართლზომიერი ძალადობისაგან დაცვის დროს;

ბ) კანონიერი დაპატიმრების ან კანონიერ საფუძველზე დაკავებული პირის გაქცევისათვის ხელის შეშლის დროს;

გ) აჯანყების ან ამბოხების ჩახშობისას ჩადენილი კანონიერი მოქმედების დროს.

იმის გამო, რომ კონვენციით გათვალისწინებულ ზემოაღნიშნულ გარემოებებში ჩადენილი სიცოცხლის მოსპობა არ ჩაითვლება ადამიანის სიცოცხლის უფლების ხელყოფად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, აუცილებელი მოგერიება, დამნაშავის შეპყრობა და უკიდურესი აუცილებლობა მიჩნეულია მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებად და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლად (თავი VIII).

სიცოცხლის უფლება უშუალოდ დაკავშირებულია სიკვდილით დასჯის პრობლემასთან. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი სწორედ სიკვდილით დასჯის სამართლებრივ საკითხებს ეხება. სიკვდილით დასჯის გამოყენების შესახებ კონსტიტუციის ამ მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოყალიბებული დებულება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) სიკვდილით დასჯა სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიებაა;

ბ) სიკვდილით დასჯის გამოყენება ხდება დროებით, მის სრულ გაუქმებამდე;

გ) სიკვდილით დასჯა შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხოლოდ ორგანული კანონით;

დ) სიკვდილით დასჯა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის;

ე) სიკვდილით დასჯის შეფარდების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საქართველოს კონსტიტუციის ამოქმედების შემდეგ საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სიკვდილით დასჯის სრული გაუქმებისათვის, რომლებიც ასევე ნაკარნახევი იყო ევროპის საბჭოში საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებული ვალდებულებებითაც. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 1982 წელს მიიღო „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ" კონვენციის მე-6 ოქმი, რომელიც ძალაში შევიდა 1985 წელს. ოქმის პირველი მუხლის თანახმად, „სიკვდილით დასჯა უნდა გაუქმდეს. არავინ შეიძლება იყოს სიკვდილმისჯილი ან დაისაჯოს სიკვდილით". ოქმი ითვალისწინებს მხოლოდ ერთადერთ გამონაკლისს ამ წესიდან, კერძოდ, მე-2 მუხლში ნათქვამია, რომ ოქმის ხელმომწერ სახელმწიფოს შეუძლია, თავის კანონმდებლობაში გაითვალისწინოს სიკვდილით დასჯა „ომიანობის ან ომის გარდაუვალი საფრთხის დროს; ასეთი სასჯელი გამოიყენება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში და მისი დებულებების შესაბამისად". მე-6 ოქმი პირველი სავალდებულო ხასიათის საერთაშორისო სამართლებრივი აქტია, რომლის ძალითაც სიკვდილით დასჯა გაუქმდა მშვიდობიანობის დროს ჩადენილი დანაშაულისათვის.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის ძალაში შესვლის მომენტისათვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, სიკვდილით დასჯა გათვალისწინებული იყო 13 სახეობის დანაშაულისათვის, მათ შორის ისეთი ქმედობებისათვისაც, რომლებიც არ განეკუთვნებოდნენ სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის კატეგორიას. ამდენად, სისხლის სამართლის კოდექსის ეს მუხლები კონსტიტუციის ამოქმედებისთანავე წინააღმდეგობაში მოვიდნენ ძირითადი კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტთან, რომელიც, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, სიკვდილით დასჯის გამოყენებას შესაძლებლად მიიჩნევდა მხოლოდ სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, თუ ეს დადგენილი იქნებოდა ორგანული კანონით.

ორგანული კანონის ცნებას საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღებამდე ქართული კანონმდებლობა არ იცნობდა და, ბუნებრივია, ვერც იმჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი დააკმაყოფილებდა ძირითადი კანონის ამ მოთხოვნას. ამასთანავე, ამოქმედდა საქართველოს კონსტიტუციის 106-ე მუხლიც, რომლის თანახმად, კონსტიტუციის ძა-

ლაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტს უნდა მიეღო კონსტიტუციით გათვალისწინებული ორგანული კანონები ან დაედასტურებინა ამ სფეროში არსებული ნორმატიული აქტების მართლზომიერება.

სიკვდილით დასჯის პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტის გზების ძიებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპად უნდა მივიჩნიოთ 1996 წლის 11 დეკემბერს მიღებული კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის და საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ"[1]. ამ კანონით, სიკვდილით დასჯა გაუქმდა ყველა იმ დანაშაულისათვის, რომელიც მიმართული არ იყო სიცოცხლის წინააღმდეგ. შემოღებულ იქნა სისხლის სამართლის სასჯელის ახალი სახეობა - უვადო თავისუფლების აღკვეთა. საგრძნობლად შეიზღუდა სიკვდილით დასჯის გამოყენება პირთა წრის მიხედვით (სქესობრივი და ასაკობრივი ნიშნით).

ამ ცვლილებების შედეგად, მართალია, სიკვდილით დასჯა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით შენარჩუნებული იქნა მხოლოდ სიცოცხლის ხელყოფისათვის, მაგრამ საქართველოს კონსტიტუციის მე-15 და 106-ე მუხლების ერთ-ერთი მოთხოვნა შეუსრულებელი დარჩა, რადგანაც სიკვდილით დასჯა მოქმედ კანონმდებლობაში დადგენილი იყო კანონით და არა ორგანული კანონით (თუმცა კონსტიტუციის ამოქმედებიდან ორი წელიწადი ჯერ კიდევ გასული არ იყო).

1997 წლის ბოლოს უკვე ინურებოდა საქართველოს კონსტიტუციის 106-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის შესრულების ვადა, ამიტომ საქართველოს პარლამენტს ან უნდა გაეუქმებინა სიკვდილით დასჯა ან ორგანული კანონით დაედგინა იგი.

1997 წლის 11 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების – სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების შესახებ"[2].

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ეს იყო სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების მესამე შემთხვევა. საქართველოში სიკვდილით დასჯა პირველად გაუქმდა მე-12 საუკუნეში, თამარ მეფის დროს, ხოლო მეორედ – დემოკრატიული საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით. ამდენად, მე-20 საუკუნის მიწურულს, საქართველოში სიკვდილით დასჯის გაუქმებით, კიდევ ერთხელ დადასტურდა ქართული სახელმწიფოს ერთგულება მისი ჰუმანური ტრადიციებისადმი.

1997 წლის 11 ნოემბრის კანონის მიღებით, ამოიწურა ხელისუფლების შესაძლებლობა, ორგანული კანონით დაედგინა სიკვდილით დასჯა

---

[1] საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., №1-2.

[2] საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., №45.

სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, რადგანაც ასეთი შესაძლებლობა, ჩვენი აზრით, არსებობდა მხოლოდ სიკვდილით დასჯის სრულ გაუქმებამდე. მას შემდეგ, რაც საკანონმდებლო ხელისუფლებამ სრულად გააუქმა სიკვდილით დასჯა, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის აზრიდან გამომდინარე, მისი კვლავ შემოღების იურიდიული შესაძლებლობაც ამოწურულია მოქმედი კონსტიტუციური წესრიგის პირობებში.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებიც. სახელდობრ, საქართველო 2000 წელს შეუერთდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 ოქმს, რომლის ძალითაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიკვდილით დასჯა გაუქმებულია მშვიდობიანობის დროს ჩადენილი დანაშაულისათვის. რაც შეეხება ომიანობის დროს სიკვდილით დასჯის გამოყენების შესაძლებლობას, ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ 2002 წლის 3 მაისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებულ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-13 ოქმს „ნებისმიერ გარემოებაში სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ", რომელიც ითვალისწინებს სიკვდილით დასჯის გაუქმებას სრულად, ყველა ვითარებაში, მათ შორის ომიანობის დროსაც. ამჟამად საქართველოს პარლამენტი განიხილავს ამ ოქმის რატიფიცირების საკითხს. მასზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, საქართველოში სიკვდილით დასჯა, როგორც ძირითადი კანონით, ისე საერთაშორისო-სამართლებრივი თვალსაზრისით, სრულად იქნება გაუქმებული.

ჯონი ხეცურიანი

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია", №1, 2003 წელი.

საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან ერთად
(იუსტიციის მინისტრად მუშაობის დროს). 1991 წ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა [illegible]
თავმჯდომარე აკაკი ასათიანთან ერთად უზენაესი [illegible]
(იუსტიციის მინისტრად მუშაობის დროს). 1991 [illegible]

9 აპრილის ტრაგედიის საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე,
პროფესორ თამაზ შავგულიძესთან ერთად. 1990 წ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატებთან -
პროფ. ლევან ალექსიძესთან და ნუგზარ მგალობლიშვილთან ერთად
(იუსტიციის მინისტრად მუშაობის დროს). 1990 წ.



საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ შევარდნაძესთან
მთავრობის დამტკიცების ნინ (იუსტიციის მინისტრად მუშაობის დროს).
1992 წლის ნოემბერი.

ქართული იურიდიული სამეცნიერო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლები:
პროფ. თინათინ წერეთელი, პროფ. ისიდორე დოლიძე, პროფ. გიეი ჟვანია,
პროფ. თენგიზ ლილუაშვილი, დოცენტი თამაზ ცაგურია
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში. 1975 წ.

საქართველოს პარლამენტში დეპუტატებთან ერთად შესვენებაზე
(საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნად მუშაობის დროს). 1997 წ.

საქართველოს პარლამენტში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ კანონის მიღებისას მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ, აკადემიკოს ალბერტ თავხელიძესთან და აკადემიკოს მარიკა ლორთქიფანიძესთან ერთად
(საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნად მუშაობის დროს). 1999 წ.

საქართველოს პარლამენტში
საქართველოს სამოქალაქო
კოდექსის მიღებისას
პროფ. სერგო ჯორბენაძესთან
ერთად
(საქართველოს პრეზიდენტის
საპარლამენტო
მდივნად მუშაობის დროს).
1997 წ.

საქრთველოს კონსტიტუციის პროექტის
შემმუშავებელი სახელმწიფო კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე,
პროფ. გივი ისნკირველთან ერთად
(ამავე კომისიის წევრად მუშაობის დროს). 1994 წ.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამოქალაქო სამართლის კათედრის სხდომაზე
(კათედრის ხელმძღვანელი პროფ. რომან შენგელია). 2002 წ.

სასამართლო რეფორმის საკითხებზე საქართველოს დელეგაციის
(ნ. საჯაია, თ. ლილუაშვილი, თ. ნინიძე, ჯ. ხეცურიანი) შეხვედრა საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარე პიერ ტრუშთან. პარიზი. 1997 ნ.

საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრი ჯ.ხეცურიანი და იმჟამინდელი იუსტიციის მინისტრი თ. ნინიძე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის რაჟდენ არსენიძის საფლავთან. საფრანგეთი, ლევილი. 1997 ნ.

პენიტენციარული სისტემის რეფორმის გამოცდილების გაზიარების მიზნით ნორმანდიის ციხეში (იუსტიციის მინისტრად მუშაობის დროს). საფრანგეთი. 1999 წ.

პენიტენციარული სისტემის რეფორმის გამოცდილების გაზიარების მიზნით დანიის ციხეში (იუსტიციის მინისტრად მუშაობის დროს). კოპენჰაგენი. 2000 ს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევას და ფიცის დადებას ესწრებიან საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია. 2001 წ.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. 2003 წ.

გზა სამართლებრივი
სახელმწიფოსაკენ

რეფერენდუმი

დემოკრატიულ სახელმწიფოში მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის. იგია ამ ძალაუფლების ერთადერთი წყარო. ხალხის სრულხელისუფლებიანობა, რომელიც სახალხო სუვერენიტეტის საფუძველია, ორი ძირითადი ფორმით – წარმომადგენლობითი და უშუალო დემოკრატიის მეშვეობით ხორციელდება. რეფერენდუმი უშუალო დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია. თუ წარმომადგენლობითი დემოკრატიის დროს ხალხი თავის ნებას ახორციელებს მის მიერ არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოების (პარლამენტის, საბჭოს და ა. შ.) მეოხებით, რეფერენდუმის დროს ხალხი უშუალოდ, პირდაპირ გამოხატავს თავის ნებას საყოველთაო-სახალხო კენჭისყრისათვის გადაცემულ კანონ-პროექტზე დადებითი ან უარყოფითი პასუხის გაცემით. უშუალო დემოკრატიის სხვა ინსტიტუტებისაგან განსხვავებით (პეტიცია, მანიფესტაცია, მიტინგი და სხვა), რეფერენდუმის შედეგებს, როგორც წესი, იურიდიული ძალა აქვს და საკითხს საბოლოოდ წყვეტს.

საჭიროდ მიგვაჩნია, ასევე ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხების გადაჭრაში ხალხის უშუალო მონაწილეობის სამი ინსტიტუტი: რეფერენდუმი, პლებისციტი და საყოველთაო-სახალხო განხილვა, რომლებსაც ზოგჯერ აიგივებენ როგორც სპეციალურ ლიტერატურაში, ისე საკანონმდებლო პრაქტიკაში. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ ზემოაღნიშნულ სამივე ინსტიტუტს ერთი და იგივე იურიდიული ბუნება გააჩნია. სახელდობრ, ისინი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ საკითხზე ხალხის ნების უშუალო გამოხატულების ფორმებია. მაგრამ განსხვავებაც მათ შორის არსებითია. რეფერენდუმი სახალხო კენჭისყრაა, რომლის შედეგადაც ხდება კანონ-პროექტის მთლიანად მოწონება ან უარყოფა. რეფერენდუმის საგანი მხოლოდ საკანონმდებლო აქტია. პლებისციტიც ასევე სახალხო კენჭისყრაა, ოღონდ ამა თუ იმ კონკრეტულ სახელმწიფოებრივ საკითხზე, რომლის შედეგებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკანონმდებლო ორგანოსათვის ან მთავრობისათვის. მაშასადამე, პლებისციტის საგანი შეიძლება იყოს ესა თუ ის საკითხი და არა კანონპროექტი. საყოველთაო-სახალხო განხილვა ტარდება კანონპროექტების ან სახელმწიფოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის გასაგებად. საყოველთაო-სახალხო განხილვას საკანონმდებლო ორგანოებისათვის რეკომენდაციული, კონსულტაციური მნიშვნელობა აქვს.

ამრიგად, რეფერენდუმი უშუალო დემოკრატიის ისეთი ინსტიტუტია, რომელიც სახალხო სამართალშემოქმედების გზით უზრუნველყოფს ხალხის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების პირდაპირ განხორციელებას.

რეფერენდუმის ინსტიტუტს ლეგალური არსებობისა და მოქმედების საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს.

ჩვენი საუკუნის დასაწყისში რეფერენდუმი გამოიყენებოდა მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში (შვეიცარია, აშშ და სხვ.).

აღსანიშნავია ნორვეგიაში 1905 წელს ჩატარებული რეფერენდუმი, რომელიც, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს დღესაც. რეფერენდუმი მოეწყო შვეციისაგან ნორვეგიის გამოყოფის საკითხზე. ნორვეგიის გამოყოფას მხარი დაუჭირა 368 ათასმა ამომრჩეველმა, წინააღმდეგი იყო 184 კაცი – ხმის მიმცემთა 0,05 პროცენტი.

ამ ფაქტმა ვ. ი. ლენინის ყურადღებაც მიიქცია. სტატიაში „შედეგები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ" იგი წერდა, რომ „ერთმა პატარა ქვეყანამ, გამონაკლისის სახით, უაღრესად თავაშვებული იმპერიალიზმის ხანაში მოახერხა განეხორციელებინა თვითგამორკვევა, ისიც უომრად და ურევოლუციოდ (ნორვეგია 1905ნ.)". ნორვეგიელი ხალხის ამ გამოცდილების გათვალისწინებით, ლენინი, გარკვეულ პირობებში, შესაძლებლად თვლიდა ერის თვითგამორკვევის საკითხის გადაჭრას რეფერენდუმის გზით. წერილში „ნაციონალური პოლიტიკის საკითხისათვის" ნორვეგიის გამოყოფასთან დაკავშირებით იგი სვამს კითხვებს: „ასეთი გამოყოფით განა წააგო ხალხმა? წააგო კულტურის ინტერესებმა? ანდა დემოკრატიის ინტერესებმა? მუშათა კლასის ინტერესებმა?" და იქვე პასუხობს: „სრულიადაც არა! ნორვეგია და შვეციაც რუსეთზე შეუდარებლად უფრო კულტურული ქვეყნების რიცხვს, სხვათა შორის, სწორედ იმიტომ ეკუთვნიან, რომ მათ შეძლეს დემოკრატიულად გამოეყენებინათ ერთა „პოლიტიკური თვითგამორკვევის" ფორმულა. ძალდატანებითი კავშირის განყვეტა მოასწავებდა ნებაყოფლობითი ეკონომიკური კავშირის გაძლიერებას, ურთიერთპატივისცემის გაძლიერებას ამ ორ, ენისა და სხვათა მხრივ ერთმანეთისადმი ესოდენ მახლობელ ხალხს შორის. შვეციელი და ნორვეგიელი ხალხის ერთობამ, დაახლოების საქმემ ნამდვილად მოიგო ამ გამოყოფით, ვინაიდან გამოყოფა ძალდატანებითი კავშირის განყვეტა იყო".

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ რეფერენდუმი ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოების კონსტიტუციებმაც გაითვალისწინეს. სწორედ ამ პერიოდში რეფერენდუმმა შეიძინა ახალი ფუნქცია, კერძოდ, სახელმწიფოს კონსტიტუციურ ორგანოებს შორის კონფლიქტის გადაჭრის როლი. პირველად ეს სიახლე ვაიმარის კონსტიტუციამ შემოიღო.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რეფერენდუმის ინსტიტუტმა შემდგომი განვითარება და გავრცელება პოვა. მას უკვე ვხვდებით ე. წ. „მეორე ტალღის" ყველა კონსტიტუციაში. ამჟამად რეფერენდუმი გათვალისწინებულია ოცზე მეტი კაპიტალისტური ქვეყნის ძირითადი კანონით. უაღრესად მდიდარია მისი გამოყენების პრაქტიკაც. მარტო ამ საუკუნეში საერთო ეროვნულ დონეზე რეფერენდუმი მოეწყო: ევროპაში – 101, აფრიკასა და შუა აღმო-

სავლეთში – 54, აზიაში – 18, ამერიკაში – 25, ავსტრალიასა და ოკეანეთში – 45. აღსანიშნავია ისიც, რომ 70-იან წლებში ვხვდებით რეფერენდუმის გამოყენების პრაქტიკას მისი საკანონმდებლო რეგლამენტაციის გარეშე. მაგალითად, დიდ ბრიტანეთსა და ნორვეგიაში საყოველთაო-სახალხო კენჭისყრა ჩატარდა ამ ქვეყნების „საერთო ბაზრის" წევრობის საკითხზე.

რეფერენდული პრაქტიკის თვალსაზრისით, უდავო პირველობა ეკუთვნის შვეიცარიას, რომელიც ტრადიციულად რეფერენდუმის სამშობლოდ ითვლება, 1843-1977 წლებში ამ ქვეყანაში 240 რეფერენდუმი მოეწყო. შვეიცარიის მომდევნო წლების პოლიტიკურ ცხოვრებაშიც არ შენელებულა უშუალო დემოკრატიის ამ ინსტიტუტის გამოყენება. 1985 წელს, მაგალითად, რეფერენდუმზე გამოიტანეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შვეიცარიის შესვლის საკითხი. გამოკითხულთა უმრავლესობამ მასზე უარყოფითი აზრი გამოთქვა. შვეიცარია დღემდე რჩება ერთ-ერთ ქვეყნად, რომელიც არ არის ამ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი.

რეფერენდუმის გამოყენების ინტენსივობით გამოირჩევა აგრეთვე იტალია, საფრანგეთი, აშშ. საყოველთაოდაა ცნობილი, მაგალითად, საფრანგეთის პრეზიდენტის დე გოლის რეფერენდული პრაქტიკა, რომელმაც ეს ინსტიტუტი მძლავრ პოლიტიკურ იარაღად გადააქცია სახელმწიფოს მეთაურის ხელში. ამასთან, საფრანგეთში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ დაადასტურა, რომ საზოგადოებრიობა დადებითად ეკიდება რეფერენდუმის იდეას. ამომრჩევლებს მოსწონთ, რომ ისინი უშუალოდ მონაწილეობენ გადაწყვეტილებათა მიღებაში. უმრავლეს ქვეყნებში რეფერენდუმს არ განასხვავებენ პლებისციტისაგან. მათ სინონიმებად მიიჩნევენ. ამიტომ საკითხები, რომლებსაც განიხილავენ რეფერენდუმზე, უაღრესად მრავალფეროვანია და ეხება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეს: მმართველობის ფორმას, სახელმწიფო სუვერენიტეტს, ტერიტორიის ბედს, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ წყობილებას, კონსტიტუციასა და მასში ცვლილებებს, სხვადასხვა კანონპროექტებს, სახელმწიფოს წარმომადგენლობას საერთაშორისო ურთიერთობებსა და ორგანიზაციებში, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებებს, სისხლის სამართლის სასჯელებს, ქუჩაში ტრანსპორტის მოძრაობის მიმართულების განსაზღვრას, განქორწინებას, იარაღის ტარების ნებართვას და სხვა.

განსახილველი საკითხების მიხედვით, განასხვავებენ კონსტიტუციურ და საკანონმდებლო რეფერენდუმებს.

კონსტიტუციური რეფერენდუმის დროს საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით წყდება ახალი კონსტიტუციის მიღების, კონსტიტუციური რეფორმის ჩატარების, ძირითად კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხები (საფრანგეთი, შვეიცარია, ესპანეთი, აშშ, დანია,

იაპონია). ასეთ რეფერენდუმებს არსებითად დამფუძნებელი ხასიათი აქვთ. ამერიკის შეერთებული შტატების ყველა შტატში კონსტიტუციაში ცვლილებების პროექტი სავალდებულოა გადაეცეს რეფერენდუმს მისი საბოლოო რატიფიკაციისათვის. დანიის კონსტიტუციის მიხედვით, კონსტიტუციაში ცვლილებების დროს აუცილებელია მომხრეთა რაოდენობა აღემატებოდეს მოწინააღმდეგეთა რიცხვს და, ამასთანავე, იგი 40 პროცენტზე ნაკლები არ უნდა იყოს იმ პირთა საერთო რაოდენობისა, რომლებიც საარჩევნო სიაში არიან შეტანილი.

საკანონმდებლო რეფერენდუმი ეწყობა ამა თუ იმ კანონის მიღების თუ გაუქმების თაობაზე, რომელიც მოსახლეობის არსებით ინტერესებს ეხება, ან კიდევ იმ კანონში ცვლილებების შეტანისას, რომელიც თავის დროზე მიღებული იყო საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით. მაგალითად, 1981 წლის 17 და 18 მაისს იტალიაში მოეწყო რეფერენდუმები ერთბაშად ოთხი კანონის გაუქმების თაობაზე, სახელდობრ, საყოველთაო-სახალხო კენჭისყრისათვის გამოტანილ იქნა: კანონი საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის შესახებ; კანონი სამუდამო პატიმრობის შესახებ; კანონი იარაღის ტარების ნებართვის შესახებ და კანონი აბორტის ნებართვის შესახებ. ოთხივე კანონი, რომელთა გაუქმებასაც ვარაუდობდნენ, ამომრჩეველთა კორპუსმა ძალაში დატოვა.

იტალიის კონსტიტუციის თანახმად, რეფერენდუმზე გამოტანილი საკითხი გადაწყვეტილად ითვლება, თუ კენჭისყრაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი და საკითხს მხარი დაუჭირა მათმა უმრავლესობამ. დანიის კონსტიტუცია კი რეფერენდუმის გზით ჩვეულებრივი კანონის გაუქმებისათვის მოითხოვს არა მარტო ხმების უბრალო უმრავლესობას, არამედ იმასაც, რომ ეს უმრავლესობა შეადგენდეს ყველა რეგისტრირებული ამომრჩევლის არანაკლებ 30 პროცენტს.

ჩატარების ხერხის მიხედვით, რეფერენდუმი შეიძლება იყოს სავალდებულო და ფაკულტატიური.

სავალდებულო რეფერენდუმის დროს კანონპროექტი უსათუოდ უნდა იქნეს რატიფიცირებული ამომრჩეველთა კორპუსის მიერ. რეფერენდუმის ჩატარების აუცილებლობა ამ შემთხვევაში ძირითადი კანონითაა გათვალისწინებული. მაგალითად, შვეიცარიის კონსტიტუციის თანახმად, კონსტიტუციურ საკითხებზე სავალდებულოა რეფერენდუმის მოწყობა ფედერალურ დონეზე.

რეფერენდუმი ფაკულტატიურია, როცა მისი ჩატარება დამოკიდებულია ამომრჩეველთა კორპუსის ნებაზე (იტალია, აშშ-ის 22 შტატი), ფედერაციის სუბიექტებზე (შვეიცარია) ან ცენტრალურ ხელისუფლებაზე (საფრანგეთი). შვეიცარიის კონსტიტუციით, მაგალითად, ჩვეულებრივი კანონებისა და ზოგადი მნიშვნელობის საკავშირო დადგენილებების გაუქმების შესახებ რეფერენდუმი შეიძლება მოეწყოს 30 ათასი ამომრჩევლის

მოთხოვნით, აქტის გამოქვეყნებიდან 90 დღის განმავლობაში, ან რვა კანტონის საბჭოს მოთხოვნით. იტალიაში კონსტიტუცია ითვალისწინებს კონსტიტუციური კანონების დამტკიცების შესაძლებლობას რეფერენდუმის საშუალებით, თუ მათი გამოქვეყნებიდან 3 თვის მანძილზე ამას მოითხოვს პარლამენტის ერთ-ერთი პალატის წევრთა მეხუთედი ან 500 ათასი ამომრჩეველი, ან კიდევ 5 ოლქის საბჭო.

გამოყენების სფეროს მიხედვით, რეფერენდუმი შეიძლება იყოს საერთო ეროვნული, როცა იგი ეწყობა მთელი ერის (სახელმწიფოს) მასშტაბით და ადგილობრივი, თუ იგი ტარდება ფედერაციის ცალკეული სუბიექტის ფარგლებში ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

საბჭოური კონსტიტუციური კანონმდებლობა 1936 წლამდე რეფერენდუმის ინსტიტუტს არ იცნობდა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ რეფერენდუმის გამოყენების შესაძლებლობა პირველად დააფიქსირა ე. წ. სტალინურმა კონსტიტუციამ, რომლის თანახმად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს უფლება ენიჭებოდა, ჩაეტარებინა „საყოველთაო-სახალხო დაკითხვა (რეფერენდუმი)" თავისი ინიციატივით ან ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკის მოთხოვნით (49-ე მუხლის „ე" პუნქტი). მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იმდროინდელმა კონსტიტუციებმა უცვლელად გადაიღეს საკავშირო სახელმწიფოს ძირითადი კანონის ზემოაღნიშნული ნორმა.

როგორც ვხედავთ, ამ პერიოდის კანონმდებლობით, რეფერენდუმის მოწყობა წარმოადგენდა არა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს – უმაღლესი საბჭოს პრეროგატივას, არამედ მისი მუდმივმოქმედი ორგანოს – პრეზიდიუმის კომპეტენციას. ამასთანავე, კანონში მითითებული არ იყო, თუ რა საკითხებზე შეიძლებოდა რეფერენდუმის ჩატარება ან რა იურიდიული ძალა ექნებოდა „საყოველთაო სახალხო დაკითხვის" შედეგებს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ აღნიშნული კონსტიტუციის მიღების შემდეგ არ შემუშავებულა სპეციალური კანონი რეფერენდუმის შესახებ, შეიძლება დავასკვნათ, რომ 1936 წლის კონსტიტუციამ მხოლოდ ფორმალურად შეავსო ის ხარვეზი, რომელიც რეფერენდუმის თაობაზე არსებობდა კანონმდებლობაში.

ერთ საკითხზეც გვინდა შევაჩეროთ ყურადღება, კერძოდ, სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის ქართულ ვარიანტში სიტყვა „Всенародный опрос (референдум) თარგმნილია როგორც საყოველთაო-სახალხო დაკითხვა (რეფერენდუმი)", რაც, რა თქმა უნდა, არასწორია (უნდა იყოს „საყოველთაო-სახალხო გამოკითხვა"), თუმცა სიმბოლურია, რადგან სწორედ ამ კონსტიტუციის მიღების შემდეგ, 1937 წელს მართლაც მოეწყო მთელ ქვეყანაში „საყოველთაო-სახალხო დაკითხვა".

სოციალისტური დემოკრატიის შელამაზების მცდელობის შედეგად, რომელიც აღინიშნა 70-იანი წლების მეორე ნახევარში ახალი საბჭოთა

კონსტიტუციის მიღებითა და მოქმედი კანონმდებლობის განახლების კამპანიით, გარკვეული ცვლილებები განიცადა რეფერენდუმის სამართლებრივმა რეგულირებამ. სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციამ საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების ძირითად მიმართულებად სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაფართოება გამოაცხადა, რომლის ერთ-ერთი ნიშანი უნდა გამხდარიყო საზოგადოებრივი აზრის მუდამ გათვალისწინება (მე-9 მუხლი), ამიტომ შემთხვევით არ მომხდარა, რომ კონსტიტუციის პირველივე თავში, რომელშიც პოლიტიკური სისტემის შინაარსია გადმოცემული, გაჩნდა ზოგადი ნორმა რეფერენდუმის შესახებ. სახელდობრ, მე-5 მუხლში აღინიშნა, რომ „სახელმწიფო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები საყოველთაო-სახალხოდ განიხილება, აგრეთვე გადაეცემა საყოველთაო-სახალხო კენჭისყრისათვის (რეფერენდუმისათვის)". აქ, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ტერმინოლოგიური ნოვაცია. ადრემოქმედი კონსტიტუციისაგან განსხვავებით, კანონმდებელი რეფერენდუმის აღსანიშნავად ხმარობს არა „საყოველთაო-სახალხო დაკითხვას", არამედ „საყოველთაო-სახალხო კენჭისყრას", რომელიც უფრო ზუსტად გამოხატავს სახელდებული მოვლენის არსს. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ კანონი, მართალია, ზოგადად, მაგრამ მაინც მიგვანიშნებს, როგორი საკითხები შეიძლება გახდეს რეფერენდუმის საგანი. თუ ამ საკითხების შესაძლო ნუსხას გავიაზრებთ, შეიძლება ითქვას, რომ აქ ფაქტობრივად პლებისციტის ჩატარების შესაძლებლობაა დაკანონებული,

კონსტიტუციამ შემოიღო აგრეთვე საკანონმდებლო რეფერენდუმის ინსტიტუტი. კერძოდ, ძირითადი კანონის 108-ე მუხლში ჩაინერა დებულება, რომლის თანახმად, „სსრ კავშირის კანონები მიიღება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ ან სახალხო კენჭისყრით (რეფერენდუმით)". წინა კონსტიტუციისაგან განსხვავებით, რეფერენდუმის მოწყობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ამავე მუხლის ძალით, განეკუთვნა სსრ კავშირის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს – უმაღლესი საბჭოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას.

საყურადღებოა ერთი გარემოებაც. თავისი ტრადიციული დანიშნულების გარდა, რეფერენდუმს ახალი ძირითადი კანონით, არბიტრის როლის შესრულებაც დაეკისრა კონსტიტუციურ ორგანოებს შორის კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში. თუ ადრე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატებს შორის ვერ იქნებოდა თანხმობა მიღწეული ამა თუ იმ საკითხზე, მაშინ გათვალისწინებული იყო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დათხოვნა. ამჯერად კი, სადავო საკითხი შეიძლება გადასცემოდა რეფერენდუმზე გადასაწყვეტად (115-ე მუხლი) და კონფლიქტიც ამ გზით მოგვარებულიყო.

საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციამ, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ამავე პერიოდის კონსტიტუციებმა, რეფერენ-

დუმის სამართლებრივი რეგულირების საკითხი საკავშირო სახელმწიფოს ძირითადი კანონის მსგავსად გადაწყვიტა. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებში არ აისახა სსრ კავშირის კონსტიტუციის 115-ე მუხლით გათვალისწინებული დებულება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ რესპუბლიკების უმაღლესი საბჭო პალატებისაგან არ შედგება. რაც შეეხება ავტონომიურ რესპუბლიკებს, მათ ახალ კონსტიტუციებში რეფერენდუმის ინსტიტუტი წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ზოგადი ნორმით, რომლის თანახმად, სახელმწიფოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები შეიძლება გადაეცეს საყოველთაო-სახალხო კენჭისყრისათვის (რეფერენდუმისათვის). საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით კანონის მიღების შესაძლებლობა კი ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებმა არ გაითვალისწინეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1977 წელს მიღებული საკანონმდებლო საქმიანობის გეგმით განსაზღვრული იყო რეფერენდუმის ჩატარების წესის შესახებ კანონის მომზადება, მაგრამ დღემდე ასეთი კანონი არ გამოცემული. მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო ორგანოებმაც დუმილით აუარეს გვერდი ამ საკითხს. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ლიტვა, რომელმაც გასული წლის ნოემბერში მიიღო სპეციალური კანონი რეფერენდუმის შესახებ. ამ კანონის თანახმად, რეფერენდუმი ცხადდება იმ შემთხვევაში, თუ მას ხმას მისცემს ლიტვის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა, სულ ცოტა, ნახევარი ან რესპუბლიკის არანაკლებ 300 ათასი მოქალაქე, რომლებსაც საარჩევნო უფლება აქვთ.

საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის – რეფერენდუმის ჩატარების პრეცედენტი ჯერჯერობით არ ყოფილა. რეფერენდუმის ინსტიტუტის მიმართ ხელისუფლების ორგანოების უარყოფითი დამოკიდებულება უნდა აიხსნას ჩვენს საზოგადოებაში გაბატონებული მცდარი შეხედულებით, რომლის თანახმად, საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ძირითადი ინსტიტუტები – კომუნისტური პარტია, საბჭოები და სხვა, თითქოს თავისთავად, გამოხატავენ ხალხის ნებასა და ინტერესებს. ამ პირობებში, ბუნებრივია, სრულიად ზედმეტად მოჩანდა ბურჟუაზიული დემოკრატიის ინსტიტუტის – რეფერენდუმის დანერგვის აუცილებლობა საბჭოთა სინამდვილეში.

80-იანი წლების მიწურულს ცვლილებები განიცადა როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკების ძირითადმა კანონებმა. ცვლილებები რეფერენდუმსაც შეეხო. სსრ კავშირის კონსტიტუციის 91-ე მუხლის ახალი რედაქციის თანახმად, რეფერენდუმის ჩატარება შესაძლებელი გახდა სახალხო დეპუტატთა საბჭოების სისტემის ყველა დონეზე – საერთო-საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. გადაწყვეტილებას რეფერენდუმის ჩატარების შესახებ, შესაბამისად, იღებენ სახალხო დეპუტატთა ყრილობების სხდომებზე,

უზენაესი საბჭოებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სესიებზე.

საკავშირო დონეზე რეფერენდუმის მოწყობის გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ და მხოლოდ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის გამგებლობას განეკუთვნება (სსრ კავშირის კონსტიტუციის 108-ე მუხლის მე-13 პუნქტი). უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა კი ორგანიზაცია უნდა გაუწიოს რეფერენდუმის მომზადებასა და ჩატარებას (სსრ კავშირის კონსტიტუციის 119-ე მუხლის მე-6 პუნქტი). ამასთანავე, კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად, ფაქტობრივად გაუქმდა საკანონმდებლო რეფერენდუმის ინსტიტუტი, ხოლო უზენაესი საბჭოს პალატებს შორის უთანხმოების საკითხის მოგვარება, რეფერენდუმის ნაცვლად, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობას დაეკისრა (სსრ კავშირის კონსტიტუციის 117-ე მუხლი).

ამრიგად, კანონმდებელმა, ერთი მხრივ, გააფართოვა რეფერენდუმის სუბიექტთა წრე და მისი გამოყენების არეალი, ხოლო, მეორე მხრივ, უარი თქვა ამ ინსტიტუტის ზოგიერთ, მაგრამ, მათ შორის ძირითად ფუნქციონალურ შესაძლებლობათა გამოყენებაზე. საბოლოოდ, გამოვიდა ერთი ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან. სამწუხაროდ, საკავშირო კანონების კვალდაკვალ მიმდევარ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში გასული წლის 18 ნოემბრის კანონით შეტანილი ცვლილებისას რაიმე ორიგინალობა არ გამოუჩენია ამ საკითხში.

ჩვენი საზოგადოების დემოკრატიზაციის შემდგომი გაღრმავებისა და სახალხო სუვერენიტეტის განმტკიცების მიზნით, აუცილებელია რეფერენდუმის ინსტიტუტის სამართლებრივი რეგლამენტაციის სრულყოფა, რომელმაც რეალურად უნდა უზრუნველყოს ხალხის უშუალო მონაწილეობა სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში. საამისოდ საჭიროა, სხვა ქვეყნების გამოცდილებების გათვალისწინებით, სათანადო ცვლილებები შევიტანოთ რესპუბლიკის კონსტიტუციაში და მის საფუძველზე, მივიღოთ სპეციალური კანონი რეფერენდუმის შესახებ.

რესპუბლიკის ძირითად კანონში, უწინარეს ყოვლისა, უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან რეფერენდუმის, პლებისციტისა და სახალხო განხილვის ინსტიტუტები და კუთვნილი ადგილი მიეჩინოს თითოეულ მათგანს. ამ მიზნით საქართველოს კონსტიტუციაში უნდა დაფიქსირდეს სამი გენერალური ნორმა:

პირველი. საქართველოს კანონის პროექტები, აგრეთვე რესპუბლიკის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები, საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიძლება გამოტანილ იქნეს სახალხო განხილვისათვის.

მეორე. საქართველოს კანონის პროექტები შეიძლება გადაეცეს სახალხო კენჭისყრისათვის (რეფერენდუმისათვის), თუ ამას მოითხოვს რეს-

პუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა, სულ ცოტა, მეხუთედი ან არანაკლებ რესპუბლიკის 600 ათასი მოქალაქისა, რომლებსაც საარჩევნო უფლება აქვთ.

მესამე. რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის უმნიშვნელოვანესი საკითხები შეიძლება გადაწყდეს სახალხო კენჭისყრით (პლებისციტით), რომელიც ეწყობა რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების მიერ, თავიანთი ინიციატივით, აგრეთვე რესპუბლიკის ან შესაბამის სახალხო დეპუტატთა საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა, სულ ცოტა, მეხუთედის მოთხოვნით, რომლებსაც საარჩევნო უფლება აქვთ.

მიზანშეწონილად გვესახება ასევე სავალდებულო კონსტიტუციური რეფერენდუმის შემოღება. საქართველოს ახალი კონსტიტუცია, ჩვენი აზრით, რეფერენდუმის გზით უნდა მივიღოთ, რაც უთუოდ გაზრდის ძირითადი კანონის მორალურ-პოლიტიკურ ავტორიტეტს.

რეფერენდუმის შესახებ კანონმა, რომელიც კონსტიტუციის საფუძველზე გამოიცემა, დეტალურად უნდა მოაწესრიგოს რეფერენდუმისა და პლებისციტის მოწყობის ყველა საკითხი. მასში აღნიშნული უნდა იყოს, რომ რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობს და თავის აზრს გამოთქვამს მხოლოდ ამომრჩეველთა კორპუსი, ე. ი. საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქენი. რაც შეეხება სახალხო განხილვას, მასში მონაწილეობის მიღების უფლება ეძლევა ყველას, მათ შორის საარჩევნო უფლების არმქონე პირებსაც.

კანონმა ამასთანავე უნდა დაადგინოს ზოგადი ნორმა, რომლის თანახმად, რეფერენდუმისა და პლებისციტის მოწყობამდე, როგორც წესი, იმავე საკითხსა თუ კანონპროექტზე წინასწარ უნდა ჩატარდეს სახალხო განხილვა. ასეთი წესი, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, მოსახლეობის გათვითცნობიერებას სახალხო კენჭისყრისათვის გამიზნული საკითხების არსში და მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მნიშვნელობაში, ხოლო, მეორე მხრივ, კანონმდებელს საშუალებას მისცემს, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, კიდევ უფრო სრულყოს კენჭისყრისათვის გადასაცემი კანონპრექტი. სახალხო განხილვის ინსტიტუტი, როგორც ცნობილია, მოწესრიგებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1988 წლის 11 ივნისის კანონით „სახელმწიფოებრივი ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხების სახალხო განხილვის შესახებ“.

კანონში მითითებული უნდა იყოს, რომ რეფერენდუმსა და პლებისციტის შედეგებს იურიდიული ძალა ექნებათ და, შესაბამისად, საკითხი გადაწყვეტილად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კენჭისყრაში მონაწილეობას მიიღებს საარჩევნო სიებში შეტანილ მოქალაქეთა ნახევარზე მეტი და საკითხს მხარს დაუჭერს მათი უმრავლესობა.

კანონმა უნდა განსაზღვროს რეფერენდუმის და პლებისციტის მომწყობი კომისიის შექმნის წესი, მისი უფლებამოსილებანი, მუშაობის ორგანიზაციის პრინციპები, ორგანიზაციული საკითხები.

სახალხო კენჭისყრის ჩატარებისას კანონიერების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა, დაწესდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იმ თანამდებობის პირთათვის, რომლებიც შეეცდებიან, გააყალბონ ბიულეტენები, განზრახ არასწორად დათვალონ ხმები, დაარღვიონ კენჭისყრის საიდუმლოება და სხვა. პასუხისმგებლობის ზომები უნდა იქნეს დადგენილი ასევე იმ პირთა მიმართ, რომლებიც სხვადასხვა გზებით ხელს შეუშლიან მოქალაქეებს, განახორციელონ თავიანთი უფლება – მონაწილეობა მიიღონ რეფერენდუმსა და პლებისციტში.

ასეთია ჩვენი მოსაზრებები რეფერენდუმის შესახებ მომავალი კანონის ზოგიერთ საკითხზე. კანონის მიღება, ბუნებრივია, სტიმულს მისცემს უშუალო დემოკრატიის ამ ინსტიტუტების ამოქმედებას. ამასთანავე, ჩვენი აზრით, საჭირო გახდება გარკვეული ბალანსის დამყარება წარმომადგენლობითი და უშუალო დემოკრატიის ინსტიტუტების ფუნქციონირებისას. ისინი ერთმანეთს უნდა ავსებდნენ. მათ შორის თანაფარდობამ არ უნდა გამოიწვიოს ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების როლისა და მნიშვნელობის დაქვეითება, მათი ავტორიტეტის დაკნინება.

დაბოლოს, ერთ გარემოებაზეც გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. რეფერენდუმი, მართალია, სახალხო სუვერენიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ რა პოლიტიკური რეჟიმის პირობებში ხდება მისი გამოყენება. რეფერენდუმისათვის არაერთხელ მიუმართავთ მილიტარისტულ დიქტატურებს არსებული რეჟიმის განსამტკიცებლად. მაგალითად, ფაშისტურ გერმანიაში სამჯერ მოეწყო რეფერენდუმი: 1933 წელს – ერთა ლიგიდან გერმანიის გამოსვლის შესახებ, 1934 წელს – პრეზიდენტისა და „ფიურერ" რეიხსკანცლერის პოსტების შეერთების თაობაზე, ხოლო 1938 წელს – გერმანიასთან ავსტრიის შეერთების საკითხზე.

მიუხედავად ამისა, რეფერენდუმს არაერთხელ მოუტანია გამარჯვება დემოკრატიული ძალებისათვის. სწორედ ამ იმედით უნდა შევხედოთ რეფერენდუმის ინსტიტუტს ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე დემოკრატიზაციის პირობებში.

ჯონი ხეცურიანი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

გაზეთი „კომუნისტი", №63-64, 1990 წელი, 18 მარტი.

პოლიტიკური პარტიები
კონსტიტუციური რეგულირების გამოცდილება

ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესებმა, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის ამოცანების გადაჭრამ ობიექტურად მოითხოვა რეალური პოლიტიკური პლურალიზმის დამკვიდრება. უწინარეს ყოვლისა, იგი გულისხმობს საკანონმდებლო გზით საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში პარტიების როლისა და ადგილის განსაზღვრას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მონოპოლიური მდგომარეობის დაკარგვამ, ერთპარტიული ტოტალიტარული რეჟიმის ფაქტობრივმა მსხვრევამ, სხვადასხვა მსოფლმხედველობრივ საფუძველზე აღმოცენებულმა და დღეს უკვე სინამდვილედ ქცეულმა პოლიტიკური ორგანიზაციების არსებობამ დღის წესრიგში დააყენა პოლიტიკური სისტემის ამ უმნიშვნელოვანესი ელემენტების სამართლებრივი ლეგალიზაციისა და მათი საქმიანობის სამართლებრივ ფორმებში მოქცევა.

სსრ კავშირისა და საქართველოს კონსტიტუციებში ამ ბოლო დროს განხორციელებულმა ცვლილებებმა პოლიტიკური პლურალიზმი სამართლებრივ სინამდვილედ გადააქცია.

ამასთანავე, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ პოლიტიკური პარტიების სამართლებრივი მდგომარეობის, ისე როგორც სხვა დემოკრატიული ინსტიტუტების სამართლებრივი რეგლამენტაციის სრულმა ჩამორჩენილობამ, რომელიც ჩვენი იურიდიული აზროვნებისა და პრაქტიკისათვის ასეა დამახასიათებელი, აქაც იჩინა თავი.

საკმარისია ითქვას, რომ კონსტიტუცია არ იძლევა ლეგალურ განმარტებას, მოქალაქეთა თუ როგორი გაერთიანება ჩაითვლება პოლიტიკურ პარტიად. არ არის გამოკვეთილი მათი მთავარი დანიშნულება, ძირითადი ფუნქციები, სახელმწიფო ორგანოებთან დამოკიდებულების ფორმები და სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხები.

ამ მხრივ მდიდარი გამოცდილება აქვთ საზღვარგარეთის დემოკრატიულ ქვეყნებს, რომელთა გათვალისწინება და გამოყენება, ვფიქრობთ, აუცილებელია, რამეთუ პოლიტიკური პარტიების შესახებ სპეციალური კანონმდებლობის შექმნას ჩვენი სახელმწიფო პრაქტიკულად სულ ახლახანს შეუდგა.

თანამედროვე მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების პარტიულ-სახელმწიფოებრივი მექანიზმის განვითარებამ გამოიწვია არა მარტო პარტიული ინსტიტუტების გავლენის გაძლიერება სახელმწიფოებრივ სტრუქტურებზე, არამედ სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ერთგვარი

უკუზემოქმედება პოლიტიკურ პარტიებზე. გამოიკვეთა პოლიტიკური პარტიების ფორმალიზაციის მყარი ტენდენცია, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების გარდაუვალი შედეგია.

პოლიტიკურ პარტიათა ფორმალიზაცია ორ ასპექტში უნდა განვიხილოთ. პირველი გულისხმობს პარტიების სრულყოფას, მათი ინსტიტუციური განმტკიცების პროცესს, რომლის შედეგადაც პოლიტიკური პარტიები იძენენ მკაფიო სახეს. მეორე ასპექტი მოიცავს პარტიების ფორმალიზაციის პროცესს, ამ სიტყვის საკუთრივ სამართლებრივი გაგებით, სახელდობრ, პოლიტიკური პარტიების საქმიანობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლების შექმნას. უნდა ითქვას, რომ ორივე ეს ასპექტი ორგანულად ურთიერთდაკავშირებულია. პარტიული საქმიანობის ნორმატიული რეგულირება მით უფრო ეფექტიანია, რაც უფრო მაღალია მათი ორგანიზებულობის დონე და პირიქით, ამ სფეროს ნორმატიული რეგულირების თვით ფაქტი ხელს უწყობს პოლიტიკურ პარტიათა უფრო სრულყოფილი ორგანიზაციული გაფორმების პროცესს.

ჩვენთვის, უწინარეს ყოვლისა, საინტერესოა პოლიტიკურ პარტიათა ფორმალიზაციის პირველი ასპექტი, რადგანაც იგი უშუალოდ უკავშირდება რეგულირების სამართლებრივი მექანიზმის საკითხებს. რაც შეეხება მეორე ასპექტს, აქ სამართლებრივ ნორმებთან ერთად დიდ როლს ასრულებენ არასამართლებრივი სოციალური ნორმები, სახელდობრ, პარტიული ცხოვრების ნორმები. მაგრამ ვიდრე ჩვენთვის საინტერესო საკითხის განხილვას შევუდგებოდეთ, მოკლედ შევჩერდებით ერთ გარემოებაზე, რომელსაც, ვფიქრობთ, გარკვეული მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური პარტიების მდგომარეობის საერთო დახასიათებისა და მათი განვითარების ძირითადი ტენდენციების გასარკვევად. საქმე იმაშია, რომ საზღვარგარეთის მთელ რიგ ქვეყნებში პოლიტიკური პარტიები, მათ შორის წამყვანი, მსხვილი პარტიები (მაგალითად, დამოუკიდებელი რესპუბლიკური პარტია საფრანგეთში, რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიები აშშ-ში და სხვა), როგორც წესი, ორგანიზაციულად გაუფორმებელ მდგომარეობაში არსებობენ, ამ სიტყვის ჩვენს ქვეყანაში მიღებული გაგებით. ორგანიზაციული საკითხები მათთვის მეორე პლანზეა გადატანილი. ამიტომ პარტია წარმოგვიდგება არა როგორც „პარტია-ორგანიზაცია", არამედ როგორც „პარტია-გავლენა". პარტიების ასეთი მდგომარეობა შეესაბამება მათ ძირითად ამოცანებს – თავიანთ იდეურ-პოლიტიკური გავლენის სფეროში მოაქციონ მოსახლეობის ფართო მასები. ასეთი პარტიები, ჩვეულებრივ, პარტიული აპარატის გარეშე მოქმედებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ იდეურ-პოლიტიკური გავლენის გაძლიერების გზების ძიება ზემოაღნიშნულ პარტიებს სულ უფრო კარნახობს სტრუქტურულ-ორგანიზაციული გარდაქმნების აუცილებლობას. ბოლო წლებში, ამ თვალსაზრისით, მათ განიცადეს კიდევაც ორგანიზაციული

მოდერნიზაცია, რაც გამოიხატა თვით პარტიის წევრობის ინსტიტუციონალიზაციაში (წევრობის დამადასტურებელი ბილეთების, პერიოდული სანევრო შესატანების, პარტიის წევრთა აღრიცხვის სისტემის შემოღება და ა. შ.). ნიშანდობლივია, რომ ისეთი კლასიკური ორგანიზაციულად გაუფორმებელი პარტიებიც კი, როგორებიცაა რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიები ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბოლო პერიოდში დაადგნენ პარტიული ორგანიზაციების განმტკიცების გზას. ამ მიზნით, 1974 წელს მიიღეს დემოკრატიული პარტიის წესდება, ხოლო 1976 წელს რესპუბლიკური პარტიის ეროვნულმა კონგრესმა მოიწონა სპეციალური წესები. როგორც ვხედავთ, პოლიტიკური პარტიების სტრუქტურულ-ორგანიზაციული სრულყოფა, მათი ფორმალიზაცია თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. იგი უშუალოდ უკავშირდება პოლიტიკური პარტიების საქმიანობის სამართლებრივი ბაზის შექმნას, რომლის მეოხებითაც შესაძლებელი ხდება მათი როლისა და ადგილის განსაზღვრა პოლიტიკურ სისტემაში, ფიქსირდება მათი მიზნები და ამოცანები, შექმნისა და რეგისტრაციის წესი, საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი, რეგულირდება ორგანიზაციული მოწყობის, დაფინანსების საკითხები და სხვა.

კანონმდებლობა სულ უფრო გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს პარტიებს სტრუქტურულ-ორგანიზაციული მოწყობის თვალსაზრისით, რომლებსაც ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ, თუ სურთ პარტიის სტატუსის შენარჩუნება და, შესაბამისად, პოლიტიკურ ცხოვრებაში ოფიციალური მონაწილეობის უფლების დამკვიდრება.

პოლიტიკური პარტიების სამართლებრივი რეგულირებისათვის სხვადასხვა ფორმები გამოიყენება. საამისოდ შექმნილი ნორმატიული აქტები განსხვავდებიან იურიდიული ძალის, სპეციალიზაციის დონისა და წარმომავლობის მიხედვით. თუ ისტორიული განვითარების თვალსაზრისით განვიხილავთ ამ აქტებს, ისინი შეიძლება ოთხ ჯგუფში მოვაქციოთ: 1) პარტიული საქმიანობის რეგლამენტაცია ისეთი ნორმატიული აქტებით, რომლებიც ეხება ამა თუ იმ სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტების ფუნქციონირებას (მაგალითად, საარჩევნო კანონი, პარლამენტის პალატების რეგლამენტი, მუნიციპალური ადმინისტრაციის კოდექსი და სხვა); 2) პარტიების საქმიანობასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საქმეებზე არსებული სასამართლო გადაწყვეტილებანი და პრეცედენტი, რომლებიც გამოიყენება პოლიტიკურ პარტიათა სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრისათვის; 3) პარტიების შექმნისა და ფუნქციონირების ძირითადი პრინციპების შესახებ კონსტიტუციური ნორმები და 4) პარტიების შესახებ სპეციალური ნორმატიული აქტები (კანონები, დეკრეტები, დადგენილებები), რომლებშიც რეგლამენტირებულია პოლიტიკური პარტიების საქმიანობის როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული საკითხი.

ჩვენ შევჩერდებით პოლიტიკური პარტიების რეგულირების კონსტიტუციურ ფორმებზე, რადგანაც, ჯერ ერთი, პირველ და მეორე ჯგუფში მოქცეული აქტები სამართალშემოქმედების უკვე განვლილ ეტაპს განეკუთვნება და მეორეც, პოლიტიკური პარტიების სამართლებრივი რეგულირების კონსტიტუციურ ნორმებს, თავისი იურიდიული ძალის გამო, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პარტიების შესახებ კანონმდებლობისათვის მთლიანად.

ისტორიულად, პირველი ნაბიჯები პარტიების კონსტიტუციურ რეგულირებაში ჩვენი საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევარში გადაიდგა. პრაქტიკულად საზღვარგარეთის ქვეყნების ყველა კონსტიტუციაში, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მიიღეს (იტალია, საფრანგეთი, პორტუგალია, ესპანეთი და სხვა), რომ აღარაფერი ვთქვათ კოლონიური დამოკიდებულებიდან განთავისუფლებული ქვეყნების ახალ კონსტიტუციებზე, პოლიტიკური პარტიების საკითხი მეტ-ნაკლებად აუცილებლად არის წარმოდგენილი. უფრო მეტიც, შეინიშნება კონსტიტუციის შესაბამისი ნორმების რაოდენობის ზრდის ტენდენცია, რომელიც ზოგჯერ ფრიად კონკრეტულ საკითხებსაც კი ეხება. ამის მაგალითად გამოდგება შვეიცარიის (1974 წლის), საბერძნეთის (1975 წლის), პორტუგალიის (1976 წლის), ესპანეთის (1978 წლის) კონსტიტუციები, რომლებშიც პარტიებს ეძღვნებათ თითო-ოროლა მუხლი. ესპანეთის კონსტიტუციაში პოლიტიკურ პარტიებს დათმობილი აქვთ ოთხი მუხლი, პორტუგალიის კონსტიტუციაში კი – ათი. ამის შედეგად, კონსტიტუციური კანონმდებლობა პოლიტიკური პარტიების შესახებ მეტად ფართოდაა წარმოდგენილი და არეგულირებს მათი ფუნქციონირების პრაქტიკულად ყველა ძირითად საკითხს. ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა, რომელიც კონსტიტუციური კანონმდებლობის რეგულირების საგანს წარმოადგენს, არის პარტიების დანიშნულების, მათი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა. პარტიები უპირატესად განხილული არიან როგორც არჩევნების მომზადებისა და ჩატარების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტები. საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა, ამომრჩეველთა ნების ჩამოყალიბებისადმი ხელის შეწყობა, კონსტიტუციური ნორმების თანახმად, პოლიტიკური პარტიების ძირითად ფუნქციადაა მიჩნეული. საფრანგეთის კონსტიტუციის მე-4 მუხლში ჩაწერილია, რომ „პოლიტიკური პარტიები და დაჯგუფებები ხელს უწყობენ აზრის გამოხატვას კენჭისყრით". პორტუგალიის კონსტიტუციის 47-ე მუხლში კი ნათქვამია: „პარტიები ხელს უწყობენ ხალხის ნების ფორმირებას და პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაციას". საყურადღებოა აგრეთვე აქტი შვეიცარიის მმართველობის ფორმის შესახებ, რომელიც საარჩევნო ფუნქციაზე დაყრდნობით, პარტიის თავისებურ განმარტებასაც იძლევა, მის თანახმად, პარტიაში იგულისხმება ამომრჩეველთა ყო-

ველგვარი გაერთიანება ან ჯგუფი, რომელიც არჩევნებში გამოდის განსაკუთრებული სახელწოდებით.

პოლიტიკურ პარტიათა ასეთი განმარტება არ არის შემთხვევითი. იგი, კიდევ ერთხელ, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სწორედ პოლიტიკურ პარტიათა წინასაარჩევნო აქტიურობის სამართლებრივი რეგლამენტაციის მოთხოვნილებამ მისცა ძირითადი ბიძგი პარტიების საქმიანობის ნორმატიული რეგულირების შემდგომ განვითარებას. რასაკვირველია, პარტიების როლი და ადგილი პოლიტიკურ ცხოვრებაში უფრო ფართოა, ვიდრე არჩევნების მომზადებაში მონაწილეობა.

საზღვარგარეთის დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციურ კანონმდებლობაში პოლიტიკური პარტიების ფართო გაგებასაც ვხვდებით. მაგალითად, იტალიის კონსტიტუციის 49-ე მუხლში ჩაწერილია, რომ პარტიები იქმნება იმ მიზნით, „რათა დემოკრატიული გზით ხელი შეუწყოს ნაციონალური პოლიტიკის განსაზღვრას". უფრო მკაფიოდ კი პოლიტიკურ ცხოვრებაში პარტიის ადგილის შესახებ ესპანეთის კონსტიტუციაშია ნათქვამი. ამ ქვეყნის ძირითადი კანონი პოლიტიკურ პარტიას განიხილავს როგორც „პოლიტიკური საქმიანობის ძირითად ელემენტს". ასეთი განმარტება, თავის მხრივ, შესაძლებლობას იძლევა პარტიული საქმიანობის ყველა ასპექტის კონსტიტუციური რეგულირებისათვის როგორც არჩევნების მიმდინარეობისას, ისე არჩევნებს შორის პერიოდში.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებში მონაწილეობა კონსტიტუციური კანონმდებლობით მიჩნეულია პარტიების ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად, ძირითად კანონებში ამასთან დაკავშირებით მხოლოდ პარტიებზე როდია ლაპარაკი.

ზოგიერთი ქვეყნების (გფრ, იტალია, საბერძნეთი, ესპანეთი და სხვ.) კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, საფრანგეთის, პორტუგალიისა და სხვა ქვეყნების ძირითად კანონებში, პოლიტიკურ პარტიებთან ერთად, მოხსენიებული არიან დაჯგუფებები და ასოციაციები. ეს პირდაპირ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ არჩევნებში, პოლიტიკურ პარტიებთან ერთად, შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ამომჩრეველთა გაერთიანებებმა, დაჯგუფებებმა, რომლებიც დროებით იქმნებიან და ორგანიზაციულად არამდგრადი არიან. ამ საკანონმდებლო ნიუანსის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ კონსტიტუციურ დონეზე პრაქტიკულად გამოირიცხოს არჩევნებში პოლიტიკური პარტიების მონოპოლია კანდიდატების წამოყენებისას და, შესაბამისად, მათი მონოპოლიური უფლება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფორმირებაზე.

საზღვარგარეთის დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციური კანონმდებლობა დიდ ყურადღებას უთმობს პოლიტიკური პარტიების შექმნის წესს. თითქმის ყველა ძირითად კანონში დაფიქსირებულია პარტიების თავისუფალი შექმნის დემოკრატიული პრინციპი. შედარებით უფრო

ნათლად ეს პრინციპი ჩამოყალიბებულია იტალიის კონსტიტუციის მე-18 მუხლში: „მოქალაქეებს უფლება აქვთ, თავისუფლად, განსაკუთრებული ნებართვის გარეშე, გაერთიანდნენ იმ მიზნებისათვის, რომლებიც ცალკეული პირებისათვის არ არის აკრძალული სისხლის სამართლის კანონით". ნიშანდობლივია, რომ მოქალაქეთა თავისუფალი გაერთიანების უფლებას აკანონებენ ის კონსტიტუციებიც, რომლებშიც ვერ ვხვდებით სპეციალურ მითითებას პარტიებზე. ამის თაობაზე, როგორც წესი, ლაპარაკია კონსტიტუციების იმ თავებში, რომლებიც მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს ეძღვნება (ბელგიის, შვეიცარიის, დანიის, ნიდერლანდების, ფინეთისა და სხვა ქვეყნების კონსტიტუციები).

პარტიების შექმნის თავისუფლება ამავე დროს აბსოლუტური ხასიათისა არ არის. ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუციური კანონმდებლობა კრძალავს ან ზღუდავს პატარა პარტიების საქმიანობას. მაგალითად, პორტუგალიის კონსტიტუციის 311-ე მუხლი ნებას არ იძლევა, შეიქმნას პატარ-პატარა ადგილობრივი პარტიები. შვეციის ძირითადი კანონის მიხედვით, პარტიებს, რომლებმაც არჩევნებში ხმების 4%-ზე ნაკლები მოაგროვეს, უფლება არა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ პარლამენტის მანდატების განაწილებაში. აღნიშნული ამკრძალავი ნორმების ძირითადი მიზანია, არ დაუშვას პოლიტიკურ ძალთა დაქსაქსვა, დაიცვას პარლამენტი პატარა, ნაკლებგავლენიანი პარტიებისაგან, რომლებიც ამცირებენ პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობას.

მთელი რიგი ქვეყნების კონსტიტუციები კრძალავენ უკიდურესად მემარჯვენე, რეაქციული პარტიებისა და ორგანიზაციების, საიდუმლო და სამხედრო ხასიათის გაერთიანებების, აგრეთვე აშკარად ფაშისტური ყაიდის ორგანიზაციების შექმნას, რომლებიც იყენებენ ძირგამომთხრელი საქმიანობის მეთოდებს იტალიისა და პორტუგალიის კონსტიტუციებში. მაგალითად, სპეციალურად არის მითითებული ფაშისტური პარტიების მოქმედების აკრძალვის შესახებ. უფრო მეტიც, ამ ქვეყნებში სპეციალური კანონებიც კი არის მიღებული ფაშისტური ორგანიზაციების აკრძალვის თაობაზე. მათში მოცემულია კრიტერიუმები, თუ როგორი ორგანიზაციები შეიძლება მიეკუთვნოს ფაშისტური პარტიების კატეგორიას.

ერთ-ერთ სერიოზულ პირობას, რომელსაც კონსტიტუციური ნორმები უყენებენ პოლიტიკურ პარტიებს, წარმოადგენს მოთხოვნა, არ დაარღვიონ დემოკრატიის პრინციპები, იმოქმედონ დემოკრატიული მეთოდების საფუძველზე, პატივი სცენ დემოკრატიულ წესრიგს. ეს მოთხოვნა ვრცელდება პარტიების როგორც გარე საქმიანობის, ისე შიდაპარტიული ცხოვრების მიმართ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის 21-ე მუხლში პირდაპირაა ნათქვამი, რომ „პარტიების შინაგანი ორგანიზაცია უნდა შეესაბამებოდეს დემოკრატიულ პრინციპებს". ეს მოთხოვნა, ბუნებრივია, სამართლიანია იმდენად, რამდენადაც შეუძლებელია

პარტიას მოსთხოვო სხვა პარტიებთან ურთიერთობაში დემოკრატიული პრინციპების დაცვა მაშინ, როცა თავად მისი შინაგანი ცხოვრება და ორგანიზაცია არადემოკრატიულ წესებზეა აგებული.

კონსტიტუციური კანონმდებლობის მიხედვით, პოლიტიკური პარტიები მოვალენი არიან, იცავდნენ კონსტიტუციას. ესპანეთის კონსტიტუციის მე-6 მუხლში ეს დებულება პირდაპირ არის შეტანილი. კონსტიტუციური კანონიერების რეჟიმის დაცვას მოითხოვს პოლიტიკური პარტიებისაგან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონიც. მის 21-ე მუხლში ნათქვამია, რომ „პარტიები, რომლებიც თავის მიზნებითა და მომხრეთა საქმიანობით ცდილობენ, ზიანი მიაყენონ თავისუფალი დემოკრატიული წესრიგის საფუძვლებს, ან მოშალონ იგი... ანტიკონსტიტუციური არიან". ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუციაში (მაგალითად, საფრანგეთი), მართალია, პირდაპირ არ არის კონსტიტუციის დაცვის მოთხოვნა ჩაწერილი, მაგრამ ფაქტობრივად იგივე აზრი გადმოცემულია სხვაგვარი ფორმულირებით. ზემოაღნიშნული ქვეყნის ძირითადი კანონის მე-4 მუხლი პოლიტიკურ პარტიებს ავალებს, პატივი სცენ ნაციონალური სუვერენიტეტისა და დემოკრატიის პრინციპებს. ამ მუხლის ერთ-ერთი წინასწარი ვარიანტი, ვფიქრობთ, უფრო მკაფიოდ გამოხატავს იმ არსს, რომელსაც გულისხმობდა კანონმდებელი მოცემული ნოველის შექმნისას. მასში აღნიშნული იყო, რომ „პოლიტიკური ორგანიზაციები და დაჯგუფებანი ვალდებული არიან, იხელმძღვანელონ დემოკრატიული პრინციპებით და არ იმყოფებოდნენ საზღვარგარეთის კონტროლის ქვეშ".

არანაკლები პოლიტიკურ-სამართლებრივი მნიშვნელობისაა საკითხი, თუ ვინ არის უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება ამა თუ იმ პარტიის კონსტიტუციურობის შესახებ. საფრანგეთის კონსტიტუცია ამაზე გარკვევით პასუხობს. პრეზიდენტს უფლება აქვს, ერთპიროვნულად გადაწყვიტოს საკითხი კონკრეტული პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ (მე-5 მუხლი).

ბევრ ქვეყანაში ეს ფუნქცია დაკისრებული აქვს სასამართლოს (ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი) ან კონსტიტუციური კონტროლის ორგანოებს (მაგ., გფრ).

კონსტიტუციური კანონმდებლობა, გარდა ზემოაღნიშნულისა, ითვალისწინებს აგრეთვე პოლიტიკურ პარტიებზე კონტროლის სხვა ფორმასაც, კერძოდ, ფინანსურს. ძირითად კანონებში ამასთან დაკავშირებით ორი პრინციპია დაფიქსირებული: პარტიების საქმიანობაზე ფინანსური კონტროლის მიზანშეწონილობის პრინციპი და დაფინანსების წყაროების შესახებ პარტიების საჯარო ანგარიშების პრინციპი.

დემოკრატიული ქვეყნების ახალი კონსტიტუციები მნიშვნელოვან ადგილს უთმობენ პარტიების საპარლამენტო მოღვაწეობის სამართლებრივი რეგულირების საკითხებს. ამავე დროს ძირითადი აქცენტი გადატა-

ნილია პარტიულ ფრაქციებზე. ომის შემდგომ წლებში ამ საკითხს პირველად იტალიის კონსტიტუცია შეეხო. პარტიულ ფრაქციებზე ნორმებს ვხვდებით აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საბერძნეთისა და ესპანეთის კონსტიტუციებში. კონსტიტუციური კანონმდებლობა, როგორც წესი, ამკვიდრებს პარლამენტის კომისიებში პარტიული ფრაქციების პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც იგი გარკვეულ საფუძველს ქმნის პარლამენტის პალატების რეგლამენტში პარტიული ფრაქციების საკითხის დეტალური რეგულირებისათვის. ამასთან, კონსტიტუციურ დონეზე აღიარებულია პარტიული ფრაქციების და საერთოდ პოლიტიკური პარტიების დიდი როლი პარლამენტის ფუნქციონირებაში.

ზოგიერთი კონსტიტუცია მხოლოდ ზოგადი დებულებებით არ შემოიფარგლება და უფრო დეტალურად არეგულირებს პარტიული ფრაქციების უფლებამოსილებებს. პორტუგალიის ძირითადი კანონი, მაგალითად, ითვალისწინებს ყოველი პარლამენტური ფრაქციის უფლებას, დაადგინოს პალატების სხდომების დღის წესრიგი, შეიტანოს წინადადება პარლამენტის მოწვევის შესახებ, მოითხოვოს პარლამენტის საგამოძიებო კომისიის შექმნა და სხვა.

მთელი რიგი ქვეყნების კონსტიტუციურ კანონმდებლობაში გარკვეული ყურადღება ეთმობა პარტიების როლის განსაზღვრას მთავრობის ფორმირებაში. მეფის მიერ პოლიტიკურ ჯგუფებთან კონსულტაციების მოწყობას მთავრობის ფორმირებისას სავალდებულოდ ხდის, მაგალითად, ესპანეთის კონსტიტუცია (99-ე მუხლი). ადრე ეს საკითხები საერთოდ არ ყოფილა კონსტიტუციურ დონეზე განხილვის საგანი. ძირითადი კანონის ევოლუცია, ამ თვალსაზრისით, პოლიტიკური პარტიების როლის გაძლიერებაზე მიგვანიშნებს სახელმწიფო მექანიზმის ფუნქციონირებაში.

ბოლო პერიოდში მიღებული კონსტიტუციები პარტიული საქმიანობის რეგლამენტაციისას უაღრესად წვრილმან საკითხებსაც არ უვლიან გვერდს. მაგალითად, მათი რეგულირების საგანია პარტიის წევრობა. პორტუგალიის კონსტიტუცია კრძალავს ერთდროულად რამდენიმე პარტიაში წევრობას. ამასთანავე, არ დაიშვება მოქალაქეთა დევნა კანონიერ საფუძველზე შექმნილი პოლიტიკური პარტიის წევრობის გამო ან მისი შემადგენლობიდან გასვლისათვის. საბერძნეთის კონსტიტუციას შემოღებული აქვს ასაკობრივი ცენზი პარტიის წევრობისათვის, რომელიც განისაზღვრება არჩევნებში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის დადგენილი ასაკით. ზოგიერთი კონსტიტუციის მიხედვით, ცალკეული კატეგორიის სახელმწიფო მოსამსახურეთათვის დაწესებულია პარტიის წევრობის შეუთავსებლობა (მაგალითად, მოსამართლეები, კადრის სამხედრო მოსამსახურეები, პოლიციის თანამშრომლები და ა. შ.). პირველად ეს სიახლე შემოიღო იტალიის კონსტიტუციამ (98-ე მუხლი).

საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური კანონმდებლობა შეიცავს აგრეთვე ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ პარტიების რეგისტრაციის წესს. ამასთან, მიუთითებენ, თუ რა მიზანს ისახავს ასეთი მოთხოვნების შემოღება.

პარტიების სახელწოდების საკითხიც კონსტიტუციურ დონეზეა განსაზღვრული. დადგენილია ცალკეული შეზღუდვები მისი შერჩევის დროს, მოწესრიგებულია პარტიების დამოკიდებულება სამოქალაქო იურიდიულ პირებთან, სანარმოებთან და ა. შ.

როგორც ვხედავთ, თანამედროვე მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციური კანონმდებლობა პოლიტიკური პარტიების შესახებ უაღრესად მდიდარია როგორც შინაარსით, ისე იურიდიულ-ტექნიკური თვალსაზრისით. იგი პოლიტიკურ-სამართლებრივი აზროვნების ხანგრძლივი განვითარების შედეგია, რომლის საფუძველზე, ჩამოყალიბდა კიდეც სპეციალური კანონმდებლობა პოლიტიკური პარტიების შესახებ. ამით პოლიტიკური პარტიების იურიდიული ინსტიტუციონალიზაციის პროცესმა დასრულებული სახე მიიღო.

ჩვენ სამართალშემოქმედების ეს გზა ჯერ კიდევ გასავლელი გვაქვს. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება, თუ იმ ორიენტირებს გავყვებით, რომლებიც უკვე კარგა ხანია მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების იურიდიული აზროვნების მიღწევებს წარმოადგენენ და მათი ეფექტიანობა დადასტურებულია სამართალშეფარდების ხანგრძლივი პრაქტიკით.

ჯონი ხეცურიანი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა
და სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

გაზეთი „ცხოვრება და კანონი“, №2, 1990 წელი, 10 ივნისი.

პოლიტიკური პარტიები
სამართლებრივი რეგულირების საკითხები

საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციებში ამ ბოლო დროს განხორციელებულმა ცვლილებებმა პოლიტიკური პლურალიზმი სამართლებრივ სინამდვილედ გადააქცია. საკავშირო კანონების ფეხდაფეხ მიმდევარმა საქართველოს კანონმდებელმა რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-6, მე-7 და 49-ე მუხლების ახალი რედაქციის მიღებით, საფუძველი დაუდო მრავალპარტიული სისტემის ლეგალური არსებობის შესაძლებლობას.

დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის გზაზე გადაიდგა პირველი, მაგრამ, ამასთან, უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ნოვაცია ძირითადი კანონის დონეზე ასახავს იმ რეალურ სურათს, რომელიც კომუნისტური პარტიის მონოპოლიური მდგომარეობის დასასრულსა და ერთპარტიული ტოტალიტარული რეჟიმის მსხვრევის დასაწყისში მდგომარეობს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თანამედროვე მსოფლიოში ერთპარტიული სისტემები შემორჩენილია ისეთ ქვეყნებში (ზაირი, კამერუნი, გაბონი და სხვ.), რომლებშიც ავტორიტარული რეჟიმები მძვინვარებს, ვფიქრობთ, გადამეტებულად არ ჩაგვეთვლება ჩვენი სახელმწიფოს მცდელობის ესოდენ მაღალი შეფასება, თავი დააღწიოს ზემოთ მითითებულ ქვეყნებთან არასახარბიელო მსგავსებას.

ამასთანავე, არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ პირველი ნაბიჯი, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც არასრულყოფილი გამოდგა. პოლიტიკური პარტიების, აგრეთვე სხვა დემოკრატიული ინსტიტუტების სამართლებრივი რეგლამენტაციის სრულმა ჩამორჩენილობამ, რომელიც ჩვენი იურიდიული აზროვნებისა და პრაქტიკისათვის ასე დამახასიათებელია, აქაც იჩინა თავი. პოლიტიკური პარტიების შესახებ ამჟამად მოქმედი კონსტიტუციური დებულებები, ჩვენი აზრით, ვერ ქმნიან სათანადო ნორმატიულ ბაზას პოლიტიკური სისტემის ამ უმნიშვნელოვანესი ელემენტების სრულყოფილი სამართლებრივი რეგულირებისათვის. იგი არ იძლევა ორიენტირებს, რომლებიც აუცილებელია ამ სფეროში სპეციალური კანონმდებლობის ჩამოყალიბებისათვის. არადა, ასეთი კანონმდებლობის შექმნის ამოცანა უკვე რეალურად დგას რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წინაშე.

საქართველოს ძირითადი კანონის მე-6 და მე-7 მუხლები პოლიტიკურ პარტიებს არ განასხვავებენ სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან. მათ ერთგვაროვანი სამართლებრივი სტატუსი აქვთ მინიჭებული. ისინი სახალხო დეპუტატთა საბჭოებში არჩეული თავიანთი წარმომად-

გენლების მეშვეობით თანაბარ საფუძვლებზე მონაწილეობენ სახელმწიფოს პოლიტიკის შემუშავებაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში. საკითხის ამგვარ გადაწყვეტას, ჩვენი აზრით, ის ნაკლი აქვს, რომ პოლიტიკურ პარტიებსა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ვთქვათ, მონადირეთა კავშირს ან ყრუ-მუნჯთა საზოგადოებას, ერთნაირი ადგილი აქვთ მიჩენილი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში. მაშინ როცა ნებისმიერი საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში ამ ორგანიზაციების როლის, ფუნქციებისა და დანიშნულების აშკარა განსხვავებულობა, ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. აქვე გვინდა დავძინოთ, რომ ძირითადი კანონის ასეთი პოზიცია მიმართულებას აძლევს კანონმდებელს, სამართლებრივი რეგულირების ერთიანი რეჟიმი დაადგინოს პოლიტიკური პარტიებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის სპეციალური კანონმდებლობის დონეზე, ე. ი. ზემოაღნიშნული ორგანიზაციების საქმიანობა, განურჩევლად მათი პროფილისა, მოაქციოს ერთ საკანონმდებლო აქტში. ამის ნათელი დადასტურებაა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ მიმდინარე წლის 30 მაისს პირველი წაკითხვით მოწონებული კანონპროექტი „საზოგადოებრივ გაერთიანებათა შესახებ", რომელიც ახლახან გამოქვეყნდა პრესაში განსახილველად.

ამ აქტის გაცნობისას ისეთი შთაბეჭდილება გეუფლება, თითქოს, პოლიტიკური პარტიების სამართლებრივი რეგულირების არავითარი გამოცდილება არ არსებობდეს თანამედროვე მსოფლიოს სამართლებრივ სისტემებში და საბჭოთა კანონმდებელი სამართალშემოქმედების გაუკვალავ გზას დასდგომია.

ამ დროს დემოკრატიული ქვეყნების კანონმდებლობა პოლიტიკური პარტიების შესახებ უაღრესად მდიდარია როგორც შინაარსით, ისე იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით. იგი პოლიტიკურ-სამართლებრივი აზროვნების ხანგრძლივი განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა და პოლიტიკური პარტიების იურიდიული ინსტიტუციალიზაციის პროცესმა ამ ქვეყნებში უკვე კარგა ხანია დასრულებული სახე მიიღო. საკმარისია აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთის დემოკრატიული ქვეყნების ყველა კონსტიტუციაში, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მიიღეს (იტალია, საფრანგეთი, გფრ, საბერძნეთი, პორტუგალია, ესპანეთი და სხვ.), პოლიტიკური პარტიების სამართლებრივი სტატუსის საკითხები აუცილებლად არის გათვალისწინებული. რაც შეეხება სპეციალურ კანონმდებლობას, იგი სხვადასხვა ფორმითაა წარმოდგენილი. ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედებს კონკრეტული ნორმატიული აქტები, რომლებშიც უპირატესად ფინანსური საკითხებია რეგლამენტირებული. მაგალითად, კანონები და დადგენილებანი პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ შვეციაში (1965 წ.), ფინეთში (1969 წ.), იტალიაში (1974 წ.), აშშ-ში

(1974 წ.) და ა. შ. სხვა ქვეყნებში კი მიღებულია უფრო ფართო ხასიათის ნორმატიული აქტები. მაგალითად, კანონი პოლიტიკური პარტიების შესახებ გფრ-ში (1967 წ.), პორტუგალიაში (1974 წ.), ავსტრიაში (1975 წ.), ესპანეთში (1978 წ.) და ა. შ.

სამართალშემოქმედების ეს გზა, როგორც ზემოთ ითქვა, ჩვენ ჯერ კიდევ გასავლელი გვაქვს. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმ გამოცდილებას, რომელიც მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების იურიდიული აზროვნების მიღწევებს წარმოადგენს და მათი ეფექტიანობა სამართალშეფარდების ხანგრძლივი პრაქტიკით არის დადასტურებული. ამასთანავე, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ჩვენი ეროვნული განვითარების თავისებურებანი, რესპუბლიკაში პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობის პირობები, პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობის საკითხები და სხვა ფაქტორები.

უწინარესად, უნდა განისაზღვროს პოლიტიკური პარტიების შესახებ რესპუბლიკის კანონმდებლობის სისტემა. ჩვენი აზრით, პოლიტიკური პარტიების საქმიანობის ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტის – კანონის დონეზე. შესაბამისად, ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობა უნდა ჩამოყალიბდეს კონსტიტუციური ნორმებისა და სპეციალური კანონის სახით. საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულება უშუალოდ გამომდინარეობს როგორც სამართლებრივი რეგულირების საგნის დიდი მნიშვნელობიდან, ისე პოლიტიკური პარტიების საქმიანობისათვის მტკიცე იურიდიული გარანტიების შექმნის ინტერესებიდან.

რესპუბლიკის ძირითად კანონში მკაფიოდ უნდა გაიმიჯნონ პოლიტიკური პარტიები სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, რომლებიც მოქალაქეთა სხვადასხვა (არაპოლიტიკური) ინტერესების ერთიანობის საფუძველზე იქმნებიან. საამისოდ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი დაეთმოს მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს, ხოლო მე-7 მუხლი – მოქალაქეთა სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებს (პროფესიულ კავშირებს, ქალთა, ვეტერანთა, ახალგაზრდათა და ბავშვთა ორგანიზაციებს, შემოქმედებით კავშირებს, ფონდებს, ასოციაციებს და ა. შ.).

კონსტიტუციის მე-6 მუხლში პოლიტიკური პარტიისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნების საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს დეფინიცია, რომელშიც გადმოცემული იქნება, თუ როგორი ორგანიზაცია (მოქალაქეთა გაერთიანება) მიიჩნევა პოლიტიკურ პარტიად. ჩვენი აზრით, პოლიტიკურ პარტიას წარმოადგენს საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც ხელს უწყობს ხალხის პოლიტიკური ნების ჩამო-

ყალიბებას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში არჩეული თავისი წარმომადგენლების მეშვეობით და სხვა დემოკრატიული ფორმებით მონაწილეობს რესპუბლიკის ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში.

აქვე მითითებული უნდა იყოს, რომ პოლიტიკური პლურალიზმის შესაბამისად, დაშვებულია მრავალპარტიულობა. ამასთანავე, პოლიტიკური პარტიების საქმიანობის მიმართ უნდა დაფიქსირდეს ზოგადი მოთხოვნები, რომლებიც გამომდინარეობენ დემოკრატიისა და კანონიერების პრინციპების დაცვის ინტერესებიდან. სახელდობრ, მასში ნათქვამი უნდა იყოს, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა პატივი უნდა სცენ ეროვნული სუვერენიტეტისა და დემოკრატიის პრინციპებს, ეროვნული თანხმობის იდეას, იმოქმედონ კანონით დადგენილ უფლებამოსილებათა ფარგლებში. ამის შესაბამისად, უნდა აიკრძალოს ისეთი პარტიები, რომელთა მიზნები და საქმიანობა მიმართულია რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლის, მისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის, ეროვნული და რელიგიური შუღლის გაღვივებისაკენ.

ზემოაღნიშნული კონსტიტუციური დებულებების საფუძველზე, უნდა მივიღოთ სპეციალური კანონი პოლიტიკური პარტიების შესახებ, რომელშიც დეტალურად იქნება რეგლამენტირებული პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებული ყველა საკითხი. აღნიშნული საკანონმდებლო აქტის სტრუქტურისა და შინაარსის განსაზღვრისას ამოსავალ პოზიციად უნდა იქცეს კონსტიტუციურ ნორმებში მოცემული პოლიტიკური პარტიებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები და მასთან ლოგიკურად დაკავშირებული სხვა საკითხები.

როგორც ცნობილია, პოლიტიკური პარტიების ინსტიტუტი მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების არჩევნებთან. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ არჩევნებში მონაწილეობა პოლიტიკური პარტიების ის ძირითადი ფუნქციაა, რომელიც მათ განასხვავებს სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან. მართალია, პოლიტიკური პარტია სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მსგავსად მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანებაა, მაგრამ იგი ისეთი გაერთიანებაა, რომელსაც დასახული აქვს პოლიტიკური მიზნები, კერძოდ, სახელმწიფო ხელისუფლების დაუფლება ან მის განხორციელებაში მონაწილეობის მიღება. ამ მიზნის მისაღწევად პოლიტიკური პარტიები ცდილობენ, ხალხის მასებზე იდეურ-პოლიტიკური გავლენის მოპოვებით უზრუნველყონ თავიანთი წარმომადგენლების არჩევა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში.

როგორც ვხედავთ, არჩევნებში მონაწილეობა იმდენად მნიშვნელოვანი ფუნქციაა პოლიტიკური პარტიებისათვის, რომ მისი განხორციე-

ლება კანონის ძალით, მიჩნეულ უნდა იქნეს პოლიტიკური პარტიების სამართლებრივი სტატუსის აუცილებელ პირობად. ამ პირობის დარღვევა კი უნდა იწვევდეს გარკვეულ სამართლებრივ შედეგებს. აქ, ჩვენი აზრით, შეიძლება გამოვიყენოთ დასავლეთ გერმანიისა და პორტუგალიის კანონმდებლობის გამოცდილება. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონში პოლიტიკური პარტიების შესახებ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ, უკეთუ პარტია ექვსი წლის განმავლობაში არ წამოაყენებს თავის კანდიდატებს საარჩევნო კამპანიის ჩატარებისას, მას ჩამოერთმევა პარტიის სამართლებრივი სტატუსი. პორტუგალიური კანონი კი ითვალისწინებს ქონებრივი ხასიათის სანქციებს იმ პარტიებისათვის, რომლებიც მონაწილეობას არ მიიღებენ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არჩევნებში კანდიდატების წამოყენების უფლება მხოლოდ პოლიტიკური პარტიების პრეროგატივა უნდა გახდეს. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, მიზანშეწონილი იქნება პროპორციული საარჩევნო სისტემის შემოღება, რომელიც გულისხმობს მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში ამომრჩეველთა კენჭისყრას პარტიის სიებში შეტანილი კანდიდატებისათვის მთლიანად.

პროპორციულ საარჩევნო სისტემას მკაცრად პარტიული ხასიათი აქვს. იგი არჩევნების შედარებით უფრო პროგრესულ ფორმადაა მიჩნეული, რადგანაც აგებულია არა უმრავლესობის, არამედ მიღებულ ხმებსა და მოპოვებულ მანდატებს შორის პროპორციული დამოკიდებულების პრინციპზე. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ რესპუბლიკაში დღეს არსებულ პოლი-ტიკურ სიტუაციას, როცა ხელისუფლების ორგანოების არჩევნებამდე ძალზე მცირე დროა დარჩენილი, ხოლო პოლიტიკური პარტიების უმეტესობა ორგანიზაციული ფორმირების საწყის სტადიაზე იმყოფება, როცა საზოგადოება ცალკეულ პარტიულ მოღვაწეებს უფრო მეტად იცნობს, ვიდრე მათი პარტიების საქმიანობას, ამ ეტაპზე შესაძლებლად მიგვაჩნია შერეული სისტემის (მაჟორიტარულით და პროპორციულით) არჩევნების ჩატარება. სწორედ ასეთ გზას დაადგა აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყანა, რომლებმაც ახლახან მოაწყვეს არჩევნები რეალური მრავალპარტიულობის პირობებში.

პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონში საჭიროა გავითვალისწინოთ ნორმები, რომლებიც პარტიული საქმიანობის შიდაორგანიზაციულ საკითხებსაც მოაწესრიგებენ. პოლიტიკური პარტიის ცნებაში ჩვენ შემთხვევით არ მიგვითითებია მსოფლმხედველობრივი და ორგანიზაციული საფუძვლების ერთიანობაზე, როგორც პოლიტიკური პარტიებისათვის დამახასიათებელ ნიშანზე. მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას საერთო იდეოლოგიური საფუძველი უნდა გააჩნდეს, რომლის ძირითადი

დებულებები გადმოცემული იქნება პარტიის საპროგრამო დოკუმენტებში. ეს დოკუმენტები ამასთანავე მოწონებული უნდა იყოს პარტიის ყველა წევრის ან მათი წარმომადგენლების კრების მიერ. მსოფლმხედველობის ერთიანობის პრინციპიდან გამომდინარე, უნდა აიკრძალოს რამდენიმე პარტიაში მოქალაქის ერთდროული წევრობა.

პარტიის ორგანიზაციული საფუძვლების მიმართ კანონმა საჭიროა გაითვალისწინოს მთელი რიგი მოთხოვნები, რომლებზეც პასუხს უნდა იძლეოდეს პარტიის წესდება. პოლიტიკური პარტიებისათვის მიზანშეწონილია, შემოვიღოთ მათი წევრობის განსაზღვრული რიცხობრივი კვოტა (ვთქვათ, პარტიის წევრთა რაოდენობა ათას კაცზე ნაკლები არ უნდა იყოს).

პარტიის წევრობა, მისი შინაგანი სტრუქტურა და საქმიანობა უნდა ემყარებოდეს დემოკრატიის, საჯაროობის, ზნეობისა და კანონიერების პრინციპებს. მხედველობაში გვაქვს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოთა არჩევითობა, კრიტიკის თავისუფლება, განსხვავებული აზრისა და შესაბამისად, უმცირესობის უფლებათა დაცვა, პარტიის პროგრამის, წესდების, ხელმძღვანელ ორგანოთა პერსონალური შემადგენლობის, პარტიული საქმიანობის შედეგების, დაფინანსების წყაროებისა და ფინანსების გამოყენების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება და სხვა.

რესპუბლიკის სუვერენიტეტის დაცვის ინტერესების გათვალისწინებით, კანონში საჭიროა დაფიქსირდეს ნორმა, რომლის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე არ შეიძლება შეიქმნენ და მოქმედებდნენ ისეთი პარტიები, რომლებიც რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებული პოლიტიკური პარტიების სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენენ. ამასთანავე, საქართველოს მოქალაქე არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოში არსებული რომელიმე პარტიის წევრი.

პიროვნების უფლებების დაცვის მიზნით, მიზანშეწონილია, კანონმა შემოიღოს გარკვეული სამართლებრივი გარანტიები. სახელდობრ, უნდა აიკრძალოს პარტიის წევრად მიღებაზე უარის თქმა ან პარტიიდან გარიცხვა ამა თუ იმ პირის ეროვნული კუთვნილების საფუძველზე. ამასთანავე, არ უნდა დავუშვათ მოქალაქეთა დევნა კანონიერად შექმნილი პოლიტიკური პარტიის წევრობის გამო ან მისი შემადგენლობიდან გასვლისათვის.

სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად ნიშანს, როგორც ცნობილია, საკანონმდებლო აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების დანაწილება წარმოადგენს. სხვა სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, ჩვენში მეოთხე ხელისუფლებაც არსებობს, კერძოდ, პარტიული ხელისუფლება, რომელსაც ფაქტობრივად სამივე ზემოაღნიშნული ხელისუფლება ჰქონდა მითვისებული. ამიტომ სახელმწიფო და

პარტიული ფუნქციების გამიჯვნის მიზნით, კანონმა უნდა აკრძალოს პარტიული ორგანიზაციების შექმნა საწარმოებსა და დაწესებულებებში. პარტიული ორგანიზაციები უნდა იქმნებოდეს მხოლოდ ტერიტორიული პრინციპის მიხედვით. უნდა დადგინდეს ასევე პარტიის წევრობისა და მართლმსაჯულების, პროკურატურის, იუსტიციის, შინაგან საქმეთა, არბიტრაჟის, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში, არმიაში სამსახურის შეუთავსებლობა.

კანონმა უნდა გაითვალისწინოს პოლიტიკური პარტიების რეგისტრაციის სავალდებულობა. რეგისტრაცია აუცილებელი პირობა უნდა გახდეს პოლიტიკური პარტიის სტატუსის, იურიდიული პირის უფლებამოსილებისა და არჩევნებში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის. მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებში პარტიების რეგისტრაციას, როგორც წესი, ახდენს შინაგან საქმეთა სამინისტრო, იშვიათად კი – იუსტიციის სამინისტრო. ზოგიერთ ქვეყანაში ამ ფუნქციას ახორციელებენ სხვა დაწესებულებები. მაგალითად, პორტუგალიაში – უმაღლესი სასამართლო, ხოლო შვეციაში – სახელმწიფო საგადასახადო სამმართველო. ჩვენი აზრით, პოლიტიკური პარტიების რეგისტრაციის ფუნქცია მიზანშეწონილია დაეკისროს იუსტიციის სამინისტროს. რაც შეეხება უმაღლეს სასამართლოს, მის განსაკუთრებულ კომპეტენციას უნდა შეადგენდეს მოქმედი კანონმდებლობის დარღვევისათვის პოლიტიკური პარტიის არაკონსტიტუციურობის საკითხის გადაწყვეტა. ამ შემთხვევაში სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანას შედეგად უნდა მოჰყვეს პარტიის საქმიანობის შეწყვეტა, მისი ქონების კონფისკაცია და წარმომადგენლობით ორგანოებში მისი ყველა სადეპუტატო მანდატის დაკარგვა. კანონში გათვალისწინებული უნდა იყოს აგრეთვე პარტიების საქმიანობის შეჩერების პირობები, მისი ვადები და ამასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

რეგლამენტაციას მოითხოვს აგრეთვე პოლიტიკური პარტიების საქმიანობის ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფის საკითხები. კანონი პოლიტიკური პარტიების შესახებ უნდა შეიცავდეს ნორმებს პარტიების საკუთრების უფლების, შემოსავლების წყაროებისა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების შესახებ. ამასთან, სახელმწიფოსაგან ფინანსური დახმარების მოცულობა პროპორციულად უნდა იყოს დამოკიდებული არჩევნებში პარტიების მონაწილეობის შედეგებზე.

ასეთია ჩვენი ზოგიერთი მოსაზრება პოლიტიკური პარტიების სამართლებრივი რეგულირების თაობაზე. რა თქმა უნდა, საგაზეთო პუბლიკაციაში შეუძლებელია განსახილველი პრობლემის ყველა ასპექტის გაშუქება. იმედია, რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანო სახალხო განხილვისათვის გამოიტანს კანონპროექტს პოლიტიკური პარტიების შე-

სახებ, რაც, კიდევ ერთხელ, მოგვცემს საშუალებას, ამ საკითხზე ჩვენი მოსაზრებები მივანოდოთ როგორც საზოგადოებას, ისე ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს.

ჯონი ხეცურიანი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა
და სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

გაზეთი „კომუნისტი“, №143, 1990 წელი, 19 ივნისი.

МНОГОПАРТИЙНОСТЬ: КОНТУРЫ ГРЯДУЩЕГО

Помню, в период учебы в Тбилисском государственном университете, нам, студентам-третьекурсникам истфака лектор рассказал анекдот. Суть его в следующем: когда выдающемуся грузинскому ученому Эквтиме Такаишвили, возвратившемуся в Грузию после долголетнего пребывания во Франции, коллеги говорили, что идут на партийное собрание, он каждый раз спрашивал: какой партии? И это очень веселило окружающих.

Нас же, выросших в условиях однопартийной системы, помнится, не столько развеселило, сколько удивило услышанное: никто из нас даже не мог представить себе жизнь, построенную на принципе многопартийности. И уж совсем невозможно было предугадать, что пройдут годы, и политический плюрализм станет фактом нашей собственной жизни.

– А ведь он стал, не так ли? – спрашиваю у заместителя директора Центра государства и права Академии наук Грузии Джони Хецуриани.

– Я бы сказал – и да, и нет! Потому что де-факто партии, конечно же, налицо, во всяком случае у нас, в Грузии, но де-юре они не фигурируют, потому как официально их существование не зафиксировано, и получается, что вроде бы их и нет.

– Наверно, это объясняется тем, что в нашем государстве на протяжении десятилетий не было подобного прецедента. Статьи 6 и 7 Конституции только-только претерпели изменения.

– Дело еще и в том, что в новой редакции эти статьи не учитывают разницы между политическими партиями и другими объединениями граждан по неполитическим интересам, такими, как, скажем, профессиональные и творческие союзы, объединения ветеранов, женщин, молодежи, различные ассоциации, фонды и др.

– А что в этом плохого?

– То, что в таком случае они подпадают под действие одного закона и таким образом через своих представителей в Советах народных депутатов на равных правах участвуют в выработке государственной политики и в управлении государственными и общественными делами.

Следовательно, профессиональные политики поставлены на одну доску с представителями других общественных организаций, что по меньшей мере (не говоря уже ни о чем другом) просто непрофессионально.

– Что же следует предпринять?

– Во-первых, на мой взгляд, следовало бы разграничить статьи 6 и 7 Конституции:

пусть одна регламентирует статус политических партий, а другая – остальных общественных организаций. Такое разделение существует во всех политически развитых государствах. Именно Конституция – в соответствии с политическим плюрализмом – должна декларировать и многопартийность. Причем, не надо заново открывать Америку: демократические страны мира

уже прошли дорогу, на которую вступили мы ныне, и накопили большой политический опыт, так что можно позаимствовать его, конечно, с учетом наших условий. Я имею в виду протекающие в республике процессы политического развития, соотношение политических сил и т.д.

– Что же подсказывает опыт этих стран?

– Главное, – необходимо принять закон о политических партиях, в котором на правовой основе будут регламентированы все связанные с политическим плюрализмом вопросы, определены признаки и особенности, свойственные политическим партиям. Закон должен предусмотреть регистрацию политических партий как обязательное условие предоставления тому или иному объединению граждан статуса партии, полномочий юридического лица и права участия в выборах.

– Сформулируйте, пожалуйста, что такое политическая партия, что отличает ее от других объединений.

– Это добровольное объединение граждан, основанное на общих мировоззренческих и организационных началах, которое через своих выборных представителей в органах государственной власти, с помощью других демократических форм и методов участвует в выработке национальной политики и в управлении государственными и общественными делами.

Но главное отличие политической партии от других объединений определяется, на мой взгляд, ее конечной политической целью - взять государственную власть в свои руки или хотя бы участвовать в ее осуществлении. А главная сила, с помощью которой партии стараются достичь конечной цели, – их выборные представители в государственных органах.

– Иными словами – результаты выборов в известной степени служат критерием эффективности деятельности партии на том или ином этапе?

– Безусловно. Это одно из главных условий утверждения правового статуса любой политической партии. В некоторых странах законом предусмотрены даже определенные санкции в отношении партий, которые на протяжении определенного периода времени не выдвигают своих кандидатов для участия в парламентских или даже президентских выборах.

Есть имущественные санкции, есть и другие, вплоть до роспуска партии путем лишения ее правового статуса. Думается, такая практика способна приносить должные результаты.

– Однако в основе закона о политических партиях должны лежать конституционные нормы, не так ли?

– Совершенно верно. Поэтому необходимо предусмотреть общие для всех партий следующие конституционные требования: неукоснительное уважение национального суверенитета и демократических принципов, идеи национального согласия; а также – действия всегда в рамках полномочий, предоставленных законом.

– Допустим, какая-нибудь партия выходит в своей деятельности за рамки этих требований. Что тогда?

– Этого не может и не должно быть, потому что с самого начала именно законом следует запретить все партии, действия которых нацелены на насильственное изменение конституционного строя, нарушение территориального единства или разжигание национальных и религиозных конфликтов. Такова правовая норма в демократических государствах.

Кроме того, в целях защиты суверенитета республики необходимо предусмотреть законодательную норму, согласно которой на территории Грузии не должны создаваться и действовать партии, представляющие собой структурное подразделение другой политической организации, находящейся за пределами республики.

– В таком случае всегда в невыгодном положении будет Компартия Грузии – часть Компартии СССР.

– Думаю, эта опасность угрожает компартиям всех республик. Потому и ставится ныне так остро вопрос выделения компартий союзных республик в самостоятельные единицы. Посмотрим, каков будет дальнейший ход событий.

– Может ли один гражданин быть членом двух или нескольких политических партий?

– Подобное совместительство должно быть запрещено законом. Но вообще оно бессмысленно.

Раз партия объединяет людей с общими мировоззренческими, то есть фактически идеологическими позициями, которые, как правило, изложены в их программах, то член данной партии, конечно же, не может быть одновременно членом и другой партии. Иначе программе какой партии он должен отдавать предпочтение? В общем, это абсурдная ситуация. А вот переходить из одной партии в другую и даже возвращаться назад – полное право гражданина.

– Это право оговорено и в проекте основных положений программы и организационного и структурного построения Коммунистической партии Грузии, и я бы не сказала, что у всех коммунистов республики оно вызывает восхищение. Многие расценивают уход в другую партию или даже просто выход из рядов Компартии как непростительную «измену».

– Это с непривычки. Сказываются стереотипы прошлого, низкий уровень политической культуры. Человеку, воспитанному на однозначных стандартах, очень трудно освоиться со свободой, с демократическими нормами. Дело это наживное, думаю, все образуется в конце концов.

– Каковы правовые гарантии личности в политической партии? Мы говорили выше лишь о праве гражданина выйти из партии или перейти из одной в другую...

– Такие гарантии также должен предусмотреть закон. В частности, запрет на то, чтобы гражданину отказывали в приеме в партию или исключали по национальному признаку, преследовали за инакомыслие, за то, что он покинул ряды данной партии. В то же время надо обеспечить на законном основании права партийного меньшинства, свободу критики, а также выборность руко-

водящих органов, отчетность по поводу источников поступления финансов и расходования последними средств.

– Вы говорили выше о том, что всякая политическая партия, которая стремится влиять на жизнь народа, должна быть официально зарегистрирована. Однако в связи, с тем, что в последние семьдесят с лишним лет у нас действовала однопартийная система, естественно, нет ни механизма, ни практики такой регистрации. Кто и как должен ее осуществлять?

– В разных странах регистрацией политических партий занимаются разные организации: министерство внутренних дел, верховный суд, министерство юстиции, даже налогоуправление. Мне представляется, что в нашей республике наиболее целесообразно возложить эту функцию на министерство юстиции.

– В таком случае министру, наверно, пришлось бы зарегистрировать огромное количество партий – как считают, в настоящее время в Грузии их чуть ли не сотня. Интересно, существуют ли в этом деле определенные нормы или любая группа граждан может потребовать, чтобы ее официально признали политической партией?

– Тут все зависит от организационных норм, предусмотренных законодательством и отраженных в уставе партии. Нужно ввести, как норму, определенные количественные квоты. Например, признать, что право считать себя политической партией предоставляется объединению граждан числом не менее пятисот или, скажем, тысячи человек. Что касается наличия всевозможных партий в республике, то явление это тоже характерно для начального периода демократии – мы не первые в этом деле. Международная практика свидетельствует – со временем страсти остывают, взгляды определяются, происходит объединение множества мелких групп в более солидные образования, которые и завоевывают влияние на политической арене. Убежден, мы пройдем тот же путь.

– Сейчас в нашей республике развивается процесс деидеологизации учреждений, предприятий, учебных и научных организаций. Как вы относитесь к столь необычному явлению нашей жизни?

– Как к естественному следствию перестройки. Семь десятилетий идеология играла в нашей жизни превалирующую роль, будучи поставлена выше законодательной, исполнительной и судебной властей. Деидеологизация направлена фактически на размежевание государственных и партийных функций, что, на мой взгляд, следует всячески приветствовать. Закон о политических партиях должен отвести им свое место в жизни страны и декларировать создание партийных организаций по единственному признаку – территориальному.

– Представим такую ситуацию: политическая партия нарушает законы, и никакие профилактические меры не помогают. Кто, какая организация должна в этом случае вмешаться в дело?

– Верховный суд. Обычно именно он решает подобные вопросы. Разумеется, механизм этой процедуры также должен быть закреплен законодательно.

– Как вы считаете, затронули ли мы все стороны грядущего плюрализма партий или что-то пропустили?

– Все предусмотреть в такой беседе, полагаю, невозможно. Есть еще масса проблем, деталей, нюансов, которые должны быть и, очевидно, будут учтены при рассмотрении соответствующих законодательных актов. А мы давайте будем считать, что представили здесь общие контуры нашего политического будущего.

Беседу вела **Нуну Нацваладзе**

Газета «Вечерний Тбилиси», №154, 6 июля 1990 года.

რას გვაძლევს ახალი კანონი

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ საარჩევნო კანონი, რომელიც საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიამ ამა წლის 18 აგვისტოს მიიღო, უნიკალურია როგორც თავისი შინაარსით, ისე სამართალშემოქმედების იმ გზით, რომელიც მან განვლო კანონპროექტიდან იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტის სახით ჩამოყალიბებამდე.

როგორც ცნობილია, 1 აგვისტოს რესპუბლიკურ პრესაში სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდა სამი კანონპროექტი. ალბათ ძნელი არ იყო იმის მიხვედრა, რომ სამივე კანონპროექტი არსებითად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან საარჩევნო სისტემის, პასიური და აქტიური საარჩევნო უფლების რეგლამენტაციის, რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში ასარჩევ დეპუტატთა რაოდენობისა და სხვა უმნიშვნელოვანეს დებულებათა მიხედვით. სამი კანონპროექტის არსებობის ფაქტმა სესიის წინა პერიოდში წარმოშვა იდეა, მეოთხე, ე. წ. შეჯერებული ვარიანტის შექმნისა, რომელშიც ყველა დაინტერესებული მხარის მოსაზრებები, აგრეთვე სახალხო განხილვის შედეგები იქნებოდა გათვალისწინებული კონსენსუსის საფუძველზე. ასეთი კანონპროექტი მართლაც შეიქმნა და სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნებულ სამ კანონპროექტთან ერთად შეტანილ იქნა სესიაზე განსახილველად. სესიამ, ჩემი აზრით, თავიდანვე სწორი ნაბიჯი გადადგა, როცა მიიღო გადაწყვეტილება, მომავალ საარჩევნო კანონს სწორედ ეს მეოთხე, შეჯერებული ვარიანტი დადებოდა საფუძვლად და შეუდგა კიდეც მისი ძირითადი დებულებების განხილვას.

ახლა, რაც შეეხება თვით კანონის შინაარსს.

კანონის თანახმად, საბჭოთა კავშირის ისტორიაში პირველად, ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნები ჩატარდება მრავალპარტიულობის საფუძველზე, მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემით. საარჩევნო კანონის პირველ მუხლში, რომელიც არჩევნების საფუძვლებს განსაზღვრავს, ნათქვამია, რომ უზენაეს საბჭოში აირჩევა 250 დეპუტატი ხუთი წლის ვადით, მათგან 125 აირჩევა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში, ხოლო 125 პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე, სრულიად საქართველოს პარტიული სიების მიხედვით. ეს იმას ნიშნავს, რომ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიები მათ მიერ მოპოვებული ხმების პროპორციულად გაინაწილებენ მანდატებს პარლამენტში. როგორც ვხედავთ, სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ არჩევნების შემდეგ რესპუბლიკაში გვექნება ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, სადაც წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა პოლიტიკური ძალა. ოპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილი ქუჩიდან პარლამენტში გადაინაცვლებს, „ქუჩური დემოკ-

რატია" წარმომადგენლობითი დემოკრატიით შეიცვლება. ეს, რასაკვირველია, დემოკრატიისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

აქამდე მოქმედ საარჩევნო კანონთან შედარებით, გაზრდილია პასიური საარჩევნო უფლების ასაკობრივი ცენზი, შემოღებულია აგრეთვე ბინადრობის ცენზი. კანონის თანახმად, საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატად შეიძლება არჩეული იყოს საქართველოში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისთვის 23 წელი შეუსრულდა და საქართველოში მუდმივად უცხოვრია არანაკლებ 10 წლისა. საყოველთაო საარჩევნო უფლების გარკვეული შეზღუდვაა დაწესებული ცალკეული კატეგორიის პირთათვის. სახელდობრ, არჩევნებში არ მონაწილეობენ ის პირები, რომლებიც მსახურობენ საბჭოთა არმიაში, სსრ კავშირის შინაგან ჯარებში და სხვა სამხედრო შენაერთებში. ამ შეზღუდვას საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული სამხედრო ორგანიზაციები საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქციას არ ექვემდებარებიან. ამიტომ იქ მომუშავე პირებსაც არ უნდა ჰქონდეთ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფორმირებაში მონაწილეობის პრეტენზია. ზემოაღნიშნული შეზღუდვა, რასაკვირველია, არ ვრცელდება სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრების მიმართ, თუ ისინი აკმაყოფილებენ საარჩევნო კანონის მე-11 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საარჩევნო კანონის თანახმად, დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლება აქვთ პოლიტიკურ პარტიებს, რომელთა მოქმედებაც ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ გაერთიანებებს – საარჩევნო ბლოკებს და ამომრჩეველთა ჯგუფებს. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შრომით კოლექტივებსა და სხვა სუბიექტებს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლება არა აქვთ. როგორც ვხედავთ, არჩევნები მკაცრ პარტიულ ხასიათს ატარებს. თუმცა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფორმირებაში პარტიების მონოპოლია შეზღუდულია ამომრჩეველთა ჯგუფების მიერ, დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატების წამოყენების გზით.

ჩვენი ამომრჩევლებისათვის უცხო იქნება პარტიული სიებით კენჭისყრა. კანონის თანახმად, არჩევნებში მონაწილე პარტიები ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის გავლის შემდეგ წარადგენენ პარტიულ სიებს. სიაში დეპუტატობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 125-ზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 250-ს. ქვედა საზღვარი დადგენილია იმიტომ, რომ არჩევნებისას იქმნება სწორედ 125 ოლქი. ამომრჩეველი კენჭს უყრის პარტიულ სიას მთლიანად, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მისაღებია მისთვის ამა თუ იმ პარტიული სიის პირადი შემადგენლობა. ამიტომ არჩევნებში მონაწილე პარტიებისათვის განსაკუთ-

რებული მნიშვნელობა ექნება, თუ როგორი სიით, დეპუტატობის კანდიდატთა როგორი კორპუსით წარდგება ამომრჩეველთა წინაშე.

უაღრესად საყურადღებოა საარჩევნო კანონის მე-9 მუხლი, რომელიც ადგენს დეპუტატის სტატუსის შეუთავსებლობას თანამდებობრივ მდგომარეობასთან. იგი საშუალებას იძლევა, მკვეთრად გაიმიჯნოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია. ასეთია ახალი საარჩევნო კანონის ზოგიერთი იურიდიულ-პოლიტიკური პარამეტრი. განუზომელია მისი მნიშვნელობა რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. სწორედ ამ კანონის საფუძველზე არჩეულმა ხელისუფლების უზენაესმა ორგანომ უნდა გადაჭრას რესპუბლიკისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ის საკითხები, რომლებიც კარგა ხანია აღელვებს ქართველ ერს, რესპუბლიკის მთელ მოსახლეობას.

ჯონი ხეცურიანი

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

გაზეთი „ცხოვრება და კანონი“, №8, 1990 წელი, 30 აგვისტო.

იუსტიცია და სამართლებრივი რეფორმა*

პატივცემულო თავმჯდომარე,
პატივცემულო დეპუტატებო,

უწინარეს ყოვლისა, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ თენგიზ სიგუას, აგრეთვე უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიას, რომლებმაც რეკომენდაცია გამიწიეს ამ მეტად საპასუხისმგებლო პოსტზე დასანიშნად. რასაკვირველია, ეს ძალზე დიდი ნდობაა იმ დროს, როდესაც ჩვენი რესპუბლიკა გარდამავალ პერიოდში იმყოფება, როდესაც უნდა შეიცვალოს მთელი სამართლებრივი სისტემა, აგრეთვე სახელმწიფოებრივი სტრუქტურები და ამაში თავისი წვლილი უნდა შეიტანონ, ძალზე დიდი სამუშაო გასწიონ სამართალდამცველმა ორგანოებმა, უწინარეს ყოვლისა, იუსტიციის სამინისტრომ და იუსტიციის ორგანოებმა. ამასთან, მე ვგრძნობ უდიდეს პასუხისმგებლობას და მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩემს ცოდნას, გამოცდილებასა და ენერგიას არ დავიშურებ ამ უაღრესად საპასუხისმგებლო მისიის შესასრულებლად, თქვენი ნდობის გასამართლებლად.

ახლა, რაც შეეხება იუსტიციის სამინისტროს მუშაობის ძირითად მიმართულებებს და იმას, თუ როგორ გვესახება ზოგიერთი საკითხი, რომელიც იუსტიციის ორგანოებმა უნდა გადაწყვიტონ.

მართალია, დღეს პირველ რიგში მოხდა იუსტიციის მინისტრის დანიშვნის საკითხის განხილვა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამართალდამცველი ორგანოების სისტემიდან იუსტიციის სამინისტრო თავისი მდგომარეობით პირველია. სამართლადამცველი ორგანოების სისტემა ისეთი იყო, როგორი რეჟიმიც არსებობდა ჩვენს ქვეყანაში. სამართალდამცველი ორგანოების სისტემა, მათი ფუნქციები ძირითადად ტოტალიტარულ რეჟიმს იყო მორგებული. ამიტომ წინა პლანზე, უწინარეს ყოვლისა, თავისი როლითა და დანიშნულებით, რომელსაც ეს ორგანოები ასრულებდნენ, წამოწეული იყო ეგრეთ წოდებული სადამსჯელო ორგანოების საქმიანობა. სწორედ მათ ჰქონდათ პრივილეგირებული მდგომარეობა. იუსტიციის ორგანოები კი, რომლებიც ძირითადად ეწეოდნენ სამართალშემოქმედებით საქმიანობას, აგრეთვე სასამართლოების საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას, სამართლებრივ პროპაგანდას, კანონმდებლობის სისტემატიზაციას, კოდიფიკაციას და ასე შემდეგ, ჩრდილში

* 1990 წლის 22 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომაზე საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრად დამტკიცების წინ წარმოთქმული სიტყვა (იბეჭდება სტენოგრამის მიხედვით).

იყვნენ მოქცეული. სამართალდამცველი ორგანოების მთელი მექანიზმი მიმართული იყო, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დასჯისა და ბრალდებისაკენ. ამიტომ ცვლილებები, რომლებიც უნდა განიცადოს სამართალდამცველმა ორგანოებმა, მთლიანად მიმართული უნდა იქნეს იქითკენ, რომ ეს სისტემა შემობრუნდეს ადამიანის უფლებების დაცვისაკენ. მხედველობაში მაქვს საერთაშორისო სამართლის ნორმებით აღიარებული ადამიანის ყველა უფლება. ამ დროს კი, როგორც ეს ცივილიზებულ, დემოკრატიულ ქვეყნებშია მიღებული, წინა პლანზე წამოიწევს იუსტიციის როლი და მნიშვნელობა.

დღეს საუბარი იმაზე, თუ როგორ უნდა წარიმართოს მუშაობა ამ მიმართულებით, თუ როგორ უნდა გარდაიქმნას თვით იუსტიციის ორგანოების როლი და ადგილი, ძალზე ძნელია, ძნელია იმდენად, რამდენადაც ნებისმიერი ცვლილება, რომელიც შეეხება, ვთქვათ, იუსტიციის სამინისტროს, იუსტიციის ორგანოების სამართლებრივ მდგომარეობას, გამოიწვევს შესაბამის ცვლილებებს პროკურატურის, შინაგან საქმეთა, უშიშროების, სასამართლო ორგანოების კომპეტენციაში, იმიტომ რომ ეს ორგანოები ფუნქციონალურად ერთმანეთთან არიან დაკავშირებული. ამიტომ დღეს მე წინასწარ მოდელს არ შემოგთავაზებთ, მით უმეტეს, რომ თქვენ წინა სხდომაზე უკვე მიიღეთ დადგენილება ადამიანის უფლებათა დაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცების თაობაზე. იქ არის ერთ-ერთი პუნქტი, რომელშიც დავალება ეძლევათ შესაბამის კომისიებს, რომ წარმოადგინონ წინადადებანი სამართალდამცველი ორგანოების სისტემის რეფორმის თაობაზე. ჩვენ აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ ამ საკითხის მომზადებაში. კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიასთან ერთად შევიმუშავებთ წინადადებებს ჯერ კომისიაზე განსახილველად, ხოლო შემდეგ, რასაკვირველია, პარლამენტის სხდომისათვის. ალბათ პირველ ეტაპზე, საბოლოო მოდელის ჩამოყალიბებამდე, საჭირო იქნება სამართალშემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტა. მიგვაჩნია, რომ კანონმდებლობა, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედებდა, ტიპიური იყო, ანუ ისეთივე, როგორიც ნებისმიერი სხვა საბჭოთა რესპუბლიკისა. იგი უშუალოდ გამომდინარეობდა საკავშირო კანონმდებლობიდან. თვით პრინციპიც ასეთი იყო, ვინაიდან კონსტიტუციაში სწორედ კანონმდებლობისა და კანონის ერთიანობის უზრუნველყოფაზე იყო ლაპარაკი. ამ ამოცანის შესრულება დავალებული ჰქონდათ საკავშირო ხელისუფლების ორგანოებს. ამიტომ ჩვენს კანონმდებლობაში, მე მხედველობაში მაქვს კანონმდებლობის მთლიანი სისტემა, ეროვნული სპეციფიკა არ არის გათვალისწინებული. მასში არ ჩანს აგრეთვე ჩვენი ტრადიციული სამართლებრივი მემკვიდრეობა. კანონმდებლობა, რომელიც მომავალში უნდა ჩამოყალიბდეს, ბუნებრივია, განსაკუთრებულ დაკვირვებას მოითხოვს, რადგანაც მასში, ერთი მხრივ,

გათვალისწინებული უნდა იყოს ჩვენი რესპუბლიკის სპეციფიკა, ჩვენი ტრადიციები სამართალშემოქმედებით საქმიანობაში, ხოლო, მეორე მხრივ, უსათუოდ უნდა იქნეს გაზიარებული მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების საკანონმდებლო გამოცდილება.

ჯონი ხეცურიანი

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის
მინისტრის პირველი მოადგილე.

ЛИШЬ ТВЕРДАЯ ВЛАСТЬ ОБЕСПЕЧИТ ИСПОЛНЕНИЕ ЗАКОНА

Министром юстиции Республики Грузия назначен Джони Хецуриани – профессиональный юрист с солидным опытом работы в правоохранительных органах Грузии. Он принимал активное участие в расследовании трагедии 9 апреля, разработке закона о выборах и других законодательных актов, принятых в последнее время. Кандидат юридических наук.

– Джони Григорьевич, по сравнению с другими министрами, мне кажется, вы находитесь в лучшем положении. Во всяком случае, по моему, как бывшему первому заместителю министра юстиции Грузии, вам не придется тратить много времени на вхождение, так сказать, в ситуацию, в курс дела, на решение вопросов организационного характера. Исходя из этого, с чего вы собираетесь начать, а вернее, уже начали?

– Мое пребывание на посту замминистра, увы, не дает права считать, что проблем не существует и мне все ясно. Дело в том, что приходится начинать, как говорится, с азов. В первую очередь, это касается формирования самих основ права, которые будут способствовать решению главной задачи переходного периода. Речь идет о полном восстановлении государственной независимости Грузии. Вполне понятно, что это не кратковременная политическая кампания, а процесс, который будет осуществляться поэтапно, по мере создания соответствующих юридических гарантий и утверждения взаимоотношений, имеющих в своей основе объективные реалии.

Следует хорошо разобраться в происходящих общественных процессах, четко определить главную цель, на решение которой и будет направлен каждый правовой акт, принятый в этот период. Первая сессия Верховного Совета Республики Грузия утвердила (правда, это носило несколько условный характер) перечень первоочередных законодательных актов, без которых невозможно продвижение вперед по пути строительства правового государства. Вот этим мы занимаемся сегодня.

– Проблема реорганизации весьма остро стоит практически во всех областях. Но особенно актуальна она, по общему мнению, для правоохранительных органов, в том числе и для Министерства юстиции. Есть и у вас на этот счет какие-либо новые наработки?

– Реорганизация, исходя из задач, стоящих перед нами, конечно, необходима, но она не ограничивается лишь аппаратом министерства. Здесь следует говорить о реорганизации всех органов юстиции, всей системы. В этой связи хочу подчеркнуть, что невозможно изолированно осуществить реформу любого правоохранительного органа, и если кто-либо и предпримет такую попытку, то очень быстро убедится в тщетности этих усилий. Главное — разработать целостную концепцию, регламентирующую деятельность всех право-

охранительных органов. Подобная концепция уже разрабатывается, ведутся и соответствующие консультации.

Вероятно, в ближайшее время будет организована специальная группа, которая станет заниматься исключительно этими проблемами. Разработанные совместно рекомендации дадут возможность четко определить место и роль Министерства юстиции в этой системе.

– Из сказанного ясно, что у вас непочатый край работы.

Понятно, что без кадров не решить стоящих перед министерством проблем. Как вы собираетесь осуществлять кадровую политику, каковы критерии подбора работников?

– Критерии подбора кадров, существовавшие ранее, в настоящее время неприемлемы. Каждый, если достоверно не знает, то догадывается, по какому принципу подбирались кадры в правоохранительные органы и какие это имело негативные последствия. Для меня же особо важны два критерия: это – профессионализм и моральная, нравственная чистота личности.

Может быть, это звучит несколько трафаретно и банально, но, я считаю, что этим критериям, как обязательному условию, в равной мере должны соответствовать все работники правоохранительных органов. Допускаю, что человек может совершить ошибку, придерживаться в какие-то периоды жизни различных политических взглядов. Но если он хороший, высококлассный профессионал и, что главное, добросовестный работник, – ему всегда будут гарантированы поддержка и содействие, с тем чтобы он в полной мере принес пользу там, где работает.

И еще несколько слов, связанных с кадровой политикой. Нас учили в институте так, как этого требовали прежняя действительность, та модель государства, в которой мы жили. Обучались мы исключительно основам советского права. Что же касается международного права, то оно рассматривалось лишь с критической точки зрения. Мы располагали весьма ограниченными возможностями для приобретения фундаментальных профессиональных правовых знаний, ознакомления с первоисточниками. Впрочем, справедливости ради надо сказать, что многое зависело и от человека. Если он проявлял особый интерес и настойчивость, то мог какими-то одному ему известными путями ознакомиться с новинками в этой области. Вот и судите, какие кадры юристов готовили в вузе. Достаточно сказать, что на юридических факультетах теория правового государства рассматривалась исключительно как неприемлемая для нас. Поэтому считаю, что всем нам надо серьезно поработать для воспитания современных кадров. Надо в корне пересмотреть программу подготовки юристов, правоведов, изменить методику научных исследований. Большое значение имеет подготовка наших юристов в зарубежных странах.

– Законотворческая деятельность – одно из ведущих направлений Минюста.

Какие законы, хотя бы обзорно, вы считаете необходимым пересмотреть в первую очередь, какие создать заново?

– Свод этих законов я бы разделил на несколько групп или блоков. Блок законов, который, регулирует, скажем, деятельность верховной власти. Я имею в виду, например, закон о статусе депутата, который очень необходим. Мы его будем разрабатывать совместно с Комиссией по законодательству и охране законности Верховного Совета Республики Грузия. Вторая группа законов будет затрагивать основы системы управления, в частности, речь идет о законе о Совете Министров, структура и функции которого, естественно, изменятся.

Следующая группа законов регламентирует деятельность местных органов власти. Причем их разработка – дело первостепенной важности. Считаю, что в переходный период мы должны принять такие основополагающие законы, как, например, законы о гражданстве, о собственности, о политических партиях, о проведении референдума и т. д. Не исключено, что может возникнуть необходимость в законе о формах непосредственной демократии.

Что касается Основного Закона, то есть Конституции Республики Грузия, то его следует принять, так сказать, на завершающем этапе, когда вышеназванные и другие законы будут уже в действии. Мы сможем с высокой степенью достоверности определить, какой закон получился, а какой – нет.

Последовательно совершенствуя их, мы добьемся того, что они станут органической частью нового Основного Закона.

Может возникнуть вопрос: почему бы не форсировать этот процесс? Дело в том, что сегодня мы не можем принять новый Основной Закон республики, ибо пока еще не создано строго фиксированное, используя юридическую терминологию, стабильное общество. Конституция должна отразить то, что реально имеет место.

– Закон об амнистии наше общество восприняло как акт большого гражданского доверия к лицам, совершившим наказуемое преступление. Эту амнистию можно расценивать и как призыв к ныне заключенным – глубоко осмыслить свою прошлую и будущую жизнь. И все же не все адекватно восприняли это решение Верховного Совета республики. Многие высказывают сомнения, не осложнится ли до крайности и без того напряженная криминогенная обстановка в Грузии?

– Амнистия, объявленная Верховным Советом республики, характеризуется гуманностью и в то же время смелостью, что резко отличает ее от прежних амнистий. Вместе с тем Закон об амнистии содержит такие гарантии, которые способствуют установлению гражданского мира, обеспечивают защиту прав каждого человека. Достаточно сказать, что она не распространяется на преступления, направленные против личности, я имею в виду убийства, разбойные нападения, бандитизм, изнасилование, торговлю наркотиками, представляющие особую опасность для общества. Вместе с тем считаю, что новое руководство республики обязано было, и это являлось его моральным долгом, проявить милосердие и предоставить каждому правонарушителю шанс задуматься над тем, в какой период мы живем, какое общество строим.

– Изменятся ли уголовный кодекс, гражданское право и другие законодательные, нормативно-правовые акты Грузии?

– Безусловно, потому что здесь есть целый ряд положений, нормативных актов, которые сегодня уже утратили свою актуальность. Однако все это требует глубокой проработки, создания новой концепции. Работа в этом направлении уже ведется: обновляется уголовное право, проведены научные конференции, создан сильный научный потенциал и т. д. Главное, чтобы законы были справедливыми, максимально приближенными к жизни.

– Народные суды до сих пор считались формально выборными органами. Что должно, по-вашему, здесь измениться в первую очередь?

– Необходимо безотлагательно провести судебную реформу. Должен сказать, что уже внесены некоторые изменения в действующее законодательство, которые касаются, в частности, статуса судьи. Есть и другие новшества, однако это нельзя считать коренной реформой. Думается, необходимо предпринять более смелые, решительные шаги для того, чтобы обеспечить полную независимость правосудия. Судебные органы, в данном случае я имею в виду Верховный Суд республики, должны осуществлять не только функции правосудия. На Верховный Суд, к примеру, надо возложить и функции Конституционного Суда, то есть он должен осуществлять контроль за деятельностью каких-то определенных органов власти, что, безусловно, будет способствовать росту его авторитета и роли.

- Не считаете ли вы, что взрыв преступности в определенной мере обусловлен низким уровнем правового воспитания граждан да и в целом правовой пропаганды?

- На рост преступности, конечно же, оказывают влияние и упущения в правовом воспитании граждан, то есть то, что они плохо знают законы. Однако, думаю, здесь проявляется скорее нигилистическое отношение к закону, которое бытует сейчас в обществе. И тому есть свои причины, обусловленные отрицательным отношением к властям в целом. Закон, как говорится, идет от власти, но, когда она теряет свой авторитет, естественно, падает и авторитет закона.

Следует учесть также и целый ряд социально-экономических моментов. На протяжении длительного времени иллюзорно считалось, что у нашей преступности нет социальной основы. А ведь именно тяжелая социальная обстановка и обусловливала многие правонарушения. Поэтому можно этот вопрос поставить следующим образом: в таких условиях не преступность вносит беспорядок в социальный организм общества, а наоборот, социальная неупорядоченность порождает преступность.

– Что необходимо сделать, чтобы законы работали, порядок не нарушался, а процессы демократизации не принимали уродливые формы вседозволенности и анархии?

– Для этого необходима твердая исполнительная власть. Если рассматривать данную проблему на уровне Союза, то все мы являемся свидетелями, как в Верховном Совете страны увлеклись процессом законотворчества в то время, как исполнительная власть на местах бездействует, и никто не думает

о ее реорганизации, хотя именно она обязана проводить в жизнь принятые законы.

Если у государства сильный парламент, а исполнительная власть никудышная, – законы не будут выполняться. Так что, первое и основное условие того, чтобы законы работали, – создать крепкую, твердую исполнительную власть. Особое значение для нас это имеет на всем протяжении переходного периода в Грузии.

Беседу вел **Олег Кевлишвили**

Газета «Вечерний Тбилиси», № 282, 7 декабря 1990 года.

საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის ნორმალიზების ღონისძიებათა შესახებ*

საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციასთან დაკავშირებით, საჭიროდ მიმაჩნია, განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციური, სამართლებრივი გზით. კატეგორიულად დაუშვებელად და დამღუპველად მიმაჩნია ძალის გამოყენება პოლიტიკური საკითხების გადასაწყვეტად.

ერთადერთი სახელმწიფო ორგანო, რომელშიც განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის ნორმალიზების ყველა საკითხი - პარლამენტია.

2. უნდა გამოცხადდეს მორატორიუმი, დროებითი დაზავება დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებს შორის. არც ერთმა მხარემ არ უნდა მიმართოს მიტინგებს, მანიფესტაციებს, ტერორს, რეპრესიებსა და სხვა აქციებს, რომლებიც კიდევ უფრო გააძლიერებენ პოლიტიკურ ძალთა პოლარიზაციას, კიდევ უფრო დამუხტავენ პოლიტიკურ სიტუაციას, რომლის შემდგომში მშვიდობიანი გზით განმუხტვა შეუძლებელი გახდება და მიგვიყვანს სამოქალაქო ომამდე.

3. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე უმოკლეს ვადაში უნდა შეხვდეს ყველა პოლიტიკური ძალის უფლებამოსილ წარმომადგენელს, მათი მოთხოვნების დაზუსტებისა და აღნუსხვის მიზნით. ყველა ეს მოთხოვნა განხილულ უნდა იქნეს უზენაესი საბჭოს სესიაზე და მიღებულ იქნეს დასაბუთებული გადაწყვეტილებები.

4. უზენაესმა საბჭომ ამავე სესიაზე უნდა განიხილოს შემდეგი საკითხები:

- პრეზიდენტის მოხსენება საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის შესახებ (ამ საკითხზე სესიამ უნდა მიიღოს დადგენილება და მიმართვა ქართველი ხალხისადმი);
- კანონი მიწის შესახებ;
- სახელმწიფო ქონების პრივატიზების ჩატარების ორგანიზაციული ღონისძიებების შესახებ (მომხსენებელი პრემიერ-მინისტრი);
- რესპუბლიკის მატერიალური რესურსებითა და პროდუქტებით მომარაგების მდგომარეობის შესახებ (მომხსენებელი პრემიერ-მინისტრი და შესაბამისი დარგის მინისტრები);

---

* იბეჭდება 1991 წლის 16 სექტემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს სხდომაზე გაკეთებული მოხსენების სტენოგრამის მიხედვით.

- ზამთრისათვის რესპუბლიკაში ენერგეტიკული ბაზის მდგომარეობის შესახებ (მომხსენებელი პრემიერ-მინისტრი და შესაბამისი დარგის მინისტრი);

- ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისათვის კონსტიტუციური კანონების ძალის მინიჭებისა და საქართველოს რესპუბლიკაში მათი პირდაპირი მოქმედების შესახებ;

- პრემიერ-მინისტრის საპროგრამო განცხადების შესახებ;

- კანონი ეროვნულ უმცირესობათა შესახებ;

- ინფორმაცია 2 სექტემბრის ფაქტთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ (მომხსენებელი გენერალური პროკურორი); ამასთან დაკავშირებით, უნდა დამტკიცდეს საპარლამენტო კომისიის პერსონალური შემადგენლობა;

- საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ცალკეულ დარგებში კოდიფიცირებული აქტების მომზადების შესახებ;

- საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების შესახებ ახალი კანონის შემუშავებისა და არჩევნების ვადის განსაზღვრის შესახებ;

- კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და მინისტრთა კაბინეტის შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე (საკითხი შეეხება მინისტრთა კაბინეტის ფორმირების წესსა და პრეზიდენტის უფლებამოსილებებს);

- კანონი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის გაუქმების შესახებ;

- კანონი მილიციის (ან პოლიციის) შესახებ;

- ყოფილი კომპარტიისაგან არჩეულ დეპუტატთა უფლებამოსილების შესახებ;

- კანონი მიტინგების, დემონსტრაციებისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ინსტიტუტების შესახებ (ძალის გამოუყენებლობის გარანტიებით);

- ყველა პოლიტიკური პარტიისათვის სატელევიზიო გადაცემების უზრუნველყოფის შესახებ (დროის მონაკვეთისა და პერიოდულობის განსაზღვრით).

ჯონი ხეცურიანი

იუსტიციის მინისტრი.

კონსტიტუცია – მომავლის არჩევანი

ჯონი ხეცურიანი:

- არჩევნებზე ვიდრე ვისაუბრებდეთ, წინასწარ უნდა ვიცოდეთ, ვის ან რას ვაძლევთ ხმას. მე ვთქვი და ეს ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ დემოკრატიული სახელმწიფო წარმატებით ფუნქციონირებს როგორც რესპუბლიკური მართვა-გამგეობის, ისე კონსტიტუციური მონარქიის პირობებში. კონსტიტუციური მონარქია საპარლამენტო მონარქიაა. ხანგრძლივ მსჯელობას მოითხოვს, გვინდა თუ არა მონარქია ამ ეტაპზე. ვფიქრობ, რომ დღეს ეს ნაადრევია, თუმცა დღის წესრიგიდან ეს საკითხი არ იხსნება. არჩევანი უნდა გავაკეთოთ რესპუბლიკური მმართველობის ფორმებს შორის – საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო. აქ ერთი საკითხი დგება. სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის თვალსაზრისით ორივე დემოკრატიულია და ორივე უზრუნველყოფს ეფექტურ მართვას. ხელისუფლების დანაწილება იქაც არის და აქაც, ადამიანის უფლებების დაცვაზე აღარ ვლაპარაკობ. თუ გადავხედავთ 1921 წლის კონსტიტუციის დებულებებს, იქ საპარლამენტო რესპუბლიკაზეა საუბარი. ამიტომ არსებობს სერიოზული არგუმენტი საპარლამენტო რესპუბლიკის დასაცავად. მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ, მსოფლიოში არიან საპრეზიდენტო რესპუბლიკებიც და საპარლამენტოებიც. ორივე თანაბრად ფუნქციონირებს. ამიტომ რომელიმე ქვეყანაზე მითითება არ გამოგვადგება. გერმანია საპარლამენტო რესპუბლიკაა. შესანიშნავია! აშშ საპრეზიდენტო რესპუბლიკაა და იქაც ძალიან კარგადაა მოწყობილი სახელმწიფოც, ცხოვრებაც, საზოგადოებაც.

ჩვენი სპეციფიკის გათვალისწინებით, მე მაინც საპარლამენტო რესპუბლიკას ვუჭერ მხარს. ჩემი პოზიციის დასამტკიცებლად რამდენიმე არგუმენტს შემოგთავაზებთ: საპარლამენტო რესპუბლიკა, თავისთავად, იმთავითვე გულისხმობს პოლიტიკურ პლურალიზმს, მრავალპარტიულობას, პარტიულ არჩევნებს. ხალხი ხელისუფლებაში მონაწილეობს, ანუ თავის ხელმწიფებას ახორციელებს წარმომადგენლობითი ორგანოს მეშვეობით. ეს წარმომადგენლობითი ორგანო, როგორც წესი, პარლამენტია, თუმცა შეიძლება მას სხვადასხვა სახელი ეწოდოს. შემდეგ პარლამენტი აღმასრულებელ ხელისუფლებას ქმნის. წყალგამყოფი საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკებს შორის სწორედ აქ დევს: რამდენად პასუხისმგებელია მთავრობა – აღმასრულებელი ხელისუფლება პარლამენტის წინაშე. თუ იგი პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე, ეს არის საპარლამენტო რესპუბლიკა, თუ იგი არ არის პასუხისმგებელი პარლამენტის წინაშე, ეს არის საპრეზიდენტო რესპუბლიკა. ოღონდ საპრეზიდენტო რესპუბლიკის დროს პრეზიდენტს, როგორც წესი, ირჩევს ხალხი პირდაპირი

საყოველთაო არჩევნებით. პრეზიდენტი აყალიბებს აღმასრულებელ ხელისუფლებას და თავად უდგას სათავეში. ლეგიტიმაციის წყარო ორივე შემთხვევაში ერთნაირია. ახლა ჩვენი პირობები წარმოვიდგინოთ. ჩვენთან პოლიტიკური პარტიები მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ავიღოთ შემთხვევა, როცა საპრეზიდენტო რესპუბლიკის პირობებში პრეზიდენტმა, რომელიც ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერია, პარლამენტში ვერ მოიპოვა უმრავლესობა, პარლამენტი კი სხვადასხვა პარტიებით არის დაკომპლექტებული და ამ პარტიების ბლოკმა შეადგინა ნახევარზე მეტი, ასეთ შემთხვევაში გარდუვალია დაპირისპირება პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის, პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის. ეს დაპირისპირება ვნახეთ ჩვენთანაც და რუსეთშიც. აქ განმმუხტავი მექანიზმები ვერ გვიშველის, რადგან პოლიტიკური კულტურა ჩვენში ძალიან დაბალია. ეს მექანიზმებია საკონსტიტუციო სასამართლო ან რეფერენდუმი. რომელი მხარეც მათ მიმართავს, კიდევ მეტად გაამწვავებს კონფლიქტს და ხალხის ერთმანეთთან დაპირისპირებას. ამას მოჰყვება აღმასრულებელი ხელისუფლების ბლოკირება. ისიც არ დავივიწყოთ, რომ კლასიკური საპრეზიდენტო რესპუბლიკის პირობებში, პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნის უფლება არ ექნება. ამ დროს ხელისუფლება პარალიზებულია და, პრაქტიკულად, ვერ ხორციელდება. ეს გამოიწვევს ხელისუფლების პარალიზებას ადგილებზეც. დადგება ორიენტაციის საკითხი.

ყველაზე მარტივი და ეფექტური სახე არის საპარლამენტო რესპუბლიკა, რომლის დროსაც ხალხი ირჩევს წარმომადგენლებს პარლამენტის სახით. იმის მიხედვით, პარტიებმა ხმების რა რაოდენობა მოაგროვეს, დააკომპლექტებენ მთავრობას და მთავრობა იქნება პარლამენტით უზრუნველყოფილი – მას ყოველთვის ექნება პარლამენტის მხარდაჭერა. თუკი მთავრობა ან მისი ცალკეული წარმომადგენელი საქმეს თავს ვერ გაართმევს, მაშინ პარლამენტის ის ნაწილი, რომელიც უმრავლესობას წარმოადგენს, თვითონ არის დაინტერესებული მისი შეცვლით, რომ არ წააგოს მომავალი არჩევნები. თუ რამდენიმე ძლიერი პარტიაა, კოალიციური მთავრობა ჩამოყალიბდება, მთავრობაში ცვლილებების საკითხები კი შეთანხმების საფუძველზე გადაწყდება. ამიტომ ჩვენთან მხოლოდ ის მთავრობა გაძლებს, რომელსაც ექნება საპარლამენტო უზრუნველყოფა, პარლამენტის მხარდაჭერა და ნდობა. საპრეზიდენტო რესპუბლიკის დროს ის მთავრობა, რომელიც პარლამენტის ნდობას ვერ დაიმსახურებს, არსად არ წავა, დარჩება ადგილზე და შეიქმნება გადაულახავი წინააღმდეგობა. მეორეც, ზოგადად, პოლიტიკური კულტურა და ცნობიერება შემოიტანა არა პრეზიდენტმა ან მონარქმა, არამედ პარლამენტარიზმმა. ჩვენთან, ამ ბოლო ხანებში, პარლამენტის დისკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობს. ეს ძალიან ცუდია. სხვათა შორის, ამას ის ხალხი აკეთებს, ვინც პარლამენ-

ტში ზის ან პარლამენტს ხელმძღვანელობს. ეს ხომ აბსურდია! ამ დროს მთელი პასუხისმგებლობა არსებული სოციალური და ეკონომიკური, თუნდაც პოლიტიკური მდგომარეობის გამო, კისერზე აწევს აღმასრულებელ ხელისუფლებას – მთავრობას. მაშინ როცა მთავრობას არავინ ახსენებს. ხალხს ჰგონია, რომ ცუდი მდგომარეობა პარლამენტიდან მოდის, მაგრამ თავად განსაჯეთ, წესრიგისთვის, ცხადია, აღმასრულებელ ხელისუფლებას უნდა მოვკითხოთ პასუხი, ამისთვის მთელი სამართალდამცველი სისტემა არსებობს. ასევე უნდა მოვიქცეთ სხვა პრეტენზიების დროსაც. პარლამენტის მთავარი ფუნქცია საკანონმდებლო საქმიანობაა, მაგრამ ამასთან მას ევალება აღმასრულებელ ხელისუფლებაზე საერთო კონტროლიც. სხვა არგუმენტებიც არსებობს საპარლამენტო მმართველობის სასარგებლოდ: ჩვენ ვიმყოფებით პოსტკომუნისტურ, პოსტსაბჭოთა პერიოდში, ამიტომ ძალზე საშიშია ერთი პიროვნების გამოკვეთა და მასზე აქცენტის გადატანა. პრეზიდენტი საპრეზიდენტო რესპუბლიკის დროს ფაქტობრივად გარეგან ატრიბუტებს მოკლებული მონარქია. ეს არის ერთპიროვნული ხელისუფლება, ერთპიროვნული მმართველობა.

– მაგრამ, როგორც თქვენ ბრძანეთ, ამ პირობებშიც ხომ ხორციელდება სახელმწიფოს დემოკრატიული მართვა?

– ხორციელდება, მაგრამ გააჩნია კონკრეტულ პირობებს. ხელაღებით კი არ ვამბობ, რომ საპრეზიდენტო რესპუბლიკა ცუდია და არ შეიძლება, მე კვლავ ჩვენს პირობებზე ვაკეთებ აქცენტს. ზოგადად, კონსტიტუციური მონარქიაც შესანიშნავია და, კი ბატონო, საპრეზიდენტო რესპუბლიკაც, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში და მეზობელ სახელმწიფოებში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გათვალისწინებით მიმაჩნია, საპარლამენტო რესპუბლიკა მეტ გარანტიას იძლევა, რომ კონფლიქტი არ მოხდეს ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში. მთავრობას, რომელმაც დღეს რეფორმები უნდა განახორციელოს, სათანადო საკანონმდებლო ბაზა დასჭირდება. თუ ამ მთავრობას პარლამენტში არ აქვს მხარდაჭერა, პარლამენტი მუდამ მის საწინააღმდეგოდ მოიქცევა და ბლოკირებას გაუკეთებს. ეს ჩვეულებრივი ამბავია, ანუ პარლამენტის მოქმედების საშუალებაა, მისი მოქმედების იარაღია. რატომ უკვირს ვინმეს, რომ დღეს პარლამენტმა მთავრობას არ დაუმტკიცოს ბიუჯეტი? მისი ზემოქმედების საშუალება სწორედ ეს არის. თუკი მთავრობა დაკომპლექტებული იქნება პარლამენტის მიერ, პარლამენტის უმრავლესობის მიერ, ჩათვალეთ, რომ მთავრობა რა საკითხებსაც დააყენებს, რა თქმა უნდა გონივრულობის ფარგლებში, ის სათანადო მხარდაჭერას პოვებს.

– დღეს ვისგან არის მთავრობა დაკომპლექტებული? მოგვიანებით, მაგრამ საპარლამენტო უმრავლესობამ ხომ დაუჭირა მას მხარი?

– დღეს მე ვერ გეტყვით ვისგან არის დაკომპლექტებული მთავრობა. ჩვენთან რა სისტემაც არის, მსგავსი ბუნებაში არსად არსებობს. ასეთი

„ვინეგრეტი" არავის მოუგონია. დიდი დაპირებები იყო, ჩვენგან გადაიღებენ ამასო, მაგრამ ჩვენგან, ჯერჯერობით არავის არაფერი გადაუღია, არც გადაიღებენ. ეს ალბათ ქრესტომათიული ნიმუში იქნება იმისა, როგორ არ უნდა მოაწყო სახელმწიფო. მართალია, პარლამენტის მიერ დაკომპლექტებული მთავრობა გვყავს, მაგრამ, როდესაც იგივე პარლამენტი პასუხს ითხოვს მისგან, მთავრობა ამას ავადმყოფურად განიცდის. იქმნება აუიოტაჟი და ისტერია. დღეს მთავრობის 4 თუ 5 წევრი დაუმტკიცებელია. 8 თვეა მოვალეობას ასრულებენ, პარლამენტს კი ისინი ჯერაც არ დაუმტკიცებია. ან თუ შეიძლება, ერთი და იგივე ადამიანი მინისტრთა კაბინეტის წევრიც იყოს და პარლამენტისაც? ეს ხომ ჩვენ მიერვე მიღებული კანონით არის აკრძალული.

გაზეთი „კავკასიონი", №10, 1995 წელი, 18 იანვარი.

იუსტიციის სამინისტრო ქვეყნის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ახალ პირობებში

საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებამ ახალი იმპულსები შემატა რეფორმატორული პროცესების განვითარებას. დღის წესრიგში დადგა ახალი ინსტიტუციური ცვლილებების აუცილებლობა, რამაც სათავე უნდა დაუდოს სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციების უკეთ განხორციელებას და მართვის გაცილებით ქმედითი მექანიზმების ჩამოყალიბებას. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეხო მმართველობის სრულყოფას იუსტიციის დარგში. აღნიშნულთან დაკავშირებით, გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს იუსტიციის მინისტრთან, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ ჯონი ხეცურიანთან.

– ბატონო ჯონი, თქვენ ხელმძღვანელობთ ისეთ უმნიშვნელოვანეს მმართველობით რგოლს, როგორიცაა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. საინტერესოა, როგორია დღესდღეობით მისი სტრუქტურა და საკადრო შესაძლებლობების პოტენციალი?

– საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მართლაც უმნიშვნელოვანესი რგოლია. მისი როლი და მნიშვნელობა ქვეყნის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ახალ პირობებში კიდევ უფრო მკვეთრად გაიზრდება. ამის აუცილებლობას თვით ახალი დროის ახალი მოთხოვნები გვკარნახობს.

დღეს უკვე იუსტიციის სამინისტრო ის აღარ არის, რაც სულ რამდენიმე წლის წინ იყო. მან შეიძინა არაერთი ახალი ფუნქცია, თუმცა, სამწუხაროდ, ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაც დაკარგა. ამ მხრივ მთავარი სიახლეა პენიტენციარული სისტემის გადმოსვლა იუსტიციის სამინისტროს განმგებლობაში. აგრეთვე ევროსაბჭოში საქართველოს გაწევრიანებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს წარმომადგენლის ფუნქციის შეძენა, მოქალაქეობისა და იმიგრაციის საკითხთა განხილვა-გადაწყვეტისა და ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესრულებაზე კონტროლის ფუნქცია, სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების სრულიად ახლებული ორგანიზაცია, საზღვარგარეთის ქვეყნებში მსჯავრდებულ საქართველოს მოქალაქეთა ექსტრადიციის საკითხთა გადაწყვეტა, სახელმწიფო სანებართვო ფუნქცია და ა.შ.

მიუხედავად მზარდი ფუნქციონალური დატვირთვისა, სამინისტროს ჯერჯერობით ძალზე მცირერიცხოვანი შტატებით უხდება მუშაობა. სამინისტროს ცენტრალურ აპარატში დასაქმებულია მხოლოდ 55 საჯარო მოსამსახურე. იუსტიციის სამინისტროს დღევანდელი სტრუქტურული

მოწყობა ვერ აკმაყოფილებს მის წინაშე მდგარ მოთხოვნებს. ამიტომ დაგეგმილია გარკვეული სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება, რაც თავისთავად, თვითმიზანი არ არის, მაგრამ შემდგომში სამინისტროს ნორმალური ფუნქციონირებისათვის ამის გაკეთება აუცილებელია.

– სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და სამართლებრივი რეფორმის პროცესში ხშირად იცვლება სახელმწიფო ორგანოთა როლი და ფუნქციები, მათი კომპეტენციის მოცულობა. რა ცვლილებებია ამ მხრივ მოსალოდნელი იუსტიციის სამინისტროში?

– როგორც უკვე აღვნიშნეთ, იუსტიციის სამინისტრომ ბოლო წლების განმავლობაში ზოგიერთი ფუნქცია დათმო, თუმცა მისი კომპეტენციის სფერო არათუ არ შემცირებულა, პირიქით, გაიზარდა და მომავალშიც კიდევ უფრო გაიზრდება.

ერთ-ერთი ყველაზე მთავარი და ძირითადი სფერო, რომელიც იუსტიციის სამინისტროს ჩამოშორდა, გახლავთ სასამართლო ორგანოებისადმი ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობა. იგი ქვეყანაში მიმდინარე სასამართლო რეფორმის შედეგად ახლად შექმნილ ორგანოს - იუსტიციის საბჭოს გადაეცა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სასამართლოს მოქმედებებით უკმაყოფილო პირები, რატომღაც, კვლავ ინტენსიურად მიმართავენ იუსტიციის სამინისტროს, რაც, თავისთავად, ნიშანდობლივი ფაქტია. იგივე ითქმის, მაგალითად, შეწყალების საკითხთა სამსახურზე, რომელიც სამინისტროში 1991-1992 წლებში ჩამოყალიბდა მოქალაქეობის საკითხთა განყოფილებასთან ერთად, შემდგომში კი სამინისტროს განმგებლობას ისიც ჩამოაშორეს. იუსტიციის სამინისტროს პოზიცია ამასთან დაკავშირებით შემდეგში მდგომარეობს:

აღნიშნული ფუნქციები უნდა განახორციელოს იმ სახელმწიფო ორგანომ, რომელსაც დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ინტერესებიდან გამომდინარე, უკეთ ხელეწიფება, მაქსიმალურად დაიცვას ადამიანის უფლებები ამ მნიშვნელოვან სფეროებში. ამასთან, შეუძლებელია, ანგარიში არ გაეწიოს საზღვარგარეთის სახელმწიფოთა გამოცდილებას, სადაც იუსტიციის სამინისტრო უმნიშვნელოვანესი ფუნქციებით აღჭურვილი ორგანოა.

ჩვენს სამინისტროში ახლო მომავალში მოსალოდნელია სტრუქტურული ცვლილებები, რომლებიც, პირველ რიგში, დაკავშირებულია შსს სისტემიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებათა ჩვენს დაქვემდებარებაში გადმოსვლის პრაქტიკულ განხორციელებასთან, რაზედაც სამინისტრო ამჟამად ინტენსიურად და დიდი ყურადღებით მუშაობს.

ამ სისტემის პრაქტიკულ რეფორმირებას ნინ უძღვის დაძაბული მუშაობა სათანადო ნორმატიული ბაზის შესაქმნელად. „პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარე, სამინისტროში მომზადდა მრავალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლებიც აუცილე-

ბელია ამ ურთულესი და მეტად საპასუხისმგებლო სფეროს სრულიად ახალი პრინციპებით ასამოქმედებლად. სამინისტროში გასატარებელი სტრუქტურული ცვლილებები, პირველ რიგში, სწორედ ამ სისტემის გადმოცემას უკავშირდება.

– და მაინც, რამდენად ეფექტიანი იქნება იუსტიციის სამინისტროს მიერ ასეთი მძიმე ტვირთის მიღება საკუთარ თავზე. ბოლოს და ბოლოს თვითმიზანი ამ შემთხვევაში ის ხომ არ არის, რომ შეიცვალოს პენიტენციარული სისტემის ხელმძღვანელის მისამართი, თუ ის, რომ კარდინალურად გაუმჯობესდეს თვით ამ დაწესებულებაში არსებული მძიმე მდგომარეობა. რამდენად შეძლებს იუსტიციის სამინისტრო ამ მისიის შესრულებას?

– პენიტენციარული სისტემის ამგვარად ფორმირება ობიექტური აუცილებლობით არის განპირობებული და იგი დამოკიდებული არ არის ვინმეს პირად სურვილზე. ამის აუცილებლობას გვკარნახობს თვით ევროსტრუქტურებში საქართველოს ინტეგრირების პერსპექტივები.

ადამიანის უფლებათა დაცვას სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში უდავოდ ხელს შეუწყობს ამ სისტემის არსებობა ისეთი ნეიტრალური სამთავრობო დაწესებულების დაქვემდებარებაში, როგორიც იუსტიციის სამინისტროა.

– როგორც ცნობილია, იუსტიციის სამინისტრო, სხვა ფუნქციებთან ერთად, აქტიურ კანონშემოქმედებით საქმიანობასაც ახორციელებს. რომელი მნიშვნელოვანი კანონპროექტი მომზადდა სამინისტროს მიერ და რომელი კანონპროექტი მზადდება ამჟამად?

– კანონშემოქმედებით საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა იუსტიციის სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად რჩება. ცალკე უნდა აღინიშნოს სამინისტროში შექმნილი სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისიის საქმიანობა, რომლის შედეგიცაა არაერთი ფუნდამენტური, კოდიფიცირებული სამართლებრივი აქტის (კოდექსების) მომზადება.

საქართველოს პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში განსახილველად შესული კანონპროექტების დიდი ნაწილი იუსტიციის სამინისტროს უშუალო მონაწილეობით მომზადდა. მათ შორის გამოვყოფთ ისეთ რეფორმატორულ კანონპროექტებს, როგორებიცაა: „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა", „პატიმრობის შესახებ", „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ", „იარაღის შესახებ", „სახელმწიფო ენის შესახებ" კანონპროექტები. მუშაობა მიმდინარეობს სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან პროექტებზეც („შრომის კანონთა კოდექსი", „ადვოკატურის შესახებ", „იურიდიული განათლების შესახებ" კანონპროექტებზე და ა.შ.). „სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის

12 ოქტომბრის ბრძანებულების შესაბამისად, ახალი პენიტენციარული კანონმდებლობის მოქმედების სამართლებრივი საფუძვლების მოწესრიგების მიზნით, იუსტიციის სამინისტროში ყოველდღიური მუშაობა მიმდინარეობს მრავალი ახალი საკანონმდებლო აქტის შესამუშავებლად და ზოგიერთ მოქმედ აქტში ცვლილებებისა და დამატებების შესატანად, რამაც უნდა უზრუნველყოს სისტემის რეფორმირების მყარი სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბება.

ამ მიზნით, მუშავდება კანონპროექტი „სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესახებ" კანონში დამატებების შეტანის თაობაზე, კანონქვემდებარე აქტის პროექტი „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების ორგანოებში სახელმწიფო სამსახურის გავლის წესის შესახებ" და ა.შ. ერთი სიტყვით, მთელი ყურადღება გადატანილია იმაზე, რომ იუსტიციის სამინისტრო მაქსიმალურად მომზადებული შეხვდეს, მისთვის ჯერჯერობით უცხო, ახალი სისტემის მიღებას და მართვას.

– ბატონო ჯონი, სამწუხაროდ, საზოგადოების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ პარლამენტის მიერ მიღებული 600-ზე მეტი კანონიდან მნიშვნელოვანი ნაწილი მკვდრადშობილია, ე.ი. ან ვერ ხდება მათი პრაქტიკული რეალიზება ან ვერ ასახავს თანამედროვეობის მოთხოვნებს. თქვენ რა მოსაზრება გაქვთ ამის თაობაზე?

– გეთანხმებით, მიღებული კანონების ცხოვრებაში გატარების საკითხი კვლავ ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად რჩება. კანონის ეფექტიანობის განმსაზღვრელი უმთავრესი კრიტერიუმი სწორედ ის არის, თუ რამდენად სიცოცხლისუნარიანია იგი. ამასთან, აუცილებელია, ამაღლდეს იმ სახელმწიფო ორგანოთა პასუხისმგებლობა, რომლებსაც მათი ცხოვრებაში დანერგვა და განუხრელად დაცვა ევალებათ. იგივე ითქმის მოსახლეობის, თითოეული მოქალაქის მართლშეგნების ამაღლების აუცილებლობაზე. ამასთან დაკავშირებით, დღის წესრიგში დგას მოქმედი კანონმდებლობის აღსრულების კონტროლის ქმედითი მექანიზმის ჩამოყალიბება. მოგეხსენებათ, რომ კანონების მიღება სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის მხოლოდ პირველი ნაბიჯია. მთავარია მათი ცხოვრებაში განხორციელება.

საქართველოს პარლამენტის მიერ 600-ზე მეტი კანონის მიღებით, დასრულდა სამართლებრივი რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი ეტაპი. მიღებულია ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების თითქმის ყველა ძირითადი სფეროს მომწესრიგებელი ნორმატიული აქტები. შემდგომში, ვფიქრობთ, პრიორიტეტული უნდა გახდეს არა კანონების რაოდენობრივი ზრდა, არამედ უკვე მიღებულის კორექტირება მათი პრაქტიკული აპრობაციის გათვალისწინებითა და განუხრელი შესრულების მიზნით.

კანონის შესრულების აუცილებელი გარანტი მათი მოსახლეობამდე გასაგები ენით მიტანაა. ამ ამოცანის გადაჭრა პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. თითოეულ მოქალაქეს საშუალება უნდა ჰქონდეს, გაიცნობიეროს თავისი ძირითადი უფლებები და მოვალეობები, რათა თავიდან ავიცილოთ კანონის უცოდინრობით გამოწვეული დარღვევები.

სახელმწიფომ, თავის მხრივ, უნდა იზრუნოს საკანონმდებლო ტექნიკის სრულყოფის, იურიდიული ტერმინოლოგიის დახვეწისა და ქართული სამართლის ტრადიციების შეძლებისდაგვარად აღორძინებისათვის, რაშიც იუსტიციის სამინისტრომ თავისი სიტყვა უნდა თქვას.

– რამდენიმე წლის წინ იუსტიციის სამინისტროს უშუალო ფუნქციაში შედიოდა მსჯავრდებულ პირთა შეწყალების საკითხთა მომზადება. შემდეგ ეს ფუნქცია გადაეცა სახელმწიფო კანცელარიის შეწყალების საკითხთა განყოფილებას. იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში პენიტენციარული სისტემის გადმოსვლის ფონზე ხომ არ ფიქრობთ, რომ უფრო მართებული და ეფექტიანი იქნებოდა აღნიშნული ფუნქციის სამინისტროსათვის კვლავ დაბრუნება?

– როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ეტაპზე მთელი ჩვენი ძალისხმევა მიმართულია პენიტენციარული სისტემის უმტკივნეულოდ და თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით რეფორმირებისაკენ. რაც შეეხება ზოგიერთი დაკარგული ფუნქციის აღდგენის საკითხს, მათ შორის მსჯავრდებულთა შეწყალების საკითხის განხილვის ფუნქციას, სრულიად გეთანხმებით იმაში, რომ იუსტიციის სამინისტროში პენიტენციარული სისტემის გადმოსვლის ფონზე მართლაც უპრიანი იქნებოდა ამ ხასიათის სამსახურის ჩვენს სამინისტროში აღდგენა, რაც ხელს შეუწყობდა მსჯავრდებულ პირთა შეწყალების საკითხთა უფრო ოპერატიულ განხილვას. ამასთან, სამინისტრომ შეიძლება იკისროს შეწყალების საკითხთა მხოლოდ წინასწარი განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად საქართველოს პრეზიდენტისათვის მასალების წარდგენის ფუნქცია, ასევე, კონტროლი პრეზიდენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე. ამ მხრივ პროცედურა დაახლოებით ისეთი შეიძლება იყოს, როგორიცაა, მაგალითად, მოქალაქეობის საკითხთა განხილვა-გადაწყვეტის დღეისათვის მოქმედი წესი, რომლის მიხედვითაც, მოქალაქეობის საკითხებს წინასწარი წესით განიხილავს იუსტიციის სამინისტრო, ხოლო მისგან წარდგენილი მასალის საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი. მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლს კი იუსტიციის სამინისტრო განახორციელებს. სხვათა შორის, ეს უკვე კარგად დახვეწილი, აპრობირებული მექანიზმია.

– ბატონო ჯონი, ჟურნალის ფართო მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება საკითხი იუსტიციის სამინისტროსა და ნოტა-

რიუსთა პალატის ურთიერთობის შესახებ. ერთი მხრივ, არსებობს სახელმწიფო ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს მმართველობას აღნიშნულ სფეროში და მეორე მხრივ, ნოტარიუსთა თვითმმართველობის ორგანო, რომელიც თვითმმართველობის ფარგლებში წყვეტს გარკვეულ საკითხებს. რამდენად ქმედითია ასეთი „ორხელისუფლებიანობა" და ხომ არ არის მოსალოდნელი რაიმე ცვლილებები ამ მიმართებით?

– მოქმედი კანონმდებლობა მკვეთრად განსაზღვრავს იუსტიციის სამინისტროს როლს საქართველოს სანოტარო სისტემაში. ნოტარიუსთა საქმიანობა დამყარებულია თვითმმართველობის პრინციპზე, რომლის ხელმძღვანელობა ხორციელდება ნოტარიუსთა პალატის მეშვეობით, ხოლო სახელმწიფო ზედამხედველობას, თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა, ახორციელებს იუსტიციის სამინისტრო. ნოტარიუსი თავისი სანოტარო მოქმედებით ახორციელებს სახელმწიფოს მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებას. კანონის მიხედვით, ნოტარიატი საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტია, რაც სულაც არ უშლის ხელს ნოტარიუსს თავისი უფლებამოსილების აბსოლუტურად დამოუკიდებლად განხორციელებაში. ამ მხრივ იგი ოდნავადაც კი არ არის შეზღუდული სახელმწიფოს მხრიდან. სახელმწიფოსთან ნოტარიუსის დამოკიდებულება ძირითადად მისგან ორგანიზაციულ-მეთოდურ ხელმძღვანელობაში გამოიხატება.

რაც შეეხება საკანონმდებლო ცვლილებას, ამ მიმართულებით უახლოეს მომავალში ალბათ თვით ნოტარიუსთა მიერ წარმოდგენილ წინადადებებს განვიხილავთ და შევეცდებით, კიდევ უფრო სრულვყოთ ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობა ლათინური ნოტარიატის პრინციპების გათვალისწინებით.

– გარდა წმინდა მმართველობითი საქმიანობისა, სამინისტრო გარკვეულწილად აღჭურვილი იყო საგანმანათლებლო ფუნქციით, რაც გამოიხატებოდა მის სისტემაში დასაქმებული მუშაკებისათვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების არსებობაში. რა მდგომარეობაა ამ მხრივ დღეს?

– იუსტიციის სამინისტროსთან არსებული ე.წ. კვალიფიკაციის ამაღლების კურსები დღეისათვის ფაქტობრივად აღარ ფუნქციონირებს. მის ბაზაზე შექმნილია იუსტიციის სასწავლო ცენტრი, რომელსაც გარდა სახელწოდებისა, საერთო არაფერი აქვს იუსტიციის სამინისტროსთან. ახლო მომავალში საჭიროა განხორციელდეს მისი იმდაგვარი რეორგანიზაცია, რომ ჩამოყალიბდეს იუსტიციის მუშაკთა ფართო პროფილის საგანმანათლებლო ცენტრი.

– თქვენი სამომავლო გეგმები?

– სამომავლო გეგმებსა და ძირითად პერსპექტივებს ნაწილობრივ ზემოთ უკვე შევეხეთ. აქვე დავძენთ, რომ იუსტიციის სამინისტრო სა-

ქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის კვალდაკვალ სულ უფრო მნიშვნელოვან, ფუნქციონალურად მრავალმხრივ საინტერესო სახელმწიფო სტრუქტურად ფორმირდება. მთელი რიგი ახალი სფეროები, რომლებიც სამინისტროს დაქვემდებარებაში გადმოვიდა ან უახლოეს მომავალში უნდა გადმოვიდეს, კერძოდ, პენიტენციარული სისტემა, სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების კონტროლი, იურიდიული განათლების კოორდინაცია, ევროსაბჭოში საქართველოს გაწევრიანებით შეძენილი სრულიად ახალი ფუნქცია და პასუხისმგებლობა, იუსტიციის სამინისტროს კიდევ უფრო მნიშვნელოვან პერსპექტივებს უსახავს. ამის შედეგად უნდა ჩამოყალიბდეს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების შესატყვისი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი, რომლის სასიკეთო გავლენა, პირველ რიგში, საზოგადოებას, მის კეთილდღეობას უნდა დაეტყოს. ყოველი რეფორმის მთავარი დანიშნულებაც სწორედ ეს არის.

ჟურნალი „სამართალი", №5, 1999 წელი.

სახელმწიფო და ეკლესია

კონსტიტუციის გადასინჯვა თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენაა ნებისმიერ სახელმწიფოში, რადგანაც საქმე ეხება ქვეყნის ძირითად კანონს. საქართველოს პრეზიდენტის მიერ შარშან პარლამენტში წარდგენილი კონსტიტუციური ცვლილებების პროექტი სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის, სახელდობრ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსის განსაზღვრას ისახავს მიზნად. ამიტომ სავსებით გასაგებია ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც ჩვენმა საზოგადოებრიობამ გამოიჩინა კონსტიტუციაში მოსალოდნელი ცვლილებებისადმი. ქვეყნის ძირითადი კანონით დადგენილი პროცედურების თანახმად, კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი პარლამენტმა საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოაქვეყნა. ამასთანავე, პარლამენტი უფლებამოსილია, შეუდგეს მის განხილვას კანონპროექტის გამოქვეყნებიდან მხოლოდ ერთი თვის შემდეგ. უკვე ორი თვე გავიდა, რაც კანონპროექტი საყოველთაო განხილვის საგანია. განხილვაში მონაწილეობენ როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციები, სასულიერო თუ საერო პირები, მეცნიერები, სპეციალისტები, პოლიტიკური პარტიები, უმაღლესი სკოლები და სხვა.

გამოითქვა მრავალი მოსაზრება როგორც კანონპროექტის მხარდასაჭერად, ისე მის საწინააღმდეგოდ. რადგანაც კონსტიტუციური ცვლილებების ზოგიერთი დებულება არასწორად იქნა გაგებული, ჩვენს მოვალეობად მივიჩნიეთ, უფრო კონკრეტულად გვემსჯელა კანონპროექტის არსზე, მის დანიშნულებასა და საკანონმდებლო ნოვაციის მართებულობაზე.

თავიდანვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამჯერად ვიმსჯელებთ მხოლოდ კონსტიტუციური ცვლილებების კანონპროექტზე და არა კონსტიტუციური შეთანხმების შინაარსზე. კონსტიტუციური შეთანხმების ძირითად დებულებებზე ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა. მისი დასრულებისა და პროექტის გამოქვეყნების შემდეგ ყველას მიეცემა შესაძლებლობა, გამოთქვას თავისი შენიშვნები და წინადადებები.

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის განსაზღვრისათვის გასაღებს გვაძლევს საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი. სწორედ ამ მუხლში ჩამოყალიბებული დებულებების გათვალისწინებით უნდა გამოიკვეთოს ის სამართლებრივი პრინციპები, რომლებიც საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსს დაედება საფუძვლად.

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლში გადმოცემულია სამი უმნიშვნელოვანესი დებულება.

პირველი. სახელმწიფო აღიარებს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში;

მეორე. სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას;

მესამე. ეკლესია დამოუკიდებელია სახელმწიფოსაგან.

როგორც ვხედავთ, ჩვენმა კონსტიტუციამ თავიდანვე უარყო სახელმწიფო რელიგიად მართლმადიდებლობის გამოცხადების იდეა, როდესაც მკაფიოდ დაადგინა სახელმწიფოსგან ეკლესიის დამოუკიდებლობა. ეს უაღრესად საყურადღებოა, რადგანაც კანონპროექტის განხილვისას პრესაში გაჩნდა მოსაზრება, რომ კონსტიტუციური შეთანხმების ინსტიტუტის შემოღებით ფაქტობრივად ხდება მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება. ამ მოსაზრებას არა მგონია რაიმე სერიოზული საფუძველი ჰქონდეს, რადგანაც ამა თუ იმ რელიგიის სახელმწიფო რელიგიად აღიარებისას სახელმწიფოსაგან ეკლესიის დამოუკიდებლობაზე კი არ არის საუბარი, არამედ პირიქით, ქვეყნის ძირითადი კანონით – კონსტიტუციით – ამ რელიგიას ენიჭება ოფიციალური რელიგიის სტატუსი და შესაბამისი რელიგიური ორგანიზაცია სახელმწიფო მექანიზმის შემადგენელი ნაწილი ხდება. პრაქტიკულად კი ეს იმას ნიშნავს, რომ ოფიციალურად აღიარებული რელიგიური ორგანიზაცია უშუალოდ მონაწილეობს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში, მას სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებს და სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან შედარებით, სარგებლობს პრივილეგიებით. ამჟამად სახელმწიფო რელიგია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია კონსტიტუციით აღიარებული. სხვათა შორის, მათ რიცხვს მიეკუთვნებიან ჩვენთვის კარგად ცნობილი ევროპული სახელმწიფოებიც: დიდი ბრიტანეთი, დანია, საბერძნეთი და სხვა, სადაც უკვე კარგა ხანია სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა დასრულებულია და ადამიანის უფლებებიც სათანადოდ დაცული. როგორც ვხედავთ, ამა თუ იმ რელიგიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დროსაც, შესაძლებელი ყოფილა რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა.

მიუხედავად ამისა, ჩვენმა კანონმდებლობამ სხვა გზა აირჩია და როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფოსაგან ეკლესიის დამოუკიდებლობის პრინციპი აღიარა. ახლა საკითხი დგას, თუ როგორ უნდა მოწესრიგდეს ურთიერთობები ორ დამოუკიდებელ სუბიექტს – სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დამოუკიდებელ სუბიექტებს შორის ურთიერთობების განსაზღვრის ოპტიმალური ფორმა ხელშეკრულებაა, რომლის დროსაც მხარეები თავისუფლად გამოხატავენ თავიანთ ნებას და თანხმდებიან მოსაწესრიგებელი ურთიერთობების ბედზე. საჭიროა აქვე აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობების განსაზღვრის სახელშეკრულებო ფორმა უცხო არ არის, იგი გა-

მოიყენება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ამ ფორმის უპირატესობა, ჩვეულებრივ, საკანონმდებლო რეგულირებასთან შედარებით, იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო ხელისუფლება შეზღუდულია შეთანხმებით და არ ეძლევა საშუალება, საკანონმდებლო ნოვაციებით ცალმხრივად შეცვალოს ეკლესიის სამართლებრივი მდგომარეობა. ამის მწარე გამოცდილება, არცთუ შორეული წარსულიდან, კარგად ახსოვს ჩვენს ხალხს. კომუნისტური რეჟიმის პირობებში აუნაზღაურებელი ვნება და ზიანი მიადგა ეკლესიას სწორედ სახელმწიფოსაგან და ყოველივე ეს ხდებოდა სამართლებრივი აქტების საფუძველზე. ამიტომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობების განსაზღვრისას აუცილებელია ისეთი სამართლებრივი ფორმის შემოღება, რომელიც მყარ სამართლებრივ გარანტიებს შეუქმნის ეკლესიის სტატუსს.

კანონპროექტი ასეთ ფორმად მიიჩნევს კონსტიტუციურ შეთანხმებას, რომელმაც უნდა განსაზღვროს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა.

კონსტიტუციური შეთანხმება სრულიად ახალი ინსტიტუტია ქართულ სამართალში. ამ შეთანხმებას კონსტიტუციური ეწოდება იმიტომ, რომ მისი დადების შესაძლებლობა და სუბიექტთა წრე მხოლოდ სახელმწიფოს ძირითადი კანონით იქნება განსაზღვრული.

ცნობილია, რაც უფრო მნიშვნელოვანია სამართლით მოსაწესრიგებელი საზოგადოებრივი ურთიერთობები, მით უფრო დიდი უნდა იყოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის იურიდიული ძალა. ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესია უდიდეს როლს ასრულებდა საქართველოს როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და ქართველი ერის ფიზიკური და სულიერი გადარჩენისათვის ბრძოლის ისტორიულ პროცესში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ქართული ცივილიზაციის მთავარი საფუძველი სწორედ რომ მართლმადიდებლობა იყო. დღესაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს მართლმადიდებელ ეკლესიას ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში, ერის გამთლიანებასა და საზოგადოების ზნეობრივი საფუძვლების განმტკიცებაში.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლის გამო, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებულ კონსტიტუციურ შეთანხმებას, კანონპროექტის თანახმად, ქვეყნის ძირითადი კანონის შემდეგ უპირატესი იურიდიული ძალა ექნება სხვა სამართლებრივი აქტების მიმართ, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლში შემოთავაზებული ცვლილებების განხორციელების შემდეგ კონსტიტუციურ შეთანხმებას ექნება უპირატესი იურიდიული ძალა, ვიდრე კანონს, ორგანულ კანონსა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას. კანონპროექტის მიღების შემდეგ მნიშვნელოვანი კორექტივი შევა სამარ-

თლებრივი აქტების იერარქიაში, კერძოდ, თუ აქამდე საერთაშორისო ხელშეკრულება კონსტიტუციის შემდეგ ყველაზე მაღალი იურიდიული ძალის მქონე აქტი იყო და კონსტიტუციასთან შესაბამისობა ამ აქტის ლეგიტიმურობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენდა, ცვლილებების შემდეგ ამ პირობას დაემატა აგრეთვე კონსტიტუციურ შეთანხმებასთან საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისობის აუცილებლობაც.

კონსტიტუციური შეთანხმების იურიდიული ძალა განპირობებული იქნება მისი მიღების უაღრესად რთული პროცედურით, რაც საერთოდ ახასიათებს მაღალი იურიდიული ძალის მქონე სამართლებრივ აქტებს. კანონპროექტის თანახმად, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან კონსტიტუციურ შეთანხმებას დადებს საქართველოს პრეზიდენტი და დაამტკიცებს პარლამენტი სრული შემადგენლობის ორი მესამედით.

კანონპროექტის განხილვისას გამოითქვა მოსაზრება, რომ კონსტიტუციური შეთანხმებისათვის ესოდენ მაღალი იურიდიული ძალის მინიჭება მიზანშეუწონელია, რადგანაც საერთაშორისო ხელშეკრულებების მიმართ მისი უპირატესობის დადგენა დაარღვევს რწმენისა და აღმსარებლობის შესახებ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და სხვა რელიგიური ორგანიზაციების თანასწორუფლებიანობას.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ საზღვარგარეთის მრავალ დემოკრატიულ ქვეყანაში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობების ძირითადი პრინციპები განსაზღვრულია არა ჩვეულებრივი საკანონმდებლო აქტით, არამედ თავად კონსტიტუციით. შესაბამისად, ამ ქვეყნებში ეკლესიის სამართლებრივი მდგომარეობაც დადგენილია კონსტიტუციური ნორმებით, რომლებსაც, რასაკვირველია, უნდა შეესაბამებოდეს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტები, მათ შორის საერთაშორისო ხელშეკრულებებიც. ჩვენს შემთხვევაში კი კონსტიტუციური შეთანხმება კონსტიტუციის ქვემდებარე სამართლებრივი აქტია. ამდენად, იგი სრულად უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის ძირითადი კანონის მოთხოვნებს, მათ შორის რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ კონსტიტუციურ ნორმებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონპროექტის თანახმად, კონსტიტუციური შეთანხმება შეესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი სამართლებრივი აქტი გახდეს. მაშასადამე, თუ კონსტიტუციურ შეთანხმებაში დადგინდება ისეთი ნორმა, რომელიც დაარღვევს საერთაშორისო სამართლით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ყოველ პირს შესაძლებლობა ექნება, საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივროს კონსტიტუციური შეთანხმების მართლზომიერება.

როგორც ვხედავთ, განსახილველ სფეროში ადამიანის უფლებების დაცვა გარანტირებულია არა მხოლოდ იმით, რომ ქვეყნის ძირითადი

კანონით დეკლარირებულია რწმენისა და აღმსარებლობის სრული თავისუფლება, არამედ სასამართლო დაცვის შესაძლებლობითაც.

ახლა, რაც შეეხება საქართველოში მოქმედ სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან სახელმწიფოს დამოკიდებულებასა და მათ სამართლებრივ მდგომარეობას, კერძოდ, ისმის კითხვა – ხომ არ იქნება აუცილებელი მათთანაც ანალოგიური შეთანხმების დადება? აქ, ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია ორი ფაქტორი: ორგანიზაციულ-სამართლებრივი და ისტორიული.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ავტოკეფალურია. იგი საქართველოში მოქმედი საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული სხვა ეკლესიის ნაწილი კი არ არის, არამედ ორგანიზაციულად დასრულებული სახით სწორედ საქართველოშია წარმოდგენილი. სხვა კონფესიები კი საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული რელიგიური ორგანიზაციების მხოლოდ სტრუქტურული ერთეულებია და შესაბამისად, ექვემდებარებიან თავიანთ ცენტრებს. მათ არა აქვთ დამოუკიდებელი მოქმედების უფლებამოსილება. ამასთანავე, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან შედარებით, სრულიად განსხვავებულია მათი როლი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ამდენად, არ არსებობს მათთან კონსტიტუციური შეთანხმების დადების არც იურიდიული და არც ისტორიული საფუძველი. მათი სამართლებრივი მდგომარეობა უნდა განისაზღვროს მოქმედი კანონმდებლობით, სამოქალაქო კოდექსის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის და სხვა სპეციალური კანონების შესაბამისად, ისე, რომ არ შეიზღუდოს დემოკრატიულ საზოგადოებაში საყოველთაოდ აღიარებული ნორმები და პრინციპები.

დაბოლოს, თითქმის საუკუნე-ნახევრის წინათ ილია ჭავჭავაძე შთააგონებდა ერს: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ მათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?" ამ სიტყვებს დღეს, მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზეც არ დაუკარგავს თავისი ძალა ქართველი ერისათვის. მართალია, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღვიდგინეთ, მაგრამ მამული ჯერ კიდევ ვერ გავამთლიანეთ. ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოვაცხადეთ, მაგრამ ყველგან ვერ განვაერცეთ „ენა ქართული" და ვერ მივაღწიეთ იმას, რაც ფარნავაზმა შეძლო, როცა „არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა". ქართველობა უძველესი ქრისტიანი მართლმადიდებელი ერია, მაგრამ სარწმუნოების დაცვა კვლავაც საშურ საქმედ რჩება.

ჯონი ხეცურიანი

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.

„დილის გაზეთი", №42, 2001 წელი, 26 თებერვალი.

საკონსტიტუციო სასამართლო ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი სასამართლო ხელისუფლების დამკვიდრებას ჩვენს ქვეყანაში*

თქვენო აღმატებულებავ, პატივცემულო საქართველოს პრეზიდენტო! პატივცემულო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარევ! პატივცემულო საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარევ! პატივცემულო კოლეგებო! ქალბატონებო და ბატონებო!

უწინარეს ყოვლისა, მინდა მადლობა მოვახსენო საქართველოს პრეზიდენტს, რომელმაც გამომიცხადა ნდობა და დამნიშნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობა განსაკუთრებული პატივი და განსაკუთრებული პასუხისმგებლობაა ყველა იურისტისათვის. შეევეცდები, ღირსეულად ვატარო მოსამართლის მაღალი წოდება.

ასევე მადლობას მოვახსენებ პარლამენტის თავმჯდომარეს და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომლებმაც საქართველოს პრეზიდენტთან ერთად წარადგინეს ჩემი კანდიდატურა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე. მადლობას ვუხდი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს, რომელმაც ამირჩია ამ თანამდებობაზე.

ბატონებო! ხუთი წლის წინათ, საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლოს დაფუძნება განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა იყო.

საერთო სასამართლოებისა და პროკურატურის რეფორმირებასთან ერთად, საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოყალიბებით, საქართველოს ისტორიაში პირველად, სრულფასოვანი, დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება შეიქმნა. მე ამას ხაზგასმით აღვნიშნავ, რადგანაც, მართალია, საქართველოში სასამართლო ორგანოები ყოველთვის იყო, მაგრამ სასამართლო ხელისუფლება, რომელიც კონტროლისა და შეკავების მექანიზმებით გააწონასწორებდა ხელისუფლების ორ დანარჩენ შტოს – საკანონმდებლოსა და აღმასრულებელს, არ არსებობდა.

საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნით პრაქტიკულად განხორციელდა ჩვენი კონსტიტუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებულება, რომლის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლება უნდა ხორციელდებოდეს

---

*საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ინაუგურაციაზე წარმოთქმული სიტყვა.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით. ამგვარად, მე-20 საუკუნის მიწურულს გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქართული სახელმწიფოებრიობის სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გზაზე.

ამ საქმეში გადამწყვეტი იყო ქვეყნის პრეზიდენტისა და პარლამენტის პოლიტიკური ნება, საკონსტიტუციო სასამართლოს რეალურად ამოქმედებაში კი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სასამართლოს დღევანდელმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, პირველმა შემადგენლობამ ბატონ ავთანდილ დემეტრაშვილის ხელმძღვანელობით. საკონსტიტუციო სასამართლო ამოქმედდა და მან საზოგადოებას თვალნათლივ დაანახვა მისი არსებობის აუცილებლობა და სოციალური ღირებულება.

სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია კანონის უზენაესობა. კონსტიტუცია კი ქვეყნის ძირითადი კანონია. ამდენად, კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფა სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. სწორედ ამ ფუნქციის შესრულება ეკისრება საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელმაც საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებით უნდა უზრუნველყოს ძირითადი კანონის უზენაესობა, ქვეყანაში სახელმწიფო-სამართლებრივი წესრიგის დამკვიდრება და შესაბამისად, სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებისათვის ხელის შეწყობა.

ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობის ეფექტიანობაზე ბევრადაა დამოკიდებული სახელმწიფოებრივი მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა. საკონსტიტუციო სასამართლოს არსებობის განვლილი წლები შეიძლება შევაფასოთ როგორც ამ სასამართლო ორგანოს დაფუძნებისა და ჩამოყალიბების ეტაპი. ჩვენი აზრით, ახლა დგება მისი განმტკიცების, განვითარებისა და შემდგომი სრულყოფის ეტაპი. განვლილი წლების სასამართლო პრაქტიკამ ბევრი პრობლემა დაგვანახვა, რომლებიც სათანადო გადაწყვეტას მოითხოვენ.

უწინარეს ყოვლისა, სრულყოფას საჭიროებს თვით საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმატიული ბაზა. ეს ეხება როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანულ კანონს, ისე საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესს, სასამართლოს რეგლამენტს. საჭიროა საკონსტიტუციო სასამართლოში გადაისინჯოს საქმეთა განხილვის ვადები, მოსაწესრიგებელია საქმეთა განხილვის რიგითობა, შესაქმნელია სასამართლოს გადაწყვეტილებათა უცილობელი აღსრულების გარანტიების სისტემა, უნდა დაზუსტდეს საქმეთა განსჯადობის საკითხი, მოსამზადებელია წინადადებები სასამართლო ხელისუფლების ფინანსური დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ. ვფიქრობ, ეს პრობლემები კარგად არის მონიშნული გასული წლის აგვისტოში გამართული საქართველოს კონსტიტუციის ხუთი წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენციის რეკომენდაციებში. მათი განხორციელება დიდად შეუწ-

ყობს ხელს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას.

დასასრულ, მინდა დაგარწმუნოთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა, რომელიც მაღალკვალიფიციური სპეციალისტებითაა დაკომპლექტებული, ყველა ღონეს იხმარს, რათა კეთილსინდისიერად შეასრულოს საქართველოს კონსტიტუციით მასზე დაკისრებული მოვალეობები და ხელი შეუწყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი სასამართლო ხელისუფლების დამკვიდრებას ჩვენს ქვეყანაში.

გმადლობთ ყურადღებისათვის.

ჯონი ხეცურიანი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია", №3, 2001 წელი, 10 ივლისი.

ნოვაციები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში

საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლოს დაფუძნება განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა იყო. საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოყალიბებით საქართველოს ისტორიაში პირველად, სრულფასოვანი, დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება შეიქმნა, რომელიც კონტროლისა და შეკავების მექანიზმებით აწონასწორებს ხელისუფლების ორ დანარჩენ შტოს – საკანონმდებლოს და აღმასრულებელს. ამით საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა.

როგორც ცნობილია, სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია კანონის უზენაესობა. კონსტიტუცია კი ქვეყნის ძირითადი კანონია. ამდენად, კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფა სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. სწორედ ამ ფუნქციის შესრულება ეკისრება საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელმაც საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებით უნდა უზრუნველყოს ძირითადი კანონის უზენაესობა, ქვეყანაში სახელმწიფო-სამართლებრივი წესრიგის დამკვიდრება და შესაბამისად, სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებისათვის ხელის შეწყობა.

უკვე მეექვსე წელია ფუნქციონირებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. მართალია, მან განვითარების მნიშვნელოვანი გზა განვლო, მაგრამ გასული წლების პრაქტიკამ ბევრი პრობლემაც დაგვანახვა, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია სასამართლოს შემდგომი სრულყოფისა და ეფექტიანი საქმიანობისათვის. დამაფიქრებელია, როდესაც 5 წლის განმავლობაში შემოსული სარჩელების თითქმის ერთი მესამედი ჯერ კიდევ განსახილველია. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში კონსტიტუციური კონტროლის ეფექტიანობაზე საუბარი ზედმეტია, ვინაიდან საქმის განხილვის დაწყებისათვის დავის საგანი, ხშირ შემთხვევაში, კარგავს თავის აქტუალურობას. ყოველივე ამან საზოგადოებაში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი ნდობის დაკარგვის რეალური საფრთხე შექმნა. დასახელებულმა და სხვა პრობლემებმა განაპირობეს, პირველ რიგში, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობის სრულყოფის აუცილებლობა, რადგან, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ძირითადი მიზეზი სწორედ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები და მისი არასრულყოფილება იყო.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტიური მონაწილეობით, მომზადდა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებების პროექტი, რომელიც საქართველოს

პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივით ჯერ კიდევ გასულ წელს წარედგინა განსახილველად საქართველოს პარლამენტს. ქვეყნის საკანონმდებლო ორგანომ, ხანგრძლივი დებატების შემდეგ, მიმდინარე წლის 12 თებერვალს მიიღო საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" და საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე". ორივე კანონი ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე - მიმდინარე წლის 5 მარტს. მათ მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანეს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ ყურადღებას შევაჩერებთ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში განხორციელებულ სიახლეებსა და მათ მნიშვნელობაზე.

საკანონმდებლო ცვლილებებიდან, უწინარეს ყოვლისა, აღვნიშნავდით ნორმებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობენ დროული, მოქნილი და ეფექტიანი საკონსტიტუციო სამართალწარმოების დამკვიდრებას. ძველი კანონმდებლობით გათვალისწინებულმა ე.წ. „უწყვეტობის პრინციპმა", რომლის თანახმად, საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო სხვა საქმის განხილვაში გადადებული ან შეჩერებული საქმის განხილვის დასრულებამდე, გამოიწვია განუხილველი სარჩელების დაგროვება სასამართლოში. დღესაც თავის რიგს ელოდება 2000 წელს შემოტანილი სარჩელები და შესაძლოა, ზოგიერთი მათგანი სასამართლომ არც მიიღოს არსებითად განსახილველად. ვფიქრობთ, საკანონმდებლო ცვლილებები ამ პრობლემის გადაწყვეტის ოპტიმალურ გზას გვთავაზობენ, კერძოდ, საქმის განხილვის მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება აქვს, გადადებული ან შეჩერებული საქმის განხილვის დასრულებამდე, მონაწილეობა მიიღოს სხვა საქმის განხილვაში. ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი (ან კოლეგია) უფლებამოსილია, გადაწყვიტოს კონსტიტუციური სარჩელის ან/და კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხი სასამართლოს პლენუმის (ან კოლეგიის) მიერ სხვა კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტის ან განხილვის დროს. ანუ საჭიროების შემთხვევაში არის ერთდროულად რამდენიმე საქმეზე განმწესრიგებელი სხდომის ჩატარების, ასევე რამდენიმე საქმის არსებითად განხილვის შესაძლებლობა.

საქმეთა განხილვის გაჭიანურებას უწყვეტობის პრინციპთან ერთად განაპირობებდა საკონსტიტუციო სამართალწარმოების ვადები, რომლებიც ხელოვნურად ქმნიდნენ ბარიერს სასამართლოს აქტიური საქმიანობისათვის. ვფიქრობთ, ამ პრობლემის დაძლევა შესაძლებელი გახდება

კანონში ზოგადი და დიფერენცირებული ვადების შემოღების შედეგად. აღნიშნული ნოვაციის თანახმად, მოსარჩელეს (წარდგინების ავტორს) სასამართლოსადმი მიმართვიდან 10 დღის ვადაში უკვე ეცოდინება, მიიღებს თუ არა სასამართლო მის სარჩელს (წარდგინებას) არსებითად განსახილველად. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე სარჩელის (წარდგინების) რეგისტრაციიდან სამი დღის ვადაში ანაწილებს საქმეებს კოლეგიის ან პლენუმის განსჯადობის გათვალისწინებით. პლენუმი და კოლეგია ვალდებული არიან, კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების მათთვის გადაცემიდან 7 დღის ვადაში განმწესრიგებელ სხდომაზე გადაწყვიტონ სარჩელისა თუ წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხი. განმწესრიგებელი სხდომიდან საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე, საქმის მასალების მომზადებისათვის 15 დღისა და არსებითი განხილვისთვის 30 დღის ნაცვლად ახალ კანონს, უწყვეტობის პრინციპზე უარის თქმის გათვალისწინებითა და სასამართლოს ზედმეტი დატვირთვის თავიდან აცილების მიზნით, შემოაქვს კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების განხილვის საერთო ვადა – 6 თვე საქმის არსებითად განსახილველად მიღებიდან. ამასთან, განსაკუთრებულ შემთხვევებში საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია ამ ვადის გაგრძელება.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს დიფერენცირებული ვადების შემოღებას, კერძოდ: საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების, აგრეთვე რეფერენდუმის დანიშვნის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული კონ-სტიტუციური სარჩელის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 15 დღეს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის დღიდან, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული სარჩელის განხილვის ვადა – 17 დღეს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანიდან, საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების, ასევე რეფერენდუმის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ვადა – 30 დღეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღებიდან. განსაკუთრებულ შემთხვევაში სარჩელის განხილვის ვადას (არა უმეტეს 30 დღით) აგრძელებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

დიფერენცირებული ვადები შემოღებულია ასევე იმის გათვალისწინებით, თუ იურიდიული ფაქტის დადგომიდან რა ვადაში შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა. მაგალითად, კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების დანიშვნის კონსტიტუციურობის თაობაზე საკონსტიტუციო

სასამართლოში შეიძლება შეტანილ იქნეს 7 დღის ვადაში არჩევნების დანიშვნის შესახებ სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან ან საქართველოს კონსტიტუციითა და შესაბამისი კანონით დადგენილი დანიშვნის ვადის გასვლიდან. კონსტიტუციური სარჩელი ნებისმიერი დონის არჩევნების გამართვის კონსტიტუციურობის თაობაზე შეიძლება შეტანილ იქნეს შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში.

ჩვენი აზრით, დასახელებულ შემთხვევებში დიფერენცირებული ვადების შემოღებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს წარმომადგენლობითი ორგანოს, აგრეთვე სახელმწიფოს მეთაურის დროულად და კონსტიტუციის შესაბამისად არჩევისათვის, რათა ხალხი დაზღვეული იყოს არალეგიტიმური ხელისუფლების თუნდაც დროებითი მმართველობისაგან. გარდა ამისა, ეს მნიშვნელოვანი გარანტიაა თავად ხელისუფლების სტაბილურობისათვის, რადგან ასეთი ვადების არარსებობის შემთხვევაში, ნებისმიერ დროს და არაერთხელ, შეიძლება დადგეს ხელისუფლების ლეგიტიმურობის საკითხი.

საგულისხმოა შემდეგი სიახლეც: საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განსჯადი საქმის განხილვა კოლეგიის განსჯადი საქმის განხილვაზე ადრე იწყება. ამასთან, ორგანული კანონით განისაზღვრა საკითხთა წრე, რომელთაც საკონსტიტუციო სასამართლო რიგგარეშე განიხილავს მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე. სახელდობრ, რიგგარეშე განიხილება დავა რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ; საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი; საერთაშორისო ხელშეკრულებათა ან შეთანხმებათა კონსტიტუციურობის საკითხი; კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანამდებობის პირთა მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის საკითხი; აგრეთვე საერთო სასამართლოების წარდგინებები.

საკონსტიტუციო სასამართლოს ქმედითობას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მისი კომპეტენცია. საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილებანი, რომლებიც მას საზოგადოებისათვის რეალურად საჭირო ინსტიტუტად გახდის, ანუ მას უნდა გააჩნდეს ისეთი საკითხების გადაწყვეტის შესაძლებლობა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება კონსტიტუციის უზენაესობა და ადამიანის უფლებათა დაცვა. ამ თვალსაზრისით საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. თუკი ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის დადგენის მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვის უფლებამოსილება ვრცელდებოდა საქართველოს კანონებზე, საქართველოს პრეზიდენტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგა-

ნოთა ნორმატიულ აქტებზე და საქართველოს პარლამენტის რეგლამენ-ტზე, დღეს ამ აქტების ჩამონათვალი გაფართოვდა პარლამენტის ყველა ნორმატიული დადგენილებით.

ცვლილებების შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი შეიძლება იყოს საქართველოს პრეზიდენტის, ასევე ადგილობრივი თვით-მმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების დანიშ-ვნა-არდანიშვნის კონსტიტუციურობის საკითხიც.

კომპეტენციის გაფართოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ე.წ. ფორმალური კონსტიტუციური კონტროლის შემოღება.

სასამართლო პრაქტიკამ დაგვანახვა ფორმალური კონტროლის შე-მოღების აუცილებლობა, რადგანაც შესაძლებელია კონსტიტუციის დარ-ღვევა არა მხოლოდ სამართლებრივი აქტის შინაარსით, არამედ მისი მიღების კონსტიტუციით გათვალისწინებული პროცედურის დარღვევი-თაც. მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი ქვეყნების კანონმდებლობებში ფორმალური კონსტიტუციური კონტროლის განხორციელება მოიცავს ნორმატიული აქტების მიღების როგორც კონსტიტუციით, ისე კანონით გათვალისწინებული პროცედურის შემოწმებასაც, ჩვენი კანონმდებლობა შემოიფარგლა მხოლოდ კონსტიტუციით გათვალისწინებული აქტების – საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს პარლამენ-ტის დადგენილების მიღების (გამოცემის), ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების კონსტიტუციითვე გათვალისწინებული პროცედურის შემოწმებით.

რაც შეეხება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომ-პეტენციის გაფართოებას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის უფლებების ხელმყოფი ნორმატიული აქტების მი-მართ, ჩვენი აზრით, ასეთი სიახლეც აუცილებელი იყო. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობა ფიზიკურ პირს სასამართლო დაცვის უფლებას აძლევდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნორმატიული აქტით უკვე დარღვეული იყო უშუალოდ მისი რომელიმე კონსტიტუ-ციური უფლება, რაც გამორიცხავდა არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტის მოქმედებით პირთა უფლებების რეალურად მოსალოდნელი დარ-ღვევის თავიდან აცილების შესაძლებლობას. დღეს მოქმედი ნორმის თა-ნახმად, „საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: „საქართველოს მოქალაქეებს, საქარ-თველოში მცხოვრებ სხვა ფიზიკურ და საქართველოს იურიდიულ პი-რებს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი“. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს

ნორმა გამორიცხავს პირის უფლებას, იდაოს სხვა პირის უფლების დარღვევის შემთხვევაში.

საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია, ჩვენი აზრით, შემდგომშიც უნდა გაფართოვდეს, თუმცა ამ მეტად მნიშვნელოვანი და საფრთხილო ნაბიჯის გადადგმას სათანადო გააზრება, მომზადება, მთელი რიგი საკითხების საფუძვლიანად შესწავლა-გაანალიზება სჭირდება.

გაფართოვდა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლების მქონე სუბიექტთა წრეც.

კანონმდებელმა საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლზე დაყრდნობით, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება მიანიჭა აგრეთვე იურიდიულ პირებსაც. როგორც ცნობილია, ძირითადი კანონის ზემოაღნიშნული მუხლის თანახმად, კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ერთი გარემოება – იურიდიულ პირებს შეუძლიათ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ირღვევა კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი რომელიმე უფლება. ამავე დროს ისინი მოკლებული არიან შესაძლებლობას, იდაონ საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა კომპეტენციის ფარგლებში. მაგალითად, პოლიტიკური პარტია, მიუხედავად იმისა, რომ ის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად საარჩევნო პროცესის სუბიექტია, ვერ იდავებს საქართველოში ჩატარებული ნებისმიერი დონის არჩევნების კონსტიტუციურობაზე საქართველოს კონსტიტუციის 49-ე, 50-ე, 70-ე და ა.შ. მუხლებთან მიმართებით, რადგანაც იგი სცილდება კონსტიტუციის მეორე თავით გათვალისწინებული უფლებების ფარგლებს. კანონით ამ კომპეტენციისათვის გათვალისწინებული არიან დავის უფლების მქონე სხვა სპეციალური სუბიექტები.

გაფართოვდა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი საქართველოს სახალხო დამცველის მიმართვის ფარგლებიც. სახალხო დამცველის საკონსტიტუციო სასამართლოსადმი აპელირების შესაძლებლობათა გაფართოება და მით უმეტეს მათი პრაქტიკულად გამოყენება, ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი საიმედო გარანტიაა. ადრე მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სახალხო დამცველი საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავდა მხოლოდ ორ შემთხვევაში: 1) თუ ის მიიჩნევდა, რომ დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი; 2) რეფერენდუმის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით, თუ ამომრჩეველთა მოთხოვნის მიუხედავად არ დაინიშნა რეფერენდუმი ან თუ მიიჩნევდა, რომ რეფერენდუმის ჩატარება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 74-ე მუხლის მეორე პუნქტის მოთხოვნებს. კანონში სათანადო ცვლილებების შეტანის შემდეგ

სახალხო დამცველს დამატებით მიეცა შესაძლებლობა, მიმართოს საკონ-სტიტუციო სასამართლოს, თუ ის მიიჩნევს, რომ რეფერენდუმი ჩატარე-ბულია საქართველოს კონსტიტუციის 74-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთ-ხოვნათა დარღვევით – ანუ სახალხო დამცველს უკვე შეუძლია, იდავოს რეფერენდუმის კონსტიტუციურობაზე მისი დანიშვნა-ჩატარების ნების-მიერ სტადიაზე, თუ მიიჩნევს, რომ ირღვევა საქართველოს კონსტიტუ-ციის შესაბამისი მუხლები.

სახალხო დამცველი საკონსტიტუციო სასამართლოში მოსარჩელედ შეიძლება იყოს ასევე იმ შემთხვევაში, თუ ის მიიჩნევს, რომ საქართვე-ლოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თუ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნების დანიშ-ვნა-არდანიშვნა მოხდა საქართველოს კონსტიტუციის სათანადო ნორმე-ბის დარღვევით. ვფიქრობთ, სახალხო დამცველისთვის ასეთი უფლების მინიჭება ხელისუფლების თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგა-ნოების არალეგიტიმურად ფორმირების თავიდან აცილების დამატებითი საშუალებაა.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგა-ნული კანონის 33-ე მუხლით გათვალისწინებულ საქმეებზე გაიზარდა მო-პასუხეთა წრეც, კერძოდ, დაემატა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და აფხაზეთის უმაღლესი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები.

ძალზე მნიშვნელოვანია საკითხი – რა არის საკონსტიტუციო სასა-მართლოს მიერ კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების დაკმაყო-ფილების სამართლებრივი შედეგი. ამ საკითხის ზედმიწევნით დაკონკრე-ტება საშურია პირველ რიგში იმიტომ, რომ მოსარჩელემ ზუსტად იცოდეს რისთვის მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. გარდა ამისა, იგი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებასაც შეუწყობს ხელს, რადგან ზუსტად იქნება მითითებული სათანადო ორგა-ნოების მიერ გასატარებელ ღონისძიებებზე. ამ თვალსაზრისით ძველ კა-ნონში იყო ხარვეზები, რამაც პრაქტიკაში წარმოშვა პრობლემები. ხარვე-ზების დასაძლევად „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ შესაბამისი დებულე-ბები შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:

ა) რეფერენდუმის კონსტიტუციურობის თაობაზე დავის საკითხზე კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს: რეფერენდუმზე გასატან საკითხზე რეფერენდუმის გამართვის აკრძალვას, დანიშნული რეფერენდუმის გაუქმებას ან რეფერენდუმის დანიშვნის დავალდებუ-ლებას, რეფერენდუმის შედეგების მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობას;

ბ) არჩევნების კონსტიტუციურობის თაობაზე დავის საკითხზე კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს: დანიშნული არჩევნების გაუქმებას ან არჩევნების დანიშვნის დავალდებულებას, არჩევნების შედეგების მთლიანად ან ნაწილობრივ (ცალკეულ საარჩევნო ოლქებში ან საარჩევნო უბნებში) ბათილად ცნობას;

გ) საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს საქართველოს პარლამენტის: 1. შესაბამისი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობას მისი ძალაში შესვლის მომენტიდან და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების აღდგენას, თუ პარლამენტმა მას ვადამდე შეუწყვიტა უფლებამოსილება; 2. შესაბამისი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობას მისი ძალაში შესვლის მომენტიდან და მოქალაქის, როგორც პარლამენტის წევრის, უფლებამოსილების ცნობას, თუ პარლამენტმა არ ცნო მისი უფლებამოსილება; 3. შესაბამისი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, თუ მას პარლამენტმა ვადამდე არ შეუწყვიტა უფლებამოსილება; 4. იმ დადგენილების (ან მისი ნაწილის) ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, რომლითაც პარლამენტმა ცნო პარლამენტის წევრის უფლებამოსილება;

დ) საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის ან იგივე საკითხზე საერთო სასამართლოს წარდგინების დაკმაყოფილება იწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი საერთაშორისო ხელშეკრულების თუ შეთანხმების ან მათი ცალკეული ნაწილების საქართველოსათვის ბათილად ცნობას, ხოლო კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების ან მათი ცალკეული ნანილების არაკონსტიტუციურად ცნობა იწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების რატიფიცირების დაუშვებლობას.

საკონსტიტუციო სასამართლოს ქმედითობისათვის მნიშვნელოვანია მისი გადაწყვეტილებების აღსრულების უზრუნველყოფა. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს ზოგიერთი გადაწყვეტილება ჯერ კიდევ აღუსრულებელია, რაც აუფასურებს ამ გადაწყვეტილებების ღირებულებას, რომ აღარაფერი ვთქვათ საკონსტიტუციო სასამართლოს ავტორიტეტზე, ბუნებრივად დადგა სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მექანიზმის სრულყოფის საკითხები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია კანონმდებლობაში შემდეგი მავალებელი ნორმის შემოღება: „საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი მისი გამოქვეყნების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, თუ ამ აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი".

იგივე პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს შემდეგი ნორმაც: „საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი"აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ არ შეიძლება ისეთი სამართლებრივი აქტის მიღება (გამოცემა), რომელიც შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი„. სამწუხაროდ, ასეთი მაგალითები ჩვენს პრაქტიკაში არსებობს. არადა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტების იგივე შინაარსის ნორმებით დაძლევის შემთხვევაში კონკრეტულ მოსარჩელეთათვის პრობლემა პრაქტიკულად გადაუჭრელი რჩება. ბუნებრივია, ასეთ ფონზე ადამიანის უფლებათა რეალურ დაცვაზე ზედმეტია საუბარი.

ორიოდე სიტყვით შევეხებით იმ სიახლეებს, რომლებიც მნიშვნელოვნად განაპირობებს სამართალწარმოების შემდგომ ეფექტურობას, მოქნილობას, სიმარტივეს.

სასამართლო პრაქტიკამ დაგვანახვა შემდეგი ნორმის კანონში არსებობის აუცილებლობა, კერძოდ: „საქმეს, რომელიც მოიცავს როგორც პლენუმის, ისე კოლეგიის განსჯად საკითხებს, განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი". ამ ნორმის არარსებობა ხელს უწყობდა სასამართლოში საქმეთა განხილვის გაჭიანურებას. მაგალითად, როდესაც სარჩელი ეხებოდა არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ დავას (რომელსაც იხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი) და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის კონსტიტუციურობას (რომელსაც იხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია), სასამართლომ კანონზე დაყრდნობით გაყო ეს ორი სასარჩელო მოთხოვნა, როგორც პლენუმისა და კოლეგიის განსჯადი საქმეები. პირველი სასარჩელო მოთხოვნა პლენუმმა განიხილა რიგგარეშე, ხოლო მეორე კოლეგიამ სასამართლოში არსებული სარჩელების განხილვის რიგითობის დაცვით, ორი წლის შემდეგ, მაშინ როდესაც ეს ორი საკითხი ორგანულად იყო დაკავშირებული ერთმანეთთან. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ნოვაცია ხელს შეუწყობს არსებითად ურთიერთდაკავშირებული საკითხების ერთობლივად განხილვას და სამართლებრივი კონფლიქტების სრულად გადაჭრას.

ადრემოქმედი კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის მომენტისათვის სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა იწვევდა საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას. ეს ნორმა გარკვეულწილად იყო მაპროვოცირებელი სადავო აქტის მიმღები ორგანოებისათვის და ხშირ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვისას ხდებოდა სადავო აქტის გაუქმება ან მასში ცვლილებების შეტანა, რის გამოც, საქმეზე წყდებოდა წარმოება. ეს, გარდა იმისა, რომ ლახავდა თავად სასამართლოს ავტორიტეტს, მო-

სარჩელეებს ფაქტობრივად ართმევდა დარღვეული უფლებების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობას. დღეს მოქმედი კანონის თანახმად, „საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა არ იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას, თუ იგი ეხება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს".

საკონსტიტუციო სასამართლოს აქტებს დაემატა „საოქმო ჩანაწერი". თუკი ადრე საკონსტიტუციო სასამართლო საქმის არსებითად განსახილველად მიღება-არმიღების შემთხვევებში წერდა განჩინებას, ცვლილების შედეგად, კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების განსახილველად მიღების შემთხვევაში სასამართლო იღებს საოქმო ჩანაწერს, ხოლო მიუღებლობის შემთხვევაში - განჩინებას, რომელშიც დასაბუთებული უნდა იყოს სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები.

საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად კიდევ უფრო გაძლიერდა საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტიები. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება სასამართლოს საქმიანობის ფინანსურ და ეკონომიკურ საფუძვლებს. ახალი საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, საკონსტიტუციო სასამართლო დააფინანსოს იმ ოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს მისი ფუნქციების განხორციელებას და მოსამართლის დამოუკიდებლობას. ამასთანავე, იკრძალება საკონსტიტუციო სასამართლოს კანონით გათვალისწინებული საბიუჯეტო ხარჯების შემცირება.

აღსანიშნავია ისიც, რომ საკანონმდებლო ცვლილებებმა ახლებურად გადაწყვიტა საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილსამყოფელის საკითხი. კერძოდ, ნაცვლად ქ. მცხეთისა, საკონსტიტუციო სასამართლო უნდა განთავსდეს საქართველოს დედაქალაქში. საამისოდ კი, კანონის თანახმად, მას უნდა გადაეცეს მისი საქმიანობისათვის საჭირო შენობა და სხვა ქონება.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ნოვაციების განხორციელებისა და ამოქმედების შემდეგ, ჩვენი აზრით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში დადგა ახალი და, ამასთანავე, მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი. საკონსტიტუციო სასამართლომ განახლებულ საკანონმდებლო ბაზაზე დაყრდნობით, კონსტიტუციური კონტროლის უფრო ქმედითად განხორციელებით, უნდა უზრუნველყოს ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის კონსტიტუციურ ფარგლებში მოქცევა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და, საბოლოოდ, კონსტიტუციის უზენაესობის დამკვიდრება, რაც ჩვენს ქვეყანაში სამართლებ-

რივი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების აუცილებელ წინა პირობას წარმოადგენს.

ჯონი ხეცურიანი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს
მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2002 წელი.

შესაძლებელია თუ არა არჩევნების ხელახლა ჩატარება

ისეთ მტკივნეულ და მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც არის არჩევნების შედეგების გადამოწმება, მათი ბათილად ცნობა ან ხელახალი არჩევნების დანიშვნა, სასაუბროდ ქვეყნის უმაღლესი სასამართლო ინსტანციის, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ჯონი ხეცურიანი შევარჩიეთ.

– სულ რამდენიმე წლის შემდეგ ქართული პოლიტიკური სპექტრი სიმართლის დასადგენად კვლავ ქუჩაში აღმოჩნდა. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ მოჯადოებულ წრეში ვტრიალებთ.

– ასეც ნუ ვიტყვით, რადგან ქართული სახელმწიფოებრიობა მსოფლიოს სამართლებრივ სივრცეში ფაქტობრივად არსებობს კონსტიტუციით, ხელისუფლების დანაწილებით, ატრიბუტიკითა და რეგალიებით. უბრალოდ, ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოებაა გასათვალისწინებელი, ჩვენ ხომ ძალიან ახალგაზრდა სახელმწიფო ვართ. ის საზოგადოებრივი ინსტიტუტები და სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში უკვე საუკუნეებს ითვლიან, ჩვენთან მხოლოდ ათი წლისანი არიან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფაქტობრივად, 1801 წლის შემდეგ საკუთარი სუვერენული სახელმწიფოებრიობა არ გვქონია. მანამდე კი, მოგეხსენებათ, საქართველოში აბსოლუტური მონარქია იყო და ქვეყანას ერთპიროვნულად მართავდა მეფე. ჩვენი უმთავრესი პრობლემაც სწორედ ამაში მდგომარეობს - 200 წლის მანძილზე არათუ გადაეჩვია, ხალხს არც ჰქონია საკუთარი ნების გამოვლენისა და განხორციელების სურვილი იმ დემოკრატიული მეთოდებითა და მექანიზმებით, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოშია. ყოველივე ამას ჩვენ ახლა გზადაგზა ვსწავლობთ. სხვადასხვა, გარე თუ შიდაძალების გამოისობით კი, ეს პროცესი ძალიან ჯანჯღლდება. თუმცა გვაქვს ერთი მთავარი პრივილეგიაც - ჩვენ ხომ ველოსიპედის თავიდან გამოგონება არ გვიხდება - ის უკვე არსებობს და მისი „ავტორები", ევროპა-ამერიკის სახით, მზად არიან, ყველაფერში დაგვეხმარონ, რადგან ჩვენს გეოპოლიტიკურ რეალობაში საქართველოს ადგილზე უსახური, სახელმწიფოს მიმგვანებული წარმონაქმნის ნახვა მათთვის ხელსაყრელი არ არის. ოღონდ, იქაური გამოცდილება ბრმად, ჩვენი ტრადიციებისა და სახელმწიფო ინტერესების გაუთვალისწინებლად არ უნდა გადმოვიტანოთ. მე ვენეციის კომისიის წევრიც გახლავართ და შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ევროსაბჭოს უმნიშვნელოვანესი სტრუქტურა, რომელიც საჯაროობისა და დემოკრატიის პროცესებს ადევნებს თვალყურს, ამზადებს საერთო ევროპული მნიშვნელობის დას-

კვნებსა და რეკომენდაციებს. მინდა გითხრათ, რომ მათი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ გაცილებით უფრო განსხვავებულია, ვიდრე სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნების შემთხვევაში. ისინი ჩვენგან უფრო მეტს მოითხოვენ და მოელიან კიდეც.

ნუ შევედრებით დასავლეთ ევროპას და ამერიკას. აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების მაგალითზე ვიმსჯელოთ. რამ განაპირობა მათი დაწინაურება დემოკრატიული, სრულყოფილი სახელმწიფოს შენების გზაზე? უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეობრივი შეგნების ამაღლებამ და კანონის უზენაესობამ, რომელიც ყველასთვის შეუვალი უნდა იყოს. ჩვენ კი სწორედ ამ უკანასკნელის ცნობა გვიჭირს ყველაზე მეტად. ამ შემთხვევაში პირველი ხელშემწყობი ფაქტორი ალბათ ხელისუფლების ნება უნდა იყოს და აქ ერთნაირად იგულისხმება როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლება. კანონის უზენაესობის მიღწევა ერთ დღეში, დეკლარაციის გამოცხადებით, შეუძლებელია. ეს თანმიმდევრულად უნდა განხორციელდეს და, პირველ რიგში, აღმასრულებელი ხელისუფლების ჩინოსანთა მტკიცე ნებით, რადგან დემოკრატიული სახელმწიფო სუსტ სახელმწიფოს არანაირად არ ნიშნავს. უბრალოდ, ეს ნება კონსტიტუციით უნდა იყოს შებოჭილი, რათა მავანმა, ხალხის საზიანოდ, ბოროტად არ გამოიყენოს. ჩვენთან კანონზე მაღლა ამა თუ იმ პიროვნების ნება და ამბიცია არ უნდა იდგეს. მოსახლეობას, ხალხს გათავისებული აქვს, რომ მის მდგომარეობას არა გამართულად მომუშავე სახელმწიფო მოწყობის სისტემა, არამედ კონკრეტული პიროვნება - ესა თუ ის პოლიტიკური ლიდერი გააუმჯობესებს, რომ მისი უფლებები არა კანონის უზენაესობის, არამედ კონკრეტული პიროვნების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ იქნება დაცული. ეს ხომ აბსურდია. ასეთი გზა უკან - ფეოდალურ წყობაში დაბრუნებას გვიქადის.

– მაგრამ ხალხის პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაზე ხომ ისევ პოლიტიკოსებმა უნდა იზრუნონ...

– რასაკვირველია, მაგრამ არსებობს კი პოლიტიკური კულტურა საქართველოში? პოლიტიკური პარტია, მისი სახე და რეიტინგი მის პოლიტიკურ დოქტრინასთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომელიც ათეული წლების მანძილზე უცვლელი რჩება, ერთ გენერალურ ხაზს ავითარებს და მისი მეშვეობით ცდილობს ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ყოველ შემთხვევაში, ასეა მიღებული იმ ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური პარტიების ისტორია იღებს სათავეს. ჩვენთან პარტია მის ლიდერს, ანუ ერთ კაცს ნიშნავს. ეს ერთი კაცი დღეს შეიძლება მემარცხენე იყოს, ხვალ მემარჯვენეობა დაუჯდეს ჭკუაში, ზეგ კი ცენტრისტობა მოუნდეს. რატომ? ერთი მარტივი მიზეზის გამო: ჩვენთან, ხშირ შემთხვევაში, ჯერ საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ფიქრობენ და მერე ქვეყნისაზე... პარტია არ არის ერთი კაცი და არც პარტიული კონკურენცია გახ-

ლავთ „ორთაბრძოლა წესების გარეშე". როდესაც იუსტიციის მინისტრი გახლდით, 125 პარტია იყო რეგისტრირებული. დღეს ეს მონაცემები მოვიკითხე, უკვე 164 გვყოლია. ასეთი კურიოზიც მახსოვს - ერთ-ერთი მოქალაქე მოვიდა ჩემთან და დაჟინებით მოითხოვდა „უპარტიოთა პარტიის" რეგისტრაციას. ხვდებით, სადამდე მივდივართ? სხვათა შორის, ზუსტად ამგვარი სიტუაცია იყო 1918-21 წლების საქართველოში. ანალოგიური დასახელების პარტია მაშინდელი არქივის კვლევის დროსაც შემხვდა. მას შემდეგ საქართველოში პოლიტიკური ცხოვრების კულტურამ განვითარება ვერ მოასწრო, რადგან, როგორც გითხარით, ეს სახელმწიფო განვითარების თანმხლები საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია.

სანამ ქვეყანა დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა, ბრძოლის იდეა და მიზანი ერთი იყო. დამოუკიდებლობის შემდეგ კი ქვეყნის შენებაზე აზრები გაიყო - ზოგი მხოლოდ პირად გამორჩენაზე ფიქრობს, ზოგს სამართლიანობა სურს, მაგრამ საბოლოოდ, ქვეყნისთვის მაინც საზიანო, მცდარი გზა აქვს არჩეული, ზოგი მართლაც სწორ გზას ადგას. როგორ გავერკვეთ სიმართლეში, როდესაც ყველა თავგამოდებით ამტკიცებს თავის წილ სიმართლეს? მექანიზმი მარტივია. ხალხი ირჩევს პარლამენტს, პარლამენტი კი ადგენს კანონებს. შესაძლებელია ამა თუ იმ პიროვნებას ქვეყნის განვითარების მისეული გზა ჰქონდეს, მაგრამ ეს გზა აუცილებლად უნდა მოთავსდეს კანონისა და კონსტიტუციის ჩარჩოებში. ასეთ შემთხვევაში ცდომილებისგან დაზღვეული ვიქნებით.

– მაგრამ, როგორც ირკვევა, არც პარლამენტის არჩევაა იოლი. პოლიტიკოსები ხალხის ნებას ნაკლებად ითვალისწინებენ და ნებისმიერი ხერხებით ცდილობენ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრას. აქ კი, უკვე თქვენ მიერ დასახული სახელმწიფო პირამიდის სათავეში იმღვრევა წყალი და ქაოსის პირას ვდგებით...

– იოლი არაფერია, მაგრამ იმას ნუ გავაკეთებთ, რომ ოთხ წელიწადში ერთხელ, ყოველ საპარლამენტო არჩევნებზე თავიდან დაიწყოს სახელმწიფო მშენებლობის ათვლა. ხომ არსებობს კონსტიტუცია, სახელმწიფო მართვის ინსტიტუტები. დღეს მავანნი შესაძლოა ლაპარაკობდნენ მათ გაუმართაობაზე, კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ხარვეზებზე, მაგრამ მარტივი ჭეშმარიტებაა - ესა თუ ის ნივთი თუ არ გამოვიყენეთ, მარტო დათვალიერებით ვერ მივხვდებით, როგორ შეიძლება მისი გადაკეთება ისე, რომ ყოველდღიურად გამოვიყენოთ. დღეს ჩვენ, უბრალოდ, ვათვალიერებთ კანონებს, სასამართლო უწყებებს, შემდეგ ზეპირად ვაკრიტიკებთ მის შესაძლებლობებს და... საკუთარი შეხედულებისამებრ ვიქცევით. ეს გზა ხომ არარაობამდე მიგვიყვანს. ხე ერთ დღეში არ გაიზრდება, რაც არ უნდა ბევრი წყალი დავუსხათ. არც სახელმწიფო აშენდება ერთ დღეში. მით უმეტეს, არ აშენდება თავისით. ყველაფერს დრო და მუხლჩაუხრელი შრომა სჭირდება. შეუძლებელია ქუჩაში რაიმეს

გადაწყვეტა. ეს ხომ ყოველგვარ წარმოდგენას არღვევს არა მხოლოდ არჩევნებზე, არამედ ნორმალური სახელმწიფოს არსებობაზე. თუ ამ ცესკოს არ ენდობოდნენ, რატომ აირჩიეს? ყველამ ვიცით, მის შედგენაზე რა დრო და ენერგია დაიხარჯა. ვთქვათ, მისი გადაწყვეტილება რომელიმე პარტიისთვის მისაღები არ აღმოჩნდა - მიმართონ სასამართლოს. მით უმეტეს, თუ ახლავე აცხადებენ, რომ გაყალბების დამადასტურებელი უტყუარი საბუთები აქვთ. რა საჭიროა ამ რესურსების გვერდის ავლით პირდაპირ ქუჩაში გამოსვლა? გასულ არჩევნებზე საკონსტიტუციო სასამართლომ 4 ოლქში არჩევნების შედეგები გაუქმებულად გამოაცხადა. სხვათა შორის, საგულისხმოა, რომ მაშინ ოთხივე ოლქში მოქალაქეთა კავშირის დეპუტატებმა დაკარგეს უფლებამოსილება. იყო ზარები, ზენოლაც საკმაოდ უხეში ფორმებით, მაგრამ ჩვენ გადაწყვეტილება არ შეგვიცვლია. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გავაუქმეთ წინასწარი დაკავების ზედმეტი ვადა; გავაუქმეთ ელექტროენერგიაზე უსამართლოდ მომატებული ტარიფი; გავაუქმეთ კანონის ის ნორმა, რომელიც მანიფესტაციების და მიტინგების გამართვის თავისუფლებას ზღუდავდა; გავაუქმეთ ლტოლვილებთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც მათ, რეგისტრაციის შემთხვევაში, ლტოლვილობის სტატუსს უუქმებდა... რომელი ერთი ჩამოვთვალო იმ საკითხებიდან, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ ერთი კონკრეტული პირის ან პირების კი არა, სიმართლის სასარგებლოდ გადაწყვიტა. მაშინ რის საფუძველზე გაკეთდა არჩევანი ქუჩაზე? ყველაფერი მუშტებით უნდა გადაწყდეს, ვინ უფრო ძლიერია? თუ ასეა, მაშინ არც სასამართლო, არც პარლამენტი და არც კონსტიტუცია საჭირო არ არის - გამოვიდნენ ქუჩაში და ომით გადაწყვიტონ სახელმწიფო მართვის საკითხებიც. ამის გამოა ჩემთვის მიუღებელი ის, რაც ვთქვი, თორემ მანიფესტაცია, შეკრება, პროტესტის გამოხატვა - ეს პარტიებისათვის ჩვეულებრივი დამახასიათებელი მოვლენა გახლავთ. მაგრამ ვიმეორებ, არა ისე და იმ მიზეზებით, რომ ყველაფერი ქაოსით და არეულობით დამთავრდეს, რომლის შედეგიც უშედეგობა იქნება. კიდევ ერთს ვფიქრობ: ისინი, ვინც დღევანდელ გამოსვლებში უფრო მეტად აქტიურობენ და სიმართლის დადგენა ქუჩის აქციებით სურთ, ძალიან ახალგაზრდები, 20-22 წლისანი არიან. გამოდის, რომ ამ 11 წლის წინ, სამოქალაქო ომის დროს, ეს გოგო-ბიჭები 10-12-ოდე წლისანი ყოფილან. ბუნებრივია, მათ არ ეხსომებათ, არ გამოუცდიათ და ვერც გააცნობიერებენ იმ უბედურებასა და ტკივილს. მაგრამ, ნუთუ ეს საშინელება რომ აღარ განმეორდეს, აუცილებელია ყველა თაობამ საკუთარ თავზე გამოსცადოს? როგორ ჰგონიათ, ძალით მოსული ადამიანი დაიცავს სხვა ადამიანების უფლებებს და დემოკრატიას? შესაძლოა, ძალიან უნდოდეს, მაგრამ ვერ დაიცავს, რადგან უახლოესი წარსულის გამოცდილება გვიჩვენებს - თუნდაც უკეთესი მომავლისთვის, წარმატებით განხორციელე-

ბული ძალადობა საზოგადოებაში ანალოგიურ, ძალადობრივ იმპულსებს ინვევს - რახან შენთვის შეიძლება, მისთვისაც შეიძლება, დემორალიზებულია ის თუ ამორტიზებული. ავად თუ კარგად, დღეს კრიმინოგენულ ვითარებას სამართალდამცველები მაინც აკონტროლებენ. ხელისუფლების ძალით შეცვლის პირველსავე დღეს კი მათ ანგარიშს აღარავინ გაუწევს - თუნდაც ნახსენები დემორალიზებისა და „ამორტიზაციის" გამო, ქვეყანაში უმართავი პროცესები დაიწყება (თქვენი ნათქვამისა არ იყოს). მოჯადოებულ წრეში მოვექცევით - რამდენიმეწლიანი სამოქალაქო დაპირისპირება, ქაოსი, მერე წვალებით და ვაი-ვაგლახით დაიწყება სიტუაციის დალაგება, სახელმწიფო ინსტიტუტების თავიდან შექმნა, შემდეგ საპარლამენტო არჩევნები, მერე ისევ რომელიმე პარტიისა თუ გაერთიანების უკმაყოფილება და ასე დაუსრულებლად.

– ძალიან რთული პროცედურებია გასავლელი არჩევნების ხელახლა დასანიშნად?

– არც ისე რთული. ამისთვის, პირველ რიგში, საჭიროა ცესკოს მონაცემები გამოქვეყნდეს. ხომ არ შეიძლება, ვინმემ სარჩელი მხოლოდ პირადი მოსაზრებების საფუძველზე აღძრას? ოფიციალური მონაცემების მიხედვით მომზადებული სარჩელის განხილვის შემდეგ კი საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, დარღვევების შემთხვევაში, არჩევნები ბათილად ცნოს ერთ რომელიმე ოლქში ან მთლიანად საქართველოში. ამის შემდეგ კი ჩვეულებრივი პროცედურა დაიწყება - პრეზიდენტი დანიშნავს ახალ ვადას, ცესკო კი საორგანიზაციო გეგმას შეადგენს. ეს არის და ეს.

გაზეთი „კვირის პალიტრა", 2003 წელი, 10-16 ნოემბერი.

უფლებამოსილების გამიჯვნა საკონსტიტუციო ცვლილებებსაც მოითხოვს

თავის დროზე, როდესაც საქართველოს პარლამენტმა საქართველოს კონსტიტუციაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განსაზღვრა, ღიად დარჩა ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილების გამიჯვნის საკითხი. ამასთან დაკავშირებით სპეციალური კომისიაც კი შეიქმნა, მაგრამ კომისია მხოლოდ ფორმალურად არსებობდა, იგი ერთხელაც არ შეკრებილა. მაშინ პრეზიდენტმა შევარდნაძემ ამ კომისიის თავკაცობა იუსტიციის მინისტრ ჯონი ხეცურიანს დაავალა, თუმცა ხეცურიანი მალე დაემშვიდობა მინისტრის პოსტს და გაურკვეველი დარჩა კომისიის ბედი. დღეს ჯონი ხეცურიანი საკონსტიტუციო სასამართლოს ხელმძღვანელობს და ლოგიკისგან შორს არ არის, ეს საკითხი მის უწყებაში სამართლებრივად გადაწყდეს, მაგრამ ზედმეტი უხერხულობები რომ არ შეიქმნას, ასევე, ზედმეტი პრობლემებიც თავიდან რომ ავიცილოთ, ალბათ აჯობებს, ურთიერთობები ცენტრსა და რეგიონს შორის სასამართლო დაპირისპირების გარეშე გადაწყდეს. ამ აზრს ჯონი ხეცურიანიც იზიარებს. რატომ არ განისაზღვრა აჭარის სტატუსი თავიდანვე, კონსტიტუციის მიღებისას? რატომ არ გაიმიჯნა უფლებამოსილება ცენტრსა და რეგიონს შორის მაშინ მაინც, როდესაც აჭარის სტატუსი განისაზღვრა კონსტიტუციაში? რატომ ვერ იმუშავა ამ საკითხთან დაკავშირებით შექმნილმა კომისიამ? რა უშლის დღეს ხელს ამ პრობლემის მოგვარებას? ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრებით საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს ჯონი ხეცურიანს.

– კონცეპტუალური თვალსაზრისით, ეს მოხდა იმის გამო, რომ ტერიტორიული მთლიანობა არ გვქონდა აღდგენილი. ბევრი რამ დაკავშირებული იყო საქართველოს იურისდიქციის მთელ ტერიტორიაზე გავრცელებასთან. როცა გადაწყდებოდა ტერიტორიული მოწყობის საკითხი, მერე გაირკვეოდა, როგორი იქნებოდა ურთიერთობები აფხაზეთთან, სამხრეთ ოსეთთან და აჭარასთან, მერე მოხდებოდა უფლებათა გამიჯვნა ცენტრსა და რეგიონებს შორის. ამიტომ უფლებამოსილებათა საკითხი გადაიდო, თუმცა მე მაშინაც ამის წინააღმდეგი ვიყავი, რადგან ძალიან შორეულ პერსპექტივად მეჩვენებოდა ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოგვარება იმის გათვალისწინებით, რაც ხდებოდა ურთიერთობათა მოწესრიგების საკითხში აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან. ვიცოდი, რომ ეს არ გადაწყდებოდა ერთ ან ორ წელინადში, არადა, გაურკვეველი ვითარება გვრჩებოდა აჭარასთან. დღეს ქვეყანაში ტერიტორიული მოწყობის წარმოუდგენელი ასიმეტრიაა. გვაქვს რამდენიმე რაიონი (85) და ავტონო-

მიური რესპუბლიკა, რომელიც სახელმწიფოებრივი წარმონაქმნია. მათ შორის ძალზე დიდი სხვაობაა. ამიტომ ჩემი მიდგომა იყო ასეთი, შეგვემცირებინა ეს ასიმეტრია. იმ ავტონომიასთან, რომელიც ჩვეულებრივად ურთიერთობდა ჩვენთან, აჭარასთან, შეიძლებოდა მაშინვე გაგვერკვია უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკითხი და შემდეგ, როცა მოხდებოდა ტერიტორიების აღდგენა, მაშინ გაგვერკვია ურთიერთობა აფხაზეთთან და ოსეთთან. თუკი ჩვენ მივცემდით ავტონომიას აჭარას, იგივეს მივცემდით აფხაზეთსაც. აფხაზეთი და აჭარა ადრეც, საბჭოთა პერიოდშიც, ერთი და იგივე სტატუსით იყვნენ. დაგვრჩებოდა ის რეგიონები, სადაც მოუწესრიგებელი გვქონდა ურთიერთობა, მაგრამ მერე შეიძლებოდა ამ საკითხის ბოლომდე გარკვევა.

– რაც შეეხება ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობას, თქვენც რეგიონალიზმის მომხრე ბრძანდებით?

– რა თქმა უნდა, მე რეგიონალიზმის მომხრე ვიყავი და ვარ. უნდა შეგვექმნა მსხვილი რეგიონები, ისტორიული, ეთნოგრაფიული, დემოგრაფიული, ეკონომიკური და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ეს პროცესი უნდა დაწყებულიყო. თავიდანვე უნდა გამიჯნულიყო ურთიერთობები ცენტრსა და აჭარის რეგიონს შორისაც. ჩემი აზრი ასეთი იყო, რითაც საქმეებს წინ ნავიგდებდით. დღეს არ არის იმის პირობა, თითქოს ვინმე ჩაგრავდეს ავტონომიას ან იყოს მცდელობა მისი გაუქმებისა. ახლა, თუკი რომელიმე მოითხოვს დამოუკიდებლობას, ამას მსოფლიო თანამეგობრობა არც ცნობს და არც აღიარებს და იქნება უღიარებელ რესპუბლიკათა რიგში. სხვათა შორის, ამ იდეას, გამიჯნულიყო უფლებამოსილება ცენტრსა და რეგიონს შორის, მე 1994 წელსვე ვაყენებდი, როდესაც კონსტიტუცია უნდა მიეღოთ. მაშინ თითქოს გაიზიარეს ჩემი წინადადება, მაგრამ შესაბამისი კომისია არ შექმნილა. ამის შემდეგ ეს საკითხი დღის წესრიგში დადგა 2001 წელს. პირადად მე ვუთხარი პრეზიდენტს, ეს საკითხი გადასაწყვეტია-მეთქი. პრეზიდენტი დამთანხმდა და 2001 წლის აგვისტოში შეიქმნა კომისია. მოლაპარაკებები ვაწარმოე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურთან, რომელმაც კომისიის წევრებად 8 კაცი დაასახელა და სულ 18 კაციანი კომისია შეიქმნა.

– რატომ ვერ იმუშავა ამ კომისიამ?

– მოგეხსენებათ, სამუშაო თვალსაზრისით, აგვისტო მკვდარი სეზონია, მაგრამ შვებულებაში არ ვყოფილვარ და დავიწყე მოსამზადებელი სამუშაოები. საჭირო იყო სათანადო ისტორიული, სამართლებრივი და აგრეთვე შედარებითი სამართლებრივი მასალების შეგროვება. უნდა გვენახა, სხვა ქვეყნებში როგორია ურთიერთობები ცენტრსა და რეგიონს შორის, როგორია ავტონომიების სტატუსი. ეს მასალები მომზადებული იყო და გარკვეული სამუშაო წინადადებებიც არსებობდა.

– არადა, კომისია არც შეკრებილა...

– მოგახსენეთ, სამზადისი დაწყებული იყო, მაგრამ იმხანად მე, როგორც იუსტიციის მინისტრს, სექტემბერში მომიხდა მივლინებით დანიაში წასვლა, მაშინ პენიტენციარული სისტემის რეფორმაზე ვმუშაობდით. რომ დავბრუნდი, მალევე მოხდა ციხიდან პატიმართა (ქობალია-აბსანძის ჯგუფი) მასობრივი გაქცევა. აშკარად ჩანდა, არავის უნდოდა სიმართლის დადგენა, არსაიდან იყო დახმარება, პირიქით, ხელსაც კი მიშლიდნენ და შეიქმნა აბსოლუტურად ცინიკური სიტუაცია, ამიტომაც გადავდექი მინისტრის პოსტიდან. შემდეგ ეს კომისია არც შეკრებილა და არც აღარავის გახსენებია.

– რაც იმას ნიშნავს, რომ არ იყო პოლიტიკური ნება, გამიჯნულიყო ურთიერთობები ცენტრსა და რეგიონს შორის.

– ერთი სიტყვით, ეს საკითხი და, თავისთავად ცხადია, კომისიის არსებობაც, დავიწყებას მიეცა. ამიტომ დარჩა იგი ღიად და მოუწესრიგებლად.

– საქმის გაგრძელება ისედაც ხომ შეიძლებოდა, ვფიქრობ, ამ კომისიის მუშაობისთვის თქვენი მინისტრობა აუცილებელი არ უნდა ყოფილიყო.

– მინისტრობის მერე, დაახლოებით ერთ თვეში, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი გავხდი. შეიძლებოდა ამ კომისიისათვისაც მეხელმძღვანელა ან, თუ არა მე, სხვას ემუშავა.

– ცხადია, ცენტრიცა და რეგიონიც, რაღაც-რაღაცა ინტერესების გამო, ჩუმდებოდნენ. არც აჭარას მოუკლავს თავი, გაგვაგებინეთ რა უფლებების მქონე ვართო.

– საერთოდ, ინიციატივა ცენტრიდან უნდა მოდიოდეს. რაც შეეხება ავტონომიის სტატუსს, ეს არის კონსტიტუციური კანონი, რომელსაც იღებს საქართველოს პარლამენტი. ახლა კარგია, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა ამის ინიციატივა გამოიჩინა.

– სხვათა შორის, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ აჭარის კონსტიტუციას. დღემდე ბევრი აღიარებს, რომ აჭარის კონსტიტუცია შეუსაბამობაშია საქართველოს კონსტიტუციასთან, არც მისი შეცვლის ან დახვეწის მცდელობა ყოფილა. ხომ შეიძლებოდა, თუნდაც ცენტრს ეჩივლა ავტონომიისათვის ასეთი კონსტიტუციის მიღების გამო?

– აჭარის კონსტიტუციის მიღება აჭარის პრეროგატივაა. რა თქმა უნდა, საქართველოს კონსტიტუცია უზენაესი ძალის მქონე აქტია და სხვადასხვა სამართლებრივი აქტები მას უნდა შეესაბამებოდეს, მათ შორის აჭარის კონსტიტუციაც. თუკი ვინმეს მიაჩნია, რომ აჭარის კონსტიტუცია არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, ამისთვის უნდა არსებობდეს საკონსტიტუციო სასამართლო. ოღონდ ეს სარჩელი უნდა იყოს სათანადო სუბიექტების მიერ შემოტანილი. რაც შეეხება მოქალაქეს, მას მთლიანობაში არ შეუძლია აჭარის კონსტიტუციის წინააღმდეგ

სარჩელის შემოტანა, მაგრამ შეუძლია, იდავოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხში. სარჩელის შემოტანა შეუძლია პრეზიდენტს და პარლამენტის დეპუტატთა ერთ მეხუთედს. ვფიქრობ, ამ გზითაც შეიძლებოდა წასვლა, ამას ვერაფერი დაუდგებოდა წინ, მაგრამ მაშინვე შეიძლებოდა თავი ეჩინა იმას, რომ არ იყო განსაზღვრული აჭარის სტატუსი.

– სტატუსი ხომ განსაზღვრულია და დღეს მას არც არავინ ეხება?

– აქ დგას კომპეტენციების საკითხი. ავტონომიის სტატუსი მარტო იმას კი არ ნიშნავს, რომ აჭარა ავტონომიური რესპუბლიკაა, გასარკვევია, როგორია მისი სამართლებრივი მდგომარეობა, როგორია ხელისუფლების ორგანოები, როგორ მოქმედებს ცენტრალური ხელისუფლების კანონი ავტონომიაში და სხვა.

– ბიუჯეტთან მიმართებაშიც ბევრი რამ გაურკვეველია.

– რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი რამ არის გასარკვევი და გასამიჯნი. უფლებამოსილების გამიჯვნა უნდა მოხდეს ცალკეულ სფეროებში. ახლა არ შეიძლება კონსტიტუციაში არსებულმა მოუნესრიგებლობამ არ იჩინოს თავი.

– ანუ არ ვარგა ჩივილი საკონსტიტუციო სასამართლოში?

– თუ ვინმეს მიაჩნია, რომ აჭარის კონსტიტუცია წინააღმდეგობაშია საქართველოს კონსტიტუციასთან, მაშინ უნდა უჩივლოს ცენტრმა რეგიონს საკონსტიტუციო სასამართლოში, მაგრამ, ამავე დროს, უნდა მიმდინარეობდეს მუშაობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსზე და ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნაზე. ღრმად ვარ დარწმუნებული, როცა გაიმიჯნება უფლებამოსილება ცენტრსა და რეგიონს შორის, ამის შემდეგ შეიძლება, ჩვენს კონსტიტუციაშიც გარკვეული ცვლილებები შევიდეს.

– დაწყებულია თუ არა სამუშაო პროცესი, გადაიდგა რაიმე ნაბიჯი?

– მე ვიმყოფებოდი ბატონ ასლანთან, ვაწარმოე მოლაპარაკება მასთან პრეზიდენტის დავალებით და შევთანხმდით, რომ უნდა განახლდეს კომისია, რომელიც ამ საკითხზე იმუშავებს. არჩევნების შემდეგ ეს საკითხი ალბათ დაიძვრება. ვნახოთ რა იქნება. ამ პროცესში ჩართულია ევროსაბჭოც, იყო შვიმერის მოწოდება, განსაკუთრებულ აქტივობას იჩენს მისი წარმომადგენელი პლამენ ნიკოლოვი, ამ დღეებში აჭარაში ჩავა ზურაბ ჟვანია და იმედია, რაღაც გადაწყდება.

– ესე იგი, ახალი პარლამენტი შეძლებს ამ საკითხის ამოწურვას?

– პარლამენტმა კი არა, ეს საკითხი ჯერ უნდა შეიმუშავოს კომისიამ. არ შეიძლება პარლამენტში პირდაპირი პროექტი შევიდეს უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ. იქამდე კომისიამ უნდა შეიმუშავოს იგი.

– ახალი კომისია თუ შეიქმნება, ვინ უნდა შედიოდნენ მასში?

– ექსპერტები, დეპუტატები, იურისტები, როგორც ცენტრის, ასევე რეგიონის მხრიდან.

ესაუბრა **თამარ ბოდოკია**

„დილის გაზეთი", №82, 2004 წელი, 8 აპრილი.

საბჭოთა კონსტიტუციიდან დემოკრატიულ კონსტიტუციამდე

ქართულმა კონსტიტუციამ თავისი არსებობის მანძილზე სრულყოფისა და ჩამოყალიბების ხანგრძლივი გზა გაიარა. იყო ბევრი დაბრკოლება და ხელისშემშლელი ფაქტორი. კონსტიტუციასთან დაკავშირებულ ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე გვესაუბრება იუსტიციის ყოფილი მინისტრი და ამჟამად საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, ბატონი ჯონი ხეცურიანი. საუბრის შემდეგ უფრო ნათელი გახდა, თუ როგორ ირეკლავს ქვეყნის უზენაესი კანონი საქართველოს ისტორიას.

– რამ ჩაუყარა საფუძველი კონსტიტუციის მიღებას საქართველოში 1995 წელს? როგორი იყო წინა პერიოდი?

– საერთოდ, როცა კონსტიტუციაზე ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ ის წინა პირობები, ისტორიული ფაქტები, აგრეთვე ის რეალობა, რაც მაშინ საქართველოში იყო. საქართველომ დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენა მოახერხა 1991 წელს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით. როგორც წესი, ამ პერიოდში ძველი კონსტიტუციის აღდგენა ხდება, თუკი ქვეყანას ადრე სახელმწიფოებრიობა გააჩნდა და კონსტიტუცია ჰქონდა მიღებული. საბედნიეროდ, ასეთი ქვეყნების რიცხვს მივეკუთვნებით იმიტომ, რომ 1918-1919 წელს ჩვენ გვქონდა პირველი რესპუბლიკა. 1921 წელს კი ჩვენმა წინაპრებმა შესანიშნავი კონსტიტუცია შექმნეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ კონსტიტუციას ერთი დღეც არ უმოქმედია, იმ დროისათვის ის იყო ყველაზე პროგრესული აქტი სხვა ქვეყნების კონსტიტუციებთან შედარებით. ერთადერთი გამოსავალი არსებობდა: აღმდგარიყო ის კონსტიტუცია და ამით დადასტურებულიყო სამართლებრივი კავშირი სახელმწიფოებრიობის აღდგენასა და იმ სახელმწიფოებრიობას შორის, რომელიც ჩვენ გვქონდა. შუალედურ პერიოდში კი, ანექსიისა და ოკუპაციის შემდეგ, სახელმწიფოებრიობა დავკარგეთ და ჩვენი ნების გაუთვალისწინებლად იმპერიის ნაწილი გავხდით.

ასე რომ, ან უნდა აღდგენილიყო ძველი კონსტიტუცია, ან ახალი უნდა შექმნილიყო. იმ დროს ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შექმნილიყო კომისია, რომელიც ახალ კონსტიტუციას შეიმუშავებდა 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველზე. ძნელი იყო ძველი კონსტიტუციის პირდაპირ ამოქმედება. ის იყო სოციალ-დემოკრატების მიერ შედგენილი კონსტიტუცია და ამიტომ სოციალური მომენტები ცოტა არასასურველად იყო წარმოდგენილი იმის გათვალისწინებით, რის გაკეთებასაც ჩვენ ვაპირებდით სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში, კერძოდ, საბაზრო ეკონომიკის სრულფასოვნად დამკვიდრება, კერძო საკუთრებისა და თავისუფალი მეწარმეობის განვითარება და მთელი რიგი სხვა საკითხები. სახელმწიფოებრივი მოწყო-

ბის თვალსაზრისითაც ძველი კონსტიტუცია არ იყო სრულყოფილი. ამიტომაც შეიქმნა კონსტიტუციის შემმუშავებელი კომისია, რომელიც არსებული კონსტიტუციის ბაზაზე შექმნიდა ახალი, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციას. მანამდე კი საბჭოთა საქართველოს 1978 წლის კონსტიტუცია „გასუფთავდა" კომუნისტური, საბჭოური დებულებებისაგან. ამ გზით ქვეყანა აღმოჩნდა გარდამავალ პერიოდში საბჭოთა წყობილებიდან დამოუკიდებელ სახელმწიფო წყობილებამდე.

– რეალურად თუ შეიცვალა კონსტიტუცია? გაამართლეს ამ ცვლილებებმა?

– 1978 წლის კონსტიტუცია საგრძნობლად დახვეწილი იყო. თუმცა ამ კონსტიტუციაში რაც უნდა ცვლილებები შეეტანათ, ეს მაინც იყო საბჭოთა საქართველოს დროს მიღებული კონსტიტუცია. ამიტომ, ბუნებრივია, მის მიმართ მოქალაქეებში ვერ იქნებოდა ის დამოკიდებულება, რაც უნდა იყოს ქვეყნის ძირითადი კანონის მიმართ თავისუფალ, დემოკრატიულ სახელმწიფოში. ამასთანავე, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ საქართველო თითქოს საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოშობილი სახელმწიფო იყო, რაც, რა თქმა უნდა, არ იყო სწორი.

– რით იყო გამოწვეული ეს მომენტი?

– ეს იყო გამოწვეული იმით, რომ სიტუაცია იყო ძალიან დინამიკური. კონსტიტუციის ასე სახელდახელოდ გაკეთება ძალიან ძნელი საქმეა. გაითვალისწინეთ, რომ 1991 წლის ბოლომდე საბჭოთა კავშირი არსებობდა ყველა იმ ატრიბუტით, რაც იმპერიას იმ დროს ტერიტორიული მორჩილებისთვის ჰქონდა. ცხადია, რთული იყო ამ პირობებში მუშაობა. დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებას მოსკოვთან ახლა უჭირს ურთიერთობა, მაშინ კი საერთოდ მისი შემადგენელი ნაწილი ვიყავით. სამწუხაროდ, შიდა და გარე ფაქტორების გამო, კონსტიტუციის შემუშავება არ დაგვცალდა. 1991-1992 წლებში მოხდა კანონიერი გზით არჩეული ხელისუფლების ძალით დამხობა. სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ სამხედრო საბჭომ 1921 წლის კონსტიტუცია აღადგინა. მას ერთი დღითაც არ უმოქმედია და არც რამე მოუწესრიგებია.

– ესე იგი, რეალურად კონსტიტუცია არ მოქმედებდა?

- ეს იყო მარტო დეკლარაცია, ნება-სურვილი, თორემ იმ აქტს არ უმოქმედია. სამაგიეროდ, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ კონსტიტუციის ასეთი გზით მიღება არ შეიძლება. კონსტიტუცია უნდა იყოს პოლიტიკური კომპრომისების შედეგად მიღებული აქტი, თანხმობის დოკუმენტი, რომელსაც დაემორჩილება ყველა პოლიტიკური ძალა და მოსახლეობა მას აღიქვამს როგორც ძირითად კანონს. მხოლოდ ასეთი გზით იმოქმედებს კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპი საზოგადოებაში. თუმცა შემდგომი განვითარებისა და დახვეწის წინა პირობები ამ კონსტიტუციამ ნამდვილად შექმნა. კონსტიტუცია ისეთი დოკუმენტია, რომელიც ასახავს მდგომარეობას და ამასთან, არის დროის წინმსწრებიც. მასში უნდა ჩანდეს მიმართუ-

ლება, საით მიდის ქვეყანა. მაგრამ, ჩემი აზრით, კონსტიტუციის მიღება, თუნდაც ნაკლოვანი ყოფილიყო იგი, მაინც უზარმაზარი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე. 1992-95 წლების მოწვევის პარლამენტის ყველაზე დიდი დამსახურება იყო ის, რომ მან შეძლო კონსტიტუციის მიღება, რომელმაც თავისი როლი შეასრულა საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის შესაბამისად ხელისუფლებათა განშტოების ჩამოყალიბებაში. შეიქმნა პარლამენტი, აღმასრულებელი ხელისუფლება და პირველად საქართველოს ისტორიაში - სასამართლო ხელისუფლება.

– როგორ მიგაჩნიათ, რამდენად გამართლებულია კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა? განუწყვეტელი ცვლილებები რამდენად საზიანოა ქვეყნისათვის, ხალხისათვის და ქართული სახელმწიფოებრიობისათვის?

– კონსტიტუციური ცვლილებების მიღება ძალიან რთულ პროცედურებს უკავშირდება და ცვლილებების ხშირად შეტანა არც ვარგა. ამით დოკუმენტი უფასურდება. არც არის სავალდებულო, რომ კონსტიტუციაში ყველაფერი ეწეროს, მთავარია, კონსტიტუციის პრინციპები არ დაირღვეს. გამუდმებული ცვლილებების შეტანა კი არ არის მიზანშეწონილი.

– როგორია თქვენი აზრი მოქალაქის კონსტიტუციურ აღზრდასთან დაკავშირებით?

– რა თქმა უნდა, საჭიროა, სკოლებში ისწავლებოდეს კონსტიტუცია, რამდენადაც ეს სწავლების ნორმებით არის შესაძლებელი. მაგრამ სკოლის დამთავრებამდე 5-ჯერ თუ შეიცვალა, რაღა აზრი აქვს მაშინ მის სწავლებას?!

– ეთანხმებით თუ არა იმ მოსაზრებას, რომ ყველა მთავრობა თავის ბეჭებზე ირგებს კონსტიტუციას?

– პრინციპი, რომ ყველა მთავრობამ კონსტიტუცია თავის თავზე მოირგოს, რასაკვირველია, ჩემთვის არის სრულიად მიუღებელი. კონსტიტუცია უნდა არსებობდეს როგორც ქვეყნის ძირითადი კანონი და მის შესაბამისად უნდა ხდებოდეს ხელისუფალთა მონაცვლეობა.

– რომელი ქვეყნის კონსტიტუცია მიგაჩნიათ იდეალურად ან საუკეთესოდ არსებულთა შორის?

– იდეალური არც ერთი არ არის და არც შეიძლება იყოს. ვერავინ იტყვის, იდეალური კონსტიტუცია რომელია. ისეთი ნიმუში არ არის შექმნილი, რომელსაც შეგიძლია მიბაძო. თქვენ კი გირჩევდით, რომ გადაგეხედათ ამერიკის კონსტიტუციისათვის.

ესაუბრა **ხატია შალამბერიძე**

„დილის გაზეთი", №83, 2004 წელი, 9 აპრილი.

საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების გაერთიანება დაუშვებელია

საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ვესაუბრებით საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, ბატონ ჯონი ხეცურიანს.

- მიმდინარე წლის თებერვალში კონსტიტუციაში განხორციელდა მასშტაბური ცვლილებები. საპრეზიდენტო რესპუბლიკა შეიცვალა ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკით. შესაბამისად, მთავრობამ თავისი ადგილი დაიკავა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სისტემაში. ადრე მთავრობა სათათბირო ორგანო იყო, ახლა კი სრულფასოვანი სუბიექტია. 1 ივნისს მიღებულ იქნა კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ". ამავე დროს, საქართველოს კონსტიტუციაშიც შევიდა ცვლილება იმის თაობაზე, რომ დავა ზემოაღნიშნული კონსტიტუციური კანონის დარღვევის შესახებ, საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილოს. სწორედ ამ ნოვაციებმა მოითხოვა სათანადო ცვლილებები საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში. ეს დაკავშირებულია საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებთან. მთავრობის აქტები ახლა ჩვენი განსჯადობის სფეროში შემოვიდა. თუ ეს საკითხი არ იქნა ასახული საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში, ვერ შევძლებთ მის განხილვას. ამიტომ უნდა ჩავთვალოთ, რომ ეს იყო ობიექტური აუცილებლობით გამოწვეული ცვლილებები. გარდა ამისა, საკმაოდ მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების პრობლემა. ეს საკითხი, შეიძლება ყველა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ქრონიკულ პრობლემად ჩაითვალოს.

- რატომ არის პრობლემატური თქვენი გადაწყვეტილებების აღსრულება?

- იმიტომ რომ საკონსტიტუციო სასამართლო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს და თანამდებობის პირებს აკონტროლებს კონსტიტუციურობის თვალსაზრისით, მაგრამ თავისი გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის რაიმე ორგანიზებული ძალა არ გააჩნია. ეს მხოლოდ პოლიტიკური პასუხისმგებლობის მაღალ დონეზეა დამოკიდებული. ამიტომ არის შემთხვევები, როცა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს არ ასრულებენ, ზოგჯერ ჩვენ მიერ გაუქმებულ და ძალადაკარგულად ცნობილ კანონს თუ სხვა ნორმატიულ აქტს ისევ თავიდან გამოსცემენ.

- რა ზომები მიიღეთ, რომ თქვენი გადაწყვეტილებები ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენლებმა რეაგირების გარეშე არ დატოვონ?

- ამასთან დაკავშირებით შევიმუშავეთ მექანიზმი, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში: თუკი ჩვენი გადაწყვეტილების შემდეგ, რომლითაც არაკონსტიტუციურად ვცანით ესა თუ ის ნორმატიული აქტი, იგივე შინაარსის ნორმატიულ აქტს კვლავ გამოსცემენ და სუბიექტები ისევ მოგვმართავენ სარჩელით, რომ დაძლეულია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საკონსტიტუციო სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე დაადგენს რა ამ ფაქტს, არ მიიღებს სარჩელს განსახილველად და განჩინებით ძალადაკარგულად გამოაცხადებს ახალ ნორმატიულ აქტსაც. აქედან გამომდინარე, ნორმატიული აქტის გამომცემი სუბიექტი დაფიქსირდება როგორც კონსტიტუციის მეორედ დამრღვევი. ამ შემთხვევაში დადგება მისი პასუხისმგებლობის საკითხი, ანდა კონსტიტუციის ხელახლა იგნორირების მადა საერთოდ დაეკარგება. ეს არის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება იმისა, რომ ვაიძულოთ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები, კონსტიტუციის ფარგლებში მოექცნენ და ამით უზრუნველვყოფთ კონსტიტუციის უზენაესობას.

- როგორც ცნობილია, ხელისუფლება მუდმივად აპელირებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აქტების საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამობაზე.

- ჩვენი სასამართლოს პრაქტიკაში პირველად მოხდა, რომ შეგვიძლია აჭარის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტები განვიხილოთ არა მარტო კონსტიტუციურობის თვალსაზრისით, არამედ საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებთან მიმართებითაც, ე.ი. მათ მიერ გამოცემული საკანონმდებლო აქტების კანონიერების საკითხიც უნდა განვიხილოთ. ამით ჩვენ ვაიძულებთ ავტონომიურ ერთეულს, დაიცვას არა მარტო საქართველოს კონსტიტუცია, არამედ საქართველოს საკანონმდებლო აქტებიც.

- ბ-ნო ჯონი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლეებისგან ითხოვს მეტ აქტიურობას და არ მოსწონს, როცა მოსამართლეები დუმილით ხვდებიან მათ კრიტიკას. ამასთან, გამოითქვა მოსაზრება უზენაეს სასამართლოსთან საკონსტიტუციო სასამართლოს შერწყმის თაობაზე. თუ შეიძლება, თქვენი აზრი ამის შესახებ.

- თუ სამართლებრივ სახელმწიფოს ვაშენებთ, ხელისუფლება დაინტერესებული უნდა იყოს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობით. ეს საჭიროა როგორც მოქალაქეებისათვის, ისე ხელისუფლებისთვისაც. თუ სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელი არ იქნება, მას არავინ ენდობა და ეს დავები სხვა მასშტაბებს მიიღებს. გავიხსენოთ, თუნდაც აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის გადაულახავი კონფლიქტების თემა. ამისთვის არის სწორედ სასამართლო. ცენტრსა და რეგიონს შორის ურთიერთობაც სამართლებრივი გზით უნდა გადაწყდეს. რაც შეეხება პრინციპულობის საკითხს, ჩვენ არასდროს გვაკლდა პრინციპულობა. ეს არაერთხელ დაადასტურეს ქვეყნის ხელმძღვანელებმა,

რომლებიც განაწყენებული დარჩნენ ჩვენი გადაწყვეტილებების გამო. მხედველობაში მყავს არა მხოლოდ ექს-პრეზიდენტი, არამედ მინისტრებიც, რომლებიც გვემუქრებოდნენ, რომ არ აღასრულებდნენ ჩვენს გადაწყვეტილებას და ა.შ. ამავე დროს, პარლამენტიდანაც ბევრი საყვედური მიგვიღია, მაგალითად, როცა ზოგიერთი დეპუტატის არჩევნები არაკონსტიტუციურად ვცანით. იყო შემთხვევა, როცა ჩვენი გადაწყვეტილების განხილვა პარლამენტში დაიწყეს, რისი უფლებაც მათ არ ჰქონდათ. ერთი სატყვით, ჩვენ გვაქვს პრინციპული გადაწყვეტილებები და თანაც მრავლად. რაც შეეხება გაერთიანების საკითხს, ვფიქრობ, ეს უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება.

- რატომ?

- რა თქმა უნდა, ისეთი მოდელიც არსებობს, როდესაც ერთიანი სასამართლო ახორციელებს როგორც მართლმსაჯულებას, ისე საკონსტიტუციო კონტროლსაც. ასეთია, მაგალითად, ამერიკული მოდელი. თუმცა იქ ცოტა განსხვავებული მდგომარეობაა, კონსტიტუციურობის დაცვის სხვა მექანიზმები საკმაოდ ძლიერია. ჩვენი სახელმწიფო კი ჩამოყალიბების პროცესშია და უზენაესი სასამართლოსათვის, რომელიც მართლმსაჯულებას ახორციელებს, საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციის გადაცემა ამ ფუნქციის ნამდვილად დაკნინება იქნება. ამავე დროს, თუ ჩვენი მოსამართლეები იქ მოხვდებიან, მათზეც გავრცელდება იუსტიციის საბჭოს იურისდიქცია. შესაძლებელი იქნება ჩვენ მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრა და დასჯა. დღეს კი ჩვენზე ზემოქმედება არავის შეუძლია.

ესაუბრა შორენა კოწოწაშვილი

გაზეთი „ახალი თაობა“, №300, 2004 წელი, 30 ოქტომბერი.

კონსტიტუციური რეფორმა უნდა გაგრძელდეს*

მოხარული ვარ, მოგესალმოთ ჩვენი დღევანდელი კონფერენციის მონაწილეებს, რომელიც იმართება საქართველოს დედაქალაქ თბილისში ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის ინიციატივით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან თანამშრომლობით. კონფერენციის თემატიკა, რომელიც ვენეციის კომისიასთან ერთობლივად შეირჩა, ვფიქრობ, საკმაოდ საინტერესო და აქტუალურია ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე პერიოდისათვის.

მართალია, ქართული სახელმწიფოებრიობა სამიათასწლოვან ისტორიას ითვლის, მაგრამ ჩვენი სახელმწიფოს კონსტიტუციური ცხოვრების გამოცდილება გაცილებით მოკრძალებულად გამოიყურება. ჩვენმა წინაპრებმა მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში (1921 წლის 21 თებერვალს) შეძლეს სრულფასოვანი ძირითადი კანონის მიღება, მას შემდეგ, რაც საქართველომ რუსეთის იმპერიას თავი დააღწია.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პირველი კონსტიტუცია იმ ეპოქის ერთ-ერთი პროგრესული, დემოკრატიული სამართლებრივი აქტი იყო.

კონსტიტუციამ საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმად დემოკრატიული რესპუბლიკა დაამკვიდრა, მმართველობის ფორმად – საპარლამენტო რესპუბლიკა. ფართო გარანტიები მიენიჭა ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დაცვას, ეროვნულ უმცირესობებს, ადგილობრივ თვითმმართველობას, ხოლო ზოგიერთ რეგიონში – აფხაზეთში, ბათუმსა და ზაქათალის ოლქში ავტონომიურ მმართველობას.

სამწუხაროდ, საქართველოს კონსტიტუციური განვითარების გზა, კვლავ გარეშე ძალის ჩარევის გამო, შეწყდა (ამჯერად, უკვე ბოლშევიკური რუსეთის აგრესიის და ოკუპაციის შედეგად). საბჭოთა იმპერიაში ინკორპორირებული საქართველოს ოთხივე კონსტიტუცია (1922, 1927, 1937, 1978 წ.წ.) რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციების ქართულ ვარიანტს წარმოადგენს. ამიტომ მათ საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციური ორგანიზაციისათვის რაიმე მნიშვნელობა არ გააჩნიათ. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ამ პერიოდში კონსტიტუციით არ უცხოვრია.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველომ კვლავ აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და კონსტიტუციურ

---

*2004 წლის 18-19 მაისს თბილისში ვენეციის კომისიისა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩატარებულ კონფერენციაზე (თემა „სახელმწიფოს კონსტიტუციური ორგანიზაცია") წარმოთქმული სიტყვა.

რეფორმათა აუცილებლობა გადაუდებელ საქმედ იქცა. ქვეყანა შეუდგა, ერთი მხრივ, 1978 წლის საბჭოური კონსტიტუციის მოდერნიზებას, ხოლო მეორე მხრივ, 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველზე ახალი ძირითადი კანონის მომზადებას. თუ პირველი, საბოლოო ანგარიშით, მაინც უიმედო საქმე იყო, მეორეს გაკეთება მას აღარ დასცალდა. ქვეყანაში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება. შეიარაღებული ძალით დაამხეს კანონიერად არჩეული ხელისუფლება.

სამხედრო საბჭოს მცდელობა, 1992 წლის დასაწყისში აღედგინა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, გასაგები მიზეზების გამო, უშედეგო აღმოჩნდა. ეს ხარვეზი ვერც 1992 წლის ბოლოს „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ" მიღებულმა კანონმა შეავსო თავისი არასრულფასოვნების გამო, ვინაიდან იგი არ აწესრიგებდა ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, სასამართლო ხელისუფლებას, ადგილობრივ თვითმმართველობას, ტერიტორიულ მოწყობასა და სხვა. სამაგიეროდ, გვთავაზობდა სრულიად გაუგებარ მმართველობის ფორმას.

კონსტიტუციური წესრიგის დამყარების გზაზე მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ახალი ტიპის სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას. უნდა აღვნიშნოთ, რომ მის შემუშავებაში აქტიური როლი შეასრულა სწორედ ვენეციის კომისიამ – მისმა ექსპერტებმა.

მე თავს არ შეგაწყენთ ამ კონსტიტუციის დახასიათებით, მისი ძირითადი დებულებები კარგად არის ცნობილი ჩვენი კონფერენციის მონაწილეებისათვის. მხოლოდ აღვნიშნავ, რომ 1995 წლის კონსტიტუციამ, საქართველოში იმ დროს არსებული პოლიტიკური მდგომარეობის გამო, მაინც ვერ მიიღო დასრულებული სახე. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება ადგილობრივ თვითმმართველობასა და სახელმწიფოს ტერიტორიულ მოწყობას. პრაქტიკამ ისიც დაადასტურა, რომ მმართველობის საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელი, რომელიც ამ კონსტიტუციით იყო დადგენილი, საბოლოო ანგარიშში, არაეფექტიანი გამოდგა გარდამავალ პერიოდში მყოფი ახალი დემოკრატიის ქვეყნისათვის. ამის თვალსაჩინო დადასტურება იყო გასული წლის ნოემბერში საქართველოში სახელისუფლებო კრიზისი. ქვეყანა ახალი პოლიტიკური რეალობის წინაშე დადგა და ამან სათანადო ასახვა პოვა ქვეყნის ძირითად კანონში.

მიმდინარე წლის 6 თებერვალს საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საპრეზიდენტო მმართველობა ნახევრად საპრეზიდენტო, შერეული ტიპის მმართველობით შეიცვალა, ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სისტემაში თავისი ადგილი დაიკავა საქართველოს მთავრობამ როგორც კოლეგიურმა ორგანომ, ქვეყნის პრეზიდენტი გათავისუფლდა აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის

მოვალეობისაგან, იგი მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურია. განხორციელდა აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურული რეფორმა, ჩამოყალიბდა აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებათა შორის ურთიერთშეკავებისა და კონტროლის ახალი მექანიზმები და სხვა.

მიუხედავად განხორციელებული კონსტიტუციური რეფორმისა, სახელმწიფო ხელისუფლების ჰორიზონტალური და ვერტიკალური ორგანიზაციის მთელი რიგი საკითხები შემდგომ სრულყოფასა და დახვეწას საჭიროებს. განსაკუთრებით, ეს დაკავშირებულია ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხის მოუგვარებლობასთან. როგორც ვხედავთ, კონსტიტუციური რეფორმა კვლავაც უნდა გაგრძელდეს.

ევროსაბჭოს ექსპერტები, რომლებიც ჩამობრძანდნენ თბილისში ამ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, არაერთი წელია მუშაობენ იმ საკითხებზე, რომლებიც დღევანდელი კონფერენციის თემებს წარმოადგენენ და კარგად იცნობენ საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრობლემებს, იმ გარდაქმნებს, რომლებიც ქართულმა კანონმდებლობამ განიცადა ბოლო პერიოდში.

არ შემიძლია ხაზი არ გავუსვა და განსაკუთრებულად არ გამოვყო ვენეციის კომისიის საქმიანობა და თანამშრომლობა საქართველოსთან, მეტადრე, საკონსტიტუციო სასამართლოსთან. დღევანდელი კონფერენციაც ხომ ვენეციის კომისიის ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით ტარდება, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ მას. ვფიქრობ, ამ თანამშრომლობას დღეს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

გმადლობთ ყურადღებისათვის.

ჯონი ხეცურიანი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,
ვენეციის კომისიის წევრი.

კრებული „სახელმწიფოს კონსტიტუციური ორგანიზაცია“.
საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცემა, 2004 წელი.

შენიშვნები

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ 2004 წლის 17 დეკემბრის კონსტიტუციური კანონის პროექტზე იმ ნაწილში, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეეხება

1. პირველ რიგში, გაკვირვებასა და სინანულს იწვევს ის გარემოება, რომ კონსტიტუციური კანონის პროექტი საკონსტიტუციო კონტროლის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს გვერდის ავლით მომზადდა. აღნიშნული კანონპროექტის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლომ მხოლოდ მაშინ, თანაც სრულიად შემთხვევით შეიტყო, როცა იგი უკვე საქართველოს პარლამენტის კომიტეტებსა და ფრაქციებს დაეგზავნა. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრის მოსმენა თუნდაც მარტოოდენ იმის გამო იყო საჭირო, რომ კანონპროექტი ითვალისწინებს არსებითი ხასიათის ცვლილებებს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში მოქალაქის სასარჩელო უფლებამოსილებასა და არჩევნების კონსტიტუციურობასთან მიმართებით. ამ სფეროებში კი საკონსტიტუციო სასამართლოს საკმაოდ მდიდარი გამოცდილება გააჩნია.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია აგრეთვე ცოტა ხნის წინანდელი მცდელობა – გაუქმებულიყო საქართველოს თავისთავადი, დამოუკიდებლად არსებული საკონსტიტუციო სასამართლო იმ გზით, რომ შეერთებოდა იგი საქართველოს უზენაეს სასამართლოს. ეს მცდელობა უარყოფითად შეაფასა ვენეციის კომისიამ.

2. პრინციპულად მიუღებელია კანონპროექტის ის დებულება, რომელიც ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედი მოსამართლეების უფლებამოსილებების ვადამდე შეწყვეტას.

საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის მე-2 პუნქტის ძალით, „საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადაა 10 წელი“. ეს კონსტიტუციური ნორმა არის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა დამოუკიდებლობის რეალურად უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი გარანტია. ამის გარეშე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დამოუკიდებლობა ფიქციაა. აქედან გამომდინარე, კანონპროექტის დებულება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ არ შეესაბამება საქართველოს

კონსტიტუციის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას და ხელყოფს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის დამოუკიდებლობას.

ამასთანავე, კანონპროექტის აღნიშნული დებულება აშკარად ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებს. საქართველოს კონსტიტუცია კი მოითხოვს, რომ საქართველოს კანონმდებლობა (თვით კონსტიტუციის ჩათვლით) უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს (იხ. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი). ასეთია „სასამართლო ორგანოთა დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები" (მიიღო გაეროს VII კონგრესმა. მილანი, 1985 წლის 26 აგვისტო – 6 სექტემბერი). ამ აქტის მე-12 მუხლის ძალით, დანიშნულ ან არჩეულ მოსამართლეებს აქვთ უფლებამოსილების გარანტირებული ვადა პენსიაზე სავალდებულო გასვლამდე ან უფლებამოსილების დადგენილი ვადის დამთავრებამდე, როდესაც ამგვარი რამ დადგენილია. ამავე აქტის მე-18 მუხლით კი მოსამართლეების თანამდებობიდან დათხოვნა შეიძლება მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მათ არ შეუძლიათ, შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი, ანდა ჩაიდინეს მოსამართლისათვის შეუფერებელი საქციელი. გაერომ პირდაპირ მოუწოდა წევრ სახელმწიფოებს, პატივი სცენ სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის პრინციპებს და გაითვალისწინონ ისინი თავიანთ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში.

ასევე, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1994 წლის 13 ოქტომბერს მიღებულ იქნა რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისადმი „მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და დანიშნულების შესახებ", რომლის პირველი პრინციპის მე-3 პუნქტის თანახმად, ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში დანიშნული ან არჩეული მოსამართლეებისათვის გარანტირებული უნდა იყოს მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნა საპენსიო ასაკის დადგომამდე ან უფლებამოსილების ვადის გასვლამდე. ხსენებული რეკომენდაციის მე-6 პრინციპის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს მოსამართლეების თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლებას საფუძვლიანი გარემოებების არსებობის შემთხვევაში. ამგვარ საფუძვლიან გარემოებებად კი მიჩნეულია მოსამართლის შეუძლებლობა, განახორციელოს თავისი ფუნქციები, მოსამართლის მიერ დანაშაულის ან სერიოზული დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.

ევროპული ქარტია „მოსამართლეთა სტატუსის შესახებ", რომელიც მიღებულია ევროსაბჭოს ეგიდით 1998 წლის 10 ივლისს, ითვალისწინებს მოსამართლის დამოუკიდებლობის რიგ გარანტიებს. აღნიშნული ქარტიის 1.1 პუნქტი გამორიცხავს ნებისმიერ დებულებასა და პროცედურებს, რამაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს მოსამართლის დამოუკიდებლობის ხარისხზე. ქარტია სპეციალურ დებულებებს უთმობს მოსამართლის უფლებამოსილებების შეწყვეტას. კერძოდ, მისი 7.1 და

7.2 პუნქტები ითვალისწინებენ, რომ მოსამართლეს უფლებამოსილება ვადამდე შეიძლება შეუწყდეს მხოლოდ გადადგომის, ქმედუუნაროდ ცნობის, საპენსიო ასაკის მიღწევის ან ქარტიით გათვალისწინებული სამართალწარმოების ფარგლებში.

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ იმ ვითარებაში, როდესაც საქართველო, რომელიც კარგა ხანია ევროსაბჭოს წევრი ქვეყანაა და მისთვის სავალდებულოა ზემოაღნიშნული პრინციპების შესრულება, მით უმეტეს, როცა სერიოზულ ძალისხმევას მიმართავს ევროკავშირში გასაერთიანებლად, ამ ფონზე საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების უფლებამოსილებათა ვადამდე შეწყვეტა უკან გადადგმული ნაბიჯია.

3. კანონპროექტის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედ წევრებს უფლებამოსილებები შეუწყდებათ „რეორგანიზაციასთან დაკავშირებით". თავისთავად შემაშფოთებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მთელი შემადგენლობის ერთბაშად დათხოვნის პრეცედენტის შექმნა. ამასთან, როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, „მოსამართლეთა სტატუსის შესახებ" ევროპული ქარტია, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია „მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტურობისა და დანიშნულების შესახებ" და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუცია „ძირითადი პრინციპები, რომლებიც ეხება სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობას" არ ითვალისწინებენ მოსამართლეთა უფლებამოსილებების ვადამდე შეწყვეტას რეორგანიზაციის შემთხვევაში. უფრო მეტიც, წარმოდგენილი საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტში, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებისათვის უფლებამოსილებათა ვადამდე შეწყვეტის გარემოებად ასახელებს რეორგანიზაციას, საერთოდ არ არის ასახული საკონსტიტუციო სასამართლოს არანაირი სახით რეორგანიზაცია. პროექტი არ ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს არც სტრუქტურულ და არც მოსამართლეთა რიცხოვნობასთან დაკავშირებულ ცვლილებებს. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობა რეორგანიზაციას განმარტავს როგორც დაწესებულების სტრუქტურულ ცვლილებას. წარმოდგენილი კანონპროექტით საკონსტიტუციო სასამართლო არ განიცდის არანაირ სტრუქტურულ ცვლილებას და, შესაბამისად, არ ხდება მისი რეორგანიზაცია. აქედან გამომდინარე, და საერთოდაც, რეორგანიზაცია ვერ გახდება საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა უფლებამოსილებების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი. საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებში და დემოკრატიული ქვეყნების კანონმდებლობებში რეორგანიზაცია არ არის და არც შეიძლება იყოს მოსამართლეთა უფლებამოსილებების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი, ვინაიდან ასეთ ვითარებაში ძირი გამოეთხრებოდა მოსამართლეთა დამოუკიდებლობას – ხელისუფლებას მიე-

ცემოდა შესაძლებლობა, რეორგანიზაციის მოტივით, ნებისმიერ დროს დაეთხოვნა მისთვის არასასურველ მოსამართლეთა კორპუსი.

4. კონსტიტუციური კანონის პროექტის პირველი მუხლის მეორე პუნქტით, გაიზარდა იმ პირთა წრე, რომელთა თანამდებობიდან გადაყენებაც შესაძლებელია იმპიჩმენტის წესით, მათ შორის არიან უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები.

იმპიჩმენტის წესით მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენების დაუშვებლობა სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა. მოქმედი კანონმდებლობა ისედაც ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებისა და უზენაესი სასამართლოს წევრებისთვის უფლებამოსილებათა ვადამდე შეწყვეტის საფუძველს, თუ მათ მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.

იმპიჩმენტის პროცედურა შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სასამართლოზე ზემოქმედებისათვის, რაც უარყოფითად იმოქმედებს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და საქმიანობის ხარისხზე.

5. პროექტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად განწესებისათვის შემცირებულია ასაკობრივი ცენზი, კერძოდ, ამ თანამდებობის დაკავება შეიძლება 30 წლის ასაკიდან.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობა განსაკუთრებით მაღალ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია არაკონსტიტუციურობის მოტივით ძალადაკარგულად ცნოს ხელისუფლების სამივე შტოს აქტები. ამასთან, მისი გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას და გადასინჯვას არ ექვემდებარება. ბუნებრივია, ეს გარემოებები მოსამართლეთაგან მოითხოვენ მაღალ პროფესიონალიზმსა და დიდ გამოცდილებას. აქედან გამომდინარე, კანონზომიერია, რომ სახელმწიფოთა აბსოლუტური უმრავლესობის კანონმდებლობით, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად განწესებისათვის, რიგ მოთხოვნებთან ერთად, გათვალისწინებულია საკმაოდ მაღალი ასაკობრივი ცენზი, რომლის ქვედა ზღვარი მერყეობს ძირითადად 35 ნლიდან 45 წლამდე. საქართველოს კანონმდებლობით კი მინიმალური ასაკი ისედაც 35 წელია გათვალისწინებული.

როგორც წესი, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ განწესებისათვის საზღვარგარეთის უმეტესი ქვეყნების კანონმდებლობა ასევე მოითხოვს, რომ პირი იყოს სამართლის აღიარებული სპეციალისტი. ამასთან, უმრავლეს შემთხვევაში – გამოჩენილი მეცნიერიც. ბუნებრივია, ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის 30 წელი ვერ იქნება საკმარისი ასაკი. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ახლანდელი შემადგენლობა დაკომპლექტებულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით – გათვალისწინებულია მოსამარ-

თლეთა პროფესიული გამოცდილება, რომელიც შეეფერება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მაღალ სტატუსს. მაგალითისთვის საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ შემადგენლობის ცხრა წევრიდან ოთხი მეცნიერებათა დოქტორი – პროფესორია, მათ შორის ერთი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

6. კანონპროექტის მიხედვით, იცვლება საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების წესი – საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრს, საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, ირჩევს საქართველოს პარლამენტი. იმ ფონზე, როდესაც საკონსტიტუციო კონტროლი, პროექტის მიხედვით, გამოდის სასამართლო ხელისუფლების სისტემიდან, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს დანიშნულებაა, უზრუნველყოს ხელისუფლების სამივე შტოს კონსტიტუციის ფარგლებში მოქმედება, მიზანშეწონილია, შენარჩუნდეს საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების ამჟამად მოქმედი წესი. ჩვენი აზრით, ეს წესი უზრუნველყოფს მოსამართლეთა თანაბრად დამოუკიდებლობას ხელისუფლების სამივე შტოსაგან, მაქსიმალურად მიუკერძოებელი და ობიექტური გადაწყვეტილებების მიღებას.

7. კანონპროექტით, საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოერთვა არჩევნების კონსტიტუციურობის დადგენის კომპეტენცია.

შესაბამისი სუბიექტების მიერ არჩევნების კონსტიტუციურობის საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა არის უმნიშვნელოვანესი გარანტია ქვეყანაში ლეგიტიმური, კონსტიტუციური ხელისუფლების არსებობისათვის.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს, დღეს მოქმედი კანონმდებლობით, შეუძლია პრეზიდენტის, პარლამენტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები არაკონსტიტუციურად და, შესაბამისად, არჩევნების შედეგები ბათილად ცნოს. მსგავსი კომპეტენცია არ გააჩნიათ საერთო იურისდიქციის სასამართლოებს. მათ არც შეიძლება ჰქონდეთ არჩევნების კონსტიტუციურობის შეფასების უფლებამოსილება.

აღნიშნული კომპეტენციის საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ჩამოთრმევის შემთხვევაში აღარ იქნება არაკონსტიტუციურად ჩატარებულ არჩევნებზე რეაგირების არანაირი შესაძლებლობა, რაც, შესაბამისად, გამოიწვევს არალეგიტიმური ხელისუფლების სრული ვადით ფუნქციონირებას ან არაკონსტიტუციური გზით ხელისუფლების შეცვლის მცდელობას.

8. პროექტით შეიზღუდა იმ ნორმატიული აქტების წრე, რომელთა გასაჩივრების უფლებამოსილებაც საკონსტიტუციო სასამართლოში აქვთ მოქალაქეებს.

საკონსტიტუციო კონტროლის უმთავრეს ფუნქციას და საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს მოქალაქეთა დაცვა ხელისუფლების შესაძლო არაკონსტიტუციური ქმედებისგან. ამ თვალსაზრისით ყველაზე ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს თავად მოქალაქეთა შესაძლებლობა, კონსტიტუციური უფლებების დასაცავად მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს. თუმცა ამ მექანიზმის ეფექტურობა დამოკიდებულია თავად უფლების მოცულობაზე. მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები შესაძლოა დაირღვეს ნებისმიერი ორგანოს ან თანამდებობის პირის ნორმატიული აქტით და არა მხოლოდ პრეზიდენტის, პარლამენტის ან მთავრობის ნორმატიული აქტებით. მაგალითად, თუ მოქალაქეთა საარჩევნო უფლება შეიზღუდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის ნორმატიული აქტით, მას არ ექნება უფლების დაცვის არანაირი შესაძლებლობა და, შესაბამისად, ის ვერ ისარგებლებს უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური უფლებით. ამ თვალსაზრისით მრავალი სხვა მაგალითის მოყვანაც შეიძლება.

9. სერიოზულ დაფიქრებას საჭიროებს პროექტის ის ნორმა, რომლის თანახმადაც, საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს საერთო სასამართლოთა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების, განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით.

კონსტიტუციური მართლმსაჯულება არ იცნობს სასამართლო აქტების ასეთი ტოტალური გასაჩივრების შემთხვევებს. როგორც წესი, საჩივრდება საბოლოო ინსტანციის, კერძოდ, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები. ევროპული ქვეყნების კანონმდებლობათა მიხედვით, მოქალაქეს მხოლოდ მაშინ აქვს საჩივრის უფლება, როდესაც იგი ამოწურავს უფლების დაცვის ყველა სხვა გზას. პროექტით გათვალისწინებული ნორმის მიღების შემთხვევაში დიდი ალბათობა იქმნება იმისა, რომ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა უმრავლესობა გასაჩივრდება საკონსტიტუციო სასამართლოში, რაც უეჭველად იმოქმედებს მისი საქმიანობის ხარისხზე. მეორე მხრივ კი, გაჩნდება პრობლემები საერთო სასამართლოებში საქმეთა დროულად განხილვასთან დაკავშირებით.

10. მოქმედი კანონმდებლობით დაუშვებელია ერთი და იმავე პირის საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად ორი ვადით არჩევა. კანონის ეს ნორმა ევროპის ქვეყნებში დამკვიდრებულ ტრადიციებს ემყარება. იშვიათ გამონაკლისს მიეკუთვნება ის შემთხვევები, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის ორი ვადით არჩევაა შესაძლებელი. ახალგაზრდა ქართული საკონსტიტუციო სასამართლოსათვის, იმ ფონზე, როდესაც ახალი ტრადიციები ყალიბდება, პროექტით გათვალისწინებული ნორმა ერთი და იმავე პირის ორჯერ არჩევის შესახებ გაუმართლებელი უნდა იყოს.

11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თვლის, რომ აღნიშნული შენიშვნების გაუთვალისწინებლად ამ კანონპროექტის მიღება გამოიწვევს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ხელყოფას, მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებათა გარანტიებისა და მართლმსაჯულების განხორციელების მნიშვნელოვნად შესუსტებას, რაც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის კონსტიტუციური კანონიერების მდგომარეობას საქართველოში, რომელსაც ჯერ კიდევ არ გააჩნია სამართლებრივი სახელმწიფოს, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის მყარი ტრადიციები.

ჯონი ხეცურიანი – საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე;
ბესარიონ ზოიძე – საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი – საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე;
იაკობ ფუტკარაძე – საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი;
ოთარ ბენიძე – საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი;
ვახტანგ გვარამია – საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი;
ნიკოლოზ შაშკინი – საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი;
ლამარა ჩორგოლაშვილი – საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი;
ზაურ ჯინჯოლავა – საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი.

РОЛЬ КОНСТИТУЦИОННОГО СУДА В ОБЕСПЕЧЕНИИ КОНСТИТУЦИОННЫХ ПРИНЦИПОВ ФОРМИРОВАНИЯ ОРГАНОВ ГОСУДАРСТВЕННОЙ ВЛАСТИ

Господин Председатель,
Господа,

Я рад приветствовать вас на совместном семинаре, организованном Венецианской комиссией Европейского Совета и Конституционным Судом Российской Федерации, и пожелать плодотворной работы.

Тема, предложенная организаторами нынешнего семинара для рассмотрения, весьма актуальна и касается всех характерных особенностей осуществления конституционного контроля. Здесь речь идет о важнейшем предназначении конституционного суда как института особой значимости, призванного всемерно способствовать обеспечению верховенства Основного Закона государства, его стабильности и развития. Все возрастающая роль органов конституционного контроля в процессе развития государств новой демократии очевидна, и этот процесс, безусловно, должен опираться на стабильность конституционных норм. Таким образом, ясно, сколь разнообразен и обширен спектр вопросов, которые охватывает предложенная тема. Я попытаюсь выделить среди них главные и заострить ваше внимание на наиболее существенных моментах в деятельности Конституционного Суда Грузии.

Источником государственной власти в Грузии является народ, который путем справедливых и всеобщих выборов формирует власть в стране на основании установленных конституцией норм и принципов. В этом смысле первейшее конституционное право - именно избирательное право, защита которого обеспечивает свободное волеизъявление народа. На наш взгляд, обеспечение этого права - одно из главных назначений Конституционного Суда, поскольку именно в условиях свободного волеизъявления может быть избрана демократическая власть, что, в свою очередь, является гарантией действенности и стабильности самой Конституции как верховного правового акта. Конституционный Суд обладает широкими, но все же недостаточными полномочиями в разрешении споров, касающихся установления конституционности выборов. Компетенция установления конституционности назначения и проведения выборов поделена между Конституционным и Верховным судами, хотя исключительное право признания результатов выборов недействительными - прерогатива Конституционного Суда.

По нашему мнению, грузинское законодательство в этом смысле все еще требует совершенствования, над чем мы непременно будем работать с нашими коллегами по Венецианской комиссии. Сейчас поясню, что я под этим подразумеваю.

Мне думается, нужно максимально разграничить полномочия, которыми в Грузии обладают Конституционный и общие суды при разрешении споров по поводу выборов. Детальное определение этих функций позволит избежать как дублирования компетенций, так и коллизий норм, что нередко становится причиной совершения неправомерных действий. Конкретно же Конституционный Суд должен быть единственным и верховным арбитром в случае, когда дело касается конституционности назначения выборов и, что самое главное, разрешения избирательных споров по завершении выборов. Установление законности избирательного процесса, фактических обстоятельств нарушения избирательного законодательства, естественно, входит в компетенцию общих судов. А после того как избирательный процесс завершен, решающее слово в целях осуществления конституционных принципов должно оставаться за Конституционным Судом. По грузинскому законодательству - это так, однако здесь не хватает нормы, в императивном порядке закрепляющей право последнего слова именно за Конституционным Судом, которое будет заключаться не только в объявлении результатов выборов, как это имеет место в некоторых странах, но и реального установления этих результатов путем непосредственного контроля за деятельностью избирательной администрации. Здесь нас не должно смущать слово "контроль", так как речь - не о каком-либо типе надзорных отношений, а о той роли, которую Конституционному Суду предстоит сыграть в осуществлении правосудия при разрешении споров о выборах по завершении избирательного процесса. В качестве примера, если учитывать, что Органический закон Грузии "О Конституционном Суде Грузии" предусматривает крайне сжатые сроки рассмотрения споров о выборах, станет ясно, что Конституционный Суд при установлении истины окажется в своеобразном цейтноте. Кроме того, вопрос времени и сроков рассмотрения в конечном счете носит процедурный, хотя и не менее существенный характер. Гораздо важнее усилить роль судебной власти в осуществлении избирательного процесса. В основном это будет проявляться в участии суда в формировании избирательной администрации. Основную проблему в ходе выборов, проводимых на протяжении последних 10 лет, представлял вопрос формирования именно избирательной администрации. Эта проблема не разрешена по сей день. Справедливость выборов должны обеспечивать два субъекта: избирательные комиссии и Конституционный Суд, как конечная инстанция.

На сегодняшний день избирательные комиссии укомплектованы представителями партий, принимающих участие в выборах. По нашему мнению, эта практика неоправданна, так как во-первых, спектр политических партий в странах молодой демократии, как правило, формируется не на мировоззренческой основе, у этих партии нет социальной опоры, поскольку расслоение общества в силу известных экономических процессов пока не завершено. На это указывают чрезмерное количество партий и непонятная разнородность партийного спектра. В таких условиях политические партии не только не содействуют формированию политической воли избирателей, что является их

главной задачей, а наоборот, вызывают растерянность среди граждан, результатом чего являются отчужденность и недоверие народа по отношению к ним.

Во-вторых, представители политических партий в избирательных комиссиях, как показывает практика, руководствуются только партийными интересами и, соответственно, решения избирательных комиссий часто лишены всякой правовой обоснованности. Поэтому избирательные комиссии должны быть защищены от партийного влияния и состоять из служащих – профессионалов, а не меняться со сменой персонального состава органов государственной власти.

Законодательство о Конституционном Суде Грузии, как уже отмечалось выше, предусматривает крайне сжатые сроки для рассмотрения вопроса об установлении конституционности выборов. В частности, статья 22 Органического закона Грузии "О Конституционном Суде Грузии" устанавливает 17-дневный срок рассмотрения иска, связанного с конституционностью выборов Президента Грузии. Это обусловливается тем, что до принятия президентом присяги вопрос легитимности избрания президента должен быть уже решен, чтобы избежать, мягко говоря, некоторой неловкости после его инаугурации. В отношении выборов Парламента Грузии - несколько иной подход: в особых случаях срок рассмотрения иска о конституционности выборов Парламента Грузии продлевает (не более, чем на 30 дней) Председатель Конституционного Суда. Впрочем, этот 30-дневный срок, возможно, и не нужен, как явствует из примера Конституционного Совета Франции, где он вообще отсутствует. Однако следует отметить, что во Франции избирательная система несколько отличается от избирательной системы Грузии. В связи с данным конкретным вопросом добавлю лишь то, что исходя из основного институционального назначения Конституционного Суда в общем и, с точки зрения имеющегося опыта, в целях обеспечения стабильности тех же конституционных принципов, желательно было бы возложить на Конституционный Суд Грузии дополнительную, но весьма ответственную функцию наблюдения за выборами и избирательным процессом, подобно тому, как это предусматривается Конституцией Франции, что наряду с объявлением результатов выборов подразумевает подтверждение органом конституционного правосудия легитимности, конституционности вновь избранной власти. Конституционный Суд или другое учреждение с эквивалентной юрисдикцией - институт, наименее политизированный. Какой же орган, как не Конституционный Суд, может быть наиболее действенной конечной инстанцией при установлении результатов выборов? Справедливая и периодическая смена власти ведь является одним из важнейших атрибутов демократического общества, почему же тогда Конституционный Суд не может осуществлять максимальный контроль за ходом этого процесса? На наш взгляд, это еще раз указывает на роль Конституционного Суда в деле упрочения конституционной стабильности.

Разумеется, существует множество важных вопросов, непосредственно связанных с темой сегодняшнего семинара. Тем не менее, мы считаем необ-

ходимым заострить внимание именно на тех, которые на данном этапе наиболее актуальны для Конституционного Суда Грузии, и не ошибусь, если скажу, что и для конституционных судов в общем.

Благодарю за внимание.

Журнал «Конституционное правосудие»
вестник Конференции органов конституционного контроля
стран молодой демократии 2(24) 2004 года.

მის აღმატებულებას, საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს

თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო, მოგმართავთ თხოვნით თქვენ, როგორც ჩვენი სახელმწიფოს მეთაურს, გამოიჩინოთ განსაკუთრებული გულისხმიერება და ყურადღება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიმართ, რომელიც განთქმულია თავისი სამეცნიერო სკოლებით. კარგად მოგეხსენებათ, ამ სკოლების ხელმძღვანელების სახელები ფართოდაა ცნობილი მსოფლიოში და საამაყოა მთელი ქართველი ერისათვის.

სამწუხაროდ, დღეს მრავალსაუკუნოვანი ჩვენი მეცნიერება, რომლის სათავეებს უძველესი დროიდან, განსაკუთრებით კი დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებულ გელათის, იყალთოსა და სხვა ძველ-ქართულ აკადემიებში ვხედავთ, შეიძლება საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს;

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ზოგიერთ სახელისუფლებო სტრუქტურაში შემუშავდა გეგმა, რომლის მიხედვითაც განზრახულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გარდაქმნა „საკრებულოდ", რომლის წევრებსაც დაეინიშნებათ „სტიპენდიები", ხოლო ამჟამინდელი აკადემიური ინსტიტუტები უნივერსიტეტებს, სამინისტროებსა და სხვა ორგანიზაციებს გადაეცემათ.

მიგვაჩნია, რომ ეს გამოიწვევს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, როგორც ერთიანი ორგანიზმის, რღვევას, ინსტიტუტების ფაქტობრივ დაშლას და ფუნდამენტური მეცნიერული კვლევების შეჩერებას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ თავის დროზე შეიმუშავა მეცნიერებათა აკადემიის რეფორმირების მოდელი და წარუდგინა იგი საქართველოს მთავრობას იმ იმედით, რომ ამ საკითხებზე პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით აღდგებოდა სამთავრობო კომისიის მუშაობა.

მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების მიერ მოწონებული მოდელის თანახმად, მეცნიერებათა ეროვნული აკადემია წარმოადგენს ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერებათა კვლევით ცენტრს, რომელსაც მფარველობას უწევს საქართველოს პრეზიდენტი; იგი აგრეთვე ამტკიცებს გარკვეული წესით არჩეულ აკადემიის პრეზიდენტს, როგორც ეს მრავალი მონინავე ქვეყნის აკადემიების შემთხვევაში არის.

მეცნიერებათა აკადემია უნდა იყოს თვითმართვადი, ავტონომიური და საბაზისო დაფინანსებაზე დამყარებული გაერთიანება

ინსტიტუტებისა და კვლევითი ცენტრებისა, რომელთა სათავეში კოლექტივების მიერ არჩეული დირექტორები – სამეცნიერო ხელმძღვანელები იქნებიან; მეცნიერებათა აკადემიაში არსებული 55 კვლევითი ინსტიტუტის ნაცვლად რეფორმირებულ აკადემიურ სისტემაში სავარაუდოდ გვექნება 11 ინსტიტუტი, რომლებშიც დამოუკიდებელი სამეცნიერო სტატუსით შევა „კვლევითი ცენტრები", რითაც შენარჩუნებული იქნება ჩვენი სამეცნიერო დარგები და პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებები.

ქვეყნის პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული წესდების მიხედვით, ამჟამად მეცნიერებათა აკადემიაში ტარდება და დასასრულს უახლოვდება კვლევითი ცენტრებისა და ინსტიტუტების სახელმწიფო ატესტაცია, რაც ნათლად გამოავლენს ჩვენს ქვეყანაში არსებულ სამეცნიერო პოტენციალს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისთვის, როგორც ავტონომიური, თვითმართვადი ფუნდამენტური კვლევითი ცენტრის წარმატებული არსებობისთვის, აუცილებელია საბაზისო დაფინანსებასთან ერთად გვქონდეს პროგრამულ-გრანტული დაფინანსებაც; აკადემიასთან უნდა შეიქმნას „მეცნიერების განვითარებისა და თანამშრომელთა სოციალური დაცვის ფონდი", რომელიც დაფინანსდება არასამეცნიერო დანიშნულების აკადემიური ქონების პრივატიზაციისა და აქტივაციის შედეგად მიღებული სახსრებით; ამ გზით აკადემიის ქონებას სახელმწიფო კვლავ მეცნიერებათა აკადემიას მოახმარს, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი მეცნიერების შემდგომ განვითარებას.

ბატონო პრეზიდენტო,

ვითვალისწინებთ რა თქვენს განსაკუთრებულ ყურადღებას მეცნიერების, როგორც ჩვენი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგისადმი, გთხოვთ მხარი დაუჭიროთ მეცნიერებათა აკადემიაში დაგეგმილი და საერთო კრების მიერ მონონებული რეფორმების განხორციელებას; ეს რეფორმა, აგრეთვე, გულისხმობს ახალი არჩევნების ჩატარებას, რაც მნიშვნელოვნად გააახალგაზრდავებს აკადემიას და შექმნის დამატებით პირობებს მისი მუშაობის გაუმჯობესებისთვის.

გამოვთქვამთ იმედს, რომ ქვეყნის პრეზიდენტის მზრუნველობით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მსოფლიო მნიშვნელობის მძლავრ კერად იქცევა, რისი გარანტიც არის ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის ტრადიციულად მაღალი დონე, რაც,

ამავე დროს, გარკვეულწილად ყოველთვის განსაზღვრავდა ქვეყნის უსაფრთხოებასაც.

დარწმუნებულნი ვართ, რომ საქართველოს განახლებული „ეროვნული მეცნიერებათა აკადემია" თავისი საქმიანობით ნათლად წარმოაჩენს ღვთისმშობლის ნილხვედრი ჩვენი ქვეყნის ღირსებას და მას გამორჩეულ ადგილს დაუმკვიდრებს ცივილიზებულ სამყაროში.

ღმერთი იყოს ჩვენი ქვეყნის მფარველი,
თქვენდამი უღრმესი პატივისცემით,

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
ილია II,
საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის საპატიო წევრი

საქართველოს
მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდენტი, აკადემიკოსი
თამაზ გამყრელიძე

საქართველოს საკონსტიტუციო
სასამართლოს თავმჯდომარე,
საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდიუმის წევრი
ჯონი ხეცურიანი

თბილისი 26 ივნისი, 2005 წელი.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", №181, 2005 წელი, 2 აგვისტო.
გაზეთი „რეზონანსი", №202, 2005 წელი, 2 აგვისტო.
Газета «Свободная Грузия», №168, 4 августа 2005 года.

ხიბა ბაიდოვი. ბაკურიანი, ბალის მიხედვით ხალხმრავლობა ანაკლიაზე.

2004 ნოემბერი 25 თებერვალი



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარე
ლუციუს ვილდჰაბერთან ერთად
(საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ მუშაობის დროს). კარლსრუე. 2001 წ.

რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე მ. ბაგლაი, [illegible]
საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ჰ. გაჯიევი და საქართველ[illegible]
საკონსტიტუციო სასამართლოს წარმომადგენლები - ჯ. ხეცურიანი, ნ. ჩერეფაშ[illegible]
ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონფერენციის XII კონგრესზე.
ბელგია. ბრიუსელი. 2002 წ



დანიის იუსტიციის მინისტრ ფრანკ იენსენთან შეხვედრა თანამშრომლობის საკითხებთან დაკავშირებით (იუსტიციის მინისტრად მუშაობის დროს). დანია. კოპენჰაგენი. 2000 წ.

ევროპის ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების თავმჯდომარეები გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე იუტა ლიმბახთან გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს 50 წლისთავთან დაკავშირებით. კარლსრუე. 2001 წ.

შეხვედრა თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე მუსტაფა ბუმინთან. თურქეთი. ანტალია. 2002 წ.



გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე გაუხტერ პირში და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ბანტურია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. 2002 წ.

ამერიკის იურისტთა ასოციაციის ნარმომადგენლებთან შეხვედრა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში თანამშრომლობის საკითხებზე. დეივიდ ტოლბერტი – ამერიკის იურისტთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, ქეროლაინ კლარკ ქემბელი – ამერიკის იურისტთა ასოციაციის საქართველოს პროგრამის სამხარეო დირექტორი. 2002 ნ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ჯონი ხეცურიანი, ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ეგიდიუს კურისი და ესტონეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უნო ლომუსი რუმინეთის საკონსტიტუციო სასამართლოს 10 ნლისთავისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე. ბუქარესტი. 2002 ნ.

აშშ-ის ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი და ამერიკის საერთაშორისო განვითარებისა
სააგენტოს კავკასიის მისიის ხელმძღვანელი მაიკლ ფარბმანი
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ერთობლივი პროექტის
შედეგების გასაცნობად. 2003 წ.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს
თავმჯდომარის ჰანს იურგენ პაპიერის ვიზიტი
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. 2003 წელი.

ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის წარმომადგენლების შეხვედრა
საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან. 2004 წ.

ევროსაბჭოს ვენეციის კომისიასთან თანამშრომლობით გამართული საერთაშორისო
კონფერენცია სახელმწიფოს კონსტიტუციური ორგანიზაციის პრობლემებზე ვენეციის
კომისიის გენერალური მდივნის ჯანი ბუკიკიოს მონაწილეობით. თბილისი. 2004 წ.



ტერი დევისი – ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი, მინდია უგრეხელიძე – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე, ჯონი ხეცურიანი – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.
ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. სტრასბურგი. 2005 წ.

ჯონი ხეცურიანი – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, მინდია უგრეხელიძე – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე, ვალერი ზორკინი – რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.
ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. სტრასბურგი. 2005 წ.

ვენეციის კომისიის წევრების შეხვედრა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ჯ. ხეცურიანთან ცხინვალის რეგიონის სტატუსისა და კონსტიტუციური ცვლილებების პროექტის თაობაზე. ჯ. ბუკიკიო (ვენეციის კომისიის მდივანი), ჯ. მალინვერნი, ს. ბარტოლე, პ. ფოგელი, ტ. მარკერტი. თბილისი. 2005 წ.



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ჯონი ხეცურიანი,
ყაზახეთის საკონსტიტუციო საბჭოს თავმჯდომარე იგორ როგოვი,
აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ფარიზ ალ
აბდულაევი ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონფერენციის XIII კონგრესზე
კვიპროსი. ნიკოზია. 2005 წ.



რუსეთის ფედერაციის, ლატვიის რესპუბლიკის, უკრაინის რესპუბლიკის, საქართველოს,
ლიტვის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოების თავმჯდომარეების გალერი
ზორკინი, აივარს ენძინში, გაგიკ ჰარუთინიანი, ჯონი ხეცურიანი, ვიტალეს კვირიკი
ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონფერენციის XIII კონგრესზე.
კვიპროსი. ნიკოზია. 2005 წ

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ,
აკადემიკოს თამაზ გამყრელიძესთან ერთად. თბილისი. 2005 ნლის 5 ივლისი.

საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო აღიარების კიდეე ერთი დასტური – ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ვიზიტი საქართველოში. თბილისი. 2005 ნლის 10 მაისი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ყოველწლიურად
სახელმწიფო-სამართლებრივ ოლიმპიადაში გამარჯვებული მოსწავლეებია
და სტუდენტების დაჯილდოების დრეს.

შეხვედრები „მეოთხე ხელისუფლებასთან".

დავიცვათ საქართველოს სუვერენიტეტი

შევინარჩუნოთ მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის უზრუნველყოფის ლენინური პრინციპები

„სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ" კანონის პროექტი საბჭოთა კავშირის მოქმედი კონსტიტუციის 108-ე მუხლის ერთ ისეთ ცვლილებას ითვალისწინებს, რომელიც პრინციპულად მიუღებლად მიგვაჩნია, რადგან სსრ კავშირის შემადგენლობიდან მოკავშირე რესპუბლიკის თავისუფალი გასვლის სუვერენული უფლების შელახვის საფუძველი შეიძლება გახდეს.

მოქმედი კონსტიტუციის თანახმად (108-ე მუხლის III აბზაცი), მხოლოდ და მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ახორციელებს „სსრ კავშირის შემადგენლობაში ახალი რესპუბლიკების მიღებას". პროექტის მიხედვით კი (108-ე მუხლის მე-2 პუნქტი), მოყვანილი ფორმულირების ნაცვლად, მხოლოდ და მხოლოდ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის გამგებლობას ექვემდებარება „სსრ კავშირის შემადგენლობის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება".

სარედაქციო ფოსტიდან

ეს ახალი ფორმულირება „გადაწყვეტილებათა მიღება სსრ კავშირის შემადგენლობის საკითხებზე", მართალია, ამჟამად მოქმედ ნორმასაც – „სსრ კავშირის შემადგენლობაში ახალი რესპუბლიკების მიღებას" მოიცავს, მაგრამ ამასთანავე გულისხმობს სხვა რამესაც, თანაც ფრიად არსებითს. საქმე ის გახლავთ, რომ თითოეული მოკავშირე რესპუბლიკისათვის კონსტიტუციით მინიჭებული სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება (72-ე მუხლი), ცხადია, სსრ კავშირის შემადგენლობის საკითხსაც ეხება და ახალი ნორმის შესაბამისად, თუ იგი დაკანონდა, ყრილობა უფლებამოსილი იქნება, იმსჯელოს მოკავშირე რესპუბლიკის კავშირიდან გასვლის საკითხზე და გადაწყვეტილებაც მიიღოს.

ამასთანავე, როგორც აღნიშნულია ერთ-ერთ ავტორიტეტულ გამოცემაში, „გასვლის უფლების ნორმა კანონმდებლურად ამკვიდრებს ნებაყოფლობით პრინციპს სსრ კავშირში რესპუბლიკების არა მარტო გაერთიანების მიმართ, არამედ ამ კავშირში ყოფნის მიმართაც. მოკავშირე რესპუბლიკის ეს უფლება უთუოა. მისი განხორციელებისათვის საჭირო არ არის არც სსრ კავშირის, არც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების თანხმობა" (იხ. „სსრკ კონსტიტუცია: პოლიტიკურ-სამართლებრივი კომენტარები". მოსკოვი, 1982 წ., გვ. 213). ვ. ი. ლენინი ხომ ამბობს: „ჩვენ გვინდა თავისუფალი გაერთია-

ნება და ამიტომ მოვალენი ვართ, ვცნოთ გამოყოფის თავისუფლება (თავისუფალი გამოყოფის გარეშე თავისუფალს ვერ ვუწოდებთ შეერთებას)".

ამრიგად, გამოდის, რომ პროექტით გათვალისწინებული საკანონმდებლო სიახლე არსებითად ხელყოფს მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტს, გადახვევაა ლენინური ეროვნული პოლიტიკის იმ ფუნდამენტური დებულებიდან, რომელსაც ეფუძნება საბჭოთა ხალხების დიადი კავშირი, მას ძალზე დიდი, გაუთვალისწინებელი უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს. ამიტომ იგი უნდა უარვყოთ და უცვლელად დავტოვოთ ამჟამად მოქმედი ნორმა კავშირის შემადგენლობაში ახალი რესპუბლიკების მიღების შესახებ, რომელიც, სხვათა შორის, დამკვიდრებულია ჯერ კიდევ 1922 წლის ხელშეკრულებაში სსრ კავშირის შექმნის შესახებ (პირველი მუხლის „გ" პუნქტი) და შემდეგ ტრადიციულად აისახებოდა სსრ კავშირის ყველა ძირითად კანონში, სახელდობრ, 1924 წლის (პირველი მუხლის „გ" პუნქტი), 1936 წლის (მე-14 მუხლის „გ" პუნქტი) და 1977 წლის (73-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, 108-ე მუხლის მე-3 აბზაცი) საერთო-საკავშირო კონსტიტუციებში.

თამაზ შავგულიძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა
და სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფოსა და
სამართლის ცენტრის დირექტორი, პროფესორი;

ჯონი ხეცურიანი

დირექტორის მოადგილე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი;

იაკობ ფუტკარაძე

განყოფილების გამგე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

გაზეთი „კომუნისტი", №261, 1988 წელი, 12 ნოემბერი.

ობიექტურად შევაფასოთ მოვლენები

როგორც ცნობილია, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 11 დეკემბერს მიიღო კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ. საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ უდავოდ უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგა ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ რესპუბლიკის საზოგადოებრიობა, ქართველი ხალხი მხარს უჭერს და მოწონებით შეხვდა ამ გადაწყვეტილებას.

ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ მართებულად არ მიიჩნია ავტონომიური ოლქის გაუქმება და კრიტიკულ მოსაზრებებს გამოთქვამს ამ აქტის მიზანშეწონილობის შესახებ. უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს საქართველოს ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმის 1990 წლის 14 დეკემბრის განცხადება, რომელშიც პირდაპირ არის ნათქვამი, რომ საქართველოს დეოკუპაციამდე ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება არის არარეალური და ფიქტიური, პოლიტიკური თვალსაზრისით, საქართველოსათვის უაღრესად წამგებიანი ნაბიჯი.

თავიდანვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ოპონენტების ასეთი კატეგორიული მსჯელობა განცხადებაში ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშეა წარმოდგენილი. ამიტომ გაუგებარია, თუ რა ანგარიშგასაწევი გარემოებანი ჰქონდათ მათ მხედველობაში, როდესაც ოლქის გაუქმების არარეალურობისა და წამგებიანობის დასკვნამდე მივიდნენ. ვფიქრობთ, ამაზე პასუხს გასცემს ყველაზე უფრო პირუთვნელი მსაჯული – ისტორია, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ შეაფასებს, თუ რამდენად რეალური ან არარეალური, მომგებიანი ან წამგებიანი იყო საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესი ორგანოს ეს ნაბიჯი. მოდით, მას მივანდოთ ამ საკითხის განსჯა. მანამდე კი, ოპონენტებისაგან განსხვავებით, განვიხილოთ ის მოტივები, რომელთაც განაპირობეს უზენაესი საბჭოს მიერ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღება.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი რომ თავის დროზე უკანონოდ შეიქმნა და არსებობდა, ეს, ვფიქრობთ, კარგად უნდა იყოს ცნობილი როგორც ფართო საზოგადოებრიობისათვის, ისე ოპონენტებისათვისაც. ამიტომ ამ საკითხზე დაწვრილებით არ შევჩერდებით. თუკი ვინმეს მაინც გაუჩნდება სურვილი, კიდევ ერთხელ დარწმუნდეს ამ დებულების ჭეშმარიტებაში, მას შეუძლია, თვალი გადაავლოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მასალებს, რომლებშიც ისტორიული, სამართლებრივი და პოლიტიკური თვალსაზრისით, დამაჯერებლად არის დასაბუთებული ავტონომიური ოლქის შექმნისა და არსებობის უკანონობა.

სწორედ ამ უკანონოდ არსებულ ოლქში ბოლო დროს უკიდურესად გამწვავდა პოლიტიკური ვითარება. სეპარატისტულმა ძალებმა მოახდინეს ადგილობრივი ხელისუფლების უზურპაცია, გამოაცხადეს ე. წ. „საბჭოთა რესპუბლიკის“ შექმნა, ჩაატარეს ე. წ. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს უკანონო არჩევნები, ავტონომიური ოლქი ფაქტობრივად გავიდა საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქციიდან, რითაც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და უზენაესობას აშკარა საფრთხე შეექმნა. ამ პერიოდში ყოველი მხრიდან, მათ შორის დღევანდელი ოპონენტებისაგან, გაისმოდა მოწოდება, საქართველოს ხელისუფლებას გამოეჩინა სიმტკიცე, არ დაეშვა არც ერთ ავტონომიურ ოლქში უკანონო არჩევნების ჩატარება და მიეღო გადამჭრელი ზომები ოლქის თვითმარქვია ხელისუფლების ასალაგმავად.

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ ყოველ ღონეს მიმართა ძალის გამოყენების გარეშე ამ საკითხების მოსაგვარებლად, მაგრამ ე. წ. „კანონთა ომმა“ შედეგი არ გამოიღო. ასეთ პირობებში რესპუბლიკის ხელისუფლებამ გადადგა ერთადერთი სწორი ნაბიჯი, გააუქმა ავტონომიური ოლქი და ქ. ცხინვალისა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე შემოიღო საგანგებო წესები. ამჟამად ტარდება ზომები საოლქო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ლიკვიდაციის მიზნით. ჩვენმა სამინისტრომ გააუქმა ოლქის სასამართლო, იუსტიციის განყოფილება და შეუწყვიტა მათ დაფინანსება. ანალოგიური ღონისძიებანი განახორციელეს სხვა სამინისტროებმაც. საზოგადოება ამის შესახებ ინფორმირებულია. ასეთი გზით ავტონომიური ოლქის გაუქმება, ჩვენი აზრით, უფრო რეალურია, ვიდრე „სასიკვდილო შიმშილობით“ საქართველოს დეოკუპაციის მიღწევა. ის, ვინც ფიქრობს, რომ „სასიკვდილო შიმშილობის“ გამოცხადების გამო სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს ან პრეზიდენტს გული აუჩუყდებათ და საქართველოდან სასწრაფოდ გაიყვანენ საოკუპაციო ჯარებს, რბილად რომ ვთქვათ, მიამიტობაა. ამიტომ მომწიფებული საკითხების გადაჭრა დეოკუპაციის შემდეგ კი არ უნდა გადავდოთ, არამედ ახლავე უნდა ჩავუყაროთ საფუძველი მათ პრაქტიკულ რეალიზაციას.

საქართველოს ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ცენტრი ოლქის გაუქმებას დათანხმდება მხოლოდ ჩვენი მხრიდან სერიოზული დათმობების ფასად.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ ოლქის გაუქმებით აღადგინა სამართლიანობა, დაიცვა რესპუბლიკის შელახული კანონიერი ინტერესები, რისთვისაც „ფასის გადახდა“ და დათმობების გაღება უკანონოდ მოქმედ მხარეს უნდა დაეკისროს და არა დაზარალებულს. საქართველოს დასათმობი არაფერი აქვს და ამაზე არც არავის უფიქრია.

ახლა, რაც შეეხება საგანგებო წესების განხორციელებაში სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების გამოყენების საკითხს, ჩვენი აზრით, ოპონენტები საკითხს ხელოვნურად ამწვავებენ. საქმე ეხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ძალებთან ერთად სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების იმ ნაწილების გამოყენებას, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზეა დისლოცირებული. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დღეს ასეთი ჯარის სახეობა არ გააჩნია და, შესაბამისად, არც ძალა შესწევს (იარაღი, ტექნიკა და ა. შ.), დამოუკიდებლად განახორციელოს საგანგებო წესებით გათვალისწინებული ღონისძიებები. ამიტომ თვალი უნდა გავუსწოროთ რეალობას და გარდამავალი პერიოდის პრინციპებით ვიმოქმედოთ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო უახლოეს სესიაზე განიხილავს და გადაწყვეტს საქართველოს რესპუბლიკის საკუთარი შინაგანი ჯარების - ეროვნული გვარდიის შექმნის საკითხს. შესაბამისი ცვლილებები იქნება შეტანილი საგანგებო წესების შესახებ კანონში და სხვა ნორმატიულ აქტებში. მანამდე კი ვნებათა ღელვა დავიცხროთ და ობიექტურად შევაფასოთ მოვლენები.

ჯონი ხეცურიანი

საქართველოს რესპუბლიკის
იუსტიციის მინისტრი.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №12, 1990 წელი, 20 დეკემბერი.

აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მიერ მიღებული აქტების პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასებისათვის

საქართველოს განუყოფელ ნაწილში – აფხაზეთში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა უკიდურესად დაძაბულია, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება პარალიზებულია, ერთა შორის დაპირისპირება შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა, მიმდინარეობს საბრძოლო მოქმედებები, მსხვერპლთა რაოდენობა დღითი დღე იზრდება.

შექმნილი მდგომარეობისა და მისი გამომწვევი მიზეზების სწორი შეფასებისათვის აუცილებელია იმ სამართლებრივი აქტების ანალიზი, რომლებიც ბოლო წლებში მიიღეს აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესმა ორგანოებმა, რადგანაც ყველაზე უფრო ნათლად სწორედ სამართლებრივ აქტებში პოვებს ასახვას პოლიტიკა და ის მიზნები, რომლის მიღწევასაც ცდილობს სამართალშემოქმედი ამ პოლიტიკის გატარებით.

აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მიერ მიღებული აქტების პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასებისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ამ ორგანოთა კომპეტენცია, რომელიც, თავის მხრივ, უშუალოდ გამომდინარეობს აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის სტატუსიდან.

1978 წლის საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის პირველი მუხლის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკა სუვერენული დემოკრატიული სახელმწიფოა. მისი ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. ამავე კონსტიტუციის 71-ე, 79-ე და 82-ე მუხლების შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკა საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაშია. ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს რესპუბლიკის უფლებათა ფარგლებს გარეთ დამოუკიდებლად წყვეტს მის გამგებლობაში შემავალ საკითხებს. მას აქვს კონსტიტუცია, რომელიც შეესაბამება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას და ითვალისწინებს ავტონომიური რესპუბლიკის თავისებურებებს. საქართველოს რესპუბლიკის კანონები სავალდებულოა და ერთნაირი ძალა აქვთ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. იმ შემთხვევაში, თუ ავტონომიური რესპუბლიკის კანონი არ ეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის კანონს, მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კანონი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის თაობაზე ანალოგიური დებულებებია მოცემული 1978 წლის აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის კონსტიტუციაში.

მართალია, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 21 თებერვლის დეკლარაციით 1978 წლის საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია გაუქმდა და აღდგენილია 1921 წლის საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომლის 107-ე მუხლი საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილის - აფხაზეთის სტატუსს განიხილავს როგორც ავტონომიური მმართველობის სოხუმის ოლქს, მაგრამ ამავე დეკლარაციის პირველი მუხლის ძალით, 1921 წლის საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის უზენაესობის აღიარება და მისი ამოქმედება განხორციელდა დღევანდელი რეალობების გათვალისწინებით, საქართველოს რესპუბლიკის დღეს არსებული საზღვრებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის (აფხაზეთისა და აჭარის დღევანდელი სტატუსის) შეუცვლელად.

აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ბოლო წლებში რამდენჯერმე შეეცადა, ცალმხრივად შეეცვალა ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი. სახელდობრ, აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ 1990 წლის 25 აგვისტოს მიიღო დეკლარაცია „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ" და დადგენილება „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ". ამ დოკუმენტების მიხედვით, აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკა გამოცხადდა სუვერენულ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, რომლის სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობა საქართველოს სს რესპუბლიკასთან და სსრ კავშირთან აგებული უნდა ყოფილიყო სახელშეკრულებო პრინციპებზე, მიწის, წიაღისა და სხვა ბუნებრივი რესურსების ერთადერთ მესაკუთრედ მიჩნეულ იქნა აფხაზეთის რესპუბლიკის ხალხი, დადგენილ იქნა ტერიტორიული უზენაესობის პრინციპი, მხოლოდ აფხაზეთის სსრ და სსრ კავშირის მოქალაქეობა და სხვა.

საქართველოს სს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 26 აგვისტოს დადგენილებით, აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ მიღებული ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტები გამოცხადდა ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ, რადგან ისინი არ გამოხატავდნენ აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობის ნებას, არღვევდნენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას, ეწინააღმდეგებოდნენ მოქმედი კონსტიტუციის დებულებებს და მიღებული იყო სესიის ჩატარების წესების დარღვევით, ანტიდემოკრატიული მეთოდების გამოყენებით, დეპუტატთა მთელი კორპუსის აზრის გაუთვალისწინებლად.

აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ 1992 წლის 23 ივლისს მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, შეწყდა 1978 წლის აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის მოქმედება და აღდგენილ იქნა 1925 წლის აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია. საგულისხმოა, რომ ეს ე. ნ. კონსტიტუცია სრულიად აფხაზეთის საბჭოების მესამე ყრილობას არ მიუღია. ყრილობამ დაადგინა, რომ კონსტიტუციის პროექტი გადამუშავებულიყო და შეესატყვისებინათ საქართველოს სსრ და ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის კონსტიტუციებისათვის. კონსტიტუციის ტექსტი არ გამოქვეყნებულა.

იმის გამო, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო აფხაზეთის მოსახლეობის ნების გაუთვალისწინებლად, საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების გვერდის ავლით, თვით აფხაზეთის მოქმედი კონსტიტუციის 162-ე მუხლის დარღვევით, რომელიც კონსტიტუციური საკითხების გადაწყვეტისათვის ითვალისწინებს დეპუტატთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობას, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ ეს გადაწყვეტილება წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მცდელობას და ამდენად, ეწინააღმდეგება სუვერენული სახელმწიფოს საზღვრების ურღვევობის, ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებსა და პრინციპებს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ, 1992 წლის 25 ივლისის დადგენილებით, იურიდიული ძალის არმქონედ ცნო აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს ეს გადაწყვეტილება.

მაშასადამე, აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის სტატუსი, მიუხედავად ზემოაღნიშნული კონსტიტუციური ცვლილებებისა და აფხაზეთის ხელმძღვანელობის მცდელობისა, არ შეცვლილა. ამიტომ აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მიერ მიღებული აქტების პოლიტიკურ-სამართლებრივ შეფასებას საფუძვლად უნდა დაედოს ამ ორგანოების კომპეტენციის განმსაზღვრელი დებულებანი, რომლებიც გათვალისწინებულია 1978 წლის აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის კონსტიტუციითა და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის ამჟამად მოქმედი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო – უმაღლესი საბჭო მეტად რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში ჩამოყალიბდა. მას საფუძვლად დაედო თანამედროვე პარლამენტარიზმისათვის უჩვეულო საარჩევნო კანონი, „აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ" 1991 წლის 9 ივლისის კანონი აფხაზი ეროვნების წარმომადგენლებს, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის მხოლოდ 18 პროცენტს შეადგენენ, სხვა

ერებთან შედარებით საპარლამენტო უმრავლესობის გარანტიას აძლევდა – 28 ადგილს, ქართველებს – მოსახლეობის 46 პროცენტს - 26 ადგილს, ხოლო დანარჩენ ეროვნულ უმცირესობებს – 11 ადგილს.

საყურადღებოა, რომ ასეთი საარჩევნო კანონის მიღება არ იყო შემთხვევითი. მისი კონცეპტუალური საფუძველი ადრიდანვე მზადდებოდა. „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ" აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 25 აგვისტოს დეკლარაცია, მაგალითად, შეიცავდა ასეთ დებულებასაც: „აფხაზეთის სსრ უმაღლეს საბჭოში უზრუნველყოფილია იმ ერის ინსტიტუციური წარმომადგენლობა, რომელმაც სახელწოდება მისცა რესპუბლიკას". ეს კი იმას ნიშნავდა, რომ აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში უნდა უზრუნველყოფილიყო აფხაზი ეროვნების წარმომადგენელთა უმრავლესობა.

საარჩევნო კანონის ზემოაღნიშნული დებულება აშკარად ეწინააღმდეგება „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" (1948 წ.) მე-2, მე-7 და 21-ე მუხლების, „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტის (1966 წ.) მე-2, 25-ე და 26-ე მუხლების და სხვა საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რომლებიც ადგენენ კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის, ყველა უფლებისა და თავისუფლების თანაბრად ფლობის, საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე არჩევნებსა და სახელმწიფო მართვაში ადამიანის მონაწილეობის შესაძლებლობას, მიუხედავად მათი ეროვნული კუთვნილებისა და სხვა მდგომარეობისა.

ეროვნული ნიშნის მიხედვით ადამიანის პოლიტიკურ უფლებათა შეზღუდვის დაწესებამ, აშკარად დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩააყენა აფხაზეთში მცხოვრები ქართველები, რომლებიც მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენენ, აგრეთვე რუსები, სომხები, ბერძნები, სხვა ეროვნული უმცირესობანი და მან რასობრივი დისკრიმინაციის ფორმა მიიღო.

„რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ" 1966 წლის 7 მარტის საერთაშორისო კონვენციის პირველი მუხლი „რასობრივ დისკრიმინაციად" მიიჩნევს ნებისმიერ განსხვავებას, გამონაკლისს, შეზღუდვას ან უპირატესობას რასის, კანის ფერის, წარმოშობის, ეროვნული ან ეთნიკური ნიშნის მიხედვით, რომლის მიზანია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ ან საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში თანასწორობის საფუძველზე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარების, გამოყენებისა და განხორციელების გაუქმება ან შელახვა.

ამავე კონვენციის მე-2 მუხლის „გ" პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, აღკვეთოს რასობრივი დისკრიმინაციის გამოვლინების ყველა ფორმა და უზრუნველყოს კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობა.

ასეთი საარჩევნო კანონის საფუძველზე ჩამოყალიბებული ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რა თქმა უნდა, ვერ იქნებოდა აფხაზეთში მცხოვრები ყველა ერის, მთელი საზოგადოების ნებისა და ინტერესების გამომხატველი და სარფთხეს ქმნიდა ისედაც დაძაბული ერთაშორისი ურთიერთობების შემდგომი გამწვავებისა და კონფლიქტში გადაზრდისათვის. თუმცა არსებობდა სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც პოლიტიკური კომპრომისების შედეგად შეიქმნა და რომელსაც უნდა შეეკავებინა „აფხაზი უმცირესობის – საპარლამენტო უმრავლესობის" თვითნებობა ავტონომიური რესპუბლიკისათვის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო-სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტისას. კერძოდ, აფხაზეთის ასსრ უმაღლესმა საბჭომ 1991 წლის 27 აგვისტოს მიიღო კანონები „აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მიერ ორგანოებისა და თანამდებობის პირების არჩევისა და დანიშვნის წესის შესახებ", „აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებების შეტანის შესახებ", „აფხაზეთის ასსრ საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის (რეფერენდუმის) შესახებ აფხაზეთის ასსრ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე", რომელთა თანახმად, აფხაზეთის ასსრ სამართლებრივი სტატუსის საკითხებზე კანონებისა და სხვა აქტების მიღება, აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში ცვლილებებთან დაკავშირებულ საკითხებზე რეფერენდუმის ჩატარების და უმაღლესი თანამდებობის პირების და ორგანოების არჩევის თუ დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება უნდა განხორციელებულიყო აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ორი მესამედი ხმების უმრავლესობით.

აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევის შემდეგ მოვლენების განვითარებამ დაადასტურა, რომ ეს სამართლებრივი მექანიზმი სრულიად არაეფექტიანი და სიცოცხლისუუნარო აღმოჩნდა. ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა არ მოერიდა საკუთარი კონსტიტუციის დარღვევას, ფეხქვეშ გათელა პოლიტიკური კომპრომისების შედეგად შექმნილი კანონები და სეპარატისტული მიზნების განსახორციელებლად მიმართა რასობრივი დისკრიმინაციის უკიდურეს ფორმას – აპარტეიდის პოლიტიკის გატარებას.

აპარტეიდის დანაშაულის აღკვეთის შესახებ 1973 წლის კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, „აპარტეიდად" მიჩნეულია პოლიტიკა და პრაქტიკა, მათ შორის საკანონმდებლო ხასიათის ზომები, რომლის მიზანია, ერთი რასობრივი ჯგუფის სხვა რასობრივ ჯგუფზე ბატონობის დამყარება და შენარჩუნება. ამავე კონვენციის მიხედვით, აპარტეიდი განიხი-

ლება როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რომელიც არღვევს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს და სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას.

ასეთი შეფასებისათვის საკმაო საფუძველი არსებობს. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ბატონ ვ. არძინბას არჩევის შემდეგ, რომელსაც პოლიტიკური შეთანხმების საფუძველზე ქართველი დეპუტატების მთელმა შემადგენლობამ დაუჭირა მხარი, მის მიერ სეპარატისტული პოლიტიკის გატარებამ და ანტიკონსტიტუციურმა მოქმედებებმა ქართველი დეპუტატები და ეროვნული უმცირესობის დეპუტატთა ნაწილი აიძულა, დაეტოვებინა პარლამენტი. ამის შედეგად, ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო – უმაღლესი საბჭო და მისი პრეზიდიუმი ფაქტობრივად მონოეთნიკური გახდა და დღემდე განაგრძობს ფუნქციონირებას.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს 1992 წლის 31 მარტისა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1992 წლის 30 აპრილის დადგენილებით, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოცხადდა მოქალაქეთა განვეევა ნამდვილ სამხედრო სამსახურში – აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში იმ განრიგის მიხედვით, რომელიც დაამტკიცა ე. წ. სამხედრო ნაწილების საქმიანობის კოორდინაციის დროებითი საბჭოს თავმჯდომარემ – ბატონმა ვ. არძინბამ. საყურადღებოა, რომ საკოორდინაციო საბჭოს თორმეტი წევრიდან მხოლოდ ერთია ქართველი. ამ განვეევის შედეგად ჩამოყალიბდა მონოეთნიკური შინაგანი ჯარის ნაწილები, რომლებიც მხოლოდ აფხაზი ეროვნების წარმომადგენლებისაგან იყო დაკომპლექტებული და უშუალოდ დაექვემდებარა საბჭოს თავმჯდომარეს.

აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების ზემოაღნიშნული დადგენილებები მიღებულია მათი უფლებამოსილების აშკარა გადამეტებით და ეწინააღმდეგება აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციას, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 29 იანვრის დადგენილებით დამტკიცებულ დებულებას შინაგან ჯარებში მოქალაქეთა განვეევის წესის შესახებ, რომლის თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკის გამგებლობაში არ შედის საჯარისო ფორმირებების შექმნის, მისი ხელმძღვანელობისა და სამხედრო სამსახურში მოქალაქეთა განვეევის საკითხების გადაწყვეტა.

„აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მიერ ორგანოებისა და თანამდებობის პირების არჩევისა და დანიშვნის წესის შესახებ" აფხაზეთის ასსრ 1991 წლის 27 აგვისტოს კანონის უხეში დარღვევით განხორციელდა აღმასრულებელ ხელისუფლებაში საკადრო ცვლილებები. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით მონოეთნიკური პარლამენტის მიერ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ

დაინიშნა მათთვის სასურველი და ქართველი დეპუტატებისათვის მიუღებელი პიროვნება. აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, ფიზიკური ძალის გამოყენებით, უკანონოდ გაათავისუფლეს თანამდებობიდან და ამ პოსტზე დანიშნეს აფხაზი ეროვნების წარმომადგენელი.

აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა აფხაზეთის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ უკანონოდ გამოცხადებული დეკლარაციის საფუძველზე, მეთოდურად მიმართავდა საკანონმდებლო და ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებებს, რომელთა საბოლოო მიზანი იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის საქართველოს შემადგენლობიდან გასვლა.

ამ მიზნის განსახორციელებლად, აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 103-ე მუხლის დარღვევით, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, რომლის წევრთა უმრავლესობას აფხაზები წარმოადგენდნენ, მიიღო მთელი წყება საკანონმდებლო აქტებისა ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და სახელმწიფო მმართველობის საკითხებზე. აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 103-ე მუხლი, რომელიც ამომწურავად განსაზღვრავს პრეზიდიუმის ფუნქციებს, არ ითვალისწინებს ამ ორგანოს მიერ ნორმატიული ხასიათის სამართლებრივი აქტების მიღებას. მიუხედავად ამისა, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ფაქტობრივად საკანონმდებლო ორგანოდ გადააქციეს.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამართალშემოქმედებითი საქმიანობიდან, უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც არა მარტო მიღებულია აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის დარღვევით, არამედ თავისი შინაარსით აშკარად ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის მოქმედ კანონმდებლობას და ხელყოფს საქართველოს სუვერენულ უფლებებს:

– პრეზიდიუმის 1991 წლის 30 აგვისტოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ", „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ" და „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონების თაობაზე.

ამ დადგენილებით, საქართველოს რესპუბლიკის მითითებული კანონები გამოცხადებულია იურიდიული ძალის არმქონედ აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე;

– პრეზიდიუმის 1991 წლის 27 სექტემბრის დადგენილება „აფხაზეთის სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლების უზრუნველყოფის შესახებ", რომლის თანახმად, მინისტრთა საბჭოს დაევალა აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების აფხა-

ზეთის ასსრ სახელმწიფო მმართველობის ორგანოების იურისდიქციაში გადაცემისა და გამგებლობაში მიღების უზრუნველყოფა;

– პრეზიდიუმის 1991 წლის 27 სექტემბრის დადგენილება „აფხაზეთის რესპუბლიკის საბაჟო სამსახურის შექმნის შესახებ“;

– პრეზიდიუმის 1991 წლის 29 დეკემბრის დადგენილება „აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული სამხედრო და მილიციის ნაწილების დაქვემდებარებისა და მათი საქმიანობის კოორდინაციისათვის აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან დროებითი საბჭოს შექმნის შესახებ“;

– პრეზიდიუმის 1992 წლის 24 იანვრის დადგენილება „რესპუბლიკის პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების აფხაზეთის იურისდიქციაში გადასვლის შესახებ“;

– პრეზიდიუმის 1992 წლის 18 თებერვლის დადგენილება „აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქალაქეთა ჩაწერის დროებით აკრძალვის შესახებ“, რომლის თანახმად, მოქალაქეობის შესახებ აფხაზეთის კანონის მიღებამდე, აფხაზეთის ტერიტორიაზე აიკრძალა აფხაზეთის ფარგლებს გარედან შემოსული მოქალაქეების ყოველგვარი სახის ჩაწერა. განსაკუთრებულ შემთხვევებში მოქალაქეთა ჩაწერის ნებართვის გაცემის უფლება მიეცა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს;

– პრეზიდიუმის 1992 წლის 17 მარტის დადგენილება „აფხაზეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ხელმძღვანელი კადრების დანიშვნის წესის შესახებ“, რომლის შესაბამისად, აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, მოადგილეები, რაიონებისა და ქალაქების შინაგან საქმეთა განყოფილებების (სამმართველოს), ტრანსპორტის შინაგან საქმეთა ორგანოების უფროსები თანამდებობაზე ინიშნებიან აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან შეთანხმებით.

ასევე კანონსაწინააღმდეგოა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის ანტიკონსტიტუციური სამართლებრივი აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებები, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტები იმ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტა არ შედის ავტონომიური რესპუბლიკის გამგებლობაში. ასეთია მაგალითად, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1992 წლის 23 აპრილის დადგენილება „სამსახურებრივ საქმეებზე აფხაზეთის რესპუბლიკიდან საზღვარგარეთ მოქალაქეთა გასვლის წესის შესახებ“, 1992 წლის 24 აპრილის დადგენილება „აფხაზეთის რესპუბლიკის საბაჟო საზღვარზე მოქალაქეთა გადასვლის დროებითი წესების შესახებ“ და სხვა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები საქართველოს სუვერენიტეტის დაცვისა და

ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საკანონმდებლო რეგულირების ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით, აუქმებდნენ, აჩერებდნენ ან იურიდიული ძალის არმქონედ აცხადებდნენ აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის კანონსაწინააღმდეგო სამართლებრივ აქტებს. ამასთანავე, ღებულობდნენ ზომებს აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის სტატუსთან, საქართველოს რესპუბლიკასა და მასში შემავალ ავტონომიებს შორის კომპეტენციების გამიჯვნასთან დაკავშირებული საკითხების მოლაპარაკების გზით გადასაჭრელად.

მიუხედავად ამისა, სეპარატისტული იდეებით შეპყრობილი აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა კვლავ განაგრძობდა ანტიკონსტიტუციური სამართლებრივი აქტების მიღებას, რომლის უკანასკნელი გამოვლინება იყო მიმდინარე წლის 23 ივლისს 1925 წლის აფხაზეთის სსრ კონსტიტუციის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის ხელისუფალთა უკანონო, ანტიკონსტიტუციურმა მოქმედებებმა, მათ მიერ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების უხეშმა დარღვევამ, რასობრივი დისკრიმინაციისა და აპარტეიდის პოლიტიკის გატარებამ, საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის შეზღუდვისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მცდელობამ უკიდურესად დაძაბა ამ რეგიონში ერთაშორისი ურთიერთობები, მოშალა სახელმწიფო მმართველობის მექანიზმი და ხელისუფლების პარალიზება გამოიწვია. შეიქმნა უაღრესად მძიმე კრიმინოგენური ვითარება.

განსაკუთრებული საფრთხე შეექმნა ქვეყნისათვის საარსებო მნიშვნელობის არტერიას – რკინიგზის ტრანსპორტს, რომელზეც ბოლო დრომდე გრძელდება შეიარაღებული თავდასხმები, გახშირდა სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირების, აფეთქებისა და დაზიანების, რკინიგზის მოძრავი შემადგენლობისა და ტვირთის ხელში ჩაგდების, გატაცების, მგზავრთა გაძარცვის, ტრანსპორტის მუშაკთა სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევები.

რკინიგზის ტრანსპორტზე უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფის, ვითარების უსწრაფესი ნორმალიზების მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ მიმდინარე წლის 11 აგვისტოს საგანგებო წესები შემოიღო რკინიგზაზე და მისი განხორციელება დაავალა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიარაღებულ ძალებს. დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაადგილება „სახელმწიფო სუვერენიტეტგამოცხადებულმა" აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ „აგრესიად" და „ოკუპაციად" მიიჩნია და მონოეთნიკური შინაგანი ჯარების მეშ-

ვეობით შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილებულ სამხედრო ძალებს.

კანონთა ომი შეიარაღებულ ეთნოკონფლიქტში გადაიზარდა.

აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ნაცვლად იმისა, რომ შეეჩერებინა უაზრო სისხლისღვრა და თავიდან აეცილებინა საომარი მოქმედების შემდგომი ესკალაცია, სამხედრო დახმარებისათვის მიმართა ე. წ. კავკასიის მთიელი ხალხების კონფედერაციას, რომელმაც, თავის მხრივ, არ დააყოვნა და საქართველოს ტერიტორიაზე შემოგზავნა ტერორისტული შეიარაღებული რაზმები, საქართველოს დედაქალაქი კი გამოაცხადა უბედურების ზონად.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციის იუსტიციის მინისტრის 1992 წლის 25 აგვისტოს განცხადებით, კავკასიის მთიელი ხალხების კონფედერაცია მიჩნეულია ანტიკონსტიტუციურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაერთიანებად, რომლის ტერორისტული საქმიანობა კანონგარეშე აყენებდა მას.

აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მიერ მიღებული აქტების პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება საფუძველს იძლევა, გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების უხეში დარღვევით, რასობრივი დისკრიმინაციისა და აპარტეიდის პოლიტიკის გატარებით, მოახდინა ხელისუფლების უზურპაცია და დაამყარა მონოეთნიკური დიქტატურა, რომელიც აფხაზეთში მცხოვრები ყველა ერის, მთელი ხალხის ნების გაუთვალისწინებლად, საქართველოსადმი მტრულად განწყობილი გარეშე ძალების დახმარებით, ახორციელებს საკანონმდებლო და ორგანიზაციულ საქმიანობას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისა და საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფის მიზნით.

საქართველოს რესპუბლიკა, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფო, რომელიც აღიარებს საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით გათვალისწინებულ ადამიანის უფლებების დაცვის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობისა და საზღვრების ურღვევობის პრინციპებს, ამავე დოკუმენტების ძალით, ვალდებულია, მიიღოს საკანონმდებლო, სასამართლო და ადმინისტრაციული ზომები მის იურისდიქციაში არსებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა შელახვის, რასობრივი დისკრიმინაციისა და აპარტეიდის გამოვლინების ყველა ფორმის აღსაკვეთად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დასაცავად.

ამ საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების შესასრულებლად საჭიროა:

– იურიდიული ძალის არმქონედ და ბათილად გამოცხადდეს „აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების შესახებ“ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს 1991 წლის 9 ივლისის კანონი;

– დათხოვნილ იქნეს დისკრიმინაციული საარჩევნო კანონის საფუძველზე ჩამოყალიბებული, ამჟამად ფორმალურად მოქმედი აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო;

– იურიდიული ძალის არმქონედ და ბათილად გამოცხადდეს აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მიერ მიღებული უკანონო სამართლებრივი აქტები;

– აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოში შემუშავდეს დეპუტატთა არჩევნების ახალი კანონი საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე. შესაძლებლად მოკლე ვადაში მოეწყოს ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნები ამ კანონის შესაბამისად;

– კანონგარეშე და დაშლილად გამოცხადდეს აფხაზეთის ასსრ მონოეთნიკური შინაგანი ჯარები. აფხაზეთის ტერიტორიაზე, ისევე როგორც მთელ საქართველოში, მოქალაქეთა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა და შეიარაღებული ძალების ფორმირება განხორციელდეს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის ზუსტი დაცვით;

– საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა უზრუნველყოს რკინიგზაზე საგანგებო წესებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულება, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა;

– დაუყოვნებლივ შეწყდეს ცეცხლი და საბრძოლო მოქმედება. ორივე მხარის წარმომადგენელთა მონაწილეობით შეიქმნას კომისია საქართველოს რესპუბლიკასა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის კომპეტენციათა გამიჯვნის საკითხების შესამუშავებლად, რომლის შედეგებიც გათვალისწინებული იქნება საქართველოს რესპუბლიკის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მომავალ კონსტიტუციებში.

ჯონი ხეცურიანი

საქართველოს რესპუბლიკის
იუსტიციის მინისტრი.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №166, 1992 წელი, 1 სექტემბერი.
Газета "Свободная Грузия", № 110, 1 сентября 1992 года.

დავიცვათ კანონი

გადაწყვეტილება საქართველოს „СНГ"-ში შესვლის თაობაზე უკანონოა – ამბობს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის პოლიტიკური მდივანი ჯონი ხეცურიანი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურმა და მინისტრთა კაბინეტმა მიიღეს გადაწყვეტილება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში – "СНГ"-ში საქართველოს შესვლის თაობაზე. ამჟამად ხორციელდება ღონისძიებები, რათა პარლამენტმა დაადასტუროს აღმასრულებელი ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება.

საქართველოს "СНГ"-ში გაწევრიანება, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური საკითხია. გამოითქვა მოსაზრებები როგორც საქართველოს „СНГ"-ში შესვლის სასარგებლოდ, ისე მის საწინააღმდეგოდ. პოლიტიკურად რომელი გადაწყვეტილებაა სწორი, ამას ისტორია გვეტყვის.

ამასთანავე, არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ საკითხის სამართლებრივი მხარე. სახელმწიფოს მეთაურის, მინისტრთა კაბინეტისა თუ პარლამენტის პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა ზუსტი დაცვით. სხვაგვარად, ასეთი გადაწყვეტილება კანონსაწინააღმდეგო და იურიდიული ძალის არმქონე იქნება.

საქართველოს "СНГ"-ში გაწევრიანების საკითხი ფაქტობრივად საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის საკითხია, რადგანაც ამ კავშირში შესვლის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად იზღუდება რესპუბლიკის სუვერენული უფლებები და, შესაბამისად, იცვლება მისი სამართლებრივი მდგომარეობა. სახელდობრ, "СНГ"-ს წესდების მეოთხე მუხლის თანახმად, თანამეგობრობის წევრი სახელმწიფო დამოუკიდებლად ვერ განახორციელებს საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობას, ეკონომიკურ, სოციალურ, მიგრაციულ პოლიტიკას, სამხედრო მშენებლობასა და საზღვრების დაცვას. ამავე წესდების მე-10 მუხლის ძალით, "СНГ"-ს ორგანოების გადაწყვეტილებების სისტემატური შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებულია სანქციები ზემოქმედების საერთაშორისო სამართლებრივი ღონისძიებების სახით.

როგორც ცნობილია, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად, რომელშიც მონაწილეობდა საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა 90 პროცენტი, საქართველოს დამოუკიდებლობას მხარი დაუჭირა რეფერენდუმში მონაწილეთა 99 პროცენტმა. ამრიგად,

საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე საქართველოს მოსახლეობამ საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით უკვე გამოთქვა თავისი აზრი და არჩევანიც გააკეთა.

„რეფერენდუმის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 20 იანვრის კანონის 27-ე მუხლის თანახმად, რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ან გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის არც ერთ ორგანოსა თუ თანამდებობის პირს არა აქვს უფლება, მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც შეცვლის ან გააუქმებს რეფერენდუმის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურისა და მინისტრთა კაბინეტის, აგრეთვე პარლამენტის შესაძლო დადებითი გადაწყვეტილება საქართველოს "СНГ"-ში შესვლის თაობაზე უკანონოა, იურიდიული ძალის არმქონეა და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს.

ჯონი ხეცურიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოცენტი, სახელმწიფო საკონსტიტუციო
კომისიის წევრი, ქართველ ტრადიციონალისტთა
კავშირის პოლიტიკური მდივანი.

გაზეთები: „ქართველი ერი", №27, 1993 წელი, 3 ნოემბერი;
„ახალი თაობა", №12-13, 1993 წელი, 29 ოქტომბერი;
„სარანგი", №14, 1993 წელი, 3 ნოემბერი.

დავიცვათ საქართველოს სუვერენიტეტი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილებით, დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში წესრიგის დასამყარებლად შემოიყვანეს და გამოიყენეს რუსეთის შეიარაღებული ძალების ნაწილები. ამ ფაქტის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთი მაღალი რანგის თანამდებობის პირი საჯაროდ გამოთქვამს მოსაზრებას ქვეყანაში შექმნილი მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის დასაძლევად და წესრიგის დასამყარებლად უცხო ქვეყნის, სახელდობრ, რუსეთის შეიარაღებული ძალების მოწვევისა და ამჯერად მათი ფართო მასშტაბით გამოყენების აუცილებლობის შესახებ.

„სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ" კანონი და კანონი „საგანგებო წესების შესახებ", რომლებიც განსაზღვრავენ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების, მათ შორის სახელმწიფოს მეთაურის კომპეტენციას, როგორც ნორმალური ისე საგანგებო მდგომარეობის დროს, არ ითვალისწინებენ რესპუბლიკის საშინაო პრობლემების მოსაგვარებლად უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების გამოყენების შესაძლებლობას. პირიქით, „საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის შესახებ" 1992 წლის 22 დეკემბრის კანონის მე-2 მუხლის „ბ" პუნქტის თანახმად, საქართველო თავის დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს მთელ თავის მინა-წყალზე იცავს მხოლოდ საკუთარი ძალებით.

რესპუბლიკის საშინაო პრობლემების გადასაწყვეტად უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების გამოყენების შესაძლებლობა არც საქართველოს რომელიმე საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს. კერძოდ, საქართველოსა და რუსეთს შორის ჯერჯერობით არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომელიც სამართლებრივ საფუძველს მისცემდა რუსეთის შეიარაღებული ძალების მოქმედებას საქართველოში წესრიგის დასამყარებლად, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს კი – ამ ძალების გამოყენების უფლებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილება, საქართველოში წესრიგის უზრუნველსაყოფად რუსეთის შეიარაღებული ძალების მოწვევისა და

გამოყენების შესახებ, ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, უკანონოა და ხელყოფს საქართველოს სუვერენულ უფლებებს.

ჯონი ხეცურიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოცენტი, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის
წევრი, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის პოლიტიკური მდივანი.

გაზეთები: „ქართველი ერი", №1, 1994 წელი, 15 იანვარი;
„ახალი თაობა", №3, 1994 წელი, 26 იანვარი.

თანამეგობრობა რუსულად

საქართველოს სეპარატისტული რეგიონების ხელმძღვანელებმა, რომლებიც წლების მანძილზე თითქოს თავიანთი თვითგამოცხადებული რესპუბლიკების დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ, ბოლო პერიოდში ჩვენს ჩრდილოელ მეზობელ სახელმწიფოს არაერთხელ მიმართეს განცხადებით, რომელშიც აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ახალ სუბიექტებად მიღებას სთავაზობენ. რუსეთის პოლიტიკურ წრეებში ეს წინადადებები უყურადღებოდ არ დარჩენილა. სხვა ერების ისტორიული ტერიტორიების შემოერთების ინსტინქტმა და საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად განცდილი დანაკლისის შევსების წადილმა ზოგიერთ რუს პოლიტიკოსს ელემენტარული წინდახედულობის ნორმები დაავიწყა და დაუფარავად, ოფიციალურადაც კი, შეუდგა ამ „საქმის მოგვარებას". მაგალითად, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის თანამეგობრობის საქმეთა და თანამემამულეებთან კავშირების კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ა. კოკოშინმა გასული წლის 22 ივლისს შეკითხვით მიმართა რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს რუსეთის ფედერაციაში ახალი სუბიექტის უფლებით სამხრეთ ოსეთის შესაძლო მიღების სამართლებრივი ასპექტების თაობაზე.

როგორც ვხედავთ, თანამეგობრობის საქმეებით დაკავებული ა. ა. კოკოშინი მთლად მეგობრულად არ უნდა იყოს განწყობილი ჩვენი ქვეყნის მიმართ და თვალი უჭირავს საქართველოს ტერიტორიებზე. საამისოდ იგი სამართლებრივ საფუძვლებსაც კი ეძებს. თუ რუსეთის იმპერია, არცთუ ისე შორეულ წარსულში, ასეთ საქმეებს ყოველგვარი სამართლებრივი ასპექტების გარკვევის გარეშე ახერხებდა შეიარაღებული აგრესიის, ოკუპაციისა და ანექსიის გზით, ახლა XXI საუკუნეა, ცივილიზებული ქვეყნები სამართლის უზენაესობის პრინციპით ცხოვრობენ და, ბუნებრივია, ჩვენი „მეგობრებიც" ეპოქის შესაბამისად მოქმედებენ, ოღონდ მიზანი იგივეა - რაც შეიძლება მეტი ტერიტორიების შემოერთება. თითქოს თავიანთ ქვეყანაში ვერ ეტეოდნენ და „სასიცოცხლო სივრცის" ნაკლებობას განიცდიდნენ.

რადგანაც საქმე სამართლებრივ ასპექტებზე მიდგა, ჩვენი აზრით, საჭიროა, ამ საკითხს ნათელი მოეფინოს. ამისათვის კი, სულ ცოტა, სამ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი:

პირველი. როგორია რუსეთის კანონმდებლობა რუსეთის ფედერაციაში ახალი სუბიექტების მიღების შესახებ;

მეორე. როგორია საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფოს ტერიტორიების გასხვისების შესაძლებლობის შესახებ;

მესამე. როგორ აწესრიგებს ამ საკითხს საერთაშორისო სამართალი.

პირველ კითხვაზე პასუხის გაცემაში ა. ა. კოკოშინის სახელზე რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მომზადებული დოკუმენტი დაგვეხმარება, რომელიც, ჩვენი აზრით, პროფესიული კეთილსინდისიერებით არის შედგენილი.

„რუსეთის ფედერაციაში ახალი სუბიექტების მიღების და მის შემადგენლობაში ახალი სუბიექტების შექმნის წესის შესახებ" რუსეთის ფედერაციის 2001 წლის 17 დეკემბრის კონსტიტუციური კანონის მიხედვით, უცხო სახელმწიფოს ან მისი ნაწილის რუსეთის ფედერაციის ახალ წევრად მიღებისათვის აუცილებელია:

1. რუსეთის ფედერაციაში ახალ სუბიექტად უცხო სახელმწიფოს ან მისი ნაწილის მიღების ინიციატივა უნდა მოდიოდეს უცხო სახელმწიფოსაგან. ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც უცხო სახელმწიფოს ნაწილი გამოთქვამს სურვილს რუსეთის ფედერაციაში შესვლაზე.

2. რუსეთის ფედერაციამ თანხმობა უნდა განაცხადოს უცხო სახელმწიფოს ამ წინადადებაზე.

3. რუსეთის ფედერაციისა და უცხო სახელმწიფოს შორის ურთიერთთანხმობა უნდა გაფორმდეს საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისი) ხელშეკრულების დადებით ამ სახელმწიფოს ან მისი ნაწილის რუსეთის ფედერაციაში ახალ სუბიექტად მიღების შესახებ.

მაშასადამე, რუსეთის ფედერაციის ზემოაღნიშნული კანონის მიხედვით, უცხო სახელმწიფოს ნაწილი არ წარმოადგენს სათანადო სუბიექტს, რომლის მიმართვის შემთხვევაში, შესაძლებელია დაიწყოს რუსეთის ფედერაციაში მისი ახალ სუბიექტად მიღების პროცედურა. საამისოდ საჭიროა, რუსეთის ფედერაციას ამ წინადადებით მიმართოს უცხო სახელმწიფომ, რომლის ნაწილიც სურვილს გამოთქვამს რუსეთის ფედერაციაში შესვლაზე.

ისტორიულად და სამართლებრივად აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილებია. საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით, ე.ი. აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების ჩათვლით. ამასთანავე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობის (მათ შორის რუსეთის) და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

საქართველომ რუსეთის ბოლო აგრესიის, ოკუპაციისა და ანექსიის (1921წ.) შედეგად დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა რეფერენდუმის საფუძველზე, რომელიც 1991 წლის 31 მარტს ჩატარდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. საარჩევნო უფლების მქონე მოსახლეობის, მათ შორის ამ რეგიონებში

მცხოვრებთა უმრავლესობამ, რეფერენდუმში მხარი დაუჭირა საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. ამის შედეგად, საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიიღეს იმ საზღვრებში იმ ტერიტორიული მდგომარეობით, რომელიც მას გააჩნდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისას, ე.ი. აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიების ჩათვლით.

აქედან გამომდინარე, საქართველოს სეპარატისტული რეგიონების - აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილების, დე-ფაქტო ხელისუფალთა მიმართვას რუსეთის ფედერაციაში ახალ სუბიექტებად მიღების შესახებ, არავითარი იურიდიული მნიშვნელობა არ გააჩნია თვით რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით და, რა თქმა უნდა, არ შეიძლება გახდეს რუსეთის ფედერაციაში ახალი სუბიექტების მიღების პროცედურების დაწყების საფუძველი. იგივეა ნათქვამი რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს დოკუმენტშიც: „სამხრეთ ოსეთი - საქართველოს ნაწილია. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი მოხსენიებულია საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლის პირველ პუნქტში, აგრეთვე იმ ფაქტიდან, რომ საქართველოს კონსტიტუციის თანახმად „საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით" (მე-2 მუხლის პირველი პუნქტი), ე.ი. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჩათვლით. სამხრეთ ოსეთი საქართველოს კონსტიტუციურად აღიარებული ნაწილი იყო მაშინაც, როდესაც საქართველო შედიოდა წინამორბედი სახელმწიფოს - სსრ კავშირის შემადგენლობაში, რაც დაფიქსირებული იყო სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის 25-ე მუხლში და სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის 87-ე მუხლში.

ამრიგად, სამხრეთ ოსეთი, მიუხედავად იმისა, რომ მას გააჩნია დამოუკიდებლობის ზოგიერთი ატრიბუტი, დე-იურე საქართველოს ნაწილს წარმოადგენს, რაც არაერთხელ დაუდასტურებია რუსულ მხარეს ოფიციალური განცხადებებით. ამის შესაბამისად, რუსეთის ფედერაციაში მის მიღებასთან დაკავშირებული საკითხები, როგორც ამას მოითხოვს ფედერალური კონსტიტუციური კანონი, უნდა გადაწყდეს საქართველოსთან და მხოლოდ მისი ინიციატივით".

რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ეს დოკუმენტი, რომელიც სახელმწიფო სათათბიროს გაეგზავნა, იმდენად არასასურველი აღმოჩნდა ადრესატისათვის, რომ იგი დაუყოვნებლივ გაასაიდუმლოეს და „სამსახურეობრივი საჭიროებისათვის" გრიფით აღჭურვეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის ფედერაციაში ახალი სუბიექტის მიღება უცხო სახელმწიფოს ინიციატივაზეა დამოკიდებული, ე.ი. საქართველოს სეპარატისტული რეგიონების ლიდერთა ოცნება რომ ახდეს, ამისათვის ე.წ. სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბ-

ლიკის რუსეთის ფედერაციაში შესვლის საკითხი თავად საქართველომ უნდა დააყენოს. ასეთია რუსეთის ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნა. მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით, უწინარეს ყოვლისა, გასარკვევია, საერთოდ გააჩნია თუ არა ასეთი უფლებამოსილება საქართველოს ხელისუფლებას.

საქართველოს ხელისუფლების მიერ ამ საკითხის აღძვრა საქართველოს ტერიტორიების რუსეთისათვის გადაცემის შეთავაზებას ნიშნავს. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად კი, „საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია" (მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი). ეს არ არის დეკლარაციული ნორმა, იგი უზრუნველყოფილია სისხლისსამართლებრივი სანქციებით და მისი დარღვევა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულადაა აღიარებული. სახელდობრ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, მოქმედება, მიმართული უცხო ქვეყნისათვის საქართველოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის გადაცემისაკენ, სახელმწიფოს ღალატად ითვლება და მკაცრად ისჯება (307-ე და 308-ე მუხლები). უფრო მეტიც, რადგანაც საქართველოს ტერიტორიის გასხვისება ანტიკონსტიტუციური მოქმედებაა, რომელიც ზღუდავს საქართველოს სუვერენიტეტსა და სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი სახელმწიფოს ღალატად მიიჩნევს ამ მიზნით უცხო ქვეყანასთან, უცხოეთის ორგანიზაციასთან ან მათ წარმომადგენელთან ანტიკონსტიტუციური მოლაპარაკების წარმოებასაც კი (307-ე და 309-ე მუხლები).

როგორც ვხედავთ, საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება არა მხოლოდ ანტიკონსტიტუციური მოქმედებაა, არამედ ამ მიზნით რაიმე სახის მცდელობაც კი სახელმწიფოს ღალატად ითვლება.

ამდენად, საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლებას არანაირი უფლებამოსილება არ გააჩნია, ინიციატივა გამოიჩინოს საკუთარი ქვეყნის ტერიტორიის უცხო სახელმწიფოსათვის გადასაცემად.

ამ სამართლებრივმა სინამდვილემ, როგორც ჩანს, ა.კოკოშინს ხელი ააღებინა განზრახვაზე. ყოველ შემთხვევაში, მის შემდგომ მოქმედებებზე აღარაფერი გვსმენია. სამაგიეროდ, გამოჩნდნენ სხვა რუსი პოლიტიკოსები, სახელდობრ, სახელმწიფო დუმის ფრაქცია „როდინას" დეპუტატთა ჯგუფი (დ. როგოზინი, ნ. ნაროჩნიცკაია, ა. საველიევი), რომელთათვისაც სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა ასეთი სამართლებრივი წესრიგი და გადაწყვიტეს მისი შეცვლა. დეპუტატთა ამ ჯგუფმა სასწრაფოდ მოამზადა „რუსეთის ფედერაციაში ახალი სუბიექტების მიღების და მის შემადგენლობაში ახალი სუბიექტების შექმნის წესის შესახებ" რუსეთის ფედერალურ კონსტიტუციურ კანონში ცვლილებების პროექტი და 2004 წლის 9 დეკემბერს სახელმწიფო დუმაში წარადგინა.

საკანონმდებლო ინიციატივის ავტორები ხელისუფლებას სთავაზობენ რუსეთის ფედერაციაში ახალი სუბიექტების მიღების გამარტივებულ პროცედურას ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების იმ ავტონომიებისათვის, რომელთა საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსი ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის. კანონპროექტის მიხედვით, გამარტივებული პროცედურის არსი მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთის ფედერაციაში ახალ სუბიექტებად ზემოაღნიშნული ავტონომიების მიღება შესაძლებელია, თუ ავტონომიის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი, რეფერენდუმის გზით, გამოავლენს რუსეთის ფედერაციაში შესვლის ნებასურვილს. რა თქმა უნდა, იმ სახელმწიფოს, რომლის შემადგენლობაშიც ეს ავტონომია შედის, არაფერს ეკითხებიან, ამიტომ მასთან სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების გაფორმებაც საჭირო აღარ იქნება. ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ავტონომიების (ე.ი. ამჟამად უცხო ქვეყნის ტერიტორიების) რუსეთის მიერ მიტაცების ამ გამარტივებულ პროცედურას, კანონპროექტის ავტორთა აზრით, დაასრულებს რუსეთის ფედერაციაში ახალი სუბიექტების (მაგალითად, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და სხვ.) მიღების შესახებ სპეციალური კონსტიტუციური კანონის გამოცემა.

უაღრესად საყურადღებოა კანონპროექტის განმარტებითი ბარათი, რომელშიც ამ საკანონმდებლო ნოვაციის მიზნებსა და მიზეზებზეა საუბარი.

ბოლო დროს - აღნიშნულია მასში - ზოგიერთი სახელმწიფო - ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკა (საქართველო, აზერბაიჯანი, მოლდოვა) ცდილობს, გაავრცელოს თავისი სუვერენიტეტი არაღიარებული რესპუბლიკების - აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბაღის და დნესტრისპირეთის მოლდოვის რესპუბლიკის ტერიტორიებზე. ამასთან დაკავშირებით, აქტუალურობას იძენს საკითხი ამ სახელმწიფოთა პრეტენზიების მართლზომიერებისა და რუსეთის პოზიციის შესახებ. ამ საკითხის სიმწვავეს - ნათქვამია დოკუმენტში - აღრმავებს ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნულ სახელმწიფოთა მთავრობებისაგან ხშირად გაისმის რუსეთის მიმართ ბრალდებები არაღიარებული რესპუბლიკების „სეპარატიზმის" მხარდაჭერაში.

აქედან გამომდინარე, რუსეთის ფედერაციამ უნდა გამოთქვას თავისი პოზიცია ამ არაღიარებული რესპუბლიკების მიმართ. კანონპროექტის ავტორთა აზრით, რადგანაც რუსეთი არის სსრ კავშირის სამართალმემკვიდრე სახელმწიფო-სამართლებრივ ურთიერთობებში, ამიტომ რუსეთის ფედერაციას უფლება აქვს, შეიერთოს ყოფილი სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების ავტონომიები გამარტივებული წესით.

სხვა ქვეყნების ტერიტორიების შემოერთების რაც შეიძლება მარტივი სქემის შემუშავებით გართულ ამ კანონპროექტის ავტორებს, როგორც ჩანს, მხედველობიდან გამორჩათ, რომ სხვა ქვეყნის ნაწილის შე-

მოერთება საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობების საგანია და არა მხოლოდ რუსეთის საშინაო საქმე. ამიტომ ამ საკითხის მომწესრიგებელი შიდანაციონალური კანონმდებლობის შექმნისას, უსათუოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების მოთხოვნები. სხვაგვარად ნაციონალური კანონმდებლობა წინააღმდეგობაში აღმოჩნდება საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან.

ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ავტონომიების რუსეთის ფედერაციის მიერ შეერთების ამ კანონპროექტით გათვალისწინებული გამარტივებული წესი პირდაპირ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ძირითად პრინციპებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია გაეროს წესდებაში, აგრეთვე გაეროს 1970 წლის დეკლარაციაში „საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ" და ეუთოს 1975 წლის დასკვნით აქტში. სახელდობრ, საქართველოსთან მიმართებაში, ზემოაღნიშნული კანონპროექტით გათვალისწინებული ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ავტონომიების რუსეთისათვის შეერთების **„გამარტივებული წესით"**, ირღვევა:

1. სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი.

ამ პრინციპის დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ საქართველოს ნების გარეშე აფხაზეთის და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების რუსეთისათვის შეერთების უფლების დადგენით, რუსეთი პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს თავის თავს საქართველოს სუვერენიტეტის საზიანოდ;

2. საერთაშორისო ურთიერთობებში ძალისა და ძალის მუქარის გამოუყენებლობის პრინციპი.

ამ პრინციპის დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ საქართველოს ნების გარეშე აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების რუსეთისათვის შეერთების უფლების დადგენითა და ამ უფლების გამოყენების მუქარით, რასაც თან ახლავს სეპარატისტული რეჟიმების მხარდასაჭერად რუსეთის რეგულარული სამხედრო ძალების უკანონო ყოფნა ამ რეგიონებში, სეპარატისტული ძალების საბრძოლო ტექნიკითა და იარაღით აღჭურვა, ამ ტერიტორიებზე რუსეთიდან შეიარაღებული ჯგუფებისა და დაქირავებული ძალების შეგზავნა, რუსეთი ცდილობს საქართველოზე პოლიტიკური გავლენის მოპოვებას, მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ხელყოფას.

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიხედვით, არავითარი ტერიტორიული შეძენა, რომელიც ამ პრინციპის დარღვევის შედეგია, არ იქნება ცნობილი კანონიერად, ხოლო სახელმწიფოს ასეთი მოქმედება შეფასდება აგრესიად, ტერიტორიის მითვისება კი – ანექსიად;

3. სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპი.

ამ პრინციპის დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ ე.წ. გამარტივებული წესი გულისხმობს საქართველოს განუყოფელი ნაწილების - აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების საქართველოსთან შეუთანხმებლად რუსეთის ფედერაციისათვის შეერთებას, რაც პირდაპირ არღვევს მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და თვით რუსეთის მიერ აღიარებულ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას;

4. სახელმწიფო საზღვრების ურღვევობის პრინციპი.

ამ პრინციპის დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ ე.წ. გამარტივებული წესი უფლებას აძლევს რუსეთს, თავის სასარგებლოდ, ცალმხრივად, საქართველოსთან შეთანხმების გარეშე შეცვალოს საქართველოს სახელმწიფო საზღვრები.

თანამედროვე საერთაშორისო სამართლით, ამ პრინციპის დარღვევის ნებისმიერი მცდელობა დანაშაულადაა გამოცხადებული;

5. სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი.

ამ პრინციპის დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ ე.წ. გამარტივებული წესის პირობებში რუსეთს ეძლევა უფლება, თვითნებურად გადაწყვიტოს სხვა სახელმწიფოს - საქართველოს ავტონომიების ბედის საკითხი, რომელიც საქართველოს საშინაო საქმეა.

ამ პრინციპის დარღვევას თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ინტერვენციად მიიჩნევს;

6. ხალხთა თანასწორობისა და თვითგამორკვევის პრინციპი.

ამ პრინციპის დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ ე.წ. გამარტივებული წესის ამოქმედების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება, ხალხის (აფხაზების, ოსების) თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის მოტივით, უფრო მეტიც, სეპარატისტულ რეგიონებში ეთნიკური წმენდის შედეგ დარჩენილ მოსახლეობაში ჩატარებული უკანონო რეფერენდუმის საშუალებით, საქართველოს, როგორც სუვერენული დემოკრატიული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის და პოლიტიკური ერთიანობის ცალმხრივად, ძალის გამოყენებით ხელყოფა;

7. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის პრინციპი.

ამ პრინციპის დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ ე.წ. გამარტივებული წესის ამოქმედების შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება ამ რეგიონებში ქართველი მოსახლეობის მიმართ ჩადენილი ეთნიკური წმენდის შედეგების ლიკვიდაცია, ასიათასობით დევნილ საქართველოს მოქალაქეს წაერთმევა თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების, საკუთრე-

ბის, არჩევნებში მონაწილეობის და ადამიანის სხვა ძირითადი უფლებების განხორციელების შესაძლებლობა;

8. დავების მშვიდობიანი მოწესრიგების პრინციპი.

ამ პრინციპის დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ ე.წ. გამარტივებული წესის ამოქმედება, არათუ ხელს შეუწყობს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მშვიდობიან მოწესრიგებას, არამედ პირიქით, იგი იმდენად გააუარესებს ამ ორ სახელმწიფოს შორის ამჟამად არსებულ ისედაც დაძაბულ ურთიერთობებს, რომ რეალური საფრთხე შეექმნება საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვას;

9. სახელმწიფოების ერთმანეთთან თანამშრომლობის პრინციპი.

ამ პრინციპის დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ ე.წ. გამარტივებული წესის შემოღებით, რუსეთი ადასტურებს თავის კეთილგანწყობას და მხარდაჭერას აგრესიული სეპარატიზმისადმი, ეთნიკური წმენდის შედეგად ჩამოყალიბებული თვითაღიარებული რესპუბლიკების ხელისუფლებასთან თანამშრომლობას, ნაცვლად იმისა, რომ ითანამშრომლოს საქართველოსთან, როგორც სუვერენულ მეზობელ სახელმწიფოსთან, კონფლიქტების მოგვარების, საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საქმეში;

10. საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულების პრინციპი.

ამ პრინციპის დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ ე.წ. გამარტივებული წესის შემოღებით, რუსეთი უხეშად არღვევს როგორც იმ ვალდებულებებს, რომლებიც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან და ნორმებიდან გამომდინარეობს (ეს კარგად ჩანს ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან), ისე ვალდებულებებს, გამომდინარე რუსეთის მონაწილეობით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებიდან თუ შეთანხმებებიდან, რომლებშიც რუსეთი ცნობს და აღიარებს საქართველოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას და არსებული საზღვრების ურღვევობას (გავიხსენოთ თუნდაც დსთ-ის ფარგლებში დადებული ხელშეკრულებები).

ზემოაღნიშნული განმარტებები ნათლად გვიჩვენებენ, რომ ფრაქცია „როდინას" მიერ შემუშავებული ყოფილი სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების ავტონომიების რუსეთის ფედერაციაში ახალ სუბიექტებად მიღების გამარტივებული წესი არ შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ათივე პრინციპს. არადა, ეს პრინციპები და რუსეთის საერთაშორისო ხელშეკრულებები თვით რუსეთის კონსტიტუციის თანახმად (მე-15 მუხლი), ამ ქვეყნის სამართლებრივი სისტემის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ და მათ უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნიათ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. ამ უპირატესობის აზრი კი იმაში მდგომარეობს, რომ საერთაშორისო სამართლისა და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმებს

შორის წინააღმდეგობისას, გამოიყენება მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული წესები.

მაშასადამე, ყოფილი სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების ავტონომიების რუსეთის ფედერაციაში ახალ სუბიექტებად მიღების გამარტივებული წესი შეუთავსებელია როგორც საქართველოს, ისე თვით რუსეთის ნაციონალურ სამართალთან, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან და ნორმებთან, რუსეთის მონაწილეობით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებთან.

დაბოლოს, რუსეთისათვის ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ავტონომიების გამარტივებული წესით შეერთების უფლების დადგენის მთავარ არგუმენტად, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, კანონპროექტის ავტორები მიიჩნევენ იმას, რომ რუსეთი არის საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე სახელმწიფო. კანონპროექტის გაცნობის შემდეგ ძნელია ამ არგუმენტში ეჭვის შეტანა. რუსეთის პოსტსაბჭოური პოლიტიკა ადასტურებს, რომ იგი ნამდვილად სამართალმემკვიდრეა საბჭოთა კავშირისა. ასეთი „ძვირფასი" მემკვიდრეობით გახარებულ პოლიტიკოსებს კი სურვილი უჩნდებათ, პოსტსაბჭოურ სივრცეში რუსეთის ჰეგემონიის შესანარჩუნებლად, მემკვიდრეობით მიღებული არსენალიდან გამოიყენონ რუსეთის ძველი, მაგრამ მრავალნაცადი იარაღები - ინტერვენცია, აგრესია, ოკუპაცია, ანექსია. ამ იარაღებმა ხომ წარმატება მოუტანეს საბჭოთა რუსეთს 1921 წელს, როდესაც მის მიერვე დე-იურედ ცნობილი დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ საბჭოთა ჯარების მეშვეობით განხორციელებული აგრესიის შედეგად, მოახდინეს საქართველოს ოკუპაცია და ანექსია, საბჭოთა კავშირში მისი იძულებით გაერთიანება.

ახლაც იგივეს ცდილობენ, ოღონდ, რადგანაც საბჭოთა კავშირი დაეშალათ, სამაგიერო კავშირში - „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში" ყოფნას გვაიძულებენ. ძალადობაზე დამყარებული „მეგობრობა" კი ვერასოდეს ვერ იქნება თანამეგობრობა. სწორედ ამის გამო დაიშალა და დაინგრა ყველა, მათ შორის რუსეთისა და საბჭოთა იმპერიებიც. იგივე ბედი ელის ამ „თანამეგობრობასაც".

ჯონი ხეცურიანი

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი.

ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია", №4, 2004 წელი.
გაზეთი „24 საათი", №24, 3 თებერვალი, 2005 წელი.
Газета "Свободная Грузия", № 36-40, 1 марта 2005 года.

მიზანი, რომელიც სიცოცხლედ ღირს

გვესაუბრებიან მინისტრები

22 ნოემბერს რესპუბლიკის პარლამენტში ახალი მინისტრთა კაბინეტი დაკომპლექტდა. შეიქმნა მთავრობა, რომელსაც ძველი სტრუქტურების აღმოფხვრა და პრინციპულად ახალი სტრუქტურების დანერგვა მოუწევს. დგება ჟამი პრაქტიკული ტრანსფორმირებისა, რეალური და არა დეკლარირებული საქმეების კეთებისა. ამ ურთულესი საკითხების გადაწყვეტის პროცესში ერთობლივი ძალისხმევა, მოქმედების კოორდინირება გვმართებს. სხვაგვარად პოზიტიური შედეგი ვერ მიიღწევა.

ერთ-ერთი შესვენების დროს ჩვენ შევხვდით და გავესაუბრეთ ზოგიერთ ახლად არჩეულ მინისტრს. ინტერვიუს სხვა მინისტრებთან, მათ შორის სახალხო განათლების მინისტრთან, უახლოეს ნომრებში შემოგთავაზებთ.

საგულისხმოა, რომ ჩვენს მილოცვაზე უკლებლივ ყველა მინისტრის პასუხის ძირითადი ლეიტმოტივი დაახლოებით შემდეგი იყო: „დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენც და ქართველი ერის მიერ არჩეულ პარლამენტსაც ესოდენ მაღალი ნდობისათვის. ჩვენი საერთო წარმატების უტყუარი გარანტი იქნება შეკავშირება და ქართველი ერის პარლამენტის ირგვლივ დარაზმვა, რაც მიღებული კანონებისა და ყველა ჩანაფიქრის ცხოვრებაში გატარების მომასწავებელი გახდება...“

საქართველოს იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანი

– ბატონო ჯონი, როგორი უნდა იყოს იუსტიციის სამინისტრო თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში? რა აუცილებელი პრობლემები, ამოცანები დგას იუსტიციის სამინისტროს წინაშე გარდამავალ პერიოდში?

– სამწუხაროდ, დღემდე იუსტიციის სამინისტროს ის დიდი ფუნქციები, რაც მას აკისრია, არ იყო რეალიზებული, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ბევრი რამ მოგვარდება. უპირველესი და გადაუდებელი საქმეა კანონპროექტების მომზადება, რაც ჩვენი მუშაობის წამყვანი მიმართულება იქნება. უნდა შეიქმნას გარდამავალი პერიოდის სამართლებრივი საფუძვლები, აუცილებელ და გადაუდებელ საქმედ მიმაჩნია მთელი სამართლის სისტემის, მოქმედი კანონმდებლობის შეცვლა და განახლება.

დროულად მისაღებია ფუძემდებლური საკანონმდებლო აქტები რესპუბლიკის ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შესახებ. არ არის დასამალი, რომ გარდამავალ პერიოდში იცვლებიან არა მარტო კადრები, არამედ სახელმწიფო სტრუქტურებიც. ეს კი საჭიროებს შესაბამის სამართლებრივ უზრუნველყოფას.

ერთ-ერთი გადასაჭრელი პრობლემა, რომელიც დგას იუსტიციის სამინისტროს წინაშე, ის გახლავთ, რომ მომზადდეს წინადადებები სამართალდამცველი ორგანოების სისტემის რადიკალური რეფორმისათვის.

აქამდე არსებული სისტემა, სამწუხაროდ, უწინარეს ყოვლისა, მიმართული იყო და წარმატებითაც ართმევდა თავს დამსჯელი ფუნქციის შესრულებას. ახლა კი საჭიროა, დამსჯელი ფუნქციის ნაცვლად ადამიანის უფლებების დაცვის ფუნქცია შეასრულოს. ამიტომ აუცილებელია სამართალდაცვის ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების მტკიცედ დაცვას უზრუნველყოფს.

– იქნება თუ არა იუსტიციის სამინისტრო სამართალდამცველი ორგანოების ნათელი და ჭეშმარიტი გზის გამკვლევი?

– აუცილებლად უნდა იყოს... ამასთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროს როლი და მნიშვნელობა მკვეთრად გაიზრდება. იუსტიციის სამინისტრომ უნდა დაიკავოს ის კუთვნილი და ღირსეული ადგილი, რომელიც მას ჩვეულებრივ უკავია სამართლებრივ სახელმწიფოებში.

აქვე ისიც მინდა გითხრათ, რომ ფუნქციონალური ცვლა გამოიწვევს სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ცვლილებებს იმდენად, რამდენადაც არსებული სახით იგი სადღეისო ფუნქციას ვერ შეასრულებს.

პირველ ეტაპზე ალბათ უნდა გაძლიერდეს სამართალშემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფის ქვედანაყოფები.

ამავე დროს, ორგანიზებული ფორმით უნდა მოხდეს უშუალო და პირდაპირი კონტაქტების დამყარება მეცნიერებასთან.

ბუნებრივია, კანონებს დასჭირდება ფართო პროპაგანდა, რაც იუსტიციის სამინისტროს უშუალო მოვალეობებში შედის. იმისათვის რომ გავზარდოთ მოსახლეობის მართლშეგნების დონე, აუცილებლად მიმაჩნია მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტების პროპაგანდა. მაგალითად, ქართულ ენაზე უნდა ითარგმნოს და გამოიცეს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების კონსტიტუციები. მათ უნდა გაეცნოს ქართველი ხალხი.

– რას უსურვებთ ქართველ ხალხს?

– სამოქალაქო მშვიდობას და, რა თქმა უნდა, ყველასათვის ნანატრი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მალე აღდგენას.

გაზეთი „სახალხო განათლება“, №4-8, 1990 წელი, 29 ნოემბერი.

დამეხმარება გამოცდილება, რწმენა

ინტერვიუ მინისტრთან

ახალი საქართველო, ახალი პრობლემები, უკეთესი მერმისისათვის ზრუნვა უამრავ კითხვას ბადებს თითოეული ჩვენგანის და, განსაკუთრებით, სამართლის მსახურთა წინაშე.

გთავაზობთ ჩვენი კორესპონდენტის თენგიზ თალაკვაძის საუბარს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრთან, ბატონ ჯონი ხეცურიანთან.

– ბატონო მინისტრო! როცა საქართველოს იუსტიციის მინისტრის პოსტი შემოგთავაზეს, თქვენთვის მოულოდნელი იყო ეს და დიდხანს იფიქრეთ, ვიდრე თანხმობას განაცხადებდით? რისი იმედი გაქვთ თქვენს სამსახურებრივ საქმიანობაში და ხალხის ნდობის გასამართლებლად?

– მოულოდნელი არ იყო, რამდენადაც ამ სამინისტროში მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობა მეკავა და გარკვეული მუშაობა მქონდა გაწეული საქართველოში ბოლო დროს მიღებული კანონების შემუშავებაში.

რისი იმედი მაქვს? უწინარეს ყოვლისა საკუთარი თავის, მიმაჩნია, რომ ის ცოდნა, რომელიც მივიღე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, ასპირანტურაში სწავლისას და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში, აგრეთვე პრაქტიკული მუშაობის გარკვეული გამოცდილება და შინაგანი რწმენა დამეხმარება, გავამართლო ხალხის ნდობა.

– ისტორიაში ხშირად ხდებოდა და ხდება ხოლმე, რომ ქარი აქრობს სანთელს, „ხახას“ აღებინებს უფსკრულებს, სამყაროში ისადგურებს სიბნელე და საიდანღაც მოსული სიჩუმე. ალბათ არ მინყენთ, თუ სწორედ ასეთ სიჩუმეს შევადარებთ ქართული იუსტიციის ქმედებას 1921 წლის შემდეგ.

თუ მშვიდობა იქნა ჩვენს ქვეყანაში, რამდენ ხანში აღდგება მკვდრეთით ჩვენი სახელგანთქმული ქართული იუსტიცია?

– ალბათ ეს „სიჩუმე“ იუსტიციისა, უწინარეს ყოვლისა, გამოწვეული იყო იმით, რომ ჩვენ ვცხოვრობდით ტოტალიტარულ სახელმწიფოში, სადაც სამართლის, კანონის სოციალური ღირებულება უკიდურესად დაბალი იყო. ბუნებრივია, იუსტიციის ორგანოებიც, რომელთა ერთ-ერთ ეფექტურ ფუნქციას წარმოადგენს კანონპროექტების მომზადება,

კანონმდებლობის სისტემატიზაცია და კოდიფიკაცია, უკანა პლანზე იყო გადატანილი. სამაგიეროდ, დაუმსახურებელი პრივილეგიები ჰქონდათ იმ სამართალდამცავ ორგანოებს, რომლებიც დასჯის ფუნქციას ახორციელებდნენ. იყო პერიოდი, როცა იუსტიციის სამინისტრო საბჭოთა კავშირში და მოკავშირე რესპუბლიკებში საერთოდ გაუქმდა კარგა ხნით (კერძოდ, 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან).

თანამედროვე პირობებში, როდესაც კურსი აღებულია სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისაკენ და, რაც მთავარია, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ, რომელიც საჭიროებს სათანადო სამართლებრივი საფუძვლების შექმნას, იუსტიციის ორგანოების როლი და მნიშვნელობა სახელმწიფო მმართველობის სისტემაში რადიკალურად გაიზრდება.

– ბატონო ჯონი! ჩვენი ხალხის მომავლის მიზანი ნათელია, ეს არის არა მარტო ტერიტორიის, არამედ იმ პრინციპების დაცვა და განმტკიცებაც, რომლებზეც საჭიროა ქართული ყოფისა და ეთიკის, მსოფლმხედველობისა და ესთეტიკის შენება, მოკლედ, ყოველივე ის, რაც კულტურული ერისათვის ხელმისაწვდომია. თქვენმა სამინისტრომ ამ საქმისათვის, უპირველეს ყოვლისა, ისეთი კანონები უნდა მიიღოს, რომლებიც უწინდებურად ქაღალდზე არ დარჩება და ძირფესვიანად შეცვლის ჩვენი ცხოვრების მექანიზმს. გეყოფათ ამისათვის ძალები და ის მიზერული თანხები, რაც მოგეპოვებათ?

– პირდაპირ უნდა ითქვას, რომ „იაფი" იუსტიციაც კი ნებისმიერ სახელმწიფოს ძალზე ძვირი უჯდება. რასაკვირველია, აქედან სათანადო დასკვნებს გავაკეთებთ ჩვენც. რაც შეეხება კანონების ხარისხს, ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ჩვენ ისეთი კანონები უნდა შევქმნათ, რომლებიც ობიექტურად ასახავენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს და ამასთანავე, მაქსიმალურად გაითვალისწინებენ ხალხის, ერის ნებას. ამავე დროს, სამართალშემოქმედებაში მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული ჩვენი ერის დამახასიათებელი ფსიქიკური წყობის და ზნეობრივი პრინციპების მოთხოვნები, ქართული კანონმდებლობის მდიდარი ტრადიციები. მხოლოდ ასეთი გზით შექმნილი სამართალი დაიმსახურებს ქართველის პატივისცემას და უწინდებურად არ დარჩება ქაღალდზე.

– ქართულ კანონთა სრული ჩამოყალიბებისა და შეკრებისათვის გექნებათ თუ არა კონტაქტები ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან?

– რასაკვირველია, რიგი საკითხებისა ეხება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მოღვაწეობას და მოითხოვს სათანადო საკანონმდებლო რეგულირებას. ამ სფეროში დღემდე არსებული კანონმდებლობა უპირატესად ამკრძალავი ხასიათისა იყო, მაქსიმალურად ზღუდავდა

ეკლესიის უაღრესად საპატიო, სასარგებლო და კეთილშობილურ დანიშნულებას, რომელიც ნებისმიერი ცივილიზებული საზოგადოებისათვისაა დამახასიათებელი. სამართალმა მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი ქართულ ეკლესიას მის პოზიტიურ საქმიანობაში. ალბათ ამ ამოცანას გადაჭრის ახალი საკანონმდებლო აქტები რწმენის თავისუფლების, განათლების, პრესის, მინათსარგებლობის შესახებ და სხვა.

– რა ცვლილებებს აპირებთ საქართველოს სასამართლოს სახელმძღვანელოდ? როდის აღიმაღლებს ხმას ქართული ადვოკატურა?

– დავიწყოთ ადვოკატურით. მიმაჩნია, რომ ადვოკატურა სრულიად დამოუკიდებელი უნდა გახდეს, ე. ი. თავისი თავი თვითონ უნდა მართოს. ამასთანავე, გაფართოვდება ადვოკატთა მონაწილეობა სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა წარმოებაში, ერთი სიტყვით, მართლმსაჯულების განხორციელებაში და აგრეთვე მოქალაქეთა სამართლებრივ მომსახურებაში. რაც შეეხება სასამართლო ორგანოებს, მათი რეფორმის საკითხი უახლოეს მომავალში ბოლომდე უნდა იქნეს მიყვანილი. ჩვენ მზად გვაქვს სასამართლო წყობილების, მოსამართლის სტატუსის შესახებ საკანონმდებლო აქტების პროექტები, რომლებსაც წარვუდგენთ საქართველოს ხელისუფლების უზენაეს ორგანოს. ამ აქტების ძირითადი მიზანია საქართველოს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისათვის მტკიცე სამართლებრივი გარანტიების შექმნა.

– მოხდება თუ არა ქართული მართლმსაჯულების მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება?..

– იუსტიციის ორგანოს მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ჩვენ გვაქვს მუდმივმოქმედი კურსები, რომლებიც ალბათ სახეს შეიცვლის იმ ახალ მოთხოვნათა გათვალისწინებით, ცხოვრება რომ უყენებს დღეს მართლმსაჯულების ორგანოებს.

– მადლობას მოგახსენებთ საინტერესო საუბრისათვის და ბედნიერ შობასა და ახალ წელს გისურვებთ, უპირველეს ყოვლისა, ახალი საქართველოსათვის ნამდვილი მართლმსაჯულებისა და კანონმდებლობის შექმნის განხორციელებაში.

– დიდი მადლობა კეთილი სურვილებისათვის, საქმით დაგვბედებოდეს.

ახალ წელს ბედნიერებას ვუსურვებ ჩვენი გაზეთის მკითხველებს.

გაზეთი „ცხოვრება და კანონი“, №15, 1990 წელი. 28 დეკემბერი.

ჯონი ხეცურიანი - პარტიული ინტერესების მსხვერპლი

დეპუტატებს არც ერთი ყოფილი მინისტრის ანგარიში არ მოუსმენიათ. ახალდანიშნული მინისტრებისათვის დამატებითი კითხვების დასმისგანაც თავი შეიკავეს. ბ-ნ ჯონი ხეცურიანს უმთავრეს ბრალდებად გამსახურდიას მთავრობის წევრობა წაუყენეს და ამით გადაწყვიტეს მისი კანდიდატურის ბედი. არგუმენტი იმდენად შეუვალი იყო, რომ წინააღმდეგობის გაწევა ვერავინ შეძლო, თუმცაღა გარკვეული ფაქტები თვით პრემიერ-მინისტრსაც კი გაუხსენეს.

ბ-ნ ხეცურიანს ორი წლის მანძილზე ეკავა იუსტიციის მინისტრის თანამდებობა. ამ ხნის მანძილზე გაწეული სამართალშემოქმედებითი საქმიანობა არ გამხდარა მსჯელობის საგანი. იუსტიციის სამინისტროში მომზადებულმა 161-მა ნორმატიულმა აქტმა, მათ შორის 50-მა კანონმა, ოდნავ მაინც თუ შეუწყო ხელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესს, ამის შესახებ პარლამენტის სხდომაზე არავის უსაუბრია. ყოფილი მინისტრი სიამოვნებით იგონებს, რომ გამსახურდიას მმართველობის დროს მიღებულია კანონები პოლიტიკური პარტიების, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების, ქონებრივი დანაშაულისთვის სიკვდილით დასჯის გაუქმების, საგანგებო წესების შესახებ, ხოლო გასული წლის ოქტომბერში, როცა პოლიტიკურ ძალთა დაძაბულობა კულმინაციას აღწევდა, მისი ინიციატივით უზენაესი საბჭოს სხდომაზე განიხილეს და მიიღეს კანონი ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისათვის კონსტიტუციური კანონის ძალის მინიჭებისა და მათი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე პირდაპირი მოქმედების შესახებ. მნიშვნელოვანი დეკრეტები მიიღო თავისი არსებობის მანძილზე სახელმწიფო საბჭომაც: სახელმწიფო საზღვრებისა და საჰაერო სივრცის გამოყენების შესახებ, საბაჟო დეკრეტი... ბ-ნი ხეცურიანი დღეს ორივე მთავრობაში თანამშრომლობას საქმის კეთების მოტივით ხსნის.

ბ-ნი ჯონი ხეცურიანი კომპარტიის წევრობის შემდეგ არც ერთი პარტიის წევრი არ გამხდარა - არც „მრგვალი მაგიდისა" და არც ედპ-ისა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ბრძოლის მიმართ მას გარკვეული სიმპათია აქვს, მაინც ასკვნის, რომ პარტიულმა ინტერესებმა შეჭამა ქვეყანა. მისი კანდიდატურის ვერ გასვლის ერთ-ერთ ფაქტორადაც ეროვნულ-დემოკრატთა აქტიურ წინააღმდეგობას თვლის. ბ-ნ ხეცურიანს უფრო გასაგებად მიაჩნია დეპუტატ თამაზ დიასამიძის უარყოფითი პოზიცია მისი კანდიდატურისადმი, რასაც საფუძვლად აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევის დროს ბ-ნ გამსახურდიასადმი გამოჩენილი ლოიალური მოქმედება დაედო.

ბ-ნი ჯონი ხეცურიანი წინააღმდეგი იყო:

– ხელისუფლების ძალით დამხობისა. მისი თქმით, ამიტომ არ დატოვა მან გამსახურდიას მთავრობაში მინისტრის პოსტი ბოლო დრომდე და 28 დეკემბერსაც იმიტომ მივიდა ტელევიზიაში მოსალაპარაკებლად, რომ როგორმე ხელი შეეწყო სისხლის ღვრის შეწყვეტისთვის;

– მოქმედი კონსტიტუციის გაუქმებისა და 1921 წლის კონსტიტუციის ამოქმედებისა სამხედრო საბჭოს მიერ;

– ამნისტიის გამოცხადებისა, რომლის ძალითაც 4.000-მდე მსჯავრდებული გამოუშვეს გარეთ;

– კონსტიტუციური ვაკუუმის არსებობისა. სწორედ ამიტომ მოითხოვდა სახელმწიფო საბჭოზე საკონსტიტუციო კომისიის შექმნას;

– სახელმწიფო ხელისუფლების დღეს არსებული კანონის მიღებისა. მის შემუშავებაში მონაწილეობა მას არ მიუღია, თუმცაღა მაშინ მინისტრი იყო.

იუსტიციის ყოფილი მინისტრი ასკვნის, რომ მას არ აპატიეს ის პოზიცია, რომლითაც გამოსულა ყველა დაძაბული სიტუაციიდან. იგი თვლის, რომ იუსტიცია უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფოს და არა ცალკეულ პოლიტიკურ კურსს, რომელიც, თუ სახელმწიფოს ზოგად ინტერესებს სცდება, განწირულია.

ბ-ნ ჯონი ხეცურიანს დღეს გადაუდებლად მიაჩნია მოქალაქეობისა და საკუთრების შესახებ კანონების მიღება, რომელთა პროექტები უკვე მზად არის. აუცილებელია სხვა ხასიათის სამართალშემოქმედებითი საქმიანობის გაღრმავებაც. თვითონ თავის თავს ასეთი საქმიანობისათვის მომართულადაც კი გრძნობდა, მაგრამ პარლამენტმა სხვა გადაწყვეტილება მიიღო.

ესაუბრა **ზვიად ქორიძე**

გაზეთი „7 დღე“, №45, 1992 წელი, 10-16 დეკემბერი.

უპრეცედენტო პრეცედენტების ქვეყანა

– ბატონო ჯონი, როგორ შეაფასებთ რესპუბლიკაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სამართლებრივ მდგომარეობას?

– რესპუბლიკაში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საზოგადოებრივ-სამართლებრივი მდგომარეობა კრიზისულია. ეს ორი ცნება ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. კრიზისულია და რატომ - საქმე ის არის, რომ ჩვენი სახელმწიფო – საქართველოს რესპუბლიკა, გაცნობიერებული გვაქვს როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყანა. მაგრამ სუვერენულია იმდენად, რამდენადაც იგი აღიარებულია საერთაშორისო ასპარეზზე და საერთაშორისო ურთიერთობებში წარმოადგენს სამართალსუბიექტს, გავწევრიანდით გაეროში და ა. შ. ეს, ასე ვთქვათ, გარეგნული მხარეა, მაგრამ, თუ ამ სუვერენიტეტს შიგნიდან შევხედავთ, ვნახავთ, რომ ჩვენს სახელმწიფოებრიობას მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები აქვს, რაც ეჭვქვეშ აყენებს ქვეყნის სუვერენიტეტს. როგორც ცნობილია, სუვერენიტეტისათვის დამახასიათებელია ხელისუფლების იურისდიქციის განხორციელება თავის ტერიტორიაზე, ეს კი დღეს არა გვაქვს. ყველამ კარგად ვიცით ის რეგიონები, სადაც ჩვენი ხელისუფლება არ ვრცელდება. და ეს არა მარტო იმის გამოა, რომ ამ ტერიტორიებზე ომი მძვინვარებს ან შეზღუდულია სუვერენიტეტი, მაგალითად, სამაჩაბლოში, არამედ იმის გამოც, რომ მოსაწესრიგებელია ხელისუფლების სისტემა, სახელმწიფო მექანიზმი. ეს ერთი მხარე, რომ იურისდიქცია არ ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. მეორე მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ ფაქტობრივად, საზოგადოება და სახელმწიფო სამართლებრივად არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, ასე ვთქვათ, არა გვაქვს მოქალაქეობის კანონი. ე. ი. არ არის სამართლებრივი ვალდებულება პიროვნებასა და იმ სახელმწიფოს შორის, რომლის ტერიტორიაზეც ცხოვრობს, არ არის ურთიერთვალდებულებები და ურთიერთუფლებები. ამავე დროს, თუ განვიხილავთ ისეთ ატრიბუტებს, რომლებიც სახელმწიფოსთვის არის დამახასიათებელი და, ასე ვთქვათ, ძალზე ვიზუალურად ან ემპირიულად ჩანს, ღრმა ანალიზი არ სჭირდება და აუცილებელია სახელმწიფოსათვის, თუკი ის სახელმწიფოა, ვნახავთ, რომ აქაც ბევრი რამ გვაკლია. თუნდაც ის, რომ არა გვყავს მტკიცე საჯარისო ფორმირება, ჯარი, არმია – სახელმწიფოს ერთ-ერთი ნიშანი. შეიძლება ითქვას, რომ იგი ჯერჯერობით ჩანასახის მდგომარეობაშია და ამორფული ხასიათი აქვს. არ გაგვაჩნია ჩვენი ვალუტა – ფულადი ნიშანი, სახელმწიფო საზღვრები დაუცველია, ე.ი. დაცულია სხვა ქვეყნის საჯარისო ნაწილებით და ასეთ პირობებში ალბათ სუვერენიტეტზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. გადაწყვეტილი არ არის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული და ადგილობ-

რივი ხელისუფლების მოწყობის საკითხი, რაც იმის მანიშნებელია, რომ სახელმწიფო ხელისუფლება არ ვრცელდება თუნდაც იმ ტერიტორიაზე, სადაც, ვთქვათ, არც ომია და არც საგანგებო წესებია გამოცხადებული, არ ვრცელდება არა მარტო ცენტრალური ხელისუფლება, არამედ ადგილობრივი ხელისუფლებაც კი თავისი კომპეტენციის ფარგლებში, იმიტომ რომ ავტორიტეტი არა აქვს. არ არის მყარი კავშირი ადგილობრივსა და ცენტრალურ მმართველობებს შორის. კიდევ შეიძლებოდა სხვა ნიშნების მოტანა, მაგრამ ესეც საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობა, როგორც ასეთი, ჯერჯერობით არ გაგვაჩნია და სახელმწიფო აღმშენებლობის საკითხები გადასაწყვეტია. თუ ამას იმ თვალსაზრისით შევხედავთ, რომ სახელმწიფოს მოგვარებული უნდა ჰქონდეს თავისი ეროვნული სამართალი და მთლიანად სამართლებრივი სისტემა, ვნახავთ, აქაც უმძიმესი ვითარება გვაქვს, რადგანაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიღებულმა მემკვიდრეობამ უაღრესად სავალალო მდგომარეობაში ჩაგვაყენა. ამის მოსაგვარებლად გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა და ახლაც გრძელდება, მაგრამ არა ისეთი ტემპით და მონდომებით ან არსებითი ცვლილებებით, რომელთა განუხორციელებლობა ყოვლად მოუთმენელია. მხედველობაში მაქვს ის, რომ ჩვენი საკანონმდებლო სისტემის რიგი სფეროები ვაკუუმს ნარმოადგენს – დღესაც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის კანონები მოქმედებენ. ვერ მოვასწარით ან ვერ შევძელით მისი ასე სწრაფად ამოვსება. და ახლაც, როცა სამართალშემოქმედებით პროცესს ვუყურებ, ვფიქრობ, რომ ასეთი ტემპით ძალიან დიდი დრო დაგვჭირდება ამ ვაკუუმის შესავსებად. ასეა საზოგადოებრივი ცხოვრების რიგ სფეროებში. ჩვენი კანონმდებლობა, რომელსაც რესპუბლიკური ეწოდებოდა, დღეს აღარ მოქმედებს იმიტომ, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საზოგადოებრივ-ეკონომიკური მდგომარეობა შეიცვალა, საზოგადოებაში უკვე სხვა ურთიერთობები გაჩნდა და მისი მომწესრიგებელი სამართლებრივი ფორმები ჯერჯერობით არ ჩამოყალიბებულა. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ეკონომიკაში. არის ეკონომიკური ცხოვრების რიგი სფეროები, რომლებიც მოუნესრიგებელია და, რაც მთავარია, არ გაგვაჩნია ერთიანი აქტი, რომელიც იქნებოდა წამყვანი, გადამწყვეტი ღერძი ქონებრივი ურთიერთობების მოსანესრიგებლად – ეს გახლავთ საკუთრების კანონი. არ მოქმედებს სამოქალაქო კოდექსი ამ ნაწილში იმიტომ, რომ ახალი არ შეგვიქმნია, ძველი კი სოციალისტურ ურთიერთობებსა და ქონებრივ პრინციპებზეა აგებული. ე. ი. არა გვაქვს ის ფუძემდებლური საკანონმდებლო აქტები, რომელთა გარეშემო მთელი სამართლებრივი სისტემა ჩამოყალიბდებოდა ამ სფეროში. თუ ამ კუთხით შევხედავთ სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხს ზემოთ ნათქვამი კრიზისის თაობაზე, ვფიქრობ, სავსებით გამართლებულია. მეტი არგუმენტის მოტანა ალბათ არც არის საჭირო. მთავარი მაინც ის არის, რომ

უნდა მივიღოთ სამართლებრივი ნორმები, შევქმნათ კანონმდებლობა და შემდეგ ამ კანონმდებლობის მიხედვით ვიცხოვროთ. ძალიან კრიტიკულად ვარ განწყობილი მიღებული საკანონმდებლო აქტის მიმართ. მხედველობაში მაქვს კანონი ხელისუფლების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ხელისუფლების მოწყობის პრინციპებს და რატომღაც აღიარებულია, რომ ეს არის კონსტიტუციური დონის აქტი და ამის შესაბამისად უნდა მოეწყოს კანონმდებლობა. მე ვთვლი, რომ თვითონ აქტი ხელისუფლების შესახებ უაღრესად ნაკლოვანია.

– რომელ ნაკლოვან მხარეებს გულისხმობთ?

– თვითონ სახელმწიფო ხელისუფლების მოწყობა, რომელიც ჩვენთან არის, ხელისუფლების ის სისტემა, რომელიც კანონით ჩვენთან დამკვიდრდა, არსებითად განსხვავდება სამართლებრივი სახელმწიფოს თეორიისა და პრაქტიკისაგან, რომელიც ცივილიზებულ ქვეყნებში არსებობს, უფრო მეტიც, არსებითად ეწინააღმდეგება ხელისუფლების დაყოფის თეორიას. მხედველობაში მაქვს ის, რომ სახელმწიფოს მეთაური და პარლამენტის თავმჯდომარე ერთი და იგივე პიროვნებაა. პარლამენტის თავმჯდომარეს, უბრალოდ, ხალხი ირჩევს. ეს უპრეცედენტო რამ არის და ამის ახსნა ოდნავ განსწავლული იურისტისთვისაც კი ძალზე რთულია. ამის მისახვედრად სულაც არ არის საჭირო თეორიების დაუფლება, იმიტომ რომ ერთია საკანონმდებლო ხელისუფლება და მეორე აღმასრულებელი და სასამართლო. ამ შემთხვევაში აღმასრულებელი და საკანონმდებლო თითქმის ერთმანეთშია არეული იმ თვალსაზრისით, რომ პიროვნება, რომელიც სახელმწიფოს მეთაურია, ამავე დროს პარლამენტის თავმჯდომარეც არის. თუ ამას შეეადარებთ თეორიასა და პრაქტიკას, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს ნიშნებად ითვლება, ასეთ რამეზე ჩვენთან ლაპარაკიც კი ზედმეტია. მით უფრო, რომ სასამართლო ხელისუფლება ჯერჯერობით არც გაგვაჩნია. სასამართლო ხელისუფლებაში ვგულისხმობ მესამე ხელისუფლების იმ შტოს, რომელსაც, ასე ვთქვათ, თანასწორად ან ერთ სიბრტყეზე მდებარე ხელისუფლებად განვიხილავთ ან, ვთქვათ, გარკვეული შეხება აქვს როგორც კანონმდებელ, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. უნდა არსებობდეს გარკვეული ურთიერთმიმართება, ურთიერთკონტროლი და განონასნორების პრინციპი. მხედველობაში მაქვს არა მარტო მართლმსაჯულების განხორციელება, არამედ გარკვეული კონტროლი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, გარკვეული კონტროლი საკანონმდებლო საქმიანობაზე, როცა სასამართლოს გარკვეული კომპეტენცია ექნება. ვგულისხმობ კონსტიტუციურ სასამართლოს, რომელსაც შეუძლია გააუქმოს გარკვეული აქტები, რევიზია გაუწიოს მას ან მმართველობის სისტემის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის საკითხზე მისთვის მიმართვის შემთხვევაში თავისი სიტყვა თქვას. ეს სამივე ხელისუფლება ჩვენთან არ არის ჩამოყალიბებული და არა აქვს მიღებული გამოკვეთილი

სახე. რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლებას, ჯერჯერობით ჩამოყალიბებული არ არის, თუმცა რეფორმა მზადდება.

– ესე იგი თქვენ უარყოფითად აფასებთ საარჩევნო კანონს, რომლის მიხედვითაც პარლამენტის თავმჯდომარე და პარლამენტი ცალ-ცალკე ავირჩიეთ?

– უარყოფითად ვაფასებ არა მარტო ახლა, არამედ მაშინაც უარყოფითად ვაფასებდი, როდესაც ასეთი იდეა წარმოიშვა. ამიტომ საარჩევნო კანონის შედგენაში, იმის მიუხედავად, რომ იუსტიციის მინისტრის პოსტი მეკავა და შეიძლებოდა ჩემთვის დავალებაც მოეცათ და მეთანამშრომლა, ამ ხელისუფლების შესახებ კანონის შედგენაში მონაწილეობა არ მიმიღია.

– 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენის თაობაზე რას იტყოდით?

– 1921 წლის კონსტიტუციას ჩვენთვის უფრო სიმბოლური ხასიათი აქვს. იმ თვალსაზრისით, რომ ის დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია იყო. თუ დღევანდელი კონსტიტუციონალიზმის მიღწევებიდან გადავხედავთ, რასაკვირველია, ეს კონსტიტუცია არ შეესაბამება დღევანდელობის მოთხოვნებს, ე. ი. კონსტიტუცია, როგორც სამართლებრივი აქტი, მოძველებულია. მაგალითად, ცნობილია მეორე ტალღის კონსტიტუციები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მიიღეს რიგმა ქვეყნებმა და ამის შემდეგ გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა კონსტიტუციონალიზმის საკითხში. მაგრამ, თუ სხვა კუთხით შევხედავთ, აშკარაა ჩვენი დიდი სიმპათიები. იმიტომ რომ აქ უფრო პატრიოტული გრძნობები სჭარბობს და ამავე დროს კიდევ არის პოლიტიკური ხაზი სამართალმემკვიდრეობისა. ჩვენთვის ეს ერთ-ერთი მძლავრი არგუმენტია, რომ სამართალმემკვიდრეობა ჩვენი სახელმწიფოსი გრძელდება და იმ კონსტიტუციაში ჩადებული იყო თვითდაცვის მექანიზმი. მკითხველი ალბათ უკვე იცნობს ამ კონსტიტუციას და ისიც ეცოდინება, რომ, თითქოს, ზედმეტი დაცვის მექანიზმები ჰქონდა სახელმწიფოს, მის წყობილებას. იქ გარკვევით ნერია, მართვა-გამგეობა უცლელია იმიტომ, რომ საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკაა და ა.შ. ამავე დროს, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა უაღრესად რთული პროცედურა იყო. იმის გარდა, რომ იყო საკითხთა წრე, რომლის, ასე ვთქვათ, შეცვლა არ შეიძლებოდა, იყო საკითხები, რომლებშიც რაიმე ცვლილებების შეტანას ძალიან რთული პროცედურა სჭირდებოდა. ამ თვალსაზრისით, იგი გარკვეულ ღირებულებას წარმოადგენდა. ამიტომ მისი გათვალისწინება შეიძლება ახალი კონსტიტუციის შემუშავებისას. მისი ასე ერთი ხელის მოსმით აღდგენა-აშოქმედება და 1978 წლის კონსტიტუციის გაუქმება არ შეიძლებოდა. კონსტიტუციას აქვს არა მარტო პოლიტიკური ღირებულება, არამედ მას დიდი იურიდიული ძალა, ენერგია გააჩნია. ის არის ძირითადი კანონი, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვა საკანონმდებლო აქტები მას უნდა შეესაბამებოდეს. 1921

წლის კონსტიტუციის აღდგენას დღეს, როცა მოქმედი კანონმდებლობა არ შეგვიცვლია და ამას ერთბაშად ვერავინ გააკეთებს – დრო სჭირდება, ამიტომ გამოიწვია მან ძალიან დიდი წინააღმდეგობა. აღმოჩნდა, რომ მოქმედი კანონმდებლობის დიდი ნაწილი წინააღმდეგობაში იყო კონსტიტუციასთან და მართალია მაშინ იქ ჩაწერეს, რომ კონსტიტუციის პრინციპებთან თუკი არ მოდის წინააღმდეგობაშიო, მაგრამ თვითონ პრინციპებთან მოვიდა წინააღმდეგობაში. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია სწორედ სიკვდილით დასჯის საკითხი. კონსტიტუციით გაუქმებულია, მოქმედ კანონმდებლობაში კი არის. ასე არ შეიძლებოდა ამის გაკეთება. როცა ეს საკითხი იხილებოდა, არაერთხელ წამოვჭერი ეს პრობლემა იმ უზენაეს საბჭოშიც, სახელმწიფო საბჭოშიც და საბჭოს ბოლო სხდომაზეც ჩემი გამოსვლისას. პარლამენტში არ მომეცა შესაძლებლობა, რომ საერთოდ საქმეზე მელაპარაკა. დამტკიცების დროს სულ სხვა რაღაცები აინტერესებდათ. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს უსათუოდ უნდა შეექმნა საკონსტიტუციო კომისია, რომელიც მოამზადებდა 1921 წლის კონსტიტუციის ახალ რედაქციას. მხარს ვუჭერ 1921 წლის კონსტიტუციას, თუმცა ახალი რედაქციის შემდეგ იქიდან აღარაფერი დარჩება, გარდა ზოგიერთი არსებითი საკითხისა. თუმცა ჯერ არც საკონსტიტუციო კომისია შეუქმნია ვინმეს და მგონია, არც აპირებენ მის შექმნას. არადა, ქვეყანა ფაქტობრივად უკონსტიტუციოდ დარჩა. უკვე გვაქვს კონსტიტუციური ვაკუუმი. დღეს ვერავინ იტყვის, რომ ეს კონსტიტუცია მოქმედებს. ეს აბსურდია, მაგრამ აქედან გამოსავალი არსებობს. მართალია, შეცდომა იყო, მაგრამ მისი გამოსწორება შეიძლება. დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას საკონსტიტუციო კომისია, რომელიც მოამზადებს ახალ რედაქციას. ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ არსებული ხელისუფლება ფაქტობრივად გამოდის როგორც დამფუძნებელი ხელისუფლება და ამ კონსტიტუციის შესაბამისად, არჩევნები გაიმართება იმის მიხედვით, თუ რა საარჩევნო სისტემას დაადგენს კონსტიტუცია და შესაბამისად, როგორი საარჩევნო კანონი იქნება მიღებული. რაც შეეხება სიკვდილით დასჯას, ეს უაღრესად რთული საკითხია. შეიძლება ითქვას, რომ ალბათ არ დარჩენილა არც ერთი ცნობილი პიროვნება, თავისი აზრი არ გამოეთქვა ამის თაობაზე. ნაწილი წინააღმდეგია სიკვდილით დასჯისა, ნანილი მომხრეა. კანონმდებლის დამოკიდებულებაც ასეთია, ზოგჯერ იწონებს, ზოგჯერ აუქმებს. ყოველ შემთხვევაში, კაცობრიობას დღემდე ერთმნიშვნელოვანი პასუხი ამაზე არ გაუცია. თუმცა ისეთი ტენდენციაც არსებობს, რომ წელიწადში თითქმის ერთი ქვეყანა აუქმებს სიკვდილით დასჯას. ამავე დროს არის ისეთი შემთხვევებიც, როცა პირიქით, აღადგენენ სიკვდილით დასჯას. ამის საილუსტრაციოდ ამერიკის შეერთებული შტატების რამდენიმე შტატი გამოდგება. საბოლოო ჯამში, მცირდება იმ ქვეყნების რაოდენობა, სადაც ჯერ კიდევ შემორჩა სიკვდილით დასჯა.

ამავე დროს მცირდება იმ დანაშაულობათა წრე, რომელთა ჩადენისათვის დადგენილია სიკვდილით დასჯა. ასეთი გზით მიდის კაცობრიობის განვითარება ამ საკითხში. სხვათა შორის, 1918-1921 წლის პერიოდში შემოიღეს სიკვდილით დასჯა. თუ არ ვცდები, 1918 წლის კანონით იყო, რომ სიკვდილით დასჯა დაადგინეს 10 თუ 12 დანაშაულისათვის. 1921 წლის კონსტიტუციის მე-19 მუხლით კი გააუქმეს. როცა სიკვდილით დასჯას კონსტიტუციით აუქმებენ, ეს ნიშნავს, რომ ასე იოლად მისი შემობრუნება აღარ შეიძლება. ნებისმიერი სახელმწიფოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა კი, როგორც აღვნიშნეთ, რთული მექანიზმია. ამიტომ ისინი კარგად ითვალისწინებენ საზოგადოებრივ აზრს, რომ საზოგადოებრივი აზრი, როგორც წესი, ცალკეული პერიოდების გარდა, სიკვდილით დასჯის მომხრეა. მაგალითად, გერმანიაში ომის შემდგომ პერიოდში საზოგადოებრივი აზრი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი იყო. ეს ალბათ ომის შედეგებითაც იყო გამოწვეული. შემდგომში კიდევაც მოითხოვეს სიკვდილით დასჯა.

ასე რომ, ეს წინააღმდეგობა – სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გვაქვს სიკვდილით დასჯა, კონსტიტუცია კი კრძალავს მას, 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენამ გამოიწვია. ბუნებრივია, სასამართლო ორიენტირებულია ძირითად კანონზე, რადგანაც მას მეტი იურიდიული ძალა აქვს, ვიდრე კოდექსს. ამან პრაქტიკაში დიდი გაუგებრობა წარმოშვა. სასამართლო ერიდებოდა სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანას, რამაც უარყოფითი შედეგები გამოიღო, კერძოდ, გახშირდა თვითგასამართლების ფაქტები. საზოგადოების მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს პროცესი კიდევ უფრო გამწვავდება.

– როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი?

– რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას, ორ არგუმენტს მოგახსენებთ და სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ კანონმდებელმა ხელი აიღოს სიკვდილით დასჯაზე. უპირველეს ყოვლისა, ეს არ არის სასჯელი. იმიტომ რომ კანონმდებლობაში წერია, ეს არის სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება და დროებით გამოიყენება. კიდევ ვიმეორებ: ეს არ არის სასჯელი, რადგან სასჯელი უნდა ასრულებდეს, ასე ვთქვათ, ორ ფუნქციას. ერთი უნდა იყოს კერძო პრევენცია – კერძო გაფრთხილება და მეორე – ზოგადი პრევენცია, ე. ი. სხვა რომ გაფრთხილდეს. კერძოში იგულისხმება, როცა დამნაშავეს სჯი, შემდგომ გაფრთხილდეს, აღარ ჩაიდინოს დანაშაული და დაადგეს გამოსწორების გზას. ზოგად პრევენციაში იგულისხმება, რომ სხვებიც გაფრთხილდნენ, რადგან, თუ ისინიც ჩაიდენენ დანაშაულს – ანალოგიურად დაისჯებიან. სიკვდილით დასჯის შემთხვევაში სასჯელი პირველ ფუნქციას ვერ ასრულებს. აქ ადამიანის გამოსწორებაზე აღარ არის ლაპარაკი, იგი ფიზიკურად ნადგურდება, ე.ი. ხდება მისი პიროვნების უარყოფა. გამოდის, რომ სიკვდილით დასჯა ემ-

სახურება ერთადერთ მიზანს – საზოგადოება დააშინოს. მაგრამ ამის გაკეთება არ შეიძლება ვიღაცის სიცოცხლის ხარჯზე. ამიტომ, რადგანაც ეს ზომა მიზნად არ ისახავს პიროვნების გამოსწორებას, ის სასჯელიც აღარ არის და არც შეიძლება იყოს. მეორე მთავარი არგუმენტი კი, ჩემი აზრით, არის სასამართლო შეცდომების პრობლემა. შეცდომებისგან დაზღვეული არავინ არის. მართლმსაჯულებაც უშვებს შეცდომებს. შეუძლებელია მართლმსაჯულების ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც შეცდომებს გამორიცხავს. არსებობს უამრავი მაგალითი, როცა პიროვნება სიკვდილით დასაჯეს და აღმოჩნდა, რომ იგი არის სრულიად უდანაშაულო. ამ შემთხვევაში შეცდომის გამოსწორება – კომპენსირება შეუძლებელია. კომპენსირება შეიძლება მატერიალური ან მორალური თვალსაზრისით, მაგრამ სიცოცხლის კომპენსირება შეუძლებელი ხდება. და თუ საკითხი ასე დადგება, რომელი სჯობს: ერთი უდანაშაულო დაისაჯოს სიკვდილით და საზოგადოება გაფრთხილდეს, თუ გაუქმდეს სიკვდილით დასჯა, უპირატესობა ამ უკანასკნელს ეკუთვნის, რადგან ადამიანის სიცოცხლის ფასად ასეთი რამის მიღწევა ზნეობრივადაც და ეთიკურადაც ყოვლად მიუღებელია. ამიტომ მიმაჩნია, რომ სიკვდილით დასჯა უნდა გაუქმდეს. მაგრამ ამას საზოგადოების გარკვეული მდგომარეობა და მომზადება სჭირდება. წინა პარლამენტში მე თვითონ შევიტანე პროექტი ინიციატივის წესით და სიკვდილით დასჯა გავაუქმეთ ქონებრივი დანაშაულის ოთხ სახეობაზე. ეს იყო სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება, ყალბი ფულის დამზადება და მექრთამეობა. ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის ან ხალხის მართლშეგნებისათვის მიუღებელია პიროვნების სიცოცხლის ხელყოფა ნებისმიერი ქონებრივი დატაცების გამო. დღის წესრიგში დგებოდა საერთოდ სიკვდილით დასჯის გაუქმებაც, მაგრამ მაშინ გადაწყდა ახალი კოდექსის შექმნა და შემდგომ ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა. შემდეგ ცნობილი მოვლენების გამო, ეს საკითხი გადაიდო. მართალია, კოდექსზე მუშაობა დიდ დროს მოითხოვს, მაგრამ დღეს შეიძლებოდა ასეთი ნაბიჯის გადადგმა. სიკვდილით დასჯა შეიძლება დაგვეტოვებინა მხოლოდ ორ შემთხვევაში. ეს არის განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, როცა სიცოცხლის ხელყოფა ხდება და გაუპატიურებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში. აქვე იგულისხმება მცირეწლოვანის გაუპატიურება. აი ეს ორი რამ, რომელზეც ჯერჯერობით შეიძლება შევინარჩუნოთ სიკვდილით დასჯა. დანარჩენ შემთხვევებში უნდა გაუქმდეს. მხოლოდ ამ კუთხით თუ მივუდგებით სიკვდილით დასჯის პრობლემას.

– მაგრამ, ბატონო ჯონი, არსებობს კიდევ საზოგადოებრივი აზრი.

– რაც შეეხება საზოგადოებრივ აზრს, ამის დადგენა არ არის საჭირო. უმეტესობა მომხრეა. ამიტომ ამ შემთხვევაში საზოგადოებრივ აზრზე დაყრდნობა არაფერს მოგვცემს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოება მომხრეა სიკვდილით დასჯისა. და თუკი სიკვდილით დასჯას სავსებით გავაუქმებთ, საჭიროა სანაცვლო სასჯელი შემოვიღოთ.

– ალბათ სამუდამო პატიმრობას გულისხმობთ.

– დიახ. იმ ქვეყნებში, სადაც სიკვდილით დასჯა გააუქმეს, სამუდამო პატიმრობა შემოიღეს. თუმცა არის მოსაზრება, რომ ეს უფრო მძიმე სასჯელია, ვიდრე სიკვდილით დასჯა. იყო შემთხვევები, როცა სიკვდილით დასჯა სამუდამო პატიმრობით შეუცვალეს და მსჯავრდადებულმა თავი მოიკლა.

– არის კი საქართველო მზად იმისათვის, რომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯოს დამნაშავეს?

– დღეს არა. იმიტომ რომ ამას განსაკუთრებული რეჟიმი სჭირდება, გარკვეული მატერიალური ბაზა და შესაბამისი პირობები.

– ბატონო ჯონი, ამას წინათ პრესის საშუალებით ბრძანეთ, რომ თქვენს განთავისუფლებას პოლიტიკური სარჩული დაედო...

– დიახ, პოლიტიკური.

– რას გულისხმობდით, კონკრეტულად რა ბრალდებები წამოგიყენათ პარლამენტმა?

– ზოგადად შეიძლება ასე შევხედოთ: ჩვეულებრივ, ჩვენთან მრავალპარტიულობა არსებობს. პარლამენტში წარმოდგენილი პარტიები ცდილობენ აღმასრულებელ ხელისუფლებაში თავიანთი წარმომადგენელი გაიყვანონ. მე არც ერთი პარტიის ნევრი არ ვიყავი და, ბუნებრივია, რომელიმე პარტია ჩემი გულისათვის თავს არ მოიკლავდა. ამიტომ პოლიტიკური თვალსაზრისით თუ შევხედავთ, მოხდა ჩვეულებრივი რამ, რაც ხდება ყოველთვის. ახალი არჩევნები გაიმართა, პარლამენტი შეიქმნა და ძალთა თანაფარდობა ასე გადანაწილდა. რადგან მე არც ერთ პარტიას არ წარმოვადგენდი, ჩათვალეს, რომ არ გვჭირდება ეს მინისტრი და სჯობს მინისტრი სხვა იყოსო – ახალს უფრო ვენდობით და უფრო საიმედოდ გაუძღვება საქმესო.

– თქვენდამი უნდობლობას გარკვეულწილად იმანაც ხომ არ შეუწყო ხელი რომ წინა ხელისუფლების მინისტრიც იყავით?

– რასაკვირველია. უკვე მოგახსენეთ, პოლიტიკურად და ზოგადად როგორ შეიძლება შეფასდეს. მაგრამ ამას, რასაკვირველია, თავისი ქვეტექსტებიც აქვს.

– თუ შეიძლება, ამ ქვეტექსტების თაობაზე ორიოდ სიტყვით.

– პარტიები, რომლებიც სოლიდურად არიან წარმოდგენილი პარლამენტში, წინათ ოპოზიციური პარტიები იყვნენ. ეს ის ძირითადი ნაწილია, რომელიც წინა ხელისუფლებას ებრძოდა. მე იმ ხელისუფლებაში

მინისტრი ვიყავი. ამიტომ, რასაკვირველია, მათ აქვთ პრეტენზიები ჩემს მიმართ და მომავალშიც ექნებათ. ვფიქრობ, ეს პრეტენზიები არ არის ჩემი საქმიანობის მიმართ, რადგან მიმაჩნია, რომ ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმუმს ვაკეთებდი და არასოდეს მეცალა, დრო უქმად არ გამიტარებია. თუ შეიძლება ითქვას, მთელი დატვირთვით ვმუშაობდი და შედეგებს თუ შევხედავთ, არცთუ ცუდია. მათ ალბათ გაუჩნდათ გარკვეული ნდობის დეფიციტი. თუ რატომ, ეს მე არ ვიცი, რადგან არც ერთი მათგანი, არც ოპოზიციონერი და არც სხვა, ჩემი მოქმედებით არ დაზარალებულა. მე არც ის კაცი ვიყავი, რომელიც ზოგიერთ ხელისუფალს, ასე ვთქვათ, უმტკიცებდა მდგომარეობას. ხშირი იყო შემთხვევები, როცა ვეკამათებოდი და დიდი დავაც მქონდა ზოგიერთ სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებით პარლამენტთან, სხვებთანაც და, თუნდაც პირველ პირთან. ამიტომ რაიმე პოლიტიკური ხაზი იმ პერიოდში არ მქონია, გარდა იმისა, რომ წინააღმდეგი ვიყავი ხელისუფლების ძალით დამხობისა. და როცა შარშან შემოდგომაზე ეს ვიგრძენი, ტელევიზიითაც გამოვედი და ვთქვი, რომ არ შეიძლება საქართველოში ხელისუფლების ძალად დამხობის პრეცედენტის დაშვება, ეს იქნება დამღუპველი საქართველოსთვის. ეს განვაცხადე გარკვევით და არაორაზროვნად, იმიტომ, რომ ასეთი პრეცედენტის დაშვება არ შეიძლება, რადგან ხვალ სხვასაც მოუვა თავში ანალოგიური აზრი...

– დამამხობელი ხელისუფლების დამხობისა...

– დიახ, მით უმეტეს, იმ ქვეყნისათვის, რომელმაც იმპერიას უნდა დააღწიოს თავი, დამოუკიდებლობა მოიპოვოს, ხელისუფლების კრიზისი ყოვლად დაუშვებელია. როგორ შეიძლება იგი გარეშე ძალებს დაუპირისპირდეს, როცა შიგნით – ქვეყანაში ასეთი განხეთქილებაა და სახელმწიფო ხელისუფლება, თუ შეიძლება ითქვას, ზანზარებს ამ დაპირისპირების გამო. ამიტომ ნაბიჯი გადავდგი იქითკენ, რომ ეს დაპირისპირებული მხარეები შემერიგებინა და ყველაფერი მოლაპარაკების გზით დამთავრებულიყო. აი, თუნდაც გასულ შემოდგომაზე, იუსტიციის სამინისტროში მოლაპარაკების გამართვა ჩემი ინიციატივით მოხდა და ტელევიზიითაც გადაიცა, თუ არ ვცდები. მაგრამ ამ შეხვედრამ შედეგი არ მოგვცა. შემდეგ ოპოზიცია მოითხოვდა ჩემს გადადგომას. ფიქრობდნენ, თუ გადავდგებოდი, ეს ხელისუფლების მინუსი იქნებოდა და ოპოზიციის მხარეს დავდგებოდი, რაც მე არ გავაკეთე, რადგან მიმაჩნდა, რომ ბოლომდე უნდა მებრძოლა, თუნდაც ჩემი პოსტის გამოყენებით, რომ სისხლის ღვრა არ მომხდარიყო ხელისუფლებისთვის და ხელისუფლება ძალით არ დაემხოთ. ამიტომაც მივედი ტელევიზიაში დეკემბრის დღეებში და იმ დოკუმენტსაც მოვაწერე ხელი. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი რამ მოხდა. ამიტომ შეიძლება ბევრი განაწყენებულიყო, თუნდაც იმის გამო, რომ ასეთი პოზიცია მქონდა და გამოკვეთილად რომელიმე მხარეზე არ დავდექი.

მაგრამ მე დავდექი იმ პოზიციაზე, რასაც ჩემი სინდისი მკარნახობდა და რასაც სწორად და სამართლიანად ვთვლიდი. დღესაც ასე მიმაჩნია, ავი ღმერთმა გვაშოროს და, რამე რომ იყოს, ალბათ იგივეს გავაკეთებდი.

– ბატონო ჯონი, ყველაზე დიდი კამათი თქვენმა დანიშვნა-არ-დანიშვნამ გამოიწვია. როგორ ფიქრობთ, კონსტრუქციული იყო პარლამენტის შენიშვნები, თუ ამას უფრო ანგარიშსწორების ხასიათი ჰქონდა?

– დიახ, ეს უფრო ანგარიშსწორება იყო ჩემი ურყევი პოზიციისათვის. ჩემთვის არავის უკითხავს, რა გაკეთდა ან რა ვერ გაკეთდა. არ იყო ლაპარაკი იუსტიციის სამინისტროს ნაკლოვან მხარეებზე. მინდოდა 15 წუთი მეთხოვა და პარლამენტისათვის მომეხსენებინა, რა ვერ გაკეთდა, რა არის გასაკეთებელი, მაგრამ შევატყვე, რომ დეპუტატთა კორპუსს სულ სხვა რამ აინტერესებდა. ამიტომაც იყო უსაფუძვლო ბრალდებები თუნდაც აფხაზეთის საარჩევნო კანონის თაობაზე, რომლის შედგენაშიც მე საერთოდ არ მიმიღია მონაწილეობა. ჩემი უარყოფითი პოზიცია იმ პერიოდშიც ყველამ იცოდა. სხვა საკითხია, პოლიტიკურად იყო თუ არა გამართლებული მაშინ ასეთი კანონის მიღება, მაგრამ მე იუსტიციის მინისტრი ვიყავი და ამიტომ იურიდიული შეფასება მივეცი. ეს შეფასება კი უარყოფითი იყო. ასევე იყო აჭარის საკითხის დროსაც. დეპუტატ დიასამიძეს მიაჩნდა, რომ მე ხელი შევუწყვე აბაშიძეს. ამ დროს მიმაჩნია, რომ მე ჩემი უფლებამოსილებისთვის არ გადამიმეტებია. სხვა, მაგალითად, ვერაფერი გავიგე რა პრეტენზიები ჰქონდა ჩემს მიმართ მამუკა გიორგაძეს (ედპ). რაც შეეხება ბატონი ჯაბა იოსელიანის შენიშვნას, მე, იუსტიციის მინისტრს, არავინ მკითხავდა, პრეზიდენტის პოსტი შემოლებულიყო თუ არ შემოლებულიყო. ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება და მიიღო პარლამენტმა. რაც შეეხება კანონს პრეზიდენტის შესახებ, მიმაჩნია, რომ ეს კანონი სრულყოფილია და კონსტიტუციაშიც შევიდა ცვლილებები. პრეზიდენტი აირჩიეს სწორედ ამ გზით და კანონი, სხვათა შორის, გაკეთდა ფრანგული მოდელით. იქ არაფერია ოდიოზური და არც გადაჭარბებული უფლებები არ არის. ამიტომ ყველაფერი დაემსგავსა ანგარიშსწორებას და მაშინვე მივხვდი, რომ, რადგან პარლამენტი ჩემს მიმართ ასე იყო განწყობილი, არ დამამტკიცებდნენ. მაგრამ მინდოდა ეს შედეგი მაინც მენახა.

– ბატონო ჯონი, პრეზიდენტის არჩევა ახსენეთ. არის თუ არა დღეს, საპრეზიდენტო ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ, მზად საქართველო მისი კვლავ აღდგენისათვის?

– ხელისუფლების შესახებ კანონით, საქართველო ფაქტობრივად საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. აღმასრულებელ ხელისუფლებას ხელმძღვანელობს სახელმწიფოს მეთაური, რომელსაც პირდაპირ ირჩევენ. ამდენად,

ეს რამდენიმეუცნობიანი განტოლებაა: ვინ აირჩია ხალხმა, პარლამენტის თავმჯდომარე თუ სახელმწიფოს მეთაური?

– თუ პრეზიდენტი...

– (იცინის). ფაქტობრივად ასეა. იმიტომ რომ ჩვენ ისეთ პირობებში ვიმყოფებით, როცა უფრო მეტად მტკიცე აღმასრულებელი ხელისუფლება გვჭირდება, ძალიან მტკიცე და არა ძალიან ძლიერი პარლამენტი.

– ბატონო ჯონი, ზემოთ ხელისუფლების დამხობაზე ვსაუბრობდით. გავრცელებულია აზრი, რომ უახლოეს ხანში მოსალოდნელია კიდევ ერთი გადატრიალება, ოღონდ ვერავინ ამბობს სისხლიანი იქნება ეს გადატრიალება თუ უსისხლო. თქვენ როგორ ფიქრობთ, აქვს თუ არა საფუძველი ასეთ ხმებს?

– ქართველი კაცის სისხლი საკმაოდ დაიღვარა. არა მგონია იმდენად უგუნურნი აღმოვჩნდეთ, რომ კიდევ სისხლი დავღვაროთ. ეს არ შეიძლება. ეს სისხლის ღვრა და გადატრიალებები საერთოდ თავიდან უნდა ამოიგდოს ყველამ. რაც შეეხება იმას, თუ ვინ იქნება ხელისუფლების სათავეში, ეს თვითონ ხალხმა უნდა გადაწყვიტოს არჩევნების გზით. მე სისხლის ღვრის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ.

– ბატონო ჯონი, თქვენ აღარ ბრძანდებით იუსტიციის მინისტრი, სამაგიეროდ, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის პოლიტიკური მდივანი ბრძანდებით. რამ განაპირობა თქვენი ესოდენ დაახლოება ამ კავშირთან და, უფრო მეტიც, მის ხელმძღვანელ აპარატში ყოფნა?

– იმის შემდეგ, რაც პარლამენტმა მინისტრად არ დამამტკიცა, ვაგრძელებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას, დოცენტი გახლავართ. რაც შეეხება ჩემს პოლიტიკურ ორიენტაციას, ასე გადავწყვიტე. რა თქმა უნდა, ამას აქვს თავისი ზნეობრივი და პოლიტიკური საფუძველი, იმ თვალსაზრისით, რომ ტრადიციონალისტთა კავშირთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა, არა მარტო პიროვნულად, არამედ მსოფლმხედველობრივადაც, რომელიც, ჩემი აზრით, ძალზე საინტერესოა, უფრო მეტიც, მისაღები არის გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში. დადგება იმის დროც, როცა ეს იდეები ბოლომდე განხორციელდება. ეს ნაბიჯი იმანაც გადამადგმევინა, რომ ძალიან ახლო და კეთილი დამოკიდებულება მქონდა და მაქვს პიროვნებებთან, რომლებიც ტრადიციონალისტთა კავშირში არიან. ამასთან, კავშირს სათავეში უდგას ბატონი აკაკი ასათიანი, რომელიც იყო უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, შემდგომ თავმჯდომარე და მე, როგორც იუსტიციის მინისტრს, ძალიან ახლო კონტაქტები, საქმიანი ურთიერთობა მქონდა მასთან. სწორედ ამ სამართალშემოქმედებით პროცესში ვიყავი ჩაბმული და მასში ვხედავდი პიროვნებას, რომელსაც ძალიან კარგად ესმოდა ეს საკითხები, დემოკრატიულად ორიენტირებული იყო, ჰუმანური, უაღრესად განათლებული,

ფართო დიაპაზონის მქონე სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც მთელი თავისი შეგნებით ცდილობდა, სახელმწიფოებრივი მშენებლობისათვის და ეროვნული ინტერესების დაცვისათვის მაქსიმალურად შეეწყო ხელი. ამიტომაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის ის, თუ ვინ იყო ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ერთ-ერთი მთავარი პირობა ჩემი ამ კავშირში მოსვლისა სწორედ ეს იყო. რაც შეეხება პოლიტიკურ მდივნობას, მე ამაზე არც მიფიქრია. ვფიქრობდი, რომ ტრადიციონალისტთა კავშირში წევრად მიმიღებდნენ, მათთან ერთად ვიქნებოდი და პოლიტიკურ ცხოვრებაში მივიღებდი მონაწილეობას, მაგრამ საკითხი ჩემთვის სრულიად მოულოდნელად ასე გადაწყდა. ვთვლი, რომ პატივი დამდეს და ეს დიდი ნდობა ძალიან ბევრს მავალებს. ყოველნაირად შევეცდები, რომ ჩემი ხელი დავატყო ტრადიციონალისტთა კავშირს.

– სამომავლოდ რის გაკეთებას აპირებთ?

– მინდა აქტიურად ჩავება პოლიტიკურ ცხოვრებაში და ჩემი სიტყვითაც, თუკი ანგარიშგასაწევი იქნება ტრადიციონალისტთა კავშირში, ხელი შევუწყო იმას, რომ კავშირის პოზიცია ყოველთვის იყოს სამართლიანი, სწორი და ქვეყნისთვის სასიკეთო. ეს არის მტკიცე, ეროვნულ ნიადაგზე მდგარი პარტია და, ვფიქრობ, ჩემი სიტყვა და საქმე შევაშველო, რომ ჩვენი იდეები მაქსიმალურად მისაღები იყოს ხალხისათვის, ტრადიციონალისტთა კავშირს პოლიტიკურ ცხოვრებაში ღირსეული სახელი ჰქონდეს.

– დიდ მადლობას მოგახსენებთ საინტერესო საუბრისათვის.

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის
პოლიტიკურ მდივანს **ჯონი ხეცურიანს**
ესაუბრება გაზეთ „ფარაონის“ რედაქტორი **ბონდო მძინარაშვილი**

გაზეთი „ქართველი ერი“, №10, 1993 წელი, იანვარი.

საკანონმდებლო საქმიანობას იურისტი უნდა ასრულებდეს

– ბატონო ჯონი, ალბათ შემთხვევითი არ არის, ქუთაისში რომ იყრით კენჭს...

– ქუთაისელი ვარ. დავამთავრე 31-ე საშუალო სკოლა. ჩემი მშობლები იქ ცხოვრობენ, ცენტრალურ სტადიონთან. ქუთაისში ვმუშაობდი 1980-82 წლებში. ამდენად, ქუთაისი ჩემი მშობლიური ქალაქია. ქუთაისმა დიდი როლი შეასრულა ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში. თუ დეპუტატად ამირჩევენ, მინდა სამსახური გავუწიო ქუთაისს და ქუთაისელებს. ახლა იქ ისეთი ვითარებაა, დახმარება ნამდვილად სჭირდება ქალაქსაც და ხალხსაც. ეფიქრობ, იმ დეპუტატმა, რომელსაც აირჩევენ, უნდა შეძლოს ამ პრობლემების მოგვარება. პარლამენტში ეს საქმე იურისტს უფრო ეხერხება. პარლამენტარის საქმიანობა ეს არის კანონშემოქმედებითი საქმიანობა, რომელსაც იურისტი უნდა ასრულებდეს. ქუთაისში დღეს მწვავედ დგას ეკონომიკური რეფორმის, განათლების სისტემის რეფორმის განხორციელების, სოციალური პრობლემების გადაჭრის საკითხები, მინდა დაგარწმუნოთ, რომ ამ პრობლემების მოგვარება, მხოლოდ ქუთაისის სინამდვილეში ვერ მოხერხდება, თუ რესპუბლიკური მასშტაბით სათანადო სამართლებრივი ბაზა არ შეიქმნა. ამიტომ თავს ნუ მოვიტყუებთ, რომ ქუთაისში შეიძლება ოაზისის შექმნა, თუ საერთოდ რესპუბლიკაში არ გამოსწორდება მდგომარეობა.

– დღეს, ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, პოლიტიკური და სოციალური ვითარება უაღრესად გამწვავებულია. ამ ვითარებაში პარლამენტმა თავისი გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას, თქვენი აზრით, რა არის ის მთავარი, რაც პარლამენტმა უნდა მოიმოქმედოს?

– უწინარეს ყოვლისა პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტა. რას ვგულისხმობ ამაში? სახელმწიფო ხელისუფლების მოწყობის ის მოდელი, რომელიც დღეს საქართველოში მოქმედებს, როგორც ცენტრალური ისე ადგილობრივი ხელისუფლებისა, დროებითია, სიტუაციით არის ნაკარნახევი და ამდენად, არამყარია. ამიტომ არის, რომ ხელისუფლება ცენტრშიც და ადგილებზეც არ იგრძნობა, შესაბამისად, არ წყდება ეკონომიკური, სოციალური და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები, რომელთა გადაჭრაც მტკიცე სახელმწიფო ხელისუფლების პირობებშია შესაძლებელი. საჭიროდ მიმაჩნია, მაქსიმალურად დაჩქარდეს ახალ კონსტიტუციაზე მუშაობა და მისი მიღება, ქვეყანა უნდა ცხოვრობდეს არა ცალკეული პიროვნებების (რაგინდ დიდი ავტორიტეტიც უნდა ჰქონდეთ მათ), არამედ კონსტიტუციის, ძირითადი კანონის რეჟიმით.

– პარლამენტს ბევრი აკრიტიკებს და არცთუ უსაფუძვლოდ. ეს მათ საქმიანობას (და აქედან გამომდინარე ქვეყანასაც) ეტყობა. რა მიგაჩნიათ ამის ძირითად მიზეზად?

– ამის მიზეზი არის პარლამენტის თვისებრივი შემადგენლობა. მასში სჭარბობენ ადამიანები, რომლებსაც განათლების ცენზის გამო, ხელარეწიფებათ კანონშემოქმედება. ამიტომ არის, რომ ისინი განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენენ ისეთი პრობლემების ირგვლივ, რომლებიც პარლამენტის გადასაწყვეტი სულაც არ არის. კანონმდებლობა კი მოუწესრიგებელია. რიგ სფეროებში საკანონმდებლო აქტები საერთოდ არ გაგვაჩნია. სადაც გვაქვს, ისინიც ძირფესვიან გადახალისებას საჭიროებენ. შეიძლება თამამად ითქვას, ცხოვრება მოუწესრიგებელია, რადგანაც კანონმდებლობაა მოუწესრიგებელი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კანონი – მოქალაქეობის შესახებ – რომელიც პარლამენტმა მიიღო, არის ტრადიციონალისტთა კავშირის მიერ შემუშავებული კანონპროექტი. ჩვენს დეპუტაციას დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ პარლამენტს ეს კანონი მიეღო. არადა, ტრადიციონალისტთა კავშირი ოპოზიციური პარტიაა და მას დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, სულაც არ ევალება კანონპროექტებით გაანებივროს პარლამენტი. ეს მმართველი პარტიების უშუალო მოვალეობაა, მაგრამ სახელმწიფოებრივი მშენებლობის ინტერესები ჩვენთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე პარტიული და სწორედ ამით არის ნაკარნახევი, რომ აქტიურად ვმონაწილეობთ ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო პრობლემების გადაწყვეტაში.

ჩემთვის პიროვნული ფაქტორი არ არსებობს, როცა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტასთან გვაქვს საქმე. პარტიულობისა თუ მის მიმართ ჩემი ადრინდელი დამოკიდებულების მიუხედავად, მე ვითანამშრომლებ ყველასთან, ვისთვისაც ძვირფასია ქვეყნისათვის სამსახური. ხოლო თუ ისინი არ მოისურვებენ ჩემთან თანამშრომლობას და ვიწრო პარტიული ინტერესებითა და ამბიციებით იხელმძღვანელებენ, ამას ხალხი დაინახავს და, როგორც ყოველთვის, იგი იქნება უმაღლესი მსაჯული მტყუანისა და მართლის გარჩევაში.

– დეკემბერ-იანვრის ამბები საზოგადოებისათვის აქტუალურ თემად რჩება, ერთია, ვინ როგორ აფასებს მას, ბოლოს და ბოლოს იგი მხოლოდ „მოვლენად“ ხომ არ უნდა დარჩეს?..

– ამ მოვლენას შეფასება უნდა მისცემოდა. ეს, უწინარეს ყოვლისა, პარლამენტს უნდა გაეკეთებინა. ჩემი აზრით, პარლამენტმა ეს ვერ მოახერხა იმიტომ, რომ მას არ ეყო სათანადო არგუმენტები სახალხო აჯანყების თუ დემოკრატიული რევოლუციის დასასაბუთებლად. არადა, ეს იყო, სამხედრო ძალის გამოყენებით, ტიპიური სახელმწიფო გადატრიალება, რასაც თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები ჰქონდა. მაგრამ რა მიზეზებიც უნდა ყოფილიყო, არამც და არამც არ შეიძლებოდა ასეთი პრე-

ცედენტის დაშვება. მან განუზომელი ზიანი და ვნება მიაყენა ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის, საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საქმეს. ახლა ჩვენ ამის უარყოფით შედეგებს ვიმკით საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. ჩემი პოზიცია მოვლენების პროცესში არაერთხელ განმიცხადებია და ახლაც ვიმეორებ: ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ქართველს ქართველის სისხლი არ დაეღვარა.

1991 წლის სექტემბერში უზენაესი საბჭოს სესიაზე ვთქვი, პოლიტიკური დაპირისპირება ისეთ ხასიათს იღებს, რომ, თუ ამ ძალებს შორის არ მოხდა გარკვეული კომპრომისი, სამოქალაქო ომი გარდუვალი იქნებამეთქი. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ ამის სურვილი არც ერთ მხარეს არ აღმოაჩნდა.

– პოლიტიკური კატაკლიზმები უშუალო კავშირშია დამნაშავეობის ზრდასთან...

– ჩემს გამოსვლებში არაერთხელ აღმინიშნავს, რომ დამნაშავეობის ასეთ არნახულ ზრდას სოციალურ-ეკონომიკურ, ზნეობრივ ფაქტორებთან ერთად პოლიტიკური ასპექტიც ახლავს. კერძოდ, სახელმწიფო ხელისუფლების არაორგანიზებულობა, რაც სახელმწიფო ძალაუფლების სისუსტესა და უნიათობაში გამოიხატება. როგორი კარგი კანონიც უნდა მივიღოთ, თუ მათი შესრულება უზრუნველყოფილი არ არის სახელმწიფოებრივი მექანიზმით, სახელმწიფო იძულების გამოყენებით, რომლის ფარგლებიც დადგენილი უნდა იყოს იმავე კანონებით, დამნაშავეობის ზრდის ტემპისა და მასშტაბების შემცირების იმედი არ უნდა გვქონდეს.

– კომუნისტური რეჟიმის დროს იუსტიციის სამინისტროს მეორეხარისხოვანი ფუნქცია ეკისრებოდა. ამჟამად მისი როლი სულ სხვაა...

– ვფიქრობ, რომ იუსტიციის სამინისტროს როლი და მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება, თუ ჭეშმარიტად სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზას დავადგებით. იმ ორი წლის მანძილზე, როცა ვხელმძღვანელობდი იუსტიციის სამინისტროს, მომზადდა 161 სამართლებრივი აქტის პროექტი. აქედან 59 საკანონმდებლო აქტი იყო. საფუძველი ჩაეყარა სასამართლო რეფორმის განხორციელებას, რომელიც მთელი სამართალდამცავი ორგანოების სტრუქტურულ და ფუნქციურ ცვლილებებს გულისხმობდა. კანონმდებლობის ცალკეულ დარგებში დაიწყო ახალი კოდექსების შემუშავება. ეს პროცესები დღეს შედარებით მინელდა, რის მიზეზად მიმაჩნია ის, რომ თვით პარლამენტმა, როგორც საკანონმდებლო ორგანომ, ვერ გაიცნობიერა თავისი უპირველესი ფუნქცია-დანიშნულება და ამდენად, სუსტია მისი კავშირები და მომთხოვნელობა აღმასრულებელი ხელისუფლების იმ სტრუქტურასთან (მხედველო-

ბაში მაქვს იუსტიციის ორგანოები), რომლის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია სწორედ კანონპროექტების მომზადებაა.

– ბატონო ჯონი, ასეთ მწვავე ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებაში, პურის რიგში მდგარ, უსახსრობით განამებულ ხალხს საკანონმდებლო თემაზე საუბარი შეიძლება უადგილოდაც მოეჩვენოს. უფრო აინტერესებს, როდის გაუმჯობესდება მათი ეკონომიკური მდგომარეობა...

– კავშირი კი – კანონმდებლობასა და ამ სოციალურ პრობლემებს შორის – უშუალოა. მთავრობას უნდა ჰქონდეს სოციალური და ეკონომიკური პროცესების განვითარების პროგრამა, რომლის განხორციელებაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობით. ჯერჯერობით არც მთავრობას და არც პარლამენტს ასეთი პროგრამა არ გააჩნია. ამიტომ ეკონომიკური რეფორმა, სოციალური საკითხების გადაწყვეტაც, წინასწარ გააზრებული და სათანადოდ დამტკიცებული პროგრამებისა და შესაბამისი საკანონმდებლო უზრუნველყოფის გარეშე მიმდინარეობს. შეიძლება ითქვას, თვითდინებაზეა მიშვებული. სწორედ ამის შედეგია სოციალური დაძაბულობა და ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა მოსახლეობა და ქვეყანა სოციალური აფეთქების რეალური საფრთხის წინაშე დააყენა. ამას ემატება საგარეო ურთიერთობების მოუწესრიგებლობა, კერძოდ ის, რომ ამჟამინდელმა ხელისუფლებამ დღემდე ვერ მოაგვარა ურთიერთობა რუსეთთან – ჩვენს უშუალო მეზობელთან. არადა, საგარეო პოლიტიკა ხელისუფლებას, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამით უნდა დაეწყო.

– ეს საკითხი ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ იქნებ მოკლედ მაინც შევეხოთ ჩვენს ერთ-ერთ უპირველეს სატკივარს - აფხაზეთსა და სამეგრელოს...

– ხელისუფლებამ უხეში შეცდომა დაუშვა, როცა სამეგრელოში დამსჯელი რაზმები შეიყვანა. ამით მან პრაქტიკულად ხელი აიღო პოლიტიკური მეთოდებით საშინაო პრობლემების მოგვარებაზე და მიმართა შიშველ ძალას, რამაც ეს პრობლემა კიდევ უფრო გაამწვავა და ამის შედეგად, სამეგრელოს რეგიონი გამოვიდა ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციიდან.

აფხაზეთთან დაკავშირებითაც უხეში შეცდომა დაუშვა, როცა შეიარაღებული ძალის მეოხებით, ხელისუფლება დაგროვილი პრობლემების გადაწყვეტას შეეცადა. აფხაზეთში ხელისუფლებამ ძალის გამოყენებას ისე მიმართა, რომ წინასწარ არ ჰქონდა გააზრებული მისი შესაძლო საშინაო და საგარეო შედეგები.

ამ საკითხის გადაწყვეტა ისევ და ისევ საგარეო პოლიტიკას უკავშირდება, კერძოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთთან ურთიერთობის გარკვევას. აფხაზეთის პრობლემა მიგვანიშნებს, თუ რაოდენ პირველი

რიგის ამოცანა იყო ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობის დროული გარკვევა. ქვეყნის შიგნით კი ამ პრობლემის გადაწყვეტა უნდა ეფუძნებოდეს ქართველი და აფხაზი ხალხების ერთობას, ერთიანი, განუყოფელი სახელმწიფოს ფარგლებში მშვიდობიან თანაარსებობას.

– ბატონო ჯონი, მოდით დავუბრუნდეთ უფრო სასიამოვნო თემას – ქუთაისს, ქუთაისელები ოპტიმისტები არიან, თქვენ?

– საქართველოს ისტორიაში ქუთაისს არაერთხელ შეუსრულებია უმნიშვნელოვანესი როლი ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში. ქართველი ერის არსებობის მძიმე პერიოდში სწორედ ქუთაისიდან იწყებოდა ერის გამთლიანების სასიკეთო პროცესები. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ქართველი ხალხის ცხოვრებაში ქუთაისი თავის ჩვეულ როლს შეასრულებს.

გაზეთ „ქართველი ერის" კორესპონდენტი ესაუბრა
ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის პოლიტიკურ მდივანს,
ბატონ **ჯონი ხეცურიანს**

გაზეთი „ქართველი ერი", №22, 1993 წელი, ივნისი.

დეპუტატობის კანდიდატი ჯონი ხეცურიანი

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის პოლიტიკური მდივანი

დაიბადა 1951 წელს. დაამთავრა ქუთაისის 31-ე საშუალო სკოლა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და ეკონომიკის ფაკულტეტები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურა. იურიდიული მეცნიერების კანდიდატია, გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის ხუთი წიგნი, არის პრემიის ლაურეატი მეცნიერების დარგში, ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი.

1989 წელს ჯონი ხეცურიანმა პრინციპული, მამულიშვილური პოზიცია დაიკავა 9 აპრილის ტრაგედიის გარემოებათა გამოძიების დროს და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ მოვლენის ობიექტური შეფასებისა და გაშუქების საქმეში.

1990-1992 წლებში იგი იყო საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე, ხოლო ეროვნული ხელისუფლების დროს – იუსტიციის მინისტრი.

პარლამენტის წევრად ჯონი ხეცურიანის არჩევის შემთხვევაში, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს შეემატება დიდად ერუდირებული და ეროვნული პოზიციის მქონე წევრი, რომელიც ღირსეულად დაიცავს როგორც სრულიად საქართველოს, ისე თავისი მშობლიური ქუთაისის ინტერესებს.

შტრიხები პორტრეტისათვის

– ბატონო ჯონი, ყველა კანდიდატი რაღაც პროგრამით გამოდის, მაგრამ ვიდრე პროგრამამდე მივიდოდეთ, ვთქვათ, რაში სჭირდება ცნობილ იურისტ ჯონი ხეცურიანს პარლამენტის წევრობა, მით უმეტეს, ასეთი არაპოპულარული პარლამენტისა?

– პარლამენტი მართლაც არაპოპულარულია, არსებობის მანძილზე მან უფრო მეტი გააკეთა თავისი დისკრედიტაციისათვის, ვიდრე სამართალშემოქმედებისათვის, რაც მისი უშუალო და მთავარი ფუნქციაა.

ჩემი აზრით, ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ დეპუტატთა კორპუსის აბსოლუტურ უმრავლესობას არ გააჩნია სათანადო იურიდიული ცოდნა და მომზადება. ასეთი ცოდნა და მომზადება კი აუცილებელი პირობაა კანონპროექტებზე მუშაობისას. სწორედ ამიტომაა, რომ პარლამენტარები უმთავრესად კანონპროექტებზე კი არ მსჯელობენ და კანონ-

შემოქმედებითი საქმიანობით კი არ არიან დაკავებული, არამედ ისეთ საკითხებზე კამათობენ, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში საერთოდ არ არის პარლამენტის გამგებლობის საგანი.

მე, რასაკვირველია, დეპუტატისათვის განათლების ცენზის შემოღების წინააღმდეგი ვარ, მაგრმ ყოველთვის ვიზიარებდი პრინციპს, რომ პური მეპურემ უნდა გამოაცხოს.

სხვა წარმომადგენლობით ორგანოს, პარლამენტის გარდა, სადაც კანონშემოქმედების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს, დემოკრატიული აზროვნება და სახელმწიფოებრივი მშენებლობის პრაქტიკა არ იცნობს. ამიტომ, რაგინდ ცუდი შემადგენლობისაც არ უნდა იყოს პარლამენტი, იურისტმა, მით უმეტეს, ვისაც კანონშემოქმედებითი საქმიანობა ხელეწიფება, უარი კი არ უნდა თქვას მასში მონაწილეობაზე, არამედ შეეცადოს, თავისი ცოდნითა და გამოცდილებით გარკვეული წვლილი შეიტანოს იმ საკითხების გადაჭრაში, რომელთა მოგვარება პარლამენტს უჭირს. ქვეყნისა და პროფესიული ინტერესები უფრო მაღალია, ვიდრე პირადი სიმპათიები და ანტიპათიები.

აი ამის გამო გადავწყვიტე, რომ კენჭი ვიყარო ამ, თუნდაც არაპოპულარულ, პარლამენტში.

კომენტარის მაგიერ: *ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში, მსოფლიო დემოკრატიული აზროვნების ამ ერთგვარ ალმამატერში, კონგრესმენთა და სენატორთა 80-90 პროცენტი იურისტები და ეკონომისტები არიან. ასეა ყველა განვითარებულ ქვეყანაში.*

– ამ პარლამენტმა თქვენ არ დაგამტკიცათ იუსტიციის მინისტრის პოსტზე. ელოდით მოვლენების ასეთ განვითარებას თუ დაგრჩათ წყენის გრძნობა?

– ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში ადამიანს წყენა ეუფლება. მეც ასეთი გრძნობა გამიჩნდა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ასეთ შედეგს არ ველოდი.

– რატომ?

– პარლამენტში 11 ოქტომბრის არჩევნების შედეგად, ძირითადად მოვიდნენ ის ძალები, რომლებიც ადრინდელ ხელისუფლებას ოპოზიციაში ედგნენ. მათი დამოკიდებულება ეროვნული ხელისუფლების მიმართ გადაჭარბებულად უარყოფითი იყო. ისინი წინააღმდეგი იყვნენ ყველაფრისა, რაც მაშინ კეთდებოდა, თუნდაც ეს ყოფილიყო ქვეყნისათვის ობიექტურად სასიკეთო. მე იმ ხელისუფლებაში იუსტიციის მინისტრის პოსტი მეკავა და, შესაბამისად, აქტიურად ვმონაწილეობდი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

აქედან გამომდინარე, ვგრძნობდი, რომ ჩემი პიროვნების, როგორც ძველი ხელისუფლების წარმომადგენლის მიმართ, დეპუტატთა კორპუსის ნაწილს უარყოფითი დამოკიდებულება ექნებოდა. მეტიც, მე სამი

დღით ადრე ვიცოდი, რაც მოხდებოდა. ამის მიუხედავად, ჩემი კანდიდატურა არ მოვხსენი და ამით პარლამენტის მსჯელობის საგნად გავხადე როგორც ჩემი პიროვნება, ისე ჩემ მიერ გაწეული საქმიანობა, რადგანაც მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ მე ერთი პიროვნების მინისტრი კი არ ვყოფილვარ, არამედ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრი ვიყავი და კეთილსინდისიერად ვემსახურებოდი ჩემს ხალხს.

მსურდა, საჯაროდ და სახალხოდ თქმულიყო იმ პრეტენზიების შესახებ, რომლებიც წინა ხელისუფლების ოპოზიციას გააჩნდა ჩემ მიმართ და იმ საკანონმდებლო საქმიანობის მიმართ, რომელსაც ჩვენ ვახორციელებდით. რა გამოვიდა?

პარლამენტში ვერ დაასახელეს წინა ხელისუფლების მიერ მიღებული ვერც ერთი კანონი, რომელიც ანტიდემოკრატიული და გასაუქმებელი იქნებოდა. ხოლო მთავარი ბრალდება, რომელიც ჩემს საწინააღმდეგოდ გაისმა, აღმოჩნდა შემდეგი: თურმე ერთ ღამეში ვქმნიდი კანონებს. ეს კი, ჩემი აზრით, უფრო ქათინაურია, ვიდრე ბრალდება. სხვათა შორის, კანონები მეწარმეობის, ბანკებისა და საბანკო საქმიანობის, ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ, სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ, სასამართლო წყობილების შესახებ და მრავალი სხვა, ჩვენ მიერ მიღებული, დღესაც მოქმედებს.

– მართლა ერთ დღეში წერდით კანონებს?

– იყო შემთხვევა, იმ ექსტრემალური პირობებიდან გამომდინარე, რომელშიც ჩვენ ვიყავით, მართლაც ერთ ღამეში გაკეთებულა კანონი. იმ პერიოდში იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადდა 161 სამართლებრივი აქტი. აქედან კანონის რანგისა იყო 59. ჯერჯერობით ახალი პარლამენტის მიერ ამის მესამედიც არ არის გაკეთებული.

მე ახლაც არ შემიწყვეტია კანონებზე მუშაობა. პროექტი კანონისა მოქალაქეობის შესახებ ჩვენ მიერ იქნა შემუშავებული და ტრადიციონალისტთა კავშირმა შეიტანა პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის სახით. პარლამენტში კი ყველაფერი ისე შეცვალეს, რომ ფაქტობრივად ვერ მოქმედებს. აი ამიტომ არის საჭირო სათანადო კომპეტენცია.

მინაწერი: *სხვათა შორის, ჯონი ხეცურიანს ბრალდებად ისიც წაუყენეს, ასლან აბაშიძე აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ რატომ აირჩიეო. არადა, იგივე პარლამენტარები რამდენიმე თვის შემდეგ გუნდგუნდად ეწვივნენ ასლან აბაშიძეს ბათუმში და დითირამბები უძღვნეს ლექსად თუ პროზად.*

– და მაინც როგორი გრძნობით მიდიხართ პარლამენტისაკენ?

– იცით, ის დაწყებული საქმე, რომელიც ეროვნული კანონმდებლობის ჩამოყალიბებას ეხება, ბოლომდე უნდა მივიდეს, რამეთუ საზოგადოებრივი ცხოვრება ჩვენთან იქამდე არ მოწესრიგდება, ვიდრე კანონმდებლობას არ მოვაწესრიგებთ. ვფიქრობ, აქ პროფესიონალიზმს პირადი

ამბიციები წინ ვერ დაუდგება. მე ვითანამშრომლებ ყველასთან, მიუხედავად მისი პარტიულობისა და ჩემთან ადრინდელი ურთიერთობისა, ვისაც ჭეშმარიტად სურს ქვეყნის ინტერესებისათვის სამსახური.

– ამბობენ, რომ თქვენ მას შემდეგ ჩაუდექით ხელისუფლებას ოპოზიციაში, რაც თანამდებობაზე აღარ დაგამტკიცეს...

– მე უთანხმოებები მაშინაც მქონდა ხელისუფლებასთან, როცა თანამდებობაზე ვიყავი. კერძოდ, წინააღმდეგი ვიყავი იმ ამნისტიისა, რომლის ძალითაც დაახლოებით 4000 კაცი გაათავისუფლეს და დამნაშავეთა სამყაროს შემატეს.

– კი მაგრამ, იუსტიციის მინისტრმა ხელი არ უნდა მოაწეროს ამნისტიას?

– ამნისტია არის უმაღლესი ხელისუფალის აქტი. იუსტიციის მინისტრი გამოთქვამს მოსაზრებას, რომელიც შეიძლება გაიზიარონ ან არ გაიზიარონ. ამ შემთხვევაში ჩემი მოსაზრება არ გაიზიარეს.

მე წინააღმდეგი ვიყავი ხელისუფლების იმ კანონისა, რომლის შესაბამისადაც არის დღეს მოწყობილი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები საქართველოში. წინააღმდეგი ვიყავი იმიტომ, რომ ეს მოდელი ძირშივე ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს, იგი არადემოკრატიულია და არაეფექტიანი. ამის შედეგებს დღეს ყველანი ვხედავთ ხელისუფლების კრიზისის სახით.

საქმე იმაშია, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ფაქტობრივად და იურიდიულად მოქცეულია ერთი პიროვნების ხელში. დღეს ბატონი ედუარდ შევარდნაძე ერთდროულად არის პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური, მმართველობის სისტემის, ე. ი. აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, უმაღლესი მთავარსარდალი, რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირი, ნიშნავს მოსამართლეებს. ასეთი რამ უპრეცედენტოა სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს თეორიასა და პრაქტიკაში. ამ რეგალიების მიუხედავად, სახელმწიფოს მეთაური უშუალოდ არც პარლამენტის და არც მთავრობის საქმიანობას არ ხელმძღვანელობს. ამდენად, იგი იურიდიულად პასუხისმგებელია როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების მუშაობაზე. ფაქტობრივად კი არაფერზე არ აგებს პასუხს.

დავუბრუნდეთ კითხვას. როგორც ხედავთ, მე საწინააღმდეგო აზრი გამაჩნდა ხელისუფლების მოქმედებაზე მაშინაც, როცა ხელისუფლებაში ვიყავი. მაგრამ მიმაჩნდა და დღესაც მიმაჩნია, რომ საკუთარი განსხვავებული აზრი შეიძლება გამოხატო სათანადო დონეზე.

– დავუბრუნდები კანონს ხელისუფლების შესახებ. თქვენ როგორი კანონი გსურდათ გეხილათ?

– სხვათა შორის, ეს საკითხი, კერძოდ, ხელისუფლების მოწყობის საკითხი კარგადაა გადაწყვეტილი 1921 წლის კონსტიტუციაში. კრიტი-

კასთან ერთად მე მაშინ გამოვთქვი აზრი, რომ დავბრუნებოდით ამ მოდელს, მით უფრო, რომ საუბარი იყო ამ კონსტიტუციის აღდგენაზე. 1921 წლის კონსტიტუციით გათვალისწინებული ხელისუფლების მოწყობის მოდელი, ერთი მხრივ, სამართლებრივი სახელმწიფოს იდეასაც შეესაბამება და მეორე მხრივ, საქართველოში დღეს არსებულ პოლიტიკურ რეალობებსაც მიესადაგება.

ამ მოდელის თანახმად, საქართველო პარლამენტური რესპუბლიკაა. ხალხი ირჩევს წარმომადგენლობით ორგანოს – პარლამენტს, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას. პარლამენტი ქმნის მთავრობას, რომელიც მეთაურობს აღმასრულებელ ხელისუფლებას და პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე. მთავრობას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც ეკისრება რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობა და ამდენად, იგი სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციებს ნაწილობრივ ასრულებს, ხოლო სასამართლო ხელისუფლებას მეთაურობს ერთი უმაღლესი სასამართლო – სენატი, რომელსაც ამავე დროს დაკისრებული აქვს კონსტიტუციური კონტროლის ფუნქცია. ხელისუფლება და სამივე შტო გამიჯნულია. მათ შორის არსებობს ურთიერთკონტროლისა და ურთიერთშეკავების მექანიზმები. ხელისუფლების უზურპირება გამორიცხულია. ადამიანის და ეროვნული უმცირესობის უფლებები აღიარებული და გარანტირებულია. ქვეყანა უნიტარული სახელმწიფოა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ზოგიერთი მხარისათვის ავტონომიის უფლებების მინიჭებით, როგორც ვხედავთ, უაღრესად ნათელი, მარტივი, ეფექტიანი და ქმედითი მოდელია გამონახული სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა და ტერიტორიული მოწყობისათვის. ამ მოდელის მომხრე ვარ დღესაც და ჩემი დასაბუთებანი უკვე წარვადგინე საკონსტიტუციო კომისიაში.

– მართლაც, როგორ მიდის მუშაობა საკონსტიტუციო კომისიაში?

– მე ვხელმძღვანელობ კონსტიტუციური კონტროლის კონცეფციის შემმუშავებელ ჯგუფს. ჩვენ უკვე გავაანალიზეთ მსოფლიო ქვეყნების პრაქტიკა კონსტიტუციური კონტროლის ინსტიტუტის თაობაზე. ჩამოვაყალიბეთ ის ძირითადი პრინციპები, რომლებმაც საქართველოში კონსტიტუციური რეჟიმის განხორციელება უნდა უზრუნველყონ ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ.

მე ვერ გეტყვით, სხვა ჯგუფები როგორ მუშაობენ, მაგრამ ყველა მათგანის წინაშე მაინც დგას ერთი ამოცანა: პირველ რიგში, უნდა გადაწყდეს საკითხი სახელმწიფო მმართველობისა და სახელმწიფო წყობილების შესახებ. ე. ი., ყველამ უნდა გავიგოთ, თუ რა სახელმწიფოში გვინდა ცხოვრება და რა სახელმწიფოს ვაშენებთ. ამის შემდეგ უნდა გადაწყდეს სხვა კონკრეტული საკითხები. ამ მთავარი საკითხის გადაწყვეტას უახლოეს დღეებში მიეძღვნება კომისიის სხდომა და საერთოდ, უნდა დაჩქარ-

დეს კონსტიტუციის პროექტზე მუშაობა, რადგან საქართველო დღეს მის გარეშე ცხოვრობს. სამხედრო საბჭოს მიერ 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენას მხოლოდ სიმბოლური ხასიათი ჰქონდა. რეალურად მას ერთი დღეც არ უმოქმედია.

– ბევრს აინტერესებს, თუ რამ გამოიწვია თქვენი მისვლა ტრადიციონალისტთა კავშირში.

– უწინარეს ყოვლისა, მსოფლმხედველობრივმა სიახლოვემ. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი იღვწის ერთიანი, ძლიერი, განუყოფელი ქართული სახელმწიფოს აღორძინებისათვის. ამასთანავე, ამ პრობლემის გადაწყვეტის აუცილებელ პირობად მიაჩნია ქართული ნაციონალიზმი, ქართული ტრადიციების აღორძინება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირს საქართველოს უახლეს ისტორიაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებში, ჩემი აზრით, ყველაზე სწორი პოზიცია ეჭირა. იგი წინააღმდეგი იყო ხელისუფლების ძალით დამხობისა და ქართველთა შორის სისხლის ღვრისა. მიმაჩნია, რომ იგი დღესდღეობით არის ერთადერთი პარტია იმ მრავალრიცხოვან პარტიათა შორის (რომელთა სახელებიც კი არ იცის ზოგჯერ ხალხმა), რომელსაც გააჩნია ღრმად გააზრებული და მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამები საქართველოს წინაშე მდგარი უმწვავესი საკითხების მოგვარებისათვის. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე მეთანამშრომლა ამ კავშირთან, როგორც პოლიტიკურ ძალასთან და ჩემი გარკვეული წვლილი შემეტანა მისი პროგრამების განხორციელებაში.

თანაც აკაკი ასათიანთან, გიზო კორძაძესთან, თემურ ბასილიასთან კეთილი ურთიერთობები მაკავშირებდა და მიმაჩნია, რომ ისინი ქვეყნისთვის თავდადებული ადამიანები არიან.

ქუთაისი და ოჯახი

– გარემოებათა გამო, ბევრ ქუთაისელს სურს, რომ პარლამენტში თავის წარმომადგენლად ქუთაისელი იხილოს. თქვენც ამ ქალაქის მკვიდრი ხართ. ბავშვობა აქ გაატარეთ, სკოლაც აქ დაამთავრეთ და თქვენი მამული, მამისეული სახლი, მშობლები აქ არიან. ეკზიუპერი ამბობდა: „მე ჩემი ბავშვობიდან მოვდივარო“...

– მე უფრო აკაკის სიტყვების პერიფრაზს ვარჩევდი: თუ რამ ჩემში კარგია, ეს ყველაფერი ქუთაისმა მომცა. ქუთაისში ცხოვრება და აღზრდა, მე ვფიქრობ, ადამიანს აძლევს რაღაც გამორჩეულს, განსაკუთრებულს, რომელიც პიროვნების ხასიათის თვისებაში გამოიხატება ხოლმე და ინდივიდუალიზაციის ნიშანს ნარმოადგენს.

მე ვსწავლობდი ქუთაისის მე-7 და შემდეგ 31-ე სკოლებში. ყოველთვის კეთილ მოსაგონრად მაქვს მასნავლებელთა ის პლეადა, რომელიც

იმ დროს მოღვაწეობდა და დღესაც მოღვაწეობს ქუთაისში. მყავდნენ შესანიშნავი პედაგოგები, ახალგაზრდების უანგარო და თავდადებული მსახურები, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, რომლებიც არა მარტო ცოდნის, არამედ ზნეობის გაკვეთილებსაც გვიტარებდნენ. ჩემს მეხსიერებაში ასეთებად დარჩნენ ქალბატონები: ცაცა მაჭანკალაძე, მერი სანიკიძე, თინა ლანჩავა, გოგუცა კუპატაძე, ნათელა კვახაძე; ბატონები: რომან ცინცაძე, ტიტიკო ხაბურძანია, სიმონ კვერნაძე. ნეტავ გენახათ, როგორ იყვნენ მოწადინებული, რომ ცოდნა მიგვეღო. ახლაც მახსოვს, როგორ გვიტარებდა შრომის გაკვეთილის ორ საათზე ბატონი ტიტიკო მათემატიკის დამატებით გაკვეთილებს და ეს იყო უანგარო შრომა.

წლების მანძილზე ვიყავი ვასო აბაშიძის სახელობის კულტურის სახლთან არსებულ მოზარდ მოცეკვავეთა ანსამბლის სოლისტი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ შესანიშნავი პიროვნებები: ძმები – ვახტანგ და მიხეილ კუპრეიშვილები.

სხვათა შორის, 31-ე სკოლა ჩემი ბავშვობის დროს აშენდა და პირველი მოსწავლეებიც ჩვენ ვიყავით. იგი ცენტრალურ სტადიონს ემიჯნება და ის ხეები, რომლებიც ახლა სკოლის ეზოში შრიალებენ, ჩვენ დავრგეთ. იქ ადრე ტრიალი მინდორი იყო და მე ზუსტად მახსოვს, თუ რომელი ხეები დავრგე სკოლის გახსნაზე. ბუფეტის მხარესაა ორივე ხე და ამას წინათ, ჩემს ორ ვაჟს სიამაყით ვაჩვენე ისინი.

– თქვენს ოჯახზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. თქვენი ძმა, ბატონი რამაზი ცნობილი მეცნიერი, სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორია. იგი ამ პოსტზე ინსტიტუტმა აირჩია. თქვენ კიდევ ცნობილი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე ბრძანდებით. საინტერესოა ის ოჯახი, სადაც ასეთი შვილები აღიზარდნენ.

– ჩემს ოჯახში თავიდანვე წიგნის, სწავლის, ცოდნის კულტი იყო. მამაჩემი იურისტია. მან ოცდაშვიდი წელი იმუშავა, მათ შორის ქუთაისის შინაგან საქმეთა ორგანოებშიც. იყო მილიციის უფროსი და ა. შ. ჩემი მისწრაფება იურისტობისადმი მამის გავლენის შედეგია. დედა მედიცინის მუშაკია და ჩემმა ძმამ დედის პროფესია აირჩია.

მამაჩემი იმ თაობის წარმომადგენელია, რომელთაც სკოლის დამთავრებისთანავე ომში მოუხდათ წასვლა. მამაჩემი ომის თაობაა, რომელმაც ომის შემდგომი გაჭირვებაც გადაიტანა და სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაჭრილიც არის ბანდიტებთან ბრძოლაში. ამ თაობის წარმომადგენლები პატიოსანი, წესიერი ცხოვრებით მოვიდნენ დღემდე და ყველაზე დიდი რამ, რაც მათ გააკეთეს (დიდ პოლიტიკურ აქტივობას ვერ მოსთხოვდით) ის არის, რომ გაზარდეს ღირსეული შთამომავლები, რომლებიც დღეს თავის სიტყვას ამბობენ. ჩვენი შვილებიც ჩვენზე უკეთესები იქნებიან და ადამიანის არსებობის აზრს სწორედ ამაში ვხედავ.

მინაწერი: *ბატონი ჯონის მეუღლე, ქალბატონი როდამ ფაღავა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, კონსტანტინე ფაღავას ქალიშვილია. მან იენის უნივერსიტეტი დაამთავრა. თავის დროზე მუშაობდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო ამჟამად შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელია.*

შვილები - 12 წლის გრიგოლი და 9 წლის კონსტანტინე ბაბუების სახელებს ატარებენ. უყვართ ქუთაისი და ყოველ არდადეგებს თინა ბებიასთან და გრიგოლ ბაბუასთან ატარებენ.

რომ არ გამოგვრჩეს, ბარემ აქვე უნდა ვთქვათ, რომ ჯონი ხეცურიანი იყო ერთადერთი იურისტი ყოფილ სსრკ-ში, რომელმაც მეცნიერების დარგში მიიღო საკავშირო ახალგაზრდული პრემია 1980 წელს გამოცემული წიგნისათვის „მორალური ნორმების მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალში". ცოდნის გაღრმავების მიზნით, მან 1987 წელს დაამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტიც.

სხვათა შორის, მეცნიერებათა აკადემიაში მუშაობის დროს ბატონი ჯონის ასპირანტები იყვნენ დღევანდელი პარლამენტის წევრები ადა მარშანია და დავით კუპრეიშვილი, ხოლო მისი განყოფილების თანამშრომელი გახლდათ ასევე პარლამენტარი დავით მელიქიშვილი.

9 აპრილიდან დღემდე დამნაშავეა პოლიტბიურო

– 9 აპრილს თქვენ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე იყავით, 10 აპრილს შეიქმნა კომისია.

– წინა დღეებში იქ ვიყავით, თვით იმ ღამითაც, ღამის ორ საათამდე მიტინგზე ვიყავი. ალბათ ბედისწერა იყო, რომ ამდენი ხალხი, 10 ათასი კაცი შეხვდა იმ დილით განსაცდელს. საოცარი დღეები იყო მაშინ, ამაღლებული, ვაუკაცური.

9 აპრილს, დილით ადრე, ჩემმა ძმამ დამირეკა, ორივენი გავედით, შემოვიარეთ საავადმყოფოები და ჩემი თვალით ვნახე სამხედროთა ნამოქმედარი. არ მეგონა, ვერც ვიფიქრებდი ასეთ რამეს...

10 აპრილს შევიკრიბეთ ინსტიტუტის თანამშრომლები, დავგმეთ ეს ბარბაროსული აქტი და მოვითხოვეთ შემდეგი: ვინაიდან ეს დანაშაული ჩაიდინა ხელისუფლებამ, როგორც საკავშირომ ისე ადგილობრივმა, იმ პრინციპის გათვალისწინებით, რომ არავინ არ შეიძლება იყოს მსაჯული საკუთარი დანაშაულის განხილვისას, მოვითხოვეთ არასამთავრობო კომისიის შექმნა საზოგადოებრიობის, დამოუკიდებელ იურისტთა მონაწილეობით, რომელიც ობიექტურად, მიუკერძოებლად გამოიძიებდა ტრაგედიის ყველა გარემოებას და სათანადო დასკვნებსა და შეფასებებს მისცემდა ამ მოვლენებს.

კომისიის თავმჯდომარედ ცნობილი სწავლული, იურისტი თამაზ შავგულიძე აირჩიეს.

პროფესორი თამაზ შავგულიძე ქუთაისელი გახლდათ. იგი მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ასევე ჩვენი თანაქალაქელის, ცნობილი მეცნიერის, ქართული ორიგინალური სისხლის სამართლის სკოლის დამაარსებლის, ქალბატონ თინათინ წერეთლის მოწაფე იყო. მისი მოღვაწეობა განაგრძო ბატონმა თამაზმა, რომლის დიდი მონდომების შედეგია საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ჩამოყალიბება. სამწუხაროდ, ბატონი თამაზ შავგულიძე მოულოდნელად გარდაიცვალა და ეს დიდი დანაკლისია ქართული საზოგადოებისათვის.

კომისიის ყველა წევრი და ქვეკომისიის თავმჯდომარე, მიუხედავად ტრაგედიისაგან მიღებული მძიმე განცდებისა, რაც ეროვნული ღირსების, თავმოყვარეობის შელახვისა და სამშობლოს შეგინებით იყო გამოწვეული, ობიექტურად და თავდადებით მუშაობდნენ.

რა თქმა უნდა, იყო სიძნელეები, განსაკუთრებით, დოკუმენტური მასალის მოპოვებაში, ჩვენებების შეგროვებაში. ამას ვგრძნობდით მოსკოვის უწყებებთან ურთიერთობაში. დაგვეხმარა საკავშირო კომისიის ცალკეულ წევრებთან ურთიერთობების მოგვარება. მაგალითად, სობჩაკსა და იაკოვლევს პირადად ვიცნობდი ადრინდელი სამეცნიერო მოღვაწეობიდან. განსაკუთრებით თბილი პირადი ურთიერთობები ჩამოგვიყალიბდა სერგეი სტანკევიჩთან, ესტონელ აასმიაესთან, სომეხ პოლკოვნიკ მარტიროსიანთან, რომელმაც მე საიდუმლოდ გადმომცა პოლიტბიუროს იმ სხდომათა სტენოგრამები, რომლებიც 9 აპრილის ტრაგედიას წინ უძღოდა. ამ ურთიერთობის დამყარებაში, გულწრფელად უნდა ვთქვა, დიდი როლი შეასრულა ელდარ შენგელაიამ, რომელთანაც მხარდამხარ ვმუშაობდი. მოპოვებული მასალების ანალიზის შედეგად, ნათელი გახდა, რომ პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ჯარების გამოგზავნაზე საქართველოში და საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ დასტური მისცა მიტინგის აღკვეთას. ხოლო ამ ოპერაციას დამსჯელი ხასიათი ჰქონდა. როდიონოვმა იგი ჩაატარა როგორც სამხედრო ოპერაცია. როცა ეს დასკვნა გამოქვეყნდა პრესაში, ლიგაჩოვმა გააკეთა საპროტესტო განცხადება და მოითხოვა ჩვენი პასუხისგებაში მიცემა. რა დროც არ უნდა გავიდეს 9 აპრილიდან, ვფიქრობ, კომისიის დასკვნების ძირითადი დებულებები არ შეიცვლება. ჩვენ ვგრძნობდით პასუხისმგებლობას ერისა და ისტორიის წინაშე.

– მე იმიტომ გავამახვილე აქცენტი ამ კითხვაზე, რომ დღეს საქართველოში ზოგიერთი ცდილობს 9 აპრილის სისხლი ეროვნულ მოძრაობას გადააბრალოს...

– არ შეიძლება რაიმე დააბრალო ან გადააბრალო ერთ მუშტად შეკრულ ერს, რომელიც თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობას ითხოვს.

ამისთვის ღირდა სიცოცხლე

– ბატონო ჯონი, თქვენ 23 ოქტომბრის შემდეგ იუსტიციის მინისტრის პოსტი დაიკავეთ...

– მანამდე მინისტრის პირველ მოადგილედ ვმუშაობდი. 9 აპრილის შემდეგ ბევრი მიცნობდა და იცოდა ჩემი პოზიცია. ალბათ ამიტომ იყო, რომ ჩემს კანდიდატურას უზენაესმა საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი. ჩემი საპროგრამო სიტყვიდან პოსტის დატოვებამდე ერთგულად ვემსახურებოდი ჩემს ქვეყანას და ხალხს. ეს იყო ჯოჯოხეთური ყოველდღიური შრომა. იყო ძალიან დაძაბული დრო, მაგრამ ვიცოდი რა, რომ დიდ ეროვნულ საქმეს შევეჭიდე, მთლიანად მობილიზებული ვიყავი.

მე ერთი რამ მინდა ვუთხრა იმ ხალხს, ვისაც დღეს დაუოკებელი სურვილი აქვს აღმასრულებელ ხელისუფლებაში მუშაობისა, დღეს სახელმწიფო სამსახური მოითხოვს ტიტანური ენერგიის გამოძებნას და კონცენტრაციას, უმაღლეს კვალიფიკაციას, პოლიტიკურ ალღოსა და გამჭრიახობას, ერთი სიტყვით, თავგანწირვას. თუკი ვინმე საამისოდ მზად არ არის, ჯობს სურვილები დაიოკოს, თორემ, როგორც ნაპოლეონი ამბობდა, დიდებიდან სასაცილომდე ერთი ნაბიჯია.

– თქვენ მუშაობდით ზვიად გამსახურდიასთან, როგორი იყო იგი მუშაობაში?

– ჩემი ძირითადი საქმიანობა კანონპროექტების შედგენაში გამოიხატებოდა. რასაკვირველია, ვითვალისწინებდი მის, აგრეთვე უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მოსაზრებებსაც, მაგრამ თუ ეს მოსაზრებები იურიდიული თვალსაზრისით მიუღებელი იყო, ყოველთვის მქონდა უფლებაც და შესაძლებლობაც, როგორც სპეციალიტს, ჩემი მოსაზრებანი დამეცვა.

– იზიარებდა?

– კამათი ზოგჯერ სამ დღესაც გაგრძელებულა. როგორც წესი, სპეციალისტის აზრს ანგარიშს უწევდა.

– როცა პრინციპულად დაგიყენებიათ საკითხი და მის საწინააღმდეგო აზრზე იყავით, პირად ურთიერთობაში ხომ...

– ჩვენს კამათს პირად ურთიერთობაზე გავლენა არასდროს მოუხდენია. პროფესიონალებს პატივს სცემდა, მიუხედავად საწინააღმდეგო აზრისა.

– მისი მეუღლე თუ ერეოდა თქვენს საქმიანობაში?

– ჩემს საქმეში არავინ არ ერეოდა. კოლხურ კოშკში მხოლოდ ერთხელ ვარ ნამყოფი, ისიც საჩქარო საქმეზე, ზვიად გამსახურდიასთან.

მინდა გითხრათ, რომ იუსტიციის სამინისტროს საქმეებში ჩარევა გარეშე პირების მხრიდან არ ყოფილა – თუნდაც მოსამართლეების დანიშვნის საკითხი. ქუთაისის ყოფილი ხელმძღვანელობა დამიდასტურებს, რომ ჩვენ მაქსიმალურად გავითვალისწინეთ ადგილობრივი ხელისუფლების აზრი ამ საკითხის განხილვისას.

– თქვენ მონაწილე ხართ დამოუკიდებლობის აქტის მიღებისა და შემდეგ ცნობის პროცესებისა...

– ყველაზე ბედნიერი წუთები ჩემს ცხოვრებაში მაშინ იყო, როცა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის ტექსტზე ვმუშაობდი. შენახული მაქვს კიდეც ამ აქტის სამუშაო ვარიანტების ხელნაწერები. დიდი სიხარული და ერთსულოვნება სუფევდა მაშინ რესპუბლიკაში. როგორი პოლიტიკური ცვლილებებიც არ უნდა მოხდეს, ამ აქტის მნიშვნელობა ყოველთვის განუზომელი იქნება. თუნდაც ის, რომ გაეროში საქართველოს განევრიანებას საფუძვლად დაედო 31 მარტის რეფერენდუმის შედეგები და 9 აპრილის აქტი.

მეორედ ბედნიერი წუთები განვიცადე, როდესაც 1991 წლის აგვისტოში უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს აკაკი ასათიანსა და მე რუმინეთის ელჩმა გვაცნობა, რომ რუმინეთის მთავრობამ ცნო დამოუკიდებელი საქართველო და სათანადო დოკუმენტი გადმოგვცა. ვტიროდით, ნარმოგიდგენიათ, ამდენი ქართველი მამაკაცი სიხარულისაგან ვტიროდით და ცრემლებს ვერც და აღარც ვიკავებდით. ეს იყო აგვისტოს ბოლო რიცხვები. სხვა ქვეყნებიც მზად იყვნენ ცნობისათვის და წლის ბოლომდე ათეულობით ქვეყანამ ცნო კიდეც საქართველოს დამოუკიდებლობა.

სხვა რომ არაფერი გამეკეთებინა, მარტო ამ ორი მოვლენისათვის ღირდა სიცოცხლე.

მე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრი ვიყავი

– შემდეგ იყო 1991-92 წლები, დეკემბერ-იანვრის მოვლენები, რომლის ოფიციალური შეფასება არ მომხდარა. თქვენ პოსტზე დარჩით. ზოგმა ეს ნაბიჯი უარყოფითად, ზოგმა დადებითად შეაფასა.

– რაც შეეხება დეკემბერ-იანვრის მოვლენებს, მას, ჩემი აზრით, მხოლოდ ერთი შეფასება შეიძლება მიეცეს – ეს იყო სახელმწიფო გადატრიალება შეიარაღებული ძალის გამოყენებით. ზოგიერთს სურს, იგი წარმოადგინოს როგორც დემოკრატიული რევოლუცია. ეს პიროვნებები, ვფიქრობ, იმ კატეგორიას განეკუთვნებიან, 1917 წლის ოქტომბერში რუსეთში მომხდარ გადატრიალებას და 1921 წლის თებერვალში საქართველოში მომხდარ მოვლენებს დემოკრატიულ რევოლუციებად რომ თვლიდნენ. თუ ვინმეს ეჭვი ეპარება ჩემი შეფასების სისწორეში, ვფიქრობ, ამაში

ცოტა მოგვიანებით დარწმუნდებიან, როდესაც ისტორია თავის სიტყვას იტყვის.

არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არ ვთქვათ დეკემბერ-იანვრის წინა პერიოდზე და ჩემს პოზიციაზე იმ დროს.

როდესაც დაპირისპირებამ ოპოზიციას და ხელისუფლებას შორის საშიში ხასიათი მიიღო, მე, როგორც იუსტიციის მინისტრმა (მართალია, ეს ჩემს სამსახურებრივ მოვალეობაში არ შედიოდა), გამოვიჩინე ინიციატივა და სამინისტროში მოვიწვიე როგორც ოპოზიციის, ისე ხელისუფლების წარმომადგენლები. ჩემი მიზანი იყო, მიგვეღწია კომპრომისისათვის და თავიდან აგვეცილებინა სამოქალაქო ომი. ამის შემდეგ რამდენჯერმე შევხვდი ოპოზიციას, როგორც ტელევიზიაში, ისე პროფკავშირების რესპუბლიკურ საბჭოში. სიტყვითაც გამოვედი უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სესიის სხდომებზე, სადაც ჩემი მოსაზრებანი გამოვთქვი სამოქალაქო მშვიდობის მისაღწევად. ამის შესახებ არსებობს დოკუმენტები. გამოვედი აგრეთვე ტელევიზიით, სადაც ორივე მხარეს მოვუწოდე შერიგებისაკენ და განვაცხადე, რომ არ შეიძლებოდა და არ უნდა ყოფილიყო დაშვებული ხელისუფლების ძალად დამხობის პრეცედენტი, რადგანაც ამას დამღუპველი შედეგები მოჰყვებოდა თვით სახელმწიფოებრიობისათვის. შეიარაღებული შეტაკება მაინც მოხდა. იმ პერიოდში კი საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ვცდილობდი მიმეღწია ცეცხლის შეწყვეტისა და მოლაპარაკების გზით კონფლიქტის მოგვარებისათვის. ამის მიუხედავად ლეგიტიმური ხელისუფლება მაინც ძალით დაამხეს. ამის შემდეგ ძალზე ადვილია პოსტიდან გადადგე, მაგრამ ძნელია, დარჩე პოსტზე და ის საქმე აკეთო, რაც შენს ქვეყანასა და ხალხს სჭირდება, მით უმეტეს, იმ უმძიმეს პირობებში, რომელშიც ჩვენი ხალხი აღმოჩნდა.

მე მეორე გზა ვარჩიე და დღესაც მიმაჩნია, რომ არ შევმცდარვარ, რადგანაც ეროვნული კანონმდებლობის შექმნა, რა მთავრობაც არ უნდა მოვიდეს ან ნავიდეს, როგორადაც არ უნდა შეიცვალოს პოლიტიკური სიტუაცია, უბრალოდ, აუცილებელია. ვფიქრობ, ყველა დამეთანხმება, რომ სწორედ იმ კანონმდებლობის მოუწესრიგებლობის გამოა, ჩვენს ქვეყანაში დღემდე რომ ვერ დამყარდა კანონიერების რეჟიმი და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქაოსი და ანარქია სუფევს. ჩემი დევიზი ყოველთვის იყო: „მე ვემსახურები ჩემს ხალხს, ქვეყანას და არა მთავრობებს, ან, მით უმეტეს – პიროვნებებს“. მე არც გამსახურდიას და არც შევარდნაძის მინისტრი არ ვყოფილვარ, მე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრი ვიყავი.

– და მაინც პარლამენტისკენ, ხომ?

– რა თქმა უნდა. ის საქმე, რომელიც ამ სამი წლის წინათ დავიწყე, უნდა გავაგრძელო. სხვაგვარად არც შეიძლება და არც შემიძლია, რადგან ეროვნული კანონმდებლობის შექმნა უაღრესად საშური საქმეა. განზე

დგომის დრო არ არის. მე კი საქმის შუა გზაზე მიტოვება და, მით უმეტეს, ფარ-ხმლის დაყრა არ მჩვევია.

დასკვნა: *ასეთია ჯონი ხეცურიანი – იურისტი, ეკონომისტი, მეცნიერი, თვალსაჩინო პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. კაცი, რომელსაც უსაზღვროდ უყვარს თავისი ქვეყანა და თავისი ქალაქი. კაცი, რომელიც არჩევნების წინ ამომრჩევლებს ხორბალს და შაქარს კი არ ჰპირდება (რომელსაც დეპუტატი ვერ მოიტანს), არამედ ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლის სერიოზულ გეგმას სთავაზობს.*

ჯონი ხეცურიანს არ უცხოვრია ფუჭი ცხოვრებით. მას წინ დიდი პოლიტიკური გზა აქვს. თვით მისი მოწინააღმდეგენიც ვერ უარყოფენ მის კომპეტენტურობას, ერუდიციას, პროფესიონალიზმს და სახელმწიფოებრივ აზროვნებას. ბედნიერებაა, როცა ასეთი პროფესიონალები ჯერ კიდევ გვყვანან მოძალებული დილეტანტიზმის ეპოქაში. ბედნიერებაა, როცა ასეთი პროფესიონალი ჩვენ გვერდითაა, როცა იგი შენი თანაქალაქელია.

ძვირფასო ქუთაისელებო! როცა 27 ივნისს მიხვალთ საარჩევნო უბნებში, ბიულეტენით ხელში, გახსოვდეთ, რომ ჯონი ხეცურიანის რიგითი ნომერია 4.

ჯონი ხეცურიანი სჭირდება არა მარტო პარლამენტს, იგი სჭირდება ქუთაისსაც.

ესაუბრა **მამუკა ჭონიშვილი**

გაზეთი „ქუთაისი“, №49, 1993 წელი, 23 ივნისი.

ᲕᲮᲡᲜᲘ ᲩᲔᲛᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲐᲡ

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას,
ქ. ქუთაისის 6/59 საოლქო საარჩევნო კომისიას
დეპუტატობის კანდიდატის ჯონი ხეცურიანის

განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, 1993 წლის 27 ივნისს ქუთაისის №6/59 საარჩევნო ოლქში დანიშნული იყო გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად ადგილობრივი დეპუტატის არჩევნები.

სხვა დეპუტატობის კანდიდატებთან ერთად, მეც გადავწყვიტე არჩევნებში მონაწილეობის მიღება. ვფიქრობდი, ჩემი ცოდნა და გამოცდილება, რომელიც გამაჩნია სამართალშემოქმედების სფეროში, გამომეყენებინა საქართველოს პარლამენტში – საკანონმდებლო ორგანოში -მოღვაწეობისათვის და ხელი შემეწყო ეროვნული კანონმდებლობის შექმნის მეტად საშური საქმისათვის.

უწინარეს ყოვლისა, მადლობა მინდა გადავუხადო ქუთაისის საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მშრომელებს, პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, მოსახლეობას საქმიანი, გულთბილი შეხვედრებისა და მხარდაჭერისათვის.

ამასთანავე, საჭიროდ ვთვლი, განვაცხადო, რომ არჩევნები ჩატარდა მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევებით. ხელისუფლების წარმომადგენლებმა თავიდანვე გამოხატეს მხარდაჭერა ერთ-ერთი დეპუტატობის კანდიდატის მიმართ, რამაც ხელი შეუწყო ხმის მიცემის მასობრივ გაყალბებასა და ფალსიფიცირებას სწორედ ამ დეპუტატობის კანდიდატის სასარგებლოდ. საქმე იქამდე მივიდა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიამ ვერ დაადგინა არჩევნების შედეგები, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კი რამდენიმე უბანში ბათილად ცნო არჩევნები და დანიშნა ხელახალი ხმის მიცემა.

მიმაჩნია, რომ ხელისუფლება, რომელიც დაინტერესებული არ არის, მის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში აირჩიონ ჭეშმარიტად ხალხის ნდობით აღჭურვილი დეპუტატი, თავად ხდება ხალხის ნდობას მოკლებული და ხალხისაგან მონყვეტილი.

იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს არჩევნების ობიექტურად ჩატარებას, ხალხი კი უნდობლობას უცხადებს

პარლამენტს არჩევნების ფაქტობრივი ბოიკოტით (არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო ამომრჩეველთა თითქმის 90 პროცენტმა), ზნეობრივად გაუმართლებლად მიმაჩნია არჩევნებში შემდგომი ჩემი მონაწილეობა, რის გამოც ვხსნი ჩემს კანდიდატურას.

ჯონი ხეცურიანი

გაზეთი „ქართველი ერი", №25, 1993 წელი, 6 ივლისი.

თქვენ გგონიათ, ყველაფერი გითხარით?

ჯონი ხეცურიანი – *იურისტი, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი. დაიბადა 1951 წლის 23 ნოემბერს – გიორგობას, ცაგერის რაიონის სოფელ ლაილაშში. მაშინ ალბათ ყველაზე მოდური სახელი ჯონი იყო, თორემ ხომ გვეყოლებოდა კიდევ ერთი სახელოვანი გიორგი?! ხეცურიანისთვის ნოემბერი მეტად ნიშანდობლივია – სამსახურიდან ყოველთვის ნოემბერში ათავისუფლებენ ან ნიშნავენ. რა მოუვა 1997 წლის ნოემბერში, ამის შესახებ ხეცურიანმა წინასწარ არაფერი იცის. ამიტომ სულსწრაფები ნუ ვიქნებით, ნოემბერიც მალე მოვა.*

ცნობისთვის: *ბატონი ჯონის ძმა რამაზ ხეცურიანი ხუთი წელია რაც ყველაზე პრესტიჟული სასწავლებლის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორია. მოგეხსენებათ, ლეჩხუმელი ბიჭებისთვის ამ ეკლიანი გზის გაავლა არც ისე ადვილი იქნებოდა. მით უმეტეს, მათ მხარში არავინ ამოსდგომია. თუ ჯონი ხეცურიანის მაგალითზე ვიმსჯელებთ, დავრწმუნდებით, რომ შეუძლებელი არაფერია. თუკი ხეცურიანს რაიმე წარმატებისთვის მიულწევია, მხოლოდ შრომისმოყვარეობით. მაგრამ ამ ყველაფრის მაკონტროლებელი მისი ხასიათის საიდუმლო შტრიხებია - არის „ჩუმი-ეშმაკი“, გაწონასწორებული და ყოველთვის ჩრდილში მდგომი. ჟურნალისტი კი მას საჭირო ინფორმაციას ვერც ისე ადვილად „დასტყუებს“...*

კარიერა: *წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის და თბილისის ორგანიზაციებში ინსტრუქტორად; იყო მთაწმინდისრაიკომის მდივანი; მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე; 1990 წლიდან 1992 წლამდე იუსტიციის მინისტრი (ამ პერიოდში შეიმუშავა 121 კანონი); არის თსუ-ის პროფესორი; 1995 წლიდან მუშაობს სახელმწიფო კანცელარიაში.*

– მთავრობის შეცვლის მიუხედავად, იუსტიციის მინისტრობიდან არავის მოუხსნიხართ. როგორ შეძელით პოსტის შენარჩუნება?

– როცა დაპირისპირება შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა, 25 დეკემბერს ტელევიზიით საჯაროდ ცეცხლის შეწყვეტა მოვითხოვე, მაგრამ უშედეგოდ. იანვარში ხელისუფლებაში შეიარაღებული ფორმირება მოვიდა, სიგუამ დამიძახა და მითხრა, მუშაობა უნდა გააგრძელოთო. მაშინ ჩემი პირობა ნავუყენე – სასამართლო რეფორმების გატარებაში ხელს თუ შემიშლით, უფლებას ვიტოვებ, წავიდე-მეთქი.

– წინა პარლამენტში შევარდნაძემ იუსტიციის მინისტრის პოსტზე თქვენი დამტკიცება ორჯერ მოითხოვა, თუმცა...

– პარლამენტმა არ დამამტკიცა. გამსახურდიას ხელისუფლებიდან მხოლოდ მე ვიყავი შემორჩენილი და თუკი რამე ცოდვა ჰქონდათ, ყველაფერი მე დამაბრალეს. მათ შორის აფხაზეთის საარჩევნო კანონიც. როცა გამსახურდიამ სოხუმში გამგზავნა – კანონი ნახე და შენი აზრი მომახსენეო, ჩამოვედი და ვუთხარი: იურიდიული თვალსაზრისით ეს კანონი ხარვეზიანია და არჩევნების დროს ეროვნული ნიშნის მიხედვით ქვოტების დადგენას ითვალისწინებს-მეთქი. სხვათა შორის, გამსახურდია ამ კანონის ასეთი სახით მიღების წინააღმდეგი იყო... ეს, უბრალოდ, პოლიტიკური კომპრომისის შედეგი გახლდათ.

– მერე ხელისუფლებამ უყურადღებოდ დაგტოვათ არა?

– თითქმის. არავინ შემხმიანებია. მიმდინარე პროცესებს რომ არ ჩამოვშორებოდი, ტრადიციონალისტთა კავშირში აკაკი ასათიანთან შეევედი და პოლიტიკური მდივანი გავხდი.

– საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენეთ, რატომ მიატოვეთ ტრადიციონალისტები.

– წინა პარლამენტის არჩევნებში ჩვენი პარტია დამარცხდა. კანცელარიაში საპარლამენტო მდივნის პოსტი მაშინვე შემომთავაზეს. დავთანხმდი. ეს იყო და ეს.

ისტორიული ფაქტი: *1991 წლის 28 აგვისტოს ბატონი ჯონი და აკაკი ასათიანი მოსკოვში სხვადასხვა ქვეყნების ელჩებს ხვდებოდნენ და საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის აუცილებლობაში არწმუნებდნენ. ზოგი ცივად ისტუმრებდა, ზოგიც მხოლოდ შეპირებებით. რუმინეთის ელჩმა კი მათ პირველმა გადასცა დოკუმენტი, რომელშიც რუმინეთის სახელმწიფომ საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად ცნო. ხეცურიანმა და ასათიანმა ისტორიული დოკუმენტი ელჩს სიხარულით ხელიდან გამოგლიჯეს, ბევრი კოცნეს, იტირეს და გვარიანადაც იქეიფეს.*

– ბატონო ჯონი, ამდენი რამის შემდეგ ნერვები როგორ გაქვთ?

– ნერვები არ გამფუჭებია. ნებისმიერ დოკუმენტს, რასაც ვამზადებ პრეზიდენტი აწერს ხელს. აქ ნებისყოფიანი უნდა იყო. შეცდომა შეუძლებელია. პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფალთა შორის შუამავალი ვარ, განწონასწორებული და კომუნიკაბელური უნდა ვიყო. ისეთ მავნე პირობებში მიწევს მუშაობა, რძე უფასოდ უნდა დამინიშნონ.

– თქვენ რომ კომუნიკაბელური არ ჩანხართ?

– საქმე არც ისეა, როგორც თქვენ ფიქრობთ...

– თუ გიღირთ ამხელა მსხვერპლის გაღება?

– ეს ჩემი მოწოდებაა.

– ხელფასი რამდენი გაქვთ?

– იგივე, რაც პარლამენტარებს. სწავლულ ექსპერტთა საბჭოს წევრიც ვარ. ევრაზიის ფონდი გვაფინანსებს. მათ ახლა 238 ლარი მომცეს.

– კარიერისტი ხართ?

– კარიერაზე ყველა ნორმალურმა ადამიანმა უნდა იფიქროს.

– ჯილდოდ რას ელით?

– მაგაზე არასდროს მიფიქრია.

– მოკლედ, თქვენზე იტყვიან, ყველა დროის „გმირიაო"...

– ალბათ, საქმეს ისეთი კაცი სჭირდება, ვინც დაკისრებულ მოვალეობას კვალიფიციურად შეასრულებს. როგორც ჩანს, ჩემი აქ ყოფნა პრეზიდენტმა საჭიროდ ჩათვალა.

– ჭკვიანი ხართ, არც ინტუიცია გღალატობთ. როდის გეტყვიან, კარგი მეგობარი იყავი, ახლა კი მშვიდობითო!

– თუ წარსულის გამოცდილებიდან დასკვნებს გავაკეთებთ, ამ ფრაზებს არასდროს მეტყვიან და არ გამათავისუფლებენ. მოვლენებს ნუ გავუსწრებთ.

– პატიოსანი კაცის იმიჯი გაქვთ, თუმცა ფულიანის შთაბეჭდილებასაც ტოვებთ.

– პრეტენზიას ვერავინ წამომიყენებს. იყო დრო, როცა ძალიან მიჭირდა, მაგრამ ცუდის კეთება აზრადაც არ მომსვლია. სიმართლე გითხრათ, სიმდიდრის მოყვარული არასდროს ვყოფილვარ. ზოგჯერ ჯიბეზე სიგარეტის ფული მაქვს ხოლმე.

– ე. ი. თქვენი დაყაჩაღება უაზრობაა, არა?

– გარწმუნებთ, ვერაფერს წაიღებენ. ისე, ასეთ სიტუაციაში არასდროს აღმოვჩენილვარ.

– ყოველთვის კარგად გაცვიათ, ეს ხომ ძვირი სიამოვნებაა... საიდან?

– რასაც ხედავთ, ძვირადღირებული არაფერი მაცვია. ჩემზე მეუღლე ზრუნავს, ოღონდ არ ვიცი სად და რამდენად ყიდულობს.

– თქვენი სათვალე ოქროსჩარჩოიანია?

– არა, უბრალოა (მანიშნებს სათვალეზე და მართლა ოქროსი ხომ არ არისო, სინჯავს). ოქროსჩარჩოიანი სათვალე არც მინახავს. ისე, აქ ვინმეს აქვს?

– ვითომ არ იცით, როგორ არა, ერთ „მარიაჟ" მაჟორიტარ პარლამენტარს აქვს. ბატონო ჯონი, თქვენი ძმა შეძლებული კაცია?

– ისე ცხოვრობს როგორც მე.

– რომ არ ვიცი როგორ ცხოვრობთ?

– მობრძანდით ჩვენთან და ნახეთ როგორ ვცხოვრობ, რა პრობლემაა. ძმებმა ჩვენით მივაღწიეთ ყველაფერს, თბილისში არავინ გვყოლია.

– საუბრისას სახის მიმიკას რატომ არ იცვლით?

– (პაუზა. სახის მიმიკა მხოლოდ ახლა ეცვლება და ღიმილით მომმართავს) ასეთი ვარ, არ ვთამაშობ.

– ჭკვიანი თვალები, სახასიათო წარბები და „ჯიშიანი“ სახე გაქვთ.

– (ჯონი ხეცურიანი გულიანად იცინის) დიდი მადლობა!

– არაფრის, მაგრამ შეუვალი და გაუტეხავი ხართ. იცით თუ არა, რომ ხალხს სვანი ჰგონიხართ?

– ხეცურიანები, ისევე როგორც ასათიანები და ა. შ., არ შეიძლება სვანები იყვნენ. ისინი ძირითადად ცაგერის რაიონში ცხოვრობენ.

– ხასიათით ფრთხილი და წინდახედული ჩანხართ...

– გეთანხმებით. ჩემი დადებითი და უარყოფითი თვისებები კარგად ვიცი, მაგრამ შეცვლა შეუძლებელია, მიჩუმათება კი უფრო მოსახერხებელია. თათბირებზე და სხდომებზე საჯაროდ გამოსვლას და ყვირილს ჩუმი მუშაობა მირჩევნია.

– ერთი კვირა პარლამენტის სხდომაზე ხართ, ერთი კვირა – სამთავრობო თათბირზე, რეალობას ალბათ ხშირად ეთიშებით – ფიქრებში ან ოცნებებში მიდიხართ.

– ჰო, თევზაობაზე და ნადირობაზე ვოცნებობ ხოლმე, ძალიან მიყვარს, მაგრამ ვეღარ ვახერხებ. მხოლოდ კალმახზე, ჩანჩქერზე მიყვარს თევზაობა.

– ალბათ, კალმახივით ქალებიც გეყვარებათ...

– რა ბრძანეთ (იცინის)? ლამაზი ქალი ვის არ უყვარს.

– ჯანმრთელი კაცი ჩანხართ, თქვენ კი ამ წლებს როგორ „კარგავთ“...

– დიახ, ამხელა საქმისთვის თავი მეცოდება, მაგრამ რასაც ვაკეთებ, მსიამოვნებს.

– ვიცი, სხდომებზე ბევრჯერ ჩაგძინებიათ. რა გესიზმრებათ?

– ეჰ, ეს გადაღლილობის შედეგია. მთავრობის სხდომაზე და პარლამენტში ძილის საშუალებას მაინც არ მაძლევენ, სიზმარს კი იშვიათად ვნახულობ, მით უმეტეს, აქ კარგს რას ნახავ - ჩვენ ხომ არანორმალური სამუშაო დღე გვაქვს.

– როგორც ჩანს, გაგებული მეუღლე გყავთ, თქვენ ხომ სახლში ხშირად იგვიანებთ...

– ოჯახში ამ მხრივ პრეტენზია არა აქვთ.

ოჯახური მდგომარეობა: *1980 წელს ხეცურიანმა სიყვარულით შეირთო მშვენიერი ქალბატონი როდამ ფაღავა, რომელმაც საბჭოთა კავშირის დროს უნივერსიტეტი გერმანიაში დაამთავრა. არის ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. ბატონი ჯონი გურმანია, ზამთარში საცივი უყვარს, ზაფხულში – ბოსტნეული. მეუღლე კი მის მაღალ გემოვ-*

ნებას ყოველთვის აკმაყოფილებს, იგი შესანიშნავი დიასახლისია. ცხოვრობენ ვაკეში, ოთხოთახიან ბინაში. ჰყავთ ორი ვაჟი – 16 წლის გრიგოლი და 13 წლის კონსტანტინე. მისი უფროსი ვაჟი გუშინ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

– ბატონო ჯონი, გილოცავთ შვილის სტუდენტობას. გავლენიანი მამიკო ხართ, თანაც სამოქალაქო სამართლის კათედრაზეც მუშაობთ და თქვენი შვილის სტუდენტობა მოულოდნელი არ იქნებოდა...

– შეიძლება ეს თქვენი შეფასებაა, მაგრამ არ დავუშვებ, რომ ჩემმა შვილებმა არ ისწავლონ. ამ მხრივ ისინი არასდროს გამინებივრებია.

– უცხოეთში სწავლა მოდაშია. თქვენს შვილს იქ რატომ არ ურჩიეთ ჩაბარება?

– ამ ფაქტს არ ვამართლებ. მაგალითად, იურიდიული ფაკულტეტი ავიღოთ, ჯერ შენი ქვეყნის სამართალი უნდა იცოდე და შემდეგ კვალიფიკაცია უცხოეთში აიმაღლო.

– გოგო რომ გყოლოდათ, რას დაუშლიდით?

– (პაუზა) კიდევ კარგი არ მყავს. ხეცურიანებში მხოლოდ ბიჭები იბადებიან.

– თქვენ როგორი ბავშვი იყავით?

– ცელქი და მოძრავი (ახლა ცოტა გავსუქდი – 93 კილოს ვინონი, სიმაღლეში 182 სმ. ვარ). კარგი მოსწავლე ვიყავი. ბავშვობიდან კითხვა მიყვარდა. ჩემი ფინანსები სულ წიგნებში მიდიოდა და დღეს კარგი ბიბლიოთეკაც მაქვს. ახალგაზრდობაში ქუთაისის კულტურის სახლთან არსებულ ანსამბლში ქართულს ვცეკვავდი და სოლისტი ვიყავი. სხვათა შორის, კარგი მოფარიკავეც გახლდით.

– დუელში ვის გამოიწვევდით?

– (იცინის). სამურაები ამბობდნენ, მაგარია ის, ვინც მეტოქეს დაამარცხებს, მაგრამ ის უფრო მაგარია, ვინც ორთაბრძოლას აიცილებსო.

უხერხული სიტუაცია: *1992 წელს, როცა პირზე ყველას გამსახურდიას გვარი ეკერა, სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე, როცა პარტიებთან დაკავშირებით დებატები მიმდინარეობდა, ფსიქოლოგიურად გადაღლილ ხეცურიანს გვერდით ჟურნალისტი მისჯდომია და გამსახურდიაზე რაღაცებს ეკითხებოდა. ამ დროს შევარდნაძეს ხეცურიანისთვის უკითხავს: რამდენი კაცია საჭირო პოლიტპარტიების ჩამოყალიბებისთვისო. ხეცურიანს მექანიკურად უპასუხია – 100 კაცი ბატონო ზვიადო. მაშინ კი შევარდნაძეს ხუმრობით უკითხავს – გროზნოში ხომ არ წავიდეო? ამ ამბავს ახლა ბატონი ჯონი ღიმილით იგონებს, მაგრამ მაშინ რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ხომ წარმოგიდგენიათ. ისე, ანალოგიური რამ*

გამსახურდიასთან რომ მომსვლოდა და მეთქვა, ბატონო ედუარდ-მეთქი, დღეს ჩემი ძვლებიც არ იქნებოდაო, ხუმრობს ხეცურიანი.

– ინფორმაციის გამოძალვის მიზნით, უღრან ტყეში რომ გაგიტაცონ, რამეს თუ იტყვით?

– ძალით ვერაფერს გამაკეთებინებენ. მე ახლა რამდენი რამე ვიცი, ჰმ, თქვენ გგონიათ ყველაფერი მოგიყევით? შემიძლია პირი გავაღო და... ყველაფერი მართალი ვთქვა, მაგრამ ჩემი მხრიდან ეს არასწორი ქმედება იქნება.

– თქვენ დაცული ხართ. ჟურნალისტები კი ბევრ რისკზე მიდიან. გეკითხებით როგორც იურისტს, ჩვენ იარაღის ტარების უფლება რატომ არ უნდა გვქონდეს?

– თქვენი იარაღი კალამი და დიქტოფონია. დღეს იარაღის ტარების აუცილებლობას ვერ ვხედავ. ამიტომაც პრეზიდენტმა იარაღის შესახებ კანონს ვეტო დაადო. ქართული ხასიათიდან გამომდინარე, იარაღის ტარება უარყოფით შედეგს გამოიღებს. თქვენ სახელმწიფო გიცავთ. მოდით, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ.

– ორთაჭალაში, სანაპიროზე რომ მეძავები დგანან, ცოტა უხერხული ხომ არ არის? ამ ტრასაზე ხშირად პრეზიდენტის ესკორტი დადის. იქნებ, ასეთი „ბირჟები" სხვაგან დააკანონოთ?

– (ღიმილით გვეკითხება) არ ვიცოდი. რას აკეთებენ?

– რას გააკეთებენ არ იცით? კლიენტებს ემსახურებიან.

– ჰო, ეს უხერხულია. იქიდან ნამდვილად უნდა აილაგმონ. ეჰ, ეს უძველესი პროფესიაა და კანონით ვერ ავკრძალავთ.

– გეშლებათ, უძველესი პროფესია ჟურნალისტიკაა.

– (გულიანად იცინის) მაგ პროფესიაზე კარგი წარმოდგენისა ვარ.

– რამდენი ჩინოვნიკის კაბინეტი მინახავს, მაგრამ თქვენ პრეზიდენტის ყველაზე კარგი სურათი გაქვთ. ძალიან შთამბეჭდავი სახე აქვს, თითქოს გაფრთხილებთ, ჯონი, არაფერში შეცდე, კეთილსინდისიერად იმუშავეო...

– (სიცილი კულმინაციას აღწევს). შეიძლება ასეც იყოს.

– დაბოლოს, „გალერეის" წინა სტუმარი ემირ ჯუღელი გეკითხებათ: „ვთქვათ, მეათე სართულიდან გადმოხტით, მიწაზე დანარცხებამდე რას იფიქრებთ?"

– დიახ, „ალიაში" ნავიკითხე, რომ ამ კითხვის ადრესატი მე ვიყავი და გიპასუხებთ. მეათე სართულიდან ჩამოვარდნის საშიშროება არ მემუქრება, მეშვიდეზე ვცხოვრობ, სამსახურშიც კაბინეტი მეშვიდე სართულზე მაქვს, მეთერთმეტეზე პრეზიდენტთან ავდივარ, მთავრობის სხდომა მეთორმეტეზეა, პარლამენტში სესიები კი მეოთხე სართულზე იმართება.

– მეშვიდე სართულიდან რომ გადმოხტეთ?..

– კითხვას ზუსტად ვუპასუხე. ჯუღელს მეშვიდე სართული არ უხსენებია.

– რა კითხვით მიმართავდით ჩვენს მომდევნო სტუმარს?

– კითხვა არ მაქვს, უბრალოდ, ყველას მოვუწოდებ: – ბატონებო, „ალიას" კორესპონდენტებთან ფრთხილად იყავით!!!

ესაუბრა **ნინო სამხარაძე**

გაზეთი „ალია", №120, 1997 წელი, 2-3 აგვისტო.

ჩემი დანიშვნით იწყება კანონიერი ხელისუფლების აღდგენა...

სასამართლო რეფორმა 1991 წელს დაიწყო

– ბატონო ჯონი, თქვენი კანდიდატურა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზეც იყო დასახელებული, რამდენად მოულოდნელი იყო თქვენთვის იუსტიციის მინისტრობა და თუნდაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე თქვენი კანდიდატურის დასახელება? სხვათა შორის, ვერსიები, თუ ვინ გახდებოდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, მასმედიას ეკუთვნოდა.

– მასმედია, როგორც ყოველთვის, მიახლოებული სიზუსტით ამოიცნობს ხოლმე საკადრო ცვლილებებს და ხშირ შემთხვევაში მისი პროგნოზები მართლდება კიდეც, სიზუსტის გარკვეული პლუს-მინუსით. რა თქმა უნდა, ალბათ ერთ-ერთ კანდიდატურად მეც განვიხილებოდი ამ პოსტზე, მაგრამ ამის შესახებ ჩემთვის ოფიციალურად არავის არაფერი უთქვამს. როგორც იცით, მე პრეზიდენტთან ვმუშაობდი, თითქმის ყოველდღე მიწევდა მასთან ურთიერთობა და, პირველ რიგში, მას უნდა ეთქვა, რომ ან აპირებდა ამას, ან სხვა გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული. მე ამას შესაძლებლად ვთვლიდი, პირველ რიგში, ჩემი განვლილი გზის და პროფესიონალიზმის გამო, მე მაქვს თეორიული ცოდნაც და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებაც ამ სფეროში. ამავე დროს, გარკვეული ორგანიზაციული გამოცდილებაც, ავტორიტეტიც უნდა გქონდეს ალბათ ამ სფეროში არა? ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, ერთ-ერთ კანდიდატურად ალბათ მეც მოვიაზრებოდი. ჩემთვის მოულოდნელი იყო, რომ იუსტიციის მინისტრად გადაწყვეტდნენ ჩემს დანიშვნას და, მით უმეტეს, იმ დღეს.

– როდის გახდა თქვენთვის ცნობილი, რომ ამგვარი გადაწყვეტილება იყო მიღებული?

– პარასკევს 12 საათისთვის ან უფრო ადრე, მე, ჩვეულებრივ, პარლამენტში ვიყავი. მოგეხსენებათ, საგაზაფხულო სესიის ბოლო კვირა იყო, ძალზე ბევრი და მნიშვნელოვანი კანონპროექტი იყო განსახილველი, ამიტომ ჩვეულ რიტმში ვმუშაობდი. დამიძახეს და მითხრეს, რომ ასეთი გადაწყვეტილება აქვს პრეზიდენტს და თქვენ რას იტყვითო.

– თქვენ რა თქვით?

– ახლა ეს მოულოდნელი იყო ჩემთვის. რა გითხრათ, ყოველ შემთხვევაში, აღფრთოვანება არ გამომიხატავს.

– ახლა, განსხვავებით წინა პერიოდისაგან, იუსტიციის სამინისტროს ფუნქციები გაიზარდა...

– ჯერჯერობით არ გაზრდილა. ადრე უფრო დიდი უფლებები ჰქონდა, ჩემს დროს. უფრო სწორად, ჩვენ შევმატეთ ეს უფლებები.

– რას გულისხმობთ?

– ჯერ ერთი, მაშინ იუსტიციის სამინისტროს გამგებლობაში შედიოდა სასამართლოების ორგანიზაციული და საკადრო უზრუნველყოფა. ეს მთელ რიგ ქვეყნებში ასეა და იუსტიციის სამინისტროს ჩვეული ფუნქციაა. შეიძლება, რა თქმა უნდა, ისეთი გადაწყვეტილებაც, როგორიც ახლა მივიღეთ, რომ შევქმნათ პარიტეტულ საწყისებზე დაფუძნებული იუსტიციის საბჭო და მან გადაწყვიტოს ეს საკითხები, მაგრამ ამით ხომ იუსტიციის სამინისტროს ფუნქცია მოაკლდა. ასე არ არის მთელ რიგ ქვეყნებში? იუსტიციას იმიტომ ჰქვია იუსტიცია, რომ ის მართლმსაჯულებასთან არის გარკვეულად დაკავშირებული. ჩვენ იმ პერიოდში მოქალაქეობის საკითხი წამოვწიეთ, შეწყალების საკითხები წამოვიღეთ ჩვენთან. წამოვიღეთ მმაჩის ორგანოები, მოქალაქეების რეგისტრაციის ორგანოები (აქ იგულისხმება დაბადება, გარდაცვალება, მოქალაქეობა და ა. შ.), მაშინ, 1991 წელს, დავაყენეთ პენიტენციარული სისტემის იუსტიციის სამინისტროსთვის გადმოცემის საკითხი.

– მაშინ რატომ არ მოხდა ეს გადმოცემა?

– არ დაგვცალდა. ეს პროექტი იყო. ანალოგიურად იდგა ექსპერტიზების საკითხი. ეს არ არის ახალი პრობლემა. მაშინ მუშავდებოდა მორალური სტატისტიკის კანონი, ქვეყანაში მორალური სტატისტიკა უნდა ტარდებოდეს, აგრეთვე ვამზადებდით პროექტს. ეს არ არის დანაშაულის სტატისტიკა. აქ იგულისხმება არა მარტო დანაშაული, არამედ სხვა ექსცესებიც, რომლებიც საზოგადოებაში ხდება და რომლებიც საზოგადოების მორალურ მდგომარეობას ასახავს. სხვათა შორის, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია და ამას არავინ არ აქცევს ყურადღებას. ეს ყოველნლიურად უნდა კეთდებოდეს, რათა თვალი გავადევნოთ, საით მივდივართ.

– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, პირველად თქვენი მინისტრობის დროს გატარდა სასამართლო რეფორმაც...

– ერთ ძალიან მნიშვნელოვან მომენტზე გეტყვით ამასთან დაკავშირებით. საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა, პირველ რიგში, რეფერენდუმის მეშვეობით, 1991 წლის 31 მარტს, 9 აპრილს კი დამოუკიდებლობის აქტი მივიღეთ, რითაც იურიდიულად გაფორმდა 31 მარტის რეფერენდუმის შედეგები. მანამდე ჩვენ მივიღეთ საკანონმდებლო აქტები. პირველი აქტი, რომელიც საქართველოს სუვერენული უფლების დამკვიდრებას მოასნავებდა, იყო სუვერენიტეტის მოპოვება მართლმსაჯულების სფეროში. თქვენი თაობისთვის და ზოგიერთისთვის ეს შეიძლება არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ 1991 წლის გაზაფხულზე საბჭოთა კავშირი არსებობდა მთელი თავისი სტრუქტურებით და არავის თავში აზრად არ ჰქონია, რომ ის რამდენიმე თვეში დაინგრეოდა. მაშინ

მოქმედებდა სახელმწიფო ხელისუფლების ყველა სისტემა, არაფერი არ იყო დანგრეული. მაშინ ჯარიც იყო, პარტიაც, უშიშროებაც, შსს-ც, საკავშირო პროკურატურაც, საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოც, რომელიც აუქმებდა ჩვენი სასამართლოს გადაწყვეტილებებს. ჩვენ მივიღეთ კანონი, რომ მართლმსაჯულება მთავრდება საქართველოში. ეს რა იყო მაშინ იცით?! ეს კანონი მე გავიტანე პარლამენტში. ჩვენ მოვამზადეთ პაკეტი სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი ამ რეფორმის ის იყო, რომ მართლმსაჯულება მთავრდება საქართველოში. ამან, პირველ რიგში, ჩვენთან ფრიად საინტერესო რეაქცია გამოიწვია. როგორ, საბჭოთა კავშირის გენერალურმა პროკურორმა რომ მოგვთხოვოს საქმე, არ უნდა გავუგზავნოთ? ასეთი შეკითხვაც იყო. რატომ უნდა გავუგზავნოთ, ჩვენ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ, ის არ არის ჩვენი უფროსი და არც თქვენი უფროსი აღარ არისმეთქი. როგორ, საქმე რომ მოითხოვოს უზენაესმა სასამართლომ გადასასინჯად, არ უნდა გადავუგზავნოთ? „არა, – მე ვუთხარი – არ უნდა გადავუგზავნოთ". ეს გადაწყვეტილება ნიშნავს, რომ ზემდგომი საკავშირო ორგანოები აღარ არსებობს-მეთქი. აქ ხომ არაადეკვატური რეაქცია იყო. ჩვენ მიჩვეულები ვიყავით, რომ ყველაფერი მოსკოვში წყდებოდა. იქიდანაც მძაფრი კრიტიკა დაგვიწყეს. გამოქვეყნდა წერილები, სადაც გატარებული იყო აზრი, რომ თქვენ ადამიანებს უსპობთ საშუალებას, საკუთარი უფლებების დასაცავად კიდევ ერთ ინსტანციას მიმართონ. წარმოგიდგენიათ, „იზვესტიაში" უშველებელი წერილი გამოქვეყნდა იმაზე, რომ საქართველომ მიიღო ისეთი კანონი, რომლითაც მოქალაქეს აღარ ექნება საშუალება, მიმართოს საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს და იქ საკუთარი სიმართლე დაამტკიცოსო. მოკლედ, იქიდანაც დანოლა იყო და აქედანაც. ეს იყო მართლმსაჯულების უდიდესი მონაპოვარი და წინგადადგმული ნაბიჯი. ეს ერთი. მეორე – მოსამართლეები დაინიშნებოდნენ 10 წლის ვადით, რაც იმას ნიშნავდა, რომ მოსამართლე არ იქნებოდა დამოკიდებული ხელისუფლების ცვალებადობაზე. ეს იყო მისი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტი. მოსამართლის გადაყვანა სხვა სამუშაოზე არ შეიძლებოდა მისი თანხმობის გარეშე, რომ იქმნებოდა მოსამართლეთა კონფერენცია, რომელიც აირჩევდა საკვალიფიკაციო კოლეგიას, რომ მოსამართლის დასჯის და დაწინაურების საკითხს გადაწყვეტდა ეს კოლეგია. ასევე გამწესებაზე დასკვნას გასცემდა სასამართლო კოლეგია. მისი ვერდიქტი იყო საბოლოო. ე. ი. სასამართლო კორპუსი წყვეტდა მოსამართლის ბედს. როგორი ნაბიჯი იყო ეს 1991 წელს, ამაზე არავინ ლაპარაკობს.

– სხვათა შორის, ეს კანონი გახდა საფუძველი იმისა, რომ გაპროტესტდა მოსამართლეთა გამოცდები და რამდენიმე მოსამართლემ უარი თქვა გამოცდის ჩაბარებაზე, რადგან ისინი დანიშნულები იყ-

ვნენ მოსამართლეებად 2001 წლამდე იმ ხელისუფლების მიერ, რომელიც უკანონოდ ჯერ არ უცვნიათ და არც მის მიერ მიღებული კანონები გაუუქმებიათ.

– მოსამართლეებს ჩაბარებული ჰქონდათ გამოცდები. ამ გამოცდას საკვალიფიკაციო კოლეგია იბარებდა, მაგრამ იმ ფორმით არ ჩატარებულა, რა ფორმითაც ახლა ჩატარდა. ამის საშუალება ჩვენ არ გვქონდა. არც ტექნიკური საშუალება იყო ამდენი და არც ის, რომ ამერიკაში ჩავსულიყავით და ბილეთები დაგვებეჭდა. აქ იყო საკვალიფიკაციო კოლეგია, რომელიც შედგებოდა ყველა წამყვანი, ცნობილი და პროფესიონალი მოსამართლისაგან. ისინი იძლეოდნენ კითხვებს და მიღებული პასუხების მიხედვით ღებულობდნენ გადაწყვეტილებას, ჰქონდა თუ არა ამა თუ იმ პიროვნებას მოსამართლისათვის საკმაო ცოდნა. აი, როგორც მოხდა ახლა გასაუბრება სტრასბურგში.

– თუ იყო მაშინ ფაქტი, რომ რომელიმე მოსამართლემ ვერ ჩააბარა გამოცდები?

– ათამდე კანდიდატურა დაიწუნეს.

– ე. ი. მოსამართლეები ვერ გახდნენ?

– ვერა. რასაკვირველია იმიტომ, რომ მერე უფლება არ ჰქონოდა არავის, ასეთი მოსამართლე დაენიშნა. ეს კანონით იყო შეზღუდული. სხვათა შორის, მე გავიტანე ფიცის ტექსტიც უზენაეს საბჭოზე. ამ ფიცმა ცოტა ირონიული რეაქცია გამოიწვია. მე ვუთხარი, რომ მათი რეაქცია სწორი იყო – გვექნება: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს". დავადებინებთ ფიცს, მაგრამ თუ ხელფასი ექნებათ 30 და 40 მანეთი (მოგეხსენებათ, მაშინ მანეთები იყო), მაშინ არაფერი გამოვა-მეთქი. ამიტომაც კატეგორიულად მოვითხოვე მოსამართლეებისთვის მაღალი ანაზღაურება და 3-ჯერ მოვამატებინე ხელფასი. მოსამართლე იღებდა ყველაზე მაღალ ხელფასს საქართველოში. არც ერთ თანამდებობის პირს ასეთი მაღალი ხელფასი არ ჰქონდა. მე, როგორც მინისტრს, მქონდა 450 მანეთი და მოსამართლეს ჰქონდა 600 მანეთი. ამავე დროს, ზოგიერთ მოსამართლეს კი 800 მანეთიც ჰქონდა ხელფასი (გათვალისწინებული იყო მათი ნამსახურობა და ა. შ.). 1991 წელს 800 მანეთი ძალიან დიდი თანხა იყო. მე მოხარული ვარ, რომ მოსამართლეებს გაუზარდეს ხელფასი. სწორი ნაბიჯი იყო, აუცილებელი. ესეც არ არის საკმარისი, რა ანაზღაურებასაც დღეს ვაძლევთ მათ.

– ახლანდელი რეფორმების დროს თუ იქნა გათვალისწინებული მაშინდელი კანონები, სამართლებრივი აქტები?

– მე 1991 წელს არ ვთვლიდი, რომ რეფორმა ჩავატარეთ და დავასრულეთ. ძალიან კარგად ვიცოდი, რომ რეფორმა მაშინ იქნებოდა დასრულებული, როცა სასამართლო ხელისუფლება ჩამოყალიბდებოდა, ე. ი. უნდა ჩამოყალიბებულიყო ხელისუფლების სრულფასოვანი მესამე შტო და

იგი გააწონასწორებდა პირველ ორს. ამის მექანიზმები ჩვენ სრულყოფილად არ გვქონდა ჩამოყალიბებული. მაშინ ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა, რომ რაც შეიძლება სწრაფად გამოცხადებულიყო დამოუკიდებლობა და აგრეთვე დავიწყეთ კონსტიტუციაზე მუშაობა. იმხანად ფიქრი იმაზე მიდიოდა, როგორი სისტემა აგვერჩია – საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო. მერე საპრეზიდენტო შემოვიღეთ. აგრეთვე ვერ მოხერხდა საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოყალიბება. რა თქმა უნდა, აქ არის მემკვიდრეობითი საკითხი მოსამართლეების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, თუნდაც მოსამართლეების დანიშვნა 10 წლის ვადით, მოსამართლეების სხვა თანამდებობაზე გადაყვანის დაუშვებლობა მათი თანხმობის გარეშე, რომ მოსამართლის დასჯის უფლება არა აქვს სხვა ორგანოს, გარდა მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიისა, ხელფასთან დაკავშირებული საკითხები არის იგივე და მთელი რიგი საკითხები მაშინდელი კანონიდან არის გადმოღებული.

– თქვენ წინა ხელისუფლების მინისტრი იყავით. როგორ მოხვდით ახალ ხელისუფლებაში, ახალი პრეზიდენტის გუნდში?

– 1990 წელს, სანამ ეროვნული ხელისუფლება მოვიდოდა, მე იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ვიყავი, ასე ვთქვათ, ქუჩიდან მოსული კაცი არა ვარ. მანამდე მეცნიერებათა აკადემიაში სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ ვმუშაობდი. დიდ დახმარებას ვუწევდით უზენაეს საბჭოს. საარჩევნო კანონი, რომლითაც 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები ჩატარდა, ჩემი მომზადებული იყო. ის სისტემა მოქმედებს დღესაც, შერეული პრინციპი – მაჟორიტარული და პროპორციული. ამის შემდეგ გადამიყვანეს მინისტრის მოადგილედ. არჩევნების შემდეგ მინისტრი გავხდი, მაგრამ იუსტიციის მინისტრი ვიყავი 1990 წლიდან 1992 წლამდე.

– ანუ ხელისუფლება შეიცვალა და მინისტრი არ შეცვლილა?

– დიახ, ასე მოხდა.

ჩემი დანიშვნით იწყება კანონიერი ხელისუფლების აღდგენა.

გამსახურდიას ხელისუფლების ყოფილი მინისტრი ხუმრობს, მაგრამ არ გამორიცხავს, რომ მისი დანიშვნით, ხელისუფლებამ შერიგებისკენ ნაბიჯი გადადგა.

– რას იტყოდით 1991-92 წლების მოვლენების შესახებ?

– მე ჩემი პოზიცია იმ ქაოსთან დაკავშირებით, რაც მაშინ ხდებოდა, ჯერ კიდევ 1991 წლის შემოდგომაზე დავაფიქსირე, განვაცხადე რა, რომ ქვეყანაში იქმნებოდა ხელისუფლების ძალად დამხობისა და სამოქალაქო ომის საფრთხე და ასეთი პრეცედენტის დაშვება დაღუპავდა ქვეყანას. მაშინ ვთქვი, რომ, თუ დავუშვებთ ასეთ პრეცედენტს, შემდგომ ყველას აღეძვრება სურვილი, რომ იგივე გაიმეოროს. იმხანად უზენაესი საბჭოს სხდომაზეც გამოვედი და მოვითხოვე პრეზიდენტის ინსტიტუტთან და-

კავშირებული და ოპოზიციის ძირითად მოთხოვნათა განხილვა, ოღონდ ეს უნდა გაკეთებულიყო არა ქუჩაში, არამედ უზენაეს საბჭოში და საერთოდ, ყველა პრობლემური საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო არჩევნების გზით და არა იარაღით ხელში. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. 1991 წლის ოქტომბერში იუსტიციის სამინისტროში ორივე მხარე მოვიწვიე, რომ მომხდარიყო შეთანხმება. შეხვედრები ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის 3 დღე მიმდინარეობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ. ომი მაინც დაიწყო. ბატონი შევარდნაძე საქართველოში რომ ჩამოვიდა, მე იუსტიციის მინისტრი ვიყავი და თანამდებობაზე დავრჩი იმ პირობით, რომ რეფორმების გაგრძელების საშუალება მომეცემოდა. მისაღები იყო კოდექსები – სისხლის სამართლის კოდექსი, სამოქალაქო კოდექსი და სხვა. სიგუამ მითხრა, ამ სფეროში ჩვენ საერთოდ არ ჩავერევითო. შეიქმნა სამთავრობო კომისია და დავინყეთ კოდექსებზე მუშაობა. ერთი წელი ვიმუშავე შევარდნაძესთან ერთად. 1992 წლის ნოემბერში პარლამენტმა ამ თანამდებობაზე არ დამამტკიცა. მაშინ მე პრეზიდენტის კანდიდატურა ვიყავი.

– როგორ ფიქრობთ, რა იყო ამის მიზეზი?

– საფუძვლიანი არგუმენტი მე პარლამენტის მხრიდან არ მომისმენია, უბრალოდ, მოვიდნენ ის ძალები, რომლებსაც არ უნდოდათ, რომ იქ ვყოფილიყავი. მე ეს აშკარად ვიგრძენი და წამოვედი. წამოვედი ისევ უნივერსიტეტში. შემდგომში საჭირო გახდა ახალ კონსტიტუციაზე მუშაობა. მოგეხსენებათ, 1921 წლის კონსტიტუცია როგორ აღადგინეს, რისაც კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი. სხვათა შორის, წინააღმდეგი იყო სიგუაც. მე მათ ავუხსენი, რასაც ნიშნავდა ამ კონსტიტუციის მიღება – ქვეყანაში ძირითადი კანონის ვაკუუმის შექმნას. ე. ი. გაურკვეველი იყო, ვინ ხარ, რა ტიპის ქვეყანა ხარ, რა ტიპის ხელისუფლება მოქმედებს. საერთოდ, ეს პერიოდი საქართველოს ისტორიაში იყო სამარცხვინო და უმძიმესი პერიოდი – ქაოსი, ანარქია. უბრალო ადამიანი მაშინ ალბათ მიხვდა, ხელისუფლება და სახელმწიფო რას ნიშნავს და რამდენად აუცილებელია. შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია და, ბუნებრივია, მე, როგორც ერთ-ერთი კანონმდებლობაში გაწაფული იურისტი, ჩამრთეს კომისიაში სამუშაოდ. თუკი ვინმეს რაიმე გაუკეთებია ამ კონსტიტუციის შექმნისათვის, მეც ვარ მათ შორის. ბუნებრივია, მინევდა ინტენსიური კონტაქტები საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარესთან, ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან. 1995 წლის დეკემბერში, მას შემდეგ, რაც ის პრეზიდენტად აირჩიეს, შემომთავაზა საპარლამენტო მდივნად მუშაობა. თუმცა შევარდნაძე უფრო ადრეც მიცნობდა. მე კალინინის რაიკომის მდივანი ვიყავი, როცა იგი ცკ-ის პირველი მდივანი იყო.

– როგორ მოხვედით რაიკომის მდივნად?

– კალინინის რაიონი იდეოლოგიურ რაიონად ითვლებოდა. აქ იყო სამეცნიერო დაწესებულებები, სახელმწიფო დაწესებულებები და ამიტომაც მე, როგორც მეცნიერებათა აკადემიაში, კვლევით ინსტიტუტში ნამოღვაწარი, დამნიშნეს რაიკომის მდივნად. ეს, რასაკვირველია, ცკ-ის მდივნის გარეშე ვერ მოხერხდებოდა. მე მასთან ვიყავი გასაუბრებაზე. მაგრამ შემდეგ, როცა ბ-ნი ედუარდ შევარდნაძე მოსკოვში გადაიყვანეს, აქ ხელისუფლებაში მოვიდა სხვა ცკ-ის მდივანი, რომელსაც არ მოეწონა ძველი კადრები და, ასე ვთქვათ, გადაახალისა ძველი შემადგენლობა.

– ბატონო ჯონი, დამოუკიდებლობის აქტზე თქვენი ხელმოწერაც არის, როგორ შეიქმნა ის, ვინ შექმნა?

– საბჭოთა კავშირში კრიზისული მდგომარეობა იყო, მაგრამ იმას, რომ სწრაფად დაინგრეოდა, ვერავინ გათვლიდა. ვფიქრობდით, როგორ გაგვეკეთებინა, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენელი ქვეყანა დამოუკიდებელი გამხდარიყო. გადაენყვიტეთ, რეფერენდუმი ჩაგვეტარებინა, რომ ხალხს გადაეწყვიტა ეს საკითხი. ეს მოხდა იმიტომაც, რომ ამ დროს საბჭოთა კავშირში ტარდებოდა რეფერენდუმი საბჭოთა კავშირის შენარჩუნების თაობაზე, როგორც განახლებული ფედერაციისა. იმ რეფერენდუმზე უარი ვთქვით და ჩვენი რეფერენდუმი დავუპირისპირეთ. შედეგები იყო შთამბეჭდავი – 98%. გავიზიარეთ ნინაპრების გამოცდილება და შევუდექით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის წერას.

– მაშინ ამბობდნენ, დამოუკიდებლობის აქტი ხეცურიანის დაწერილიაო.

– საერთოდ, ასეთ აქტზე და კანონებზე საავტორო უფლებები არ ვრცელდება. მოკლედ, დაიწერა აქტი, რომელიც შემდეგ ჩაასწორა ზვიად გამსახურდიამ. სხვათა შორის, დამოუკიდებლობის აქტის პირველი პირი, ზვიად გამსახურდიას ჩასწორებებით, სახლში მაქვს შენახული. ეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაა. ასეთივე დიდი სიამაყით ვიხსენებ 1995 ნლის კონსტიტუციაზე მუშაობას. ეს იმ ძალის დოკუმენტი იყო, რომელმაც საზოგადოებაში სტაბილურობა და კონსტიტუციური რეჟიმი შემოიტანა.

– ბატონო ჯონი, დამოუკიდებლობის აქტი თითქმის თქვენი დაწერილია, იგივე შეიძლება ითქვას კონსტიტუციაზეც. ხომ არ თვლით, რომ თქვენს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი უკვე გააკეთეთ, როგორც იურისტმა და ხელისუფლების ნარმომადგენელმა?

– მე მგონი, ასეთი ძალის აქტები შემდგომში არ იქნება. მნიშვნელოვანი იყო ევროსაბჭოში შესვლა (სხვათა შორის, ჩვენმა მოსახლეობამ ვერ აღიქვა, რა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო ეს ქვეყნისათვის), შემდგომი იქნება ალბათ ევროკავშირში შესვლა. მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა დამოუკიდებლობის აქტსა და კონსტიტუციას აქვს. მომავალში ალბათ ასეთი ძალისა და ასეთი რანგის აქტი ტერიტორიული მონ-

ყობის საკითხის გადაწყვეტა იქნება. როცა მივიღებთ კონსტიტუციურ კანონს (რომელიც დღეს კონსტიტუციას აკლია), იმ თავს – როგორი ტერიტორიული მოწყობა გვაქვს. აფხაზეთს რა სტატუსი აქვს, აჭარას რა სტატუსი აქვს, ანუ ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა როგორ არის ქვეყანაში. ამას კი სჭირდება იურისდიქციის აღდგენა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და შემდგომ კონსტიტუციური კანონის მიღება. აი, ეს იქნება ჩემი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი გამარჯვება. ეს იქნება სრულფასოვანი დამოუკიდებელი ქვეყნის ჩამოყალიბების დაგვირგვინება. ღმერთმა ქნას, რომ ეს ძალიან მალე მოხდეს და ამან თუ მოუსწრო ჩემი იუსტიციის მინისტრობის პერიოდს – ცხადია, ჩემი გასაკეთებელი იქნება. ტერიტორიული მოწყობის კონსტიტუციური კანონის მიღება კონსტიტუციის მიღებისა და, თუ გნებავთ, დამოუკიდებლობის აქტის ტოლფასი იქნება, რომელიც წინ გველის.

– ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების იუსტიციის მინისტრის ისევ იუსტიციის მინისტრად დანიშვნა ხომ არ არის პოლიტიკური ნაბიჯი შერიგებისაკენ და კიდევ, ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ თქვენს ხელისუფლებაში დაბრუნებას 1991-1992 წლების მოვლენების სახელმწიფოებრივი შეფასებაც მოჰყვეს?

– სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით მე ვიხუმრე, რომ იწყება კანონიერი ხელისუფლების აღდგენა-მეთქი. ეს ხუმრობაა რასაკვირველია. მგონია, რომ ამ დანიშვნას პოლიტიკური სარჩული საფუძვლად არ ედო. თუმცა შეიძლება ერთ-ერთი ფაქტორი ესეც ყოფილიყო, მაგრამ თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ არავითარ შემთხვევაში – გადამწყვეტი. მე რომ ვიყო ისეთი პოლიტიკური ფიგურა, რომელიც მხოლოდ პოლიტიკოსია და მეტი არაფერი, მაშინ შეიძლებოდა ამის თქმა. დღეს ხომ ყველა პოლიტიკოსობას იბრალებს, მოდაშია.

– თქვენ კი, პირველ რიგში, იურისტი ხართ?

– მე, რასაკვირველია, პირველ რიგში, იურისტი ვარ. ერთი მედავებოდა ამას წინათ, კონფორმისტი ხარო (9 აპრილის ამბების საგამოძიებო კომისიაში ვმოღვაწეობდი მაშინ), მე ვუთხარი, მე კონფორმისტი კი არა, იურისტი ვარ-მეთქი. ახლა, ამ მომენტშიც მგონია, რომ წინა პლანზე სწორედ პროფესიონალიზმი და ის საქმე იყო ნამოწეული, რომელიც გასაკეთებელია იუსტიციის სამინისტროს სისტემაში. პრეზიდენტმა და პარლამენტმა ჩათვალა, რომ ამ საქმეს მე კარგად გავაკეთებ, რა თქმა უნდა, იმ ფაქტორის გათვალისწინებასაც არ გამოვრიცხავ. რაც შეეხება 1991-92 წლების შეფასებას, მე ვთვლი, რომ აუცილებლად უნდა გაკეთდეს და ეს არ არის მარტო ჩემი აზრი. პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეს აუცილებლად გასაკეთებელია. ახლა იმაზეა საუბარი, ვინ შევიდეს ამ კომისიის შემადგენლობაში და როგორ იმუშაოს. ეს გამოსაკვლევი და შესა-

ფასებელია აუცილებლად და არა მხოლოდ იურიდიულად, არამედ ზნეობრივადაც. ის, რაც 1991-92 წლებში მოხდა საქართველოში, უზნეობა იყო.

– თქვენ 9 აპრილს მომხდარი ამბების საგამოძიებო კომისიაში ეროვნული მოძრაობის კანდიდატურა იყავით. სხვათა შორის, ამ კომისიის მუშაობის შედეგებს იმხელა რეზონანსი არ მოჰყოლია, რასაც ელოდნენ. საბოლოოდ რა დაადგინა ამ კომისიამ?

– საგამოძიებო კომისიის მიერ გაკეთებული დასკვნა იყო კვალიფიციური და იურიდიულად დასაბუთებული. რაც შეეხება რეზონანსს, სანამ საბოლოო დასკვნა გაკეთდებოდა, მანამდე ქვეყნდებოდა დასკვნები ცალკეული საკითხების გარშემო, კერძოდ, მიტინგების აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილების მიღების კანონიერება, კომენდანტის საათის შემოღების კანონიერება. მაშინ ასეთი დასკვნა გავაკეთეთ (რასაც ხელი მოვაწერე და ახლაც მოვაწერ), რომ უზენაესი საბჭოს კომპეტენციაში არ შედიოდა ასეთი გადაწყვეტილების მიღება.

– რამდენი მუხლი დაარღვია ხელისუფლებამ 9 აპრილს – ჩვენმა თუ საკავშირომ?

– უამრავი მუხლი, იმათი ჩამოთვლა ახლა შორს წაგვიყვანს, გეტყვით მხოლოდ რამდენიმეს: ეს იყო ხელისუფლების გადამეტება, ბოროტად გამოყენება, რასაც მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი და ამიტომაც მე დავაყენე საკითხი მათი პასუხისმგებლობის შესახებ, ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო. ეს ხდება 1989 წელს.

– და რას მიაღწიეთ საკითხის დაყენებით?

– სამწუხაროდ, არავინ დაუსჯიათ.

– რატომ მიიჩქმალა ეს საკითხი?

– იმიტომ რომ კომისიის მუშაობის დამთავრებიდან ძალიან მალე, ჩატარდა არჩევნები. ხელისუფლებაში მოვიდნენ ეროვნული ძალები და ეს იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ გადაფარა 9 აპრილის კომისიის დასკვნები.

– ვიცით, რომ არსებობდა საკავშირო კომისია სობჩაკის ხელმძღვანელობით. როგორ ხდებოდა კოორდინირება თქვენს შორის?

– ბ-ნი ელდარ შენგელაია იყო როგორც ჩვენს კომისიაში, ისე საკავშირო კომისიაში. მე ბ-ნ ელდარს ვეხმარებოდი იმ კომისიაში მუშაობისას, ამიტომ ხშირად მიწევდა მოსკოვში ყოფნა.

– განსხვავება იყო თქვენსა და საკავშირო კომისიის დასკვნებს შორის?

– ერთი და იგივე იყო. ძირითადი განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ სობჩაკის კომისიას საკავშირო ორგანოების პასუხისმგებლობის საკითხი 9 აპრილის ტრაგედიაში შერბილებული ჰქონდა და ძირითადი აქცენტი ადგილობრივი, რესპუბლიკის ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე იყო გადატანილი. ჩვენს კომისიას ხელი არ მიუწვდებოდა დოკუმენტებზე მოს-

კოვში, თუ როგორ იქნა გადაწყვეტილება მიღებული ჯარის გამოყენების თაობაზე და ჯარის გამოყენება იმ პერიოდში პოლიტბიუროს გარეშე გამორიცხული იყო.

– ბოლოს და ბოლოს გაარკვიეთ, ვინ მიიღო მოსკოვში ეს გადაწყვეტილება?

– ჩვენ, მოგეხსენებათ, პოლიტბიუროს წევრებს არავინ დაგვაკითხვინებდა. ამიტომ ვცდილობდით, როგორმე ეს მასალები ხელში ჩაგვეგდო. საკავშირო კომისიის წევრებმა დაკითხეს პოლიტბიუროს წევრები. ამ დაკითხვების სტენოგრამა იდო საკავშირო კომისიაში. ელდარ შენგელაიას ვერ ვეტყოდი, სტენოგრამა მომეცი-მეთქი, რადგან ეს იყო საიდუმლო მასალები და ელდარი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა. საკავშირო კომისიაში იყო სომეხი ოფიცერი მარტიროსიანი, არმიის წარმომადგენელი. ამ მარტიროსიანს ვკითხე, რა სტადიაში იყო გამოძიება, თუ გახვედით იმ ხალხზე, ვინც ასეთი გადაწყვეტილება მიიღო-მეთქი. მან მითხრა, თუ გინდა, მე შემიძლია დაკითხვების სტენოგრამა გიშოვოო. ეს ამბავი სუფრაზე ხდებოდა. ცხადია, ვუთხარი მინდა-მეთქი. 7 საათზე სასტუმრო „მოსკვასთან" დამიბარა. მივედი. დამხვდა მარტიროსიანი და გადმომცა პაკეტი. იქვე, სასტუმროში გავხსენი ეს პაკეტი და მართლაც, თვალებს არ დავუჯერე, დაკითხვების სტენოგრამა აღმოჩნდა. თამაზ შავგულიძეც, საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე, სასტუმროში იყო. სასწრაფოდ შევატყობინე, რომ მასალები ხელში მქონდა. უნდა გითხრათ, რომ ჩვენ ძალიან შეგვეშინდა (მაშინ საბჭოთა კავშირში, მოგეხსენებათ, უშიშროება, დაზვერვა – ყველა საშიში უწყება ფორმაში იყო). მეორე დღესვე შევუკვეთეთ ბილეთები და მე და ბ-ნი თამაზი გადმოვფრინდით თბილისში. ასე აღმოგვაჩნდა ხელთ ყველა დოკუმენტი იმისათვის, რომ საბოლოო დასკვნა გაგვეკეთებინა. დავწერეთ დასკვნა და მაშინვე გადავეცით გაზეთს გამოსაქვეყნებლად. გაზეთ „კომუნისტში" რომ მივედით, გვითხრეს, პოლიტბიუროს წევრებზეც ხომ არ დაგიწერიათ რამეო. ჩვენ ვუთხარით, კი, პოლიტბიუროს წევრებიც არიანო. აღვნიშნავ, რომ ისინი სიხარულით შეხვდნენ ამას და მაშინვე დაბეჭდეს.

– შედეგად რა მოჰყვა?

– ლიგაჩოვმა მაშინვე დეპეშა აფრინა მოსკოვიდან, როგორ, საიდან მოხვდა ამათ ხელში ეს მასალებიო. ეჭვი მიიტანეს ელდარ შენგელაიაზე. იგი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა და დიდი უსიამოვნებები შეხვდა ამასთან დაკავშირებით. სხვათა შორის, მერე კიდევ გვეშინოდა, ან ახლა დაგვიჭერენ ან ახლაო. მაგრამ შეგვრჩა, რადგან საკავშირო კომისიის დასკვნაც გამოქვეყნდა და ამოვისუნთქეთ. გარდა ამისა, შევარდნაძემაც გააკეთა განცხადება, სიმართლე უნდა ითქვასო და ამით დაგვიჭირა მხარი.

– საბოლოოდ, რა მოხდა 9 აპრილს, ვის მიუძღვის ყველაზე დიდი წვლილი ამ ამბებში?

– ძალიან აქტიურობდა ნიკოლსკი, რომელიც ცენტრის თვალი იყო საქართველოში. ვფიქრობ, ნიკოლსკის დიდი გავლენის ქვეშ იყო პატიაშვილი. მე ხელში ჩამივარდა როდიონოვის შიფროგრამა იაზოვთან, სადაც იგი ნერს, რომ პატიაშვილი და ნიკოლსკი მოითხოვენ ჯარის გამოყენებას და მე არ მიმაჩნია სწორად ჯარისთვის ამ ფუნქციის მინიჭებაო. ამით ჩანდა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მოითხოვდა ჯარის გამოყენებას.

– დავუბრუნდეთ იუსტიციის სამინისტროს, მალე მას გადაეცემა პენიტენციარული სისტემა. ელენე თევდორაძეს იმედი აქვს, რომ არანაირ პრობლემას პენიტენციარულ სისტემაში არ შექმნით.

– პენიტენციარული დაწესებულებები გადაცემული უნდა იყოს სამოქალაქო უწყებისთვის, რომელიც საპროცესო კანონმდებლობით არ არის სისხლის სამართლის მდევნელი ორგანო. მისი ინტერესი მხოლოდ ის არის, რომ სასჯელის აღსრულება მოხდეს. არის მეორე საკითხი: მოდის ამხელა სისტემა იმ ორგანოში, რომლისთვისაც ეს ფუნქცია უჩვეულოა. ჩვენს პირობებში ამას სჭირდება რეჟიმი, დაცვა, სპეცსამსახური და, პირველ რიგში, ოპერატიული სამსახური, რომ იქ არ მოხდეს გაქცევა, ჯანყი და ა. შ. ამისათვის გვჭირდება ოპერატიული სამსახური, რომელიც ამის თაობაზე ინფორმაციას მოიპოვებს. მექანიკურად რომ გადმოეცეს იუსტიციის სამინისტროს ეს სისტემა, საწყის ეტაპზე ამას თავს ვერ გაართმევს იმიტომ, რომ სპეცსამსახურების ჩამოყალიბებისთვის გარკვეული დროა საჭირო. შსს-დან ამ ოპერატიულ სამსახურს აქეთ ვერ გადმოვიტანთ. ამიტომ გარდამავალ პერიოდში საჭირო იქნება დათმობებზე წასვლა.

– რა დათმობებზეა საუბარი?

– იმაზე, რომ რაღაც პერიოდში შეუძლებელი იქნება ამ სისტემის იუსტიციის სამინისტროში გადატანა და ამიტომ რაღაც ნაწილში თანამშრომლობის ცალკეული ფორმა შსს-სთან და უშიშროებასთან დასატოვებელი იყოს გარდამავალ პერიოდში.

– რამდენ ხანს გაგრძელდება ეს გარდამავალი პერიოდი?

– ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად სწრაფად ჩამოყალიბდება სპეცსამსახური იუსტიციის სამინისტროში.

– რამდენად სწრაფად ჩამოყალიბდება?

– მე მგონი, რომ ძალიან სწრაფად ჩამოყალიბდება.

– რაღაც ჩანასახში მაინც თუ არსებობს იუსტიციის სამინისტროში ეს სამსახური?

– იუსტიციის სამინისტრომ კანონპროექტში ასე ჩამოაყალიბა, რომ საჭიროების შემთხვევაში შსს იქ ოპერატიულ მუშაკს ნიშნავს. შსს-ს რისთვის უნდა იქ ოპერატიული მუშაკი? თუ გაქცევა ან ჯანყი მზადდება, ეს ადმინისტრაციის და იუსტიციის სამინისტროს პრობლემაა. შსს-ს თავისი ინტერესი აქვს, ოპერატიული მუშაკი სჭირდება იმისთვის, რომ დანაშაუ-

ლები გაიხსნას. დანაშაულთა 30 % იქიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იხსნება. ეს არის სტატისტიკური მონაცემები და რაც უნდა მოვიტყუოთ თავი და ვთქვათ, რომ შსს-ს სხვა რამისთვის უნდა იქ ოპერმუშაკი, ეს არის ფაქტი და ამას ვერავინ უარყოფს.

– დაბოლოს, ბ-ნო ჯონი, თქვენს წინამორბედს რეფორმატორ მინისტრს ეძახდნენ, თქვენ როგორი მინისტრი იქნებით?

– მე გავაკეთებ ყველაფერს, რომ იუსტიციის სამინისტროს დაუბრუნდეს ის ფუნქციები, რომლებსაც ის იმსახურებს და რომლებიც კანონით უნდა ეკუთვნოდეს.

ეკა ჯანაშიას ინტერვიუ
იუსტიციის მინისტრ **ჯონი ხეცურიანთან**

გაზეთი „ახალი თაობა", №175, №176, 1999 წელი, 28-29 ივნისი.

ინტერვიუ ყოფილ იუსტიციის მინისტრთან

12 გაქცეულის გზა-კვალს უკვე ერთი კვირაა ამაოდ ეძებენ. ამ გაქცევას ერთი მინისტრი უკვე შეეწირა. თანამდებობიდან წავიდა ჯონი ხეცურიანი (შესაძლოა მისი ბედი სხვა ძალოვნებმაც გაიზიარონ). ჭორაობენ, ეს გაქცევა იუსტიციის მინისტრს განგებ მოუწყვეს, ხეცურიანი ვიღაცის ინტრიგებს შეეწირა, მასზე ზეწოლა მოხდა და თანამდებობიდან წასვლა აიძულესო. რა მოხდა სინამდვილეში? იყო თუ არა მასზე ზეწოლა და ბოლოს, ექსტრემალურ სიტუაციაში რატომ აღმოჩნდა იგი ყველაზე ნაკლებად ინფორმირებული? ამ კითხვებს „კვირის პალიტრისთვის" მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში თავად ბატონი ჯონი ხეცურიანი უპასუხებს.

– ბატონო ჯონი, ვინ და როდის შეგატყობინათ 12 მსჯავრდებულის გაქცევის ფაქტი?

– კვირას, დაახლოებით 12 საათზე, პრეზიდენტმა შინ დამირეკა და მკითხა, თქვენთან რაიმე უსიამოვნება ხომ არ მომხდარაო. ვუთხარი, არავითარი ინფორმაცია არ მაქვს, შევამოწმებ და მოგახსენებთ-მეთქი. სასწრაფოდ დავუკავშირდი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ოპერატიულ მორიგეს... და მაშინ მითხრეს ყველაფერი. ვიკითხე, რატომ არ გამაგებინეთ-მეთქი (ყოველთვის მატყობინებდნენ, როდესაც ნაკლებმნიშვნელოვანი ექსცესები ხდებოდა). მითხრეს, ვცდილობდით დაკავშირებას, მაგრამ ვერ დაგირეკეთო – მობილური ტელეფონი გამორთული მქონდა(!).

– უცნაურია, რომ თქვენს სისტემაში მომხდარი ფაქტი შს მინისტრმა უფრო ადრე შეიტყო.

– როგორც მითხრეს, თარგამაძეს თავისმა სამსახურმა აცნობა მომხდარის შესახებ. მან პრეზიდენტს შეატყობინა და ამის შემდეგ დარეკა ჩემთან ბ-ნმა ედუარდმა. ახლაც ვერ ამიხსნია, რატომ ვერ დამირეკეს, თუკი ვინმე ცდილობდა დაკავშირებას (პრეზიდენტს არ გასჭირვებია ხეცურიანთან დარეკვა! ი. რ.).

მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში რომ მივედი, მომხდარის გამო ყველა გაოგნებული დამხვდა. ბ-ნი გივი ყვარელაშვილი და ნაულის ქობულია (დაწესებულების დირექტორი) აღშფოთებულები იყვნენ ასეთი თავხედური აქციის გამო. იქ უამრავი ხალხი ირეოდა - პროკურატურა, შსს, უშიშროება, ჩვენი სამსახური. ბ-ნმა გივიმ თავიდანვე თქვა, რომ თანამდებობიდან გადადგებოდა. მეც პირველსავე დღეს განვაცხადე, რომ პასუხისმგებლობას ვკისრულობდი ასეთი ჩავარდნის გამო და სამშაბათს პრეზიდენტს მივმართე განცხადებით გადადგომის შესახებ.

– ითქვა, თითქოს ვიღაც გებრძოდათ და ამის გამო იყო, რომ ყველაზე გვიან გაიგეთ მსჯავრდებულთა გაქცევის შესახებ.

– არ მაქვს ინფორმაცია, რომ ჩემს წინააღმდეგ რაღაც ძალები მოქმედებდნენ... გაქცევის ფაქტზე უამრავი ვერსია არსებობს, მაგრამ არც ერთი ჯერ დადასტურებული არ არის. ამიტომ ძნელია იმის თქმა, რატომ შემატყობინეს ეს ამბავი გვიან და არა მაშინვე (თუნდაც პრეზიდენტზე ადრე), როგორც კი ცნობილი გახდა.

– ქობალია აცხადებდა, რომ ციხეში მისი უსაფრთხოება დაცული არ იყო. ამასთანავე, კეთდებოდა აქცენტი იმაზეც, რომ აბსანძემ „ბევრი რამ იცოდა". ხომ არ იყო ეს ნაბიჯი გაქცეულთა მხრიდან მოსალოდნელი ანგარიშსწორებისაგან თავის დაღნევის მცდელობა?

– გამოძიება გაარკვევს გაქცევის მოტივაციას. მე არ ვფლობდი ინფორმაციას, რომ მათ რაიმე ემუქრებოდათ. თუ ასეთი რამ არის მოსალოდნელი, ამის შესახებ სპეცსამსახურებმა უნდა შეგვატყობინონ. ჩემთვის ამ სამსახურებს არაფერი უთქვამთ.

– თვითონ გაქცევის ფაქტზე რას იტყვით?

– დანესებულების თანამშრომელთა დოყლაპიობისა და გარკვეული პირების ხელშეწყობის გარეშე ასეთი გაქცევის ორგანიზება შეუძლებელი იყო. ეს იყო თავხედური ფორმით, ცინიკურად გაკეთებული გაქცევა.

– ამ გაქცევის შემდეგ უშიშროების საბჭოს მდივანმა ყველა ძალოვანი უწყების მუშაობაზე გამოთქვა უკმაყოფილება. იმასაც ამბობენ, ამ ამბავს თარგამაძესაც გადააყოლებენო.

– ეს ფაქტი იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ დანესებულებაში მოხდა და პოლიტიკური პასუხისმგებლობა იუსტიციის მინისტრს ეკისრება. ამიტომ მივმართე პრეზიდენტს გადადგომის თხოვნით. არ არის მართალი ზოგიერთის მტკიცება – ხეცურიანს განცხადება არ დაუწერიაო. განცხადება პრეზიდენტს გადავეცი კანცელარიაში და მან ჩემი თხოვნა დააკმაყოფილა. რაც შეეხება სხვა პირების პასუხისმგებლობას, ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის. როცა ასეთი რამ ხდება, ყველა პასუხისმგებელია. ეს ხომ არ არის რაღაც ლოკალური ფაქტი და რიგითი მსჯავრდებულების გაქცევა.

– ვიღაცის წყალობით, თითქოს პრეზიდენტს თქვენზე არასწორი ხმები მისდიოდა. მახსოვს, მან კაზინოების გაუქმების შესახებ კანონის დაგვიანებაც გისაყვედურათ.

– ვერ გეტყვით, ვინ სად ამღვრევდა წყალს. ისე, პრესაში კი ნერენ ამის შესახებ. მე რომ ისეთი თანამდებობის პირი ვყოფილიყავი, რომელსაც პრეზიდენტთან ურთიერთობის საშუალება არ ჰქონოდა, მაშინ შეიძლებოდა ამის დაჯერება. რაც შეეხება კაზინოს აკრძალვის შესახებ კანონის მომზადებას, მას მართლაც დრო დასჭირდა. მაგრამ, როცა პრეზიდენტმა მთავრობის სხდომაზე მისაყვედურა კანონის მოუმზადებლო-

ბის გამო, მაშინ კანონი დასრულებული გვქონდა და იმავე დღესვე პრეზიდენტს მაგიდაზე ედო.

– ამბობენ, გამსახურდიას დროინდელი ერთადერთი მინისტრი ისევ „ზვიადისტებმა“ გადაიყოლესო. თქვენ და გაქცეული გურამ აბსანძე ერთ დროს იყავით აღმასრულებელ ხელისუფლებაში. როგორი ურთიერთობა გქონდათ მასთან?

– მართალია, გაიქცნენ ადამიანები, რომლებიც იმდროინდელ ხელისუფლებაში იყვნენ და მეც გადამიყოლეს. გურამ აბსანძე მაშინ გავიცანი, როცა მინისტრად დაინიშნა. როგორც მთავრობის წევრებს, ხანმოკლე ურთიერთობა გვქონდა.

– გაქცევის ფაქტს მოსალოდნელ დესტაბილიზაციას უკავშირებენ. რამდენად რეალურია ეს საშიშროება?

– ამ ფაქტმა დესტაბილიზაცია გარკვეულწილად უკვე მოახდინა. გაქცევები სხვა დროსაც გვქონია, მარტო წელს 6 გაქცევა მოხდა, მაგრამ ეს არ იყო ჩვეულებრივი გაქცევა. აბსანძეს და კიდევ სამ პიროვნებას (გაქცეულთაგან) პრეზიდენტის წინააღმდეგ მონყობილ ტერაქტში მონაწილეობა ედებოდათ ბრალად. როცა ციხიდან ასეთი პიროვნებები გარბიან, ბუნებრივია, საფრთხის ქვეშ დგება სახელმწიფო ხელისუფლების სტაბილურობა და საზოგადოების მდგრადობა. პიროვნებები, რომელთაც ტერორიზმში ედებათ ბრალი, გარეთ არიან.

– „რესბალნიციდან“ გამოსული ინფორმაციით(!), გაქცევის წინა დღეებში და 1 ოქტომბრის ღამეს დაწესებულებაში დენი არ ყოფილა. ესეც „ჩაწყობილი“ ამბავი ხომ არ იყო?

– სინათლე იქ ხშირად ქრება. როცა გაქცევის დღეს მივედი სამკურნალო დაწესებულებაში, სინათლე მაშინაც ჩაქრა.

– თანამდებობიდან წასვლის შემდეგ რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციაში ხომ არ გიხილავთ? მით უმეტეს, რომ ზოგიერთი პარტია დაუფარავად გამოხატავს თქვენდამი სიმპათიას?

– არც ერთ პარტიაში არ მივალ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციასთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს. როცა იუსტიციის მინისტრი ვიყავი, მათ ჩემთან გაიარეს რეგისტრაცია. საქმის კეთება რომელიმე პარტიის წევრობის გარეშეც შეიძლება. ამ ათი წლის მანძილზე ბევრი ქარტეხილი გამოვიარე და ერთი რამ ვიცი, სახელმწიფო სამსახურში პიროვნების კი არა, საქმის ერთგული უნდა იყო. ვმუშაობდი 9 აპრილის გამოძიებაზე, ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხზე, დამოუკიდებლობის აქტზე ჩემი ხელმონერაცაა, რეფერენდუმის შესახებ კანონი მე შევადგინე, 1991 წელს პრესის შესახებ კანონიც ჩემი მონაწილეობით გაკეთდა, ვარ კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორი, სიკვდილით დასჯის გაუქმების ერთ-ერთი ინიციატორი და ა.შ. ვფიქრობ,

ერთი კაცის ბიოგრაფიისთვის ეს საკმარისია. კმაყოფილი ვარ, რომ ამ ცხოვრებით ვიცხოვრე.

– კულუარული ინფორმაციით, მალე კარგ თანამდებობას შემოგთავაზებენ.

– პრეზიდენტმა ამის შესახებ თქვა: კიდევ გამოვიყენებთ ბატონ ჯონისო. მანამდე... თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვარ და სამოქალაქო სამართლის კათედრაზე წავიკითხავ ლექციებს. ეს ერთი წელი იმდენ ჯაფად და ბრძოლად დამიჯდა, რომ დავიღალე. მინდა დავისვენო და გავიაზრო რაც მოხდა. სამსახურში ფიქრის დროც არ მქონდა...

– დასვენებისას ალბათ თქვენს ჰობს – ნადირობასაც არ დაიკიდებთ.

– თევზაობა და ნადირობა ძალიან მიყვარს. არაგვში ანკესით ვთევზაობ ხოლმე კალმახზე. ახლა ნადირობის სეზონია, მაგრამ ალბათ სანადიროდ ვერ მოვიცლი.

– სად ნადირობთ ხოლმე?

– საქართველოს გარეთ არასდროს მინადირია. უფრო დასავლეთ საქართველოში მივდივარ, სადაც დავიბადე და გავიზარდე. ლეჩხუმელი ვარ, ლაილაშში მაქვს მამაპაპისეული სახლი. ოთხი წლის წინ ვიყავი ბოლოს. ვერ მოვიცალე იქ ასასვლელად. ისე, მინადირია ფოთში, ხობში, თეთრ წყაროშიც.

– გავიგე, ძვირფასი სანადირო თოფი გქონიათ...

– არა, ძვირფასი არ არის. უბრალოდ, ამ თოფს ძალიან შევეჩვიე. – ТОЗ 34-ია, რუსული წარმოების, ორლულიანი. ის ორი თოფი, რომელიც კედელზე კიდია (ფარ-ხმალთან ერთად) ოჯახის რელიკვიაა. ნადირობისას მომიკლავს მწყერი, ქედანი, მელა, ღორი...

– ბოლო კითხვას დაგისვამთ: თქვენს შემცვლელ იუსტიციის ახალ მინისტრზე რას იტყვით?

– ბატონ მიხეილს გამოცდილება აქვს. ნიჭიერი კაცია. მოქმედებაშიც პრინციპული და გაბედულია. რეფორმების გატარებას სწორედ ასეთი პიროვნება სჭირდება. დაწყებულ საქმეს მისი ხელი ალბათ ძალიან წაადგება.

ესაუბრა **იზო რიკაძე**

გაზეთი „კვირის პალიტრა", №41, 2000 წელი, 9-15 ოქტომბერი.

მიზანი, რომელიც სიცოცხლედ ღირს

ორიოდე დღის წინ ჩვენი გაზეთის სარედაქციო კოლეგიის სხდომაზე მწვავედ დაისვა იმ პუბლიკაციების საკითხი, რომლებიც იბეჭდება რუბრიკით „ადამიანი დროში". მაშინ ერთიანად ყველა გააფრთხილეს – ფაქიზად მოეპყარითო ამ რუბრიკით დასაბეჭდ მასალებს. იგი საკმაოდ ტეევადია და შერჩეული პიროვნებები აუცილებლად უნდა პასუხობდნენო მის შინაარსს.

მოთხოვნა სავსებით სამართლიანია. რუბრიკა მართლაც სერიოზული და საპატიოა „ჩვენი დროის გმირებისათვის", მაგრამ მაინც მეპატარავება ბატონი ჯონი ხეცურიანისათვის. იგი დროში „ვერ ჯდება", მის არტახებს ამსხვრევს და ნინ უსწრებს, უსწრებს მთელი თავისი ცხოვრებით, მთელი თავისი საქმიანობით, რომელსაც მყარი ზნეობრივი საფუძველი უძევს.

ამ პუბლიკაციის მომზადებისას რამდენჯერმე შევხვდი ჯონი ხეცურიანს. საკმაოდ ვრცლად ვისაუბრეთ სამსახურებრივ საქმიანობაზე, სამეცნიერო მოღვაწეობაზე, ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სიტუაციებზე, ოჯახზე, მშობლებზე, შვილებზე... ყველა თემაზე საუბრისას იგი ხაზს უსვამდა სწორედ ზნეობას, წესიერებას, კეთილსინდისიერებას. თვალნათლივ ვხედავდი, რომ მორალური სისპეტაკე და სიწმინდე მას გამჯდარი აქვს სისხლსა და ხორცში, ძვალსა და რბილში. გამჯდარი აქვს დაბადებისთანავე, რადგან ესოდენ ძვირფას ღირებულებებს, საბაზრო ეკონომიკის პირობებშიც კი, უძლიერეს სუპერმარკეტებში ვერ შეიძენ.

როგორც ამბობენ, ცხოვრებაში შემთხვევით არაფერი ხდება და ალბათ არც ის იყო შემთხვევითი, რომ ჯერ კიდევ 1976 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, ჯონი ხეცურიანმა თავის საკანდიდატო დისერტაციის თემად აირჩია ცივილისტიკაში მანამდე გამოუკვლეველი თემა – მორალური ნორმების მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალში. ეს უაღრესად რთული და აქტუალური პრობლემა გახლდათ, რომელიც მეცნიერების სხვადასხვა დარგის მიჯნაზე მდებარეობდა. ჯონი ხეცურიანმა მორალური ნორმების მნიშვნელობის საკითხები მეცნიერულად დაამუშავა სამოქალაქო სამართლის აქტივობის ყველა სტადიაზე: სამოქალაქო სამართლის ნორმების ფორმირებისას, სამოქალაქო სამართლის ნორმების განხორციელებისას და სამოქალაქო სამართლის ნორმების შეფარდებისას. მეცნიერული კვლევის შედეგად, მან დაასაბუთა წინადადებები სამოქალაქო ურთიერთობათა მოწესრიგებაში მორალური ნორმების იურიდიული მნიშვნელობის ფარგლების დასადგენად, წამოაყენა კონკრეტული საკანონმდებლო წინადადებები მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის შემოღების, გარიგების ბათილობის დამოუკიდებელ

საფუძვლად მორალურ ნორმებთან მისი წინააღმდეგობის მიჩნევის და პირადი არაქონებრივი უფლებების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის გაფართოების აუცილებლობის შესახებ. კვლევის შედეგები აისახა მის საკანდიდატო დისერტაციაში, რომელიც 1977 წელს წარმატებით დაიცვა ხარკოვის იურიდიულ ინსტიტუტში და 1980 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „მორალური ნორმების მნიშვნელობა საბჭოთა სამოქალაქო სამართალში". ამ მონოგრაფიისათვის 1982 წელს ჯონი ხეცურიანს საკავშირო ლენინური კომკავშირის პრემია მიენიჭა მეცნიერების დარგში.

ბარემ აქვე ვიტყვით იმის შესახებაც, თუ როგორ გაუსწრო დროს ამ თემის არჩევაში ჯონი ხეცურიანმა. 1977 წელს ამ პრობლემის გამოკვლევის შედეგად შემუშავებული წინადადებები 1997 წელს გაიზიარეს და დანერგეს საქართველოს ახალ სამოქალაქო კოდექსში. დიახ, ზუსტად ასევე, 20 წლის შემდეგ, გაიზიარეს და დანერგეს ქართულ კანონმდებლობაში ჯონი ხეცურიანის წინადადებები სიკვდილით დასჯის გაუქმების აუცილებლობის შესახებ, დანერგეს 20 წლის შემდეგ, უკვე დამოუკიდებელ, სუვერენულ საქართველოში, რომლის მოახლოებულ სიოსაც ახალგაზრდა მეცნიერი უკვე ძალუმად გრძნობდა, მგონი, „ხელითაც ეხებოდა". ამის თქმის უფლებას მაძლევს მისი შემდგომი მოღვაწეობა, რომელიც ერთიანად გახვეულია პრინციპულობისა და სამართლიანობის საბურველში. ეს პათეტიკა კი არა, სრული ჭეშმარიტებაა.

თავად განსაჯეთ, სამოქალაქო სამართალში მორალური ნორმების მნიშვნელობის გამოკვლევის შემდეგ, ჯონი ხეცურიანი შეუდგა სამოქალაქო სამართლის როგორც სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური დარგის ფუნქციების მეცნიერულ დამუშავებას. ეს პრობლემა საერთოდ შეუსწავლელი იყო ცივილისტიკაში და ნაკლებად გამოკვლეული სამართლის ზოგად თეორიაში. არც ფილოსოფიურ მეცნიერებაში იყო გარკვეული ფუნქციების, სისტემის და სტრუქტურის კატეგორიალური სტატუსი. მან პირველად, სისტემურ-ფუნქციური მეთოდით გამოიკვლია სამოქალაქო სამართლის ფუნქციების ცნება და სისტემა, გააანალიზა სამოქალაქო სამართლის ფუნქციების საკანონმდებლო ბაზა და შეიმუშავა საკანონმდებლო წინადადებები სამოქალაქო სამართლის ფუნქციური შესაძლებლობის ეფექტიანი განხორციელებისათვის. მისი მეცნიერული კვლევის შედეგები აისახა წიგნშიც, მონოგრაფიაშიც, 1994 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაცულ მის სადოქტორო დისერტაციაშიც.

ჯერ კიდევ საბჭოურ პერიოდში ჯონი ხეცურიანის მიერ რუსულ ენაზე გამოცემული ეს მონოგრაფია, გარდა მისი თეორიული ღირებულებისა, იმითაცაა აღსანიშნავი, რომ მასში მეცნიერულად არის დასაბუთებული იდეა მოკავშირე რესპუბლიკის როგორც საკუთრების უფლების დამოუკიდებელ სუბიექტად აღიარების შესახებ. ამის საფუძველზე ჯონი

ხეცურიანმა შეიმუშავა საკანონმდებლო წინადადება იმჟამინდელ კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად, რომლის თანახმად: მინა, წიაღი, ტყე, წყლები და ა. შ. უნდა გამოცხადებულიყო მოკავშირე რესპუბლიკის საკუთრების განსაკუთრებულ ობიექტებად, მის ეროვნულ სიმდიდრედ. ამ იდეის მეცნიერულ დასაბუთებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სუვერენული უფლებების დაცვის საქმეში. ფაქტობრივად იგი მძლავრი ნაბიჯი იყო ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე – ნაბიჯი მეცნიერულად დამუშავებული და თეორიულად დამტკიცებული.

ჯონი ხეცურიანი: – ცხოვრებაში ყველაზე დიდი სტიმული მომცა სწორედ მეცნიერულმა მოღვაწეობამ. საბედნიეროდ, ყოველთვის მეძლეოდა საშუალება იმისა, რომ მეცნიერული მოღვაწეობა პრაქტიკაში გამომეყენებინა. განათლება, რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტში მივიღე, მერე კი მეცნიერებათა აკადემიაში 12 წლის მუშაობის მანძილზე გავიღრმავე, პრაქტიკულად სავსებით გამოვიყენე. მე ყოველთვის ვმუშაობდი აქტუალურ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სამომავლო თემებზე. ზოგი ისეთი პრობლემა დავამუშავე, რომლებზე სიტყვის თქმაც მაშინ ბევრს ურუანტელს ჰგვრიდა. ამიტომ იმხანად ვერ „დაინახეს", ვერ გაითავისეს, მაგრამ დრომ ის პრობლემები მაინც წინა პლანზე წამოსწია და საბოლოოდ მაინც გადაწყდა.

1990-92 წლებში ჯონი ხეცურიანი საქართველოს იუსტიციის მინისტრად მუშაობდა. სწორედ მან დაიწყო სასამართლო რეფორმა, რომელზეც დღესაც ასე მწვავედ კამათობენ და, როგორც ჩანს, თავს მაინც ვერ აბამენ. რეფორმა დაიწყო ჩვეულებრივ, ყოველგვარი ნივილ-კივილის, ტკივილ-ტირილის გარეშე. მაშინ მოხდა მოსამართლეთა დანიშვნა 10-10 წლით. ისინი არ ექვემდებარებოდნენ ხელისუფლების მონაცვლეობას. მაშინ შემოიღეს საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარებაც და მოსამართლეთა დასჯაც... სულ 12 კანონი მიიღეს სასამართლო რეფორმაზე.

სწორედ ჯონი ხეცურიანის მცდელობითა და მონდომებით გამოვიდა საქართველოს მართლმსაჯულება საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან. საქართველოს განაჩენი აღარ საჩივრდებოდა იმპერიის უმაღლეს სასამართლოში. ჩვენი ყველა სტრუქტურა ექვემდებარებოდა ზემდგომს, მართლმსაჯულება კი არა. იგი აქვე, საქართველოშივე მთავრდებოდა. ესე იგი, სუვერენიტეტი მოვიპოვეთ ჯერ მართლმსაჯულებაში და მერე სხვა დარგებში, სხვა სფეროებში. ბევრი მაშინ ამას გაოცებით შეხვდა, მაგრამ ფაქტი ფაქტად დარჩა!

ჯონი ხეცურიანი, ცხადია, თავის წილად, საქართველოს დამოუკიდებლობას ნელ-ნელა აახლოებდა. თავდაპირველად, მან მეცნიერულად დაამუშავა კონსტიტუციური სამართლის აქტუალური პრობლემები, რომ-

ლებიც ეხებოდა პოლიტიკური პარტიების სამართლებრივ სტატუსს, საარჩევნო სისტემას, უშუალო დემოკრატიის ინსტიტუტებს, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობებს და სხვა. აღსანიშნავია, რომ მისი კვლევის შედეგები აისახა ამ საკითხებზე მიღებულ საკანონმდებლო აქტებში, მათ შორის კონსტიტუციაშიც. მან დაამუშავა, მაგალითად, უშუალო დემოკრატიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის – რეფერენდუმის საკანონმდებლო რეგლამენტაციის ძირითადი პრობლემები, რომლის საფუძველზეც, 90-იანი წლების დასაწყისში მივიღეთ კანონი რეფერენდუმის შესახებ. სწორედ ამ კანონის შესაბამისად, 1991 წლის 31 მარტს – საქართველოს ისტორიაში პირველად – ჩატარდა რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე. ჯონი ხეცურიანი არის 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ერთ-ერთი ავტორიც.

მანამდე კი ჯონი ხეცურიანმა, როგორც მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელმა, აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ტრაგედიის გარემოებათა გამოძიებაში და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ტრაგედიის შესახებ ობიექტური და სამართლიანი დასკვნების შემუშავებაში. ხოლო მერე, როცა ჩვენში სამოქალაქო ომი გაჩაღდა და იმუამინდელი ხელისუფლება დაეცა, ჯონი ხეცურიანმა ამ აქციას მოურიდებლად სახელმწიფო გადატრიალება უწოდა. იგი წუხს, რომ დღემდე აქედან სწორი დასკვნები ვერ გამოვიტანეთ.

ჯონი ხეცურიანი: – ბოლო არეულობის დროს, რომლის შედეგად ჩვენი მთავრობა გადადგა, მე მოსკოვში ვიყავი. სასწრაფოდ წამოვედი. უმძიმესი მდგომარეობა გახლდათ. კაცმა არ იცოდა, პროცესები როგორ განვითარდებოდა. ჩვენ ეს ათიოდე წლის წინათ უკვე ვნახეთ. მაშინ კინაღამ ქვეყანა დავანგრიეთ. საქმე კეთდება არა მიტინგებით, არეულობებით, დამხობებით, არამედ შრომით, გარჯით. იმ ქვეყნებმა, რომლებმაც წარმატებებს მიაღწიეს და დღეს კარგად არიან, მიაღწიეს შრომით და მხოლოდ შრომით. წინა გაკეთებულს უმატებდნენ, აგურს აგურზე ადებდნენ, თორემ ერთ დღეში არავინ აშენებულა, არც ამერიკა და არც ევროპა. თავის დროზე იმათაც გაიარეს რთული გზები, მაგრამ ეს იყო 200-300 წლის წინათ და ჩვენ დღეს ხომ არ უნდა გავიმეოროთ იგივე შეცდომები? თუ რამ შეგვიძლია, ახალი უნდა ავაშენოთ და არა ძველი დავანგრიოთ. სანამ ჭკუას არ ვისწავლით, მანამ საქართველოს პერსპექტივა არ ექნება!

ალტერნატივა არ არსებობს: ჭკუა უნდა ვისწავლოთ. შესაბამისად, უნდა ვისწავლოთ შენებაც. ჯონი ხეცურიანისთანა პიროვნებები ყველა-

ფერს აკეთებენ, რათა საქართველო ჩამოყალიბდეს სამართლებრივ, ცივილიზებულ სახელმწიფოდ.

იგი ორჯერ გახლდათ იუსტიციის მინისტრი. ასევე ორჯერ იყო პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი. ახლა იგი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეა. არც ერთი პოსტის დაკავება მას არ გასჭირვებია. პირიქით, მის კანდიდატურას ყველგან და ყოველთვის მოწიწებითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ. იცოდნენ, რომ სადაც ჯონი ხეცურიანი მივიდოდა, იქ საქმე აუცილებლად წინ წაიწევდა, რაღაც ახალი, პროგრესული ნაბიჯი გადაიდგმებოდა.

* * *

საკონსტიტუციო სასამართლო ნებისმიერი სამართლებრივი სახელმწიფოს აუცილებელი ატრიბუტია, კონსტიტუციური კონტროლის ორგანოა. უფრო ფართო გაგებით – ხელისუფლების არტახებია. იგი ბოჭავს, ზღუდავს ყველა მის შტოს: საკანონმდებლოს, აღმასრულებელს, სასამართლოს, რათა მათ იმოქმედონ მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციის ფარგლებში. აუქმებს ყველა კანონს, ყველა ნორმატიულ აქტს, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, თუნდაც პრეზიდენტის ან პარლამენტის მიერ გამოცემულს. საკონსტიტუციო სასამართალო იხილავს მხოლოდ სამართლებრივ საკითხებს, მაგრამ მის გადაწყვეტილებებს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. დასკვნა საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. აი ასე, საბოლოოა!

ჯონი ხეცურიანი: – საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ 5 წელს ითვლის. ფაქტობრივად ჩვენ საკონსტიტუციო სამართალწარმოების, საკონსტიტუციო კონტროლის არავითარი გამოცდილება არა გვაქვს. ეს ინსტიტუტი ჩამოყალიბდა ჩვენი კონსტიტუციის მიღების შემდეგ და განვლილი დრო დაფუძნების პირველი ეტაპია, მისი ფორმირების პერიოდია. სახელმწიფო სტრუქტურებმაც და მოქალაქეებმაც დაინახეს მისი არსებობის სოციალური საჭიროება. მან მიიღო არაერთი პრინციპული გადაწყვეტილება (რომელიც ერთხელ მოსამართლეთა ფიტულების დაწვით დამთავრდა). ახლა დგება მეორე ეტაპი. მას შეიძლება დავარქვათ საკონსტიტუციო სასამართლოს განვითარების მეორე ეტაპი, რომელიც კიდევ უფრო დახვენს ჩვენს საქმიანობას.

სხვათა შორის, ჯონი ხეცურიანი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი გახლდათ და ამ კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორიცაა. ამიტომ ახლა უმალ დაინახა ის ხარვეზები კანონმდებლობაში, რომლებიც

ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს. დღემდე, მაგალითად, სარჩელები თუ წარდგინებები იხილებოდა დაგვიანებით, გაჭიანურებით. ამის გამო დაგროვდა 33 საქმე. ზოგი 1999 წლიდანაც კი მოდის. ეს ძირითადად გამოწვეული გახლავთ ე. წ. უწყვეტობის პრინციპით. რომელიმე კოლეგია თუ ერთ საქმეს იხილავს, იგი მეორეს ვერ მიუტრიალდება, ვიდრე პირველს არ დაასრულებს, გინდაც ორკვირიანი, ორთვიანი შუალედი ჰქონდეს. უკვე შემუშავებულია კანონპროექტი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლითაც უქმდება ეს უწყვეტობის პრინციპი. დადგინდება საერთო ვადა – 6 თვე. კოლეგიებს, პლენუმს უფლება ექნებათ, სხვადასხვა საქმეზე ერთდროულად იმუშაონ და ამ ვადაში სათანადო გადაწყვეტილებებიც მიიღონ. ამით ძველი საქმეებიც მოთავდება და აღარც ახლები დაგროვდება.

აქ მთავარია ერთი რამ: საკონსტიტუციო სასამართლო უფრო ხელმისაწვდომი ხდება მოსახლეობისათვის. ძირითადი სარჩელები (80 პროცენტი) მაინც მოქალაქეებს შეაქვთ, რომლებიც ასაჩივრებენ თავიანთი უფლებების დარღვევას ამა თუ იმ კანონით ან ნორმატიული აქტით. როცა ხალხი დაინახავს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტივობას, უფრო ხშირად მიმართავს მას. ასევე მოქალაქეებზე, საზოგადოებრიობაზეა გათვლილი ის ნაბიჯიც, რომელიც გადაიდგმება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა საჯაროობისათვის. ეს გადაწყვეტილებები ოფიციალურად გაშუქდება „საკანონმდებლო მაცნეში", მაგრამ პრესით, ტელევიზიით მაინც გადაიცემა მოკლედ, მარტივად, ნათლად. ჯონი ხეცურიანს კიდევ იმდენი რამის გაკეთება გადაუწყვეტია (თუნდაც, კონსტიტუციის განმარტებების გამოცემა, კონსტიტუციონალიზმის ცენტრის შექმნა), რომ მათზე ლაპარაკი ძალზე შორს წაგვიყვანს.

მაგრამ ვერაფრით გვერდს ვერ ავუვლი ერთ თემას, რომელზედაც ჯონი ხეცურიანი ამჟამად მუშაობს და ისევ და ისევ დროის არტახებს ამსხვრევს. ესაა საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხები, რომლებიც სადღეისოდ ყველაზე აქტუალურია საქართველოში და რომელთა მოუგვარებლობის გამო, ქვეყანას უამრავი უბედურება სჭირს. ეს ძალზე ფაქიზი, დელიკატური პრობლემაა, მაგრამ აუცილებელ გადაწყვეტას მოითხოვს. წლების მანძილზე ვერაფრით ვერ მოვანესრიგეთ ურთიერთობა აფხაზეთთან. ზუსტად ამაზე უნდა იმსჯელოს ამ დღეებში გაერომ და, როგორც ჩანს, ჩვენ საამისოდ მზად არა ვართ. მჯერა, რომ ჯონი ხეცურიანი ამ თემაზეც ღრმა მეცნიერულ ნაშრომს დადებს.

და კიდევ, დღეს ჩვენში მწვავედ დგას მინისტრთა კაბინეტის შემოღების საკითხი. კანონპროექტი, რომელიც საამისოდ მოითხოვს კონსტიტუციური ცვლილებების განხორციელებას, ჯონი ხეცურიანის მინისტრობისას მომზადდა. პრეზიდენტმა იგი მოიწონა, გარკვეული აპრობაციაც გაიარა და პარლამენტშიც შევიდა. მასში ჩადებულია საკანონმდებლო და

აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთკონტროლის, ურთიერთგაწონასწორების უკეთესი მექანიზმი. არც ერთს არ ექნება დომინირებული მდგომარეობა. მთავრობა აიღებს კოლექტიურ პასუხისმგებლობას ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე, რაც სადღეისო გაჭირვებიდან დაგვიხსნის. ესაა გამოსავალი და არა ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები, რასაც ჩვენი კონსტიტუცია საერთოდ არ ითვალისწინებს.

* * *

23 ნოემბერს – გიორგობის დღეს – ჯონი ხეცურიანს დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა. ასეთ დროს ყოველთვის შეიძლება შინაურული საუბარი გააბა რესპონდენტთან და ათქმევინო ისიც, რისი თქმაც სხვა მომენტში უპრიანი არაა. სხვისი არ ვიცი და მე, უპირველესად, ვიკითხე ოჯახი, რომელმაც საქართველოს ორი ცნობილი პიროვნება შესძინა (ჯონი ხეცურიანის ძმა რამაზ ხეცურიანი ხომ სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორია) და ისინი ქვეყნისა და ხალხის სამსახურში უანგაროდ ჩააყენა. ცხადია, ძნელად მოსაპოვებელია მეცნიერებათა დოქტორობაც, პროფესორობაც, მაგრამ ყველაზე ძნელი მოსაპოვებელია კაცობა, რომელიც ემყარება ზნეობას, ჰუმანურობას, ადამიანთმოყვარეობას.

ჯონი ხეცურიანი ყოველთვის გამორჩეულად ახსენებს ეროვნულ კრიტერიუმებს, ქართულ ტრადიციებს. მისი თქმით, ნებისმიერი პიროვნება აუცილებლად უნდა იდგეს ეროვნულ საძირკველზე, ეროვნულ ფუნდამენტზე, რათა უკეთ გამოადგეს საკუთარ ქვეყანას.

ჯონი ხეცურიანი: – მოდის თაობა, რომელმაც არ იცის ქართული სიმღერა, ქართული ცეკვა. აღარც განცდაა, შეგნება იმისა, რომ იგი ქართველია. ტრადიციები, ზნეობრივი პოსტულატები არ უნდა დაეკარგოთ. თუ ჩვენს თვითმყოფადობაზე ხელი ავიღეთ, ძვირად დაგვიჯდება ყველაფერი. ეკონომიკას შეიძლება ეშველოს, მაგრამ ზნეობას ვერაფერი ეშველება. ჩვენ ტანი აზიისკენ გვაქვს, სული კი ევროპისკენ. ამ გზაჯვარედინზე დგომა ძნელია, მაგრამ მაინც უნდა დავრჩეთ ქართველებად. ამით ვხიბლავთ სხვებს, თორემ ჩვენი გათქვეფა და გადაგვარება უცხოსაც არ მოეწონებოდა.

ალბათ ამის „ბრალიც“ იყო, რომ მისმა შვილმა წლეულს გამოცდები წარმატებით ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მამისა და პაპის მსგავსად, ქართული სამართლის საფუძვლების დაუფლება გადანყვიტა. მას შეეძლო უცხოეთში წასვლა, მაგრამ არა, ჯერ ჩვენი და მერე სხვისი. სამართალმცოდნეობა არაა ინჟინრობა, ექიმობა, ეკონომისტობა... ჩვენს კანონებში უპირველესად ქართული სული უნდა ტრიალებ-

დეს, ქართული გული ძგერდეს, ქართული სისხლი დუღდეს, მხოლოდ მაშინ მიაღწევენ ისინი უზენაესობასაც და უმაღლესობასაც.

ჯონი ხეცურიანის ცხოვრება უბადლო ნიმუშია მამულის სამსახურისა, რომელშიც უზადოდაა შეხამებული მეცნიერული მოღვაწეობა და პრაქტიკული საქმიანობა. მას რეგალიები და ჯილდოები არ აკლია. მთელი საზოგადოების აზრით, ყველა სიკეთის ღირსია ის კაცი, რომელმაც თავისი ნიჭითა და უნარით დროც კი უკან ჩამოიტოვა!

ინტერვიუ ჩაიწერა **ბონდო გულიაშვილმა**

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №303, 2001 წელი, 13 დეკემბერი.

საძიებელი

შესავალი 5

9 აპრილიდან 9 აპრილამდე

9 აპრილის ტრაგედიის გამოძახილი 83
დასკვნა 1989 წლის 9 აპრილს თბილისში კომენდანტის საათის შემოღების კანონიერების შესახებ 84
„საჭირო დაზუსტებანის" გამო 91
დასკვნა 1989 წლის 9 აპრილს ქ. თბილისში მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილების მიღების კანონიერების შესახებ 96
არც შეცდომა და არც კონფორმიზმი 109
რატომ არ გავიზიარეთ 112
Что осталось за кадром 117
სახელდახელო კომენტარი 119
9 აპრილიდან 9 აპრილამდე 125

სიკვდილით დასჯა: ჰო თუ არა

სიკვდილით დასჯის გამოყენების ისტორიიდან 151
სიკვდილით დასჯა და თანამედროვეობა 170
Казнить нельзя помиловать! 179
სიკვდილით დასჯა: ჰო თუ არა 185
დებატები სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების – სიკვდილით დასჯის – სრული გაუქმების შესახებ 204
სიცოცხლის უფლება 208

გზა სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ

რეფერენდუმი 225
პოლიტიკური პარტიები. კონსტიტუციური რეგულირების გამოცდილება 235
პოლიტიკური პარტიები. სამართლებრივი რეგულირების საკითხები 244
Многопартийность: контуры грядущего 252
რას გვაძლევს ახალი კანონი 257
იუსტიცია და სამართლებრივი რეფორმა 260
Лишь твердая власть обеспечит исполнение закона 263

საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის ნორმალიზების ღონისძიებათა შესახებ 268
კონსტიტუცია – მომავლის არჩევანი 270
იუსტიციის სამინისტრო ქვეყნის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ახალ პირობებში 274
სახელმწიფო და ეკლესია 281
საკონსტიტუციო სასამართლო ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი სასამართლო ხელისუფლების დამკვიდრებას ჩვენს ქვეყანაში 286
ნოვაციები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში 289
შესაძლებელია თუ არა არჩევნების ხელახლა ჩატარება 300
უფლებამოსილების გამიჯვნა საკონსტიტუციო ცვლილებებსაც მოითხოვს 305
საბჭოთა კონსტიტუციიდან დემოკრატიულ კონსტიტუციამდე 310
საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების გაერთიანება დაუშვებელია 313
კონსტიტუციური რეფორმა უნდა გაგრძელდეს 316
შენიშვნები „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ 319
Роль Конституционного Суда в обеспечении конституционных принципов формирования органов государственной власти 326
წერილი საქართველოს პრეზიდენტს 330

დავიცვათ საქართველოს სუვერენიტეტი

შევინარჩუნოთ მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის უზრუნველყოფის ლენინური პრინციპები 349
ობიექტურად შევაფასოთ მოვლენები 351
აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მიერ მიღებული აქტების პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასებისათვის 354
დავიცვათ კანონი 365
დავიცვათ საქართველოს სუვერენიტეტი 367
თანამეგობრობა რუსულად 369

მიზანი, რომელიც სიცოცხლედ ღირს

გვესაუბრებიან მინისტრები 381
დამეხმარება გამოცდილება, რწმენა 383

ჯონი ხეცურიანი - პარტიული ინტერესების მსხვერპლი 386
უპრეცედენტო პრეცედენტების ქვეყანა..... 388
საკანონმდებლო საქმიანობას იურისტი უნდა ასრულებდეს 400
დეპუტატობის კანდიდატი ჯონი ხეცურიანი..... 405
ვხსნი ჩემს კანდიდატურას..... 418
თქვენ გგონიათ, ყველაფერი გითხარით?..... 420
ჩემი დანიშვნით იწყება კანონიერი ხელისუფლების აღდგენა... 427
ინტერვიუ ყოფილ იუსტიციის მინისტრთან..... 439
მიზანი, რომელიც სიცოცხლედ ღირს 443

JOHN KHETSURIANI

FROM INDEPENDENCE TO THE RULE OF LAW BASED STATE

Publicistic Letters, Interviews

რედაქტორები:
ირინა წიკლაური,
ევა ჩიკაშუა

ტექ. რედაქტორი
მაია სვიანაძე

გამოცემაზე მუშაობდნენ:
ია მირიჯანაშვილი, ლორეტა დვალი,
ლალი ქელდიშვილი, ხათუნა ყირიმელი